

ფ. სკოტ ფისჯეკსონი



თბილისი „მერანი“ 1986



მართხვალთა ლიგა

ჯერალდს და სარას
მრავალუამიერ

ნაზია ღამე

უკვე შენთან ვარ! ნაზია ღამე,

.

მაგრამ აქ ბნელა,

მწვანე ბალახის სიმრუმეში ღამის ცის შუქი
ხავსიან ბილიკს სიოთი ნელა მიმოებნევა.

ჯონ კიტსი, „ოდა ბულბულს“



წიგნი პირველი

I

საფრანგეთის რივიერაზე, მარსელიდან იტალიის საზღვრამდე ასე, დაახლოებით შუა გზაზე, ერთ თვალშესავლებად ადგილზე საუცხოო, ვარდისფერი ოტელის დიდი შენობაა ამართული. პალმების შრიალი აგრილებს სიცხისაგან აღმურადენილ ფასადს და ოტელის წინ თვალისმომჭრელად ელვარე პლაჟი გადაშლილა. ბოლო წლებში იგი მაღალი წრის ხალხისა და ცნობილ პიროვნებათა საზაფხულო აგარაკად იქცა. ათი წლის წინათ კი, აპრილის თვეში იქაური ინგლისური კლიენტურა ჩრდილოეთისკენ რომ გადაინაცვლებდა ხოლმე, ეს ადგილი მთლად უკაცრიელსა ჰგავდა. ახლა გოსის „Hôtel des Etrangers“¹ მიდამოებში ბევრი ახალი ნაგებობაა, მაშინ კი, კანამდე ხუთი მილის გაყოლებაზე ჩარიგებულ იმდენ ფიჭვებ-

¹ ოტელი უცხოელთათვის (ფრანგ.).

ში, ათიოდე ძველი ვილის სახურავი თუ მოჩანდა ხავსიანი ღუმფარებივით.

ოტელი და იმის წინ ნოხივით გადაშლილი მზისფერი პლაჟი რაღაც მთლიანსა ჰგავდა. სალოცავივით იყო განათებული ეს ადგილი შენობის წინ. სისხამ დილით ზღვაში ეშვებოდა შორეული ანარეკლი ქალაქისა — კანის ძველი, მოვარდისფრო-მოყვიაჯლო ციხესიმაგრეები, იტალიის მიჯნაზე აზიდული ლილისფერი ალპები. წყალმცენარეებისაგან რგოლები და ჭავლები იხაზებოდა გამჭვირვალე ნაპირზე, ირხეოდა და ზღვაზე გაწოლილი ანარეკლიც თრთოდა. რვა საათისთვის პლაჟზე ლურჯ საბანაო ხალათგადაცმული კაცი გამოვიდოდა. ხალათს გაიხდიდა, კარგა ხანს ემზადებოდა, ვიშვიშით, ოხვრითა და ხვნეშით წინასწარ ფრთხილად ტანს აქა-იქ ჯერ ისევ ცივი წყლით დიდი ამბით დაისველებდა, ბოლოს გაბედავდა და ბევრი-ბევრი, ერთი წუთით ჩაყურყუმელავდებოდა ზღვაში. იმის წასვლის მერე პლაჟის ახლომახლო არემარე დაახლოებით ერთ საათს ცარიელდებოდა. ჰორიზონტზე დასავლეთისკენ სავაჭრო გემი გამოჩნდებოდა, ნელა მიცურავდა, თითქოს მილოდავსო; ოტელის ბიჭები ეზოში ერთმანეთს გასძახოდნენ; ფიჭვებზე ნამი იწყებდა შეშრობას. ერთი საათიც და ნამდვილი, პროვანსული საფრანგეთის სანაპიროდან გამყოფი მავრის არცთუ მაღალი მთაგრეხილის მიხვეულ-მოხვეული შოსედან იქაურობას ჩამოაღწევდა ავტომობილების ხმაური.

ზღვიდან ერთი მილის დაშორებით, იქ, სადაც ფიჭვებს მტვერდაყრილი ალვის ხეები ენაცვლება, ერთი პატარა ბაქანია. ამ ბაქნიდან 1925 წლის ივნისის ერთ დილას გოსის ოტელისკენ ღია „ვიქტორიათი“ მიდიოდა ორი ქალი — დედა და შვილი. დედას ჯერ კიდევ შერჩენოდა მომხიბვლელობა, ოღონდ, ძნელი მისახვედრი არ იყო, რომ ჭკნობაშეპარულ სილამაზეს მალე წაშლიდა ძლივს შესამჩნევი წვრილი ძარღვები. გამომეტყველება მშვიდი ჰქონდა, და დაკვირვებულიც; თუმცა, თვალი მაშინვე ქალიშვილისკენ გაგექცეოდათ, უმაღლ მოგაჯადოებდათ ვარდისფერი ხელისგულები და ღაწვები — საღამო ხანს გრილი წყლით რომ დაბანენ ბავშვებს, შეაჟრიალებთ, და სიწითლე წამოუვლით, თრთოლასავით, — იმგვარად, თითქოს შიგნიდან უნათოდა, ძლივს შესამჩნევად. ოღნავ ხვე-

ული ქერა თმა, ფერფლისა და ოქროსფერი რომ დაჰკრავდა, ფიქალ შუბლზე ჩამოშლოდა. დიდი და კრიალა, ნათელი, წყლიანი თვალები უელავდა, ბუნებრივად თეთრყირმიში სახის კანზეც კი ეტყობოდა, რომ ნორჩი და ძლიერი გული უცემდა მკერდქვეშ. მთელი სხეულით თითქოს თრთოდა, გეგონება სხლტებაო ბავშვობის მიჯნაზე — თითქმის თვრამეტი წლის იქნებოდა უკვე, მაგრამ ჯერ მაინც შერჩენოდა ცვარნამი ბავშვობისა.

ცა და ზღვა თითქოს ერთურთს შეერწყა, ერთ გავარვარებულ ხაზად იქცა; დედამ თქვა:

„ასე მგონია, აქ მაინც არ მოგვეწონება“.

„მე უკვე შინ წასვლა მინდა“, მიუგო ქალიშვილმა.

მშვიდად, ხალისით საუბრობდნენ, მაგრამ ცხადი იყო, გული არსაით მიუწევდათ და ეს აწუხებდათ. გართობა სურდათ, გახალისება, მაგრამ იმიტომ არა, მოშვებული ნერვები აღეგზნოთ, არა, უფრო იმიტომ, რომ ფიქრობდნენ, ეს მათთვის ახლა საჭირო იყო და ბუნებრივი. იმ ხარბ მოწაფეებს ჰგვანდნენ, მთელი წელიწადი სკოლაში ვარგად რომ სწავლობენ და იციან, წლის ბოლოს, დიახაც, ეკუთვნით დასვენება.

„სამ დღეს დავრჩებით და წავალთ. გემის ბილეთებს ახლავე შევუკვეთავ ტელეგრაფით“.

ოტელში მისვლისას, ქალიშვილი კარგი ფრანგულით ლაპარაკობდა, მაგრამ მაინც, ხანდახან — თითქოს რაღაცას იხსენებსო. პირველ სართულზე დაბინავდნენ, ქალიშვილი გაკამკამებული შემინული კარებისაკენ გაემართა, რამდენიმე ნაბიჯი წადგა და ოტელის გარშემოვლებულ ქვის ვერანდაზე გავიდა. ბალერინასავით დადიოდა, გამართული, ზეაწეული; სიარულისას თითქოს კიდევაც მალღებოდა, ძირს კი არა, ზევით და ზევით იწეოდა. მისი ჩრდილი სხივებქვეშ თითქოს ლამის მოიჭრა, დაპატარავდა. მცხუნვარება მოაწვა თვალებში და მაშინვე უკან დაიხია, ძალზე კამკამებდა მზე და დანახვა ჭირდა. ორმოცდაათი იარღის იქით ხმელთაშუა ზღვა დროდადრო რომ ამოაჩენდა თავის სილუურჯეს, ხარკს უხდიდა ულმობელი მზის ბრწყინვალეებას. აივნის ქვემოთ, ზედ ოტელთან, გახუნებული ფერის „ბიუკი“ იხრაკებოდა.

ყველაფერი თითქოს გარინდდა და მხოლოდ პლაჟზე იყო

სიცოცხლე. სამი ინგლისელი გამდელი თილისმაშეკრულები-
ვით ისხდნენ და რაღაცაზე ლაპარაკობდნენ, უფრო ჭორაობ-
დნენ, თან სვიტერსა და წინდებს ქსოვდნენ ვიქტორიანული
ხანის ინგლისის ორმოციანი, სამოციანი და ოთხმოციანი წლე-
ბის მოდაზე; ზღვასთან ახლო ასე, ათამდე ქალი და კაცი ზო-
ლიან ქოლგებს შეფარებოდა, მათი ბავშვები მეჩხერზე დაუ-
ფრთხობელი თევზის დაჭერას ლამობდნენ, ანდა იწვნენ და
ქოქოსის ზეთწასმულ მოელვარე შიშველ სხეულებს გასარუ-
ჯად მზეს უფიცებდნენ.

პლაჟზე გამოსულ როზმერის თორმეტიოდე წლის ბიჭმა
გაურბინა გვერდზე და ყვირილითა და ყიყინით ზღვაში გადა-
ეშვა. როზმერიმ უცნობი სახეების შემფასებლური მზერა იგ-
რძნო, ხალათი გაიძრო და თვითონაც ზღვაში შევიდა. რამდე-
ნიმე იარღი გაცურა და მიხვდა, ქვიშას ეხებოდა, ტორტმანით
წამოდგა, წალასლასდა. ნაზი ფეხებით ძლივს მიარღვევდა
წყალს. იმ ადგილამდე რომ მივიდა, სადაც წყალი მკერდამდე
თუ მისწვდებოდა, მობრუნდა და ნაპირს გამოხედა: ერთი მე-
ლოტი, მონოკლიანი კაცი უყურებდა, ტრუსის ამარა იყო,
გაბანჯგვლული მკერდი გამოეხნიქა და მუცელი და ამოსკუ-
პული ჭიპი შიგნით შეეგდო. როზმერიმაც გახედა, კაცმა
მაშინვე დაუშვა მონოკლი, რომელიც გაბანჯგვლულ მკერდში
ჩაეკარგა და, ბოთლიდან ჭიქაში რაღაც დაისხა.

როზმერიმ სახე წყალში ჩაძალა და სწრაფი კროლით გა-
ცურა ტივტივასაკენ. წყალი საყვარლად მიელამუნა სახეზე, პა-
პანაქება სიცხე დაავიწყა, თმა დაუსველა, ტანზე აქა-იქ ჭავ-
ლივით დაუარა. როზმერი ნებივრობდა, ნეტარებდა, ადგილზე
ირწეოდა. ტივტივასთან მისული, უკვე ძლივსღა ითქვამდა
სულს, მაგრამ ვიღაც მზეზე გარუჯულმა თეთრზეთეთრკბილე-
ბიანმა ქალმა ისე დახედა, როზმერიმ თავისი სხეულის სიშიშ-
ვლე და სითეთრე იგრძნო, ზურგზე გადატრიალდა და წყალს
მინებდა. ასე მივიდა ნაპირამდე, სადაც მაშინვე გამოელაპარა-
კა ის მკერდგაბანჯგვლული კაცი, ხელში ისევ ბოთლი ეჭირა.

„იცით რა, ტივტივას იქით წასვლა არ იქნება. ამბობენ,
ზვიგენებიანო“. ვერ იტყოდით, რა ეროვნებისა იქნებოდა, მაგ-
რამ ინგლისურად ოქსფორდის მანერაზე, ნელა, გაბმიჯ ლა-
პარაკობდა.

„გუშინ ორი ბრიტანელი მეზღვაური გააქრეს გოლფ-უუანის ფლოტილიიდან“.

„ღმერთო ჩემო!“ წამოიძახა როზმერიმ.

„მეტადრე ფლოტილიასთან შემოდიან. იციან, რაღაცას გამოჩებიან“.

ისე გაუშტერა თვალი, გეგონებოდა შუშისა აქვსო, და ვითომ, მინდა გაგაფრთხილოთ და იმიტომ გამოგელაპარაკეთო; მერე ორიოდ ნაბიჯით უკან დაიხია და ისევ დაისხა ის რაღაცა თავის ბოთლიდან.

როზმერი გრძნობდა, ყურადღებას აქცევდნენ ამ საუბრისას და ოდნავ შემცბარმა შეათვალიერა იქაურობა, რომ სადმე დამჯდარიყო. პლაჟის რაღაცა მონაკვეთი იმ თავიანთი ქოლგის ახლო, ეტყობოდა ყველა ოჯახს საკუთრებად მიაჩნდა, ოღონდ, — მიმოდრიოდნენ, ერთმანეთს რაღაცას გასძახოდნენ, ერთი სიტყვით, თავიანთი წრე ჰქონდათ და ცოტა უხერხული იქნებოდა და მიძალეზაც კი გამოვიდოდა ამ წრეში შეჭრა. ოდნავ მოშორებით, კენჭებითა და დამჭკნარი წყალმცენარეებით მოფენილ ნაპირზე რამდენიმე კაცი და ქალი შენიშნა, როზმერისავით ჯერ არც იმათ მოჰკიდებოდათ მზე და პლაჟის დიდი ქოლგები კი არა, თავიანთი ქოლგები ჰქონდათ. ესენი უფრო ახალბედები ჩანდნენ ამ პლაჟზე. როზმერიმ თავისუფალი ადგილი მოიძია გარუჯულებსა და თეთრებს შუა, ხალათი გაიძრო და ქვიშაზე გაშალა.

მერე ზედ გაწვა, ჯერ მხოლოდ მათი ხმა ესმოდა, გრძნობდა როგორ მიმოდრიოდნენ, თითქოს გარს უვლიდნენ იმის სხეულს, ხანდახან ვილაცის ჩრდილი ჩამოეფარებოდა წამით მზეზე. კისერზე რომელიღაც ცნობისმოყვარე ძაღლის თბილი და ხშირი სუნთქვა მიელამუნა; უკვე გრძნობდა მზის მხურვალეობას, თითქოს კანში ატანდა; ტალღების სუნთქვა, მათი წყნარი, დაქანცული „უააჰ“ ჩაესმოდა. თანდათან არჩევდა, ვინ რას ამბობდა, მთელი ამბავიც კი მოისმინა, კერძოდ ის, რომ თურმე ვილაცას, „იმ ჯეილს, ნორტს“ რომ ეძახდნენ აგდებულად, კანის რომელიღაც კაფედან წუხელ ერთი ოფიციაინტი გაუტაცია, უნდოდა ზედ შუაზე გაეხერხაო; ამას თეთრთმიანი ქალი ყვებოდა თავგამოდებით, კაბაზე ეტყობოდა, წინა ღამეს წვეულებაზე ყოფილიყო და სამოსის გამოცვლა ვერ მოესწრო, თმა-

ზე ისევ ეკეთა ტიარა, მხარზე კი დამკნარი ყვავილი ჩამოჰკიდებოდა საწყლად. როზმერი შეუცნობელმა ანტიპათიამ მოიცვა იმ ქალისა და მთელი მისი კომპანიის მიმართ და შეტრიალდა.

იქითა მხარეს, მოშორებით, ახალგაზრდა ქალს მოჰკრა თვალი. ქოლგის ქვეშ იჯდა და რაღაცას იწერდა ქვიშაზე გაშლილი წიგნიდან. სარაფანი მხრებიდან ჩამოეწია და ნარინჯ-ყავისფრად თანაბრად მზემოკიდებული შიშველი ზურგი მზეზე უბზინავდა. ერთი ასხმა შემდგრეული მარგალიტი ირეკლებოდა ნამზეურ ზურგზე. ლამაზ სახეში ერთდროულად სიმკაცრე და უმწეობა გამოსჭვიოდა. როზმერის შეხედა თითქოს, მაგრამ არც შეხედვა ეთქმოდა. იმის გვერდით მჯდარ მაღალ, მოხდენილ მამაკაცს ჟოკეის ქუდი ეხურა, წითელზოლებიანი ტრუსით იყო; იმის იქით კიდევ ის ძალზე თეთრკბილება ქალი, როზმერიმ ადრე რომ ნახა. ამ ქალმა მაშინვე მოხედა როზმერის, ეტყობა, იცნო; მერე ერთი კაცი, მოგრძო სახით, თმა ლომის ფაფარივითა ჰქონდა, უქუდოდ იყო, ლურჯი ტრუსით, ძალიან სერიოზულად ელაპარაკებოდა შავტრუსიან, აშკარად რომანული წარმოშობის ახალგაზრდა კაცს, ლაპარაკისას ორთავე ქვიშაში ურევდა ხელებს, ხანდახან გამხმარ წყალმცენარეებს ამოაყოლებდნენ ხოლმე. ამერიკელები არიანო, გაიფიქრა, მაგრამ მაინც რაღაცით არა ჰგვანდნენ იმ ამერიკელებს, ამ ბოლო დროს რომ ხვდებოდა როზმერი.

ცოტა ხნის მერე გაიაზრა, ის ჟოკეისქუდიანი თავის კომპანიას რაღაცას უამბობდა; დინჯად ხვეტავდა ნიჩბით ქვიშას და თან ლაპარაკობდა, ალბათ ძალიან სასაცილოს, თუმცა ისეთი სახე ჰქონდა, ფარსს მაინცდამაინც ვერ იფიქრებდი. ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რაც უნდა ეთქვა, ერთი ხმა კი ამოელოდა, მის ყველა სიტყვაზე ხარხარებდნენ. როზმერივით, იმათგან ცოტა მოშორებით, სუყველა სმენად ქცეულიყო, ეგება რამე გავიგონოთო. მთელ პლაჟზე მხოლოდ ის მარგალიტის მძივიანი ქალი არ იცინოდა. ალბათ თავმდაბლობის გამო, ამათ ყველა გადახარხარებაზე თავს დაბლა ხრიდა და თავისთვის ფურცლებს აცქერდებოდა.

უცებ, თითქოს ციდან ჩამოვარდაო, როზმერის იმ მკერდგაბანჯგვლული და მონოკლიანი კაცის ხმა მოესმა:

„მშვენიერი ცურვა გცოდნიათ“.

როზმერიმ იუარა.

„მართლა, ჩინებული; ჩემი გვარი კემპიონი გახლავთ. აქ ერთი ქალი ამბობს, რომ წინა კვირას გნახათ სორენტოში, იცის ვინა ხართ და თქვენი გაცნობა სურს“.

როზმერის არ გახარებია, მაგრამ არ შეიმჩნია, მიიხედა, ისინი დაინახა, მზე ჯერ რომ არ მოჰკიდებოდათ, მისკენ იყურებოდნენ და იცინოდნენ. უხალისოდ წამოდგა და მათკენ გაემართა.

„მისიზ აბრაშ — მისიზ მაკისკო — მისტერ მაკისკო — მისტერ დამფრი...“

„ჩვენ გიცნობთ“, იმ ქალმა თქვა, ვისაც კაბაზე ეტყობოდა, წუხელ წვეულებაზე ყოფილიყო. „როზმერი ჰოიტი ხართ, მაშინვე გიცანით სორენტოში, და ოტელში კლერკსაც ვკითხე. აქ ყველამ ერთხმად აღიარა, მშვენიერიაო იმ ფილმში და გვანტერესებს, რატომ არა ხართ ამერიკაში, იმისათვის, რომ ითამაშოთ სხვა ისეთივე მშვენიერ ფილმში“.

ფაცაფუცით მიიწ-მოიწიეს, რომ ადგილი გამოენახათ და თავიანთ შორის ჩაესვათ როზმერი. ეს ქალი, სორენტოში რომ ენახა, ებრაელი არ იყო, მიუხედავად თავის გვარისა. იმ ხნიერი, „არხენა ქალების“ ჯიშისას ჰგავდა, კარგად ჭამისა და გულგრილობის გამო ყველაფრისადმი, რაც გარშემო ხდება, ყველა თაობას რომ ერგებიან და ვერ გაიგებ, ვისი-რისია.

„გვინდა გაგაფრთხილოთ, პირველ დღეს ძალიან არ დაიწვათ მზეზე“, — ხალისით აგრძელებდა ის ქალი ლაპარაკს — „კანს სათუთად უნდა მოეპყრათ, მეტადრე თქვენ, ოლონდ, ამ პლაჟზე ისეთი ხალხია, რომ ვერავის ვერაფერს ველარ ეტყვი, შეიძლება გაგლანძლონ, და არ ვიცოდით გვეთქვა თუ არა, ხომ შეიძლება თქვენც გწყენოდათ“.

II

„ეჭვიც კი გამოვთქვით, იქნებ შეთქმულებაში ურევიაო“ მისიზ მაკისკომ თქვა. ეს ახალგაზრდა, საკმაოდ ლამაზი სახის ქალი, ერთობ უდიერი ჩანდა, თვალეზზეც ეტყობოდა. „აქ ვერაფერს გაიგებ, ვინ არის შეთქმული, ვინ არა. სიტყვაზე, აი ის კაცი, კარგა დიდხანს და გულთბილად რომ ესაუბრებოდა

ჩემი ქმარი, ლამის მოთავე ყოფილა ამ ამბისა, ყოველ შემთხვევაში, მოთავის თანაშემწე მაინც — მეორე კაცი“.

„შეთქმულება?“ გაიოცა როზმერიმ. კარგად ვერ მიხვდა.

„ჩემო ძვირფასო, ჩვენ რა უციოთ, მიუგო მისიზ აბრამზმა, ლაპარაკისას ხანგამოშვებით ჩაიციინებდა ხოლმე, ისე, სქელმა ქალებმა რომ იციან. „ყოველ შემთხვევაში, ჩვენ არა, ჩვენ არა ვართ გარეული მაგ საქმეში. ჩვენ ქანდარა ვართ“.

მისტერ დამფრიმ, ახალგაზრდა ქერა კაცმა, რაღაცით ქალს რომ წააგავდა, შენიშნა: „რაღა შეთქმულება და რაღა ჩვენი მისიზ აბრამზი, თვითონ არის შეთქმულებაო“, რაზედაც კემპიონმა მონოკლი მოუღერა და უთხრა: „აბა, როიალ, თავი დაანებეთ ეგეთ სიტყვებს“. როზმერიმ შეშფოთებით შეხედა მათ, ახლა ერჩივნა და უნდოდა კიდევაც დედა ჰყოლოდა აქ, ეს ხალხი მაინცდამაინც თვალში არ მოსდიოდა, პლაჟის იქითა მხარეს მსხდომთ ადარებდა და ისინი ერჩივნა, დედამისის შეუმცდარი, თავისი წრისთვის ჩვეული ტაქტი და ალღო შველოდათ ხოლმე სწრაფად და იოლად, მოხერხებულად დაეღწიათ თავი უხერხული ვითარებისთვის. სულ რაღაც ექვსიოდე თვე თუ გავიდა მას შემდეგ, რაც როზმერი ცნობილი გახდა, ხანდახან ფრანგული მანერები იჩენდა თავს და ის ამერიკული დემოკრატიული ჩვევებიც, გვიან რომ შეიძინა და ხშირად კიდევაც იბნეოდა.

მისტერ მაკისკოს, ხმელ-ხმელ, ჭორფლიან წითურ კაცს, — ასე, ოცდაათი წლის იქნებოდა, „შეთქმულებაზე“ ლაპარაკი სიამეს არა ჰგვრიდა. ზღვას გაჰყურებდა, მაგრამ უცებ ცოლს შეხედა, მერე როზმერის მოუტრიალდა და საკმაოდ მკაცრად და გაჯავრებით, თითქოს რაღაცაზე პასუხს აგებინებდნო, ჰკითხა:

„დიდი ხანია ჩამოხვედით?“

„დღეს“.

„აჰა“.

იფიქრა, საუბარს უკვე სხვა გზა მიეცაო და იქ მსხდომთ გადახედა, იქნება ახლა მათ ეთქვათ რამე.

„მთელ ზაფხულს აქ აპირებთ დარჩენას?“ გულუბრყვილოდ იკითხა მისიზ მაკისკომ, „მაშინ, ალბათ ნახავთ რით გათავდება ეს ინტრიგა“.

„ღვთის გულისათვის, ჭაიოლიტ, კმარა ამაზე!“ შეუძახა ქმარმა, „სხვა ხუმრობა ნახე, ღვთის გულისათვის!“

„ნერვების ბრალია“.

„არავითარი ნერვები“, არ დაეთანხმა მისტერ მაკისკო, ლამის ყვიროდა, „ნერვები აქ არაფერ შუაშია“.

აშკარად ღელავდა, მონაცრისფრო სახეზე აღმურმა გადაჰკრა, რაც რამ ზედ გამომეტყველება აჩნდა, ერთმანეთში არეოდა. ივრძნო, ვერ იყო კარგად. უცებ წამოდგა და წყალში შევიდა. ცოლიც ადგა. როზმერიმ შემთხვევით ისარგებლა და ისიც მათ გაჰყვა.

მისტერ მაკისკომ ღრმად შეისუნთქა ჰაერი, ხმელთაშუაში შევიდა და მკლავები მოუსვა, თავისი ვარაუდით კროლით უნდა გაეცურა. მალე ჰაერი აღარ ეყო, ფეხზე დადგა და აშკარა გაკვირვებით მიმოიხედა, რადგან არცთუ ისე შორს წასულიყო და ნაპირიდანაც, უეჭველია, ისევ მოჩანდა.

„სუნთქვა ჯერ კიდევ ვერ მისწავლია კარგად. გაოცებას ვარ, როგორ ახერხებენ ისე ჩაისუნთქონ, რომ კარგა დიდხანს გაჰყვეთ“, თქვა და როზმერის შეხედა, თითქოს პასუხს მისგან ელისო.

„წყალში ყოფნისას ამოისუნთქეთ“, აუხსნა როზმერიმ, „და მერე ყოველ მეოთხე მოსმაზე თავს ამოყოფთ და ისევ ჩაისუნთქავთ ჰაერს“.

„სხვა ყველაფერი იოლია ჩემთვის, აი მხოლოდ სუნთქვა მიჭირებს საქმეს. გავცუროთ?“

ტივზე ის თმალომისფაფრიანი კაცი იწვა. ზღვის ტალღებს აყოლილი ტივი ირწეოდა და როგორც კი მისიზ მაკისკომ ხელი წაავლო, უცბად გვერდზე გადაიხარა და მხარზე მიერთყა. ის თმალომისფაფრიანი კაცი მიეშველა, რომ ზედ ასულიყო.

„შემეშინდა, მაგრად არ მოგხვედროდათ“, დაბალი, მორცხვი ხმა ჰქონდა. იმისმა უჩვეულო ნაღვლიანმა სახემ გააოცა როზმერი, იმისმა ინდიელსავით ფართო ყვრიმალეებმა, განზე გაწეულმა პირმა და ღრმად ჩამჯდარმა ძალიან დიდმა, მუქ ოქროსფერმა თვალებმა. როგორღაც, პირის ერთი კუთხიდან დაილაპარაკა, თითქოს იმედი ჰქონდა, მისიზ მაკისკომდე რაღაც მიხვეულ-მოხვეული გზით მიაღწევდნენ მისი სიტყვები და ამგვარად აზრი და ძალა შეემატებოდათ. ერთი წუთიც

და წყალში გადაეშვა, გრძელი სხეულით ნაპირთან ახლო გაწო-
ლილი, ტალღებს მინებდა.

როზმერი და მისიზ მაკისკო თვალს ადევნებდნენ. როგორც
კი ბიძგის ინერცია გამოელა, მაშინვე მკვეთრად შეტრიალდა,
წყალზემთ წამით გამოუჩნდა გამხდარი ბარძაყები და მერე
უკვე მთლად გაუჩინარდა. მხოლოდ ქაფილა მოჩანდა წყალზე
იძის თავზემთ.

„კარგი ცურვა სცოდნია“, შენიშნა როზმერი.

მისიზ მაკისკომ მოულოდნელი აღშფოთებით მიუგო:

„სამაგიეროდ, უვარგისი მუსიკოსია“. და ქმრისკენ შეტ-
რიალდა, რომელიც, ორჯერ წარუმატებელი ცდის მერე, რო-
გორღაც აძვრა ტივზე და სცადა ისე დაეჭირა თავი, ვითომდა
რაო, არაფერიო, მაგრამ წაიბორძიკა და კინალამ დაეცა. „მე
ეს-ეს არის ვთქვი, რომ შეიძლება ეიბ ნორთი კარგადაც ცუ-
რავს, მაგრამ უვარგისი მუსიკოსია“.

„ჰო, ასეა“, ჩაიბურტყუნა მისტერ მაკისკომ, ეტყობოდა
ამოწმებდა ცოლის სიტყვებს, თითქოს უფლებას არ აძლევდა,
რაც უნდოდა ის ელაპარაკა.

„მე თაყვანს ვცემ ანთეილს“. მისიზ მაკისკო ისევ როზმე-
რისკენ შეტრიალდა, როგორღაც თითქოს გამომწვევად. „ან-
თეილსა და ჯოისს. არ ვიცი, ამ ხალხზე გსმენიათ თუ არა რამე
ჰოლივუდში, მაგრამ „ულისეზე“ ამერიკაში გამოქვეყნებული
პირველი კრიტიკული წერილის ავტორი ჩემი ქმარი გახლავთ“.

„კარგია, სიგარეტი მქონდეს“, მშვიდად თქვა მაკისკომ.
„მოწევას არაფერი მირჩევნია ახლა“.

„ჯოისის ძალა ფარულია, ასე არ არის, ელბერტ?“

უცბად ხმა გაუწყდა. ნაპირიდან არცთუ მოშორებით, მარგა-
ლიტის ყელსაბამიანი ქალი თავის ორ ბავშვთან ერთად ბანა-
ობდა და სწორედ იმ დროს, მისიზ მაკისკომ ისევ რომ წამო-
იწყო ლაპარაკი, ეიბ ნორთმა ჩაყვინთა და მხარზე შესმული
ბავშვითურთ წყლიდან ვულკანისებური კუნძულივით ამოი-
მართა. ბიჭი შიშისა და აღტაცებისაგან კიოდა. ქალი მშვიდად
და ალერსიანად უყურებდა მათ, ოღონდ, არ გაუღიმიო.

„მისი ცოლია?“ იკითხა როზმერი.

„არა, ეგ მისიზ დაივერია. ოტელში არ ცხოვრობენ“.

თვალეზი ლამის ფოტოაპარატის ობიექტივად ექცა, ისე

ჩაციებით უყურებდა მისიზ მაკისკო იმ ქალის სახეს. ცოტა ხნის მერე მკვეთრად მიტრიალდა როზმერისაკენ.

„ადრე ყოფილხართ საზღვარგარეთ?“

„დიახ, პარიზში ვსწავლობდი“.

„ო, მაშინ გეცოდინებათ, რომ თუ კარგი დრო გინდათ გაატაროთ, ჭეშმარიტ ფრანგულ ოჯახებს უნდა გაეცნოთ. რა ვაძყვება ამ ხალხს აქედან?“ მარცხენა მხრით მისიზ მაკისკომ ნაპირისაკენ მიანიშნა. „შეყრილან და სხვა ვერავის და. ველარაფერს ამჩნევენ. ჩვენ, რა თქმა უნდა, რეკომენდაციით მივედით ცნობილ პარიზელ მხატვრებთან და მწერლებთანაც, ასე რომ, კარგად ვცხოვრობდით“.

„წარმომიდგენია“.

„ჩემი ქმარი თავის პირველ რომანს ამთავრებს ახლა“.

„მართლა?“ როზმერი ახლა მაინცდამაინც არაფერზე არა ფიქრობდა. ერთი ის აფიქრებდა მხოლოდ, დაეძინებოდა თუ არა დედამისს ამისთანა პაპანაქება სიცხეში.

„იდეა იგივეა, რაც „ულისეში“, განაგრძობდა მისიზ მაკისკო. „ოღონდ ჯოისთან ოცდაოთხ საათს ხდება მოქმედება, ჩემი ქმრის რომანში კი მთელი საუკუნეა; წიგნში გამოჰყავს ძველი ფრანგი არისტოკრატი, რომელიც ტექნიკის საუკუნეს ეჯახება...“

„ღვთის გულისათვის, ვაიოლიტ, ნუ იცი ასე, ყველას უყვები ჩემი რომანის იდეას“, შეაწყვეტინა მისტერ მაკისკომ, „სანამ წიგნი არ გამოქვეყნდება, არ მინდა, რომ ყველამ გაიგოს“.

როზმერიმ უკან, ნაპირისკენ გაცურა. ნამზეური მხრები უკვე ცოტათი ეწვოდა, ხალათი მოისხა და ისევ მზეზე გაწვა. ყოველსქუდიანი კაცი ქოლგიდან ქოლგამდე მიდი-მოდიოდა ხელში ბოთლი და პატარა ჭიქები ეჭირა და ყველასთან მიჰქონდა. თანდათან თვითონაც და მისი მეგობრებიც უკეთეს ხასიათზე დგებოდნენ. ბოლოს ყველამ ერთ ქოლგასთან მოიყარა თავი — სხვა ქოლგები უკვე დაეკეცათ. როზმერი მიხვდა, ვილაცა წასვლას აპირებდა და გამოსათხოვრისა უნდა შეესვათ პლაჟზე. ბავშვებმაც კი იგრძნეს, რომ იმ ქოლგის ქვეშ მეფობდა გართობა და მხიარულება და იმათაც იქით იბრუნეს პირი

უნებურად გაიფიქრა, იმ უოკეისქუდიანი კაცის წყალობით ხდება ყველაფერიო.

ცაზეც და ზღვაზეც, ორივეგან შუადღე დადგა. კანის თეთრი ჰორიზონტიც კი, ხუთი მილის დაშორებაზე მირაჟად იქცა, მაცოცხლებელ და გრილ მირაჟად; კიოტასავით, — იმისმკერდ-ფერა აფრიანი ნავი შემოდისოდა და მუქ ლაჟვარდისფერ კუდს იქნევდა, იფიქრებდით, სიცოცხლე ამ ადგილს გარდა სანაპიროზე არსად არისო, მხოლოდ აქ, ამ პლაჟზე, მზის სხივებდაფენილი ქოლგების ქვეშ, სადაც ერთი ორომტრიალი ჰქონდათ და საიდანაც ასეთი მხიარული ხმები ისმოდა.

კემპიონი დაინახა როზმერიმ, მისკენ წამოვიდა, რამდენიმე ნაბიჯის მოშორებით შედგა და როზმერიმ თვალები დახუჭა, თავი მოიმძინარა; ცოტა ხნის მერე ოდნავ გაახილა და ბუნდოვნად რაღაცა გაარჩია ორი ბოძით — ვილაცის ორი ფეხი. ის ვილაც კაცი ცდილობდა ფეხი შეედგა დიდ, ქვიშისფერ ღრუბელში, ის ღრუბელი კიდევ სადღაც უსასრულოსა და გავარვარებულ ცაში მიდიოდა. როზმერის მართლა ჩაეძინა.

გაიღვიძა მთლად გაოფლილმა და დაინახა, პლაჟზე აღარავინ იყო იმ უოკეისქუდიანი კაცის გარდა, რომელიც იმ ერთადერთ გაშლილ ქოლგასლა კეცავდა. როზმერი წამოდგა, დაბნეული თვალებს ახამხამებდა, უოკეისქუდიანი მიუახლოვდა და თქვა:

„მე უკვე მინდოდა თქვენი გაღვიძება წასვლამდე. პირველ დღეს დიდხანს მზეზე წოლა არ გარგებთ“.

„გმადლობთ“. როზმერიმ თავის შეწითლებულ ფეხებს დახედა. „ღმერთო ჩემო!“ გაიცინა, ხალისიანად; სალაპარაკოდ მოემზადა, მაგრამ დიკ დაივერი უკვე მიათრევდა თავის დასაკეც კარავსა და პლაჟის ქოლგას ავტომობილისკენ, რომელიც პლაჟთან უცდიდა და როზმერი წყალში შევიდა, რათა გაოფლიანებული სხეული გაეხანა. დიკ დაივერი ისევ დაბრუნდა, ქვიშაზე დაყრილი ნიჩაბი, ფოცხი და ცხავი წამოკრიბა და ქვებსა და ქვებშუა მიძალა. მერე პლაჟს კარგად მოავლო თვალი, რომ აღარაფერი დარჩენოდა.

„ხომ არ იცით, რომელი საათია?“ ჰკითხა როზმერიმ.

„დაახლოებით ორის ნახევარი“.

ორთავემ ერთად გახედეს ზღვას.

„კარგი დროა“, თქვა დიკ დაივერმა. „დღის უარესი დრო არ არის“.

შეხედა და წამით როზმერი მინდობილად და ხალისითაც კი, თვითონვე მოხვდა მისი თვალების კრიალა ცისფერ სამყაროში. მერე მან მხრებზე მოიგდო თუკი რამ პლაჟზე დარჩენოდა და მანქანისაკენ წავიდა; როზმერი წყლიდან ამოვიდა, ქვიშა ჩამოიბერტყა და ოტელის გზას ნელა გაუყვა.

III

უკვე თითქმის ორი საათი იქნებოდა, როცა დედასთან ერთად რესტორანში შევიდა როზმერი. ფანჯრებს იქით ქარი არხევდა ფიჭვებს და მზის სხივები და ჩრდილები რაღაც უცნაურ, რთულ სახეს ფენდა მაგიდებზე. ორი ოფიციანტი, თეფშებს რომ ალაგებდა და იტალიურად ხმამაღლა ლაპარაკობდა, მათი შემოსვლისთანავე გაჩუმდა და ტაბლდოტის ყველაზე დარიბული ვარიანტი მოართვეს.

„პლაჟიდან შეყვარებული დავბრუნდი“, თქვა როზმერიმ.
„ჰო? ვინ შეგიყვარდა?“

„ჯერ ერთი მეტად სასიამოვნო კომპანია. მერე ერთი კაცი“.
„ილაპარაკეთ?“

„ცოტა. ძალიან ლამაზია. ჟღალი თმა აქვს“. როზმერი მადიანად ჭამდა. „ისე კი, ცოლიანია — სხვანაირად თითქმის არც ხდება“.

როზმერის საუკეთესო მეგობარი იყო დედა. მასზე გადაგებული, მთელ თავის ძალასა და ღონეს როზმერიზე ზრუნვას ახმარდა. ეს იყო ახლა იმისი საქმე, რაც არც ისე იშვიათია თეატრალურ გარემოში, მაგრამ მისიზ ელსი სპირსი იმით გაირჩეოდა, რომ სამაგიეროს არ ითხოვდა, თუნდაც სულაც მარცხი ეგემა. დასაჩივლელი არა ჰქონდა რა, ორჯერ კარგად გათხოვდა, ორჯერვე დაქვრივდა და თანდაყოლილი მხნეობა და ცხოვრებისთვის საჭირო ძალა უფრო მოემატა. პირველი ქმარი, როზმერის მამა, სამხედრო ექიმი იყო, მეორე—კავალერიის ოფიცერი; ორივემ დაუტოვა იმდენი, რომ კარგად ეცხოვრა, ყველაფერი როზმერისათვის სურდა და მისთვის ინახავდა. ქალიშვილს არ ანებივრებდა და ხასიათი გაუკაჟა, მაგრამ არც

ზრუნვასა და სიყვარულს აკლებდა, ამით თავის სასიკეთო იდეალიზმს უნერგავდა და — როზმერიც აღმერთებდა დედას, ყველაფერს იმისი თვალით ხედავდა და გულუბრყვილობის მიუხედავად, ორმაგადაც იყო დაცული — დედისა და თავისი ჯავშნით, მოწიფულივით უკვე უნდობლად ეკიდებოდა ყველაფერ უხამსს, მსუბუქსა და ვულგარულს. კინოში როზმერის ასეთი უეცარი წარმატების მერე კი მისი სპირსმა იგრძნო, რომ დადგა დრო, როცა მკერდიდან უნდა მოეცილებინა, მაგრამ თუ ეს მომთხოვნი, მღელვარე და ძლიერი იდეალიზმი სხვა რამისკენაც წარიმართებოდა, ტკივილზე მეტად სიხარულს უფრო განიცდიდა.

„ასე რომ, მოგწონს აქაურობა?“ იკითხა მან.

„აქ შეიძლება კარგად იყო, იმ ხალხს თუ გაიცნობ. სხვებიც იყვნენ პლაჟზე, მაგრამ ისეთები არა; ვერც დაელაპარაკები. მე მაშინვე მიცნეს. საოცარია პირდაპირ, სადაც არ უნდა წახვიდე, ყველას ნანახი აქვს „მამიკოს გოგო“.

მისი სპირსმა დააცადა, აგზნებული პატივმოყვარეობა დაეცხრო და საქმიანი იერით ჰკითხა:

„მართლა, გამახსენდა, როდის აპირებ ერლ ბრედის ნახვას?“

„შეიძლება ამ საღამოსაც, შენ თუ დადლილი არა ხარ“.

„შენ წადი, მე არ წამოვალ“.

„მაშინ ხვალისთვის გადავდოთ“.

„მე მინდა, რომ მარტო წახვიდე. აქედან შორს არ არის და — თან, გეგონება ფრანგული ენა არ იცოდე“.

„მაგრამ, დედია, თუკი არ მინდა?“

„მაშინ, დღეს არა, სხვა დროს წადი. ოღონდ, ვიდრე აქა ვართ, აუცილებლად უნდა ნახო“.

„კარგი, დედა“.

საუზმის მერე ორთავე უეცარმა სევდამ მოიცვა. ასე ხშირად ემართებათ ხოლმე ამერიკელებს მყუდრო ადგილას, სხვა კონტინენტზე. არაფერი ახალისებდათ, არსაიდან ბიძგი და ხმები, ვერც თავის ფიქრის გამოძახილს ჰპოვებდნენ სხვების და ეჩვენებოდათ, რომ სამყარო გაჩერდა და ცხოვრება აღარ გრძელდებოდა.

„სამი დღეც და, წავიდეთ აქედან, ჰო, დედა?“ თავიანთ

როგორც დაბრუნებისას თქვა როზმერიმ. ზღვიდან მონაბერი სიო ზანტ სიცხეს ერეოდა და გარეთ, ხეებისკენ მიიწევდა, დარაბებიდან გაჰქონდა ცხელი ჰაერი.

„და ის კაცი, პლაჟზე რომ შეგიყვარდა?“

„შენს მეტი მე არავენ მიყვარს, ძვირფასო დედა“.

როზმერი პოლში გავიდა და უფროს გოსს მატარებლებზე გამოელაპარაკა. კანტორასთან მოწყენით მდგარი ღია ყავისფერლივრეიანი კონსიერჟი გაშტერებული მიაჩერდა, მაგრამ მალე მოეგო გონს, მიხვდა, თავის დაჭერა მართებდა, ისე, როგორც შეეფერებოდა და პროფესიით მოეთხოვებოდა. როზმერი ვაგზალში გაემგზავრა, ავტობუსში ორი მორჩილი ოფიციანტი იჯდა, მოკრძალებით დუმდნენ და ეს დუმილი აღიზიანებდა როზმერის, უნდოდა შეეძახა მათთვის: „რას გაჩუმებულხართ, მიდით, ილაპარაკეთ, იცინეთ; მე სულაც ხელს არ შემეშლითო“.

პირველი კლასის კუბეში სულის შემხუთველი სიცხე იდგა. კომპანიების — არლის აკვედუკ პონ დიუ გარის, ორანჟის ამფითეატრისა და შამონის ზამთრის სპორტის — ბდღვრიალა სარეკლამო პლაკატები უფრო სიგრილეს გგვრიდნენ, ვიდრე თვალუწვდენელი რინდი ზღვა. ამერიკული მატარებლებისაგან განსხვავებით, თავიანთი დაძაბული ცხოვრებით რომ ცხოვრობენ და ხალხს არ დაგიდევენ, — ესენი სხვა სამყაროდან არიან, სისწრაფე არ იციანო, ეს მატარებელი ერთი ძარღვთაგანი იყო იმ მიწისა, რომელზეც მიქროდა. მატარებლის ქშინვა პალმის ფოთლებს მტვერს ადენდა, მშრალ ნაკელს ბაღებში წიდა ეყრებოდა. როზმერის ეჩვენებოდა, საკმარისი იყო ხელი გაეწვდინა ფანჯარაში და ყვავილებს მოწყვეტდა.

კანის ვაგზალთან ათობით დაქირავებული ეტლი იდგა. ელოდნენ და თვლემდნენ მეეტლეები. სანაპიროზე ჩარიგებულ დიდ ოტელებს, კაზინოსა და ფეშენებელურ მაღაზიებს ზაფხულის ზღვისკენ მიექციათ რკინის ყრუ ნიღბები ფასადებისა. ძნელი იყო დაჯერება, რომ აქ ოდესმე „სეზონი“ დგებოდა და როზმერის, რომელზეც ვერ იტყოდით, მოდას არ მისდევსო, თითქოს ეუხერხულებოდა, გეგონება რაღაც ჩამკვდარის მიმართ ჰქონდა არაჯანსაღი გემოვნება და გამ-

ვლელებსაც კი ვერ გაეგოთ, ვერ მიმხვდარიყვნენ, რად იყო აქ, ამ სიწყნარეში, გასული ზამთრის მხიარულებასა და მერმისის ზამთრის სიხარულშუა, და არა იქ, შორით, ჩრდილოეთში, სადაც ახლა ცხოვრება დულდა.

როზმერი აფთიაქში შევიდა, ქოქოსის ზეთი უნდა ეყიდა, იქიდან გამოსულმა მაშინვე იცნო ის ქალი, მისიზ დაივერიაო, რომ უთხრეს. წინ ჩაუარა, ტახტის ყურთბალიშებით დატვირთული, ტროტუართან მდგარი ავტომობილისკენ მიდიოდა. ავტომობილის ფანჯრიდან შავმა ტაქსამ შეუყეფა. შოფერს ჩაეთვლიმა, გამოფხიზლდა და სწრაფად გაულო კარი. მისიზ დაივერი მანქანაში ჩაჯდა, გამართული, მოწესრიგებული, მშვენიერ სახეზე ღიმმოუგვრელი. შეუპოვარი მხერა სადღაც, სიცარიელისკენ მიეპყრო, ღია წითელი ფერის კაბა ეცვა, შიშველი ნამზეური ფეხები მოუჩანდა, ჩაუს ჯიშის ძაღლსავით მზინვარე მუქ ხშირ თმას ოქროსფერი დაჰკრავდა.

მატარებლის მოსვლამდე კიდევ ნახევარი საათი იყო და როზმერი კრუაზეტზე კაფე „კავშირში“ შევიდა, სადაც ხეებისაგან მწვანე ბინდბუნდი ელო მაგიდებს. ორკესტრს წარმოსახვაში კოსმოპოლიტი მსმენელები ჰყავდა, მათთვის უკრავდა „საამო საკარნავალო სიმღერასა“ და შარშანდელ ამერიკულ მელოდებს. როზმერის უკვე „Le Temps“ და „სეტერდი ივნიგ პოსტ“ ეყიდა დედისათვის, ახლა ერთი ჭიქა ღიმონათი დალია და „პოსტში“ დაბეჭდილ რომელიღაც რუსი თავადის ასულის მემუარებს გადახედა. ოთხმოცდაათიანი წლების ბუნდოვანი და პირობითი ფრაზები უფრო რეალურად და ბუნებრივად ეჩვენებოდა, ვიდრე დღევანდელი ფრანგული გაზეთების სათაურები. ისევ ის გაუცნობიერებელი სევდა მოეძალა, ოტელშივე რომ იგრძნო, მიჩვეული იყო, რომ კონტინენტური ყოფის გროტესკულობა ან ტრაგედიად იყო ხოლმე ასახული გაზეთებში, ანდა კომედიად და უძნელდებოდა თვითონვე დაენახა ახლა რაიმე არსებითი, და ამიტომაც, ცხოვრება საფრანგეთში მოსაწყენი და ერთფეროვანი ეჩვენებოდა. ამ სევდას კიდევ უფრო უმძაფრებდა უღიმღამო მელოდები, ის მელანქოლიური მუსიკა ახსენდებოდა, ვოდევინებ-

ში აკრობატების გამოსვლისას რომ ასრულებენ და უხაროდა, რომ გოსის ოტელში დაბრუნდებოდა.

მხრები ისე ჰქონდა დამწვარი მზისგან, მეორე დღეს ზღვაზე ვერ გავიდოდა და ამიტომაც, ავტომობილი იქირავეს — დედასთან ერთად კარგა დიდხანს კი ურიგდებოდა მძღოლს, — როზმერიმ საფრანგეთში იგრძნო პირველად ფულის ფასი — და რივიერის, ბევრი მდინარის დელტის გაყოლებაზე გაისეირნეს. შოფერმა, ივანე მრისხანის ხანის ბოიარინს რომ ჰგავდა, ხალისით ითავა გიდობა და ისეთმა საუცხოო სახელებმა; როგორცაა ნიცა, კანი, მონტე-კარლო, მთელი თავიანთი ბრწყინვალეებით გაიელვეს და წარმოჩნდნენ იმათს მოდუნებულ ყოველდღიურ კამუფლაჟში, თითქოს გაცოცხლდნენ მეფეები, რომლებიც აქ ჩამოდიდოდნენ, რათა ელხინათ ან მომკვდარიყვნენ, რაჯები, ინგლისელ ბალერინებს ბუდას თვალებს რომ სტყორცნიდნენ, და რუსი თავადები, მთელ კვირებს ბალტიისპირულ მწუხრად რომ აქცევდნენ იმ დღეების მოსაგონებლად, თავზე საყრელად როცა ჰქონდათ ხიზილალა, რუსული სული და რუსების ნაკვალევი ყველაზე უფრო მკაფიოდ იგრძნობოდა და ჭარბობდა მთელ სანაპიროზე. ბევრგან ნახავდით ახლა უკვე დახურულ რუსული წიგნებისა თუ რუსულ საბაყლო მაღაზიებს. იმ წლებში, როცა სეზონი თავდებოდა აპრილში, რივიერაზე მართლმადიდებლური ეკლესია დაიხურა, რუსებმა თავიანთი საყვარელი სასმელი შამპანური ახალ სეზონამდე გადაინახეს, ჩამოვალთო მომავალი სეზონის დამდეგს, თქვეს მაგრამ ამაოდ დარჩა ეს ნათქვამი, წავიდნენ და მერე აღარ დაბრუნებულან.

სიამე იყო უკან, ოტელში დაბრუნება, საღამოთი ქვევით ზღვა ჩანდა, — იდუმალად ფერადოვანი — ბავშვობის ხანის სარდიონები და აგატები, მომწვანო ფერის — რძიანასავით ცისფერი — წყალი გარეცხვის მერე, ღვინო — წითელი. სიამეს ჰგვრიდათ სახლების ჩავლა, დანახვა ხალხის, იმათი, ვინც ვერანდებზე წაიხემსებდნენ; ვაზმოხვეული სოფლურ სახამროს მექანიკური პიანინოს უღრიალა ხმაც სიამეს ჰგვრიდათ. როცა მანქანა კორნიშიდან გამოვიდა და გოსის ოტელისკენ დაეშვა, ხეების მრუმ სიმწვანეში გახვეულ აკვედუკის გორახკალთებზე ახვეულ ნანგრევებს უკვე ნუგეშინივით უცქერდა მთვარე...

რტელის ზევით, სადღაც გორაკებზე სეირნობდნენ, მუსიკის ხმა მთვარის მქრქალ შუქთან ერთად ატანდა როზმერის ოთახს იმ სარკმლიდან, რომლისთვისაც ქინკლებისაგან დასაცავად ბაღე აეკრათ. როზმერიმ ყური მიუგდო, სადღაც მხიარულობდნენ და ის ხალხი გაახსენდა, პლაჟზე რომ ნახა. შესაძლოა ხვალ დილით ისევ შეხვდეს მათ, თუმცა, ეტყობა, გარიყულად ცხოვრობენ, ცალკე იქნებიან, თავიანთთვის, თავიანთ ქოლგებქვეშ, პლედებით, თავიანთი ძაღლებითა და ბავშვებით და პლაჟის ის თავიანთი მონაკვეთიც უხილავი ზღუდით იქნება შემოვლებული. ასე თუ ისე, რაც გინდა იყოს, ბოლო ორი დღის დილას იმ ხალხს, მაკისკოს კომპანიას აღარ დაუთმობს.

IV.

ყველაფერი თავისი გზით წავიდა. მაკისკოები ჯერაც არ მოსულიყვნენ პლაჟზე. როზმერიმ, ის-ის იყო, გაიძრო ხალათი და გაწოლას აპირებდა, რომ მარცხენა მხრიდან ჯგუფს ორი კაცი გამოეყო — ჟოკეისქუდიანი და ისა, ოფიციანტების ხერხვის მანია სჭირსო, რომა თქვეს, როზმერისაკენ წამოვიდნენ.

„დილა მშვიდობისა“, თქვა დიკ დაივერმა და მაშინვე, ესეც ჰკითხა: „გუშინ ალბათ დაიწვით მზეზე, მაგრამ დაიწვით თუ არ დაიწვით, აღარ გამოჩნდით და რა მოხდა? შევშფოთდით“.

როზმერი წამოჯდა, ბედნიერად გაიღიმა, რა კარგია, რომ შეშფოთდნენ როზმერის გამო.

„იქნებ ამ დილით ჩვენკენ გადმოხვიდეთ?“ ისევ დიკ დაივერმა თქვა, „საჭმელი არის, დასალევიც გვაქვს, და ურიგო მიწვევა არ უნდა იყოს“.

კეთილი იყო და ლამაზი. ხმა თითქოს მფარველობასა და ზრუნვას, უფრო გვიან კი სულ ახალ, უჩვეულო სამყაროს გადაშლას ჰპირდებოდა, დაუსრულებელ, ერთიმეორეზე მომხიბლავსა და მიმზიდველ შესაძლებლობებს. თავის მეგობრებს ისე წარუდგინა როზმერი, რომ მისი სახელი არც წარმოუთქვამს, მაგრამ იმავე დროს, აგრძნობინა, რომ იცნობენ და უნარი შესწევთ პატივიცა სცენ იმის ნებას — როგორც უნდა ისე იცხოვროს. ასეთი ტაქტი და თავაზიანობა, თუ იმ პროფე-

სიონალებს არ ჩავთვლით, კინოში წარმატების მერე რომ დაუმეგობრდა, როზმერის თითქმის აღარავისგან არ ახსოვდა.

ნიკოლ დაივერის ნამხეურ ზურგზე სალუქად მუქი მარგალიტი ირეკლებოდა. წიწილის მერილენდურად მომზადების რეცეპტს ეძებდა თავის წიგნში. როზმერის ვარაუდით, დაახლოებით ოცდაოთხი წლისა უნდა ყოფილიყო, სახეზე როცა შეხედავდით, უმალ იტყოდით, ლამაზიაო, ეს თავისთავად, ერთი შეხედვით, მაგრამ მერე ის შთაბეჭდილება უფრო კრჩიბოდათ, თითქოს ეს სახე ძლიერ, როდენისებურ ძალას გამოექვეყნა, თავიდანვე ისე იყო ჩაფიქრებული, რომ მშვენიერებასთან ერთად საცნაური ყოფილიყო ხასიათიც და ტემპერამენტიც, ოღონდ სახის ნაკვთებით, ლამის ჩვეულებრივ სილამაზემდე დაჰყავდა იგი, და ყველაზე მეტად ამას ბაგის მიხედვით თუ იტყოდით, გეგონება მოქანდაკე სასოწარკვეთით შეეცადაო თავის საჭრეთლით — კუპიდონის მშვილდით მოხრილი, ისეთი, ჟურნალების ყდებზე დაბეჭდილ ქალებს რომ აქვთ, ოღონდ მაინც თავისებური, ისევე, როგორც სხვა ნაკვთები.

„დიდი ხნით ჩამოხვედით?“ ნიკოლ დაივერმა ჰკითხა; დაბალი, ცოტა მკვეთრი ხმა ჰქონდა.

როზმერიმ გაიფიქრა, რომ შეეძლო კიდევ ერთ კვირასაც დარჩენილიყო.

„არა, დიდი ხნით არა“, გაურკვეველად უპასუხა. „უკვე კარგა ხანია ვმოგზაურობთ ევროპაში, მარტში სიცილიაში ჩავედით და იმის მერე ნელ-ნელა ჩრდილოეთისაკენ მივიწევთ. იანვარში, გადაღების დროს ფილტვების ანთება დამემართა და საჭირო გახდა ჩემი თავისთვის მიმეხედა“.

„ოჰ, რანაირად?“

„ცურვის დროს“, არ ეხალისებოდა თავის ამბებზე ლაპარაკი. „თურმე გრიპი მქონდა და არ ვიცოდი, იმ დღეს იღებდნენ ეპიზოდს, როცა მე ვენეციის არხში ვხტები. დეკორაცია ძალიან ძვირი დაჯდა და გადადება აღარ უნდოდათ, ეს ბევრ სირთულეს იწვევდა, სხვა გზა არ იყო, მე ერთი ათჯერ მომიხდა წყალში ჩაყვინთვა, მეტჯერ თუ არა. დედამ მაშინვე მოიყვანა ექიმი იქვე, გადაღების ადგილზე, მაგრამ საქმე მაინც იმით დამთავრდა, რომ ფილტვების ანთებას ვერ გადავურჩი“.

დაამთავრა და ჩქარა იკითხა, რომ სხვა თემაზე გადასულიყვნენ:
„მოგწონთ აქ?“

„ამათ არ შეიძლება არ მოეწონოთ ეს ადგილი“, ჩაილაპარაკა ეიბ ნორთმა. „თავისით, თვითონ შექმნეს“. ნელა მიატრიალა მშვენიერი, კეთილშობილი თავი და ცოლ-ქმარ დაივერებს სიყვარულით, ნაზად შეავლო თვალი.

„მართლა?“

„ეს მეორე წელია რაც ზაფხულში ოტელი აღარ იხურება“; აუხსნა ნიკოლმა. „შარშან გოსი დავიყოლიეთ ერთი მზარეული, ერთი ოფიციანტი და ერთიც შიკრიკი ბიჭი დაეტოვებინა. ასეც მოიქცა და წელს კიდევ უფრო კარგად მიდის საქმე“.

„მაგრამ თქვენ ხომ ოტელში არ ცხოვრობთ“.

„ჩვენ სახლი ავაშენეთ ზევით, ტარმში“.

„ვარაუდი ასეთი იყო“, თქვა დიკმა და ერთი ქოლგა გადაადგილა, რადგან როზმერის მხარს ეცემოდა ახლა მზის სხივი. „ჩრდილოეთის აგარაკები, როგორც მაგალითად დოვილი, სავსეა სიცივეს მიჩვეული რუსებითა და ინგლისელებით, ამერიკელები კი უმეტესად ტროპიკულ კლიმატში ცხოვრობენ და ხალისით ჩამოვლენ აქ“.

რომანული გარეგნობის ახალგაზრდა კაცი „ნიუ-იორკ ჰერალდის“ პარიზის გამოშვებას ფურცლავდა.

„სცადეთ ერთი და გაიგეთ, რა ეროვნებისაა ეს ხალხი, ძნელი საქმეა“, წამოიძახა და ოდნავ ფრანგული აქცენტით ჩაიკითხა: „ვევეში, „პალას ოტელში“ ცხოვრობენ მისტერ პანდელი ვლასკო, ქალბატონი სახედარა — არ ვაჭარბებ, ზუსტად ასე წერია — კორინა მედონკა, ქალბატონი პაშე, სერაფიმ ტულიო, მარია ამალია როტო მაის, მოზეს ტიუბელი, ქალბატონი პარაგორისი, მოციქული ალექსანდრ, იოლანდა იოსფუგლუ და ჟენევიევა დე მომუს“. ყველაზე მეტად ეს ჟენევიევა დე მომუსი მაგიყებს. ნამდვილად ღირს ვევეში გასეირნება ამ ჟენევიევა დე მომუსის სანახავად“.

უცებ წამოხტა, თითქოს რაღაც მოხვდაო და სწრაფად გასწორდა წელში. დაივერზეც და ნორთზეც რამდენიმე წლით უმცროსი იქნებოდა. მაღალი, ძლიერი აღნაგობის, მაგრამ გამხდარი; მხოლოდ მხრები და მკლავები ჰქონდა ძალუმი; ლამაზი მამაკაციაო, იტყოდით, მაგრამ აგდებული იერი ჰქონდა და

ეს უშლიდა. თუმცა ბრაზიანი და თაფლისფერი, ბორგნეული თვალების ელვარება უფრო გამახსოვრდებოდათ და მოწყენისაგან ჟინიანი პირიცა და გულფიცხობის კვალიც, ჭაბუკურ შუბლზე, გავიწყდებოდათ.

„წინა კვირას ჩამოსული ამერიკელების სიაშიც რამდენიმე კარგი გვარი შეგვხვდა“, თქვა ნიკოლმა, „მისიზ ევლინ ხამანწკა და კიდეც — კიდეც ვინა?“

„კიდეც — მისტერ ს. გვამი“, თქვა დაივერმა და ისიც წამოდგა. ნიხაბი აიღო და საქმეს შეუდგა — ქვიშიდან კენჭებს ყრიდა.

„ჰო, — ს. გვამი, არ აგბურძენის?“

ნიკოლთან რაღაც საოცარ სიმშვიდეს გრძნობდა; უფრო მეტ სიმშვიდეს, ვიდრე დედასთანო, გაიფიქრა როზმერიმ. ეიბნორთი და ფრანგი ბარბანი მაროკოში მომხდარ ამბებზე ლაპარაკობდნენ და ნიკოლმა, რაკი უკვე იპოვა საჭირო რეცეპტი, კერვას მიჰყო ხელი. როზმერი ცნობისმოყვარეობით ათვალთქვებდა იმათი პლაჟის უძრავ ქონებას — ოთხ დიდ ქოლგას, კარგ, საიმედო ჩრდილს რომ აყენებდა, დასაკეც კაბინას — ტანსაცმლის გამოსაცვლელად, გასაბერი რეზინის ცხენს; როზმერისთვის ეს ყველაფერი ომისშემდგომი გამოშვების სიახლე იყო, ფუფუნების ახალ-ახალი საგნები, რამაც პირველი მომხმარებლები იშოვა უკვე. ეს ხალხი მაღალ წრეს ეკუთვნოდა და მიუხედავად აღზრდისა და დედის ჩაგონებისა, ასეთ ხალხს უნდა ერიდოო, როზმერის აქ ეს არ შეეძლო, დილით, მზეზე, დროის ნებიერად ტარების დროსაც კი ამათი ამოება, გააზრებულ, რაღაც მიზნისაკენ მიმართულ უძრაობად ეჩვენებოდა, თითქოს მის წინაშე შეუცნობელი და უჩვეულო რამ სრულდებოდა. როზმერის გონება ვერა სწვდებოდა და არც ცდილა გაერკვია მთელი მათი ურთიერთობა, ახლა მისთვის სხვა უფრო იყო საინტერესო — იმათი ურთიერთობა როზმერისთან, ბუნდოვნად გრძნობდა რაღაცა ხლართს, ვერ გაეგო, მაგრამ შეეძლო ფიქრში, სულაც უბრალოდ, ასე ეთქვა; ძალიან კარგ დროს ატარებენ.

დროდადრო სამივე მამაკაცს უყურებდა. სამთავე — თავისებურად საინტერესო, მშვიდი, თავდაჭერილი მიხრა-მოხრაში, და ეს ბუნებრივი თავდაჭერა სულ არა ჰგავდა მსახიობების

თავდაჭერას, ისევე როგორც ადრე შემჩნეული თავაზიანობა და ტაქტი არ ჰგავდა იმ რეჟისორების ტლანქ ურთიერთობას, ინტელიგენციას რომ ასახიერებდნენ როზმერის ცხოვრებაში მსახიობები და რეჟისორები. — სხვა მამაკაცებს როზმერი არც იცნობდა, თუ კოლეჯის სტუდენტებს არ ჩავთვლით, ერთი დანახვისთანავე რომ სწყუროდათ სიყვარული და წყლის წვეთებივითა ჰგავდნენ ერთმანეთს. იმათ, შარშან, შემოდგომაზე იელის უნივერსიტეტის საღამოზე შეხვდა როზმერი.

ეს სამთავე კი სულ არ ჰგავდა ერთიმეორეს. ბარბანი — ვერ იტყოდით, ძალიან თავშეკავებულიაო, უფრო მეტად სკეპტიკური და მჭირდავი, ზოგჯერ ცოტა დაუდევარიც ურთიერთობაში. ეიბ ნორთს თანდაყოლილ სიმორცხვესთან ერთად ჭარბი იუმორიც ახასიათებდა. ეს იუმორი იზიდავდა და აშინებდა კიდევაც როზმერის, რადგან არა სჯეროდა, რომ რაიმე შთაბეჭდილების მოხდენა შეეძლებოდა ასეთ კაცზე.

დიკ დაივერი კი, — დიკი სხვა იყო, სრულყოფილი. როზმერი აღმერთებდა მას, უხმოდ, უსიტყვოდ. დიკის ნამზეურ, ქარდაკრულ კანსა და მოკლე თმასაც მოწითალო ფერი დაჰკრავდა. მკლავებიც მზისგან გარუჯოდა, ცისფერი თვალები უელავდა. ცოტათი წვეტიანი ცხვირი ჰქონდა, ლაპარაკისას კი — ეჭვიც არ გებადებოდათ ვის მიმართავდა, ამით ძალიან აამებდა მოსაუბრეს, რადგან — განა ასე ხშირად გვიყურებენ? ბევრი-ბევრი გადმოგხედონ, გულგრილად ან ცნობისმოყვარედ, ეს არის და ეს. ირლანდიური ჟღერადობის, ალერსით ხავსე ხმა გატყვევებდათ, მაგრამ ამ ხმაში როზმერი სიმტკიცესა და ძალასაც გრძნობდა, თავშეკავებასაც და ამტანობასაც, იმ თვისებებს, რომლებსაც თვითონაც აფასებდა თავის თავში. ჰო, აირჩია; ნიკოლმა თავი ასწია და მიხვდა ამას, რაკი წყნარი ოხვრა მოესმა — არჩევანი ხომ სხვისი იყო.

შუადღისას პლაჟზე გამოვიდნენ ცოლ-ქმარი მაკისკოები, მისიზ აბრამზი, მისტერ დამფრი და სენიორ კემპიონი. ახალი, დიდი ქოლგა მოიტანეს, დაამაგრეს, დაივერებს გადახედეს და მერე ყველა, შიგ შეიყუჟნენ, მისტერ მაკისკოს გარდა, თითქოსდა ჯიბრით, ეს გარეთ, მზის გულზე დარჩა. დიკმა თავის ნიჩბებიანად სულ ახლოს გაუარა მათ და ქოლგებთან მივიდა.

„ის ყმაწვილები ეთიკის წიგნს კითხულობდნენ ერთად“, ხმადაბლა თქვა.

„მაღალ წრეში გარევა და ტრიალი მოსურვებით“, ჩაილაპარაკა ეიბმა.

მერი ნორთი, ყველაზე მშემოკიდებული ქალი, ისა, როზმერიმ პირველ დღეს ტივზე რომ ნახა, ბანაობიდან დაბრუნდა და საკმაოდ უდიერი სიცილით თქვა:

„აჰა, მისტერ და მისიზ არაცახცახებიც აქ მოსულან“.

„გაჩერდით, ისინი ამ კაცის მეგობრები არიან“, შეახსენა ნიკოლმა და ეიბზე მიუთითა. „რატომ არ მიხვალთ მეგობრებთან და არ დაელაპარაკებით? არ მოგწონთ ეს ხალხი?“

„არ მომწონს კი არა, ძალიან მომწონს“, თქვა ეიბმა, „მაგათზე ვფიქრობ დღე და ღამე“.

„ასეც ვიცოდი, ამ ზაფხულს ბევრი ხალხი იქნებოდა აქ“. ჩაილაპარაკა ნიკოლმა. „არადა, ეს ჩვენი ადგილია, დიკი თავისი ხელით აგროვებდა კენჭებს, თვითონ გააკეთა ეს პლაჟი“. მერე ცოტა დაფიქრდა და ხმადაბლა, ისე რომ მოშორებით მყოფ ძიძებს არ გაეგონათ, დაუმატა: „ისე კი, წლევეანდელი ხალხი სჯობია შარშანდელ ინგლისელებს, დილიდან საღამომდე იმათი ხმა ისმოდა პლაჟზე: „რა ცისფერია ზღვა! რა თეთრი ცაა! როგორ გაუწითლდა ცხვირი პატარა ნელის!“

მტრისას ნიკოლის გადაკიდება, გაიფიქრა როზმერიმ.

„მაგრამ თქვენ არ გიყურებიათ ჩხუბისთვის“, თქვა ნიკოლმა, „თქვენი ჩამოსვლის წინა დღეს მოხდა. ცოლიანი კაცი, უცნაური გვარი რომა აქვს, მარგარინისა, თუ რაღაც საწვავის სახელს მოგაგონებს...“

„მაკისკო?“

„ჰო, ჰო, — ცოლს წაეჩხუბა, ცოლმა მუჭით ქვიშა შეაყარა სახეში. ამან კიდევ თავი დააღუნინა და ცხვირს ქვიშაში აყოფინებდა. გავშტერდით. მინდოდა დიკი ჩარეულიყო და გაეშველებინა.“

„მოვიფიქრე“, დაიწყო დიკმა და უაზროდ ჩააშტერდა ჭილოფს, „ყველას ჩამოვუვლი და სადილად დავპატიყებ“.

„არ არის საჭირო“, ლამის იყვირა ნიკოლმა.

„მე ვფიქრობ, შესანიშნავი აზრია. რაკი აქ არიან, გავუშინაურდეთ კიდევაც“.

„ძალიანაც ვართ გაშინაურებულები“, სიცხლით ამბობდა ნიკოლი, „სულაც არ მინდა ადგენენ და ცხვირ-პირი ჩამაყოფინონ ქვიშაში. მე ავი ვარ და უკარება“. აუხსნა როზმერის მერე წამოიწია და ხმამაღლა გასძახა შვილებს: „გაემზადეთ საბანაოდ!“

როზმერიმ იგრძნო, რომ დღევანდელი ცურვა მაგალითივით მაჰყვებოდა მთელ ცხოვრებაში, როცა კი უნდა ყოფილიყო და რაც უნდა ეთქვათ ზღვაზე, მაშინვე თვალწინ ეს დღე დაუდგებოდა. ყველანი ერთად, ხალისით შევიდნენ ზღვაში, ამდენ ხანს ძალაუნებურად უქმად ყოფნისა და პაპანაქება სიცხის მერე, ცხარე საწებლიან გემრიელ საჭმელზე ყინულჩაგდებული თეთრი ღვინის დაყოლებით სიამოვნებამოგვრილი გურმანებივით სიგრილე მოუნდათ და ზღვას მისცეს თავი. ძველი ცივილიზაციის ხალხებივით, დაივერებს დღე ისე ჰქონდათ დაყოფილი, რაც შეიძლება ესარგებლათ, რომ ერთი შეგრძნებიდან მეორეზე გადასვლით სიმძაფრე შეემატებინათ ორივესთვის და როზმერიმ ჯერ კიდევ არ იცოდა, რომ ერთი ასეთი სიმძაფრეც ელოდა — ზღვაში ყოფნის თავდავიწყებიდან პროვანსულ საუზმეზე გადასვლისა, და ახლაც დიკი იყო თითქოს მისი ქომაგი და მფარველობდა, და ამიტომაც ხალისით მიჰყვა ყველას, გეგონება უხმოდ უბრძანეს.

ნიკოლმა ის რაღაცა, მთელი დღე რომ უტრიალებდა, ქმარს გადასცა. დიკი კაბინას. მოეფარა და ცოტა ხნის მერე იქიდან მუხლებამდე შავი მაქმანის ტრუსით გამოვიდა. ამან ერთი ამბავი გამოიწვია პლაჟზე. თუმცა, ახლო რომ ნახეს, შეამჩნიეს, პირისფერი სარჩული ედო.

„იცით რა, ეს უკვე პედერასტის საქციელია“, აღშფოთებით წამოიძახა მისტერ მაკისკომ, მაგრამ მაშინვე მისტერ დამფრისა და მისტერ კემპიონისკენ გაიხედა და დაუმატა, „ბოდიშს ვიხდი“.

მაქმანიან ტრუსზე, როზმერიმ, აღტაცებისაგან ლამის იბღავლა. თავისი გულუბრყვილობის გამო იყო, რომ დაივერების აწყვეტილ ხუმრობას აჰყვა და ვერა ხვდებოდა, რომ ეს ყველაფერი არც ისე მიაშირთობი იყო. როგორცაა ჩანდა, რომ ყველა-

ფერი გულდასმით მოეფიქრებინათ სააშკარაოზე, ცხოვრების ბაზარზე გამოსატანად და თანაც, რაოდენობას კი არა, ხარისხს შეხედეთო, თითქოს გეუბნებოდნენ, დაჟინებით მოითხოვდნენ, ესეც, ისევე, როგორც სხვა ყველაფერი, უბრალოება ურთიერთობაში, სიკეთე და ბავშვური უშფოთველობა, უბრალო ადამიანური ღირსებების ყველაზე მაღლა დაყენება — ღმერთებთან სასოწარკვეთილი, უგუნური გარიგების წილს ხვდომა და მიღწეულია ისეთ ბრძოლაში, რომელსაც ვერც კი წარმოიდგენდა. დაივერები იმხანად თავიანთი კლასის ევოლუციის მწვერვალზე იდგნენ და ამიტომაც ამათ გვერდით ბევრი მოუქნელი და უხეში ჩანდა, თუმცა უკვე იჩენდა თავს თვისობრივი ცვლილება, მაგრამ ამას როზმერი ვერ შეამჩნევდა.

სხვებთან ერთად ისიც ხერესს სვამდა და ნამცხვარს აყოლებდა. დიკ დაივერმა ცივი, ცისფერი თვალებით შეხედა მას, მერე ძლიერი, ალერსიანი ბაგე გაეხსნა და ფიქრიანად უთხრა:

„ყვავილსა ჰგავხართ, დიდი ხანია თქვენნაირი ქალიშვილი აღარ მინახავს“.

ერთი საათის მერე როზმერის დედის კალთაში ჩაერგო თავი და ქვითინებდა.

„მიყვარს, საშინლად მიყვარს, დედა, ვერც კი ვიფიქრებდი, ასე თუ შემეძლო ვინმეს შეყვარება. არადა, ცოლი ჰყავს, და ისიც ძალიან კარგია. რა მეშველება, ძალიან მიყვარს!“

„შემახედა მაინც, როგორია“.

„პარასკევს სადილად მიგვიწვია“.

„თუ გიყვარს, უნდა გიხაროდეს და იცინოდე, კი არ უნდა ტიროდე“.

როზმერიმ დედას ახედა. თავი ლამაზად შეარხია, ცრემლები მოიშორა და გაიღიმა. დედას ყოველთვის დიდი გავლენა ჰქონდა მასზე.

V

როზმერი მონტე-კარლოში წავიდა. ცუდ ხასიათზე იყო, რამდენადაც საერთოდ შეეძლო ცუდ ხასიათზე ყოფნა. უსწორმასწორო და მიხვეულ-მოხვეულმა გზამ ლა-ტურბამდე, გომო-

ნის ძველ სტუდიამდე მიიყვანა. იმუამად იქ რეკონსტრუქცია მიმდინარეობდა და სანამ როზმერი ერლ ბრედისამდე შეგზავნილ ბარათზე პასუხის მოლოდინში გისოსებიან ჭიშკართან იცდიდა, მოეჩვენა, რომ ჰოლივუდში იყო. ჭიშკრის იქით რომელიღაც უკვე გადაღებული სურათის მერე დარჩენილი ჭრელაჭრულა ხარახურა ეყარა, — მინგრეულ-მონგრეული ინდური დასახლების სცენა, პაპიემაშეს დიდი ვეშაპი, კალათბურთის ბურთებისოდენა ალუბლებიანი რაღაცა ხე, ეგზოტიკურ ხეს, ფერმიხდილ ამარანტსა თუ მიმოზას, ან კორპის მუხასა თუ ჯუჯა ფიჭვს რომ მოგაგონებდათ. მოშორებით გადაღებებისათვის ძველი ფარდულების მსგავსი ორი პავილიონი იდგა, იმათ შუა კი — კაფე-ფარდული, და ყველგან სახეები, შეღებილი, მოლოდინითა და ამო იმედით სავსე სახეები.

ათი წუთის მერე იადონის ბუმბულის ფერის თმიანმა ახალგაზრდა კაცმა მოირბინა ჭიშკართან.

„გთხოვთ, მისს ჰოიტ, მისტერ ბრედი გადამღებ ჯგუფთან არის, მაგრამ თქვენ მოუთმენლად გელით. ძალიან ვწუხვარ, ამდენ ხანს რომ ელოდებოდით. ვერ წარმოიდგენთ, რა მომაბეზრებლები არიან ეს ფრანგი მანდილოსნები, ზოგჯერ არც კი იცი, რანაირად დააღწიო თავი...“

ამ კაცმა, ალბათ სტუდიის მენეჯერი რომ იყო, ერთ-ერთი პავილიონის ყრუ კედელში გაჭრილი შეუმჩნეველი კარი გამოაღო და როზმერი, უეცრად გახარებული იმით, რომ იცნეს, იმას მიჰყვა და სადღაცა ბნელში შეაბიჯა. აქეთ-იქით ბუნდოვნად ირეოდნენ მისკენ მიმართული ფერფლისფერი სახეები, განსაწმენდელში მყოფ სულებს ჰგავდნენ, შეშფოთებულებს — თავიანთ სამყაროში მოკვდავის გამოჩენით. ჩახშობილი, ლამის მოჩურჩულე ხმები, სადღაც შორიდან კი — ფისპარმონის მოღუღუნე ტრემოლო მოისმოდა. ფიცრებით შემოზღუდულ კუთხეს შემოუარეს და იმათ წინ თვალისმომჭრელად განათებული ადგილი გაიშალა, აქ ერთმანეთის პირისპირ იდგა ამერიკელი აქტრისა, და — აქტიორი — ეს ფრანგი იყო, გახამებულ პერანგიანი, ღია ვარდისფერ საყელოიანი და მანუეტებიანი. გეგონება ვიღაცას ეთქვა, რამდენიმე საათს უნდა გაშეშდეთო და იდგნენ ასე, გაშეშებული, მაგრამ ხანი გადიოდა და არაფერი ხდებოდა. გაჩახჩახებული მხარე გამუქდა, ჩაბნელდა,

უსიამო ჟღერიალი გაისმა და სინათლე ჩაქრა, მერე კვლავ აინთო. შორიახლო, თითქოს არსაით, ჩაქუჩის ხმა გაისმა საწყლად. ზევით, თვალისმომკრელ განათებებშუა სახე გამოჩნდა, ბნელ სახურავქვეშ ვილაცამ რაღაცა დაიძახა და მერე ისევ საჩუმე ჩამოვარდა. როზმერიმ გაიგონა —

„წინდები არ გაიხადო, ბავშვო, არაფერია, თუნდაც ათი წყვილი დახიე. ეს კაბა თხუთმეტი გირვანქა ღირს“.

ამისი მთქმელი თან უკან-უკან იხევდა, ვიდრე როზმერის არ მიაწყდა, მაშინ იყო, რომ მენეჯერმა თქვა:

„ჰეი, ერლ—მისს ჰოიტი“.

პირველად შეხვდნენ ერთმანეთს. ბრედი მკვირცხლი და ენერგიული იყო. ხელის ჩამორთმევისას თავიდან ფეხებამდე შეათვალიერა — ეს ქესტი უცნობი არ იყო როზმერისათვის, მისთვის ჩვეულ. გარემოში შეჰყავდა ამას, რის გამოც იგი, უპირატესობასა გრძნობდა ხოლმე. თუკი მას, როგორც პიროვნებას, ყველა აფასებს, რატომაც არა, კიდევაც უნდა ესარგებლა ამით როზმერის.

„ყოველდღე გელოდით“. ბრედის ხმას კოკნის აქცენტი დაჰკრავდა, ერთგვარი ძალდატანებაც ეტყობოდა, თითქოს ცდილობდა, ჩვეულებრივზე უფრო უკეთ ელაპარაკა. „კმაყოფილი ხართ მოგზაურობით?“

„ღიას, მაგრამ უკვე შინისკენ მიგვიწევს გული“.

„ა-არა“, შეეპასუხა ბრედი, „მინდა მოგელაპარაკოთ, მე ვნახე თქვენი „მამიკოს გოგო“; პარიზში ვნახე და მაშინვე ტელეგრაფით გავიკითხე, ახალი კონტრაქტი გაქვთ თუ არა“.

„მე ეს-ეს არის...“

„ღმერთო, რა ფილმია!“

როზმერიმ იგრძნო, ახლა გაღიმება სულელურ თანხმობას ნიშნავდა და წარბები შეიკმუხნა.

„მაინცდამაინც სასიამოვნო არ არის ასეთი ხვედრი — ერთი სურათი“.

„ცხადია, ახლა რას აპირებთ?“

„ღედა ამბობს, რომ დასვენება მჭირდება. დაბრუნებისას ჩვენ ალბათ ახალ კონტრაქტს დავდებთ „ფეიმეს პლეიერზ-თან“, ანდა კიდევ „ფერსტ ნეუნლთან“.

„ვინ „ჩვენ?““

„დედა. ჩემს საქმეებს დედა აგვარებს. უმიხოდ მე ვერ შევძლებდი“.

ისევ თავიდან ფეხებამდე შეათვალიერა და როზმერიმ უეცრად როგორღაც, თვითონაც უპასუხა ამ შეხედვას. არ მოხიბლულა და არ აღფრთოვანებულა, არაფერი იმის მსგავსი, რაც ამ დილით იგრძნო და რამაც ეგრერიგად მოიცვა პლაჟზე. ეს რაღაც გაელვებასა ჰგავდა, წამიერს. ბრედის სურდა იგი. და ქალიშვილურ დათრგუნულ წარმოსახვას ხელი არ შეუშლია წარმოედგინა, რომ შესაძლოა სულ უშფოთველად, დათმობაზეც წასულიყო. მაგრამ ცოტა ხნის მერე დაავიწყდებოდა — ისე როგორც ის მსახიობი, ვისაც გადაღებისას კოცნიან ხოლმე.

„სად ცხოვრობთ?“ ჰკითხა ბრედიმ, „აჰა, გოსის ოტელში. იყოს ასე, წლევანდელ წელს მეც ყველაფერი ამოვწურე. ოღონდ, ის, რასაც ადრე წერილში გწერდით, ძალაში რჩება. კონი ტოლმეჯის მერე, ეს მაშინ, როცა ნორჩი იყო, მხოლოდ თქვენ თუ გადაგიღებდით“.

„იგივე შემთხვევაა გითხრათ. დიახ, ვითამაშებდი თქვენთან, ფილმში. რატომ არ უბრუნდებით ჰოლივუდს?“

„ვერ ვიტან მაგ წყეულ ადგილს. აქაც ძალიან კარგადა ვარ. დაიცადეთ — ამ ეპიზოდს ჩავათავებ და ყველაფერს გაჩვენებთ“.

ბრედი გადამღებ ჯგუფთან მივიდა, თითქმის ჩურჩულით, წყნარად უხსნიდა ფრანგ აქტიორს რაღაც-რაღაცას.

ხუთი წუთი გავიდა — ბრედი ლაპარაკობდა და ლაპარაკობდა. ფრანგი კი უსმენდა, დროდადრო ფეხს ფეხზე გადაიდებდა და თავს დაიქნევდა. მაგრამ უცებ შეწყვიტა ლაპარაკი და გამნათებლებს რაღაცა დაუძახა. იმავე წამს ზუზუნნი და ზრიალი გაისმა და თვალებმომჭრელად აკაშკაშდა იქაურობა. ლოს-ანჯელესი ეძახდა ხმამაღლა როზმერის, იქაური ხმაური ჩაესმოდა. და ამ ხმას მიენდო, მორჩილად მიჰყვა, ისევ იქ სურდა ყოფნა, იმ ტიხრებიანი, თხელკედლებიანი ქალაქის მიხვეულ-მოხვეულებში მიაბიჯებდა უშიშრად. მაგრამ არ უნდოდა გადაღების მერე დაღლილ-დაქანცული ბრედის ნახვა, ჯობდა სხვა დროს ელაპარაკათ. ჯერ ისევ მონუსხული გავიდა ბავილიონიდან და ქვევით დაეშვა. სტუდიასთან ახლო იყო, მი-

სი ბანგი იყნოსა და ხმელთაშუა ზღვის სამყარო უკვე ისე გარყული აღარ ეჩვენებოდა, ქუჩებშიც სანდომიანი ხალხი დადიოდა და, ვაგზლისკენ მიმავალმა, გზად ესპადრილები რყიდა.

დედას ესიამოვნა, რომ როზმერიმ კარგად შეასრულა რაც კი რამ უთხრა; ოღონდ უნდა ებიძგა ხოლმე, იმის შერეც, როცა გზაზე დააყენებდა, რომ წინ წასულიყო. მხნე იერი კი ჰქონდა მისიზ სპირსს, მაგრამ დაღლილი იყო; მოშაკვდავთა სარეცელთან ფხიზლობა ვაი რომ, ღლის ხალხს და იმას ორჯერ მოუწია ასე ფხიზლობამ.

VI

ვარდის ღვინის მერე, ლანჩზე რომ შესვა, ნიკოლი თავს კარგად გრძნობდა, მთიან ფერდობზე გაშენებულ თავის საუცხოო ბაღში გავიდა. ხელები გულზემით დაეკრითა და მხარზე მიმაგრებული ხელოვნური კამელია ლოყაზე ეხებოდა. ერთი მხრით ბაღი სახლს ეკვროდა, ორით — ძველ სოფელს უსაზღვრებოდა, დაქანებული ქვიანი მხრით კი, ზღვისკენ ეშვებოდა.

სოფელთან გამყოფ ქარაბაკთან, ყველაფერი დამტვერილიყო, ჩახვეული ვაზები, ევკალიპტები და ლიმონის ხეები, შემთხვევით დარჩენილი მებაღის ხელნაც კი, რომელიც არც ისე დიდი ხნის წინათ დაეტოვებინათ აქ, თუმცა უკვე მიწას შეზრდოდა და ლპობაც შეპარვოდა. მაგრამ საკმარისი იყო იორდასალების კვლებისთვის შემოეგლო და — ნიკოლი ყოველთვის ოცდებოდა — თითქოს აქ სულ სხვა სამყარო იყო, მწვანე და გრილი ადგილი, სადაც ფურცელ-ფოთლები ყვავილისა, სათუთად ირხეოდნენ და სინოტივისგან იხვეოდნენ.

ყელზე სოსანისფერი შარფი ეხვია ნიკოლს, აქრომატული მზისგანაც კი სოსანისფერი ფერმკრთალდებოდა და ეს ფერი ედებოდა სახეზეც და იმის ჩრდილსაც, სიარულისას. მკაცრი, თითქოს უწყლო სახე ჰქონდა, მხოლოდ მწვანე თვალების გამოხედვაში გამოსჭვიოდა დაბნეულობა, რადაც საბრალო. ოქროსფერი თმა ახლა უკვე გამუქებოდა, თუმცა, ოცდაოთხი

წლისას უფრო ჰქონდა მიმზიდველობა, ვიდრე როცა თვრამე-
ტის იყო და ერთ ქალად მისი თმაცა კმაროდა.

ნიკოლი ხეივანს გაჰყვა, ხეივნის გაყოლებაზე თეთრი ქვე-
ბი ეწყო, იმას იქით ყვავილები ოდნავ ბურუსით იფარებოდა.
გზამ იმ გაშლილ ადგილზე გაიყვანა, საიდანაც ზღვა ჩანდა
იქ, უზარმაზარ ფიჭვის ხესთან, ბალში ყველაზე დიდი და ბე-
ბერი ხე რომ იყო, სიენის ბაზრიდან მოტანილი დიდი ქოლგა
ჩაერთო. იქვე იდგა მაგიდა და წნული სავარძლები. ლელვის
ხის სიმწვანეში დღისით მთვლემარე ფარნები შეყუყულებიყვნენ
წამით გაჩერდა ნიკოლი, დაბნეულმა შეათვალიერა ფიჭვის
ძირში ამოსული ზამბახები და დედოფლის ყვავილები, ვიღა-
ცას თითქოს ძალიან ჩქარა, დაუდევრად მოეყარა პეშვით
თესლები, ისე იყვნენ ახლართულები; ყური მიუგდო, — სახ-
ლიდან გაჯავრებულ ხმა მოისმა, ალბათ ძიძისა, რაღაცაზე თუ
დაობდნენ. ხმაური მიწყდა, ზაფხულის ღამეს შეეერთა და ნი-
კოლი ისევ მიჰყვა ხეივანს, ვარდისფერი ღრუბლებივით გა-
დაბუმბლულ კალეიდოსკოპურ იორდასალებს, ყავისფერ და
შავ ტიტებს, ფანჯრის რაფების ყვავილებივით იისფერღეროე-
ბიან უნაზეს ვარდებს ჩაუარა და უთვალავი ფერების სკერ-
ცო, გეგონება გარკვეულ დაძაბულობას მიაღწიაო, უცებ თითქ-
მის შუა გზაზე შეწყდა. ამას იქით ქვის დანოტიოებული საფე-
ხურები სხვა მხარეს, ხუთი ფუტით ქვემოთ უხვევდა.

წყაროს გარშემო შემოწყობილი ფიცრები მზიან დღეებ-
შიც ტენიანი და სრიალა იყო. გვერდით გაჭრილ საფეხურებს
აჰყვა ნიკოლი და ბალჩაში შევიდა. ჩქარა მიდიოდა, უყვარდა
მოძრაობა, თუმცა, უფრო უშფოთველი ჩანდა და გამოუცნო-
ბიც, რადგან ბევრს არ ლაპარაკობდა, სიტყვები არა ჰყოფნიდა
და არცა სჯეროდა სიტყვებისა, ხალხში ჩუმად იყო ხოლმე და
ხანდახან თუ იტყოდა რამეს, თითქოს ხარკს უხდისო, ვთქვათ
იუმორს, და — ძალიან მჭლედაც. მაგრამ როცა ამის გამო
საუბარს ველარ აგრძელებდნენ, უცებ ჩაებმებოდა და ისე
აჰყვებოდა, ციებცხელებიანივით, მერე კიდევაც უკვირდა
ხოლმე და უცებ ისევ გაჩერდებოდა, ლამის მორცხვად, და
მწევარივით, ძალზე მორჩილად, გეგონება გაიფიქრა, ძალიან
ბევრი გავაკეთე და მეყოფაო.

ბალის სალუქი ფერის მწვანეში იდგა, როცა ბილიკზე ფლიგე-

ლისკენ მიმავალი დიკი დაინახა. ნიკოლმა შეიცადა, საწამ დიკი თვალს მიეფარებოდა, ამოწვერილი სალათის მწკრივებს გაუარა და პატარა სამხეცესკენ წავიდა. მტრედების, ბოცვერებისა და თუთიყუშის ერთმანეთში შერეული კაღნიერი ხმები შეესმა, ნიკოლის დანახვაზე ახმაურდნენ ასე. აქედან გზა ისევ ქვევით, კლდის პარაპეტშემოვლებული გამოზნექილი მხრისკენ ეშვებოდა. ნიკოლი ზედ დაეყრდნო და გადაიხედა — შვიდასი ფუტის ქვევით ხმელთაშუა ზღვა ჩანდა.

ეს ადგილი და ეს გორაკიც ტარმის უძველეს დასახლებას ეკუთვნოდა. დაივერების ვილა და მისი შემოგარენიც გორაკების მოსაზღვრე და ერთმანეთის მიყოლებით ჩამწკრივებული ათიოდე გლეხის პატარა სახლებისგან გაერთიანდა. ხუთი მათგანი ვილად გადაკეთდა, ხუთი სულაც აიღეს და იმ ადგილას ბალი გააშენეს. გარშემოვლებული ზღუდისთვის ხელი არ უხლიათ და ამის გამო იყო, რომ ქვევით გაჭრილი გზიდან თუ ამოხედავდით, ტარმის რუხ-იისფერი სახლებისა და ხეებისაგან დაივერების კარ-მიდამო გამოცალკეეებული არა ჩანდა.

ცოტა ხანსაც გაჩერდა ნიკოლი, ხმელთაშუას უყურებდა. თავისი მოუღლეელი ხელებითაც კი, აქაურობას ვერაფერს შემატებდა. იმ წუთში იყო, რომ ფლიგელიდან დიკი გამოვიდა, ხელში ტელესკოპი ეჭირა და კანისკენ მიემართა. ცოტაც და, ნიკოლი გამოჩნდა ტელესკოპში. დიკი ისევ ფლიგელში შებრუნდა და ახლა მეგაფონით გამოვიდა — ბევრი ამნაირი მექანიზმი ეყარათ სახლში.

„ნიკოლ!“ დაიძახა. „დამავიწყდა მეტქვა ჩემს ბოლო მოციქულებრივ ჟესტზე, მისიზ აბრამში მოვიწვიე, თეთრთმიანი“.

„ასეც ვიცოდი. უმსგავსობაა და სხვა არაფერი“.

თითქოს დიკის მეგაფონის გამოჯავრებით, სიჩუმეში მკაფიოდ გაისმა ხმა და ახლა უფრო ხმამაღლაც გასძახა: „გაიგონე?“

„ჰო“. დიკმა მეგაფონი დაუშვა, მაგრამ მაშინვე ისევ გამეტებით მიიღო პირზე. „სხვებსაც მოვიწვიე, ვთქვათ, იმ ორ ჭაბუკს“.

„ჰო, კარგი“. დაეთანხმა ნიკოლი.

„მინდა ერთი ხმაურიანი საღამო გამოვიდეს, ჩხუბიც იყოს და ცთუნებებიც, ქალებს გულიც კი მისდიოდეთ, ვილაცას რაღაც ეწყინოს და ისე წავიდეს. ნახავ, რაც იქნება.“

დიკი ისევ ფლიგელში შებრუნდა, მაგრამ ნიკოლი ხვდებოდა, ძველებურ ხასიათზე დამდგარიყო, მხიარულებათანილი და აგზნებული, მერე რომ ყველას გადასდებდა თავის აგზნებას და ბოლოს კიდევ, უეჭველად შეეცვლებოდა თავისებური მელანქოლიით, თვითონ დიკი მალავდა ამას, ნიკოლი კი გუმანით გრძნობდა, ყოველთვის გრძნობდა. მხიარულების მიზეზი კი ზოგჯერ სულაც უბრალო რამ ხდებოდა ხოლმე, ისიც, ათასფრად შეფერილი, და ამისთანა დროს, სხვა იყო დიკი, რაღაცა ძალით ავსებული და ეს ძალა აიძულებდა სხვებს, აპყოლოდნენ და ჰყვარებოდათ. მხოლოდ ზოგ-ზოგნი, სუყველაფერი რომ ეეჭვებათ, ისინი თუ არ აპყვებოდნენ დიკის ამ ძალას. რეაქცია მერე იჩენდა ხოლმე თავს, როცა ფხიზლად შეაფასებდა თავის ახირებასა და არევას, ყველაფერ იმას, რაც ზედმეტი იყო და რაც სიცარიელეს უტოვებდა. უკან მიხედვისას, საკარნავალო სიშმაგესა და შფოთს გაიხსენებდა და ძრწუნდებოდა, ისე როგორც ძრწუნდება ხოლმე ის სარდალი, ხოცვა-ჟლეტას რომ გასცქერის და იცის, მიზეზი თვითონვეა, სისხლმწყურვალნი, გულისთქმას და ჟინს აყოლილი.

ვინც მცირე ხნით მაინც მოხვდებოდა დიკ დაივერის სამყაროში, უკვე ველარ დაივიწყებდა იმ სამყაროს: ეჩვენებოდათ, რომ დიკს შემთხვევით არ გამოეყო სხვებისაგან და წლითიწლობით ჩაკარგულ იმათ მოწოდებასაც ჩახვედრილიყო. თავისი ყურადღებითა და ზრდილობით ყველას გულს იგებდა დიკი, მშვენივრად ამყარებდა ურთიერთობას და ამას ისე უშუალოდ და ისე იოლად ახერხებდა, ეფექტი ყველა მოლოდინს აჭარბებდა — საბოლოოდ ინადირებდა გულებს და მაშინ, გაუფრთხილებლად, ვიდრე ეს-ეს არის დამყარებული მეგობრობა რაიმეთი დაირღვეოდა, დიკი ფართოდ უღებდა კარს და უშვებდა მათ თავის წარმტაცად თავშესაქცევ სამყაროში. ვიდრე ყველა უსიტყვოდ და მთელი გულით მიჰყვებოდა ამ თამაშს, დიკის საფიქრალი მხოლოდ იმათი ბედნიერება თუ იყო, მაგრამ ოდნავი ეჭვიც რომ შეპარვოდათ თამაშის გამომო, დიკი ქრებოდა იმათ თვალში და ნატამალიდა თუ რჩებოდა იმისი, რაც თქვა, გააკეთა.

იმ საღამოს რვა საათსა და ოცდაათ წუთზე, დიკი თავისი პირველი სტუმრების შესახვედრად გამოვიდა, საკმაოდ ცერე-

მონიულად, თვალშისაცემად ეჭირა ხელში კოსტიუმი, ტორეა-
დორი რომ გამოვა მოსასხამით, თითქოსდა ისე. როზმერისა და
მისიზ სპირსს მიესალმა და ტაქტიანად შეიცადა, ვიდრე თვი-
თონვე დაიწყებდნენ ლაპარაკს, რომ თავიანთი ხმით რწმენა
შემატებოდათ და ახალ გარემოს გაშინაურებოდნენ.

მთის გრძლი, სუფთა ჰაერითა და ტარში ამოსვლით მო-
ხიბლული როზმერი და დედამისი ცნობისმოყვარეობით ათვა-
ლიერებდნენ დაივერების საცხოვრისს. ხანდახან არაჩვეულებ-
რივი ხალხის ღირსებებზე სავსებით ჩვეულებრივ გამოთქმაშიც
ვლინდება ხოლმე და ვილა „დაიანას“ საგახგებო, თვალშისაცე-
ში სრულყოფილებაც, ყველაფერი გულმოდგინედ რომ მოე-
ფიქრებიხათ, სულ უბრალო და მცირე რამეშიც კი ჩნდებოდა,
ვთქვათ თუნდაც უდროო დროს უძიზეზოდ მოახლის გამოჩე-
ხა, ან საცობის უცბად ამოვარდნის ხმა. საღამოს გამო უკვე
დეღვაშეპარული პირველი სტუმრები ამათი ყოველდღიური
ცხოვრების მოწმენიც გახდნენ — დაივერების ბავშვები ტერა-
საზე გუვერნანტთან ერთად ვახშობდნენ.

„რა მშვენიერი ბალია“, წამოიძახა მისიზ სპირსმა.

„ნიკოლის ბალი“² თქვა დიკმა. „თავს დასტრიალებს, აწუ-
ხებს ლამის თავისი ზრუხვით მცენარეებს, გამუდმებით იმაზე
ფიქრობს, არ დაავადდნენ. სულაც არ გამიკვირდება, რომ
ერთ მშვენიერ დღეს თვითონვე შეეყაროს რაღაც, ან ჭრაქი,
ან ფიტობტორია თუ სეპტორია“ როზმერისაკენ შეტრიალდა,
თითით დაემუქრა და, ხუმრობანარევი კილოთი, პატრონოვით
უთხრა, „მინდა რაიმე ვილონო და თქვენს ჭკუა-გონებას ვუშ-
ველო, შლაპას გაჩუქებთ, პლაჟისთვის“.

ბალიდან სტუმრები დიკმა ტერასაზე გაიყვანა, კოქტეილის-
თვის. მოვიდა ერლ ბრედი და ძალიან გაუკვირდა როზმერის
დანახვა. გეგონება წამოსვლისას სტუდიის კარიბჭესთან დატო-
ვაო თავისი შერეკილობა, აქ უფრო სხვა ჩანდა იგი. წამით
როზმერიმ დიკს შეადარა, დიკთან ერლ ბრედი უხეშიც იყო
და ცოტა ბრიყვიც. მაინც, ამ კაცის დანახვაზე თითქოს ისევ
დენმა დაარტყა.

ბრედი შინაურულად ელაპარაკებოდა ბავშვებს, რომლებსაც
ის იყო, ტერასაზე ევახშმათ და მოსულიყვნენ.

„ჰელო, ლანიე, რას იტყვი სიმღერაზე? შენ და ტოპსიმ მიმღერეთ რამე“.

„რა ვიმღეროთ?“ ჰკითხა ბიჭმა, საფრანგეთში გაზრდილი ყველა ამერიკელი ბავშვივით, სიტყვებს ესეც გაბმით ამბობდა.

„ის სიმღერა, „Mon ami Pierrot“.

და-ძმა მაშინვე გვერდიგვერდ დადგა, არ დაუმორცხვე-ბიათ, და სალამოს სიჩუმეში საყვარლად გაისმა მათი მკივანა ხმა:

მთვარის ნათულზე

ჩემო პიერო,

მოყვასო, მომე

კალამი, ვწერო.

სანთელი ჩაქრა,

ცეცხლი არ არი,

ღვთის გულსათვის

გამიღე კარი.

სიმღერა გათავდა და ჩამავალი მზის სხივებით სახეზეწით-ლებული ბავშვები იდგნენ და შექებაზე მშვიდად იღიმებოდ-ნენ. ვილა „დაიანა“ როზმერის სამყაროს შუაგულად ეჩვენე-ბოდა ახლა. ამისთანა ადგილას შეუძლებელი იყო რაღაცა უჩვეულო არ მომხდარიყო. ლამის შეხტა, როცა მოესმა, რო-გორ გაჭრიალდა ჭიშკარი ახალი სტუმრების შემოსვლისას. ერთბაშად შემოცვივდნენ ცოლ-ქმარი მაკისკოები, მისიზ აბ-რამში, მისტერ დამფრი და მისტერ კემპიონი და მაშინვე ტე-რასისკენ გამოემართნენ.

როზმერის თითქოს პირში ჩალა გამოავლეს, იმედგაცრუე-ბულმა სწრაფად შეხედა დიკს, გეგონება ეკითხებოდა, რად შეეყარა ერთად ასეთი ჭრელი ხალხი, მაგრამ დიკს ისევ ისეთი იერი ჰქონდა, ახალ სტუმრებს ისე იღებდა, გეგონება ამაყობს კიდევაც ასეთი ღირსეული ხალხის მოსვლითო, აგრძნობინებ-და, რომ ყველას ძალიან აფასებდა, და იმათ ჯერ კიდევ გამოუვ-ლენელ ნიჭსა და უნარს მიხვედრილიყო, და იმდენად სჯე-როდა დიკისა, იმავე წუთში თვითონაც გაიფიქრა, ცხადია, მა-კისკო უნდა მოსულიყო.

„ჩვენ პარიზში შევხვდით ერთმანეთს“, მაკისკომ ეიბ ნორტს

უთხრა, ცოლთან ერთად თითქმის ფეხდაფეხ მოჰყვა მათ ეიბი, „თანაც, ერთხელ კი არა, ორჯერ“.

„მახსოვს, დიახ“, დაუდასტურა ეიბმა.

„კერძოდ, სად?“ არ დაკმაყოფილდა მაკისკო.

„მე ვფიქრობ, ეს იყო...“ დაიწყო ეიბმა, მაგრამ მობეზრდა თამაში. „არ მახსოვს სად“.

ამ რამდენიმე ფრაზამ წუთიერი სიჩუმე შეავსო და როზმერიმ უნებურად იგრძნო, რომ ახლა მისწრება იქნებოდა ტაქტიანად ვინმეს ჩარევა, მაგრამ დიკი არც ცდილა ოდნავ რაღაცა შეეცვალა და ახალი სტუმრების მოსვლით შექმნილი უხერხულობა გაეფანტა. მარტო მისიზ მაკისკოს ქედმაღლური ღიმილი რად ღირდა. მაგრამ დიკი არ ერეოდა, ეს არ იყო ახლა მთავარი, ისედაც თანდათან, თავისთავად გაიკვებოდა ყველაფერი. ძალას იგი სხვა, უფრო საყურადღებო მომენტისთვის იკრებდა და ინახავდა, როცა შესაძლებელი იქნებოდა ახლებურად დანახვებოდა სტუმრებს და ეგრძნობინებინა მათთვის, რომ მშვენიერ ადგილას მოხვდნენ.

როზმერი ტომი ბარბანის გვერდით იდგა. ტომი ცუდ გუნებაზე იყო, გაღიზიანებული ჩანდა, მაგრამ თითქოს რაღაცა მიზეზიც ჰქონდა საამისო. როზმერის უთხრა, ხვალ მივდივარო.

„სამშობლოში?“

„სამშობლოში? მე არ მაქვს სამშობლო. ომში მივდივარ“.

„რა ომში?“

„რომელიმე ომში. კარგა ხანია გაზეთი არ წამიკითხავს, ალბათ სადღაც არის ომი, შეუძლებელია, სადმე არ ომობდნენ“.

„თქვენთვის რა, სულ ერთია, რისთვის იომებთ?“

„სავსებით, — ოლონდ კარგად მომექცნენ. ავირევი თუ არა და აღარ ვიცი რაღას მივაწყდე, დაივერების სანახავად მოვდივარ, რადგან ვიცი, ცოტა ხანში ომში წასვლა მომინდება“.

როზმერი შეცბა.

„მაგრამ თქვენ ხომ გიყვართ დაივერები?“

„რა თქმა უნდა, მეტადრე ნიკოლი, მაგრამ მაგათ ნახვაზე ომში წასვლა მინდება ხოლმე“.

როზმერიმ სცადა გაეაზრა, რაც ახლა უთხრეს, მაგრამ ვერ

ჩასწვდა. დაივერებთან სიახლოვისას მას მხოლოდ ის სურდა, არასოდეს გასცლოდა მათ.

„თქვენ ნახევრად ამერიკელი ხართ“, ისე თქვა, თითქოს ამით ყველაფერს გაარკვევდა.

„და ნახევრად ფრანგიც, გავიზარდე ინგლისში და მას მერე, რაც თვრამეტი წლისა გავხდი, მოვასწარი რვა ქვეყნის ჯარში მემსახურა. მაგრამ იმედი მაქვს, ჩემი სიტყვების გამო არ იფიქრებთ, თითქოს არ მიყვარდეს დაივერები. არ მინდა ასეთი შთაბეჭდილება დაგრჩეთ, ძალიან მიყვარს, მეტადრე ნიკოლი“.

„შეუძლებელია არ გიყვარდეს დაივერები“, მშვიდად თქვა როზმერიმ.

უცხად მოუნდა ამ კაცს გასცლოდა, მოეჩვენა თითქოს რაღაცა უსიამოვნო ჰქონდა ხმაში, როზმერი აღმერთებდა დაივერებს და არ უნდოდა ტომი ბარბანს თავისი ცინიზმით შეებღალა მისი გრძნობა; გაუხარდა, რომ მის გვერდით არ იჯდებოდა სადილზე. სხვებთან ერთად ბაღში გაშლილი სუფრისკენ მიმავალს ჯერ ისევ ჩაესმოდა სიტყვები, „მეტადრე ნიკოლი“.

ბილიკზე მიმავალი, დიკ დაივერთან ახლოს აღმოჩნდა. ისეთი მშვიდი და ურყევი ჩანდა, თუ რამ ეჭვი ჰქონდა, მაშინვე გაუქრა, დიკს არაფერი შეეშლებოდა. ბოლო წელიწადში, და ეს წელი მისთვის მთელ ცხოვრებას უდრიდა. როზმერის ფულიც ჰქონდა და სახელიც საკმაოდ გაითქვა, სახელმოხვეჭილ ხალხსაც ხვდებოდა და ეჩვენებოდა, რომ ისინი მხოლოდ გადიდებული ასლები თუ იყვნენ იმათი, ვისაც ექიმის ქვრივი და მისი ქალიშვილი პარიზის ოტელ-პანსიონში ხვდებოდნენ ხოლმე. რომანტიკული ბუნება ჰქონდა, მაგრამ რომანტიკისთვის მის ცხოვრებაში არც დრო იყო და არც გასაქანი. მისი სპირსმა გადაწყვიტა თავისი ქალიშვილისთვის კარიერა შეექმნა და არ დაუშვებდა, რომ როზმერი წუთიერ, არასაიმედო გატაცებას და ყველა მხრიდან მოსალოდნელ ცდუნებას აპყობოდა. თვითონ როზმერიმაც უკვე გაიარა ეს ხანა, კინოსა და ილუზიების სამყაროში იმყოფებოდა, მაგრამ ცხოვრებით არ ცხოვრობდა ილუზიებით და როცა სახეზე შეატყო დედას, რომ მოეწონა დიკ დაივერი, მაშ ყველაფერი რიგზე იყო და შეეძლო თავის გულს მიჰყოლოდა.

„გიყურებდით“, უთხრა დიკმა და როზმერიმ იცოდა, არ ტყუოდა. „ძალიან შეგვიყვარდით ყველას“.

„მე კი მაშინვე შემიყვარდით, როგორც კი გნახეთ“, ჩუმად წარმოთქვა.

დიკმა ვითომ ვერ გაიგონა, ვითომ მისი სიტყვები ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი ყოფილიყო.

„ახალ მეგობრებთან“, ისე თქვა, გეგონება ძალიან საყურადღებო რამეს ეუბნებაო, „ხშირად უკრთესადა ხარ, ვიდრე ძველებთან“.

ეს რემარკა, რომლის აზრსაც როზმერი მაინცდამაინც ვერ ჩასწვდა, დიკმა მაშინა თქვა, როცა უკვე მაგიდას უსხდებოდნენ, ბინდი წვებოდა, მაგრამ თანდათან ანთებული ფარნების შუქზე მკაფიოდ ჩნდებოდა იქაურობა. სიხარულის ჟრუანტელმა დაუარა, როცა დაინახა, რომ დიკმა მარჯვნივ მოისვა დედამისი. თვითონ იგი ბრედისა და ლუის კემპიონს შუა მოხვდა.

გრძნობამორეული, ბრედისკენ შეტრიალდა, უნდოდა გული გადაეხსნა, მაგრამ დიკი ახსენა თუ არა, ბრედიმ ისე შეხედა, როზმერი მიხვდა, მისი მოძღვარი ვერ იქნებოდა. თავის მხრივ, როცა ბრედიმ სცადა ხელი ხელზე მოეკიდა, როზმერიმ ხელი არ დაანება, ასე რომ, ვიდრე აიშლებოდნენ, მხოლოდ კინოზე ლაპარაკობდნენ, უფრო სწორად, ბრედი ლაპარაკობდა კინოზე, როზმერი კი თავაზიანად უსმენდა, თუმცა გონება სხვაგანა ქროდა და თვითონვე მიხვდა, არ შეიძლება ბრედის არ ეგრძნო; შეუცნობლად ამთლიანებდა აზრს მხოლოდ იმით, რაც დროდადრო თუ ჩაესმოდა და ეს შველოდა. როგორც ხანდახან საათის რეკვას გაიგონებ, არ გაგიგია რამდენჯერ დარეკა, მაგრამ გონებაში ჩაბეჭდილა და რიტმით აღადგენ.

VII

როზმერიმ პაუზით ისარგებლა, ნიკოლი ტომი ბარბანსა და ეიბ ნორთს შუა იჯდა და იქით გაიხედა. მისი მზინავი წაბლისფერი, ჩაუს ბეწვისნაირი თმა სანთლებისა და ფარნების შუქზე ქაფივით ჩანდა. ნიკოლის მუღერ ხმასა და მაღლიმალ შეწყვეტილ ლაპარაკს, როზმერიმ მონუსხულივით მიუგდო ყური.

„საწყალი“, წამოიძახა ნიკოლმა, „რა ახირებაა კაცის შუაზე გახერხვა?“

„მინდოდა მენახა რა ჰქონდა ოფიციანტს შიგნით. თქვენ არ გაინტერესებთ რა არის ოფიციანტის შიგნით?“

„ძველი მენიუები“, ივარაუდა ნიკოლმა, იცინოდა, „დამსხვრეული ჭურჭლის ნატეხები, ფული, ფანქრის ნალრლენი“.

„ნაღღია — მაგრამ ამას მეცნიერული დასაბუთება სჭირდება, მერე კიდევ, ხერხი. ხომ ჩვეულებრივი არ იყო, არამედ მუსიკალური, მთელი ეშხიც ამაშია“.

„თქვენ რა, ოპერაციის დროს დაუკრავდით იმ ხერხით?“ ჩაეკითხა ტომი.

„აქამდე აღარ მისულა საქმე, ყვირილმა შეგვიშალა ხელი, შეგვეშინდა, ვიფიქრეთ, წელში გადაწყდებო“.

„მაინც ძალიან უცნაურია, მე ვერ გავიგე“, თქვა ნიკოლმა, „მუსიკოსს სურს გამოიყენოს სხვა მუსიკოსის ინსტრუმენტი, რათა...“

საათზე მეტ ხანს ისხდნენ სუფრასთან და ამ ხნის მანძილზე შესამჩნევი ცვლილება მოხდა — ყველამ თითქოს რაღაც მოიცილა, რაღაცა მოეხსნა — ზრუნვა, წუხილი თუ ეჭვი, ახლა მხოლოდ დაივერების სტუმრები იყვნენ, თავისთავადები, ბუნებრივები, რაც კი რამ კარგი ჰქონდათ ახლა ეხატათ სახეზე და გულგრილობა და მოწყენა კი ის იქნებოდა, მასპინძლებისთვის ეწყენინებინათ და თავგამოდებით ცდილობდნენ ეს არ მომხდარიყო. ამიტომ იყო, რომ როზმერის ახლა თითქმის ყველა უყვარდა, გარდა მაკისკოსი, რომელმაც აქაც მოახერხა გარიყულიყო, თუმცადა, იმდენად ჯიბრისა და სიავის გამო კი არა, უფრო იმიტომ, რომ სალამოს დაწყებისთანავე კარგ გუნებაზე დადგა და გადაწყვიტა ღვინით შეენარჩუნებინა ეს გუნება. მარჯვნივ ერლ ბრედი ეჯდა და იმის გასაგონად მაკისკომ რამდენიმე გამანადგურებელი შენიშვნა გამოთქვა კინოს თაობაზე, მარცხნივ მჯდომ მისიზ აბრამზს კი არც დალაპარაკებია, საერთოდ არ ამჩნევდა; ბოლოს სკამის ზურგს მიეყრდნო და დიკ დაივერს შემმუსვრელი იუმორის ღიმილით მიაშტერდა, ოღონდ ხანდახან თვითონვე აფუჭებდა ეფექტს იმით, რომ მაგიდის იქითა მხარეს მჯდომი დიკის საუბარში ჩაბმას ცდილობდა.

„თქვენ, მგონი, ვენ დენბი ბიურენის მეგობარი ხართ?“

„მე მგონია ეგეთს არავის ვიცნობ“.

„მე ყოველთვის მეგონა, რომ მისი მეგობარი იყავით“, არ იშლიდა მაკისკო.

მისტერ ვენ ბიურენზე იძულებით ლაპარაკი ყელში ამოუვიდა და მაკისკომ ახლა სხვა თემაზე სცადა საუბრის გაბმა, მაგრამ ისევ ფიასკო განიცადა, დიკი თავაზით ეკიდებოდა და ისე უსმენდა, მაკისკო იმთავითვე პარალიზდებოდა ხოლმე და თავისივე მიზეზით შეწყვეტილ საუბარს უკვე უიმისოდ, სხვები აგრძელებდნენ, იმ სხვების ლაპარაკში ჩარევაც სცადა, მაგრამ ეს ცარიელი ხელთათმანის ხელის ჩამორთმევასა ჰგავდა და ბოლოს და ბოლოს, ბავშვებთან იძულებით ყოფნა რომ უხდება, იმ მოზრდილივით, ხელის ჩაქნევა ამჯობინა, და შამპანურზელა გადაიტანა მთელი თავისი ყურადღება.

დროდადრო როზმერი თვალს ყველას ისე მოავლებდა, ისე უნდოდა გაეხარათ, თითქოს სუყველა იმისი გერი გახდებოდა მომავალში. ფერმკრთალ მიხაკებში ჩადგმული ლამპის შუქი მისიზ აბრამზის „ქვრივ კლიკოთი“ ავარდისფრებულ სახეს ეფინებოდა და ახალგაზრდულ იერს მატებდა. კარგ ხასიათზე იდგა. გვერდით მისტერ როიალ დამფრი ეჯდა, დამფრის ქალიშვილივით სანდომიანი სახე სალამოს ზეიმურ ვითარებაში იმდენად აღარა გხვდებოდათ თვალში. ამათ მერე კიდევ — ვაიოლიტ მაკისკო, რომელსაც, რაც ბუნებამ კარგი უბოძა, ახლა აშკარად სახეზე ეხატა და თავს არ იტეხდა იმაზე ფიქრით, რომ კარიერისტის ცოლი იყო, თანაც ისეთის, ვერაფერსაც რომ ვერ აღწევდა.

მერე დიკი — სუყველა რომ კარგ გუნებაზე დააყენა და თავის თავზე რომ აელო ყველას მოწყენა, ზრუნვა-წუხილი; ისევ ისეთი, — ამ სალამოზე ფიქრით მოცული.

მერე დედამისი — იდეალური, როგორც ყოველთვის.

მერე, ბარბანი, დედამისთან მოლაპარაკე, და ახლა ისევ მოეწონა როზმერის იგი. მერე ნიკოლი. როზმერის ახლა რაღაც სხვაგვარი ეჩვენა და გაიფიქრა, ნიკოლზე ლამაზი ქალი არ მინახავსო. ვიკინგების მადონასა ჰგავდა, და განათებულ სივრცეში თეთრად მორიალე. მუმლის მიღმა ფიქვებში ჩაკარგული ფარნების შუქი ნათელსა ჰყენდა. წყნარად იჯდა, ძალიან

წყნარად, ეიბ ნორთი თავის მორალურ კოდექსს უხსნიდა: „რა თქმა უნდა, მე მაქვს ჩემი მორალური კოდექსი“, დაუინებით ამბობდა, „არ შეიძლება ადამიანს თავისი მორალური კოდექსი არ ჰქონდეს. ჩემი ის არის, რომ ვერ ვურიგდები ჯადოქრების ცეცხლზე დაწვას, და როცა გავიგებ, რომ სადღაც ჯადოქარი დაწვეს, თავს ვკარგავ“. როზმერიმ ერლ ბრედისაგან იცოდა, რომ ეიბი მუსიკოსია, თავიდან შესანიშნავად დაიწყო, მაგრამ რამდენიმე წელია აღარაფერი შეუქმნია.

შემდეგი კემპიონი იყო, ამან როგორღაც შეძლო მოეთოკა თავისი ახირება და ყველას მიმართ უანგარო ინტერესს იჩენდა. მერე მერი ნორთი, რომელსაც სახე გაბრწყინებოდა (და ისე ხალხით იცინოდა იმ თავისი სარკესავით თეთრი კბილებით, გახსნილი ბაგის ყველა სვრეტში ისე ჩაღვროდა სიამოვნება, გინდა, არ გინდა, გაიღიმებდით.

და ბოლოს ბრედი, თანდათანობით უფრო გულწრფელი. ამას ხომ ერთი ის ზნეც სჭირდა, რომ სულიერი სიჯანსაღით მოჰქონდა თავი; არადა ასეთ სიჯანსაღეს სხვათა მიმართ გულგრილობით ინარჩუნებდა, იმ სხვათა სუსტი მხარეების არად ჩაგდებით. ახლა ამ ზნესაც თავაზიანობა უფრო სჭარბობდა.

როზმერისთვის, თავისი უშუალოებითა და მიმდობი ხასიათით მისიზ ბერნეტის ერთი ოპუსის გმირს რომ წააგავდა, ეს სადამო შინ დაბრუნებას, ზღვარდაუდებელი იუმორის მერე დასვენებას უდრიდა. ბაღში, სიბნელეში ციციანათელები აციმციმდნენ, სადღაც ქვევით, გორაკის ძირში ძალი აყეფდა. მექანიკური საცეკვაო მოედანივით მაგიდა თითქოს ოდნავ მოსცილდა მიწას, გარშემო მსხდომთ ეგონათ, სამყაროს სიბნელეში ისხდნენ, რაც ქვეყნიერებაზე საზრდო გადარჩა, აქ იყო და თვითონ შეექცეოდნენ, რაც სითბო იყო სამყაროში, ამათ ათბობდა. მისიზ მაკისკომ რაღაც საკვირვლად, ჩუმად გაიცინა და თითქოს ეს სიცილი იმას მოასწავებდა, რომ მიწას უკვე საბოლოოდ მოწყდნენ, ორივე დაივერმა ალერსსა და ზრუნვას უმატა, ეფერებოდნენ თავიანთ სტუმრებს, ისედაც რომ ნეტარებდნენ ამდენი ქებით, ეგება რაღაც დარჩათო ძირს მიწას მოწყვეტილებს და ამისათვის მოფერებით უნდოდათ, რომ ხარკი გაეღოთ. ყველას თავიანთ მეგობრობასა და სიყვარულში აჯერებდნენ, სათითაოდ, და იმ წუთებში

მათი მაცქერალი სახეები საშობაო ნაძვის ხის საწყალობელი ბავშვების სახეებს ჰგავდა. მერე ყველაფერი უცბად შეწყდა — სადილობა მოთაედა, ზეიმურობამ, ჩვეული მხიარულებიდან სტუმრები ამალღებული გრძნობების სამყაროში რომ აიყვანა, მანამდე გაიარა, ვიდრე იქაური ჰაერი მოხვდებოდათ, ვიდრე გაიზრებდნენ, რომ იმ სამყაროში ავიდნენ უკვე.

სამხრეთული ცხელი ღამის სიბნელეს შეპარული მაგია, ხმელთაშუადან აჩრდილივით მოიწევდა და, ახლა დაივერებში გადავიდა და ამათ შეენივთა.

როზმერიმ გაიგონა ნიკოლისა და დედამისის საუბარი. ნიკოლი დაუინებით სთხოვდა როზმერის დედას უარი არ ეთქვა და საჩუქრად მიეღო პატარა ყვითელი ჩანთა, რომელიც დედამისს ძალიან მოსწონდა. „ვისაც მოსწონს, იმისი უნდა იყოს“, ღიმილით ეუბნებოდა და რაც ყვითელი ფერის რამ ხელთ მოხვდა, შიგ უყრიდა — პატარა ფანქარს, პომადას, პატარა ყვითელ უბის წიგნაკს — „ეს იმიტომ, რომ ერთმანეთს უხდება“.

ნიკოლი გაქრა და როზმერიმ შეამჩნია, დიკიც აღარ იყო იქ; სტუმრებიდან ზოგი ბაღში, ზოგიც ტერასისკენ წავიდა.

„არ გინდათ სააბაზანოში შესვლა?“ ვაიოლიტ მაკისკომ ჰკითხა როზმერის.

როზმერის ახლა იქ წასვლა არ უნდოდა.

„მე კი შევალ“, თქვა მისიზ მაკისკომ. „მე მჭირდება იქ შესვლა“. და ყველანაირ პირობითობას აგდებულად რომ უყურებს, იმ ქალივით თამამად გასწია იქით.

როზმერიმ თვალი გააყოლა, არ მოეწონა ეს საქციელი.

ერლ ბრედიმ ზღვისპირა კედლისკენ ჩასვლა შესთავაზა; მაგრამ როზმერიმ გადაწყვიტა, უკვე დიკისთვის ეწილადა დრო, დიკის გამოჩენას დაელოდა და მაკისკოს ბარბანთან კინკლაობას მიუგდო ყური.

„რად გინდათ საბჭოების წინააღმდეგ იომოთ?“ ეკითხებოდა მაკისკო. „მე ვფიქრობ, კაცობრიობის ისტორიაში ეს უდიდესი ექსპერიმენტია, ხოლო რიფები? მათი რესპუბლიკა? ჩემი აზრით, თუ ბრძოლაა და გამირობაა, იმათთვის მაინც იბრძოლოს კაცმა, ვის მხარეზეც სიმართლეა“.

„ეგ როგორ უნდა გაარკვიო?“ მშრალად ჰკითხა ბარბანმა.

„ყველა გონიერმა კაცმა იცის“.

„თქვენ კომუნისტი ხართ?“

„სოციალისტი ვარ“, თქვა მაკისკომ, „მე თანავუგრძნობ რუსეთს“.

„მე კი ჯარისკაცი ვარ“. მხიარულად თქვა ბარბანმა. „ჩემი ბიზნესი ხალხის კვლავა. ვებრძოდი რიფებს იმიტომ, რომ ევროპელი ვარ, კომუნისტებს ვებრძვი იმიტომ, რომ საკუთრება უნდათ წამართვან“.

„აბა, იცით რას გეტყვით...“ მაკისკომ აქეთ-იქით გაიხედა, ბარბანის გონებაშეზღუდულობის აგდება უნდოდა, მაგრამ არავინ აუბა მხარი. ვერ გაეგო, რისთვის შეეჯახა ბარბანს, მისი იდეების სიმარტივისა და შეზღუდულობის გამო არა, არც მისი წარმოშობისა და აღზრდის სირთულე იყო მიზეზი, მაკისკომ იცოდა რას ნიშნავდა იდეები და ჭკუა-გონების ზრდის პროცესში ბევრი იდეა შეიცნო და დაახარისხა კიდევაც თავისთვის, მაგრამ ამ „რეტიანს“, როგორც თავისთვის შეარქვა ბარბანს, არც ერთი მისთვის ცნობილი იდეა არ გააჩნდა, თუმცა ვერც თავის უპირატესობასა გრძნობდა ბარბანის მიმართ და ამიტომ, მაშინვე ჩაეჭიდა მისთვის ხელსაყრელ დასკვნას: ბარბანი ძველი ხნის გადმონაშთი იყო და დიდ ვინმეს არ წარმოადგენდა. ამერიკულ არისტოკრატიასთან კონტაქტისას მაკისკოს ის შთაბეჭდილება შეექმნა, რომ უგერგილო და საეჭვო სნობიზმი სჭირდათ, არხეინობა უმეცრების გამო და ერთგვარი უხეშობა, ინგლისელებისაგან რომ გადაეღოთ, მაგრამ უიმფაქტოროდ, რითაც ინგლისურ ფილისტერობასა და ინგლისურ უხეშობას აზრი ეძლევა და ეს სუყველა გადატანილი იმ ქვეყანაში, სადაც სულ მცირე ცოდნასა და თავაზიანობასაც ყველაზე მეტად, ვიდრე სხვაგან, ფასი ედება, ერთი სიტყვით, იმ პოზიციასზე დადგა, რომლის აპოგეადაც 1900 წლის „ჰარვარდის სტილი“ ითვლება. ერთ-ერთ ასეთად მიიჩნია ბარბანი. ღვინო მალე მოეკიდა და შიში ამ ტიპის ხალხის მიმართ რომ ჰქონდა, გაუჭრა და გათამამდა.

როზმერის რატომღაც რცხვენოდა მაკისკოს გამო; თავისთვის იჯდა, მაგრამ დიკის მოლოდინში ცეცხლი ეკიდა. სუფრიდან ბარბანის, ეიბის და მაკისკოს გარდა, ყველა წამოიშალა, როზმერი ხედავდა აქეთ-იქით ჩარგული მურტითა და გვიმ-

რით ჩრდილდაფენილ ბილიკსა და ქვის ტერასას. განათებული კარის ფონზე ნათლად იკვეთებოდა დედამისის სახე, როზმერი სიყვარულით შესცქეროდა მას და ის იყო, წამოიწია, რომ იქით წასულიყო და ამ დროს მისიზ მაკისკო შემოვარდა აქო-შინებული.

აღელვებისაგან სულს ძლივს ითქვამდა. ისე უხმოდ გამოსწია სკამი და დაჯდა, ისე გაშტერებით იყურებოდა და ისე უშრებოდა პირი — თითქოს თქმა უნდა და ვერ ამბობსო, ცხადი იყო, რაღაც იცოდა, და ბუნებრივია, როცა ქმარმა ჰკითხა, რა მოხდაო ვაიოლიტ, ყველა მას შესცქეროდა.

„ჩემო ძვირფასებო“, დაიწყო და მერე მხოლოდ როზმერის შეხედა, „ჩემო ძვირფასო... არა, არაფერი, არ შემიძლია, ვერ ვიტყვი, ძალა არ მყოფნის“.

„დამშვიდდით, თქვენ მეგობრებში ხართ“, უთხრა ეიბმა.

„იქ, ზევით, ისეთ სცენას შევესწარი...“ თავი საიდუმლოდ გადააქნია და თითქოს ენა დაებაო, და სწორედ დროზე, რადგან ბარბანი წამოდგა და თავაზიანად, მაგრამ საკმაოდ მკვეთრად მიმართა:

„არ გირჩევთ გამოთქვათ თქვენი შენიშვნები იმაზე, თუ რა ხდება ამ სახლში“.

VIII

ვაიოლიტმა ერთი ღრმად ამოისუნთქა, თითქოს ამოიოხრაო, და სცადა მშვიდად გამოეხედა.

ბოლოს დიკიც მოვიდა და თითქოს ინსტინქტმა უკარნახა, ბარბანსა და ცოლ-ქმარ მაკისკოებს შუა ჩადგა და მაკისკოს, ცოდნას მოწყურებული უმეცარი კაცის სახით, ლიტერატურაზე გაუბა საუბარი, ამით დიდი სიამოვნებაც მიანიჭა მოსაუბრეს, მაკისკოსთვის უპირატესობა ცოტა რამ როდი იყო. სხვებს ლამპების სახლში შეტანა სთხოვა, ამაზე უარს ვინ იტყოდა — ლამპებით ხელში ბნელი ბაღი რომ გაეარათ. როზმერიმაც აიღო ლამპა, გზად მოთმინებით უსმენდა როიალ დამფრის, პოლივუდზე რომ ეკითხებოდა ათას რაღაცას და პასუხსაც აძლევდა.

ახლა კი, ფიქრობდა როზმერი — შეიძლება ცოტა ხნით

მარტო დავრჩე მასთან. არ შეიძლება თვითონ არ გრძნობდეს, იმასაც ხომ ის კანონები აქვს ცხოვრებაში, რომლებიც მე დედამ მასწავლა.

მართალი იყო — სულ მალე დიკი სხვებს გამოეყო და მარტო აღმოჩნდნენ ტერასაზე. მაშინვე წასვლა მოუნდათ და ზღვისკენ დაქანებული ხრამისკენ დაშვება, იქით საფეხურები ცოტა იყო და როზმერი ხტებოდა ალაგ-ალაგ.

პარაპეტიდან ხმელთაშუა ზღვას უყურებდნენ. ქვევით, ლერანსის კუნძულიდან, ყურეში გვიან შემოსული პატარა სამოგზაურო ხომალდი, ოთხი ივლისის დღესასწაულზე საჰაერო ბუშტი რომ მოწყდება და ზევ-ზევით წავა, ისე უფეხურივით ჩანდა, ჩამუქებულ პატარა კუნძულებშუა მიდიოდა და მუქ დინებას რბილად აპობდა.

„გასაგებია, ყოველთვის სიყვარულითა და აღტაცებით რომ ლაპარაკობთ დედაზე“, უთხრა დიკმა. „მზე ამოსდის თქვენზე. ამერიკაში იშვიათად შეხვდებით ამისთანა გონიერ დედებს“.

„დედაჩემი მშვენიერია“, ლოცვასავით წარმოთქვა როზმერიმ.

„ერთი რამ მოვიფიქრე და გავუზიარე კიდევაც. მითხრა, რომ არ იცის რამდენ ხანს დარჩებით საფრანგეთში, რომ ამას თქვენ გადაწყვეტთ“.

თქვენ, კინალამ ხმამალლა თქვა როზმერიმ.

„ჰოდა, რაკი აქ უკვე ყველაფერი დამთავრდა...“

„დამთავრდა?“ იკითხა როზმერიმ.

„ტარმს ვგულისხმობ. წლებანდელი ზაფხული მიილია. წინა კვირაში ნიკოლის და გაემგზავრა, ხვალ ტომი ბარბანი მიდის, ორშაბათსაც ეიბ და მერი ნორთები მიდიან. ამ ზაფხულს იქნებ ბევრი კარგი რამაც გველის კიდევ, მაგრამ აქ არა, მინდა კარგად ჩათავდეს ყველაფერი, ხალისიანად და არა სანტიმენტალურად, ამისთვის გავმართე ეს საღამო. მე და ნიკოლი პარიზში მივდივართ, ეიბ ნორთი ამერიკაში ბრუნდება და გავაცილებთ. ხომ არ წამოხვალთ?“

„დედამ რა თქვა?“

„შესანიშნავი აზრიაო, ოღონდ თვითონ არ სურს წამოსვლა, უიმისოდ მოგიწევთ“.

„რაც მოვიზარდე, პარიზში არ ვყოფილვარ“, თქვა როზმერიმ. „კარგია, რომ თქვენთან ერთად ვიქნები“.

„მიხარია, რომ ამას მეუბნებით“. ხომ არ მოესმა როზმერიმ, რომ ხმამ უცებ თითქოს ლითონით გაიჟღერია? „რას თქმა უნდა, მაშინვე ყველამ შეგამჩნიეთ, როგორც კი პლაჟზე გამოხვედით; პროფესიული ხალისი გეტყობოდათ და მივხვედით, მსახიობი იყავით, ყველაზე უფრო ნიკოლი მიხვდა. ასეთი ხალისი ერთს კი არა, მთელ კომპანიასაც კი ეყოფა“.

უნებურად მიხვდა როზმერი, დიკი განგებ ახსენებდა ნიკოლს, შეემზადა, დანებებას არ აპირებდა და მიუგო:

„მეც მაშინვე მომინდა ყველას გაცნობა — მეტადრე თქვენი. ხომ გითხარით, მაშინვე შემიყვარდით, დაგინახეთ თუ არა“.

სვლა კარგად იყო მოფიქრებული. მაგრამ ცასა და ზღვას შუა სივრცის უსაზღვროებამ სიფხიზლე მოჰგვარა დიკს, გაუნელა აგზნება, რამაც აქეთ წამოაყვანინა როზმერი, უკეთ ჩახვდა ზედმეტად გულახდილ ძახილს, იგრძნო ამ შეუმზადებელი სცენის ხიფათი, რაც დაუსწავლელ სიტყვებშიც გამოსჭვივდა.

შეეცადა როზმერის თვითონვე მოსურვებოდა მიბრუნება, მაგრამ ეს არც ისე იოლი იყო, არც დაკარგვა უნდოდა მისი: თითქოსდა ცივმა ჟრუანტელმა დაუარაო, როცა დიკმა გულდიად, და მისთვის ჩვეული ხუმრობით უთხრა:

„თვითონაც არ იცით რა გინდათ, წადით, დედას ჰკითხეთ და გეტყვით“.

იფიქრა, დამბლა დამეცაო, სახელოზე მოჰკიდა ხელი, სასულიერო პირის შესამოსელივით გლუვი ქსოვილი მოხვდა ხელთ. კინალამ ჩაიკეცა, მაგრამ, თავი შეიმაგრა და ერთხელაც სცადა გასროლა:

„თქვენ ჩემთვის ყველაზე შესანიშნავი ადამიანი ხართ, ვისაც კი ოდესმე შევხვედრივარ — დედაჩემის მერე“.

„რომანტიკულად უყურებთ ყველაფერს“.

დიკმა გაიცინა და ამ გაცინებამ აიყვანა ორივენი ისევ ზევით, ტერასაზე, სადაც როზმერი ნიკოლს ჩააბარა დიკმა...

მალე დამშვიდობების დროც დადგა. დაივერებმა იმაზეც იზრუნეს, რომ არავინ გაწვალებულიყო და შინ ყველა მშვიდობით მისულიყო. ტომი ბარბანთან ერთად — რომელსაც თა-

ვისი ბარგიც მიჰქონდა, რათა ოტელში გაეთია ღამე და დილით მატარებლისთვის მიესწრო, დაივერების დიდ „იზოტაში“ ჩასხდნენ მისიზ აბრამზი, ცოლ-ქმარი. მაკისკოები და კემპიონი. ერლ ბრედი მონტე-კარლოში მიემგზავრებოდა, როზმერი და დედამისი ჩაისვა მანქანაში, ამათ მიიყვანდა და მერე გაავრძელებდა თავის გზას. როიალ დამფრიც ამათთან ჩაჯდა, რადგან დაივერების მანქანაში მეტი ადგილი აღარ იყო. ბალში, მაგიდასთან, სადაც ისადილეს, ისევ ისე ენთო ფარნები, დაივერები გვერდივერდ იდგნენ, ჭიშკრის ახლო, ნიკოლი ღიმადა ქცეულიყო, და მომხიბვლელობით ავსებდა ღამეს, დიკი ყველას სახელს ამბობდა და მშვიდობის ღამეს უსურვებდა. ტკივილმა გაჰკრა გაფიქრებაზე, რომ თვითონ აქედან წავიდოდა, ისინი კი თავიანთ სახლში რჩებოდნენ ერთად. მერე ისევ მისიზ მაკისკო გაახსენდა, რა დაინახაო ნეტავ.

IXI

ერთადერთობით მოწყენილ ვარსკვლავს, მჭვირვალედ ბნელ ღამე ეკიდა. წინ მიმავალი „იზოტას“ საყვირის ხმას დახუთული ჰაერი ახშობდა. ბრედის შოფერს ნელა მიჰყავდა მანქანა. „იზოტას“ უკანა ფარები ხანდახან გამოჩნდებოდა ხოლმე გზის მოსახვევში და მერე სულაც მიეფარებოდა თვალს. მაგრამ ათიოდე წუთის შემდეგ ისევ გამოჩნდა, გზის პირას იდგა, ბრედის შოფერმა სვლა შეანელა, მაგრამ იმავე წამს ისიც დაიძრა ადგილიდან, ოღონდ ისე ნელა, რომ იოლად გაასწრეს. ჩავლისას რაღაც ხმაური მოესმათ რესპექტაბელური ღიმიუზინიდან და დაინახეს, რომ დაივერების შოფერს თავისთვის ეცინებოდა. მალე გაასწრეს. მანქანამ სისწრაფეს უმატა, მიჰქროდა გზაზე და გაწოლილ სიბნელეს შიგნავდა, ბოლოს რამდენჯერმე, მოსახვევებში თავქვე დაეშვნენ და გოსის ვეება ოტელთან გაჩერდნენ.

როზმერის სამი საათით ჩაეძინა, მერე კი რული აღარ მიჰკარებია, იწვა და მთვარიან ღამეს გაჰყურებდა. ეროტიკულ სიბნელეში გახვეულს თავიანთი სავარაუდო შეხვედრები ელანდებოდა. ეს შეხვედრები ბოლოს აუცილებლად კოცნით თავდებოდა, მაგრამ კოცნა რაღაცა უსიცოცხლო იყო,

გეგონება კინოშიაო. ვერ ისვენებდა, ტრიალებდა, ეს მისი პირველი უძილო ღამე იყო, სცადა დედამისივით ეფიქრა ყველაფერზე, ზოგი რამ წინანდელი საუბრებიდან გაახსენდა, ცნობიერებაში ბუნდოვნად რომ ჩარჩენოდა და ცხოვრებაში გამოუცდელს ცოტათი ახლა ესეც შველოდა.

როზმერი თავიდანვე მიაჩვიეს საქმეზე ფიქრს, ასე აღზარდეს. ორჯერ დაქვრივების მერე მისიზ სპირსმა, რაც რამ გააჩნდა, ყველაფერი შვილის აღზრდას მოახმარა, თექვსმეტისა რომ შეიქნა და ყვავილივით გაიშალა, მომხიბლავი და მშვენიერთმიანი, დედამ იგი ექს-ლე-ბენში წაიყვანა და მიწვევას არ დალოდებია, ისე მიაყენა კარზე იქ სამკურნალოდ-ჩასულ ცნობილ ამერიკელ პროდიუსერს, მერე კი, ამერიკელი პროდიუსერი ნიუ-იორკს გაემგზავრა და დედა-შვილიც თან გაჰყვა.

„შენ უფრო საქმისთვის გაგზარდეს, და არა იმისთვის, რომ აუცილებლად გათხოვდე. ახლა შენ პირველი და კარგა მაგარი კაკალი ნახე, ისეთი, გატეხვა რომ ღირს, მიდი და სცადე, არ შეშინდე. გამოვა რამე, ხომ კარგი, არ გამოვა და არც მაგით წააგებ, გამოცდილებას შეიძენ, ეგებ ტანჯვის ფასადაც, შენი თუ სხვისი, მაგრამ ეგ არაფერი. ქალიშვილი ხარ, მაგრამ შემოსავლით — თავისთავადი, და ამ მხრივ ჭაბუკი უფრო გეთქმის“.

როზმერი ბევრ ფიქრსა და სჯას მიჩვეული არ იყო, მხოლოდ დედის სრულყოფაზე თუ ფიქრობდა ხოლმე, — მაგრამ ახლა თითქოს საბოლოოდ მოსცილდაო დედას, ველარა და ველარ დაიძინა. ირიჟრაჟა თუ არა და შემინულ კარებს გეგონება ცა ზედ მიეკრა, როზმერი ადგა და ტერასაზე გავიდა ფეხშიშველი. ქვის იატაკი თბილი იყო გუშინდელ მზისგან. ჰაერში საკვირველი ხმები ირეოდა, რაღაცა ჩიტი თითქოს ნიშნისგებით ახმიანდა ჩოგბურთის კორტზე და არა და აღარ ჩერდებოდა. ოტელის უკანა მხარეს ვილაცის ნაბიჯები კვალავდა მიწას, ვილაც მიდი-მოდოდა და ბეტონის საფეხურებზე მტვრიან გზასა და ლორღზე გავლისას, ჭრიალი მოისმა. მერე უკან გამობრუნების ხმა და, შორით მიჩუმდა ყველაფერი. მელნისფერი ზღვისა და გორაკის მუქი ჩრდილების მიღმა ცხოვრობდნენ დაივერები. როზმერიმ თითქოს დაინა-

ხა, ერთმანეთის გვერდითა დგანან, ღიღინებენ, სიმღერას ვერ გაარჩევ, ზევით ადენილ კვამლსა ჰგავს იგი, რომელიდაც შორეულ ჰიმნს, იმათ ბავშვებს სძინავთ, ღამეა და ჭიშკარი დაკეტილი აქვთ.

შიგნით შევიდა ისევ, ესპადრილები და კაბა ჩაიცვა, ისევ გამოვიდა და ტერასის გავლით თითქმის სირბილით წავიდა ჰოლისკენ, რადგან ჯერ კიდევ ეძინათ იმ ოთახებში, რომლებსაც ჩაუარა. უცებ შეჩერდა, სადარბაზოს თეთრ და განიერ კიბეზე ვიღაცა დაინახა. დააკვირდა, ლუის კემპიონი იცნო, საფეხურზე იჯდა და ტიროდა.

კემპიონი ჩუმად, მაგრამ მწარედ ტიროდა, ქალივით უთრობდა მხრები და ზურგი. ეს ყველაფერი ძალიან წააგავდა ეპიზოდს შარშანდელი ფილმიდან, რომელშიც როზმერი თამაშობდა და ძალაუვნებურად გაიმეორა თავისი როლი, მიუახლოვდა და მხარზე შეახო ხელი. მოულოდნელობისაგან, ვიდრე გაარკვევდა ვინ იყო, კემპიონმა წამოიყვირა.

„რა დაგემართათ?“ როზმერი დაიხარა, თვალებში შეხედა. ცნობისმოყვარეობის ნატამალიც არ გამოუხატავს, თანაგრძნობით შესცქეროდა მხოლოდ. „ეგებ შველა შემოძლია?“

„მე ვერავინ მიშველის. თვითონა ვარ დამნაშავე, ხომ ვიცოდდი, ყოველთვის ერთი და იგივე ხდება ხოლმე“.

„იქნებ მითხრათ, რა დაგემართათ?“

შეხედა როზმერის, თითქოს ფიქრობდა, ღირს თუ არა თქმა.

„არა“, გადაწყვიტა ბოლოს, „ჯერ ძალიან ახალგაზრდა ხართ და არ იცით რას განიცდის ხალხი, როცა უყვართ. ეს აგონიაა. დრო მოვა და თქვენც გაიგებთ. მაგრამ რაც გვიან შეგიყვარდებათ, მით უკეთესი. პირველად არ დამმართნია; მაგრამ ახლა რაღაც საშინელებაა და მერე როდის — როცა მეგონა, რომ ყველაფერი კარგად იყო და...“

თენდებოდა, კემპიონს რაღაც საძაგელი სახე ჰქონდა, როზმერის ოდნავაც არ გამოუხატავს თავისი ზიზღი, კუნთიც კი არ შერხევია, არსაითაც არ გაუხედავს, მაგრამ კემპიონმა უტყუარი ალლოთი იგრძნო და უცებვე სხვა თემაზე სცადა საუბრის გადატანა.

„ეიბ ნორთი სადღაც აქ არის“.

„როგორ, ის ხომ დაივერებთან ცხოვრობს“.

„ჰო მაგრამ წამოვიდა იქიდან. — არ იცით, რა მოხდა?“

მესამე სართულზე ვილაცამ დარაბა ხმაურით გამოაღო და ლანძღვას მოჰყვა. ხმაზე ეტყობოდა, ბრიტანელი იქნებოდა.

„არ შეიძლება ხმადაბლა ილაპარაკოთ?!“

შემცბარი როზმერი და ლუის კემპიონი ქვევით, იმ გზაზე გავიდნენ, პლაჟისკენ რომ უხვევდა და გზის პირას, გრძელ სკამზე ჩამოსხდნენ.

„მამ არაფერი იცით? ჩემო ძვირფასო, დაუჭერებელია...“ კემპიონი გამხიარულდა, ეტყობოდა, ახალი ამბის შაუწყებელი კაცის როლი კარგ გუნებაზე აყენებდა, „და რაც შთავიარის ეს ისე უცნაურად და სწრაფად მოხდა, მე მუდამ ვერიდებო გულფიცხ ხალხს, მშლიან და კარგა ხნით ავადა ვხდები ხოლმე“.

გამოხედვაშიც ეტყობოდა, ვიყუდებოდა, ისე უხაროდა, როზმერის ვერ გაეგო, რაზე ლაპარაკობდა, რა უხაროდა.

„ჩემო ძვირფასო“, თქვა ლუის კემპიონმა, მუხლზე დაადო ხელი და წინ გადაიხარა ვითომ — სხვათა შორის არ ვიქცევია ასე, ვიცი რასაც ვამბობ და დამიჯერეთო. „დუელი იქნება“.

„რა-ა?“

„დუელი... ჯერ ცნობილი არ არის რით“.

„დუელი? ვისი? ვისთან?“

„ახლავე ვიამბობთ, თავიდან ბოლომდე“. ღრმად ამოისუნთქა და იმისთანა რიხით დაიწყო, იფიქრებდით, როზმერის პატივს არ მიაგებს რასაც ეტყვის, მაგრამ, სხვა გზა არ არის, არ დაუმაღლავს და ეუბნებაო: „თქვენ ხომ სხვა მანქანით მოდიოდით, ესეც თქვენი იღბალია, მე მთელი ორი წლის სიცოცხლე მაინც დავკარგე, ისე ელვის სისწრაფით მოხდა ყველაფერი...“

„რა, რა მოხდა?“

„არ ვიცი როგორ და რით დაიწყო, ჯერ იმ ქალმა წამოიწყო ლაპარაკი...“

„ვინ?“

„ვაიოლიტ მაკისკომ“. ხმას დაუწია, გეგონება სკამის ქვეშ ვილაცები ისხდნენ და ყურს უგდებდნენ, „დაივერები არ ახსენოთ, ისე იმუქრებოდა, ერთი გაებედა და ვინმეს რამე ეთქვა მაგათზე“.

„ვინ იმუქრებოდა?“

„ტომი ბარბანი. ასე რომ, თქვენ არსადა თქვათ, ჩემგან თუკი რამე შეიტყვეთ. მაინც ვერ გავიგეთ, რისი თქმა უნდოდა ვაიოლიტს, რადგან ბარბანი აწყვეტინებდა ხოლმე, მერე უკვე ქმარი ჩაერია და ახლა, ჩემო კარგო, დუელი იქნება. დღეს, დილის ხუთზე, ზუსტად ერთი საათის მერე“. ღრმად ამოიოხრა, ისევ თავისი უბედურება მოაგონდა. „მე მაინც ვიყო იმათ მაგივრად, მოვმკვდარიყავი, სულ ერთია, სიცოცხლე უკვე არაფრად მიღირს“. მწუხარედ ირწეოდა აქეთ-იქით.

ისევ გარახუნდა დარაბა ზევით და ისევ იმ ბრიტანელის ხმა მოისმა:

„რა ამბავია, ბოლოს და ბოლოს! არ გაათავებთ?!“

სწორედ ამ დროს ეიბ ნორთი გამოვიდა ოტელიდან. რაღაც დაბნეულად მიიხედ-მოიხედა აქეთ-იქით, როზმერი და კემპიონი დაინახა; ინათა, ზღვას უკვე თეთრი ცა დაჰყურებდა და ორთავე კარგად ჩანდნენ. ეიბს გამოლაპარაკება უნდოდა, მაგრამ როზმერიმ თავის გაქნევით ფრთხილად ანიშნა და გზის პირასვე, ოღონდ მოშორებით, სხვა სკამზე გადასხდნენ. როზმერიმ შეამჩნია, ეიბი ცოტათი მთვრალი იყო.

„თქვენ რაღად არ გძინავთ?“ ჩაეკითხა ეიბი.

„მე ეს-ეს არის გამოვედი“. როზმერის უნდოდა გაეცინა, მაგრამ დროზე გაახსენდა ის ბრიტანელი და თავი შეიკავა.

„ბუღბუღლის ხმამ მოგაჯადოვათ?“ თქვა ეიბმა და დაუმატა: „არა, უთუოდ ბუღბუღლის ხმამ მოგხიბლათ... უკვე გიამბოთ ამ ჭრა-კერვის წრის წევრმა რა ამბავიც მოხდა?“

კემპიონმა ღირსებით აღსავსე კაცის იერით მიუგო:

„მე მხოლოდ ის ვიცი, რაც ამ ყურებით გავიგონე“.

წამოდგა და ჩქარა გასცილდა იქაურობას. ეიბი როზმერის გვერდით დაჯდა.

„ასე ცუდად რად ექცევით?“ ჰკითხა როზმერიმ.

„ვითომ ცუდად მოვექეცი?“ გაიოცა ეიბმა. „მთელი დილა ასე ღნავის.“

„იქნება რამე უჭირს“.

„შეიძლება“.

„ეს რაღა მითქმა-მოთქმაა დუელზე? ვისა აქვს დუელი და

ვისთან? არადა, შევამჩნიე, იმ მანქანას რომ ჩავუარეთ, ყვე-
ლაფერი რიგზე არ იყო. მართალია?”

„კაცმა რომ თქვას, მამლაყინწაობაა და მეტი არაფერი,
მაგრამ ასეა თუ ისე, მართალია“.

XI

ეტყობა არეულობა მანამდე დაიწყო, ვიდრე ერლ ბრედის
მანქანა დაივერების გზის პირას გაჩერებულ მანქანას გაუს-
წრებდა — ეიბის თანაბარი ხმა რიჟრაჟს მოყოლილ იდუმალ
ხმაურს ერეოდა — ვაიოლიტ მაკისკო მისიზ აბრამუს რაღა-
ცას უამბობდა დაივერებზე; ზევით ასვლისას, ისეთი რამ ვნა-
ხე, გავშტერდიო. ტომი კი, როცა დაივერებს ეხება საქმე
ქოფაკივით არის, ცუდად არავის არაფერს ათქმევინებს მა-
გათზე. ისე, უნდა ითქვას, ეს მისიზ მაკისკო აუტანლად ძნე-
ლი და გამომწვევი ვინმეა. მაგრამ ეს არ არის მთავარი. საქმე
ის არის, რომ დაივერებს, ორთავეს, თავიანთი მეგობრების
ცხოვრებაში გამორჩეული ადგილი უჭირავთ, იმაზე მეტი,
ვიდრე ბევრ მათგანს ჰგონია. რა თქმა უნდა, ასეთ ურთიერ-
ობაში რაღაც იკარგება, იმათთან ყოფნისას ზოგჯერ გგონია,
მომხიბლავ საბალეტო წყვილს უყურებ, ბალეტი კი, მოგეხსე-
ნებათ, ყურადღებას იტაცებს და გზიბლავთ, მაგრამ აქ უფრო
რთულადაა საქმე, მთელი ამბები უნდა იცოდე, ისე ძნელია
გაგება. ასეა თუ ისე, ტომი ერთი იმათგანია, ვინც დიკის გა-
მო ნიკოლსაც დაუახლოვდა და როგორც კი მისიზ მაკისკომ
თავისი ამბის მოყოლა დაიწყო, მაშინვე ეცა:

„მისიზ მაკისკო, თუ შეიძლება გაათავეთ ლაპარაკი მისიზ
დაივერზე“.

„თქვენ, არ გელაპარაკებით“, შეეპასუხა იგი.

„თავი დაანებეთ დაივერებს, ძალიან გთხოვთ“.

„რა, სალოცავები არიან?“

„დაივერებს თავი დაანებეთ, მისიზ მაკისკო. სხვა რამეზე
ილაპარაკეთ“.

მანქანაში ერთ გადასაშლელ სკამზე ტომი იჯდა, მეორეზე
კი კემპიონი და იმან მიამბო ყველაფერი.

„თქვენ ნუ მასწავლით“, გაბრაზდა ვაიოლიტი.

ხომ იცით როგორც ხდება ხოლმე, როცა გვიან ღამით მან-

ქანით ბრუნდებიან წვეულებიდან, ჩურჩული, ჭორაობა, ზოგს კი აღარც ახსოვს რა იყო საღამოზე და თავისაზე ფიქრობს, ზოგო დაქანცულია და ეძინება. აქაც ასე, არავინ იცის რა მოხდა, სანამ მანქანა არ გაჩერდა და ბარბანმა კავალერისტივით არ დაიძახა:

„ოტელამდე ერთ მილზე მეტი არ იქნება და ფეხით წაბრძანდით, არა და, ვიცი როგორც წახვალთ, მოკეტეთ თქვენც და თქვენმა ცოლმაც!“

„თქვენ შარზე ხართ“, დაიყვირა მაკისკომ, „დიდ გულზე ხართ იმიტომ, რომ ჩემზე მაგარი კუნთები გაქვთ, მაგრამ მე თქვენი არ მეშინია, სამწუხაროა, რომ არა გვაქვს დუელის კოდექსი“.

აი აქ დაუშვა შეცდომა, დაავიწყდა, რომ ტომი ფრანგია. ხელი მოუქნია და გაარტყა მაკისკოს, მერე კი შოფერმა, ეტყობა იფიქრა, დროაო და მანქანა ადგილიდან დაძრა. მაშინ იყო, რომ თქვენ გაუსწარით. ქალებმა კივილი ატეხეს. მთელი ეს ამბავი ოტელში მისვლამდე გრძელდებოდა.

ტომიმ კანში დაურეკა თავის მეგობარს და სეკუნდანტობა სთხოვა. მაკისკოს კემპიონი არ უნდოდა სეკუნდანტად, — სხვათა შორის არც ამას გამოუხატავს დიდი სურვილი, და მე დამირეკა, ტელეფონით არ უამბნია და აქ ჩამოსვლა მთხოვა. ვაიოლიტ მაკისკოს გული წაუვიდა, მისიზ აბრამშმა თავის ოთახში შეიყვანა, წამალი მისცა და ამასაც მშვიდად ჩაეძინა. როცა ჩამოვედი და გავიგე რაც მოხდა, ვცადე ტომისთვის გადამეთქმევიინებინა, მაგრამ მოითხოვა, მაკისკომ ბოდიში მოიხადოსო, მაკისკო კი დიდ გულზეა და ბოდიში არც უფიქრია.

ეიბმს მოყოლა დაამთავრა და შეფიქრიანებულმა როზმერიმ ჰკითხა:

„დაივერებმს იციან, რომ ყველაფერი იმათ გამო მოხდა?“

„არა — და არც არასოდეს გაიგებენ. ამ იდიოტ კემპიონს თითქოს მეტი საქმე არა ჰქონდა, რომ დადგა და ყველაფერი დაფქვა თქვენთან, მაგრამ ამას აღარაფერი ეშველება. შოფერი კი გავაფრთხილე, თუ ხმას ამოიღებ, ჩემს ძველ მუსიკა-

ლურ ხერხს გამოვცდი-მეთქი. მაგრამ ტომის ეს ორთაბრძო-
ლა არ უშველის, მაგას მართალი ომი სჭირდება.“

„იმედია, დაივერები არაფერს გაიგებენ“, თქვა როზმერიმ.

„მაკისკოსთან უნდა წავიდე, ვნახოთ ერთი. ხომ არ გამომ-
ყვებით? გაუხარდება, არავინა ჰყავს, საწყალს ალბათ თვალიც
არ მოუხუჭავს“.

როზმერიმ ცხადად დაინახა, რა დღეში იქნებოდა ეს უშ-
ნო, ჭინჭყლი და ბრაზმორეული კაცი. წუთით შეყოყმანდა,
მერე სიბრაღულმა სძლია ზიზღს და დათანხმდა, დილაადრიან-
ნი ძალ-ღონით სავსემ აირბინა კიბე ეიბთან ერთად.

მაკისკო საწოლზე ჩამომჯდარიყო, სიმთვრალისა და დიდ
გულზე ყოფნისა, აღარაფერი ეტყობოდა, თუმცა, შამპანურის
ჭიქა ისევ ხელში ეჭირა. ფერი აღარ ედო, ძალაგამოცლილი, გა-
ღიზიანებული ჩანდა. ეტყობა მთელი ღამე წერდა და სვამდა,
დაბნეულად შეათვალიერა ეიბი და როზმერი.

„უკვე დროა?“

„არა, ოცდაათი წუთი კიდევ დარჩა“.

მაგიდაზე ქაღალდები ეყარა, ალბათ ერთი გრძელი წერი-
ლის ფურცლები. ძლივს მოუყარა თავი და დააღაგა. ბოლო
გვერდების სტრიქონები გაკრული ხელით ეწერა და ძნელი
გასარკვევი იყო. რიჟრაჟის მოძალებისას თანდათან მიმქრალ
ლამპის შუქზე წერილს ბოლოში ხელი მოაწერა და ეიბს გაუ-
წოდა.

„ჩემს ცოლს გადაეცით“.

„შიდით, თავი ცივ წყალს შეუშვირეთ“, ურჩია ეიბმა.

„თქვენ ფიქრობთ, საჭიროა?“ დაეჭვებით ჰკითხა მაკისკომ,
„მთლად გამოფხიზლება არც მინდა“.

„საშინელი შესახედი ხართ“.

მაკისკო მორჩილად წავიდა სააბაზანოსკენ.

„საშინლად არეულ საქმეებს ვტოვებ“, დაიძახა მან. „არ
ვიცი რანაირად დაბრუნდება ამერიკაში ვაიოლიტი. დაზღვეუ-
ლიც კი არა ვარ, ვერც ამას მოვაბი თავი“.

„რას როშავთ, ერთი საათის მერე მშვიდად ისაუბმებთ
ოტელში“.

„ჰო, ვიცი, რა თქმა უნდა“. მალე დაბრუნდა. თმა სველი
ჭქონდა. შეფიქრიანებულმა ისე შეხედა როზმერის, თითქოს

პირველად ხედავსო, მერე უცებ თვალები ცრემლებით ავე-
სო.

„რომანი მაინც ვერ დავამთავრე. ყველაზე მეტად ესა მტან-
ჯავს. თქვენ კარგი თვალით არ მიყურებთ“, როზმერის უთხ-
რა, „მაგრამ რას იზამ, უწინარესად მე მწერალი ვარ“. ისე
სევდიანად ამოიოხრა, თითქოს გული ამოაყოლო და უიმე-
ლოდ გააქნია თავი. „ბევრჯერ შევცდი ცხოვრებაში, ძალიან
ბევრჯერ, მაგრამ მე მაინც ერთ-ერთი გამოჩენილი ადამიანი
ვარ, ასე თუ ისე...“

ველარ დაამთავრა და ჩამქრალ სიგარეტს დაუწყო ქაჩვა.

„როგორ არ გიყურებთ კარგი თვალით“, უთხრა როზმე-
რიმ, „ოღონდ მე ვფიქრობ, ეს დუელი არ უნდა მოხდეს“.

„ჰო, კარგი იყო ბარბანი ერთი მაგრად მიმებეგვა, აი ეს კი
ღირდა, მაგრამ რაც არის არის, რაღას ვიზამ. ისეთ საქმეში
გავები, რისი უფლებაც მე არა მქონდა, ძალიან ფიცხი ვარ...“

ეიბს დაკვირვებით შეხედა, თითქოს მოელოდა, რომ შეე-
დავებოდა. მერე უცნაურად გაიცინა და ისევ ჩამქრალი სიგა-
რეტი მიიტანა პირთან. ხშირ-ხშირად სუნთქავდა.

„მთელი უბედურება ის არის, რომ მე თვითონ წამოვიწყე
დუელზე ლაპარაკი. ვაიოლიტი მაინც რომ გაჩერებულიყო,
კიდევ რაღაცას გავხდებოდი. ცხადია, ახლაც არ არის გვიან,
შეიძლება სულაც ავდგე და სადღაც წავიდე ან ყველაფერზე
გავიცინო, მაგრამ მეშინია, ვაიოლიტი არასოდეს მაპატიებს“.

„სულაც არა“, თქვა როზმერიმ, „უფრო მეტ პატივსაც
გცემთ“.

„თქვენ არ იცნობთ ვაიოლიტს. თუ უპირატესობასა
გრძნობს ვინმეს მიმართ, ან თვითონ უფრო ძლიერია, მაშინ
ძალიან მკაცრია ხოლმე. თორმეტი წელია ცოლ-ქმარი ვართ,
გოგონა გვყავდა, შვიდი წლისა მოგვიკვდა, მერე ხომ იცით,
როგორცა ხდება, თავს ნება მივეცი და განზე დავიწყეთ ყუ-
რება, არაფერი სეროზული, მაგრამ მაინც, როგორღაც კი დავ-
შორდით. გუშინ, ლაჩარი ხარო, დამიძახა“.

როზმერი შეწუხდა, ველარაფერი უთხრა.

„კარგი, შევეცდებით ისე ჩაიაროს ყველაფერმა, რომ
მაინცდამაინც არ დავზარალდეთ“. თქვა ეიბმა და ტყავის ბუ-
დე გახსნა. „ბარბანის სადუილო რეკოლვერებია, თან წამო-

ვიღე, რომ წინასწარ ნახოთ რაც არის. ბარბანს სულ თან დააქვს“. ეიბმა ერთ-ერთი ძველებური რევოლვერი აიღო ხელში, სიმძიმე გაუსინჯა. როზმერიმ უმწეოდ შეჰყვირა, მაკისკომ შეშფოთებულმა შეხედა რევოლვერებს.

„რა აუცილებელია, რომ ერთმანეთს ამ ძველი, ორმოცდახუთკალიბრიანებით ვესროლოთ“.

„არ ვიცი“, შეუბრალებლად მიუგო ეიბმა. „საერთოდ მიჩნეულია, რომ გრძელლულიანი რევოლვერით უფრო იოლია დამიზნება“.

„მანძილი?“ ჰკითხა მაკისკომ.

„ამაზეც გავიგე ყველაფერი. თუ ორივე მხარე მოწინააღმდეგის მოკვლაზე ფიქრობს, რვა ნაბიჯს ნიშნავენ, თუ ბოღმა უნდათ გახეთქონ, ოც. ნაბიჯს, ხოლო თუ ღირსების დაცვაა მიზანი, ორმოც-ნაბიჯს ითვლიან“.

„კარგია“.

„საინტერესო ღუელია აღწერილი პუშკინის¹ ერთ მოთხრობაში“, გაიხსენა ეიბმა. „მოწინააღმდეგეები ორივენი უფსკრულის პირას დგანან, ამ დროს, სულ მცირე ჭრილობაც კი დალუპვას ნიშნავს“.

ეტყობა, მაკისკო ვერ უსმენდა, ან ძლივს გაიგო რა თქვა ეიბმა და ჰკითხა:

„რა?“

„არ გინდათ ერთი ჩაყვინთოთ წყალში? გამოცოცხლებით“.

„არა, არა, აბა რა ცურვის ჯავრი მაქვს ახლა“, ამოიოხრა მაკისკომ. „ვერ გამიგია“, უმწეოდ თქვა, „რა მრჯის?“

ეს პირველი რამ იყო, რასაც ცხოვრებაში აკეთებდა; მაკისკო იმ ხალხს ეკუთვნოდა, რომელთათვისაც გრძნობადი სამყარო არ არსებობს, და როცა კონკრეტული ფაქტის წინაშე აღმოჩნდა, დაიბნა, გაკვირდა.

„უკვე შეიძლება წასვლა“. ხედავდა მაკისკო რა ღღეშიც იყო და ეიბმა ადგომა ამჯობინა.

„კარგი“. მაკისკომ კარგა ბლომად მოსვა ბრენდი, მათარა

ჯიბეში ჩაიღო, ველურივით იყურებოდა: „ვთქვათ და მე მოვკალი — ციხეში ჩამსვამენ?“

„იტალიის საზღვარზე გადაგსვამთ“.

როზმერის შეხედა და მერე დამნაშავესავით მიმართა ეიბს:

„წასვლამდე რაღაცაზე მინდა ცალკე გელაპარაკოთ“.

„იმედი მაქვს, ერთი თქვენგანიც არ დაიჭრება“, თქვა როზმერიმ, „სისულელეა ეს დუელი და ყველაფერი უნდა იღონოთ, რათა თავიდან აიცილოთ“.

XI.

ქვევით, ცარიელ ვესტიბიულში როზმერი კემპიონს შეხვდა.

„დაგინახეთ, ზევით რომ ადიოდით“. აღელვებით თქვა.

„მაკისკო როგორ არის? დუელი როდის იქნება?“

„არ ვიცი“. არ მოეწონა კემპიონის ხმა, თითქოს ცირკს ეხებოდა საქმე და მაკისკო კი ტრაგიკული მასხარა ყოფილიყო.

„წამოხვალთ ჩემთან ერთად?“ ისე თქვა, ერთი „ზედმეტი ადგილიაო“, რომ იტყვიან, „მანქანა შევუკვეთე ოტელში“.

„არ მინდა წასვლა“.

„რატომ? მართალია ერთი ორი წლის სიცოცხლე დამაკლდება, მაგრამ ასეთ რამეს უნდა შეხედო, მერე მოყოლით რას გაიგებ. შეგვიძლია მანქანა გავაჩეროთ, იქამდე არც მივიდეთ და შორიდან ვუყუროთ“.

„იქნებ, მისტერ დამფრის უთხრათ, და ის წამოგყვით“.

კემპიონს მონოკლი ჩამოუვარდა, ამჯერად ველარსად ჩაემალეობდა იგი. გაიმართა და უპასუხა:

„მე მასთან საქმე აღარა მაქვს“.

„სამწუხაროდ, არ შემიძლია წამოვიდე. დედას ეს არ გაუხარდება“.

როზმერი თავის ოთახში შევიდა, მეორე ოთახში საწოლმა გაიჭრიალა და მისიზ სპირსმა ნამძინარევი ხმით იკითხა:

„სად იყავი?“

„არ მეძინებოდა და გარეთ გავედი. დაიძინე, დედა“.

„შემოდი“. როზმერიმ გაიგონა, დედა რომ წამოჯდა, შევიდა და რაც მოხდა, უამბო.

„რატომ არ გინდა, რომ წახვიდე?“ ჰყობა მისი სპირსმა, „ბოლოს და ბოლოს, მოშორებით გაჩერდები, იქნება რა დასჭირდეთ და შენი შველა საჭიროც გახდეს“.

როზმერო მერყეობდა, ამ სანახაობის შემყურე თავისი თავი წარმოიდგინა და არ მოეწონა მისი სპირსი კი ჯერ ისევ ძილ-ღვიძილში იყო, აზრები ერეოდა. თავისი წარსულიდან, როცა ექიმის ცოლი იყო, ღამით მომაკვდავთან თუ უბედური შემთხვევის ადგილზე გამოძახება გაახსენდა. „მე მინდა, რომ უჩემოდ, შენ თვითონ იცოდე სად წახვიდე და რა გააკეთო, რეინის სარეკლამო ტრიუკებისთვის ხომ გააკეთე უფრო ბევრი რამ და უფრო ძნელიც“..

მაინც ეჭვობდა, რად უნდა წავიდეო, მაგრამ დედის მკაფიო და დამაჯერებელ ხმას დაემორჩილა, როგორც მაშინ, როცა თორმეტი წლისა იყო და დედამ პარიზში მკაცრად უთხრა, „ოდენოში“ მსახიობების შესასვლელიდან შედიო. მერე კი მიეფერა და წარმატება მიულოცა.

კიბეზე იდგა, ჯერ ისევ ფიქრობდა, როცა მაკისკო და ეიბი დაინახა, უკვე მანქანაში ისწდნენ და მიდიოდნენ. როზმერიმ შვებით ამოისუნთქა. მაგრამ თითქმის მაშინვე ოტელის მანქანამ გამოუხვია კუთხიდან. ლუის კემპონმა ხრინწიანი ხმით შეჰყვირა, როზმერის მანქანის კარი გაუღო და გვერდზე მოიხსვა:

„განგებ დავიმხლე, არ დაგვიშალონ-მეთქი. არადა, ხომ ხედავთ, კინოაპარატიც კი წამოვიღე“.

როზმერიმ, მეტი რომ ვეღარაფერი თქვა, გაიცინა, იმდენად საზიზღარო იყო, რომ ზიზღსაც აღარ იწვევდა, უბრალოდ, აღამიანს აღარა ჰგავდა.

„საინტერესოა, რატომ არ უყვარს მისი მაკისკოს დაივერები?“ იკითხა როზმერიმ. „ისინი კარგად ექცეოდნენ“.

„როგორ არ უყვარს. საქმე ის არის, რომ მისი მაკისკომ იმათთან რაღაცა დაინახა. ჩვენ კი ვერა და ვერ გავიგეთ — რა ბარბანის ბრალია“.

„ესე იგი, თქვენ ამის გამო არ იყავით შეწუხებული?“

„არა, რას ამბობთ!“ ხმა გაუწყდა, „ის ამბავი ოტელში დაბრუნების მერე მოხდა, მაგრამ ახლა ჩემთვის უკვე სულ ერთია — მე ხელები დამიბანია, ამაზე ფიქრიც აღარ მინდა“.

ეიბის მანქანას მიჰყვებოდნენ, უუან-ლე-პენს ჩაუარეს, სადაც ახალი კაზინოს კარკასი აღემართათ უკვე და სანაპირო გზით აღმოსავლეთის მხარეს გაუყვნენ. დილის ოთხ საათზე მეტი იყო. ცას მოლურჯო-მონაცრისფრო ფერი ედო, მეთევზეთა პირველი ნავები ჭრიალით გადიოდნენ ზღვაში. ცოტა ხნის მერე მანქანებმა მთავარი გზიდან გადაუხვიეს და ეს ადგილიც უკან მოიტოვეს.

„ახლა გოლფის მინდორი გამოჩნდება!“ დაიძახა კემპიონმა. „ეჭვი არ მეპარება, რომ დუელი იქ იქნება“.

კემპიონი მართალი იყო, ეიბის მანქანა გაჩერდა. დილიდანვე ეტყობოდა, ცხელი დღე იქნებოდა. აღმოსავლეთით ცას წითელ-ყვითელი ზოლები აჩნდა, რაც ყოველთვის პაპანაქებას მოასწავებს ხოლმე. კემპიონმა და როზმერიმ შოფერს ფიჭვნარში გააჩერებინეს მანქანა და თვითონ ტყის პირას ჩრდილში მიდიოდნენ, გარშემო უვლიდნენ იმ მინდორს, სადაც ეიბი და მაკისკო — ხანდახან შეშინებული ბოცვერდით რომ წაიგრძელებდა ხოლმე კისერს, სიცხისაგან გადათეთრებულ ბალახზე დადიოდნენ, და მაშინ, გოლფის ბურთის შორეულ სანიშნესთან ვილაცები გამოჩნდნენ, ბარბანი და მისი ფრანგი სეკუნდანტი იყვნენ, აქეთ მოდიოდნენ, სეკუნდანტი უკან მოჰყვებოდა ბარბანს, ილღიაში რევოლვერებიანი ყუთი ამოედო.

შემცბარი მაკისკო ეიბის ზურგს უკან ამოეფარა და ბრენდიანი მათარა მოიყუდა. მერე ხველებ-ხველებით, ჭეგონება ყელში რაღაც გაეჩხირაო, სწრაფად წავიდა პირდაპირ და ალბათ დაეჯახებოდა მისკენ მომავალ მოწინააღმდეგეს, ეიბს რომ არ შეეჩერებინა. თვითონ ეიბი ფრანგთან მოსალაპარაკებლად მიდიოდა. მზე წითლად ამოსულიყო.

კემპიონი მხარში ჩაეჭიდა როზმერის.

„არა, ამის გაძლება არ შემძლია“, ლამის უხმოდ დაიწრიპინა. „ეს უკვე მეტისმეტია ჩემთვის, ორი წლის სიცოცხლე მაინც...“

„თავი დამანებეთ!“ დაუყვირა როზმერიმ, შეტრიალდა და მხურვალედ მოჰყვა ლოცვას ფრანგულად.

დუელანტები ერთმანეთის პირისპირ დადგნენ, ბარბანს იდაყვზემოდ აეწია სახელოები. თვალები უელავდა მზეზე,

აწრიალებულივით იხედებოდა, თუმცა ხელისგული აუჩქარებ-
ლად და მშვიდად შეიმშრალა შარვალზე. ბრენდმა მაკისკოს
გამბედაობა შემატა, ტუჩები წინ გამოეწია, თითქოს უსტვენ-
სო, ან ვითომც აქ არაფერიო და სანამ ეიბი ცხვირსახოცით
ხელში ერთი ნაბიჯით წაიწეოდა, გრძელი ცხვირი შეათამაშა.
ფრანგი სეკუნდანტი მეორე მხარეს იყურებოდა. როზმერი
ლამის იხრჩობოდა საცოდაობით, ლამის კბილებს აკრაჭუნებ-
და, ისე სძულდა ახლა ბარბანი. მერე:

„ერთი — ორი — სამი!“ დაჭიმული ხმით დაიძახა ეიბმა.

ორივემ ერთდროულად გაისროლა. მაკისკო შექანდა. მაგ-
რამ მაშინვე თავი შეიმაგრა. ორივემ ააცდინა.

„საკმარისია!“ დაიძახა ეიბმა.

დუელანტებმა წინ წამოიწიეს. ყველამ სათითაოდ შეხედა
ბარბანს.

„ვაცხადებ, რომ არა ვარ დაკმაყოფილებული“.

„რა? დაკმაყოფილებულიცა ხართ და მეტიც“, მოუთმენ-
ლად თქვა ეიბმა. „ეგ არის, რომ ჯერ ვერ მიმხვდარხართ“.

„თქვენი კლიენტი უარს ამბობს მეორე სროლაზე?“

„რას ჩმახავთ, ტომი. თქვენ თქვენსას მოითხოვდით და ჩემ-
მა კლიენტმაც ის შეასრულა, რაც მოეთხოვებოდა.“

ტომიმ აგდებულად გაიცინა.

„მანძილი სასაცილო იყო“, თქვა მან. „ასეთ ფარსებს მიჩ-
ვეული არა ვარ. თქვენს კლიენტს უნდა ახსოვდეს, რომ ამე-
რიკაში არ იმყოფება“.

„ამერიკაზე ცოტა ფრთხილად ილაპარაკეთ“, საკმაოდ მკვეთ-
რად უთხრა ეიბმა და მერე უფრო შემრიგებლური ხმით მი-
მართა, „საკმაოდ შორს შევტოპეთ, ტომი“. ერთ წუთს ჩუმად
რალაცაზე დაობდნენ, მერე ბარბანმა თავი დაიქნია და ყოფილ
მოწინააღმდეგეს შორიდან ცივად დაუკრა თავი.

„ხელის ჩამორთმევა?“ იკითხა ფრანგმა ექიმმა.

„უკვე იცნობენ ერთმანეთს“, მიუგო ეიბმა.

ეიბი მაკისკოსკენ მიტრიალდა.

„წავიდეთ, გავათავეთ“.

ნაბიჯი წადგეს წასასვლელად და აგზნებული მაკისკო
მკლავში სწვდა ეიბს.

„მოიცადეთ“, უთხრა ეიბმა. „ტომის რევოლვერი უნდა მივცეთ, კიდევ გამოადგება“.

მაკისკომ რევოლვერი გაუწოდა ეიბს.

„ეშმაკსაც წაუღია მაგისი თავი“, ჭირვეულად დაიძახა მაკისკომ, „უთხარით, რომ მას შეუძლია...“

„ვუთხრა, რომ გსურთ მეორედ სროლა?“

„კარგად გავედი დუელში“ მაკისკომ, როცა გზას დაადგნენ, მაშინ იყვირა. „ასე არ არის? ძალიან კარგად. უღიმღამოდ და ისე კი არა“.

„მთვრალი იყავით“, მოუჭრა ეიბმა.

„არა, მთვრალი არა“.

„არ იყავით, ჰო, იყოს ასე“.

„თუკი კიდევაც დავლიე ცოტა, მერე რა მოხდა, ამით ვითომ რა შეიცვალა?“

თანდათანობით გულდაჯერებული მაკისკო რიხით ლაპარაკობდა და დროდადრო უკვე ბოლმამორეულიც გახედავდა ხოლმე ეიბს.

„ჰო, ამით რა შეიცვალა?“ ჩააცვივდა ეიბს.

„თუკი არ გესმით, ახსნაც არა ღირს“.

„არ იცით, ომში ყველა თვრებოდა?“

„მოვრჩეთ. რაც იყო იყო“.

„მაგრამ კიდევ დარჩა რაღაც, მთლად დამთავრებული არა ჩანდა ეს ამბავი. ბალახზე ვილაც მორბოდა, სირბილით ეწეოდა მათ. დაინახეს, ექიმი იყო, სულს ძლივს ითქვამდა.“

„Pardon, messieurs“, აქოშინებულმა მიმართა ორივეს.

„Voulez — vous régler mes honoraires? Naturellement c'est pour soins médicaux seulement. M. Barban n'a qu'un billet de mille et ne peut pas les régler et l'autre a laissé son porte-monnaie chez lui“¹.

„ფრანგი რის ფრანგია, თუ ასე არ მოიქცა“, თქვა ეიბმა და მერე ექიმს ჰკითხა: რამდენი?

„მე გადავიხდი“, თქვა მაკისკომ.

„არა, ჩემზე იყოს. ერთი ხიფათი გველოდა ყველას“.

¹ ბოლიშს ვიხდი, ბატონებო, მე ხომ ჩემი ჰონორარის მიღება მინდა? საექიმო შემწეობისათვის, რაღა თქმა უნდა. მესიე ბარბანს არ შეეძლო გადახდა, რადგან მხოლოდ ათასფრანკიანი აქვს და, მეორე ბატონს კი საფულე შინ დაჩა (ფრანგ.).

სანამ ეიბი ექიმს უხდიდა, მაკისკო უცებ ბუჩქებში შევარდა და აღებინა. იქიდან გამოსულს ფერი აღარ ედო. ნელა მიჰყვა ეიბს მანქანამდე. დილის მზე უკვე ვარდისფრად ანათებდა.

ჩირგვნარში ზურგზე იწვა კემპიონი და სული ეხუთებოდა, ის დაზარალდა ამ დუელში. როზმერიმ, რომელსაც უცებ ისტერიკული სიცილი აუტყდა, სანდლის წვერი წაჰკრა კემპიონს და ვიდრე ზეზე არ წამოდგა, აღარ მოეშვა. ახლა მისთვის ერთი რამ იყო უმთავრესი — რამდენიმე საათის მერე პლაჟზე იმას ნახავდა, ვისაც ჯერ ისევ „დაივერებს“ ეძახდა ფიქრით.

XII

ვუაზენტან ნიკოლს ელოდნენ, ექვსივე, როზმერი, ნორთები, დიკ დაივერი და ორი ახალგაზრდა ფრანგი მუსიკოსი. ისხდნენ და რესტორანის სხვა კლიენტებს აკვირდებოდნენ — დიკი ირწმუნებოდა, ჩემსავით არც ერთ ამერიკელ მამაკაცს არ შეუძლია ხალხში ბუნებრივად თავის დაჭერაო, ამათ კი სურდათ, საპირისპირო რამ დაენახათ, მაგრამ თითქოსდა ჯიბრზე, ათი წუთი გავიდა და ერთი კაციც არ შემოსულა რესტორანში, რომ სახეზე არ წაეგლო ხელი.

„ტყუილად აღარ ვატარებთ გაწყებილ და შეღებილ ულვაშს“, თქვა ეიბმა. „მაგრამ მაინც, იმის თქმა, თითქოს დიკი ერთადერთია, ვისაც კარგად უჭირავს თავი, არ არის სწორი“.

„სწორია“, მიუგო დიკმა.

„ერთადერთი, ვისაც კარგად უჭირავს თავი, თუ ფხიზელია“.

შემოვიდა კარგად ჩაცმული ამერიკელი ორ ქალთან ერთად, ლალი მიხრა-მოხრით, ლაპარაკ-ლაპარაკით მივიდნენ ერთ თავისუფალ მაგიდასთან და დასხდნენ. ამერიკელმა უცებ იგრძნო, რომ უყურებდნენ და მაშინვე კაშნეზე წაივლო ხელი, არადა, ყველაფერი წესრიგში ჰქონდა. სხვა მამაკაცი ხომ, სანამდე ადგილს შესთავაზებდნენ და დაჯდებოდა, წამდაუწუმ წაივლებდა სახეზე ხელს, — ამ კაცს კიდევ სხვა კაციც ახლდა, ის, უნებურად, ჩაუქრობელ სიგარას ხან ზევით ასწევდა, და ხან დაუშვებდა. სხვები შედარებით კარგ დღეში იყვნენ, ზოგი სათვალეს ათამაშებდა ხელში და ვიღაცა კიდევ, ხალხე ამო-

სულ თმას იწვალებდა. ზოგნი, უქმად ყოფნის გამო, სხვა ვერაფერი მოეფიქრათ და პირზე იღებდნენ ხელს ან ყურის ბიბილოს ისე ექაჩებოდნენ, ლამის ჩამოეგლიჯათ.

ახლა კარგად ცნობილი გენერალი შემოვიდა და ეიბ ნორთმა, იმის იმედით, რომ პირველ წლიდანვე უესტ პოინტში ისეთი წვრთნაა, რასაც ვერც ერთი ჯადეტი ვერ ასცდება და რაც მერე ყველას უკვე ძვალ-რბილში უჯდება ხოლმე, დიკს ხუთ დოლარზე დაუდო სანაძლეო.

გენერალს ხელები ჩამოეშვა, მშვიდად იდგა და იცდიდა, როდის შესთავაზებდნენ ადგილს, რომ დამჯდარიყო. უცებ ორივე ხელი ჯამბაზ თოჯინასავით უკან გაიქნია და ის იყო, დიკმა კინალამ წამოიყვირა სიხარულით, რომ გენერალი ისევ გაიმართა და ყველამ შვებით ამოისუნთქა — ტყუილუმბრალოდ შეშფოთდნენ თურმე, ბიჭმა სკამი შესთავაზა და... გაჯავრებულმა მხედართმთავარმა ჭაღარაზელა წაივლო ხელი და მოიფხანა.

„ხომ დაინახეთ“, რიხით თქვა დიკმა, „ერთადერთი ვარ“.

როზმერისთვის, მაინც ეს ასე იყო. დიკი ხედავდა, მშვენიერი აუდიტორია ჰყავდა და ისე გაამხიარულა და შეაკავშირა ყველა, რომ თავიანთ გარდა ველარავის ამჩნევდა როზმერი. ორი დღის წინათ ჩამოვიდნენ პარიზში, მაგრამ თითქოს ჯერ ისევ პლაჟზე, ქოლგებქვეშ იხდნენ. როცა წუხელ პაჟთა კორპუსის მეჯლისზე მისთვის უცხო გარემოში მოხვდა, პოლივუდის სადამოებს ჯერ კიდევ შეუჩვეველი როზმერი აქაც ცოტა დაიბნა, მაგრამ დიკი იქ იყო, ის შველოდა; მეგობრულად ხვდებოდა ყველას, რჩეულთა შორის რჩეულებს, რადგან დაივერებს ხომ ყველგანა ჰყავდათ მეგობრები. მაგრამ, ეტყობა, ერთმანეთს ხშირად არ ხვდებოდნენ და ამიტომ იყო, რომ, სად დაიკარგეთ, აღარ ჩანხართო, შესძახებდნენ ხოლმე და მაშინათვე ისევ შეიკვრებოდა ვიწრო წრე ახლობლებისა, და ყველას, ვინც კი ამ წრის გარღვევას შეეცდებოდა, თავაზიანი, მაგრამ ირონიით სავსე აცილება, ერთგვარი Coup de grâce¹ ელოდა. როზმერის უკვე ეჩვენებოდა, რომ ოდესღაც თვითონაც იცნობდა ამ ხალხს. რომ მას შემდეგ დიდი ხანი გავიდა, და არ

1 გამანადგურებელი დარტყმა (ფრანგ.).

იყო ის დრო კარგი დრო და დაშორდა მათ, მეხსიერებიდან ამოშალა.

ამათი კომპანია საოცრად ამერიკული იყო, მაგრამ ხანდა-ხან თითქოს არც არაფერი ეცხო ამერიკული. დიკი სუყველას შველოდა, რათა თავის თავს დაბრუნებოდა ყველა და უკვე ბევრი წლის კომპრომისებით წაშლილი სახე აღედგინათ.

კვამლიან და ჩაბნელებულ, საჭმლის მძაფრი არომატით გაჟღენთილ რესტორანში, ნიკოლის ღია ცისფერმა კოსტიუმმა გარედან კარგი ამინდით შემოანათა. ყველამ ალტაცებით შეხედა ნიკოლს და ამანაც გაბრწყინებული, მადლიერი ღიმილი შეაგება. ეფერებოდნენ ერთმანეთს და ქათინაურებს არ იშურებდნენ, თავაზად იქცნენ. მერე მობეზრდათ ეს ყველაფერი და ხუმრობა იწყეს, ქარაგმებითაც ლაპარაკობდნენ და ქილიკობდნენ კიდევაც. ბოლოს ისა თქვეს, რას აპირებდნენ მომავალში. ბევრს იცინოდნენ და გულიანადაც, თუმცა, რომ გეკითხათ, ერთიც ვერ გაიხსენებდა რაზე ან რისთვის; კაცებმა სამი ბოთლი ღვინო დალიეს. სუფრასთან სამი ქალი იჯდა, ამ სამეულში მრავალსახიანი ამერიკული ცხოვრების ნაკადი სახიერდებოდა, ნიკოლი შნოთი გამდიდრებული ამერიკელი კაპიტალისტისა და გრაფ ფონ ლიპე ვაისენფელდის შვილიშვილი იყო. მერი ნორთი — ქარგლის ქალიშვილი და პრეზიდენტ ჯონ ტაილერის შთამომავალი, როზმერი — საშუალო კლასის ოჯახიშვილი, დედის მცდელობით ჰოლივუდის უსახელო მწვერვალზე ატყორცნილი.

სხვა ამერიკელ ქალებს არ ჰგვანდნენ და სწორედ ამით ჰგვანდნენ ერთმანეთს. სამივე მამაკაცების სამყაროში არსებობდა და ბედნიერებიც იყვნენ ასეთი არსებობით, მით უფრო რომ იმავე მამაკაცების წყალობით და არამც და არამც იმათთან შეჯახებით, თავისთავადობას ინარჩუნებდნენ. ყველა მათგანს შეეძლო კარგი ცოლობა გაეწია, ან კარგი კურტიზანა ყოფილიყო, წარმოშობის გამო კი არა, ამაზე უფრო მეტი გამოც, იმის მიხედვით, შეხვდებოდა თუ არ შეხვდებოდა ცხოვრებაში კაცს, რომელსაც იგი სჭირდებოდა.

ასე რომ, როზმერის სიამოვნებას ჰგვრიდა რესტორანში ამათთან ყოფნა, და კარგი იყო, რომ შვიდნი იყვნენ, არც მეტი, არც ნაკლები და შესაძლოა თვითონ იგი, ახალბედა ამათ

შორის, თავისი ყოფნით კატალიზატორივით მოქმედებდა და აიძულებდა გამოევიდინათ ბევრი რამ, რასაც აქამდე ერთმანეთს, უნდოდან, მაგრამ ვერ უმხელდნენ. სუფრიდან რომ წამოიშალნენ, ოფიციალტმა როზმერი იმ ჩაბნელებულ კუნჭულამდე მიაცილა, რაც ყველა ფრანგულ რესტორანსა აქვს. მჭრქალ ნარინჯისფერ ნათურის შუქზე როზმერიმ ცნობარში „ფრანკო ამერიქენ ფილმზის“ ტელეფონი მოძებნა და დარეკა. რალა თქმა უნდა, ჰქონდათ „მამიკოს გოგონას“ ფირი, ოღონდ ახლა იგი წაღებულია, რამდენიმე დღის მერე კი შეიძლება მისი ჩვენება, საკმარისია მისს ჰოიტი მივიდეს მისამართით — 341, რუ დე სენტ ანუ და იკითხოს მისტერ კრაუდური.

ტელეფონი ვესტიბიულის გასასვლელთან იდგა და როცა მიღს დებდა, როზმერის ჩურჩული მოესმა, ხუთი ფუტის მოშორებით, პალტოების საკიდარს იქიდან ისმოდა ჩურჩული.

„...მაშ, გიყვარვარ?“

„მეკითხები კიდევაც!“

როზმერის ნიკოლის ხმა ეცნო, შეყოყმანდა და კარებში გაჩერდა, მერე დიკის ხმა მოესმა:

„მინდიხარ, საშინლად და ახლავე, ოტელში წავიდეთ“. ნიკოლს შეკავებული ოხვრა აღმოხდა. ერთხანს მხოლოდ სიტყვები ესმოდა როზმერის, ვერ იგებდა რას ამბობდნენ იმ სიტყვებით, მაგრამ ტონი აგებინებდა, და მისი იდუმალება თრთოლასავით უვლიდა.

„მინდიხარ...“

„ოტელში მოვალ, ოთხისთვის“.

ხმები მიიკარგა. როზმერი ჯერ ისევ ისე, სუნთქვაშეგუბებული იდგა. გაკვირდა კიდევაც პირველად — მათი ურთიერთობა რატომღაც უფრო შეკავებული, უფრო მიღმური წარმოედგინა და უცებ კი სულ სხვა, ახალი გრძნობა მოერია, სულ უცნობი და ღრმა და არ იცოდა რა იყო ეს — აღტაცება თუ სიძულვილი, შეძრა კი ამან და რესტორანში შებრუნებისას, საშინლად ეული ეგონა თავი, აგზნებულიყო, ყურებში ისევ ჩაესმოდა ნიკოლის მაღლიერი, ვნებაგარეული ხმა, „მეკითხები კიდევაც!“ უნებლიეთ მოსმენილი საუბრის ჭეშმარიტ არსს ჯერ ვერ ჩასწვდენოდა, ეს მერე იქნებოდა, მაგრამ გრძნობდა, ყველაფერი რიგზე იყო. არც ის ანტიპათია დაუფ-

ლებია, ფილმებში სასიყვარულო სცენების გადაღებისას რომ მოიცავდა ხოლმე.

თუმცა როზმერის არ ეხებოდა ეს ამბავი, მაინც გულგრილად ვერ იხსენებდა უნებლიეთ გაგონილ სიტყვებს. ნიკოლთან ერთად მაღაზიებში სიარულისას ბევრს ფიქრობდა ამათ პაემანზე, ალბათ უფრო მეტს, ვიდრე თავად ნიკოლი. ახლებურად, სხვა თვალთ შესცქეროდა და აკვირდებოდა და ახლა უფრო მიმზიდველი ეჩვენებოდა იგი, ნიკოლზე ლამაზი ქალი ჯერ არ შემხვედრიაო, ფიქრობდა. იმისი სიმკაცრეც გიზიდავდათ, პირგამეხებაც, თავდადება, ლოიალურობა და კიდევ რაღაცა მოუხელთებელი, რაც როზმერისთვის, ყველაფერს ახლაც თავისი დედის თვალთ რომ ზომავედა, ნიკოლის ფულთან მიმართებაში ვლინდებოდა. როზმერის შრომითა ჰქონდა ეს ფული და ხარჯავდა ახლა, — ევროპაში კი იმიტომ იყო, რომ იანვრის ერთ დღეს, დილიდანვე სიცხიანი, 99°-დან 103°-მდე რომ აუწია, ერთი ექვსჯერ გადაეშვა წყალში, ვიდრე დედამისი არ ჩაერია საქმეში და არ შეაჩერა.

ნიკოლის დახმარებით როზმერიმ თავისი ფულით ორი კაბა, ორი შლაპა და ოთხი წყვილი ფეხსაცმელი იყიდა. ნიკოლს ორგვერდიანი სია ჰქონდა და იმ სიის მიხედვით ყიდულობდა რაც სურდა. რაც ვიტრინაში მის ყურადღებას მიიქცევდა, იმასაც ყიდულობდა. შესაძლოა თვითონ ვერ მოეხმარა, მაგრამ მეგობრებისთვის იძენდა. ფერადი მძივები, ხელოვნური ყვავილები, გასაბერი ბალიშები პლაჟისათვის, ჩანთები, შალეები, თაფლუჭი და ერთი ათი საბანაო კოსტიუმი იყიდა, და კიდევ: გასაშლელი საწოლი, რეზინის ნიანგი, თოჯინების სახლის ავეჯ-სამკაული, პატარა თუთიყუშები, მოდაში ახალშემოსული ქსოვილი, სადაფის ელვარება რომ დაჰკრავდა, სპილოს ძვლისგან გაკეთებული მოოქრული საგზაო ჭადრაკი, თხელი ტილოს დიდი ცხვირსახოცები ეიბისთვის, ორი ნატის ქურთუკი მაღაზია „ჰერმესში“ — ერთი ზღვისფერი და მეორე — შემღვრეული შინდისფერი. ნივთებს ისე კი არ ყიდულობდა, როგორც ვინმე კურტიზანი ქალი, რომლისთვისაც ძვირფასეულობა და თეთრეული პროფესიული აღჭურვილობაცაა და კაპიტალის დაგროვებაც. არა, აქ სულ სხვა რამე იყო. ნიკოლის ქვეყნად არსებობას დიდი მოხერხებულობა და მახვილგონიერება ხმარა.

დებოდა, მისი გულისთვის მიქროდნენ მატარებლები კონტინენტის დიდ ფაშვზე, მატარებლები, ჩიკაგოდან რომ იწყებდნენ თავიანთ გზას და ვიდრე კალიფორნიამდე; იკვამლებოდნენ საღებო რეზინის ფაბრიკები და უფრო და უფრო სწრაფად ბრუნავდნენ დაზგები ქარხნებში; გეჯებში ურევდნენ კბილის პასტას და სპილენძის დიდი რაფებიდან ასხამდნენ მერე. აგვისტოში ქანცგაწყვეტილი ქალიშვილები ძლივს ასწრებდნენ პამიდვრის დაკონსერვებას, საშობაოდ კი წელში ველარ იმართებოდნენ — ნაძვის ხისთვის ყველაფერი აუურში უნდა ყოფილიყო. მეტისები წაქცევას იყვნენ ბრაზილიის ყავის პლანტაციებში, ხოლო მეოცნებე გამომგონებლებს, ერთ მშვენიერ დღეს, როცა უცებ შეიტყობდნენ, რომ თავიანთი გამოგონების პატენტი სხვებსა რგებია, სახე ეცვლებოდათ, ესენიც და კიდევ სხვებიც, ნიკოლს მეათედს უხდიდნენ ბოლოს, ეს მთელი სისტემა იყო, რთული, გამუდმებით და შეუფერხებლად მბრუნავი გრიალსა და რყევაში, და რაკილა ნიკოლი ამ სისტემას ეკუთვნოდა, მისი ყველა საქციელი, მაღაზიებში სიარული და ნივთების ყიდვაც კი, რაღაცა შუქით ნათლებოდა, საცეცხლურის წინ მეცეცხლურის იმ სახესავით, ცეცხლის ალი რომ დასთამაშებს. მეტად უბრალო პრინციპების ილუსტრატორი იყო ნიკოლი, თავისივე ბედისწერა, მაგრამ კარგი ილუსტრატორი, მომხიბვლელი, ისეთი, რომ როზმერის ახლა მოუნდა მისთვის მიეზაძა.

უკვე ოთხი იყო თითქმის. ნიკოლი მაღაზიის შუაგულში იდგა, მხარზე თუთიყუში შემოესვა, ლაპარაკს მოჰყვა, რაც იშვიათად ხდებოდა ხოლმე.

„ხომ შეიძლებოდა ზამთრის იმ ერთ დღეს წყალში არ გადაშვებულიყავით... საოცარია, ზოგჯერ ისე უცნაურად მოხდება ხოლმე ყველაფერი. მახსოვს, ომამდე ბერლინში ვცხოვრობდით, მაშინ დედა ცოცხალი იყო. მე თორმეტი წლისა ვიყავი. ჩემი და, ბები, მიწვეული იყო სასახლის მეჯლისზე და საცეკვაო ბარათში სამი ცეკვა ეწერა ბრწყინვალე პრინციპთან — ეს ყველაფერი ერთი კამერჰერის მეშვეობით მოგვარდა. ის იყო, ოცდაათი წუთის მერე უნდა წასულიყო, რომ უცებ სიცხემ აუწია და ტკივილი იგრძნო. ექიმმა თქვა, აპენდიციტია და სასწრაფო ოპერაციაა საჭიროო. მაგრამ დედას

თავისი გეგმები ჰქონდა, ასე რომ, ბები მეჯლისზე წავიდა და ლამის ორ საათამდე ცეკვავდა, სამეჯლისო კაბის ქვეშ კი ყინულიანი ბუშტი ჰქონდა მიმაგრებული. დილის შვიდზე ოპერაცია გაუკეთეს.

მაშ, ისე ჩანს, თითქოს უღმობელობა საჭიროა; ყველა კარგი ხალხი უღმობელია თავის მიმართ. ამასობაში უკვე ზუსტად ოთხი შესრულდა. როზმერი დიკზე ფიქრობდა, ახლა ის ოტელშია და ნიკოლს ელის. რატომ არ მიდის, რად აცდევინებს, წავიდეს. ფიქრით აჩქარებდა ნიკოლს, „რად არ მიდიხართ?“ და ლამის უცებ წამოიყვირა: „თუ თქვენ არ გინდათ, მაშინ მე წავალ!“ მაგრამ ნიკოლმა კიდევ ერთგან შეიარა, როზმერისთვის და თავისთვის კორსაჟები იყიდა, ერთიც მერი ნორთს გაუგზავნა და ეტყობა მხოლოდ ამის მერე გაახსენდა; დაბნეულმა მიიხედ-მოიხედა და ტაქსის მოუხმო.

„კარგად კი გავიყვანეთ დრო, თქვენ რას იტყვით?“ დაემშვიდობა იგი.

„შესანიშნავად“, მიუგო როზმერიმ. არ ეგონა ასე ძნელი თუ იქნებოდა; უყურებდა, როგორ დაიძრა ტაქსი, თანდათან თვალს ეფარებოდა. მთელი მისი არსება პროტესტს მოეცვა.

XIII

დიკმა ტრავერსს შემოუარა და ფიცრებგადაფარებულ ტრანშეაზე განაგრძო სვლა. გზად პერისკოპი დაინახა, ერთხანს გაჩერდა, მერე სასროლ საფეხურზე ავიდა და მიწაყრილიდან გადაიხედა. მღვრიე წყაროსფერი ცის ქვეშ ბომონ-ჰამელი მოჩანდა, მარცხნივ კი ის ავბედითი ტიპვალის გორაკი. დიკმა თვალებთან მიიტანა საველე ჭოგრიტი, ისეთი სევდა და ნაღველი მოეძალა და ისე მოაწვა ყელში, ლამის დაიხრჩო.

გზა განაგრძო, ტრანშეას გასცდა და მომდევნო ტრავერსთან დაეწია ყველას. ერთი სული ჰქონდა სხვებისთვისაც გადაედო. თავისი მღელვარება, სხვებსაც ეგრძნოთ და გაეგოთ; არადა, თვითონ არა, და, ეიბ ნორთი იყო ბრძოლაში.

„იმ ზაფხულს ამ მიწის თითო ფუტს ოცი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა“, უთხრა როზმერის დიკმა.

როზმერიმ საწყლად მოავლო თვალი ჯუჯა ხეებჩარიგებულ

ველს, დიკს რომ ეთქვა ახლა გვბომბავენ, ცეცხლს გვიშენენო, დღეს ამასაც დაუჭერებდა. უკვე ისე უყვარდა, უკვე იმ ზღვარამდე მივიდა მისი სიყვარული, რომ ტკივილი და სასო-წარკვეთა ეწყებოდა. რა ექნა, ანდა რა ელონა — კარგია დედა აქა ჰყავდეს და ელაპარაკოს.

„იმის მერე კიდევ ბევრი ხალხი დაიხოცა და მალე ჩვენც ყველა დავიხოცებით“. ანუგეშა ეიბმა.

როზმერი დაძაბული შეჰყურებდა დიკს, ჩქარა უნდოდა ისევ იმას ეთქვა რამე და ელაპარაკა.

„იმ პატარა მდინარეს ხომ ხედავთ, — აქედან ორი წუთის სავალიც არ არის. ბრიტანელებს კი მაშინ იქამდე თვე დასჭირდათ, რომ მისულიყვნენ. მთელი იმპერია მიიწევდა წინ, წინა რიგებში ეცემოდნენ და უკანანი ცვლიდნენ. სხვა იმპერია კიდევ უფრო ნელა იხევდა, დღეში ერთი დუიმიტ და დახოცილები სისხლიანი ნაგლეჯებივით ეყარა ყველგან. ასეთი რამ აღარ იქნება ჩვენი თაობის ცხოვრებაში, ევროპის არც ერთი ხალხი არ გაბედავს ამას“.

„თურქეთში ახლახან შეწყდა ომი“, თქვა ეიბმა. „მაროკოში კი...“

„ეგ სხვა საქმეა. დასავლეთის ფრონტის გამეორება ევროპაში შეუძლებელია. მალე აღარ მოხდება ეს. ამოდ ჰგონიათ ახალგაზრდებს, რომ ამის თავი აქვთ. მარნის პირველი ბრძოლა კიდევ შეიძლება, მაგრამ ის რაც აქ იყო — არამც და არამც; რაც აქ მოხდა, იმას ბევრი რამე დასჭირდა, ღმერთის რწმენა, სიუხვის წლები, გაძლება, იმ ხანის კლასთა ურთიერთმიმართება. იტალიელები და რუსები ამ ფრონტისთვის არ გამოდგებოდნენ. საჭირო იყო შენზე უხნესი, აღარც რომ გახსოვს, ისეთი გრძნობისა და მთლიანი სულის აღჭურვილობა. საჭირო იყო გხსომებოდა საშობაო დღეები და ღია ბარათები კრონპრინცისა და მისი საცოლის პორტრეტებით, ვალანსის პატარა კაფე და ლუდხანები უნტერ დენ ლინდენზე, ქორწინება მერიში და დერბისკენ გამგზავრება და პაპაშენის ქილვაშები“.

„ბრძოლის ასეთი ტაქტიკა ჯერ კიდევ გენერალმა გრანტმა მოიგონა ათას რვაას სამოცდა ხუთში პიტერსბერგთან“.

„არა, ასე არ არის. გენერალმა გრანტმა მხოლოდ ის გააკეთა, რომ ჩვეულებრივი მასობრივი ჟღერა მოაწყო. მუ რაზეც

ვლაპარაკობ, ეს ლუის კეროლისა და ჟიულ ვერნის საქმეა, კიდევ იმ გერმანელისა, „უნდინა“ რომ დაწერა, კეგლის თამაშის მოყვარული დიაკვნებისა და მარსელელი ნათლიდედების, ვიურტემბერგისა და ვესტფალიის მიყრუებულ ადგილებში შეცდენილი ქალიშვილებისა. კაცმა რომ თქვას, აქ ხომ სასიყვარულო ბრძოლა გაიმართა, ბურჟუას სიყვარულის საუკუნე გავიდა ბრძოლის ამ ველზე. ეს იყო სიყვარულის უკანასკნელი ბრძოლა“.

„თქვენ გინდათ, რომ ამ ბრძოლის თავი და თავად დ. ჰ. ლორენსი გამოაცხადოთ“. უთხრა ეიბმა.

„მთელი ჩემი მშვენიერი, მომხიბლავი, ბედნიერი სამყარო ფეთქებადი სიყვარულის ძალით აიტყორცნა აქ, ჰაერში“, ველარ დაშოშმინდა დიკი. „არა, როზმერი?“

„მე არ ვიცი“, სერიოზულად მიუგო მან. „თქვენ იცით ყველაფერი“.

ისინი სხვებს ოდნავ დაშორდნენ. უცებ სეტყვასავით წამოვიდა მიწის გორახები და კენჭები და შორიახლო ტრავერსიდან ეიბის ხმამაღალი შეძახილი მოისმა:

„ჩემში ძველი მეომრის სული იღვიძებს ისევ. ჩემს ზურგს უკან მთელი საუკუნის სიყვარულია ოჰაიოსი, ჰოდა, ახლა დავბომბავ ამ ტრანშეას“. ეიბმა თავი ამოყო მიწურიდან. „თქვენ რა, თამაშის წესები არ იცით? მოკლული ხართ, ბომბი გესროლეთ“.

როზმერიმ გაიცინა და დიკმაც; ის იყო პეშვით კენჭები წამოკრიფა, მაგრამ მაშინვე გადაყარა.

„არა, არ შემიძლია ამ ადგილას მასხარაობა, თავის მოტყუება იქნება“, თითქმის დამნაშავესავით ჩაილაპარაკა მან. „ვიდრემდის არა შესცვალოს საბელი ვეცხლისა და არა შეიმუსროს გამოცდა ოქროსა...“ და როგორც არის მერე, მაგრამ მე ძველი რომანტიკოსი ვარ და რას იზამ, ამას აღარაფერი ეშველება“.

„მეც რომანტიკოსი ვარ“.

ზედმიწევნით რესტავირებულ ტრანშეას გასცდნენ და ბრძოლის ველზე დაცემული ნიუფაუნდლენდელების ძეგლთან აღმოჩნდნენ. როზმერი უცებ აქვითინდა. ქალების უმრავლესობასავით, ამასაც უყვარდა ჩაეგონებინათ და ეთქვათ მის-

თვის, რა როგორ ეგრძნო, და მოსწონდა, დიკი რომ ასწავლიდა, ეს სასაცილოა, ეს კიდევ სამწუხაროა. მაგრამ ყველაზე მეტად ისა სურდა, გაეგო დიკს, რა ძალიან უყვარდა ახლა, როცა ამ სიყვარულმა ყველაფერი თავდაყირა დააყენა, როცა ბრძოლის ველზეც კი ისე დადის, თითქოს მშვენიერ სიზმარშიაო.

მერე თავიანთ მანქანაში ჩასხდნენ და ისევ ამიენს დაბრუნდნენ. ჯუჯა ხეებსა და ბუჩქნარზე თბილი წვიმა ცრიდა. აქეთიქით დროდადრო წააწყდებოდნენ ხოლმე თითქოს უზარმაზარი დასამარხავი კოცონისთვის მიზიდულ ჭურვებს, მასრებსა და ბომბებს, ყუმბარებს, და სხვადასხვა ამუნიციას, ჩაჩქნებს, ხიშტებს, თოფის კონდახებს, შვიდ წელს მიწაში გდებისაგან დამპალ ღვედებს და უცებ, გზის მოსახვევს იქით, აქაფებული ტალღებივით გამოჩნდა საფლავების მთელი ზღვა. დიკმა შოფერს მანქანა გააჩერებინა.

„შეხედეთ, იმ ქალიშვილს ისევ თანა აქვს ყვავილები“.

უყურებდნენ, როგორ გადმოვიდა მანქანიდან და იმ ქალიშვილისკენ გაემართა, ხელში დიდი გვირგვინი რომ ეჭირა და დაბნეული იდგა სასაფლაოს ჭიშკართან. იქვე ელოდებოდა ტაქსი. ეს ის ტენესელი ჟღალთმიანი ქალიშვილი იყო, ამ დილას რომ შეხვდნენ და გაიცნეს მატარებელში; ნოქსვილიდან ჩამოვიდა, რათა თავისი ძმის საფლავზე ყვავილები დაეწყო. ახლა გაღიზიანებული, ნამტირალევი ჩანდა, სახეზე ისევ ჩამოსდიოდა ცრემლები.

„სამხედრო დეპარტამენტში, ეტყობა შეეშალათ და სხვა ციფრი მომცეს“. აზლუქუნდა დიკის დანახვისას. „იმ საფლავზე სხვა სახელი აწერია. ორ საათზე ჩამოვედი და მერე სულ ვეძებ, მაგრამ აქ იმდენია, რას იპოვი“.

„ადექით და რომელიმე საფლავზე დააწყვეთ ეგ ყვავილები“. ურჩია დიკმა.

„თქვენი აზრით, ასე უნდა მოვიქცე?“

„მე მგონია, ისიც ამასვე ინდომებდა, რომ ასე მოქცეულიყავით“.

უკვე ბინდდებოდა და წვიმამაც უმატა, ქალიშვილმა ყვავილები ჭიშკართან ახლო, ერთ-ერთ საფლავზე დააწყო და

ხელად დაეთანხმა დიკს, რომ ტაქსი გაუშვა და ამიენში ამათ-
თან ერთად ჩასულიყო.

სხვისი უბედურების შემყურეს ისევ ტირილი მოერია
როზმერის — ერთი სიტყვით, ყველანაირად სველი გამოდგა
ეს დღე; მაგრამ მაინც, ეჩვენებოდა თითქოს ამ დღემაც რა-
ღაც შესძინა, რაღაცას მიხვდა ახალს, თუმცა ზუსტად ვერ იტ-
ყოდა — რას. გვიან კი ამ დღეს რომ იხსენებდა, უბედნიერე-
სად მიაჩნდა თავი, მშვენიერი იყო — ხომ ხდება ხოლმე, არა-
ფრით გამოირჩევა ესა თუ ის დღე, გუშინდელი სიხარულის
ხვალინდელში გადასვლა თუ გგონია მხოლოდ, არადა, სწო-
რედ მაშინ ყოფილხარ თურმე ბედნიერი.

ამიენს, მოიხსრო და ხმაურიან ქალაქს, ჯერ ისევ აჩნდა
ომის კვალი, რაღაც ნაღველი დაჰკრავდა, როგორც ზოგიერთ
ვაგზალს, ვთქვათ ჩრდილოეთის ვაგზალს ან უოტერლოოს
ვაგზალს ლონდონში. დღისით ასეთი ქალაქები წუხილსა გგვრი-
ან, ძველებური ტრამვაი მირახრახებს დაცარიელებულ, რუხი
რიყის ქვით მოკირწყლულ ტაძრისწინა სკვერზე, ჰაერიც კი
დამძიმებული გეჩვენება, ამინდი ძველი ფოტოსავით გაცრე-
ცილია, მაგრამ ბინდდება და ყველაფერი, რითაც ასე მიმზიდ-
ველია ფრანგული ყოფა, ქუჩებში იფინება — ხარხარა მეძა-
ვები, კაფეში მსხდარი კაცები, — ამათ ლაპარაკსა და კამათს
ხომ ბოლო არ უჩანს და ზედ ერთი ასჯერ დააყოლებენ
„Voilà!“ ერთმანეთს ჩაკრული მოსეირნე წყვილები, არსადაც
რომ არ ეჩქარებათ. მატარებლის მოლოდინში დიდ თაღოვანში
შევიდნენ და მაგიდას მიუსხდნენ, მუსიკა, კვამლი და ხმაური
ირეოდა თაღებქვეშ და ავსებდა იქაურობას. იმათ პატივსაცე-
მად ორკესტრმა „ჰო, ჩვენ აღარ გვაქვს ბანანები“ შეასრულა
და ამათაც ტაში დაუკრეს, რაკი დირიჟორს კმაყოფილი იერი
ჰქონდა. ტენესელ ქალიშვილს თავისი დარდი გადაავიწყდა და
დიკთან და ჟიბთან ტრფიალება მოუნდა, კეკლუცად არხევდა
ტანს და გამომწვევად იხედებოდა, ესენიც აპყოლოდნენ და ახა-
ლისებდნენ.

მერე მატარებელი მოვიდა და პარიზს გაემგზავრნენ. უკან
დარჩა თბილწვიმადადენილი მიწა, რომლის ქვეშაც ლპებოდ-
ნენ, იხრწნებოდნენ ვიურტემბერგელები, პრუსიის გვარდიის
ჯარისკაცები, ალპიელი მსროლელები, მანჩესტერელი ფეიქრე-

ბი და იტონის სკოლის აღზრდილები. ვაგზლის რესტორანში ბოლონური ძეხვისა და „ბელ პაეზე“ ყველის ბუტერბროდებს შეექცეოდნენ, ზედ ღვინოს, „ბოჟოლეს“ აყოლებდნენ. ნიკოლი დაბნეული ჩანდა, ნერვულად იკვნეტდა ტუჩებს ცნობარში თავჩარგული — დიკს წამოედო თან, რომ ყველა გზაცა და ყველა ადგილიც კარგად ენახათ და არაფერი გამორჩენოდათ. დიკმა მართლაც ცუდად როდი შეისწავლა ამიენის ბრძოლის ამბები, ზოგი რამ კიდევაც გაამარტივა და საბოლოოდ ცოტათი თავიანთ სახლში გამართულ ერთ-ერთ საღამოსაც დაამსგავსა.

XIV

პარიზში ჩასული ნიკოლი ძალიან დაღლილი ჩანდა საიმი-სოდ, რომ საღამოთი, როგორც ადრევე დათქვეს, ისიც დეკორატიული ხელოვნების გამოფენაზე წასულიყო. ნიკოლი ოტელ „მეფე გეორგში“ მიიყვანეს და როცა იგი ვესტიბიულში, მინის კარებში ჯვარედინად არეკლილი სხივების ზოლებს მიეფარა, როზმერიმ შევება იგრძნო. ნიკოლი ძალა იყო, მაგრამ ალბათ მაინცდამაინც სანდო და კეთილი არა, იმასთან აბა, რას მიხვდებოდი, წინასწარვე თუ არ იცოდი. დედასთან ასე არ იყო, როზმერის ცოტათი კიდევაც ეშინოდა ნიკოლის.

თერთმეტი საათისთვის როზმერი, ნორთები და დიკი სენაზე ახალგახსნილ კაფე — ტივტივაში შევიდნენ, ლივლივა წყალში ციმციმებდა ხიდის ფარნები, და უთვალავი ცივი მთვარეც შიგ ირწეოდა. დედასთან ერთად პარიზში ყოფნისას, კვირაობით ზოგჯერ ორივე პატარა გემით სიურენამდე მიდიოდნენ ხოლმე და გზად თავიანთ მომავალზე ბჭობდნენ, ფული ცოტა ჰქონდათ, მაგრამ მისიზ სპირსს სჯეროდა როზმერის სილამაზისა და პატივმოყვარეობისაც, რაც თვითონვე ჩაუნერგა და რისკზე უნდოდა წასულიყო, მერე როზმერი, ფეხზე დამდგარი, დედის ამაგს გადაიხდიდა...

პარიზში ეიბ ნორთი ყოველდღე სვამდა. ღვინისა და მზისგან თვალები ჰქონდა ჩაწითლებული. იმ საღამოს როზმერიმ პირველად შეამჩნია, ეიბი ლამის ეძებდა ისეთ ადგილებს, სადაც დალევა შეეძლებოდა და გაიფიქრა, მერი ნორთს ალბათ

დიდად არ სიამოვნებსო ეს ამბავი. მერი ჩუმად იყო ხოლმე, ხშირად იცინოდა, მაგრამ ცოტას ლაპარაკობდა, იმდენად ცოტას, რომ როზმერიმ ბევრი ვერაფერი გაუგო, როზმერის მოსწონდა მისი სწორი, ხშირი შავი თმა, უკან სადად გადავარცხნილი, მხოლოდ კისერთან ტალღასავით რომ ეშლებოდა, დროდადრო საფეთქლებთან ჩამოეშლებოდა ჯიუტად, ხედვას უშლიდა და მაშინ თავის გაქნევით გაისწორებდა ხოლმე.

„ამალამ ადრე წავალთ, ეიბ, ეს ბოთლი დაიცლება და წავალთ“. მშვიდი ხმა ჰქონდა მერის, მაგრამ შეშფოთება მაინცა სჭვიოდა იმის ხმაში. „ხომ არ გინდა, ამ ნავზე ღვინოდ დაიქცე“.

„კარგა გვიანია“, თქვა დიკმა. „სუყველა წავალთ“. მაგრამ ეიბის ღირსებით სავსე გამოხედვაში სიჯიუტე ჩანდა, გადაჭრით, ოღონდ, მძიმედა თქვა:

„არა, არა“. და ცოტა ხნის მერე დაუმატა, „არა, ადრეა, ერთ ბოთლ შამპანურს კიდევ მოვასწრებთ“.

„მე მეტს აღარ დავლევ“. თქვა დიკმა.

„როზმერი კი დალევს, მე ასე მგონია, მართლა, ალკოჰოლიკია. სააბაზანოში ყოველთვისა აქვს გადანახული ერთი ბოთლი ჯინი, ლოთია, რა გგონიათ, მისიზ სპირსმა მითხრა“.

ეიბმა ბოთლი დაცალა — როზმერის შეუვსო ჭიქა შამპანურით. პარიზში ჩამოსვლის პირველსავე დღეს იმდენი ლიმონათი დალია, ლამის ცუდად გახდა როზმერი და იმის მერე არანაირ სასმელთან მიკარება აღარ უნდოდა, მაგრამ ახლა შამპანურით შევსებული ბოკალი ასწია და მოსვა.

„ამას რას ვხედავ!“ წამოიძახა დიკმა, „აკი მითხარით, არასოდეს დამილევიაო“.

„მაგრამ არ მითქვამს, არც არასოდეს დავლევ-მეთქი“.

„დედა რას გეტყვით?“

„ერთ ბოკალს შევსვამ, ეს შეიძლება“.

უცებ ძალიან მოუუნდა ბოლომდე შეესვა ეს ერთი ბოკალი შამპანური. დიკი სვამდა, ბევრს არა, მაგრამ, სვამდა და იქნებ, თუკი თვითონაც დალევს, დაახლოებს ეს დალევა, შეაძლებინებს იმის ჩადენას, რაც იზრახა და გულში იფიქრა. ერთბაშად გადაკრა თითქმის ბოლომდე, სასულეში გადასცდა

და — ესეც არ იყოს, გუშინ ჩემი დაბადების დღე იყო, — ამოთქვა, „თვრამეტის გავხდი“.

„როგორ არ გვითხარით!“ წყენით უთხრეს.

„განგებ, რომ არ შეწუხებულყავით“. როზმერიმ ბოლომდე შესვა თავისი შამპანური. „ჩათვალეთ, რომ დღეს ვიხდით“.

„არავითარი, ასე იოლად არ გამოვა“, შეესიტყვა დიკი. ხვალ საღამოს საზეიმო სადილს გავმართავთ დაბადების დღის აღსანიშნავად და კეთილი ინებეთ და არ დაგავიწყდეთ, როგორი საქმეა — თვრამეტი წელი“.

„ყოველთვის მეგონა, რომ ის, რაც თვრამეტე წლამდე ხდება, უმნიშვნელოა, არაფერი“, თქვა მერიმ.

„ეგრეც არის“, მაშინვე დაეთანხმა ეიბი. „და რაც მერე ხდება, ისიც ისევ არაფერია“.

„სანამ ნავზე ზის, ყველაფერი სულ ერთია ეიბისათვის“. თქვა მერიმ, „წელს კი, ჩავა თუ არა ნიუ-იორკში, ბევრი რამის გაკეთებას აპირებს, სერიოზული გეგმები აქვს“. თითქოს დაღლილიყო იმის თქმით, რასაც მისთვის აზრი აღარა ჰქონდა, თითქოს უკვე ყველაფერი, რითაც თვითონ და თავისი ქმარი ცხოვრობდნენ ახლა, მხოლოდ განზრახვა და გეგმები იყო.

„ეიბი შტატებში მიდის, რომ მუსიკა წეროს, მე კი მიუნხენში მივდივარ, სიმღერის უკეთ სწავლისათვის და როცა ისევ შევეყრებით ერთმანეთს, წინ აღარაფერი დაგვიდგება“.

„რა კარგია!“ წამოიძახა როზმერიმ, შამპანურს უკვე თავისი გაჰქონდა.

„კიდევ, შამპანური ისევ როზმერის, რომ უკეთესად გაიზროს თავისი ლიმფური ჯირკვლების მოქმედება. ფუნქციონირებას თვრამეტი წლის ასაკიდან იწყებს ჯირკვლები“.

დიკმა ლმობიერად გაიცინა — უყვარდა ეიბი და დიდი ხანია ხელი ჩაიქნია მასზე.

„მედიცინისთვის ეს უცნობია და, საერთოდ — წავედით“. ეიბმა ხმაში ჩაავლო დიკს, როგორღაც მფარველობდა და დაუდევრად შენიშნა:

„გული მითქვამს, ჩემი ახალი პარტიტურა ბროდვეიზე ბევრად უფრო ადრე გავა, მანამდე, სანამ თქვენი მეცნიერული ტრაქტატი დაიწერება“.

„იმედი მაქვს“, ისევ ისე მშვიდად მიუგო დიკმა. „იმედი მაქვს. მე შეიძლება სულაც მივაგდო ეს რაღაც, როგორც თქვენ თქვით, „მეცნიერული ტრაქტატი“.

„ო, დიკ!“ გეგონება თავზარი დაეცაო, ისეთი ხმით შესძახა მერიმ. როზმერის მანამდე არ ენახა ასეთი დიკი — სახეზე არც არაფერი ეხატა და გუმანით მიხვდა, ის, რაც ახლა თქვა, უბრალოდ არ თქვა და კინაღამ თვითონაც მერისთან ერთად წამოიძახა: „ო, დიკ!“

მაგრამ დიკმა ისევ გაიცინა.

„მივაგდებ და სხვას დავიწყებ“, დაუმატა და ადგა.

„მოიცა, დიკ, ცოტა ხანს გაჩერდით, მინდა გავიგო...“

„სხვა დროს გეტყვით. ღამე მშვიდობისა, ეიბ. ღამე მშვიდობის, მერი“.

„ღამე მშვიდობის, დიკ, ძვირფასო“.

მერი ისე ილიმებოდა, გეგონება იმაზე ბედნიერება აღარაფერი იქნებოდა, რომ იმ ღამეს თითქმის ცარიელ კაფე-ნავზე მოუწევდა ფხიზლობა. სხვა რა გზა ჰქონდა. შეუპოვარი ქალი იყო, იმედს იოლად არ კარგავდა. მზად იყო ყველაფერში მიჰყოლოდა ქმარს და იმისი ცხოვრებით ეცხოვრა; სცადა, მაგრამ ერთხელაც ვერ გადაახვევინა გზიდან ეიბს, ეს გზა კი თავისი იყო და ზოგჯერ გულგატეხილი ფიქრობდა, რომ საიდუმლოს ეიბში ჰქონდა ფესვები ღრმად გადგმული. მაინც ყოველთვის ავგაროზივით, იღბლიანი გეგონებოდათ...

XV

„რის მიგდებას აპირებთ?“ იკითხა როზმერიმ, ტაქსიში რომ ჩასხდნენ და სერიოზული სახით შეხედა დიკს.

„ისეთი არაფერია“.

„თქვენ მეცნიერი ხართ?“

„მე ექიმი ვარ“.

„რას ამბობთ!“ გაუხარდა და გაიცინა, „მამაჩემიც ექიმი იყო. მაგრამ, რატომ არ...“ ველარ დაამთავრა და გაჩუმდა.

„აქ ავბედითი საიდუმლო არა არის რა. ჩემი პროფესიისთვის არ მიღალატია და არც არავის გამოგქვივივარ, კი არ

ვიმალეები რივიერაზე, ახლა, უბრალოდ, პრაქტიკა არა მაქვს, ერთ მშვენიერ დღეს კი, შეიძლება ისევე მქონდეს“.

როზმერიმ ნელა მიუახლოვა სახე, რომ დიკს ეკოცნა. თითქოს ვერ მიხვდა დიკი, მხრებზე ოდნავ მოხვია ხელი და როზმერის სათუთ ლოყას ლოყით შეეხო. მერე შეხედა, დააკვირდა.

„მშვენიერი გოგონა“, ფიქრიანად ჩაილაპარაკა.

როზმერიმ გაუღიმა; ორივე ხელით უნებლიეთ ეხებოდა დიკის პიჯაკის კალთებს.

„შემიყვარდით, თქვენც და ნიკოლიც, ეს ჩემი საიდუმლოა — ვერავის ველაპარაკები თქვენზე, არ მინდა სხვამაც იცოდეს, რომ ასე კარგი ხართ. მართლა, მართლა გეუბნებით, მიყვარხართ, თქვენც და ნიკოლიც“.

ვინ დაითვლის რამდენჯერ მოესმინა დიკს ასეთი რამ, სიტყვებიც კი იგივე იყო.

უცებ ისე ახლო აღმოჩნდა როზმერი, რომ მისი ჯერ კიდევ ბავშვური სახის ნაკვთები ზედ თვალებთან აერია დიკს და სუნთქვაშეკრულმა აკოცა. თითქოს როზმერი, არც რამდენი წლისაც არ ყოფილიყო.

როზმერი მკლავზე მიეყრდნო და ამოიოხრა.

„გადავწყვიტე უარი ვთქვა თქვენზე“, თქვა მან.

დიკი შეკრთა — განა რაიმე საბაბი კი მისცა როზმერის, რად იფიქრა, რომ ოდნავი უფლება მაინც ჰქონდა დიკზე?

„ეს კი უმსგავსობაა“, განგებ მხიარულად თქვა. „სწორედ მაშინ, როცა რაღაც ინტერესი ვიგრძენი“.

„მე ისე შემიყვარდით... ასე მგონია, უკვე რამდენიმე წელია“. ხმაში ტირილი გაერია. „ი-ი-სე შემიყვარდით“.

მერე, იმის მაგივრად, რომ ალბათ უნდა გაეცინა, დიკს თავისივე სიტყვები ჩაესმა:

„თქვენ მხოლოდ ლამაზი კი არა, ძალიან კარგი და თავისთავადიც ხართ, და რასაც არ უნდა გამოხატავდეთ, ვითომ გიყვართ თუ ვითომ მორცხვი ხართ, — სულ ერთია, მაინც გიხდებათ ყველაფერი“.

როზმერი ისევ ახლოს მიიწია, ტაქსიში გამოქვაბულივით ბნელოდა და ნიკოლის რჩევით შეძენილი სუნამოს სუნი ტრიალებდა. დიკმა აკოცა. უღიმღამოდ. ხვდებოდა, რომ იწვო-

და იგი, მაგრამ ვნება ოდნავადაც არ ეტყობოდა ტუჩებსა და გამოსხედვაში. როზმერის სუნთქვას შამპანური დაჰკრავდა, კიდევ უფრო მაგრად, სასოწარკვეთით მიეკრა, მაგრამ დიკს გრძნობას უნელებდა მისი ბაგისა და თვალების უმანკოება, თვალებისა, იმწუთას ქვეყნიერებისა და ღამის უსასრულობაში რომ იცქირებოდნენ. როზმერიმ კიდევ არ იცოდა, რომ ნეტარება შიგნით, გულშია. ოდესმე მიხვდება, გაიგებს ამას, მოიცავს ვნება, მთელ სამყაროს რომ მოსდებია და მაშინ დიკი, არც დაფიქრდება, არც ინანებს, ისე მიიღებს.

ოტელში როზმერის ოთახი დაივერების ოთახის იქითა მხარეს, ოდნავ გეზად, ლიფტთან ახლო იყო. კართან მისვლისას როზმერიმ უცებ თქვა:

„ვიცი არ გიყვარვართ — ამის იმედი არცა მქონია, მაგრამ თქვენ მისაყვედურეთ, რომ ჩემი დაბადების დღეზე არაფერი გითხარით. ახლა ხომ იცით, უკვე გითხარით, და მინდა ამ დღისთვის საჩუქარი მივიღო თქვენგან — შემოდით ჩემთან ერთი წუთით, რაღაც მინდა გითხრათ. მხოლოდ ერთი წუთით“.

შევიდნენ, დიკმა კარი ჩაკეტა და როზმერისკენ შებრუნდა; სულ ახლოს იდგა, მაგრამ ერთმანეთს არ შეხებიან. ღამისაგან მთლად ფერმიხდილი, როზმერი ახლა ფერმკრთალზე უფრო ფერმკრთალი ჩანდა, მეჯლისის მერე დავიწყებულ თეთრ მიხაკს ჰგავდა.

„როცა იღიმებით...“ ისევ ჩვეული, ხუმრობანარევი და მამობრივი ტონი დაიბრუნა, შესაძლოა, ნიკოლის უხილავი სიახლოვის წყალობით, „როცა იღიმებით, ყოველთვის მგონია, რომ ნაკბილარს დაგინახავთ პირში — მოცვლილი სარძევე კბილის ადგილას“.

მაგრამ უკვე გვიანი იყო რაიმეს თქმა — როზმერი უფრო ახლო მიიწია, მიეკრა და საწყალობლად, განწირულივით ჩაიჩურჩულა.

„ამიყვანეთ“.

„აგიყვანოთ? სად?“

დიკი გახევდა გაკვირვებისგან.

„გთხოვთ“, ჩურჩულებდა, ისე მომექცით, როგორც ზდება, თუნდაც უსიამოვნო იყოს, არ ვიცი, — ამაზე ფიქრიც კი

მეჯავრებოდა ყოველთვის, მაგრამ ახლა არა, მინდა თქვენ იყოთ ჩემთან“.

თვითონვე გაუკვირდა თავისი თავის, ვერასოდეს იფიქრებდა, ასე ლაპარაკს თუ შეძლებდა. ეს გამოძახილი იყო ყველაფრისა, რაც ესმოდა და რასაც კითხულობდა, რაზეც ფიქრობდა და ოცნებობდა წლების მანძილზე, სამონასტროში. თანაც გუმანით ხვდებოდა, რომ თავისი ყველაზე დიდი როლიც იყო თითქოს და მთელი ძალით მისცემოდა ამ როლის თამაშს.

„სხვა რაღაც გინდათ თქვათ“, დიკმა სცადა გონზე მოეყვანა. „იქნებ შამპანურის ბრალია? კარგი, დავანებოთ თავი ამ ლაპარაკს“.

„აჰ, არა, ახლა, ახლა მინდა, რომ ჩემთან იყოთ, თქვენც ვარ, მინდა მთლად თქვენი ვიყო“.

„ჯერ ერთი, გიფიქრიათ იმაზე, რომ ნიკოლს ეს ტკივილს მიაყენებს?“

„ის ვერ გაიგებს, ეს სულაც არ ეხება მას“.

დიკმა ალერსით, ნაზად უთხრა:

„მერე კიდევ, გავიწყდებათ, რომ მე ნიკოლი მიყვარს“.

„მაგრამ, ხომ შეგიძლიათ კიდევ ვინმე გიყვარდეთ? მე ხომ მიყვარს დედა და მიყვარხართ თქვენც — უფრო მეტად, ახლა თქვენ უფრო მეტად“.

„...თანაც, თქვენ ახლა არ გიყვარვართ, მერე კი შეიძლება შეგიყვარდეთ და რა გამოვა, თავიდანვე აგერევით მთელი ცხოვრება“.

„არა, სიტყვას გაძლევთ, აღარასოდეს შევხვდებით მერე დედას გამოვიძახებ და ჩამოვა თუ არა, ამერიკაში წავალთ“.

დიკმა ეს ფიქრი მოიშორა. კარგად ახსოვდა, ძალიან კარგად, მისი ბავშვური ტუჩები, და ტონი შეიცვალა.

„გაგივლით, ახლა ხართ ამ ხასიათზე თორემ, გაგივლით“.

„არა, თუ შეიძლება, არ მეშინია, თუნდაც ბავშვი გამიჩნდეს. მექსიკაში წავალ, სტუდიაში ერთი მსახიობი ასე მოიქცა ადრე არ მიგრძენია ასეთი რამ. ყოველთვის მძაგდა, როცა სერიოზულად მკოცნიდნენ“. დიკი ხედავდა, რომ მაინც სჯეროდა, ეს მოხდებოდა. „ზოგს ისე დიდი კბილები ჰქონდა, მაგრამ თქვენ სულ სხვა ხართ, ლაშაზი, კარგი, მინდა თქვენი გავხდე“.

„მე მგონია ფიქრობთ, რომ არსებობს რაღაც არაჩვეულებრივი კოცნა და გინდათ მე გაკოცოთ ისე“.

„დამცინით, ბავშვი აღარა ვარ. ვიცი, არ გიყვარვართ. ამისი იმედი არცა მქონია“. უცებ გაჩუმდა, დაშოშმინდა. „თქვენ ალბათ არარაობად მთვლით“.

„სისულელეა. მაგრამ მე ჯერ ისევ ბავშვი მგონიხართ“. და თავისთვის, ფიქრში დაუმატა: „და ჯერ ბევრი რამე უნდა ისწავლოთ“.

როზმერი ხმას აღარ იღებდა, დაძაბული სუნთქავდა, ელოდა, ისევ დიკს ეთქვა რამე:

„და ბოლოს, ცხოვრებაში ისე არ ხდება, როგორც გინდათ“.

როზმერემ თავი ჩაღუნა, წყენითა და გულის ტკივილით მოშორდა დიკს. ის იყო, დიკმა უნებურად დაიწყო:

„ჯობია, მე და თქვენ, უბრალოდ...“ მაგრამ სიტყვა გაუწყდა, დაინახა, როზმერი საწოლზე ჩამომჯდარიყო და ტიროდა. თვითონაც დაჯდა. უცებ თავგზა აებნა, იმიტომ კი არა, რომ დაეჭვდა თავის ზნეობაში — არა, სხვაგვარად ვერ მოიქცეოდა, ეს გამორიცხული იყო, — უბრალოდ თავგზა აებნა და მოქნილობამ, ასე ძალიან რომ უხდებოდა, და დაურღვეველმა სულის სიმშვიდემ, წუთით უმტყუნა.

„ვიცოდნი, არ მოინდომებდით“, ქვითინებდა როზმერი. „რისი იმედი უნდა მქონოდა“.

დიკი ადგა.

„ლამე მშვიდობისა, ბავშვო. თავი დავანებოთ, სიგიჟეა ეს ლაპარაკი. ჩავთვალოთ, ვითომ არც არაფერი ყოფილა“. რამდენიმე დამამშვიდებელი სიტყვა გარკვეული დოზით, ძილის წამალივით მიჰგვარა დიკმა. „თქვენ ძალიან ბევრს შეუყვარდებით, და როცა თვითონაც შეგიყვარდებით, გაგიხარდებით, რომ პირველ სიყვარულს უმანკო და ხელუხლებელი მიეგებებით სულითაც და სხეულითაც. ეს ცოტა ძველმოდური აზრია, არა?“ როზმერემ თავი ასწია და დაინახა, კარისკენ მიდიოდა დიკი. უყურებდა და ოდნავადაც ვერა ხვდებოდა თუ რა ხდებოდა იმის გულში. ხედავდა, როგორ გადადგა კიდევ ერთი ნაბიჯი, შემობრუნდა და გამოხედა, და იმწუთას როზმერის მოუხდა გამოკიდებოდა, მკლავებში ჩავარდნოდა, ეგრძნო იმისი

ბაგე, ყურები, პიჯაკის საყელო, უნდოდა შემოხვეოდა, გულში ჩაეკრა; მაგრამ დიკს უკვე კარის სახელურზე ედო ხელი, მორჩა, მეტი აღარაფერი შეიძლებოდა მომხდარიყო. კარი რომ მიიხურა, საწოლიდან წამოდგა, სარკესთან მივიდა და სლუკუნ-სლუკუნით თმის ვარცხნას მოჰყვა, ას ორმოცდაათჯერ გადაისვამდა ხოლმე თმაზე ჯაგრისს ყოველ საღამოს, მერე კიდევ ას ორმოცდაათჯერ. როზმერი მანამ ივარცხნიდა თმას, სანამდე ხელი არ ეტკინა, მერე მეორე ხელით მოჰყვა ვარცხნას...

XVI

ღამემ დააცხრო როზმერი, გაღვიძებულს სირცხვილი წვაავდა. სარკეში თავისი მშვენიერი სახის დანახვამ სიმშვიდე არ მოჰგვარა, პირიქით, უფრო გაუძაფრა გუშინდელი ტკივილი; არც დედისაგან გამოგზავნილმა იმ ბიჭის ბარათმა უშველა, შარშან იელის მეჯლისზე რომ წაეყვანა როზმერი, იტყობინებოდა, რომ პარიზში ჩამოდიოდა, — ახლა ეს უკვე წარსული იყო. თავისი ოთახიდან გამოვიდა, დაივერებთან შეხვედრას დელვით მოელოდა, დღეს ორმაგად მტანჯველი იქნებოდა იმათი ნახვა. მერე მკერავთან უნდა შეეველოთ, არა, ვერაფერს შეამჩნევდნენ, ნიკოლივით ამასაც რაღაც შეულწევადი გარსი ექნება შემოვლებული. მაინც ესამოვნა, როცა ნიკოლმა ერთი დამთხვეული გამყიდველი ქალის გამო მართებულად შენიშნა: „რატომღაც ძალიან ამძაფრებენ ხოლმე სხვების აზრს თავიანთ თავზე, ეს ბევრს სჩვევია; გეგონება იმათ მოწონებაზე ან ანტიპათიაზე ფიქრობდეს ყველა“. ასეთ შენიშვნაზე, ექსპანსიური როზმერი გუშინ გულში აღშფოთდებოდა, მაგრამ დღეს გაუხარდა — იმდენად დიდი სურვილი ჰქონდა დაეჯერა, რომ არც არაფერი მომხდარა, და იხიბლებოდა ნიკოლის ჭკუით, სილამაზით, და თანაც, პირველად თავის სიცოცხლეში — ეჭვიანობდა. გოსის ოტელიდან წამოსვლის სწორედ წინა დღეს იყო, დედამისმა ნიკოლზე რომ თქვა, მშვენიერიაო, სხვათა შორის შენიშნა, მაგრამ როზმერიმ იცოდა, ეს შენიღბვა იყო. თავის მრავლისმეტყველ აზრს ამ ხმაზე, კაზუალური ტონით იტყოდა ხოლმე. ამჯერად — შენ ასეთი არა ხარო, აგებინებდა, მაგრამ ოღნავადაც არ სწყენია. თავიდანვე დიდად არ გაუნე-

ბივრებიანთ თავისი გარეგნობის გამო, დიდი ხანი არ არის, რაც მის სილამაზეზე ალაპარაკდნენ და ესეც რაღაც მისდა საკეთილდღეოდ მოპოვებული და შეძენილი რამ ეგონა მხოლოდ, როგორც, ვთქვათ, თუნდაც ფრანგულის ცოდნა. ახლაც, მიუხედავად ამისა, ნიკოლის გვერდით ტაქსიში მჯდომი უნებლიეთ თავის თავს ადარებდა მას. ნიკოლი თითქოს რომანტიკული სიყვარულისთვის გაჩენილიყო, მისი აშოლტილი სხეული, იმისი ნაზი, ხან მოკუმული, ხან ოდნავ გაპობილი დამინდობი მოლოდინის გამომხატველი ბაგე. ნიკოლი პატარაობიდანვე ლამაზი იყო და ასეთიც დარჩებოდა მაშინაც, როცა ამოზიდულ ყვრიმალეებზე გამხმარი პირის კანი შემოეჭიმებოდა. სახის ასეთი წყობა არ იცვლება. წინათ საქსონელივით ვარდისფერსა და ქერა ნიკოლს, თმა გამუქებოდა და უფრო მიმზიდველი ჩანდა, ვიდრე იმხანად, როცა ქერა თმა, შუბლს მოოქროსფრო ღრუბელივით შემოვლებოდა და თმალამაზი მთლად ლამაზს სჯობდა.

რუ დე სენ პერზე უცებ ერთ სახლზე მიუთითა როზმერიმ:

„აქ ვცხოვრობდით“.

„საოცარია. როცა თორმეტი წლისა ვიყავი, დედამ, ჩემმა დამ ბებიმ და მე, ამ ქუჩაზე გავატარეთ ზამთარი, აი იმ ოტელში“.

ნიკოლმა ის ოტელი დაანახვა. ორი გახუნებული შენობის ფასადი — ბავშვობის ორი ბუნდოვანი გამოძახილი აქეთ-იქედან.

„მაშინ სახლს ვაშენებდით ლეიკ ფორისტში და მომჭირნეობით უნდა გვეცხოვრა“, განაგრძო ნიკოლმა. „უფრო სწორად, ვიჭირვებდით მე, ბები და გუვერნანტი, დედა კი მოგზაურობდა“.

„ჩვენც მომჭირნეობით უნდა გვეცხოვრა“, თქვა როზმერიმ, რა თქმა უნდა, ზვდებოდა, ამ სიტყვას მათთვის სხვადასხვა აზრი რომ ჰქონდა.

„ამაზე ლაპარაკისას დიდ სიფრთხილეს იჩენდა ხოლმე დედა, „იაფფასიან ოტელს“ კი არა, როგორც იყო“, ნიკოლმა თავისი გადამდები, მიმზიდველი სიცილით ჩაიციინა, — „პატარა ოტელს“ იტყოდა ხოლმე. ჩვენი ყოყლოჩინა მეგობრებიდან, თუ მისამართს გგკითხავდა ვინმე, იმას კი არ ვეტყოდით,

რომ — „აპაშების კვარტალში ვცხოვრობთ, საძაგელ, მინგრეულ-მონგრეულ ქოხმახში, სადაც, წყალი თუ იქნა, ესეც დიდი შეღავათია“, არა, ყოველთვის ვამბობდით, რომ „პატარა ოტელში“ ვცხოვრობდით. თითქოს ყველა დიდი ოტელი ჩვენთვის ზედმეტად ხმაურიანი და ვულგარული იყო. რაღა თქმა უნდა, მეგობრები იოლად ხვდებოდნენ და საცა კი მოხვდებოდათ; ამაზე ყველას უამბობდნენ. მაგრამ დედა თავისას არ იშლიდა, გვეუბნებოდა, ევროპაში ცხოვრების უნარი უნდა გქონდესო, მას ჰქონდა ეს უნარი, რა თქმა უნდა, ის ხომ გერმანიაში დაიბადა, მაგრამ დედა ჰყავდა ამერიკელი, თვითონ კიდევ, ჩიკაგოში გაიზარდა და ამერიკული უფრო მეტი ეცხო, ვიდრე ევროპული“.

ერთ-ორ წუთში სხვებსაც შეხვდებოდნენ და სანამ ლუქსემბურგის ბაღის პირდაპირ რუ გინემერზე ტაქსი გაჩერდებოდა, როზმერიმ ერთხელაც მოასწრო გარდასახვა. ნორთებთან უნდა ესაუზმათ, სხვენისძირა, უკვე მირღვეულ-მორღვეულ და ფოთოლხშირი ხეებით დაჩრდილულ იმათ ბინაში. როზმერის ეჩვენებოდა, რომ გუშინდელი და დღევანდელი დღე ცა და მიწასავით ჰგვანდნენ ერთმანეთს. მაგრამ, პირდაპირ აღმოჩნდა თუ არა დიკთან და თვალეებში შეხედეს ერთმანეთს, თითქოს ჩიტებმა გაჰკრესო ცაში ფრთები, იმწამსვე, სიხარულით აივსო როზმერი. ყველაფერი კარგად იყო, მშვენიერი იყო. იგრძნო, უკვე თითქმის უყვარდა დიკს და გიჟივით გაუხარდა, თბილი ჟრუანტელი მოერია სხეულს. რაღაც ფარული და მშვიდი ხმის მღერა მოესმოდა, ძლიერდებოდა, თანდათანობით ღრმავდებოდა ის ხმა, თითქმის არც კი უყურებდა დიკს, მაგრამ გრძნობდა, რა კარგად მიდიოდა ყველაფერი.

საუზმის მერე დაივერები, ნორთები და როზმერი „ფრანკო ამერიქენ ფილმზს“ ეწვივნენ. იქ მოვიდოდა კოლის კლეიც, მისი ნიუჰეივენელი მეგობარი, რომელსაც ტელეფონით შეუთანხმდა როზმერი. ეს ჭაბუკი, ვისაც ჩრდილოეთ შტატებში სწავლის მისაღებად წასული ყველა სამხრეთელივით, მეტისმეტი პირდაპირობა და ტრაფარეტულობაც კი ახასიათებდა, წარმოშობით ჯორჯიიდან იყო. შარშან ზამთარს, სანდომიანი, მოხდენილი ყმაწვილიაო, ფიქრობდა როზმერი და როცა ერთხელ მანქანით ნიუ-ჰეივენიდან ნიუ-იორკამდე ერ-

თად იმგზავრეს, მთელ გზაზე ხელიხელჩაკიდებული ისხდნენ, ახლა მისთვის იგი, უბრალოდ აღარ არსებობდა.

დარბაზში როზმერი კოლის კლეისა და დიკს შუა იჯდა, აპარატს რაღაც მოეშალა და სანამ მექანიკოსი „მამიკოს გოგონაზე“ ჯახირობდა, ადმინისტრაციიდან ვილაცა ფრანგი თავს ევლებოდა როზმერის, თან სულ ახალი ამერიკული სლენგით ცდილობდა ელაპარაკა, ჟარგონითვე მიმართავდა მექანიკოსსაც: „გავაფრენ და ეგ არის, ბიჭო“. ბოლოს რაღაც ხმაური გაისმა, გატკაცუნდა, კიდევ რაღაც ზუზუნნი და, როგორც იქნა მარტო აღმოჩნდა დიკთან. სიბნელეში შეხედეს ერთმანეთს.

„როზმერი, ძვირფასო“, ჩაიხურჩულა დიკმა. მათი მხრები ერთმანეთს შეეხო. იმ რიგის ბოლო სკამზე მჯდარი ნიკოლი შეიშმუშნა, ეიბი დიდხანს ახველებდა და ცხვირს იხოცავდა; მერე ყველა დაწყნარდა და ფილმი დაიწყო.

ესეც ის — შარშანდელი მოწაფე, ტანაგრის სტატუეტით უკან გადაწეული და ბეჭებზე ჩაშვებული თმით, ის — ასეთი ნორჩი და უმანკო, დედის ალერსიანი ზრუნვის ნაყოფი, ისა — მთელი მოდგმის ხორცშესხმული ინფანტილიზმი, ვისი მეძავური გონის საამებლადაც ახალი თოჯინა გამოეჭრათ მუყაოსაგან. როზმერის სინორჩისა და სინედლის შეგრძნება გაახსენდა, მაშინდელი, ის ახალი და სრიალა აბრეშუმის კაბა რომ ეცვა.

მამიკოს გოგონა. ასეთი პაწაწკინტელა, არადა, რაღაც არ გადახდა საბრალოს. ჟღურტულა, შეუპოვარი პაწაწა ჟღურტულა. მისი ერთი ბეწო მუშტის წინაშე უკან იხევდა ავხორცობა და გარყვნილება, უფრო მეტიც, ბედიც კი სხვაგვარად ტრიპლდებოდა, სილოგიზმი, დიალექტიკა, საღი აზრი — ყველა ძალას ჰკარგავდა. ქალებს დავიწყებოდათ, გასარეცხი თეფშები რომ ეყარათ შინ და ქვითინებდნენ. თვითონ ფილმშიც ერთი ქალი იმდენს ქვითინებდა, კინალამ როზმერისაც აჯობა. ტიროდა დეკორაციებში, — გადაღებისას მთელი მათი ავლადიდება; დანქენ ფაიფის სასადილო ოთახში, აეროპორტში, მდინარეზე, აფრიანი ხომალდების გასწრებისას, — აქედან ფილმში მხოლოდ ორი კადრი შევიდა; მეტროპოლიტენის ვაგონსა და ბოლოს — სააბაზანოში. მაგრამ გამარჯვება მაინც როზმერის დარჩა, ხასიათის შეურყევლობამ, კეთილშობილებამ და გამბედაობამ უშველა გაეძლო ქვეყნად გამეფებული

სახეებისთვის, სახეზე ეწერა, რაც გადახდა, ამის სახე რომ ჯერაც ნიღბად არ ქცეულიყო. ისეთი უნებური და გულისშემძვრელი ჩანდა, რომ იმ რიგში ყველა, მოხიბლული და გულაჩუყებულები, დროდადრო მისკენ იხედებოდნენ და უყურებდნენ. ფილმი ერთი ინტერვალით აჩვენეს და სინათლე აინთოთუ არა, ყველამ თავისი ალტაცება გაუზიარა, ხმაური და ტაშისცემა რომ მიხელდა, დიკმა უბრალოდ და გულწრფელად უთხრა: „თქვენ გამაოცეთ, ეჭვიც არ მეპარება, ერთ-ერთი საუკეთესო მსახობი დადგებით მალე“.

მერე კი ისევ „მამიკოს გოგონა“ ეკრანზე. გათავდა წუხილი და დადგა უფრო ბედნიერი დღეები. როზმერიმ და მამამისმა ერთმანეთი იპოვეს და ყველაფერი დამთავრდა მათი შეხვედრის სცენით, სადაც ოიდიპოსური კომპლექსი ისე ცხადი და გულისამრევად სანტიმენტალური იყო, რომ დიკს თავისი თავისა და ყველა ფსიქიატრის გამოც, ეუხერხულა. ფილმი დამთავრდა, სინათლე აინთო და დადგა ის წუთი, რომელიც უნდა დამდგარიყო.

„მე ერთი სიურპრიზიცა მაქვს თქვენთვის“, ყველას გასაგონად გამოაცხადა როზმერიმ. „დიკისთვის სასინჯი გადაღების საქმე მოვაგვარე“.

„რაო?“

„სასინჯი კინოგადაღება, ახლა მიიწვევენ“.

საშინელი სიჩუმე ჩამოვარდა; მერე ვიღაცამ — ნორთი იყო, მერი ან ეიბი, — სიცილი ვერ შეიკავა. როზმერის თვალი არ მოუშორებია დიკისთვის, მეტყველ ირლანდიურ სახეზე ამჩნევდა, რომ თანდათან ხვდებოდა სიტყვების აზრს, მაგრამ მაშინვე იმასაც მიხვდა, რომ თავისი კოზირის გამო რაღაც შეცდომა დაეშვა, ოღონდ, ჯერ კიდევ ვერ გაეგო, რომ თვითონ ბანქო არ უვარგოდა.

„სასინჯ გადაღებაზე მე არ წავალ“, მტკიცედ თქვა დიკმა; მაგრამ მთელი სიტუაციის გააზრების მერე უფრო გულითადი ტონით განაგრძო: „მიკვირს, როზმერი, რამ მოგაფიქრათ, კინო შესანიშნავი კარიერაა ქალისთვის, მაგრამ, ღმერთო ჩემო, ჩემგან რა კინომსახობი უნდა დადგეს. რა მზეჭაბუკი მე მნახეთნეტავ, ჩემი სახლისა და მეცნიერების იქით სხვა არაფერი არა ვიცი რა“.

ნიკოლი და მერი ირონიულად აქეზებდნენ, ხელიდან არ გაეშვა შემთხვევა; ცოტათი კიდევაც სწყინდათ, რომ თვითონ არ მიიწვიეს. მაგრამ დიკმა სხვა თემაზე გადაიტანა საუბარი, მსახიობებზე გამოთქვა თავისი აზრი და საკმაოდ მკვეთრადაც.

„ყველაზე მაგრად იმ კარს კეტავენ, რომელსაც არსად არ შევყავართ“, თქვა მან, „ალბათ იმიტომ, რომ სიცარიელე უშნოა და რცხვენიათ“.

როზმერი დიკთან და კოლის კლეისთან ერთად ჩაჯდა მანქანაში — კოლისს მიიყვანდნენ თავის ოტელში და მერე დიკი როზმერის ერთ სალამოზე წაიყვანდა, ნიკოლმა და ნორთებმა უარი თქვეს იმ აუცილებელი და გადაუდებელი საქმეების გამო, ეიბმა ბოლოსთვის რომ მოიტოვა. ტაქსიში როზმერიმ უსაყვედურა დიკს.

„მე მეგონა, თუ გადალება წარმატებით ჩაივლიდა, ფირს თან, კალიფორნიაში წავიღებდი. იქ კი, თუკი მოეწონებოდათ, იქნებ მიეწვიეთ კიდევაც და ახალ ფილმში ჩემი პარტნიორი გახდებოდით“.

დიკი გაშტერდა.

„ძალიან მიხარია, ასე რომ ფიქრობთ ჩემზე, როზმერი, მაგრამ ის უფრო მირჩევნია, კინოში თქვენ გიყუროთ. ამ სურათში მშვენიერი ხართ“.

„მაგარი ფილმია“, თქვა კოლის კლეიმ. „მეოთხეჯერ ვნახე. ერთ ბიჭს ვიცნობ, ნიუჰეივენელია, ათჯერ მაინც ნახა, ერთხელ საგანგებოდაც კი წავიდა ჰარტფორდში, მაგრამ როზმერი რომ ნიუ-ჰეივენში ჩამოვიდა, ისე შერცხვა, შეხვედრაზე უარიც კი თქვა. როგორია? ეს პატარა გოგო ყველას ძირს აწვენს“.

დიკმა და როზმერიმ ერთმანეთს გადახედეს; ერთი სული ჰქონდათ ორივეს, მარტო ყოფნისა, მაგრამ კოლისს აზრადაც არ მოსდიოდა მათი დატოვება.

„ჯერ თქვენ მიგიყვანთ“, თქვა მან. „მე „ლუტეციაში“ მცხოვრობ, აქვეა“.

„არა, ჩვენ მიგიყვანთ“, უთხრა დიკმა.

„არაფერია, მიგიყვანთ, ჩემთვის იოლია“.

„მე მეგონია, ჯობია, რომ ჩვენ მიგიყვანოთ“.

„მაგრამ...“ დაიწყო კოლისმა და გაჩერდა, ბოლოს და ბო-

ლოს მიხვდა და როზმერის გაუბა ლაპარაკი, ისევ სად და რო-
დის შევხვდეთო, ეკითხებოდა.

ბოლოს, როგორც იქნა წავიდა, დიდი არაფერი, მაგრამ
მაინც ზედმეტი იყო, ტვირთად აწვათ მესამე პირი. მანქანა
გულდასაწყვეტად მალე და მოულოდნელად გაჩერდა იმ სახლ-
თან, სადაც მიდიოდნენ. დიკმა ღრმად ამოისუნთქა.

„რა ვქნათ, შევიდეთ?“

„როგორც გინდათ, ჩემთვის სულ ერთია“, თქვა როზმერიმ.
„როგორც თქვენ იტყვით“.

დიკი დაფიქრდა.

„არა, უნდა მივიდე — იმ ქალს რამდენიმე სურათის ყიდვა
სურს ერთი ჩემი მეგობარი მხატვრისგან, რომელსაც ძალიან
სჭირდება ფული“.

როზმერიმ თმაზე ოდნავ გადაისვა ხელი, იგრძნო, ცოტათი
არეული ჰქონდა და გაისწორა.

„ხუთი წუთით და წამოვიდეთ“, თქვა ბოლოს დიკმა. „თქვენ
ეს ხალხი არ მოგეწონებათ“.

აღბათ მოსაწყენი ხალხია, სტერეოტიპები, გაიფიქრა როზ-
მერიმ, — ან სმას გადაყოლილები და აბეზრები, ისეთები, ვის-
თან ურთიერთობასაც დაივერები ერიდებიანო. არ ეგონა, რომ
ახვა სცენას ნახავდა და სხვა შთაბეჭდილება დარჩებოდა.

XVII

სახლი რუ მესიეზე იდგა. კარდინალ დე რეტის გადაკეთე-
ბული სასახლე გახლდათ, მაგრამ სასახლისაგან კარკასილა დარ-
ჩენილიყო. შიგნითაც აღარაფერი მოგაგონებდათ წარსულს,
არც აწმყოს, იმას, რაც როზმერიმაც იცოდა. უფრო იმასა ჰგავ-
და, რომ ძველებური აგურის კედლები მყოფადს მოიცავდა,
ასე რომ, ვინც იმ სახლის ზღურბლს, — თუ ზღურბლი იყო, —
გადააბიჯებდა, ისეთი გრძნობა ეუფლებოდა, თითქოს დენმა
დაარტყაო, ან კიდევ საუზმედ შვრიის ფაფა ჰაშიშთან ერთად
მოართვესო. გრძელი ჰოლი უნდა გაევილო, მოლურჯო ფოლადს
აქ ოქროცურვილი ვერცხლი ენაცვლებოდა და ეს ყველაფერი
სარკეების მირიად უცნაურ წახნაგებში ირეკლებოდა. აქ სულ
სხვა შთაბეჭდილება გრჩებოდათ, ისეთი არა, როგორიც,

ვთქვათ, დეკორატიული ხელოვნების გამოფენაზე, სადაც ყველაფერს გარედან უყურებ, აქ კი, თვითონ, შიგნით ექცევი როზმერის უცხო, ყალბი და ჭრელი მოეჩვენა აქაურობა, ასევე ეგონა, სცენაზე გაიყვანესო და ხვდებოდა, რომ სხვებსაც იგივე გრძნობა ჰქონდათ.

ოცდაათამდე კაცი იყო, უმთავრესად ქალები და ყველა ლუიზა მ. ოლკოტისა თუ მადამ დე სეგიურის თარგზე გამოჭრილი, შუშის წამახულ ნამსხვრევებს რომ წამოკრებს ხელი, ის ხელივით ფრთხილად და გამოზომილად მიმოდიოდა ამ სცენაზე. აქ არ იგრძნობოდა გარემოსა თუ ნივთების მიმართ თავისუფლება, რაც ხელოვნების საგნების მფლობელ კაცს უჩნდება ხოლმე, თუნდაც მეტად თავისებური და ეზოტერული იყოს ის საგნები. რა ოთახი იყო, ვერ გაიგებდით, რასაც გინდათ დაარქმევდით, ოღონდ ოთახს კი არა. იქ ყოფნა ისევე ძნელი იყო, როგორც გაპრიალეზულ მოძრავ კიბეზე ზევ-ზევით ასვლა, საამისოდ ისევ იმ შუშის ნამსხვრევების ფრთხილად ამკრები ხელის წაშველება სჭიროდა კაცს და ეს სიფრთხილე თუ გამოზომვა იყო იქ მყოფთა ზნეც და ბუნებაც, — თითქმის ყველასი.

ორნაირ ხალხს მოეყარა თავი. ერთ ჯგუფში შედიოდნენ ამერიკელები და ინგლისელები, მთელი გაზაფხულისა და ზაფხულის მანძილზე თავაშვებული ცხოვრებით რომ ცხოვრობდნენ და ისევ თავიანთ ნებაზე მიშვებულებს, ზოგჯერ თვითონაც არ ესმოდათ რა უნდოდათ და რას აკეთებდნენ. ერთხანს რომ მეტად წყნარად იყვნენ, მოდუნებული და ყველაფრისადმი გულგრილები, უცებ ჩხუბს წამოიწყებდნენ, ერთ ამბავს ატეხდნენ და ცთუნებასაც აჰყვებოდნენ. მეორე ჯგუფი საქმოსნების, უფრო ფხიზელი და საღი გონების ხალხისაგან შედგებოდა. ამათ რაღაცა მიზანი ჰქონდათ ცხოვრებაში და დროს ეგრე იოლად სისულელეებზე არ დაკარგავდნენ. ესენი უკეთ ეგუებოდნენ ამ გარემოს და ტონსაც აძლევდნენ იქაურობას, რამდენადაც ეს შეიძლებოდა ისეთ ადგილას, სადაც განათების უახლესი ხერხებით ეფექტის მიღწევა იყო მთავარი.

ამ ფრანკენშტაინმა შთანთქა დიკი და როზმერი, წამში ჩაყლაპა, შესვლაც ვერ მოასწრეს, რომ ორთავე ცალ-ცალკე აღმოჩნდა და გაოცებულმა როზმერიმ, თავისსავე თავს შეამ-

ჩნია, — პატარა ფარისეველი იყო, განგებ ხმამაღლა მოლაპარაკე, და გულგაღებული ელოდა რეჟისორის მოსვლას, რომ წარემართა მისი ცხოვრება. ერთი სიტყვით, აქ ყველას ფრთები ჰქონდა გამოსხმული, და ისე ატყლაშუნებდნენ ამ ფრთებს, რომ თვითონაც მოუნდა არ ჩამორჩენოდა სხვებს, გამოცდილება და წვრთნაც შველოდა; რამდენჯერმე შეტრიალება, — გაიარ-გამოიარა და, უცებ აღმოაჩინა, რომ უკვე გაება საუბარში ერთ მეტად მოხდენილ, სანდომიან ქალიშვილთან, ლამაზ ბიჭს რომ უგავდა სახე; საუბარი კი გაება, მაგრამ ფაქტიურად ოთახის სხვა მხარეს, ოთხიოდე ნაბიჯის იქით საქვემეხო ლითონისაგან ჩამოსხმულ კიბესთან მდგომებისთვის მიეგდო ყური და ლამის სიტყვა-სიტყვითაც კი ისმენდა იმათ ლაპარაკს.

სამი ახალგაზრდა ქალი ჩამომჯდარიყო ამ კიბის ქვედა საფეხურზე, სამივენი მალღები და მოხდენილები, ლამაზი პატარა თავებითა და მანეკენებივით თმადავარცხნილები. ლაპარაკისას თავებს გრძელყუნწიანი ყვავილებივითა თუ კობრებივით შეარხევდნენ ხოლმე თავიანთ მუქ, მამაკაცისნაირ კოსტიუმებზე.

„არა, უნდა ითქვას, რომ ძალიან კარგ საღამოებს მართავენ“, თქვა ერთმა დაბალი, მუღერი ხმით. „ფაქტიურად, ყველაზე კარგი საღამოები პარიზში მაგათია. არარაობა უნდა ვიყო, რომ ეს უარყო. ოღონდ, მაინც...“ ამოიოხრა, „მისი თავებელი ფრაზები, წამდაუწუმ რომ იმეორებს — „აბორიგენები, ჭიები რომ ხრავენ...“ კარგი, ერთხელ შეიძლება გაიცინო, მაგრამ...“

„მე უფრო ისეთ ხალხს ვანიჭებ უპირატესობას, ვინც მაგათსავით კარგად ვერ ააწყო თავისი ცხოვრება“. თქვა მეორემ, „ის ქალი კი სულ არ მომწონს“.

„მაინცდამაინც არასოდეს აღვფრთოვანებულვარ მაგ ხალხით, მაგათი კომპანიით ხომ... თუნდაც ის მისტერ ნორთი, მთლად წყალწაღებულა“.

„მაგაზე ზედმეტია ლაპარაკი, ეგ არც ითვლება“. თქვა ისევ პირველმა. „მაგრამ თვითონაც იცით, რომ ის, ვისაც ვგულისხმობთ, მომხიბვლელია, ძნელად შეხვდები მაგისთანა კაცს“.

ახლადა მიხვდა როზმერი, რომ დაივერებზე ლაპარაკობდ-

ნენ და აღშფოთებისგან ლამის გაშეშდა. ამასობაში ეს ქალი-
შვილი, როზმერისთან მოლაპარაკე, — ცისფერთვალეა, ვარ-
დისფერლაწვებიანი, გახამებული ბლუზითა და შესანიშნავი
ნაცრისფერი კოსტიუმით სარეკლამო ტიპს რომ ჰგავდა, — გა-
ცხოველებით მოჰყვა ლაპარაკს, და ლამის იერიშზე გადავიდა.
მთელი ამ ხნის მანძილზე, იმის შიშით, რომ როზმერი კარ-
გად ვერ შეხედავდა, ცდილობდა ერთი ბეწოც აღარაფერი
დარჩენილიყო იმათ შორის, იუმორის თხელი საფარიც კი,
ბოლოს და ბოლოს, მოახერხა, როზმერიმ კარგად დაინახა
და ლამის შეზიზღდა, ისე არ მოეწონა.

„იქნებ ერთად გვესაუზმა ან გვესადილა სადმე, ხვალ ან
ზეგ?“ ის ქალიშვილი სთხოვდა როზმერის.

როზმერიმ მიიხედ-მოიხედა, თვალებით დიკს ეძებდა, დაი-
ნახა, დიასახლისთან ერთად იდგა; რაც აქ მოვიდნენ, სულ
იმას ელაპარაკებოდა და ეტყობა, ჯერ ვერ შეთანხმებოდა.
მათი თვალები ერთმანეთს შეხვდა, დიკმა ოდნავ დაუქნია
თავი და ესეც კმაროდა, სამმა კობრამ იმწამსვე შეამჩნია როზ-
მერი და მოხედეს, კისრები კიდევ უფრო დაუგრძელდათ,
თავით ფეხებამდე შეათვალაიერეს. როზმერიმ გამომწვევად
შეხედა, აგრძნობინა, რომ გაიგონა, რაცა თქვეს. მერე საჩქა-
როდ, მაგრამ თავაზიანად, ისე, როგორც დიკმა იცოდა, დაშორ-
და თანამოსაუბრეს და დიკთან მივიდა. დიასახლისი, ესეც კი-
დევ ერთი მაღალი ქალიშვილი, ეროვნული კეთილდღეობის
უზრუნველად მომკელი მდიდარი ამერიკელი, დიკის უგულის-
ყურობას არ დაგიდევდათ და ათას კითხვას აყრიდა. რაღას არ
ეკითხებოდა გოსის ოტელზე, ეტყობა, მალე იქით გასწევდა.
როზმერის დანახვისას გაახსენდა, დიასახლისის ვალი უნდა
მოეხადა და მაშინვე ჰკითხა: „საინტერესო ხალხს გაეცანიო?
კარგად ისაუბრეთ? ნახეთ მისტერ...“ თვალებით დაუწყო ძებ-
ნა მამაკაცს, „შესაფერისს“, როზმერისათვის, მაგრამ დიკმა —
ჩვენი წასვლის დროაო და მაშინვე წავიდნენ, იმ სახლს, იმ
მიჯნას გასცდნენ თუ არა, უცებვე ქვის ფასადის ჩრდილში, წარ-
სულში ჩაინთქნენ.

„საშინელება იყო“, თქვა დიკმა.

„საშინელება“, მორჩილად მიუგო როზმერიმ.

„როზმერი!“

როზმერი გაირინდა, ხმა ჩაუვარდა.

„რა?“

„საშინლად მოვიქეცი“.

როზმერი ხმამაღლა, გულით ატირდა, მხრები უთრთოდა ქვითინისგან.

„ცხვირსახოცი მომეცით“, ენა ებმოდა, ისე სთხოვა დიკს.

მაგრამ ტირილისთვის ვის ეცალა, ან ამის დრო სად იყო. შეყვარებულები ხარბად ჩაეკვრნენ, რამდენიმე წუთს ასე იყვნენ, ტაქსის მინებში მწუხრს შერეული სიმწვანე ჩანდა, უკვე სიმრუმე ემატებოდა და უშფოთველი წვიმის ფარდაში ელექტრონივით — ლურჯ და ცეცხლისფრად, ხანაც მავისფერ-მწვანე კვამლივით ჩნდებოდა და ინთებოდა რეკლამები. საღამოს ექვსი ხდებოდა, ქუჩებში მოძრაობამ იმატა, ბისტროების სარკმლებიდან უკვე შუქი გამოდიოდა, როცა ვარდისფერსა და დიდებულ თანხმობის მოედანს ჩაუარეს და მანქანამ ჩრდილოეთისკენ აიღო გეზი.

როგორც იქნა შეხედეს, სახელებს ჩუმად ამოთქვამდნენ, ავგაროზებად. ორი სახელი ერეოდა სათუთად — ჰაერს, სხვა სიტყვებზე, სხვა სახელებზე, სხვა მუსიკაზე უფრო მეტად და ხანგრძლივად ჩაესმოდა გონებას.

„არ ვიცი გუშინ რა დამემართა“, თქვა როზმერიმ, ალბათ შამპანურის ბრალი იყო? ადრე ასე არ დამმართნია“.

„უბრალოდ, ისა თქვით, რომ მე გიყვარვართ“.

„მართლა მიყვარხართ — ამას აღარა ეშველება რა“. ახლა კი დადგა დრო, ეტირა და როზმერიც ატირდა, ცხვირსახოცს იფარებდა.

„მგონია, მეც მიყვარხართ“, თქვა დიკმა, „და კარგი იქნებოდა, ეს არ მომხდარიყო...“

ისევ ორი სახელი, — მერე გადაეხვივნენ, ისე, თითქოს ტაქსიმ მიაგდო ერთმანეთსო. მკერდით მიეკვრნენ, როზმერის ბაგე, სულ სხვა და თბილი, დიკის ბაგეს შერთო და აღარაფერზე ფიქრობდნენ ახლა, ველარაფერს ხედავდნენ და ამის გამო ლამის ტკივილნარევ შვებას განიცდიდნენ; ერთმანეთის სუნთქვა ესმოდათ და ერთმანეთს ეძებდნენ. თითქოს ნამთვრალევი და დაქანცულები, ორთავ მოიცვა ამ ბინდისფერმა, წყნარმა დაქანცვამ, როიალის სიმებივით დაჭიმული და წნუ-

ლი სკამივით მოჭრიალე ნერვები მოუდუნდათ. ასე მგრძნობი და გაშიშვლებული ნერვები უნდა შეხებოდა ერთიმეორეს, ბაგე ბაგეს და მკერდი მკერდს...

ჯერ ისევ სიყვარულის უბედნიერეს ეტაპზე იყვნენ, მშვენიერ, ყველაფერს გადაწვდენილ, ილუზიების მირაჟში ხედავდნენ ერთმანეთს, და მათი არსებათა შერთვა თითქოს რაღაც არაჩვეულებრივ სამყაროში ხდებოდა, სამყაროში, სადაც სხვა ურთიერთობები არა იყო რა და ორივემ თითქოს საკვირვლად უცოდველი გზით მოაღწია აქამდე, შემთხვევების ჯაჭვმა შეჰყარა ერთურთს, იმდენმა შემთხვევამ, რომ ბოლოს, სხვა გზა არ იყო და დაიჯერეს — ერთმანეთისთვის გაჩნდნენ ამქვეყნად, სუფთა ხელებით გამოიარეს აქამდე ეს გზა, ასე ეგონათ. და არც ვინმე ცნობისმოყვარე და გულდახურული შემოხვდომიათ ამ გზაზე მავალთ.

მაგრამ დიკისთვის დიდხანს როდი გაგრძელდა ეს გზა: ტაქსის ოტელთან გაჩერებამდე გამოფხიზლდა.

„არ შეიძლება, არ გამოვა“, ლამის შიშით თქვა, „მიყვარხართ, მაგრამ წუხელ სალამოს რაც გითხარით, არ შეიცვლება“.

„ჩემთვის ახლა სულ ერთია. მე მხოლოდ ის მინდოდა, შეგყვარებოდით. რაკი გიყვარვართ, სხვა ყველაფერი სულ ერთია“.

„სამწუხაროდ ასეა, მიყვარხართ. მაგრამ ნიკოლმა არ უნდა იცოდეს, იოტისოდენა ეჭვიც არ უნდა გაუჩნდეს. მე არ შემიძლია დავშორდე ნიკოლს და მხოლოდ იმიტომ კი არა, რომ არ მინდა — აქ უფრო სხვა რამეა“.

„ერთხელაც მაკოცეთ“.

დიკმა აკოცა, მაგრამ როზმერისთან აღარ იყო.

„ნიკოლი არ უნდა დაიტანჯოს — ვუყვარვარ და მეც მიყვარს, მინდა, გაიგოთ ეს“.

როზმერის ესმოდა — ეს ყოველთვის კარგად ესმოდა — ტკივილი არ უნდა მიაყენო სხვას. იცოდა, რომ დაივერებს უყვარდათ ერთმანეთი, თავიდანვე იცოდა, არ შეშლია. ოღონდ, ეჩვენებოდა, რომ ეს უკვე ჩამქრალი გრძნობა იყო, უფრო იმ სიყვარულს წააგავდა, როგორითაც როზმერის და დედამისს უყვარდათ ერთმანეთი. როცა ამდენ დროს იმეტიებენ სხვები-

სათვის — ვინც უნდა იყოს, განა ეს იმას არა ნიშნავს, რომ ერთმანეთისგან იმათ უკვე ბევრი აღარა სჭირდებათ რა?

„ეს ჭეშმარიტი სიყვარულია“, გეგონება მიუხვდაო როზმერის ფიქრებს. „ნამდვილი — თანაც, აქ უფრო რთულად არის საქმე, ძნელია თქმა. იმიტომაც მოხდა ის იდიოტური დუელი“.

„საიდან იცით იმ დუელზე? მე მითხრეს, რომ ვერ გაიგებდით“.

„გგონიათ ეიბს საიდუმლოს შენახვა შეუძლია?“ ხმაში მკვეთრი ირონია გაერია დიკს. „თუ რაიმე საიდუმლო გაქვთ, შეგიძლიათ გადასცეთ რადიოთი ან ბულვარულ ფურცლებზე გამოაქვეყნოთ, მაგრამ არამც და არამც არ ანდოთ იმ კაცს, ვინც დღეში სამჯერ ანდა ოთხჯერ და მეტჯერაც სვამს“.

როზმერი დაეთანხმა და გაიცინა, მაგრამ მიეკრა დიკს.

„ასე რომ, იცოდეთ; ნიკოლისა და ჩემი ურთიერთობა რთულია, გარეგნულად ჯანმრთელი კი ჩანს, მაგრამ ისე სუსტია ნიკოლი და საერთოდ, ბევრიც სხვა რამ არის“.

„ამაზე სხვა დროს. ახლა მაკოცეთ — ახლა გიყვარდეთ, ამის მერე კი მე ისე ჩუმად მეყვარებით, ნიკოლი სულაც ვერ გაიგებს“.

„რა საყვარელი ხართ“.

ოტელის ვესტიბიულში შევიდნენ, როზმერი ოდნავ ჩამორჩა, რათა შორიდან ეცქირა დიკისათვის, ალტაცებით შეეხედა და თაყვანი ეცა. თითქოს ძნელი რაღაცის ახდენის მერე ბრუნდებოდა და ახლა კიდევ უფრო ძნელ საქმესთან შესახვედრად მიიჩქაროდა, ისე მოქნილად მიდიოდა დიკი. ის იყო ყველა მხიარულების მოთავე, ბედნიერებისა და გახარების ძვირფასი განძის მცველი; ხელში მძიმე ჯოხი ეჭირა, ხელთათმანები — ყვითელი, შლაპა კი — შლაპა საუცხოო ეხურა. სადაც დიკია, ხალისია, კარგი საღამო გველისო, გაიფიქრა როზმერი.

მეხუთე სართულამდე ფეხით აუყვნენ კიბეს. პირველი კიბის თავში შეჩერდნენ და აკოცეს ერთმანეთს; მეორეზე როზმერის სიფრთხილე უნდა გამოეჩინა, მესამეზე — მით უფრო. მომდევნოზე — კიდევ ორი იყო — — როზმერი გამოსათხოვარი წამიერი კოცნისთვის შეჩერდა. მერე ორთავე ერთი კიბით დაბლა დაემჯინენ — ასე სურდა დიკს — და ამის მერე კი შეუჩერებლივ ავიდნენ ზევით. კიბის ბოლოში დაემშვიდობნენ

ერთმანეთს, დიდხანს ვერ უშვებდნენ მოაჯირზე გაწვდენილ ხელებს, ბოლოს გაუშვეს, როგორც იქნა, დიკი ისევ ქვევით ჩავიდა, რათა იმ საღამოს თადარიგი დაეჭირა, როზმერი კი, თავის ოთახში შესული, დედასთან წერილის საწერად დაჯდა; სინდისი ქენჯნიდა, რომ ბოლო ხანს არც მონატრებია.

XVIII

დაივერებს აპათიაც კი გასჩენოდათ მაღალი წრის ცხოვრებისადმი, მაგრამ მაინც იოლად ვერა თმობდნენ და მიჰყვებოდნენ ამ წრის ცხოვრების რიტმს, მაჯისცემას — დიკის საღამოებზე ყველაფერი ამალეღვებელი იყო, არავინ მოიწყენდა, ხანდახან ღამით სუფთა ჰაერზე გავლის შანსი ხომ, კიდევ უფრო ამძაფრებდა სიამოვნებას.

ის საღამო კომედიური ფარსის ტემპში ტრიალებდა. თორმეტნი იყვნენ, მერე თექვსმეტი, მერე ოთხ-ოთხად ჩასხდნენ ავტომობილებში, პარიზის მიდამოებში უცაბელი ოდისეისთვის. ყველაფერი უკვე წინასწარ მოეფიქრათ. თითქოს ჯადოსნურად, გზადაგზა, უცებ სულ ახალი ხალხი ჩნდებოდა; ერთხანს ამათი თანმხლებნი ხდებოდნენ და მეგზურებივით, საქმის ალღოთი მიჰყვებოდნენ, მერე და მერე კი უკვალოდ ქრებოდნენ და ახლა სულ სხვა, ვინმე ახალი გამოჩნდებოდა იმათ მაგივრად, ახლა ახლები მიჰყვებოდნენ კვერთხის ხელახალ გაელვებამდე. როზმერისათვის ეს ყველაფერი, იქაური დიდებულების მიუხედავად, ოდნავადაც არა ჰგავდა პოლიგულში გამართულ ლხენას. გართობა იყო სპარსეთის შაჰის ავტომობილით გასეირნებაც. არავინ იცოდა საიდან, რა გზით მოახერხა ამ ავტომობილის შოვნა დიკმა. როზმერიმ იგი მიიჩნია ერთ-ერთ იმ საოცრებათაგან, რაც ასე ხშირად ხდებოდა იმის ცხოვრებაში ამ ბოლო ორი წლის მანძილზე. ავტომობილი სპეციალური შეკვეთით გაეკეთებინებინათ ამერიკაში. ბორბლები ვერცხლისა ჰქონდა, რადიატორიც. ძარის შიგნით უთვალავი შუშა ბრჭყვიალებდა. ერთი კვირის მერე, მანქანა თეირანს რომ ჩავიდოდა, იუველიერი პატიოსანი თვლებით შეცვლიდა მათ. უკან მხოლოდ ერთი ადგილი იყო, შაჰთან დაჯდომას ვინ გაბედავდა, და რიგრიგობით ჯდებოდა ყველა იმ ადგილ-

ზე. სხვები კი ამ დროს ძირს დაგებულ კვერნის ტყავზე იკალათებდნენ.

მაგრამ მთავარი დიკი იყო. როზმერი დედას, ვისაც ფიქრით არ შორდებოდა, აჯერებდა, რომ თავის დღეში არ ენახა იმაზე კარგი, საყვარელი, მომხიბვლელი ვინმე, ვიდრე დიკი იყო იმ საღამოს. როზმერი მას იმ ორ ინგლისელს ადარებდა, ვისაც ეიბი ახირებულად „მაიორ ჰენჯისტსა და მისტერ ჰორსას“ ეძახდა, კიდევ — სკანდინავიის ერთი ქვეყნის ტახტის მემკვიდრეს, რუსეთიდან ახლახან დაბრუნებულ მწერალს, თავად ეიბს, ყოველთვის თავზებელაღებულსა და მახვილგონიერს, კოლის კლეის, სადღაც გზად რომ შემოეყარათ, და გრძნობდა, დიკისთანა არავინ იყო, დიკს ვერავის შეადარებდა. როზმერის ხიბლავდა მისი მონდომება და ძალა, მისი გულუხვობა და თავდაუზოგავობა, დიკის უნარი, გამოეცოცხლებინა სხვადასხვა ბუნებისა და გუნების ხალხი, რომლებიც თავიანთ წილ-ყურადღებას ისე ელოდნენ, როგორც ინფანტერიის ბატალიონის ჯარისკაცები თავიანთ ულუფას და ამას მეტად იოლად, ძალდაუტანებლად აკეთებდა, ყველასათვის ჰყოფნიდა ძალა.

...მერე ახსენდებოდა ის ბედნიერი წუთები, ამ საღამოს რომ ერგო. ჯერ ის, როცა დიკთან ცეკვავდა და იმის სიახლოვეს თავისი თავი საკვირველად ლამაზი ეჩვენებოდა, დიკი ხომ მაღალი, ძლიერი იყო — როგორც კარგ სიზმარში, ისე დადიოდნენ, დადიოდნენ კი არა, ლივლივებდნენ. დიკი ხან აქეთ, ხან იქით, ისე სათუთად შემოატრიალებდა ხოლმე, თითქოს ხელში ყვავილები თუ ძვირფასი ქსოვილი უჭირავს და ერთ ორმოცდაათ თვალს ანახვებსო. დროდადრო არც კი ცეკვავდნენ, უბრალოდ, ერთ ადგილას იდგნენ და ერთმანეთის სიახლოვეთ ნეტარებდნენ. ერთხელაც, უკვე გათენებულზე, როგორღაც მარტო აღმოჩნდნენ და როზმერის ნორჩი და ნოტიო სხეული აბრეშუმით მიეკრა დიკს და ასე გაყუჩდა ვიდაცების შლაპებისა და წამოსასხამების გროვასთან...

მოგვიანებით კი, ყველაზე ბევრი იმაზე იცინა, რომ ექვსი-ვენი, ამ თავშეყრის რჩეულნი, ნაღები საღამოისა, „რიტცის“ ჩაბნელებულ ვესტიბიულში იდგნენ და ღამის კონსიერჟს ძლივ-ძლივობთ აგებინებდნენ, რომ გარეთ გენერალი პერშინგი იც-

დიდა და ხიზილალასა და შამპანურს ითხოვდა. „იმას ლოდინი და გადადება არ უყვარს. ხალხიც და იარაღიც მაგას ემორჩილება“. მაშინვე საიდანღაც გამოიშალნენ ოფიციანტები, თავგზაარეული მირბი-მორბოდნენ და მალე ვესტიბიულშივე გაიშალა სუფრა, კარებში გენერალი პერშინგი, ეიბი გამოცხადდა, ისინი კი ყველანი გამწკრივდნენ და რაც კი საომარი სიმღერებიდან ადგილები ახსოვდათ, ჩააბუღებულეს. მერე მოეჩვენათ, რომ ოფიციანტებს ეწყინათ ეს გათამაშება და ისე მარდად აღარ ტრიალებდნენ. ამაზე, ადგნენ და სასჯელად ოფიციანტსაჭერი ხაფანგის მოწყობა იზრახეს. რაც კი ავეჯი იყო ვესტიბიულში, ერთად მიდგეს, აახუხულავეს და გოლდბერგის კარიკატურის მსგავსი რაღაც უცნაური და ახირებული ნაგებობა აღმართეს. ამის შემყურე ეიბი საეჭვოდ აქნევდა თავს.

„ის უფრო კარგი არ იქნება, მუსიკოსებს ხერხი წავართვათ და...“

„კარგი, კარგი, საკმარისია“, შეაწყვეტინა მერიმ. „რაკი ხერხზე მიდგა საქმე, ეს უკვე იმას მოასწავებს, რომ შინ წასვლის დროა“.

როზმერის გაუზიარა თავისი შეშფოთება:

„ეიბი შინ უნდა წავიყვანო. ხვალ თერთმეტზე მიდის მაგის მატარებელი. გემზე თუ დააგვიანდა, ყველაფერი ჩაიშლება. გული მიგრძნობს, რომ ეიბის ცხოვრება ახლა უკვე ამ წასვლაზეა. მაგრამ დაიჯერებს თუ რა, მე ერთს ვეტყვი და ის უკუღმა იქცევა“.

„ვცდი, იქნებ მე დავიყოლიო“, შესთავაზა როზმერიმ.

„გგონიათ შეძლებთ?“ დაეჭვებით ჰკითხა მერი ნორთმა. „თუმცა შეიძლება“.

მერე დიკი მივიდა როზმერისთან.

„მე და ნიკოლი შივდივართ, კარგი იქნება თქვენც თუ წამოხვალთ“.

ცისკარი ჯერ კიდევ არ ცისკრობდა, დაღლილობისაგან ფერმიხდილი ჩანდა როზმერი. დაწვებზე, სადაც დღისით სიწითლე გადაჰკრავდა, ახლა ორი მუქად მიმქრალი ნიშანი აჩნდა.

„არ შემიძლია“, მიუგო მან. „მერი ნორთს შევპირდი, დავ“

რჩები-მეთქი. მარტო თავს ვერ გაართმევს, გაუჭირდება ეიბის წაყვანა. იქნებ თქვენ იღონოთ რამე?“

„უნდა იცოდეთ, რომ ასეთ საქმეში ვერავის და ვერაფერს უშველით“, დარიგებასავით შენიშნა დიკმა... „ეიბი რომ კოლექელი ბიჭი იყოს, თავის სიცოცხლეში პირველად რომ დათვრა, კიდევ ჰო, ახლა მაგასთან ვერაფერს გახდები“.

„სულ ერთია, მაინც დავრჩები. ეიბი ამბობს, მთავარ ბაზარში თუ გამყვებით, მერე წავალ და დავიძინებო“. ცოტა არ იყოს, გამომწვევად მიუგო მან.

დიკმა საჩქაროდ აკოცა იდაყვთან.

„როზმერის მარტო ნუ გამოუშვებთ“, თქვა ნიკოლმა, როცა მერის დაემშვიდობა, „დედამისის წინაშე ჩვენ ვაგებთ პასუხს“.

...ერთი საათის მერე როზმერი და ნორთები, ჭყვირილა თოჯინების ფაბრიკის ერთი ნიუარკელი მეპატრონე, კოლის კლეი — სადაც არ გაიხედავდი, ყველგან თვალში რომ გეჩხირებოდა, და ნავთობის მაგნატი, საუცხოოდ ჩაცმული ვეება კაცი, წარმოშობით ინდიელი, ჯორჯ ტ. მეცხენეს რომ ეძახდნენ — ყველანი სტაფილოთი დაზვინული ბაზრის ფურგონით მიდიოდნენ. სიბნელეში სტაფილოს წვერებზე შერჩენილი მიწის საამო და ტკბილი სურნელი ტრიალებდა. როზმერი სულ მალლა შემომჯდარიყო, ქუჩაში ფარნები მხოლოდ აქა-იქ ენთო და ბინდში ძლივს არჩევდა თავისი თანამგზავრების სახეებს. იმათი ხმები შორიდან ისმოდა. გეგონება ცალკე და სხვა მხარეს, შორს მიდიოდნენ. გულით კი — გულით დიკთან იყო. ნანობდა ნორთებს რომ წამოჰყვა, ნატრობდა, ნეტავი ახლა ოტელში ვიყო, ჩემს ოთახში, დერეფნის იქითა მხარეს კი დიკი იქნება მძინარეო, ან კიდევ, უფრო კარგი იქნება აქვე ქვევით, თბილ ბინდთან იყოს, სიახლოვესო.

„ზევით ნუ ამოდიხართ!“ დაუყვირა კოლისს, „სტაფილო ჩამოიყრება“. მერე ერთი ცალი სტაფილო აიღო და ეიბს გადაუგდო, მზიდავის გვერდით რაღაც ბებრულად იჯდა ეიბი.

ბოლოს. როგორც იქნა შინ მიიყვანეს, უკვე კარგად გათენებულზე, სენ-სიულპისს ზემოთ მტრედები გარიკრიკებულები ვნენ. უცებ ყველას სიცილი აუტყდა — ქუჩაში ხალხს ჰგონია, ეს-ეს არის გათენდა, ჩვენ კი ვიცით, წუხანდელი ღამე გრძელდებაო.

„ესეც ასე, ცხოვრების ფერხულში ჩავეები“, გაიფიქრა როზმერიმ. „მაგრამ დიკის გარეშე რა ხალისია“. გულმტკივნეულად მოიწყინა, მაგრამ იმწუთას რაღაც დაინახა, ირხეოდა, უზარმაზარი, აყვავებული წაბლი იყო, ღვედით მიემაგრებიანთ გრძელ სატვირთო პლატფორმაზე და ელისეს მინდვრებზე გადაჰქონდათ; იწვა და, თანაც, სიცილისგან იჭაჭებოდა და ჯაგ-ჯაგებდა, ძალიან ლამაზ ვინმესავით, მისთვის შეუფერებელ ვითარებაში რომ მოხვედრილა, მაგრამ სულ ერთია, მაინც სცოდნია, რომ ლამაზია; როზმერი კმაყოფილი უყურებდა, გაიფიქრა, რომ ეს წაბლი თვითონ იყო, ამაზე გაეცინა და მაშინვე ისევ კარგად ეჩვენა ყველაფერი.

XIX

მატარებელი, სენ-ლაზარის ვაგზლიდან თერთმეტზე გადიოდა. ჭუჭყისაგან დაღეჭილი მინის გუმბათქვეშ — სამოცდაათიანი წლების ბროლის სასახლის ეპოქის ნაშთი იყო ეს გუმბათი, — ეიბი მარტო იდგა. ოცდაოთხ საათს სმისგან მოლურჯო-მიწისფერი გახდომოდა ხელები და პალტოს ჯიბეებში ჩაეწყო, რომ თითების კანკალი დაეფარა. შლაპა არ ეხურა და ეტყობოდა, თმაზე საჩქაროდ გადაესვა სავარცხელი, ზემოთჰჰქონდა მხოლოდ ოდნავ გადავარცხნილი; სადღა იყო ის მოცურავე გოსის პლაჟიდან.

ჯერ ადრე იყო; მარტო თვალებით იხედებოდა აქეთ-იქით; თავიც რომ მიეტრიალებინა, ან საერთოდ, განძრეულიყო, ნერვების დაძაბვა იყო საჭირო და ახლა ამისი ძალა არ ჰქონდა, გვერდით კეწკეწი ჩანთები გაატარეს; ვიღაც შავგვრემანი კაცუნები, ალბათ ეიბის მომავალი თანამგზავრები, ჩახლეჩილი, ყურთწამლები ხმით გაიძახოდნენ რაღაცას.

ერთი კი გაიფიქრა, იქნებ მოვასწრო ბუფეტში შესვლა, რომ გადავკრაო და ჯიბეში დაქმუჭნილი და ნოტიო ათასფრანკიანები მოსინჯა, რომ ამ დროს კიბის თავში ნიკოლს მოჰკრა თვალი. დააკვირდა — ნიკოლის სახე ახლა თითქოს, გამოუთქმელსა და ფარულ რაღაცას ამჟღავნებდა. ასე ხშირად ეჩვენებოდა მათ, ვინც მოფარებითა დგანან და თვითონ კი უკვე უყურებენ, — ვისაც ელიან. ოდნავ წარბშეკმუხნილი ნიკოლი

თავის შვილებზე ფიქრობდა, იმდენად გულახვილებით არა, უფრო საქმიანად, კატასავით — როცა თათით მიითვლის კნუტებს..

ეიბის დანახვაზე სახე შეეცვალა. იქაურობას დილაადრიანი, ნაღვლიანი შუქი დაჰკრავდა და ეიბი უფრო გულდამძიმებული და საცოდავი ჩანდა. მზედაკრულს, მაინც ეტყობოდა ჩაშავებული თვალის უბეები, გრძელ სკამზე ჩამოსხდნენ.

„მთხოვეთ მოვსულიყავი და იმიტომ მოვედი“. თითქოს თავს იცავსო, ისე თქვა ნიკოლმა.

ეიბს აშკარად არ ახსოვდა, როდის ან რად უნდა ეთხოვა ასეთი რამ, და ნიკოლმაც ამვლელ-ჩამვლელ მგზავრებს დაუწყო თვალღერება.

„თქვენს გემზე პირველი ქალი ის იქნება, მამაკაცები რომ ემშვიდობებიან. ნახეთ, როგორ აცილებენ, ხომ იცით რისთვის იყიდა ასეთი კაბა?“ ნიკოლმა თანდათან უმატა ლაპარაკს. „მხოლოდ ტრანსოკეანური კრუიზის პირველ ქალს შეეძლო ასეთი კაბის ყიდვა და იცით რად? იცით? არა? გაიღვიძეთ ბოლოს და ბოლოს! ეს კაბა და თვითონ ქსოვილიც, ძვირფასია და მგზავრობისას, ვიღაცა, ძალიან რომ მოიწყენს, მივა და ჰკითხავს რაიმეს, რადგან იმ კაბაზე ღირს ლაპარაკი.“

ბოლო სიტყვები ჩქარა წარმოთქვა, თითქოს ენაზე იკბინაო; ამდენ ლაპარაკს ჩვეული არ იყო და ისე გაირინდა, ეიბს თითქმის არა სჯეროდა, რაიმე თუ თქვა; ეიბმა თავს ძალა დაატანა, წელში გაიმართა, ასე მჯდომარე გეგონებოდა ფეხზე დგასო.

„გახსოვთ ის უცნაური მეჯლისი, თქვენ რომ წამიყვანეთ — წმინდა ჟენევიევას დღეს, თუ არ ვცდები...“ დაიწყო მან.

„მახსოვს, ძალიან ვიმხიარულეთ, არა?“

„მე არა, საერთოდ, თქვენთან მხიარულების დრო გათავდა ჩემთვის, ორთავემ ძალიან დამლალეთ და თუ ეს აშკარად არა ჩანს, მხოლოდ იმიტომ, რომ მეც უფრო მეტად დაგლალეთ თქვენ — თვითონაც იცით. ენთუზიაზმი აღარა მაქვს, თორემ ახალ მეგობრებს გავიჩენდი“.

ნიკოლმა დარტყმა მოიგერია, კარგა მაგარი „ხაოიანი“ ჰქონდა ველვეტის ხელთათმანი:

„სისულელეა ეიბ, არ გიხდებათ. მთლად ასეც არ ფიქ-

რობთ, მე ვერ გავიგე, ყველაფერზე უცებ ხელი რად ჩაიქნით?
ეთ?”

მაშინათვე არ უპასუხა. ხველა და ცხვირის მოხოცვა უნდოდა, მაგრამ ძალიან ხმამაღლა არ მომივიდესო ეშინოდა.

„ალბათ იმიტომ, რომ ყველაფერი მომბეზრდა, თანაც, თავიდან ვერ დავიწყებ, მიბრუნებისას გრძელი გზის გავლა მომიხდება“.

მამაკაცი ქალის წინაშე ხშირად ახერხებს უმწეო ბავშვის როლის თამაშს, მაგრამ ამას ყველაზე ძნელად მაშინ აღწევს, როცა მართლა უმწეო ბავშვივით არის ხოლმე.

„მაგითი თავს ვერ გაიმართლებ“, მკაცრად მიუგო ნიკოლმა.

ეიბი თანდათან უარესი ხდებოდა. ენაზე მხოლოდ მწარე სიტყვები ადგა. ნიკოლი ერთ ადგილს მიშტერებოდა, ხელები კალთაზე დაეწყო, ეტყობა ჩათვალა, რომ მისთვის უფრო შესაფერი ეს პოზა იყო ახლა. დროებით ყველანაირი ურთიერთობა შეწყდა მათ შორის. ორივე თავისთვის მიექანებოდა, თავისი წილი ჰაერით უნდოდათ ესუნთქათ და თავისი წილი ცა დაენახათ, საყვარლები არ იყვნენ და წარსულიც ამაღ არა ჰქონდათ, და რაკი ცოლქმრული წყვილი არ იყო — არც მომავალი; არადა, ამ დილაამდე ნიკოლს დიკის მერე ეიბი მოსწონდა ყველაზე მეტად, ეიბს კი წლების მანძილზე ძნელი და მძიმედ გადასატანი სიყვარულით უყვარდა ნიკოლი.

„დამღალა ქალების სამყაროში ყოფნამ“, უცებ ხმამაღლა თქვა ეიბმა.

„მერე, რატომ არ იქმნით საკუთარ სამყაროს?“

„დავიღალე მეგობრებით. ყველას პირმოთნე სჭირდება“.

ნიკოლი ფიქრით მიერეკებოდა ვაგზლის საათის წუთების ისარს, მაინც ვერ ასცდა შეკითხვას: „მეთანხმებით?“

„მე ქალი ვარ და ჩემი, საქმე ყველაფრის შეკავშირებაა“.

„ჩემი კი — ყველაფრის დაშლა, განადგურება“.

„ამდენი სმით თქვენივე თავს ანადგურებთ მხოლოდ, სხვას არაფერს“. ცივად მიუგო ნიკოლმა, მაგრამ ხმაში შიში შეერია, ცოტა დაბნევაც. ვაგზალში ხალხი მატულობდა, მაგრამ იმათგან ერთსაც არ იცნობდა. ბოლოს ვიღაც მაღალ ქალიშვილს

მოჰკრა თვალი, ჩალისფერი თმა მუზარადივით დაევარცხნა. ნიკოლმა შვება იგრძნო. ის ქალიშვილი წერილს უშვებდა საფოსტო კრილში.

„ერთს მინდა გამოველაპარაკო, ეიბ. ეიბ, გამოიღვიძეთ, სულ გამოშტერდით!“

ეიბმა გულგრილად გააყოლა თვალი. ნიკოლი რომ მიუახლოვდა, ქალიშვილმა რაღაც შიშით მოხედა და ეიბს მოეჩვენა, რომ პარიზში სადღაც ენახა იგი. ნიკოლის არყოფნით ისარგებლა და ცხვირი ხმამაღლა მოიხოცა, მერე დიდხანს მაგრად ახველა ცხვირსახოცში. დაცხა, საცვალი მთლად დაუსველდა ოფლისაგან. ხელები ისე უკანკალებდა, ასანთი ოთხჯერ გაჰკრა და მეოთხეჯერ ძლივს მოუკიდა სიგარეტს; მეტი აღარ შეიძლებოდა, უნდა დაეღია, და ის იყო, ბუფეტისკენ წასვლა დააპირა, რომ ნიკოლიც დაბრუნდა.

„ფიასკო“, ცოტა ცივად, მაგრამ იუმორით აუწყა ეიბს. „რამდენჯერ, ლამის შემეხვეწა, ოღონდ მეწვიეთო, ახლა კი ძლივს შემომხედა“. რაღაც ისე გაიცინა, სხვა ოქტავას რომ გადასწვდები ორი თითით და სხვა ხმას გაიღებს. ცოტა მღელვარედაც. „მოდი და ენდე ხალხს“.

ეიბს სასულეში გადასცდა სიგარეტის ბოლი, სული მოითქვა და შენიშნა:

„საქმე ის არის, რომ როცა ფხიზელი ხარ, არავის დანახვა არ გინდა, და მთვრალი თუ ხარ, არავის უნდა შენი დანახვა“.

„ამას ჩემზე ამბობთ?“ ნიკოლმა ისევ გაიცინა; წელანდელმა შეხვედრამ, რატომღაც კარგ გუნებაზე დააყენა.

„არა, ჩემზე“.

„თქვენთვის ლაპარაკობთ. მე კი მიყვარს ხალხი, ბევრი ხალხი, მიყვარს...“

უცებ როზმერი და მერი ნორთი დაინახა, ნელა მოდიოდნენ, ეიბს ეძებდნენ. ნიკოლმა თითქმის ხმამაღლადაც კი დაუძახა: „ჰეი! აქეთ!“ გაიცინა, ხელში შეხვეული ცხვირსახოცები ეჭირა ეიბისთვის და დაუქნია.

გაჩუმებულები უხერხულად იდგნენ, იმათ წინაშე ჩაძირული ხომალდის უზარმაზარი ჩონჩხივით ამართულიყო ეიბი და სამივეს თრგუნავდა. უმწეოსა და შესაბრალისს, გამო-

ფიტულსა და გესლიანს — მაინც გავლენა ჰქონდა მათზე, მაინც გრძნობდნენ მის დიდ ღირსებას, ახსოვდათ მისი წარმატებები, თუნდაც არასრული და მერე მოშლილი; მაგრამ აშინებდათ მისი შეუხელებელი, ადრე სიცოცხლის, ახლა კი სიკვდილისაკენ მიმსწრაფი ძალა.

მოვიდა დიკი, და ყველას სამყოფი სითბოც თან მოიტანა. სამივე ქალმა შვება იგრძნო, ლამის მაიმუხნებივით ხტოდნენ, დიკის საუცხოოდ ჩაკეცილ შლაპას ეტანებოდნენ, მხრებზე ეხებოდნენ, ხელჯოხის ოქროს ბუნიკს ჰკიდებდნენ ხელს. ახლა წამით მაინც არად ჩააგდებდნენ ეიბის ესოდენ გულგრილობას. მაშინვე მიხვდა დიკი, რა დღეშიც იყვნენ და რითაც უნდა ეშველა მათთვის. ყველა ადგილიდან დაძრავდა ვაგზლის ორომტრიალში გაიყვანა. მოშორებით ამერიკელები ხმაურით ემშვიდობებოდნენ ერთმანეთს. ძველ, ჩაყანგებულ აბაზანაში წყლის ბუყბუყივით მოისმოდა იმათი ხმები. ვაგზალში ყოფნისას პარიზი სადღაც შორს ეგონათ და უჩვენებოდათ, თითქოს იქვე, სულ ახლო იყო ოკეანე და უკვე თავის სასწაულს ახდენდა ზღვა, მოლექულებში ატომების გადაადგილებით ცვლილება შეჰქონდა კაცთა მოდგმაში.

ვაგზალში მოსულ შეძლებულ ამერიკელებსაც სხვა იერი ედოთ. უფრო გულდია, გონიერი და თავაზიანები ჩანდნენ, ფიქრიანები — თავისი და სხვისი აზრებით. ხანდახან თუ ინგლისელი გამოერეოდათ, მაშინათვე გამოარჩევდით. პლატფორმაზე უკვე ბევრმა ამერიკელმა მოიყარა თავი, შთაბეჭდილება იმათ სიქველესა და ფულზე ცოტა შენელდა და თანდათან იმ ეროვნულ საბურველად იქცა, თვალს რომ უხვევდა და აბრმავებდა თვითონ იმათაც და შორიდან იმათ მაცქერლებსაც.

უცებ ნიკოლი მკლავში სწვდა დიკს და დაიყვირა, „დიკ, შეხედე!“ დიკი სწრაფად მიტრიალდა, სწორედ რომ დროზე, რადგან წუთის მერე იმათგან ორი ვაგონის იქით, პულმანის შესასვლელთან მოხდა ის, რამაც მკვეთრად დაარღვია გაცილების ერთფეროვნება. ის ჩალისფერთმიანი ახალგაზრდა ქალი, ცოტა ხნის წინათ ნიკოლი რომ მიუახლოვდა, ვიღაც მამაკაცს ელაპარაკებოდა, უცებ რაღაც უცნაურად გაიწია,

თითქოს გახელებულმა სწრაფად წაიღო ჩანთისკენ ხელი და პერონზე რევოლვერის ორჯერ გასროლამ გააპო შეხუთული ჰაერი. თითქმის იმწყუთას ყურთწამლები სტვენა გაისმა, მატარებელი ადგილიდან დაიძრა და წამსვე თითქოს ნაცარტუტად აქცია ეს ამბავი. ეიბს ხომ სულაც არ მიუქცევია ამისთვის ყურადღება, ფანჯარაში თავი გამოეყო და მეგობრებს ხელს უქნევდა. მაგრამ, ვიდრე ხალხი შეჯგუფდებოდა, ამათ მოასწრეს დაენახათ, ის ტყვიანაკრავი კაცი მიწაზე მძიმედ რომ დაეშვა.

ერთი ასი წელი მაინც გავიდა, სანამ მატარებელი გაჩერდებოდა. ნიკოლი, მერი და როზმერი პლატფორმის ბოლოში იცდიდნენ, ხოლო დიკი გზას მიიკვლევდა. ხუთიოდე წუთის მერე როგორც იქნა დაბრუნდა, ამასობაში ხალხი ორად გაიყო, უკვე ჯალამბარზე დაეწვინათ ის კაცი და ზოგი იმას მიჰყვებოდა და ზოგი ქალიშვილს, რომელიც ორ ჟანდარმს შუა მიაბიჯებდა. ჟანდარმები დაბნეული ჩანდნენ, ეტყობა, გონს ჯერ ვერ მოდიოდნენ. ქალიშვილს ფერი აღარ ედო, მაგრამ მაგრად ეჭირა თავი.

„მარია უოლისი იყო“, აჩქარებით თქვა დიკმა. „ის კაცი ინგლისელია, ძალიან გაჭირდა ვინაობის დადგენა, რადგან ტყვიამ საბუთები გაუხვრიტა“. მატარებელს გასცდნენ, ხალხთან ერთად სწრაფად მიიწევდნენ გასასვლელისკენ. „უკვე გავიგე, პოლიციის რომელ უბანშიც მიჰყავთ, ახლავე წავალ...“

„მაგრამ, მარია უოლისის და ხომ პარიზში ცხოვრობს“, თქვა ნიკოლმა. „იმას უნდა დავურეკოთ, რატომ არავის გავახსენდა? ქმარი ფრანგი ჰყავს და ჩვენზე უფრო მეტს ის გააკეთებს“.

დიკი შეეყოყმანდა, მერე თავი გადააქნია და წასვლა დააბირა.

„მოიცადე!“ დაუძახა ნიკოლმა, „სისულელეა, შენ იქ რას გახდები, თანაც შენი ფრანგულით“.

„რაც უნდა იყოს, მივხედავ, ვნახავ“.

„გაშვებით, სულ ერთია მაინც არ გაუშვებენ“, აჯერებდა ნიკოლი, „ესროლა, ბოლოს და ბოლოს. ჯობია ახლავე დავუ-“

რეკოთ ლორას, რაც ლორას შეუძლია, ჩვენ იმას ვერ შევძლებთ“.

მაგრამ დიკს არ უნდოდა დაეთმო და თანაც ცოტათი როზმერისაც თავს აჩვენებდა.

„თქვენ აქ დამელოდეთ“, გადაჭრით თქვა ნიკოლმა და ტელეფონის ჯიხურისკენ გაიქცა.

„რაკი ნიკოლმა თვითონ მოჰკიდა საქმეს ხელი, იქ აღარ უნდა ჩაერიო“, ხუმრობით შენიშნა დიკმა.

დღევანდელ დღეს პირველად ხედავდა როზმერის. სწრაფად შეხედეს ერთმანეთს, გუშინდელი დღის კვალის დანახვას და ამოკითხვას შეეცადა ორთავე და წამით თითქოსდა მოეჩვენათ, არც არაფერი ყოფილა, მაგრამ ორივეს მაშინვე ისევ უხმოდ, თბილად მოედო სიყვარული.

„თქვენ გიყვართ, რომ ყველას უშველოთ, ხომ ასეა?“ თქვა როზმერიმ.

„უფრო თავს ვაჩვენებ“.

„დედასაც უყვარს ყველას შველა, მაგრამ, ცხადია, იმას ამდენი არ შეუძლია“. როზმერიმ ამოიოხრა. „ზოგჯერ ვფიქრობ, რომ ყველაზე დიდი ეგოისტი ვარ ქვეყანაზე“.

ახლა როზმერის დედის ხსენებამ წყენა უფრო მოჰგვარა დიკს, არ გახარებია. სურდა გაეფანტა ბურუსი ბავშვობისა, რისთვისაც როზმერის თავი ვერ დაეღწია და დიკისა და თავის ურთიერთობასაც ჯერ ისევ იმ ბურუსში ხვევდა. მაგრამ იმასაც გრძნობდა, რომ ამ იმპულსის გამოვლენა არ ეგებოდა — რა იცის, როგორ იქნებოდა ახლა როზმერი, ერთი წუთითაც რომ დაეშვა და აპყოლოდა. ლამის შიშით, ცხადად შეიგრძნო, რომ ყველაფერი განელდა თითქმის. არადა, ურთიერთობა ერთ ადგილზე ვერ იარსებებს, უნდა გაგრძელდეს, ან თუ არა და თანდათან უკან უნდა იხევდეს; უცებ პირველად გაუელვა, რომ როზმერის უფრო მაგრად ეპყრასა-ჰე, ვიდრე მას.

სანამ ბოლომდე მოიფიქრებდა რაღაცას, ნიკოლიც დაბრუნდა.

„ველაპარაკე ლორას. ჩემს დარეკვამდე არაფერი იცოდა. ტელეფონში რაღაც უცნაურად ისმოდა მისი ხმა, ხან იკარგებოდა, ხან ისევ ძლიერდებოდა, გეგონება, სადაცაა

გული წაუვა, ძაგრამ თავს ძალას ატახს და ძაგრდებო. თქვა, ვგრძნობდი, დღეს რაღაც უბედურება უნდა მომხდარიყო“.

„მარია პირდაპირ ზედგამოჭრილი იქნებოდა დიაგილევისთვის“, ამით დასამშვიდებლად გაიხუმრა დიკმა, „რიტმის გრძნობაზე რომ არაფერი ვთქვათ, დრამატიზმით არის აღსავსე. რა ხდება ვერ გაიგებ, ერთი მატარებელი არ გავა ისე; რომ სროლა არ ატყდეს“.

ჩქარა ჩაუყვნენ ფოლადის კიბეს.

„მენანება ის საწყალი კაცი“, თქვა ნიკოლმა. „ახლა კი მესმის, რად მელაპარაკებოდა მარია ისე უცნაურად, თურმე, ნუ იტყვით საბრძოლველად ემზადებოდა“.

ნიკოლმა გაიცინა, როზმერიმაც გაიცინა, მაგრამ მშვიდად ვერ იყვნენ, შემცბარიყვნენ, ძალიან სურდათ დიკს ეთქვა რამე, რომ თვითონ არ ემტვრიათ თავი ამ ამბავზე. თუმცა ბოლომდე ვერ შეეცნოთ ეს სურვილი, მით უფრო როზმერის, რომელიც მიჩვეულიყო ასეთივე აფეთქებების ფრაგმენტულ ცვენას თავის გარშემო. მაინც, ესეც შეშფოთებული ჩანდა. თავისი ახალი გრძნობით შეპყრობილი დიკი კი, ვედარ ახერხებდა გუნების შეცვლას, ის ძველი ძალა ერთმეოდა, ქალებიც მიმხვდარიყვნენ, რომ დიკი ისე ვერ იქცეოდა, რაღაცა აკლდათ და შეწუხებულებს ველარა ეთქვათ რა.

მერე კი, თითქოს არაფერი მომხდარაო, დაივერები და მათი მეგობრები პარიზის ქუჩებს შეერივნენ.

მაინც ბევრი რამ მოხდა — ეიბის წასვლამ და იმავე შუადღით ზალცბურგში მერის მოახლოებულმა გამგზავრებამ ზღვარი დაუდო პარიზში გატარებულ დღეებს. ან, შესაძლოა იმ ორჯერ გასროლამ, რამაც ღმერთმა იცის, რა ბნელ საქმეს მოუღო ბოლო, დაასრულა მათი პარიზული ცხოვრება. ამ ორ გასროლას კარგა ხანს ვერ დაივიწყებდნენ ცხოვრებაში: თითქოს ექოსავით აედევნათო, ვაგზლის გარეთ, ტაქსის მოლოდინში ქვაფენილზე რომ იდგნენ, ორი მებარგულის ხმა მოესმათ, მომხდარ ამბავზე ლაპარაკობდნენ.

„დაინახე რევოლვერი? ისეთი პატარა, ფაქიზი — სათამაშოსავით“.

„მაგრამ მართლა ისვრის“. ბრძნულად შეუბრუნა მეორე

მებარგულმა. „პერანგი დაინახე? იმდენი სისხლი ეცხო, შეიძლებოდა გეფიქრა, რომ ომში ვიყავით“.

XX

მოედნის თავზე შედედებული გამონაბოლქვი ნელა იწვოდა ივლისის მზეზე. საშინლად ცხელოდა. კარგი, თაკარა სიცხე არ იყო. სოფლისკენაც არ გაგიწევდათ გული, ესეც ვერ გიშველიდათ, რადგან გზებიც მყრალი სიცხისაგან შეხუთული გეჩვენებოდათ. ლუქსემბურგის ბალის პირდაპირ კაფეში შესულები ვერანდაზე რომ საუზმობდნენ, როზმერი მოითენთა, აგზნებულიყო, ეტყობა ადრევე, ვაგზალშიც ვერ იყო კარგად და შეიძლება იმიტომაც თქვა, ეგოისტი ვარო.

დიკს არ შეუმჩნევია მისი უეცარი უგუნებობა; საშინლად უბედური იყო და ბრძავდებოდა იმის მიმართ, რაც გარშემო ხდებოდა. უწინდებურად ფიქრიც უჭირდა და ლაპარაკიც ეძნელებოდა.

ყავას რომ სვამდნენ, იტალიელი სიმღერის მასწავლებელი შემოუერთდათ — მერი ნორთს გააცილებდა ვაგზალზე. იმათი წასვლის მერე როზმერიც წამოდგა, სტუდიაში უნდა მივიდეს საქმეზეო.

„მართლა“ — სთხოვა მათ — „ვიდრე აქა ხართ, თუ კოლის კლეი გამოჩნდა, ხომ იცით, ის სამხრეთელი ყმაწვილი, გადაეცით, რომ მე არ შემეძლო დაცდა; ხვალ დამირეკოს“.

როზმერის ასეთმა თავქარიანობამ, რითაც უფრო ბავშვური ჩანდა, და რაც ალბათ ამასწინანდელი მღელვარების რეაქცია თუ იყო, დაივერებს თავიანთი შვილები და მათდამი სიყვარული გაახსენა; მაინც არ შერჩა როზმერის, ნიკოლმა მაშინვე მიუგო: „ჯობია ოფიციალტი გააფრთხილოთ“, ულმობელი და ცივი იყო ნიკოლის ხმა, „ჩვენ აქ დარჩენას არ ვაპირებთ“.

როზმერი მიხვდა, მაგრამ არ სწყენია.

„იყოს, სულ ერთია, ნახვამდის, ჩემო ძვირფასებო“.

დიკმა ანგარიში მოითხოვა. ცოტა ხანს დაივერები ისვენებდნენ, უგულისყუროდ ისხდნენ.

„ასე...“ თითქმის ერთდროულად წარმოთქვეს.

დიკმა თვალი შეასწრო, ოდნავ შესამჩნევმა მწარე ღიმილ-

მა გადაუარა ნიკოლს ტუჩებზე, მხოლოდ დიკს შეეძლო ამის შემჩნევა. შეეძლო ისეც დაეჭირა თავი, თითქოს ახლა არც დაენახოს. რაზე ფიქრობდა ნიკოლი? როზმერი იმათ მიემატა მხოლოდ, ვისი გულიც ამ ბოლო წლებში მოინადირა დიკმა: ფრანგი კლოუნი, ეიბი და მერი ნორთები, მწერალი, მხატვარი, მოცეკვავე წყვილი, თეატრ „გრან გინიოლის“ კომედიანტი ქალი, თითქმის შეშლილი პედერასტი რუსული ბალეტიდან, დიდი იმედისმომცემი ტენორი, დაივერებმა სწავლისთვის ერთი წლით მილანში რომ გაამგზავრეს. ნიკოლმა კარგად იცოდა, როგორ აფასებდა ეს ხალხი დიკის ენთუზიაზმსა და ინტერესს, მაგრამ ნიკოლმა ისიც იცოდა, რომ მათი ცოლქმრული ცხოვრების ექვსი წლის მანძილზე, დიკი ერთ ღამეს არ ყოფილა უიმისოდ, გარდა იმ ხნისა, როცა მათი ბავშვები გაჩნდნენ. დიკს ხიბლი ჰქონდა და შეუძლებელი იყო სხვისთვის არ გადაედო იგი. ასეთი კაცი ისე იზიდავს ხალხს, თანაც იმათ, ვინც სულაც არ სჭირდება, რომ ამაზე თვითონ არცა ფიქრობს.

ახლა გულჩახვეული იჯდა დიკი. წინათ, მარტო რომ დარჩებოდნენ, გაოცებული იტყოდა ხოლმე, რომ ბედმა გაუღიმა და ერთმანეთს შეეყარნენ. ახლა კი, წუთი წუთს მისდევდა და არც უესტითა და არც სიტყვით, ის თავისი გაკვირვება არ გამოუხატავს.

მაგიდებზეა ვიწრო გასასვლელში გამოჩნდა სამხრეთელი ყმაწვილი — კოლის კლეი და შორიდანვე შინაურულად შესძახა დაივერებს. დიკი ვერ იტანდა ასეთ შეძახილებს. ეს „ოჰ“ და „ჰეი“, არ უყვარდა, ან როცა ერთად იყვნენ და მარტო მას, ან — მარტო ნიკოლს მიმართავდნენ. იცოდა თავისი ეს ხასიათი და უგუნებობისას ხშირად გაცლას ამჯობინებდა. ვინმეს ოდნავი დაუდევრობაც კი კარგა ხანს ამოაგდებდა ხოლმე კალაპოტიდან.

კოლისმა, რომელიც სულაც არ გრძნობდა თავს იმ სტუმარივით, „რომელსა არა ემოსა სამოსელი საქორწინე“, მოსვლისთანავე თქვა: „ვგონებ დავიგვიანე, ჩიტი გაფრენილა“, დიკმა ძლივს მოითმინა, ძლივს აპატია, რომ ჯერ ნიკოლს არ დაუკრა თავი.

თითქმის მაშინვე, ნიკოლი ადგა და წავიდა, დიკი ისევ კო-

ლისთან ერთად იჭდა, რომ ბოლომდე დაელია თავისი ღვინო. საერთო ჯამში მოსწონდა კიდეც კოლისი, ეს ომის შემდგომი ფორმაციის ყმაწვილი, სამხრეთელების უმრავლესობაზე უფრო იოლად ასატანი. იმ სამხრეთელებისა, ამ ათი წლის წინათ ნიუ-ჰეივენში რომ ხვდებოდა დიკი. ელიმებოდა, დიდი ამბით და აუჩქარებლად რომ ტენიდა კოლისი ჩიბუხს და ენასაც არ აჩერებდა. ცოტა ხნის წინათ თითქმის ცარიელი ლუქსემბურგის ბალი თანდათან ივსებოდა ბავშვებითა და ძიძვებით. შუადღე დგებოდა. ამ რამდენიმე თვის მანძილზე დიკმა პირველად მისცა თავის თავს ნება, შუადღისას ასე მჯდარიყო.

უცებ, თითქოს სისხლი გაეყინა, ნელ-ნელა ჩასწვდა კოლისის ნდობით ნათქვამ მონოლოგს.

„...ისეთი ცივიც არ არის, თქვენ რომ გგონიათ. მეც კარგა დიდხანს ვფიქრობდი, ცივია-მეთქი, მაგრამ ერთხელ ისე მოხდა, ნიუ-იორკიდან ჩიკაგოში მივდიოდით აღდგომაზე და მატარებელში რაღაც ისტორია შეემთხვა ჩემს მეგობართან, ერთი ბიჭია, გვარად ჰილისი, ისიც ნიუ-ჰეივენელია. როზმერისთან ერთად კუბეში ჩემი ბიძაშვილი იყო, ჰოდა, ამ გოგომ მაშინვე შეამჩნია, რომ როზმერის და ჰილისს მარტო უნდოდათ ყოფნა და ესეც ადგა და ნაშუადღევს ჩვენს კუბეში შემოვიდა. იქ ბანქოს ვთამაშობდით. ორი საათის მერე გამოვდივართ კუბედან და ვხედავთ — როზმერი და ჰილისი კართან დგანან და კონდუქტორს რაღაცაზე ეკამათებიან. როზმერის მიტკლის ფერი ადევს. თურმე კუბეში ჩაკეტილან, თანაც ფანჯარაზე ფარდა ჩამოუშვიათ და მე თუ მკითხავთ უქმედაც არ ისხდებოდნენ. ამასობაში კონდუქტორი მივიდა, რომ ბილეთები გაესინჯა და კარზე დააკაკუნა. ამათ ჯერ იფიქრეს, რომ ჩვენ ვიყავით და ვითომ არევა გვინდოდა, ამიტომ არ გაუღეს კარი, ბოლოს, როცა გააღეს, კონდუქტორი უკვე ბრაზისაგან ცახცახებდა. მიადგა ჰილისს, თქვენია ეს ადგილი თუ არა და ცოლ-ქმარი ხართ თუ არა, და თუ არა, რად ჩაკეტეთო კარი. ჰილისმა სცადა აეხსნა, რომ ცუდი განზრახვა გულშიც არ გაუვლიათ, და აუგად სათქმელი არაფერი მომხდარა, მაგრამ ვერ დააჯერა და თვითონაც დაკარგა მოთმინება, ყვირილს მოჰყვა, კონდუქტორმა როზმერის შეურაცხყოფა მიაყენაო და საჩხუბრად იწევდა, მაგრამ კონდუქტორს შეეძლო

საქმე უფრო გაერთულებინა და ძლივს დავაშოშმინე ორივე, და დამიჯერებთ თუ არა, დიდი ჯაფა კი დამადგა“.

სანამ უსმენდა, სანამ ვაგონში მომხდარი ამბის ყველა დეტალს გაიაზრებდა და შურით შესცქეროდა გოგო-ბიჭის შეყრის ცდის სავალალო დასასრულს კუბეს კართან, დიკში რალაცა უცნაური ცვლილება ხდებოდა. ვილაც მესამის, თუნდაც უკვე დიდი ხნის დავიწყებული სახის შემოჭრაღა აკლდა, რომ საბოლოოდ დარღვეოდა სულის სიმშვიდე, ტკივილს, სევდას, სასოწარკვეთასა და ვნებას უწყალოდ დაერია მისთვის ხელი. ვილაცის თითები როზმერის ლოყაზე, გახშირებული სუნთქვა ჩაკეტილ კართან. ვილაცის გააგება, მიუწვდომელი, იდუმალი სიტბო.

...ხომ არ გეწყინებათ, ფარდას თუ ჩამოვუშვებ?

ო, არა. მართლა რა თვალისმომჭრელი სინათლეა...

კოლის კლეი უკვე ნიუ-ჰეივენის სტუდენტური ძმობის პოლიტიკაზე ლაპარაკობდა იმავე ტონით და ისეთივე გაცხოველებით. დიკმა იცოდა, რომ კოლისს რალაც უცნაური, დიკისთვის გაუგებარი სიყვარულით უყვარდა როზმერი. ჰილისთან ისტორიას, ეტყობა არავითარი ემოციური შთაბეჭდილება არ მოუხდენია კოლისზე, შეიძლება უფრო გაახარა კიდეც, რადგან ამ შემთხვევის წყალობით გაიგო, რომ როზმერისთვის უცხო არ იყო ის, რაც „ადამიანურია“.

„ჩონჩხმა“ შესანიშნავ ბიჭებს მოუყარა თავი“, ამბობდა იგი. „კაცმა რომ თქვას, ცდა არავის დაგვიკლია. ახლა ისე გაიზარდა ნიუ-ჰეივენი, ისე ჭრელია, რომ სამწუხაროდ, ბევრს უკვე უარს ვეუბნებით“.

...ხომ არ გეწყინებათ, ფარდას თუ ჩამოვუშვებ?

ო, არა. მართლა რა თვალისმომჭრელი სინათლეა...

...დიკმა მთელი პარიზი გაიარა თავის ბანკში მისასვლელად — ჩეკის გამოწერის მერე შემინული კანტორის იქით გამწკრივებულ მაგიდებთან მსხდარ ბანკის მოხელეებს კარგახანს ათვალეობდა, ვერ გადაეწყვიტა, რომელი მათგანისთვის მიეწოდებინა, მანამდე კი, მერხზე დახრილი, კალამს სინჯავდა, ყველა ასო გულმოდგინებით გამოჰყავდა, ერთხელ ფოსტის დეპარტამენტისკენაც გაიხედა და თვალი გაუშტერდა, მაგრამ ისევ თავის საქმეს მიუტრიალდა და ჩეკს ჩააცქერდა.

ვინ იყო ისეთი, არ შეემჩნია, რა თავგზა ჰქონდა აბნეული, რომელმა იცოდა სხვებზე ცოტა ლაპარაკი, რომ საუბარი არ წამოეწყო. იქ ნიუ-იორკელი პერენი ზის, უფლია და თავაზიანი, რამდენჯერმე რომ შესთავაზა დიკს, ერთად ვისაუბროთ ამერიკულ კლუბში, იქ კი ესპანელი კასასუსი, ყოველთვის საერთო მეგობრებზე რომ ესაუბრებოდა ხოლმე, თუმცა იმ მეგობრებს კარგა ათი წელია აღარ შეხვედრია დიკი, იქით კიდევ — მუხჰაუსი, ერთსა და იგივეს რომ ეკითხებოდა ყველა მისვლაზე, თავისი ანგარიშიდან სურდა დიკს ფულის მიღება თუ ცოლის ანგარიშიდან.

ჩეკის არშიაზე თანხა აღნიშნა, ქვეშ ორჯერ გაუსვა ხაზი და გადაწვიტა პირსისთვის-მიემართა. პირსი ახალგაზრდა კაცია, იმასთან დიდი ფარსის თამაში არ მოუწევს. ისე კი, ხშირად, ის უფრო იცავს, ფარსი შენ თვითონ გაითამაშო, ვიდრე უყურო, როცა ამაზე სხვა ცოდვილობს.

ოღონდ, ჯერ თავისი კორესპონდენცია მოიკითხა: იმ ქალმა, კლიენტების ფოსტა რომ ებარა, წერილები მიაწოდა, მაგიდიდან რაღაც ქალაქი ძირს ვარდებოდა, მკერდით შეაკავა და დიკმა გაიფიქრა, მამაკაცის სხეულისთვის ასეთი მოძრაობა უცხოაო. გვერდზე გადგა და წერილების გახსნა დაიწყო: გერმანული ფირმის ანგარიში ჩვიდმეტი წიგნისათვის, ფსიქიატრიას რომ ეხება; ანგარიში ბრენტანოს წიგნის მალაზიიდან; ბათლოდან გამოგზავნილი მამის წერილი, წლითიწლობით სულ უფრო ძნელი გასარჩევი ხდებოდა მისი ხელი; ზედ ფესის შტემპელდაკრული სახუმარო ღია ბარათი ტომი ბარბანისგან, ციურიხელი ექიმების ორი წერილი, ორივე გერმანულ ენაზე დაწერილი; მებათქაშეს სადავო წერილი კანიდან; ანგარიში მეავეჯესგან; ბალტიმორის სამედიცინო ჟურნალის გამომცემლის წერილი; ბევრი სხვადასხვა სახის უწყება; მოსაწვევი ჯერ უცნობი მხატვრის გამოფენაზე; გარდა ამისა, სამი წერილი ნიკოლისთვის და ერთიც — დიკის სახელზე, როზმერისთვის გადასაცემად.

...ხომ არ გეწყინებათ, ფარდას თუ ჩამოვუშვებ?

პირსისკენ წავიდა, მაგრამ პირსს ერთი კლიენტი ქალი ჰყავდა და ტანმა უგრძნო, სხვა გზა არ იყო, კასასუსისთვის

უნდა მიემართა. კასასუსი პირსის გვერდით იჯდა და არავინ ჰყავდა.

„როგორა ხართ, დაივერ?“ კასასუსს გულწრფელად გაუხარდა მისი დანახვა. წამოდგა, ღიმილისაგან განზე გაეწია უღვაშები. „ამას წინათ გაგიხსენეთ, ფედერსტოუნზე წავიდა ლაპარაკი და, ხომ იცით, ახლა კალიფორნიაშია“.

დიკმა თვალები დააჭყიტა და ცოტათი წინ გადაიხარა.

„კალიფორნიაში?!“

„აბა, ასე გავიგე“.

ჩეკი ჯერ ისევ გაწვდილ ხელში ეჭირა დიკს; ძალიან უნდოდა კასასუსს მაშინვე საჭმისთვის მიეხედა და პირსისკენ შეტრიალდა, მეგობრულად ჩაუკრა თვალი; ეს ძველებური შეხუმრება იყო, სამი წლის წინათ პირსი ერთ ლიტველ გრაფინიასთან ფრიად რთულ ურთიერთობაში რომ გაეხვია, იმ დროიდან მოყოლებული, შეხვედრისას თვალს ჩაუკრავდა ხოლმე. პირსი მაშინვე მიხვდა ხუმრობას, ჩაიცინა და სანამ ესენი თვალებით ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს და ელიმებოდათ, კასასუსმა ჩეკიც გააფორმა. დიკს კარგი თვალით უყურებდა, ცოტა ხანსაც უნდოდა შეეყოვნებინა, მაგრამ საბაბი ვერ მონახა, ზეზელა წამოდგა, პენსნე დაიმაგრა და გაიმეორა: „ჰო, ფედერსტოუნი ახლა კალიფორნიაშია“.

ამასობაში დიკმა პერენს შეხედა, მაგიდების თავში იჯდა და თავის კლიენტს ელაპარაკებოდა, დიკმა იცნო მსოფლიოს ჩემპიონი მძიმე წონაში; პერენმა ქეშად გამოხედა, დიკი მიხვდა, უნდოდა დაეძახა მისთვის და ჩემპიონი გაეცნო, მაგრამ გადაიფიქრა.

დიკმა კარგად გაართვა თავი ყველაფერს, რითაც კასასუსის სოციალურ შინს დააცხრობდა, ესე იგი, შემინულ კანტორასთან ჯერ გულისყურით დახედა და შეისწავლა ჩეკი, მერე ბანკირის მარჯვნივ მარმარილოს პირველი სვეტის იქით რაღაცამ მიიპყრო მისი ყურადღება და დააკვირდა; ხელიდან ხელში გადაიტანა ხელჯობი, შლაპა და წერილები, ბოლოს თავი დაუკრა, გამოეთხოვა და გასასვლელისკენ გაემართა. კარისკაცს უხვად ასაჩუქრებდა ხოლმე ფულით და ამანაც იცოდა თავისი საქმე, ტროტუართან უკვე ტაქსი იცდიდა.

„კინოსტუდია „ფილმ პარ ექსელანსში“ მიმიყვანეთ —

პატარა ქუჩაა ბასიზე. პორტ დე ლა მუეტისკეს ყაღას, იქ აგისხნით და მიხვდებით მერე“.

ბოლო ოცდაათნი საათის ამბებმა ისე გარდაქმნა და არი, რომ ახლა თვითონაც არ იცოდა რა უნდოდა და რის გაკეთებას აპირებდა; პორტ დე ლა მუეტზე ტაქსი გაუშვა, ფეხით განაგრძო გზა სტუდიისკენ, მაგრამ სანამ იმ შენობამდე მივიდოდა, ქუჩის იქითა მხარეს გადავიდა. გარეგნულად ღირსება-შენარჩუნებული, ელეგანტურად ჩაცმული, მაინც ისეთი დაბნეული ჩანდა, გეგონება მდევარი მოსდევსო, სიმშვიდეს მაშინ თუ აღიდგენდა, თუ მთლიანად წაშლიდა წარსულს, დაივიწყებდა ბოლო ექვსი წლის დაძაბულ ცხოვრებას. ტარკინგტონის რომანის იმ შტერი ბიჭვით, უთავბოლოდ უვლიდა კვარტალს და იმისი შიშით, ვაითუ სტუდიიდან გამოსვლისას როზმერი ვერ დავინახო, მოსახვევებში ხშირად ტრიალდებოდა ხოლმე. იქაურობას საკმაოდ ნაღვლიანი იერი დაჰკრავდა. სტუდიის გვერდით ფირნიში შენიშნა: „1000 პერანგი“. მთელ ვიტრინას აუარება პერანგი ავსებდა, დაკეცილები და შეკრულები, ანდა მხრებზე შემობურთული, ბევრიც, ვითომდა დაუდევრად დაყრილი ვიტრინის ძირში. „1000 პერანგი“ — მიდი ერთი და დათვალე! მეორე მხარეს დიკმა წაიკითხა: „საწერი ქალაქი“, „საკონდიტრო“, „მიყიდვა“. — აქვე იყო რეკლამა: კონსტანცა ტოლმეჯი „მზიურ საუზმეში“. მერე უფრო სევდიანი შინაარსის აბრები ეკიდა: „საეკლესიო შესამოსელი“, „უწყებები გარდაცვალებაზე“, „დამკრძალავი ბიურო“. სიცოცხლე და სიკვდილი.

იცოდა, რასაც ახლა აკეთებდა, იმით ბევრი რამ შეიცვლებოდა მის ცხოვრებაში — იმდენად არ შეესაბამებოდა ეს ყველაფერი იმას, რაც ადრე იყო, არ შეესაბამებოდა იმ შთაბეჭდილებას, რაც სურდა და შეიძლებოდა მოეხდინა როზმერიზე. როზმერის თვალში იგი ყოველთვის კორექტულობის ნიმუში იყო, ამ კვარტალში სიარული კი შემოჭრას ჰგავდა. მაგრამ დიკისთვის ეს საქციელი, მისი აქ მოსვლა, თავის თავში რაღაც ღრმად ჩამარხულის გამოვლენას უფრო ნიშნავდა. მოუსვლელი არ შეეძლო, მოვიდა და იდგა აქ, ანდა დადიოდა, მაჯებზე კარგად მორგებული სახელოებით, სახელოები პიჯაკისა კი — ყალიბივით მორგებული პერანგისაზე, საუცხოო თარ-

გის საყულო ეხებოდა ყელს, ჟღალი თმა — კარგად შეკრეჭილი, დენდივით ხელში ჰქონდა პორტფელი — მოვიდა, რადგან არ შეეძლო არ მოსულიყო, როგორც იმ ერთ კაცს, ფერარაში რომ მივიდა და დადგა ტაძრის წინ, ტანზე ჯვალაშემოხვეული, და ფერფლწაყრილი. დიკი თითქოსდა ხარკს უხდიდა რაღაც წაუშლელს, უაღსარებოდ ჩავლილსა და დაუვიწყებელს.

X X I

ორმოცდახუთი წუთი გავიდა რაც იცდიდა, და უცებ ვიღაცა გადაეყარა. ეს ერთი ისეთი შემთხვევა იყო, ჩასაფრებულებით რომ გამოუხტებოდა ხოლმე სწორედ მაშინ, როცა არც ვინმეს ნახვა და არც ვინმესთან დალაპარაკება არ უნდოდა და ასეთ დროს, რაც უფრო მეტად შეეცდებოდა, თავის დაფარვას, მით უფრო მეტად მუღავნდებოდა, იმ მსახიობით, კარგად როცა არა თამაშობს, დაძაბულია და ბოლოს და ბოლოს ეხმარება მაყურებელს, შეავსოს ხოლმე სიცარიელე, თამაშისა. ანდა კიდევ: ხშირად იმათ არ თანავუგრძნობთ, ვისაც სწყურია თანაგრძნობა, და იმათ კი ვწყალობთ, ვინც სხვადასხვა გზით ახერხებს და თავს შეგვაბრალებს.

შეიძლება, თვითონ დიკსაც ასე ემსჯელა, ამ შეხვედრაზე თუ იფიქრებდა. რუ დე სენტ ანჟზე იგი ოცდაათიოდე წლის ამერიკელმა შეაჩერა, გამხდარი, ფერმკრთალი სახე ჰქონდა, რაღაც ავბედითად ჩაიციხა და სიგარეტის მოკიდება სთხოვა. დიკმა მაშინვე იმ ტიპებს მიამსგავსა, ჭაბუკობისას რომ შეხვედრია. ასეთები თამბაქოს ღუქნებში დაყიალებენ, ხელები დახლზე ჩამოუწყვიათ და ცამ თუ იცის, გონების რომელ ჭუჭრუტანიდან უყურებენ შემსვლელ-გამომსვლელთ; გარაყებში შინაურებივით გრძნობენ თავს და საეჭვო საქმეებს აგვარებენ, საპარიკმახეროებში იციან ჩამოსხდომა და თეატრის ფოიებში წრიალებენ; ასეთ ტიპებს მიამსგავსა. ეს სახეები ზოგჯერ ტადის კარიკატურებზეც გაიღვებდა ხოლმე — ბიჭობისას დიკს რამდენჯერ, შიშით ატანილს უცდია ბნელით მოცული დანაშაულის სამყაროსათვის შეეხედა, სამყაროსათვის, რომლის მიჯნაზეც იდგა თვითონ.

„მოგწონთ პარიზი, მეგობარო?“

პასუხს არ დალოდებია, დიკს გვერდით ამოუდგა და მიჰყვა.

„საიდანა ხართ?“ გამამხნევებელი ტონით ჰკითხა.

„ბაფალოდან“.

„შე კი სან-ანტონიოდან, ისე კი, რაც ომი დაიწყო, აქა ვარ“.

„არმიაში იყავით?“

„აბა როგორ! ოთხმოცდამეოთხე დღეშია გაგიგიათ?“

ოდნავ წინ გაუსწრო და ჭიქურ შეხედა დიკს, კეთილი არ ჰქონდა გამობედვა.

„პარიზში ცხოვრობთ, მეგობარო? თუ ისე, გავლითა ხართ?“

„გავლით“.

„რომელ ოტელში?“

დიკს თავისთვის ჩაეცინა — ეტყობა, გუნებაში აქვს ამ ღამით პირწმინდად დაუცარიელოს ოთახი. მაგრამ ის ტიპი მიუხვდა, არ მოერიდა და მაშინვე უთხრა:

„ასეთ კაცს, მეგობარო, ჩემი არ უნდა შეგეშინდეთ. პარიზში ქვეყნის მაწანწალა დაეხეტება და ამერიკელ ტურისტებზე ნადირობს, მაგრამ ჩემი რად უნდა გეშინოდეთ“.

დიკს მობეზრდა და შეჩერდა. „დრო გლეჯვაზე გაქვთ, გეტყობათ“.

„არა, რატომ — პარიზში მე საქმეს ვაკეთებ“.

„რა საქმეს?“

„გაზეთებს ვყიდი“.

ასეთი უწყინარი საქმიანობა და იმის უხამსი მანერები ერთმანეთს არ ეხამებოდა. ეს კაცი თავისას ერეკებოდა:

თქვენ რა გგონიათ — შარშან ფულს ვმოულობდი, დღეში ათი, და ხან ოცი ფრანკი „სანდი ტაიმზე“, ფასი კი ექვსია“.

გახუნებული საფულედან სურათი დააძრო, გაზეთიდან ამოჭრილი, და თავის შემთხვევით თანამგზავრს მიაჩეჩა. სურათზე ამერიკელები რალაც ნაკადად გადმოდიოდნენ ოქროთი სავსე ხომალდიდან საბიჯელაზე.

„ორასი ათასი. მარტო ერთ ზაფხულს აქ ათი მილიონი ზრებათ“.

„პასიზე რალამ მოგიყვანათ?“

ყმაწვილმა ფრთხილად მიიხედ-მოიხედა.

„კინომ“, დაღვრემილმა ჩასჩურჩულა, „აქ ამერიკული კინოსტუდიაა. ხანდახან სჭირდებათ ხოლმე ინგლისურად მოლაპარაკე. მეც შემთხვევას ვუცდი“.

დიკმა საბოლოოდ გაცლა და მისი თავიდან მოშორება ამჯობინა.

ცხადი იყო, სანამ იგი კვარტალს უვლიდა, როზმერიმ მოასწრო სტუდიიდან გამოსვლა, ანდა, დიკის ამ არემარეზე გამოჩენამდე წავიდა უკვე. კუთხეში მდებარე ბისტროში შევიდა, ტყვიის ჟეტონი იყიდა და სამზარეულოსა და აშშ-მორებულ ტუალეტს შუა, თალარქვეშ შესულმა ოტელ „მეფე გეორგის“ კომპუტატორს გამოუძახა. სუნთქვაზე შეატყო თავის თავს, რომ ჩეინ-სტოკის ერთ-ერთი სიმპტომი იყო, მაგრამ ამანაც უფრო გაუძლიერა. ისედაც უკვე მძაფრი გრძნობა. ოტელის შიფრი თქვა, მერე კარგა ხანს ეჭირა ტელეფონი და კაფეს მიშტერებოდა; ბოლოს საოცრად უცნობი ხმით, „ალო!“ გაისმა.

„დიკი ვარ. არ შემეძლო არ დამერეკა“.

პაუზა — მერე გაბედული, მის გუნებას საკვირვლად აყოლილი და შეხამებული პასუხი:

„ძალიან მიხარია, რომ დარეკეთ“.

„სტუდიასთან მოვედი, მეგონა შეგხვდებოდით, პასიზე ვარ, მეორე მხარეს, ბისტროში შევედი და იქიდან გელაპარაკებით: ვიფიქრე, ვნახავ და ბულონისკენ გავივლით-მეთქი“.

„აჰ, მე იქ მხოლოდ რამდენიმე წუთით შევიარე, რა საწყენია!“ სიჩუმე.

„როზმერი!“

„ჰო, დიკ?“

„უცნაური რამ მემართება თქვენზე ფიქრისას. როცა ბავშვი შუახნის ჯენტლმენს მოსვენებას დააკარგვინებს, იმისი საქმე წასულია“.

„სულაც არა ხართ შუახნისა, დიკ, თქვენ ყველაზე ახალგაზრდა ხართ ქვეყანაზე“.

„როზმერი!“

ისევ პაუზა. თაროს მიაშტერდა, ზუსტად თავის პირდაპირ მწკრივად ეწყო საფრანგეთის შედარებით სუსტი მხამებით სავსე ბოთლები — ოტარ, რომ სენ-ჯიმიზ, მარი ბრიზარ, პუნშ

ორანჟად, ანდრე ფერნე ბლანკო, შერი როშე, არმანიაკ.

„მარტო ხართ?“

...ხომ არ გეწყინებათ, ფარდას თუ ჩამოვუშვებ?

„ტიღევ ვინ უნდა იყოს, როგორ ფიქრობთ?“

„ხომ ხედავთ, თვითონაც არ ვიცი რას ვამბობ. ნეტავი თქვენთან მამყოფა ახლა“.

სიჩუმე. მერე ამოიხვრა და ძლივს გასაგონი:

„მეც მინდა ახლა ჩემთან იყოთ“.

ოთახი ოტელში, იქ, ტელეფონის ციფრებს მიღმა წევს იგი და მუსიკის ხმა შხაპუნა წვიმად ეცემა ახლო, იმის გარშემო...

„მხოლოდ მე და შენ, შორს, ტაიტიზე,
ვიქნებით მარტო, ერთად, ოორი-ვე“.

ნამზეურ კანზე ფიფქივით მოყრილი პუდრი — ახსოვდა, როცა აკოცა, თმის ძირებში კანი ნოტიო ჰქონდა. უეცრად გაფითრებული სახე გაკრთა დიკის სახესთან, და დაქანებული მხრები.

„არა, შეუძლებელია,“ თავისთავს უთხრა. ერთი წუთის მერე უკვე ქუჩას მიუყვებოდა პორტ დე ლა მუეტიკენ, ან იქნებ, სულაც საპირისპირო მხარეს მიდიოდა. ერთ ხელში პატარა პორტფელი ეჭირა, მეორეში — ოქროს ბუნიკიანი ჯოხი, ხმალივით.

როზმერი საწერ მაგიდასთან მიბრუნდა და დედასთან გასაგზავნი წერილის წერა დაამთავრა.

„...მხოლოდ რამდენიმე წუთით ვნახე, მაგრამ მაშინვე საოცრად ლამაზი მეჩვენა და მაშინვე შემიყვარდა (რა თქმა უნდა, დიკი უფრო ძალიან მიყვარს, მაგრამ ხომ იცი, რისი თქმა მინდა). მისი ახალი ფილმის საქმე უკვე აუტორშია და ხვალვე მიემგზავრება ჰოლივუდში, ასე რომ, მე ვფიქრობ, ჩვენც უნდა წავიდეთ. კოლის კლეი ჩამოვიდა აქ, ძალიან კარგი ბიჭია, მაგრამ თითქმის იშვიათად ვხვდები დაივერების გამო, დაივერები ღვთაებრივები არიან, ამისთანა მომხიბლავ ხალხს ჯერ არ შევხვედრივარ. დღეს ცოტა შეუძლოდა ვარ და წამალს ვსვამ, თუმცა, მგონია, არც არის საჭირო. მეტს აღარაფერს მოგწერ, მალე ვნახავ; ვნახავ და რაც იყო, ყველაფერს გეტყვი, გიამბობ!!! როგორც კი ამ წერილს მიიღებ, ტე-

ლეგრამა გამოგზავნე, ნუ მომწერ, შემატყობინე ტელეგრამით!
ჩამოხვალ თუ მე გამოვყვე სამხრეთში დაივერებს?“

ექვს საათზე ნიკოლს დაურეკა დიკმა.

„რა გეგმები გაქვს სალამოსთვის?“ ჰკითხა მან. „იქნება მშვიდად გავატაროთ ეს სალამო — ოტელში ვისადილოთ და მერე თეატრში წავიდეთ?“

„კარგი, როგორც შენ გინდა. ცოტა ხნის წინათ როზმერის დავურეკე, თავის ოთახში სადილობს. ამდილანდელმა ამბავმა მაინც ყველას თავგზა აგვიბნია“.

„მე სულაც არა“, უთხრა დიკმა. „თუ ძალიან არ დაიღალე, მოდი რაღაცა მოვიფიქროთ, ძვირფასო, თორემ ჩავალთ რივიერაზე და მთელ კვირას იმაზე ვილაპარაკებთ, როგორ დავგემართა, რომ ბუშე ერთხელაც ვერა ვნახეთო. თანაც, ესა სჯობია იმას, რომ ვისხდეთ და ვწუხდეთ...“

ამის თქმა წინდაუხედაობა იყო, წამოსცდა, ნიკოლს არ გამოპარვია.

„ვწუხდეთ — რაზე?“

„მარია უოლისზე“.

ნიკოლი დაეთანხმა თეატრში წასვლაზე. თავიდანვე ასე იცოდნენ, თითქოს დათქვესო, დაუღლებლები ყოფილიყვნენ ყველაფერში, მათი აზრით, ასე უფრო კარგი დღეები ექნებოდათ, ხოლო, თუ ხანდახან, ცხადია, მაინც იქანცებოდნენ, შეიძლებოდა ზოგი სალამოს გადადებდა, მაგრამ ამას თავიანთ თავს არ აბრალებდნენ, — ეტყობა ვიღაც დაიღალა და სული მოითქვას, გადავდოთო. სანამ ოტელიდან გავიდოდნენ, — მათ შეხედვას ხომ არაფერი სჯობდა და უფრო ლამაზ წყვილს ძნელად თუ შეხვდებოდი მთელ პარიზში, — როზმერის შეუარეს, კაკუნზე არავინ გამოეხმაურა, იფიქრეს, რომ უკვე ეძინა და ქვევით ჩავიდნენ, ფუკეს ღამის ბნელ ბარში ვერმუტი და მწარე ლუდი დალიეს და პარიზის თბილსა და მათრობელ ღამეს შეერივნენ.

ნიკოლმა გვიან გაიღვიძა და სანამ თავის გრძელ წამწამებს გახსნიდა, სიზმარგამოყოლილმა, რალაცა ჩაიბუტბუტა, დიკის საწოლი ცარიელი იყო — მხოლოდ ცოტა ხნის მერე მიხვდა რომ კარზე ვიღაც აკაკუნებდა და ამან გააღვიძა.

„ღიახ!“ დაიძახა, მაგრამ არავინ უპასუხა. ხალათი მოისხა და კარის გასაღებად გაემართა. კართან პოლიციელი იდგა ზრდილობიანად დაუკრა თავი და შიგნით შემოვიდა.

„მესიე ეფგენ ნორთი — აქ არის?“

„ვინ? არა — ამერიკაში გაემგზავრა“.

„როდის გაემგზავრა, მაღამ?“

„გუშინ დილით“.

პოლიციელმა ჯერ თავი გადააქნია და მერე გამეტებით მოჰყვა საჩვენებელი თითის ქნევას.

„გუშინ საღამოს იგი პარიზში იყო. ამ ოტელშია რეგისტრირებული, მაგრამ იმის ოთახში არავინ არის. მე მირჩიეს ან ოთახში მოვსულიყავი, რომ თქვენთვის მეკითხა“.

„უცნაურია, ვერაფერი გამიგია — გუშინ დილით გავაცილეთ ჰავრის მატარებელზე“.

„როგორც არ უნდა იყოს, დღეს დილით აქ ნახეს. საბუთებიც კი შეუშოწმეს. ასე რომ, რაღა ეჭვი შეიძლება გქონდეთ“.

„ჩვენ არაფერი ვიცით ამაზე“, წამოიძახა გაოცებულმა ნიკოლმა.

პოლიციელი რალაცაზე ჩაფიქრდა. კარგი გარეგნობის კაცი იყო, მაგრამ ყარდა.

„გუშინ საღამოს თქვენთან არ იყო?“

„არა! რანაირად?“

„ერთი ზანგი დავაპატიმრეთ. ეს სწორედ ის ზანგია, და, ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა დავაპატიმრეთ“.

„იცით რა, არ მესმის, რაზე ლაპარაკობთ. თუ თქვენ მისტერ ებრეჰემ ნორთზე მელაპარაკებით, ღიახ, მას ვიცნობთ, მაგრამ თუ იგი კიდევაც პარიზში იყო გუშინ საღამოს, არ გაგვიგია“.

კაცი თავს იქნევდა, ზედა ტუჩი შიგნით შეეწია, ეტყობოდა, მაინც რაღაც ეეჭვებოდა.

„მაინც, რა მოხდა?“ ახლა ნიკოლმა იკითხა.

პოლიციელმა ხელები გაშალა, მოკუშული პირი გააღო. თანდათან მიხვდა, რა მიმზიდველი იყო ნიკოლი და თვალები აუციმციმდა.

„რა მოხდებოდა, ხომ იცით, მადამ, ზაფხულია, ბევრი ხალხი ტრიალებს. მისტერ ეფგენ ნორთი გაძარცვეს და პოლიციაში განაცხადა. ჩვენ დავიჭირეთ არამზადა. ახლა საჭიროა, რომ მისტერ ეფგენ ნორთმა იცნოს იგი და ბრალდება დადგინდეს“.

ნიკოლმა ხალათი მჭიდროდ შემოიხვია, კიდევ ერთხელ გაუმეორა, მეტი აღარაფერი ვიცო და დაითხოვა პოლიციელი; გაოგნებულმა შხაპი მიიღო და ჩაიცვა. უკვე ათს გადაცილებული იყო. როზმერის დაურეკა, მაგრამ ტელეფონი არ პასუხობდა — მერე პორტიეს დაუკავშირდა და გამოირკვა, რომ დილის შვიდისთვის ეიბი მართლა მოსულიყო ოტელ „მეფე გეორგში“, ოთახი აეღო. მაგრამ თითქმის არც გაჩერებულა. ნიკოლი მისაღებში დაჯდა და დაელოდა, რომ იქნება დიკს დაერეკა, მაგრამ დიკი არ ჩანდა, ბოლოს ხელი ჩაიქნია და გარეთ გასვლა დაპირა. სწორედ ამ დროს ქვევიდან დაურეკეს:

„თქვენ გკითხულობთ მისტერ კროუშოუ, ზანგია“.

„რა საქმეზე?“

„იგი ამბობს, რომ გიცნობთ თქვენც და დოქტორსაც. ამბობს, რომ მისი მეგობარი ვინმე მისტერ ფრიმენი ციხეში ზის, რომ მას ყველა იცნობს, იგი ამბობს, რომ ეს შეცდომაა, უსამართლობაა, და სურს ნახოს მისტერ ნორთი, უნდა მიასწროს, თორემ შეიძლება თვითონაც დაიჭირონ“.

„ჩვენ არაფერი ვიცით“. ნიკოლმა, თითქოს მთელი ჯავრი ამაზე ამოიყარაო, გაბრაზებით დაახეთქა ტელეფონი და ამით მოუღო ბოლო მთელ ამბავს.

პარიზში ეიბის ექსცენტრულმა გამოჩენამ ნიკოლს აშკარად დაანახვა, როგორ დაქანცა იმისმა თავაშეებულმა, გატიალებულმა ცხოვრებამ. თავიდან ამოიგდო ეიბზე ფიქრი და მკერავთან წასვლა გადაწყვიტა. იქ როზმერის შეხვდა და ორივე რუ დე რივოლიზე გავიდნენ ხელოვნური ყვავილებისა და ფერადი შუშის მძივებისთვის. ნიკოლის დახმარებით

როზმერიმ დედისთვის ბრილიანტის ქინძისთავი იყიდა, და შარფები და მოდური პორტსიგარებიც, რასაც კალიფორნიაში ჩასვლისას თავის პოლივუდელ მეგობრებს აჩუქებდა. ნიკოლმა მხოლოდ სათამაშო ჯარისკაცები, რომელი და ბერძენი მეომრების მთელი არმია იყიდა ვაჟიშვილისთვის, რაც ათას ფრანკზე მეტი დაუჯდა, და ახლაც სხვადასხვანაირად ხარჯავდნენ ფულს, როზმერის კვლავაც აღტაცებას ჰგვრიდა ნიკოლის მეთოდი ფულის ხარჯვისა. ნიკოლმა იცოდა, და კარგადაც იცოდა, რომ თავის ფულს ხარჯავდა, როზმერის კი სულ ეგონა, რომ რაღაც სასწაული მოხდა, ეს ფული ასე-ნეს და ფრთხილად უნდა ყოფილიყო, გამოეზოგა.

კარგი იყო, გაგიხარია, მზიან დღეს უცხო, დიდ ქალაქში სიარული და ფულის ხარჯვა. დადიხარ ნამზეური ჯანსაღი სხეულით, სახეატკრეცილი, თავით ფეხამდე გაღალებული, ხელს გაიწვდენ, მოძრაობ და გრძნობ, რა მომხიბლავი ხარ და ქალურად მიმზიდველი, გჯერა შენი თავისა.

ოტელში უკვე ელოდებოდნენ დიკი, ხალისიანი და დილასავით ცინცხალი, ნიკოლმაც და როზმერიმაც, მის დანახვაზე მთლად ბავშვებივით გაიხარეს.

დიკმა უამბო — ცოტა ხნის წინ თვითონ ეიბს დაურეკია და ულაპარაკია მასთან; თურმე მართლა პარიზშია და დილანდელს აქეთ სადღაც იმალება.

„ჩემს სიცოცხლეში არ მომისმენია ამისთანა უცნაური ლაპარაკი ტელეფონში“.

მარტო ეიბი კი არ ლაპარაკობდა დიკთან, ერთი ათი კაცი მაინც იყო კიდევ ჩართული და ყველა თითქმის ერთნაირად იწყებდა: „...აქ ერთ კაცს უნდა თქვენთან ლაპარაკი ამ საქმეზე, ეს ამბობს, ეგ სულაც რა შუაშიაო — როგორ? რა?“

„თქვენ ეი, მოკეტეთ, არაფერი ისმის — ერთი სიტყვით, გაება ამბავში და შინ ვერ მიდის. მე თუ მკითხავთ, ჩემი აზრია, მე თუ მკითხავთ...“ აქ ტელეფონში რაღაც ბუყბუყის მსგავსი ხმა გაისმა და რა უნდა ეკითხათ მისთვის, გაუგებარი დარჩა.

ტელეფონის ხმაურში ახლა სულ სხვა რამ გაარჩია:

„მე მინდა მოგმართოთ, როგორც ფსიქოლოგს...“ ეს ვილაცა, ასეთი აზრებით შთაგონებული, ეტყობა მოაცილეს ტე-

ლევონს და ასე და ამრიგად, ველარ ელაპარაკა დიკს, ველარც როგორც ფსიქოლოგს და ველარც ისე.

მერე საუბარი დაახლოებით ასე წარიძართა:

„ალო!“

„დიახ?“

„რა დიახ, ალო!“

„ვინა ხართ?“

„ჰო“. ისევ ჩაერთო ვილაც, ეცინებოდა. „ახლავე ვინმეს გადავცემ ყურმილს“.

დროდადრო, ყურმილის დახეთქების ხმასა და ტელეფონთან ატეხილ ღრიანცელში, ძლივს გასაგონ წყვეტილ ფრაზებში „არ გინდათ, მისტერ ნორთ, მე არ...“ და რალაც ამისთანა, დიკს ეიბის ხმაც ესმოდა. მერე ვილაცამ მკვახედ უთხრა:

„თუ თქვენ მართლა მისტერ ნორთის მეგობარი ხართ, მოდით და წაიყვანეთ აქედან“.

ახლა თვითონ ეიბი ჩაერია, ხმაური იმდენად აღარ ისმოდა, ეტყობა ყველა მისწი-მოსწია და დიდი ამბით, მძიმედ მოჰყვა ლაპარაკს.

„დიკ, ჩემი მიზეზით რასობრივი ჩხუბი ატყდა აქ, მონმარტრზე. ახლა ფრიმენის გამოსაშვებად მივდივარ, ციხეშია. თუ იქ ერთი ზანგი მოვიდა — კოპენჰაგენში ვაქსის ფაბრიკა აქვს — ალო, კარგად ისმის? — თუ იქ ვინმე მოვიდა...“ ისევ ერთი ათი ხმა მაინც ჩაირთო.

„როგორ მოხვდით ისევ პარიზში?“ ჩაეკითხა დიკი.

„ევრემდე ჩავედი და მერე გადავწყვიტე თვითმფრინავით დავბრუნებულიყავი, რომ ევრე და სენ-სიულპისი შემედარებინა ერთმანეთისთვის. ის კი არა, რომ სენ-სიულპისი პარიზთან ვერ მოვა. ბაროკოს არა ვგულისხმობ, არა. სენ-სიულპისი კი არა, უფრო სენ-ჟერმენი მაქვს მხედველობაში. ღვთის გულისათვის, მოითმინეთ, ერთი წუთით, მე თქვენ ოტელის მსახურთან გალაპარაკებთ“.

„ღვთის გულისათვის, არ გინდათ“.

„მომისმინეთ — რა ქნა მერიმ, წავიდა?“

„კი“.

„დიკ, ერთ კაცს მინდა დაელაპარაკოთ, ამ დილით გავიცა-

ნი აქ, საზღვაო ოფიცრის ვაჟიშვილია, ყველა ექიმი მოიარა ევროპაში, ვილასთან არ ყოფილა, ახლავე ყველაფერს გეტყვიო...“

აქ კი დააგდო დიკმა ყურმილი, შესაძლოა, ცოტა უმადურადაც კი მოიქცა, — გონების დოლაბს რომ ეტრიალა, დასაფქვავე მარცვალი იყო საჭირო.

„ეიბი ისეთი კარგი იყო“, როზმერის უამბობდა ნიკოლი — „საოცრად კარგი. მას შემდეგ კარგა ხანი გავიდა. მე და დიკი ახალდაქორწინებული ვიყავით. სამწუხაროა, რომ მაშინ არ იცნობდით ეიბს. კვირიდან კვირამდე ჩვენთან იყო ხოლმე და თითქმის ვერ ვამჩნევდით სახლში იმის არსებობას. ხან უკრავდა, ხან ბიბლოთეკაში იჯდა ისე, საათობით, თავის შეყვარებულ მუნჯ პიანინოსთან. ერთი მოახლე გვყავდა — გახსოვს, დიკ? — ეიბი მოჩვენება ეგონა, უყვარდა ეიბს ამ მოახლის შეშინება, დერეფანში დაუდარაჯდებოდა და გამოჩნდებოდა თუ არა, დაიძახებდა: „უუ!“ ერთხელაც, ამისთანა შეშინება მთელ ჩაის სერვიზად დაგვიჯდა, ხელიდან გაუვარდა; მაგრამ არაფრად ჩაგვიგდია“.

ასეთი მხიარული უხოვრებით ცხოვრობდნენ მაშინაც, დიდი ხნის წინათ, როზმერის შეშურდა კიდევაც, თვითონ ხომ არასოდეს ეცხოვრა ასე, არა სცალოდა, მაგრამ აფასებდა მოცალეობას, როგორც ყველა ძნელად მოცლილი.

„მერე რა დაემართა?“ იკითხა. „სმა რად დაიწყო?“

ნიკოლმა თავი გააქნია, მარჯვნივ და მარცხნივ, მე არაფერ შუაში ვარო.

„რამდენი გონიერი და არაჩვეულებრივი კაცი იკარგება ჩვენს დროში“.

„როდის, რომელ დროში არ იყო ასე?“ ჩაერია დიკი. „არაჩვეულებრივ კაცს ყოველთვის თამაში უხდება ზღვარზე, ყველა ვერ უძლებს ამას და ბოლოს ხელს ჩაიქნევს“.

„მიზეზი მაინც უფრო ღრმაა“, არ დაუთმო ნიკოლმა, თან ცოტა გაბრაზდა, რომ დიკი როზმერის თანდასწრებით შეეპასუხა. „რამდენი დიდი ხელოვანია, ვთქვათ, თუნდაც, ფერნან ლეჟე, — სულაც არ იხრჩობენ ღვინოში თავს. რაღა მაინც-დამაინც ამერიკელები ლოთდებიან?“

ამ კითხვაზე იმდენნარი პასუხის გაცემა შეიძლებოდა, რომ

დიკმა ამჯობინა სულ არ ეპასუხა, დარჩეს ასე ნიკოლისათვის. ბოლო ხანს დიკმა შეამჩნია, თითქოს კრიჭაში ედგა ნიკოლს და თუმცა იგი ულამაზესი იყო მათ შორის, ვინც ცხოვრებაში შეხვედრია, და უხვადაც ჰქონდა მიძადლებული ყველაფერი, რაც დიკს სჭიროდა, გრძნობდა, უკვე შორს აღარ იყო შეჯახება და თავს იკაჟებდა, დროს არ კარგავდა. მიჩვეული არ იყო შელავათს თავისი თავისადმი და ახლა ცოტათი რცხვენოდა კიდევაც ასეთი შელავათისა, თვალს ხუჭავდა, იმის იმედით — ნიკოლი ხომ ვერაფერს ამჩნევს, მხოლოდ იმას, რომ აღტაცებას მგვრის როზმერის მშვენიერად, არადა, გუშინ თეატრში როზმერის ხსენებისას, ნიკოლმა ლამის მიახალა, როზმერი ისევ ბავშვიაო.

სამივე დაბლა ჩავიდა და ხალიჩებიან მყუდრო დარბაზში ისაუბრეს; ჩქამიც არ ისმოდა, ისე მიდი-მოდოდნენ ოფიციანტები. სულ აღარ ჰგავდნენ იმ თავგზააბნეულ კაცებს, აქეთ-იქით რომ აწყდებოდნენ იმდღევანდელ სუფრაზე; მოშორებით ამერიკელები ისხდნენ თავიანთი ოჯახებით და სხვა ამერიკელებს უყურებდნენ, ესენიც ცოლ-შვილთან ერთად იყვნენ და ძალიან ცდილობდნენ ერთმანეთს როგორმე დალაპარაკებოდნენ.

გვერდით მაგიდასთან რამდენიმე ქალი და ერთი კაცი იჯდა, ვერ გაიგებდით ვინ იყვნენ. კაცი უფრო მდივნის ტიპი იყო, ახალგაზრდა, სახეზე ღიმილი ეფინა, თავაზიანი მიხრამოხრა ჰქონდა და სულ იმის ცდაში იყო, ვისთვის რა ესიამოვნებინა; ქალები ბევრნი იყვნენ, ოცამდე მაინც, არც ახალგაზრდები ეთქმოდათ, არც ხანშესულები, რომელ სოციალურ ფენას ეკუთვნოდნენ, ამის მიხვედრაც ჭირდა. მაგრამ ერთი კი იყო, სუყველა რაღაცნაირად დაახლოებულები ჩანდნენ, თითქოს უფრო მეტად, ვიდრე, ვთქვათ ცოლები, ერთად რომ შეყრილან და სანამ ქმრები სათათბიროზე თათბირობენ, ამათ დრო გაჰყავთ. იმაზე უფრო ახლობლებიც ჩანდნენ, ტურისტულ ჯგუფში რომ არიან ხოლმე.

ის იყო, რაღაც სასაცილო უნდა ეთქვა მათზე, რომ დიკმა უნებურად ენას კბილი დააჭირა და ოფიციანტს სთხოვა, გაიგეთ, რა ხალხიაო.

„ესენი გმირების დედები არიან“, აუხსნა ოფიციანტმა.

სამთავემ ხმადაბლა ამოიოხრა. როზმერის თვალებზე ცრემლები მოადგა.

„უფრო ახალგაზრდები, ალბათ ცოლები არიან“, თქვა ნიკოლმა.

თავის ღვინის ბოკალში ისევ გახედა მათ ღიკმა. იმათ კეთილ სახეებში და დიდ სიმშვიდეში, გარშემო ყველას რომ ედებოდა, ღიკმა ძველი ამერიკის ღირსება დაინახა. თავიანთი მკვდრების დასატირებლად, იმის საწუხარად, რასაც ვერაფერს უშველიდნენ, შორიდან მოსული ქალების აქ ყოფნა იქაურობას ამაღლებულს და მშვენიერს ხდიდა. იმ წამით ღიკი ბავშვობას დაუბრუნდა, მამის მუხლზე შემომჯდარიყო და აჩუ-აჩუს გაიძახოდა, ირგვლივ კი დულდა ძველი ვნებები, თავდადება და მისწრაფებები. თავს ძალა დაატანა, რომ თანმხლებ ქალებს დაბრუნებოდა, შეეხედა მთელ იმ ახალ სამყაროსათვის, რომელსაც იგი მინდობოდა.

...ხომ არ გეწყინებათ, ფარდას თუ ჩამოვუშვებ?..

X XIII

ეიბ ნორთი ისევ ოტელ „რიტცის“ ბარში იყო, დილის ცხრიდან აქ ჩაჯდა. თავშესაფრის ძებნაში ოტელს რომ შიადგა, ყველა ფანჯარა გაეღოთ და დიდებულ სხივებს ამოჰქონდა და ამოჰქონდა მტვერი გაკვამლული ხალიჩებიდან თუ სავარძლებიდან. ოტელის მსახურები ქარივით დაქროდნენ დერეფნებში, გეგონება უსხეულონი არიან, ეს-ეს არის დედაძინწას მოსცილდნენ და სივრცეში მიდი-მოდინო. მთავარი ბარის წინ მეორე ბარი იყო, ქალებისთვის, ერთი ბეწო ჩანდა, გაგიკვირდებოდათ, რანაირად იტევდა ამ ხალხს შუადღის მერე.

თავად ცნობილი პოლი, კონცესიონერი, ჯერ არ მოსულიყო, მაგრამ კლოდმა, ჯერ უადგილო გაკვირვებით აიხედა და მერე მოსცილდა საქმეს, რომ ეიბისთვის აპერიტივი მოემზადებინა. ეიბი კედელთან ახლო, მერხზე ჩამოჯდა, ორჯერ გადაკრა და უკეთ იგრძნო თავი, ბევრად უკეთ, ისე რომ, საპარიკმახეროშიც კი ავიდა და გაიპარსა. ბარში რომ დაბრუნდა, პოლი უკვე იქ იყო, თავისი ახალი მანქანა კაპუცინების

ბულვარზე დაეყენებინა მოხერხებულად. პოლს მოსწონდა ეიბი, გვერდით მიუჯდა და საუბარი გაუბა.

„ამ დილას შტატებში უნდა წავსულიყავი“, თქვა ეიბმა. „არა, დღეს არა, გუშინ დილას, თუ — როგორც არის“.

„მერე რად გადაიფიქრეთ?“ ჰკითხა პოლმა.

ეიბი ჩაფიქრდა და ბოლოს მიზეზი გამოძებნა: „რომანს ვკითხულობდი, „ლიბერტეში“ იბეჭდება გაგრძელებებით. შემდეგი საცაა გამოვა პარიზში და გამომრჩებოდა, როდისღა წამეკითხა თუ წავიდოდი“.

„ეტყობა საინტერესოა“.

„საშუა-შ-ინლად“.

პოლი წამოდგა, ჩაიცინა და სკამის ზურგს დაეყრდნო.

„მისტერ ნორთ, თუ თქვენ მართლა გინდათ წასვლა, ხვალ ორი თქვენი მეგობარი მიემგზავრება „საფრანგეთით“. სლიმ პირსონი და მისტერ — რა გვარია, მისტერ — ახლავე გავიხსენებ — მაღალი, ამას წინათ წვერი მოუშვა“.

„იარდლი“, მიეშველა ეიბი.

„მისტერ იარდლი. ორივენი „საფრანგეთით“ მიდიან“.

პოლმა დააპირა თავის საქმეს მიბრუნებოდა, მაგრამ ეიბმა სცადა ცოტა ხანს კიდევ შეეყოვნებინა.

„მე შერბურის გავლით უნდა წავიდე. ჩემი ბარგი ამ გზით წაიღეს“.

„ბარგს ნიუ-იორკში მიიღებთ“, უთხრა მიმავალმა პოლმა.

ამ შენიშვნის ლოგიკურობას ეიბი მაშინვე ვერ ჩასწვდა, მაგრამ გაუხარდა, რომ ვიღაცა ფიქრობდა და ზრუნავდა მასზე, ან უფრო, გაუხარდა, რომ ჯერჯერობით კიდევ შეეძლო არც არაფერზე ეზრუნა.

ამასობაში ბარში ხალხი მატულობდა. პირველი მაღალი დანიელი მოვიდა, რომელსაც ეიბი ადრე სხვაგანაც შეხვედროდა. დანიელმა მოპირდაპირე კედელთან ამოიჩინა ადგილი და ეიბი მიხვდა, მთელ დღეს იქ გაატარებდა, დალევდა, ისაუზმებდა, გაზეთებს წაიკითხავდა, ანდა სულაც ვინმეს გამოელაპარაკებოდა. ეიბს უცებ მოუნდა იმაზე დიდხანს მჯდარიყო აქ. თერთმეტ საათზე კოლეჯის ბიჭებმა შემოიარეს, ერთიმეორის მიყოლებით შემოდდიოდნენ; დაახლოებით ამ დროს იყო, რომ ეიბმა მსახურს სთხოვა, ტელეფონით დაივე-

რებთან დაეკავშირებიან; მაგრამ სანამ მათ დაუკავშირდებო-
და, ეიბს სხვა, ახალი მეგობრები გამოუჩნდნენ, გადაწყვიტა
ისინიც ჩაერთო ლაპარაკში და ამის გამო იყო, რომ კაცი ვერ
გაიგებდა, ვინ და რას გაიძახოდა ტელეფონში. დროდადრო
ეიბის გონებაში წამოტივტივდებოდა ხოლმე ფაქტი, რომ უნ-
და ამდგარიყო და წასულიყო, და ციხიდან ფრიმენი გამოეყ-
ვანა, მაგრამ ყველანაირ ფაქტს თავიდან ლამის კომპარავით
იშორებდა.

პირველი საათისთვის ბარი უკვე სავსე იყო. არეულ ხმე-
ბსა და ხმაურში ოფიციანტები თავიანთ საქმეს აკეთებდნენ,
თავიანთ კლიენტებს გასაგები ენით აგებინებდნენ, რამდენი
დაელიათ და რა უნდა გადაეხადათ.

„ასე, ორი ვისკი... და კიდევ ერთი... ორი მარტინი და მე-
რე ერთიც... თქვენთვის არაფერი აგილიათ, მისტერ ქუოტერ-
ლი... ესე იგი, ორჯერ სამ-სამი. თქვენგან სულ სამოცდათხუთ-
მეტი ფრანკი, მისტერ ქუოტერლი. მისტერ შეფერი ამბობს,
რომ მეტი არაფერი შეუკვეთია — ბოლოს მხოლოდ ვისკი
მოგართვით... ჩემი საქმეა შევასრულო, რასაც მომთხოვთ...
უღრმესი მადლობა“.

აურზაურსა და ღრიანცელში ეიბი უადგილოდ დარჩა და
ახლა ფეხზე იდგა, ბარბაცებდა და თავის ახალ ნაცნობებს
ელაპარაკებოდა. ვილაცის ფოქსტერიერი თასმით გამოედო
და ფეხებში ებლანდებოდა, მაგრამ ეიბმა მოახერხა და მოიცი-
ლა, ისე, რომ არც არაფერი გადაუყირავებია და ვილაცამ რომ
ერთი ათჯერ ბოდში მოიხადა, იმასაც მოუსმინა. მერე ლანჩ-
ზე მიიწვიეს, მაგრამ იუარა, საცაა უკვე ბრიგლითია, აუხს-
ნა ეიბმა, და ბრიგლითზე რაღაც საქმე მაქვსო. ცოტა ხნის
მერე მეტად თავაზიანად, იმ მანერით, ალკოჰოლიკებს დროთა
ვითარებაში რომ უჩნდებათ ხოლმე, და ძალიანა ჰგავს პატი-
მრისა თუ ძველი მსახურის მანერებს — თავი დაუკრა ყვე-
ლას და შეტრიალდა; შეამჩნია, რომ ციებცხელება ბარში ისე-
ვე ჩქარა ჩამქრალიყო, როგორც დაიწყო.

მოპირდაპირე მხარეს დანიელი თანამეინახებთან ერთად
საუზმობდა. ეიბმაც შეუკვეთა საუზმე, მაგრამ პირი თითქმის
არ დაუკარებია, თავისთვის იჭდა მხოლოდ და ლამის ნეტა-
რებით განიცდიდა წარსულს. ღვინო თავისას აკეთებდა, გარ-

დასული ბედნიერი დღეები და მოგონებები გაუახლდა, ახლანდელს შეერია, თითქოს იგივე ხდებოდა და უფრო მეტიც, მერმისსაც ედებოდა, თითქოსდა მერეც ისევ ისევე იქნებოდა.

ოთხ საათზე მსახური მიუახლოვდა ეიბს.

„ერთი კაცი გკითხულობთ, ფერადია, გვარად პიტერსონი, უიულ პიტერსონი“.

„ღმერთო ჩემო! რანაირად მომნახა?“

„მე არ მითქვამს, რომ აქა ბრძანდებით“.

„საიდან გაიგო?“ ეიბი შექანდა, კინალამ ჭურჭელს დაემხო ზედ მაგიდაზე, მაგრამ თავს მოერია და გასწორდა.

„უთხარით, რომ აქ არა ვარ...“ ის იყო მსახური უკვე წასასვლელად გაემართა, რომ ეიბმა, ეტყობა გადაიფიქრა და ჰკითხა: „აქ შემოუშვებენ?“

„ახლავე გავიგებ“.

მსახური პოლს მიუახლოვდა და შეეკითხა. პოლმა მიიხედ-მოიხედა, თავი გააქნია, მერე ეიბი დაინახა და თვითონ გამომართა მისკენ.

„ბოდიშს ვიხდი, მისტერ ნორთ, მაგრამ ნებას ვერ დავრთავ“.

ეიბმა ძლივს აიტანა ტანი, წამოდგა და რუ კამბონზე გავიდა.

XXIV

თავისი პატარა ტყავის პორტფელით ხელში, რიჩარდ დაიგერი მეშვიდე უბნის კომისარიატიდან გამოვიდა, მარია უოლისს ბარათი დაუტოვა, ქვეშ „დიკოლი“ მიაწერა, როგორც თვითონ და ნიკოლი აწერდნენ ხოლმე თავიანთი სიყვარულის პირველ ხანებში მეგობრებისადმი გაგზავნილ წერილებს, და პერანგების ატელიეში გაეშურა. დიკის იქ მისვლისას ერთი ფაცაფუცი შეიქნებოდა ხოლმე, თითქმის არაპროპორციული იმ ფულისა, რასაც დიკი უხდიდა მათ და რცხვენოდა ამის გამო. ეჩვენებოდა, რომ ამ ლარიბ ინგლისელებს ბზნევდა თავისი დახვეწილი მანერებით, შეცდომაში შეჰყავდა თავისი ისეთი თავდაჭერით, გეგონება ამ უზრუნველი ცხოვრების გასაღები ამას ეგდო ხელთ, იმისიც რცხვენოდა,

შეკრავს თუ ეტყოდა, აბრეშუმის სახელო სულ ოდნავ ასწი-
ეთო. იქიდან დიკი ოტელ „კრიიონის“ ბარში შევიდა და ყავა
და ცოტა ჯინი დალია.

ოტელის ვესტიბიულში შესულს, ძალიან განათებული ეჩ-
ვენა იქაურობა და გაუკვირდა; გარეთ გამოსვლისას მიხვდა,
უკვე საღამოვდებოდა და იმიტომაც ჩანდა ისე. ქარი ღრუ-
ბელ-ნისლს მიერეკებოდა, ოთხ საათზე თითქმის შეღამდა,
ელისეს მინდვრებზე ტრიალ-ტრიალით სწყდებოდა ფოთლე-
ბი ხეებს და არეულად, აქა-იქ ეყრებოდა მიწას. რუ დე რი-
ვოლიზე თავის ბანკში მისასვლელად, რომ იქ ფოსტისთვის
მიეკითხა, დიკმა ორი კვარტალი ფეხით გაიარა, მერე ტაქსი
გააჩერა და ელისეს მინდვრების გავლით ოტელისკენ წავიდა.
წვიმა წამოვიდა. რახარუხით ეცემოდა სახურავს. მარტო იჯ-
და სიბნელეში, თავის სიყვარულთან ერთად.

ორი საათის წინათ ოტელ „მეფე გეორგის“ დერეფანში
როზმერისა და ნიკოლის სილამაზე ილუსტრაციების ქალი-
შვილისა და ლეონარდოს ქალის სილამაზეს შეედრებოდა.
მანქანიდან გაჰყურებდა ელისეს წვიმიან მინდვრებს, დაღ-
ვრემილი და შეშფოთებული, თითქოს რამდენიმე სხვადასხვა
კაცის ვნებებით მოცული და, გამოსავალსა და მარტივ გზას
ვერ ხედავდა.

როზმერიმ თავისი ოთახის კარი გააღო, რომ იტყვიან, ნერ-
გები „დაგლეჯაზე“ ჰქონდა ახლა — დღე-ღამე გავიდა და თა-
ვი ვერაფერს მოაბა. მაგრამ ეს სხვამ არავინ, თვითონ იცოდა
მხოლოდ — ფიქრი აერია, სურათ-გამოცანასავით იყო ყვე-
ლაფერი, ცალ-ცალკე მიყრილი ვერ აეწყო და ვერ გაემთლია-
ნებინა და იმ მიყრილი სურათებივით მიითვლიდა წარმატე-
ბებსა და იმედებს, ერთ ძაფზე ასხამდა მძივებივით დიკს, ნი-
კოლს, თავის დედას, გუშინდელ რეჟისორს „ფილმ პარ ექ-
სელანსიდან“ და კრიალოსანივით მარცვლავდა.

ქარზე დიკმა რომ დააკაკუნა, როზმერის ის იყო, ჩაეცვა
და სარკმლიდან წვიმას უყურებდა. რომელიღაც ლექსის
სტრიქონებს იხსენებდა და თვალწინ ბევერლი-ჰილზის
ნიაღვრებიანი არხები ედგა. კარი გააღო და დიკი დაინახა.

ჩამოსხმული, ღვთაებრივი, მარადიული და შეუცვლელი, როგორც ყოველთვის ეჩვენებათ ხოლმე უმცროსებს უფროსები. დიკს კი უნებლიედ ცოტათი იმედი გაუცრუვდა როზმერის პირველ დანახვაზე. მეორე წუთში კი ისევ მოაჯადოვამისი ღიმილის უმწეო მშვენიერებამ, ზუსტად შექმნილი მისი სხეულის სილამაზემ, კოკორს რომ ჰგავდა, სულ მალე კი ყვავილივით გაიშლებოდა. სააბაზანოს ღია კარიდან იმისი სველი ნატერფალი ნოხი მოჩანდა.

„მისს ტელევიზია“, ხუმრობის კილოთი, რაც ასე არ ეხამებოდა გუნებას ახლა, ისე თქვა დიკმა. პორტფელი და ხელთათმანები ტუალეტის მაგიდაზე დადო, ხელჯოხი კედელთან მიაყუდა. ნიკაპი თითქოს ჯიუტად იგერიებდა დარდისწინაოქებს, ბაგის გარშემო დაღაგების საშუალებას არ აძლევდა, ზევით, შუბლისკენ, საფეთქლებისკენ ერეკებოდა, იმ შიშსავით, სხვამ არავინ შეამჩნიოსო.

„მოდით, აქ, მუხლზე დამიჯექით“, ალერსით უთხრა. „ახლო იყოს მშვენიერი პატარა ბაგე“.

როზმერიმ გაუგონა, სარკმელს იქით წვიმის ხმაური ნელნელა მიწყდა, წკაპ-წკაპ-აბ. ტუჩები თავისი წარმოსახვით შექმნილ მშვენიერ, ცივ სახეს მიადო.

მერე თვითონ კოცნიდა დიკს, უცბად, ჩქარ-ჩქარა და დიკს ისევ და ისევ აოცებდა როზმერის კანი — აბრეშუმი; არც არაფერი უნახავს ასეთი თვალისმომჭრელი. მაგრამ სილამაზის ერთი თვისება ისიც არის, რომ გამოავლენს, რაც რამ კარგია ამ სილამაზით მოხიბლულ კაცში; შესაძლოა ამიტომაც ფიქრობდა ახლა დიკი ნიკოლზე, იმაზე, რომ დერეფანში სულ რაღაც ორი კარის იქით იყო იგი. თავის მოვალეობაზე ფიქრობდა დიკი.

„წვიმამ გადაიღო“, თქვა მან. „სახურავენს შეხედეთ, უკვე მზე დანათის“.

როზმერი წამოდგა, დიკისკენ დაიხარა:

„რა მსახიობები ვართ! ორივე — მეც და თქვენც“. ყველაზე გულწრფელი რამ, რაც კი დიკისთვის ეთქვა.

როზმერი პატარა მაგიდასთან მივიდა და როგორც კი სავარცხელს დასწვდა, კაკუნი გაისმა კარზე, ხმადაბლა, მაგრამ დაჟინებით აკაკუნებდნენ.

ორთავე ადგილზე გაშეშდა; კაკუნი გამეორდა და ახლა უფრო ხმამაღლადაც. როზმერიმ უცებ გაიაზრა, რომ კარი ჩაკეტილი არ იყო, სწრაფად გადაისვა თმაზე სავარცხელი, თავი დაუქნია დიკს, უკვე რომ მოესწრო გადასაფარებლის გასწორება საწოლზე, სადაც ორივე იჯდა, და კარის გამოსაღებად გაემართა. დიკმა მშვიდად და ბუნებრივად თქვა, არცთუ ხმამაღლა:

„...ჰო, თუ მაინცდამაინც არსად გინდათ წასვლა, ვეტყვი ნიკოლს და ამ საღამოს ძალიან წყნარად, შინაურულად გავატარებთ“.

ტყუილუბრალო სიფრთხილე იყო, რადგან ისინი, ვინც კართან იდგნენ, იმდენად მოეცვა საკუთარ საზრუნავს, რომ უბრალოდ, ვერც კი შეამჩნევდნენ იმას, რაც ახლა იმათ არ ეხებოდა. კართან იდგნენ ეიბი, ერთ დღე-ღამეში რამდენიმე თვით რომ დაბერებულყო, და საშუალო ტანის შავკანიანი, ნაღვლიანი და შეშინებული კაცი. ეიბმა გააცნო, მისტერ პიტერსონი სტოკჰოლმიდანო.

„საშინელ დღეშია ჩავარდნილი და ჩემი ბრალია“, თქვა ეიბმა. „იქნება კარგი რჩევა მოგვცეთ“.

„ჩვენთან წავიდეთ“, უთხრა დიკმა.

ეიბმა დაჟინებით მოითხოვა, რომ როზმერიც გაჰყოლოდათ და ყველანი დაივერების ოთახებისკენ გაემართნენ; ჟიულ პიტერსონი, დინჯი და თავაზიანი ზანგი, თავისი ადგილი რომ იცოდა, სასაზღვრო შტატების რესპუბლიკელთა მომხრე, უკან მიჰყვებოდა.

როგორც გამოირკვა, პიტერსონი შემთხვევითი მოწმე ყოფილა იმ ჩხუბისა, მონპარნასის ერთ-ერთ ბისტროში რომ ატყდა; ეიბს უარი არ უთხრა, პოლიციაში წაჰყვა და ოფიციალური ჩვენება მისცა, დავინახე, ვილაც ზანგმა როგორ გამოსტაცა ხელიდან ეიბს ათასფრანკიანიო. საჭირო იყო ზანგის პიროვნების დადგენა. ეიბი და ჟიულ პიტერსონი პოლიციელთან ერთად ბისტროში დაბრუნდნენ და იქ თითქოს შეიცნეს კრიმინალი, მაგრამ ერთ საათსაც არ გაეგლო და გამოირკვა, რომ ის ეჭვმიტანილი ზანგი ბისტროში ეიბის წასვლის მერე მისულიყო, პოლიციამ უფრო აურ-დაურიცა საქმე, როცა ცნობილი ზანგი რესტორატორი ფრიმენი დააპატიმრა, ფრიმენი

ბისტროში ცოტა ხნით შესულა და თანაც ძალიან ადრე, სანამ იქ ალკოჰოლური ბურუსი ჩამოწვებოდა. ნამდვილი დამნაშავე კი, ვისი მეგობრებიც საერთოდ ამტკიცებდნენ, მხოლოდ ორმოცდაათი ფრანკი გამოართვა, რომ იმ სასმელისთვის გადაეხადა, ეიბმა მთელი კომპანიისთვის რომ მოითხოვაო — სულ ცოტა ხნის წინ გამოჩნდა და თანაც, საკმაოდ ავისმომასწავებელ როლში.

ერთი სიტყვით, რაღაც ერთ საათში ეიბმა მოახერხა და თავი ჩაიგდო ლათინური კვარტალის ერთი აფრო-ევროპული და სამი აფრო-ამერიკული ბინადრის ცხოვრების, სინდისისა და ვნებების რთულსა და ერთმანეთში გადახლართულ ამბებში და რანაირად, რა გზით დაეღწია თავი აქედან, ვერ მოესაზრებინა. ჯერჯერობით მთელი დღე იმაში გავიდა მხოლოდ, რომ საითაც არ უნდა გაეხედა, თითქმის ყველგან ზანგებს ხედავდა. უცნობი ზანგების სახეები მოულოდნელად, სადაც არ ელოდა, იმ ადგილებშიც გამოჩნდებოდნენ, ზანგების დაჟინებული ხმები არ ასვენებდა ტელეფონში და გულს უწყალებდა.

მაინც მოახერხა და ყველა აიცილია, გარდა ჟიულ პიტერსონისა. პიტერსონი იმ თანამგრძნობი და მეგობარი ინდიელის მდგომარეობაში აღმოჩნდა, თეთრ კაცს შემწედ და მშველელად რომ მოევიდნა და მის მხარეზე დადგა. მთელ ამ ამბავში დაზარალებული ზანგები ახლა იმდენად ეიბს არ დასდევდნენ, რამდენადაც პიტერსონს, რადგან მოღალატედ თვლიდნენ, პიტერსონი კი ეიბს არ სცილდებოდა, მისგან ელოდა მფარველობასა და შველას.

პიტერსონს სტოკჰოლმში ვაქსის პატარა ფაბრიკა ჰქონდა, მაგრამ გაკოტრდა და მთელ მის ქონებას ახლა ხის ყუთში ჩატეული ზუმბურზეთის რეცეპტი და პორტატიული მანუფაქტურა შეადგენდა, თუმცა მისი ახალგამოჩენილი მფარველი დღეს დილას შეჰპირდა, ვერსალში გიშოვიო ერთ საქმეს — იქ ცხოვრობდა ეიბის ყოფილი მძღოლი, ამჟამად მეწაღე. ეიბმა უკვე ისიც მოასწრო, რომ მომავალი შემოსავლის ანგარიშში პიტერსონისთვის ორასი ფრანკი მიეცა.

როზმერი ისმენდა ამ მიეთმოეთს, რისი გროტესკულობის აღქმასაც უფრო საღი იუმორი სჭიროდა და ეს მას არ

გააჩნდა. შავკანიანი პატარა კაცი თავისი პორტატიული მანუქ-
ფაქტურით, აცა-ბაცა თვალებით, დროდადრო შიშით ისე
რომ გადაუტრიალდებოდა ხოლმე, რომ მხოლოდ თეთრი გარ-
სის წრეები უჩანდა, ეიბის ფიგურა და მშვენიერი თხელი
ნაკვთები, ოღონდ, ახლა შეშუპებული — ეს ყველაფერი რა-
ღაც სნეულებასავით შორეული იყო მისთვის.

„მომეცით შანსი ცხოვრებაში, მე მეტს არაფერს გთხოვთ“,
ამბობდა პიტერსონი იმ არაბუნებრივი და შერეული ინტო-
ნაციით, კოლონიურ ქვეყნებში რომ ლაპარაკობენ. „ჩემი მე-
თოდი უბრალოა, ჩემი რეცეპტი — იმდენად კარგი, რომ გა-
მაღატაკეს, სტოკჰოლმიდან გამომაძევებს, რაკი არ დავთანხმდი
და არ გავამხილე“.

დიკი ყურადღებით შესცქეროდა. დაინტერესდა კიდევაც,
მაგრამ მაშინვე გაუქრა ინტერესი, ეიბს მიუბრუნდა:

„სხვა ოტელში წადით, დაწეჭით და დაიძინეთ. როცა გა-
მოიძინებთ, მისტერ პიტერსონი იქ მოვა და მოილაპარაკებთ“.

„მაგრამ გესმით თუ არა, რა ხათაბალაში ჩავარდა პიტერ-
სონი?“ ჩააცივდა ეიბი.

„მე ჰოლში ჩავალ და იქ დავიცდი“, დელიკატურად თქვა
პიტერსონმა. „იქნებ უხერხულიც კია ჩემი თანდასწრებით იმ
საქმეზე ლაპარაკი, მე რომ მეხება“.

ვითომდა ფრანგულ მანერაზე, რაც პაროდის უფრო ჰგავ-
და, თავი დაუკრა ყველას და ოთახიდან გავიდა. ეიბი ორთქლ-
მავალივით მძიმედ აიძრა ადგილიდან და ფეხზე დადგა.

„ეტყობა დღეს მაინცდამაინც ვერ ვიწვევ თანაგრძნობას“.

„თანაგრძნობას კი, შექებას ვერა“, მიუგო დიკმა. „მე
წასვლას გირჩევთ ოტელიდან, თუნდაც ბარის გავლით, რა
გზითაც გინდათ, მიდით „შამბორში“ ან, თუ გინდათ უკეთ
მოგემსახურონ — „მაჟესტიკში“.

„დასალევი რომ გთხოვთ რამე, გეწყინებათ?“

„აქ არაფერს ვინახავთ“, იცრუა დიკმა.

ეიბი მორჩილად მივიდა როზმერისთან, სახე ცოტათი დაი-
მშვიდა, დიდხანს ართმევდა ხელს, ტუჩები უთრთოდა და
უჭირდა რაიმეს თქმა, სიტყვებს ვერ უყრიდა თავს.

„თქვენ ყველაზე — ერთ-ერთი ყველაზე...“

როზმერის შეეცოდა და ცოტა ზიზღიც კი იგრძნო ქუჭ-

ყიანი ხელის შეხებისას, მაგრამ ისე გულდიად იღიმებოდა-
თითქოს მისთვის აქ უჩვეულო არა იყო რა და ასეთ კაცს,
სიზმარეულს რომ ჰგავდა, ყოველდღე ხედავდა. ხშირად
მთვრალ კაცს საკვირველი პატივისცემით ვექცევით ხოლმე,
ისე, გიჟებს რომ ექცევიათ ზოგიერთები, შიშით კი არა, უფ-
რო რიდით. არის რაღაცა იმ კაცში, ვინც თავის თავს ველარ
ერევა და ყველაფერზე მიდის, რაღაც, რაც რიდსა და მოკრძა-
ლებულ შიშს გვინერგავს; მერე და მერე, რა თქმა უნდა, არ
შევარჩენთ და ვაზღვევინებთ ხოლმე ამ უპირატესობას.

ეიბი დიკს მიუბრუნდა, ერთხელაც სცადა თავი შეეცოდე-
ბინა, გული მოეღბო.

„კარგი, თუ ოტელში წავალ, დავიბან, დავივარცხნი, გა-
ვიწმინდები და გამოვიძინებ, თავიდან მოვიშორებ ამ სენე-
გალელებს — შეიძლება აქ მოვიდე და სალამოთი ბუხარს მი-
ვუჭდე?“

დიკმა თავი დაუქნია, იმდენად თანხმობის ნიშნად არა,
რამდენადაც ქირღვით და მიუგო: „მე მგონია აჭარბებთ, ეიბ,
ამდენი მართლა არ შეგიძლიათ“.

„ნიკოლი რომ აქ იყოს, ვიცი უბრალოდ იტყოდა, მოდი-
თო“.

„ჰოდა, მოდით“. დიკმა ლანგრით დიდი ყუთი მოიტანა და
ოთახის შუაში, მაგიდაზე დადო; ყუთი სავსე იყო მუყაოს
ასოებით. „შეგიძლიათ მოხვიდეთ და ანაგრამები ვითამაშოთ“.

ეიბმა ყუთს აშკარა ზიზღით ჩახედა, გეგონება შიგთავსი
შვრიის ფაფად, საჭმელად შესთავაზესო.

„რა ანაგრამებია? დღესდღეობით მეყოფა, რაც კი...“

„ეს უვნებელი თამაშია, ასოებიდან რა სიტყვასაც გინდათ,
იმას შეადგენთ, „ალკოჰოლის“ გარდა“.

„ალკოჰოლის“ შედგენაც კარგად შეიძლება, ალბათ“. ეიბ-
მა მუყაოს ასოებით სავსე ყუთისკენ წაიღო ხელი. „შეიძ-
ლება დავბრუნდე, და სიტყვა „ალკოჰოლი“ შევადგინო?“

„მოდით, თუ ანაგრამების თამაში გინდათ“.

ეიბმა მორჩილად დაიქნია თავი.

„რას იზამ, თუ ასე ფიქრობთ — ჯობია არ მოვიდე“. ყვედ-
რებით დაუქნია დიკს თითი. „ოღონდ, გახსოვდეთ, რა თქვა

გეორგ მესამემ: „გრანტი თუ დათვრა, მე ვისურვებდი სხვა გენერლები დაკბინოსო“.

კიდევ ერთხელ გახედა ირიბად როზმერის თავისი მოოქროსფრო თვალებით და გავიდა. შვება იგრძნო, პიტერსონი რომ არსადა ჩანდა დერეფანში. მიუსაფარი, დაკარგული ეგონა თავი, ისევ „რიტცისკენ“ გაემართა, რომ პოლისთვის კარგად ეკითხა, რა ერქვა იმ გემს.

XXV

როგორც კი ტორტმანით მიმავალი ეიბის ნაბიჯი მინელდა, დიკი და როზმერი უმაღლესად გადაეხვივნენ, პარიზის მტვერი ედოთ, მაგრამ ამ მტვერშიც გრძნობდნენ ერთმანეთს; დიკის კალამი, იმისი რეზინის სარქველის სუნი, როზმერის კისრისა და მხრების სითბოს სურნელება. ერთ წუთს მაინც არაფერზე ფიქრობდა დიკი, როზმერი პირველი დაუბრუნდა რეალობას.

„ჩემი წასვლის დროა, ჭაბუკო“, თქვა მან.

ერთმანეთს დაბნეულები შეჰყურებდნენ, როზმერის თვალი არ მოუშორებია, ისე იხევდა უკან-უკან და ბოლოს კარში გაუჩინარდა, ასე წასვლა ჯერ კიდევ თავისი კარიერის დასაწყისში ისწავლა და არც ერთ რეჟისორს არ უცდია მოეშლევინებინა მისთვის ეს ჩვევა.

თავისი ოთახის კარი შეაღო თუ არა, მაშინვე მაგიდისკენ გაემართა. ახსოვდა, საათი დარჩა, იქვე იდო; აიღო, სამაჯურს ირგებდა ხელზე და თან დედისთვის გასაგზავნად დაუმთავრებელ წერილს მოავლო თვალი, ფიქრში ბოლო ფრაზებს უყრიდა თავს, და ამ დროს ნელ-ნელა, თანდათან, ისე, რომ არც გაუხედავს, იგრძნო, ოთახში მარტო არ იყო.

ისეთი ნივთები, შეუმჩნევლად რომ ირეკლავენ, მრავლად არის საცხოვრისებში: პრიალა ხე, ასე თუ ისე გაკრიალებული თითბერი, ვერცხლი და სპილოს ძვალი და შუქჩრდილისათვის სხვა წყარო, რასაც ძლივს ვამჩნევთ და არც ვფიქრობთ მათზე, სურათის ჩარჩოს წახნაგი, ფანქრის წვერი, საფერფლის კიდე, ბროლისა თუ ფაიფურის ორნამენტის ცალი მხარე, და ეს ყველაფერი მოქმედებს ხოლმე მხედველობის

შეტად სათუთ და მგრძნობიარე მონაკვეთზე, ქვეცნობიერების იმ ასოციაციურ ცენტრებზე, რაც აღქმას ასე არეგულირებს, ისევე, როგორც ვთქვათ, შოგრში ხრახნის მოტრიალება გვეხმარება დავინახოთ ის, რასაც კარგად ვერა ვხედავთ. უთუოდ ამით შეიძლება აიხსნას, რომ როზმერიმ მანამდე „შეიგრძნო“ ოთახში ვილაცის არსებობა, სანამ ეს შეგრძნება აზრად იქცეოდა. მაგრამ, გაიაზრა თუ არა, მაშინვე მკვეთრად, ლამის ბალერინასავით შეტრიალდა და დაინახა — მის საწოლზე მკვდარი ზანგი ეგდო.

„ააუუ“ ზარდაცემულმა შეჰყვირა; წაძით მოეჩვენა, ეიბი იყო, რაც აზრს არ იყო მოკლებული. საათი სამაჯურიითურთ მაგიდაზე დააგდო და შეშლილივით გავარდა ოთახიდან.

დიკი რალაცებს ალაგებდა; იმდღევანდელი ხელთათმანები შეათვალიერა და ჩანთებთან, გროვად დაყრილ ხელთათმანებზე მიაგდო. პიჯაკი და ჟილეტი უკვე საკიდზე ეკიდა კარადაში, ცალკე საკიდზე პერანგი ჩამოჰკიდა თავის შეთოდით — „შეიძლება მთლად ახალთახალი არ იყოს, მაგრამ დაჭმუჭნილი პერანგი არ უნდა ჩაიცვა კაცმა“. ნიკოლი უკვე შინ იყო და ნაგვის კალათში ეიბის საფერფლედან — ეიბი რალას არ ხმარობდა ხოლმე საფერფლედ — ნამწვს ყრიდა და ამ დროს ოთახში როზმერი შემოვარდა.

„დიკ! დიკ! ჩქარა, აქეთ!“

დიკი დერეფანში გავარდა, ოთახში შეიჭრა, ჩაიჩოქა და ბიტერსონს გულზე მიადო ყური, მერე მაჯა გაუსინჯა — ჯერ არ გაციებულ იყო, სიცოცხლეში მორჩილი და შეშინებული სახე გაბოროტებოდა და უხეში გახდომოდა, ილლიის ქვეშ ის თავისი ყუთი ამოეჩარა და საწოლზე გადმოკიდებულ ფეხზე ლანჩგაცვეთილი ფეხსაცმელი გასაწმენდი უჩანდა. საფრანგეთის კანონების მიხედვით, დიკს უფლება არა ჰქონდა სხეულს შეხებოდა, მაგრამ მაინც ოდნავ გასწია ბიტერსონის ხელი, რომ კარგად დაენახა — მწვანე გადასაფარებელზე მუქად აჩნდა ლაქა, სისხლს შეიძლება გაეჟონა და საბანზე გადასულიყო.

დიკმა კარი ჩაკეტა, ცოტა ხანს გაჩერდა, რომ რამე მოეფიქრა. დერეფანში ვილაცის ფეხის ხმა გაიგონა, მერე ნი-

კოლის ხმა მოესმა, დიკს ეძახდა. ოდნავ გამოალო კარი და ჩურჩულით უთხრა:

„გადასაფარებელი და ერთი საბანი მოიტანე ჩემი საწოლიდან — ოღონდ, ფრთხილად, არავინ დაგინახოს“, და ნიკოლის სახეზე დაძაბულობა რომ შენიშნა, სწრაფად დაუმატა: „შენ არ აღელდე, ისეთი არაფერი მომხდარა, აქ, უბრალოდ ყარახები წაეჩხუბნენ ერთძახეთს“.

„ჩქარა მოათავე ეგ საქმე“.

დიკმა საწოლიდან ასწია მსუბუქი, უჭმელობისაგან უძლური სხეული. ისე ეჭირა, ჭრილობიდან სისხლი ტანსაცმელშია ჩავიდოდა. იატაკზე დააწვინა, საწოლს გადასაფარებელი და ზევითა საბანი ააძრო, კართან მივიდა, სულ ოდნავ გამოალო და ყური მიუგდო — მოსახვევში, ჰოლთან ახლო ჭურჭლის წკარაწკური გაისმა და ვილაცამ მფარველური კილოთი ხმამალლა თქვა — „გმადლობთ, მადამ“, მაგრამ რფიცინანტმა სხვა მხარეს, სათადარიგო კიბისკენ გაუხვია.

დიკმა და ნიკოლმა კარიდან კარში სწრაფად გაცვალეს ფუთები; დიკმა როზმერის საწოლს სუფთა გადასაფარებელი გადააფარა და მთლად ოფლში გაღვრილი, ოთახის შუაგულში გაჩერდა, რაღაცა მოიფიქრა და ყოყმანობდა. გვამის გასინჯვის მერე მისთვის ორი რამ გახდა ცხადი, პირველი ის, რომ, ეტყობა, ეიბის მიმართ მტრულად რომ იყო, იმ ინდიელმა კვალი აიღო ეიბის მეგობარი ინდიელისა და დერეფანში უხელთა, და როცა სასოწარკვეთილი პიტერსონი თავის საშველად როზმერის ოთახში შევარდა, თან შეჰყვა და მოკლა; მეორე: თუ მოვლენებს ბუნებრივი მსვლელობა მიეცემოდა, ქვეყანაზე ვერავითარი ძალა ვერ იხსნიდა როზმერის სკანდალისა და ლაქისაგან, მისი კონტრაქტი კი თავისთავად გულისხმობდა, რომ როზმერი ისევ ისეთ „მამიკოს გოგოდ“ უნდა დარჩენილიყო, გულუბრყვილო და უცოდველი.

თავისდა უნებური, სახელოების აკაპიწების ძველებური შესტით — თუმცა შიგნით უსახელოებო პერანგი ეცვა — დიკი დაიხარა, გვამს მხრებში მიაწვა, ფეხით გაალო კარი, რაც შეეძლო სწრაფად გაათრია დერეფანში და ისეთნაირად დააწვინა, თითქოსდა მართლა იქ მოეკლათ. მერე კვლავ როზმერის ოთახში შებრუნდა და ცალ მხარეს ხაოაშლილი ნოხი

საგულდაგულოდ გაასწორა. მხოლოდ ამის მერე დაბრუნდა თავის ოთახში, ტელეფონი აიღო და ოტელის მეპატრონესთან დამაკავშირეთო, ითხოვა.

„მაკბეთი ხართ? — დოქტორი დაივერი გელაპარაკებით — მეტად საჭირო საქმეა. ხომ არ შეიძლება ვინმე გვისმენდეს?“

კარგია რომ არ დაეზარა და მისტერ მაკბეთთან ახლო ურთიერთობა გააბა. ერთხელ მაინც გამოადგეს, რომ ასე უხვად იხარჯებოდა და ხიბლავდა ყველას...

„ჩვენი ოთახიდან გამოსვლისას მკვდარ ზანგს წავაწყდით... დერეფანში... არა, არა, სამოქალაქოა. ერთ წუთს შოითმინეთ — გადავწყვიტე თქვენთვის დამერეკა, მე მესმის, არ გინდათ, რომ ამ სართულის სხვა ბინადრებიც წააწყდნენ გვამს. ოღონდ, გთხოვთ, ჩემი სახელი არსადა თქვათ. ცხადია, არ მინდა, საფრანგეთის გაჭიანურებული პროცესის მსხვერპლი გავხდე მხოლოდ იმიტომ, რომ ეს კაცი ჯერ მე დავინახე“.

რა ზრუნვაა ოტელის რეპუტაციაზე! ორი დღის წინათ მისტერ მაკბეთი თვითონვე დარწმუნდა დოქტორ დაივერის ამ თვისებაში და ამიტომაც მიიღო შემოთავაზებული ვერსია ულაპარაკოდ.

ერთი წუთის მერე მისტერ მაკბეთი უკვე ზევით იყო, ხოლო, კიდევ ერთი წუთის მერე ჟანდარმიც მოვიდა. ამასობაში მაკბეთმა მოასწრო და დიკს წასჩურჩულა: „თქვენ მშვიდად იყავით, ჩვენი ოტელის ვერც ერთი სტუმრის სახელს ეგრე იოლად ვერ ახსენებენ. ვერ წარმოიდგენთ, რა მადლიერი ვარ თქვენი, რომ ასე შეწუხდით“.

მისტერ მაკბეთმა დაუყოვნებლივ მიიღო რაღაც ძნელმისახვედრი ზომები, რამაც ჟანდარმზე ისე იმოქმედა, რომ აწერილებული და გაცოფებული, მეტი რომ ველარა აწაძა რა, ხარბად მოჰყვა უღვაშების წიწკნას, ზერელედ რაღაც ჩაიწერა და ტელეფონით თავის უბანს დაუკავშირდა. ამასობაში, იმ სიმარჯვითა და მოხერხებულობით, როგორც ბიზნესმენი, თვითონ პიტერსონიც კი რომ დააფასებდა, ნეშტი მსოფლიოს ერთ-ერთი ფეშენებელური ოტელის სხვა, თავისუფალ აპარტამენტში გადაიტახეს.

დიკი თავის აპარტამენტში დაბრუნდა.

„რა ხდება?“ წამოიძახა როზმერიმ. „როგორ ექცევინ ერთმანეთს ამერიკელები პარიზში, ერთთავად ისვრიან?“

„ეტყობა, ნადირობის სეზონია“. მიუგო დიკმა. „ნიკოლი სად არის?“

„ალბათ სააბაზანოში“.

როზმერი აღმერთებდა დიკს, ამან გადაარჩინა — თითქოს დაინახა ის უბედურება, ეს ამბავი რომ დაატეხდა თავს; ფიქრში თავს ევლებოდა, თაყვანს სცემდა, უსმენდა იმის ძლიერ და მშვიდ ხმას, ყველაფერი რომ მოაგვარა, მოაწესრიგა. სულითაც და სხეულითაც მას მიელტვოდა, უნდოდა გადახვეოდა, მაგრამ ამ დროს სხვა რაღაცამ მიიპყრო დიკის ყურადღება; საწოლი ოთახის კარი შეაღო და სააბაზანოსკენ წავიდა, და მაშინ როზმერიმაც გაიგონა — არეული, არაადამიანური ყვირილი აღწევდა კარის ხვრელიდან, კლიტის ჭუჭრუტანებიდან, ძლიერდებოდა, თანდათან უფრო საშინელი ხდებოდა ის ხმა.

ჯერ თავში ის აზრი მოუვიდა, რომ ნიკოლი აბაზანაში დავარდა და რაღაც დაუშავდა; დიკს უკან მიჰყვა, მაგრამ სანამ დიკი მხრით უხეშად შეაჩერებდა და კარს მოუხურავდა, სულ სხვა რაღაცას შეასწრო თვალი.

აბაზანის კიდეს ჩაფრენილი, მუხლებზე ჩაჩოქილი ნიკოლი აქეთ-იქით ირწეოდა.

„შენ, შენა ხარ!“ ყვიროდა იგი, „რისთვის მოხვედი აქ — ეს ერთადერთი ადგილია მთელ ქვეყანაზე, სადაც მარტო შემიძლია ვიყო — შენ კი შემოიჭერი და გასისხლიანებული საბანი თან მოიტანე. თუ გინდა, შიგ გავეხვევი და თავს მოგაწონებ — მე არა მრცხვენია, ოღონდ, საცოდაობაა. სულელების დღეს, პირველ აპრილს მეჯლისი გავმართეთ ციურიხში, ტბაზე, და ყველა სულელი იქ მოვიდა, მე კი მინდოდა საბანში გავხვეულიყავი და ისე წავსულიყავი, ოღონდ, არ დამანებეს...“

„დაწყნარდი!“

„...მაშინ მე სააბაზანოში დავიმაღე, მაგრამ მომნახეს, დომინო მომიტანეს, ჩაიცვითო, მითხრეს და მეც ჩავიცვი. სხვა რა მექნა?“

„დაწყნარდი, ნიკოლი!“

„მე არ ველოდი, რომ შენ შეგიყვარდებოდი — ვიცოდი, უკვე გვიან იყო, ოღონდ, რად მოდიხარ სააბაზანოში, ამ ერთდერით ადგილას, სადაც შემიძლია მარტო ვიყო, და რად მოათრევ ჩემთან სისხლიან გადასაფარებლებს, რომ შევხედო“.

„დაწყნარდი, ადექი, ნიკოლ...“

როზმერიმ სასტუმრო ოთახიდან გაიგონა როგორ გაჯახუნდა სააბაზანოს კარი. კანკალმა აიტანა. ახლა იცოდა, რაც დაინახა ვაიოლიტ მაკისკომ ვილა „დაიანას“ სააბაზანოში“. ტელეფონმა დარეკა, აიღო და სიხარულით კინალამ შეჰყვირა, როცა კოლის კლემის ხმა გაიგონა. როზმერისთან დაერეკა და რაკი არ უპასუხეს, მიხვდა, რომ დაივერებთან იქნებოდა. სთხოვა, ზევით ამოსულიყო და დაეცადა, სანამ შლაპას დაიხურავდა, თავის ოთახში მარტო შესვლისა ეშინოდა.



წიგნი მეორე

I

1917 წლის გაზაფხულზე, დოქტორი რიჩარდ დაივერი პირველად რომ ჩავიდა ციურიხში, ოცდაექვსი წლისა იყო, შესანიშნავდა ასაკი მამაკაცისთვის, სწორედაც აკმე უცოლო კაცის ცხოვრებისა, ღიკისთვის კი, ომის დღეებშიც შესანიშნავი, რადგან უკვე მეტად დიდ ღირებულებად და კაპიტალდაბანდებად მიაჩნდათ იგი იმისათვის, რომ გაემეტებინათ და თოფისთვის მიეშვირათ. წლების მერე ეჩვენებოდა, რომ მისი ეს სავანეც კი ვერ იფარავდა საიმედოდ, თუმცა, ბოლომდე მაინც ვერ გაერკვია, მართლა ასე იყო თუ არა, — ათას ცხრაას ჩვიდმეტში კი ეცინებოდა ამაზე და თავის მართლებასავით იტყოდა ხოლმე, ომი მე სულ არ შემეხოო. ციურიხში მიწერილობით გაემგზავრა, თავისი სწავლის დასრულებისა და სამეცნიერო ხარისხისათვის.

შვეიცარია კუნძული იყო, ერთი მხრით რომ გორიციიდან

გადმოსული მრისხანე ტალღები ერტყმოდა გარს, და მეორე მხრით კი სომეს და ენეს ჩანჩქერები. იმხანად კანტონები უცხოელებით იყო სავსე, მაგრამ ბევრი მათგანი საეჭვო პიროვნებას უფრო ჰგავდა, ვიდრე სნეულს, ოღონდ, ამას ზუსტად მაინც ვერ მიხვდებოდი — ბერნისა და ჟენევის კაფეებში ჩურჩულით მოლაპარაკე ტიპები შეიძლება, უბრალოდ ბრილიანტების შემსყიდველები, ან კომივოიაჟერებიც იყვნენ. მაგრამ ასე თუ ისე ყველა ხედავდა და კარგადაც ხედავდა, ნევშატელისა და ბადენის ლაჟვარდ ტებეს შუა ბრმებითა და დაჭრილებით, ხეიბარი მომაკვდავებით გაჭედნილ შემხვედრ გრძელ მატარებლებს, აქეთ-იქით რომ მიდიოდნენ. ლუდხანებსა და მაღაზიების ვიტრინებში გამოკრულ ფერად პლაკატებზე შვეიცარიელები თავიანთ საზღვრებს იცავდნენ 1914 წელს — ჭაბუკები და მოხუცები მთებიდან მძვინვარედ, მრისხანე თვალთ დაჰყურებდნენ ფრანგებისა და გერმანელების უფერულ აჩრდილებს; პლაკატები იმ მიზნით გამოუშვეს, შვეიცარიელებს გულით დაეჯერათ, რომ არც მათ აუარა იმ დღეთა საბრძოლო დიდების ეპიდემიამ. ხოცვა-ჟლეტა გრძელდებოდა, წლიდან წლამდე პლაკატები გაცვდნენ და გაიცრიცნენ და როცა ომში უცებ ამერიკა ჩაერია, არც ერთ ქვეყანას ეს ისე არ გაჰკვირვებია, როგორც მის ევროპელ დას, ამ რესპუბლიკას.

იმ დროისათვის დოქტორ დაივერს ომისათვის უკვე შორიანლოდან შეეხედა: 1914 წელმა მას ოქსფორდში მოუსწრო, კონექტიკატის შტატიდან როუდზის სტიპენდიის მიღების მერე აქ სწავლობდა. სამშობლოში დაბრუნებული, ბოლო ერთი წელი ჯონ ჰოპკინზის უნივერსიტეტში იყო და ხარისხი მიიღო. 1916 წელს, ვაითუ დიდი ფროიდი საჰაერო თავდასხმისას დაიღუპოსო, ვენაში იჩქარა წასვლა. უკვე მაშინ, ამ ხავსმოდებულ ქალაქში ძლივსღა ფეთქავდა სიცოცხლე, მაგრამ დიკმა როგორღაც მოახერხა საკმაო ნახშირისა და ნავთის შოვნა, რომ დამენშტიფ შტრასეზე თავის პატარა ოთახში ჩამჯდარიყო და ბროშურები ეწერა, რომლებიც მერე მოსპო, მაგრამ რომლებიც, როცა აღიდგინა და გადაწერა, 1920 წელს ციურიხში გამოცემული მისი წიგნის ხერხემლად იქცა.

თითქმის ყველას გვაქვს ისეთი ხანა ცხოვრებაში, როცა გმირი გვგონია თავი; ის ხანა სწორედ ასეთი იყო დიკ დაივერისთვის. მაშინ აზრადაც არ მოსვლია, რა ზიბლიც ჰქონდა, ფიქრობდა, რომ ჯანმრთელი ხალხი ყველა ასეა და აქ უჩვეულო არა იყო რა. ჯერ კიდევ ნიუ-ჰეივენში ყოფნისას ვილაცამ „ილბლიანი დიკი“ შეარქვა — ეს სახელი თავში ჩაარჩა.

„ილბლიანი დიკი, აი ვინა ხარ, ძველო“, ხმადაბლა ეტყოდა ხოლმე თავის თავს მბუჟტავი ცეცხლითლა განათებულ ოთახში სიარულისას. „ზუსტად მიზანში მოახვედრე, შეგობარო, შენამდე ვერავინ შეამჩნია“.

1917 წლის დასაწყისში, როცა ძალიან გაჭირდა ნახშირის შოვნა, დიკი თავის სახელმძღვანელოებს მიადგა. ერთი ასი მაინც დაუგროვდა და ცეცხლს მისცა. მაგრამ ყველა წიგნის ღუმელში შეგდებისას ლამის შმაგი სიხარული იპყრობდა ხოლმე, თითქოს იცოდა, რომ წიგნის არსი ისედაც სისხლსა და ხორცში ჰქონდა გამჯდარი და ხუთი წლის შერეც, თუკი ეს წიგნი ამად ღირდა, იმის შინაარსს მოკლედ იტყოდა. როცა მხრებზე შემოგდებული იატაკის ნოხიც ველარ იცავდა სიცვისაგან, ღუმელის წინ ჩაჯდებოდა და წიგნებს მეცნიერის იმ მშვენიერი უშფოთველობით წვავდა, ყველაზე მეტად რომ წააგავს ზეციურ ნეტარებას, მაგრამ, ამ უშფოთველობას, როგორც მერე გამოჩნდება, მალე უნდა მოღებოდა ბოლო.

ჯერ კი ეს ბოლო არ დამდგარიყო და ამას ნიუ-ჰეივენის ბილიკებზე რბენითა და ზამთარს დუნაიში ბანაობით გაკაჟებულ თავის სხეულს უმადლოდა. ბინაში საელჩოს მეორე მდივანთან, ელკინსთან ერთად ცხოვრობდა. ამათ აპარტამენტში ხანდახან ორი სანდომიანი ქალიშვილი მოდიოდა — მოდიოდნენ და მიდიოდნენ, სხვა არაფერი, არც საელჩოსთან კავშირი მიდიოდა უფრო შორს, ედ ელკინსთან ურთიერთობამ პირველად კიდევაც დააეჭვა თავის აზრებში, ელკინსისას აღარებდა და ხანდახან ფიქრობდა. დიდი სხვაობა არ არისო, იმ ელკინსისას, ბოლო ოცდაათი წლის ყველა ნიუ-ჰეივენელ თავდამსხმელს სათითაოდ რომ ჩამოგითვლიდათ.

„ილბლიანი დიკი კი ერთი საზრიანი ჭაბუკთაგანი ვერ იქნებოდა, ეს არა კმარა; ზედმეტად კარგი ვინმეა, მთლიანი, ცოტა კიდევაც უნდა დაიშალოს, საჭიროა, რომ სწორედ ცხოვე“

ჩემამ დააჩნოს თავისი კვალი, ავადმყოფობა, ან ვთქვათ, სიყვარულში ხელის მოცარვა და გულის გატეხა, ანდა „კომპლექსი“ მაინც ის არ არის, რაც საჭიროა. თუმცადა, საინტერესო იქნებოდა შენობის დანგრეული მხარის აღდგენა და ხელახლა გამთლიანება. ოღონდ ისე, რომ ადრინდელზე უკეთესი ყოფილიყო“.

ამ თავის აზრებზე ეცინებოდა ხოლმე, ყბედობასა და „ამერიკელობას“ ეძახდა — ტვინის დოლაბით დაუფქველ ყველა ფრაზას ასე დაარქმევდა ხოლმე. მაგრამ, იცოდა, რომ თავისი მთლიანობის ფასი სრულყოფის ნაკლულეგანება იყო.

„ყველაზე კარგი რამ შემძლია გისურვო, ჩემო ბავშვო“, ამბობს ჯადოსნურკვერთხა ფერია თეკერეის „ვარდსა და ბეჭედში“, „ცოტაოდენი უბედურება“.

ხანდახან თავისთვის, ბუზღუნით იმართლებდა თავს: „რა ჩემი ბრალია, რომ იმ საზეიმო დღეს პიტ ლივინგსტონი გასახდელში მიიმალა, რამდენიც არ ეძებეს, ვერსად ნახეს, და იელის უნივერსიტეტში მე ამირჩიეს. ასე რომ არა, ვინ ამირჩევდა. იმათგან მე თითქმის არავის ვიცნობდი და პიტი იყო ნაღდი კანდიდატი, და ის კი არა, მე უნდა დავმალულიყავი მაშინ გასახდელში. იქნებ ასეც მექნა, თუ მეგონებოდა, რომ რაღაცა შანსი მაინცა მქონდა. ისე კი, ბოლო კვირებში იმ მერსერმა ჩემთან სიარულს მოუხშირა. არა, შანსი მქონდა, ჰო, ვიცოდი ეს და ახი იქნებოდა, რაღაც კომპლექსს თუ მოვუგონებდი ჩემსავე თავს და ყველაფერს იქვე თუ ჩავშლიდი“.

ლექციების მერე ამ საკითხზე რამდენჯერმე ესაუბრა ერთ ახალგაზრდა რუმინელ ინტელიგენტს და იმან დაამშვიდა: „არაფერი არ ადასტურებს იმას, თითქოს „კომპლექსი“, ამ სიტყვის თანადროული გაგებით, ოდესმე ჰქონდა გოეთეს, ან ვთქვათ ისეთ კაცს, როგორც იუნგია. რომანტიკოსი ფილოსოფოსი არა ხართ, მეცნიერი ხართ, და ამიტომაც მეხსიერება, შეუპოვრობა, ნებელობა და საღი აზროვნება მოგეთხოვებათ. ყველაზე მეტად კი, თქვენივე თავის შეუცნობლობა გავნებთ. ერთ კაცს ვიცნობდი, ორი წელი არმადილოს ტვინის შესწავლას მოანდომა იმ ვარაუდით, ბოლოს და ბოლოს არმადილოს ტვინზე ყველაზე მეტი მე მეცოდინებო.“

ვეკამათებოდი, ვუხსნიდი, რომ არსებითად იგი კაცობრიობის ცოდნის საზღვრებს ვერ აფართოებდა, რომ ეს უბრალოდ მისი ახირება იყო. ასეც მოხდა — როცა თავისი თეზისები ერთ სამედიცინო ჟურნალს გაუგზავნა, უარი შემოუთვალეს — თურმე უკვე ჰქონდათ მავანის თეზისები იმავე თემაზე“.

როცა დიკი ციურიხში ჩამოვიდა, ცხრაფეხასათვის სამყოფზე ცოტა აქილევსის ქუსლები ჰქონდა, თუმცაღა მაინც ეყოფოდა. ეს იყო გამოუღვლეელი ძალის, სიჯანსაღისა და ადამიანში მარადიული სიკეთის ილუზიები — თაობიდან თაობას გადმოყოლილი მთელი ერის ილუზიები, დიდებულის ტყუილები, მგლის ყმუილში თავიანთ პატარებს ნანას რომ უმღეროდნენ და ღიღინით ეუბნებოდნენ, მგელი არ არის, ქოხთან იმისი ჭაჭანებაც არ არის, დაიძინეო.

ხარისხის მიღების მერე დიკი საფრანგეთში, ბარ-სიურობის ახალგახსნილ ნევროლოგიურ ჰოსპიტალში გაგზავნეს. საფრანგეთში მუშაობამ იმედი გაუცრუა, უფრო ადმინისტრატორობა უხდებოდა, ვიდრე ექიმობა, მაგრამ დრო კი საკმაოდ რჩებოდა საიმისოდ, რომ ციურიხში დაწყებული მცირე სახელმძღვანელო დაემთავრებინა და ახალი წიგნის მასალებისთვის მოეყარა თავი. 1919 წლის გაზაფხულზე კი, დემობილიზებული, ციურიხს დაბრუნდა.

ზემოთქმული უფრო ბიოგრაფიის მოყოლასა ჰგავს, ოღონდ, ისე, გადაკრულადაც რომ არ დაგაიმედებო, თითქოს იმის გმირს რთული და თავგადასავლიანი ბედი ელის და უკვე ესმის მისი ძახილი, როგორც გენერალ გრანტს ესმოდა გალენში, როცა დუქანში იჯდა. თანაც, როცა კაცს უკვე მოწიფულ ასაკში იცნობ და იმის ჭაბუკობისდროინდელ სურათს წააწყდები, უცნაური რამ გემართება — იქიდან სულ სხვა, უცნობი სახე შემოგყურებს, ქორისთვალეა, მგზნებარე და შეუბოვარი. მაგრამ, ბევრი რომ აღარა ვთქვათ რა — დიკ დაივერის დრო დადგა.

აპრილის ნესტიანი დღე იყო, გრძელი ღრუბლები ცერად იწელებოდნენ ალბისპორნის თავზე და მეჩხერ ადგილებში წყალი რინდად იდგა. ციურიხი ბევრი რამით წააგავს ამერიკის ქალაქებს. საფრანგეთიდან ჩამოსვლის მერე იმ ორ დღეს დიკს თითქოს სულ რაღაცა აკლდა, ბოლოს მიხვდა, აქ ვერა გრძნობდა იმ სისავსეს, ფრანგული ქუჩები თუ შესახვევები რომ იწვევდა მასში, იმ შესახვევებს იქით თითქოს აღარაფერი იყო. ციურიხში კი სულ გახსოვს, რაც ციურიხს იქითაა — სახურავებს უყურებ და მთის საძოვრებზე და ნახირზე ფიქრობ, წკარუნი გესმის, მწვერვალებს ხედავ და ცხოვრებაც მალა, ცისკენ მიიწევს; ალპების ძირში, სათამაშოებისა და ფუნქულიორების, კარუსელებისა და წყნარად მრეკავი ზარების მხარეში ისე მიწიერი არა გგონია თავი, როგორც საფრანგეთში, სადაც, ვენახში ვაზი ფეხებში გედება ლამის.

ზალცბურგში, სადაც ერთხელ რამდენიმე დღე გაატარა, დიკმა მუსიკის საუკუნის ძალა და ზემოქმედება იგრძნო; ციურიხში, უნივერსიტეტის ლაბორატორიებში, როცა ფრთხილად იკვლევდა ტვინის აგებულებას, თავისი თავი თვითონვე სათამაშოების მძერწავად უფრო წარმოედგინა, ვიდრე იმ დაუდევარ ყმაწვილად, ქარიშხალივით რომ შეიჭრებოდა ხოლმე ჯონ ჰოპკინზის აგურის წითელ კორპუსებში და ვესტიბიულში გიგანტი ქრისტეს ირონიული ღიმილიც კი ვერ აჩერებდა.

მაინც გადაწყვიტა, ორ წელსაც დარჩენილიყო ციურიხში, სათამაშოების კეთება რომ ამად ღირდა, ამაში ეჭვიც არ შეჰპარვია, ეს ზედმიწევნით სიზუსტესა და დიდ მოთმინებასაც მოითხოვდა.

ახლა იგი ციურიხის ტბაზე, პროფესორ დომლერის კლინიკაში მიდიოდა ფრანც გრეგოროვიუსის სანახავად. ფრანცი იქ შტატში ითვლებოდა, წარმოშობით კანტონ ვოდან იყო, დიკზე რამდენიმე წლით უფროსი. ტრამვაის გაჩერებაზე დახვდა მას. საინტერესო გარეგნობა ჰქონდა, თვალები — წმინდანისა, ოღონდ, კალიოსტროს მუქ სახეზე. გრეგოროვიუსების მესამე თაობა — პაპამისი კრეპელინის მასწავლებე-

ლი იყო იმხანად, როცა ფსიქიატრია, როგორც მეცნიერება, ფეხს იკიდებდა. თავმოყვარე, ფიცხ და ზოგჯერ ცხვარივით მშვიდ ფრანცს კარგ ჰიპნოტიზიორად მიაჩნდა თავი, იმათი გვარის წინა თაობაში ნიჭიერება ცოტაოდნავ მაინც რომ ჩამცხრალიყო, მისგან ალბათ შესანიშნავი კლინიცისტი დადგებოდა.

კლინიკისკენ დაიძრნენ. მაშინვე დაიწყო ფრანცმა ლაპარაკი: „მიამბეთ რა გადაგხდათ ომში. თქვენც შეიცვალეთ, როგორც სხვები? სახე კი ისევ ისეთი გაქვთ, დაუღეგარი, ამერიკული, ხანი რომ არ ეტყობა“.

„ომი შე არ მინახავს, ფრანც, — ჩემი წერილებიდან მიხვდებოდით“.

„რა მნიშვნელობა აქვს — ჩვენთან კონტუზიით დაავადებულები არიან, შორიდან რომ გაიგონეს საჰაერო დაბომბვის გრუხუნნი. ისეთებიცა გვყავს, მხოლოდ გაზეთებს რომ კითხულობდნენ“.

„სიგიჟეა“.

„შეიძლება, დიკ. მაგრამ ეს კლინიკა მდიდრებისთვისაა და ესეთ გამოთქმებს არა ვხმარობთ. ახლა ერთი გულწრფელად მითხარით, ჩემთან ჩამოხვედით თუ იმ ამერიკელი ქალიშვილის სანახავად?“

ერთმანეთს ცერად გახედეს. ფრანცს ეცინებოდა.

„ცხადია, ყველა წერილი ჯერ მე უნდა მენახა“, პროფესიული, თავისი ბოხი ხმითა თქვა ფრანცმა, „მაგრამ, მომჯობინება რომ შეეცყო, დელიკატური არ იქნებოდა ისევ გამეხსნა წერილები. ეს უკვე მხოლოდ თქვენ გეხებოდათ...“

„ესე იგი, გამოკეთდა?“ ჰკითხა დიკმა.

„სავსებით, რაც ჩვენთან მოვიდა, მე მებარა მაგისი საქმე, საერთოდ, ბრიტანელი და ამერიკელი პაციენტების უმრავლესობა მე მბარია. დოქტორ გრეგორის მეძახის ყველა“.

„მინდა გითხრათ ყველაფერი, რაც ამ ქალიშვილს შეეხება“, თქვა დიკმა. „მე იგი მხოლოდ ერთხელ ვნახე. იმ დღეს, საფრანგეთში წასვლის წინ გამოსამშვიდობებლად რომ ჩამოვედი თქვენთან, მაშინ პირველად ჩავიცვი უნიფორმა და ასე მეგონა, სხვა ვიღაც ვიყავი, ჯერ ვერ შევჩვეოდი და ყვე“

არაფერი მერეოდა, სალუტს ზოგჯერ რიგით ჯარისკაცსაც კი გაძლევდი ხოლმე“.

„დღეს რატომ არა ხართ უნიფორმაში?“

„უპ, სამი კვირაა დემობილიზებული ვარ. იმას გეუბნებო-
დით — თქვენ გამოგემშვიდობეთ და ტბასთან რომ პავილიონ-
ია, იქით წავედი, ჩემი ველოსიპედი დავტოვე იქ და...“

„კედრებისკენ?“

„...შესანიშნავი საღამო იყო, მთვარე აი იმ მთის წვერ-
ზე...“

„კრენცევის თავზე“.

„...თვალი ვკიდე, ორნი მიდიოდნენ, ქალიშვილი და მომ-
ვლელი ქალი. არც მიფიქრია, კლინიკის პაციენტი თუ იყო.
დავეწიე, რომ იმ ქალისთვის მეკითხა, რომელ საათამდე დადიო-
და ტრამვაი და მერე ერთი გზით წავედით. ქალიშვილი არა-
ჩვეულებრივად ლამაზი მეჩვენა“.

„ახლაც ისეთია“.

„ამერიკული უნიფორმა არასოდეს ენახა და ამაზე ჩამო-
მიგდო ლაპარაკი. ჩვეულებრივად ვლაპარაკობდით, როგორც
ყველა, არაფერი შემიმჩნევია...“ გაჩუმდა, ნაცნობმა პეიზაჟ-
მა მიიქცია მისი ყურადღება, მერე დაამთავრა: „ოღონდ, ჯერ
მე თქვენსავით გამობრძმედილი არა ვარ, ფრანც; გული მეკუ-
მშება ხოლმე, როცა მშვენიერ გარსს შევყურებ და ვიცი,
რაც იფარება შიგ. სხვა არაფერი, ეს იყო და ეს — მერე კი
წერილები მოდიოდა“.

„ამან გადაარჩინა, ეს იყო ყველაზე კარგი რამ მისთვის“,
პათოსით წარმოთქვა ფრანცმა. „შემთხვევითი ტრანსფარან-
ცია; ამიტომ მივანებე თავი საქმეებს და აქ წამოვედი. ჩემთან
წავიდეთ, სანამ შევხვდებით, მანამდე მინდა მოგელაპარაკოთ.
ისე კი, ახლა აქ არ არის, ციურისში გავუშვი რალაცების საყიდ-
ლად“, ცოტათი დელავდა. „მომვლელი არ გამიყოლებია, სხვა
პაციენტთან — იმის მდგომარეობა არ არის ისე სტაბილუ-
რი — ერთად გავგზავნე. მე ვთვლი, რომ მორჩენილია, სავ-
სებით. და ვამაყობ ამ წარმატებით, რასაც თქვენი უნებლიე
დახმარებით მივალწიე“.

მანქანა ციურისის ტბის მიხვეულ-მოხვეულ ნაპირს მიჰ-
ყვებოდა, ბოლოს ნაყოფიერ ხეობას დაუყვანენ, მწვანე საქოვ-

რებს აქ ბორცვები სცვლიდა, გორაკებს შვეიცარიული სახალების — შალეების წამახული სახურავები ეკვროდა, ლურჯი ცის ოკეანეზე ცურავდა მზე და უცებ მთელი მშვენიერებით გადაიშალა შვეიცარიული ველი, გადასარკული სივრცითა და ყივყივა ხმებით, სიჯანსაღისა და სიმხნევის სურნელებით.

პროფესორ დომლერის კლინიკა, სამი ძველი და ორი ახალი შენობისაგან რომ შედგებოდა და ტბასა და ზეგანშუა მდებარეობდა, პირველ მოდერნიზებულ ფსიქიატრიულ კლინიკად ითვლებოდა, რომელსაც ათი წლის წინათ ჩაეყარა საფუძველი. უცხო კაცი ვერც მიხვდებოდა, რომ ეს თავშესაფარი იყო დაშლილ-დაწეწილი ნერვების ადამიანებისა, ამ ქვეყანას მტრულად და მუქარით რომ უყურებდნენ. ამ ხუთი შენობიდან ორი მათგანი ყრუ კედლით იყო შემოზღუდული, კედლებს ვაზი ევლებოდა და ისე პირქუში შესახედავი აღარა ჩანდა. მზის გულზე, პაპანაქებაში ვილაცები ნამჯას ფოცხავდნენ; მანქანის ხმაურის გაგონებისთანავე მომვლელი ქალები პატარა თეთრ დროშას აიქნევდნენ ხოლმე — პაციენტებს დაჰყვებოდნენ ბალის ბილიკზე.

ფრანცმა თავის კაბინეტში შეიყვანა დიკი და სთხოვა ცოტა ხანს მოეცადა. მარტო დარჩენილი დიკი კაბინეტში ბოლთასა სცემდა. ფრანცის ნივთების — მაგიდაზე უწესრიგოდ მიყრილი წიგნებისა და ფურცლების, მამამისისა და პაპამისის დაწერილი ან მათზე დაწერილი წიგნების, კედელზე დიდის ამბით, შვეიცარიული წესითა და რიგით ჩამოკიდებულთ, მამის გადიდებული დაგეროტიპის მიხედვით ცდილობდა ფრანცზე თავისი აზრი შეექმნა. კაბინეტი თამბაქოს კვამლით იყო სავსე და დიკმა აივნის კარი გააღო, მზის სხივმა ცერად ჩამოჭრა გაკვამლული ჰაერი. ფიქრით იმ ამერიკელ ქალიშვილს გადასწვდა.

დიკმა მისგან ერთი ორმოცდაათი წერილი მაინც მიიღო რვა თვის მანძილზე. პირველი — რაღაც ახსნასა და თავის მართლებას უფრო ჰგავდა, სწერდა, რომ ჯერ კიდევ ამერიკაში გაგონილი ჰქონდა, ქალიშვილები წერილებს რომ სწერდნენ უცნობ ჯარისკაცებს. ასე, რომ დოქტორ გრეგორისგან შეიტყო მისი სახელი და მისამართი და იმედი აქვს იგი უარს

არ იტყვის, რომ ხანდახან მიიღოს მოკითხვის ბარათები და
ფ. შ. და ა. შ.

წერილის ტონის მიხედვრა ძნელი არ იყო — გადმოღებუ-
ლი იყო „გრძელფეხა მამიკოსა“ და „მოლი თვალთმაქცი-
დან“, გასართობი და სანტიმენტალური თხზულებებიდან,
რომელთა კითხვა იმ ხანებში მოდაში იყო ამერიკაში. თუმ-
ცა, ამ ტონთან თავდებოდა მთელი მსგავსებაც.

წერილები ორ ჯგუფად იყოფოდა, პირველი ჯგუფისა, დაახ-
ლოებით დაზავებამდე დაწერილი, აშკარა პათოლოგიური ხა-
სიათისა იყო, დანარჩენები, თითქმის ბოლო წერილის ჩათვ-
ლით — მთლად ნორმალური ადამიანისა, რომელიც თანდა-
თან ვითარდება და თავის მდიდარ ბუნებას ავლენს. ბოლო
თვეებში დიკი მიეჩვია და მოუთმენლადაც კი ელოდა ამ წე-
რილებს, ბარ-სიურ-ობის მომქანცველ მოწყენილობას რომ
უქარვებდა — ის კი არა და, უფრო ადრინდელ წერილებშიც
იმაზე მეტი ამოიკითხა, ვიდრე ფრანცმა, რადგან ფრანცი
ყველაფერს ვერ მიხვდებოდა.

„ჩემო კაპიტანო!“

უნიფორმაში რომ დაგინახეთ, ძალიან ლამაზი მეჩვენეთ.
მერე ვიფიქრე, მიმიფურთხებია-მეთქი, ფრანგულადაც და
გერმანულადაც. თქვენც გაიფიქრეთ ჩემზე, ლამაზიაო, მაგრამ
ამას მიჩვეული ვარ და კმარა. თუ კვლავ ჩამოხვალთ, და
უხამსი და საძაგელი იქნებით, რაც სულაც არ შეეფერება
ჯენტლმენს, იმ აზრით, რასაც ეს სიტყვა ნიშნავს და როგორც
მე მასწავლეს, მაშინ, ღმერთი თუ გიშველით მხოლოდ, თუმ-
ცა, თქვენ თითქოს სხვებზე უფრო თავდაჭერილი ჩანხართ,
და დიდი, ღუნღულა კატასავით ხართ. მე საერთოდ მომწონს
ნებიერი ქალური ვაჟები. თქვენ ხართ ქალური? ასეთებს
შევხვედრივარ, მაგრამ არ მახსოვს სად.

არ გაბრაზდეთ. უკვე მესამე წერილს გწერთ. გამოგიგზავ-
ნით, ან სულაც არ გამოგიგზავნით. მე ხშირად ვფიქრობ მთვა-
რის უუქზე და ბევრი მოწმეც მეყოლებოდა, აქედან რომ შე-
მეძლოს გასვლა.

ამბობენ, რომ თქვენც ექიმი ხართ, მაგრამ თქვენ ხომ
კატა ხართ და ეს სულ სხვა რამეა. თავი ძალიან მტკივა, ასე
რომ, არ გაბრაზდეთ, აქ რომ ასე შინაურულად ვსეირნობ

თეთრ ვატასთან ერთად, ვფიქრობ, ეს ყველაფერს აგისწიოთ. მე სამ ენაზე ვლაპარაკობ, ინგლისურსაც თუ ჩავთვლით — ოთხზე და თარჯიმნად მუშაობას შევძლებდი, თქვენ რომ ჩემთვის გეშოვათ ადგილი საფრანგეთში, თავს გავართმევდი ალბათ, თასმებით თუ შემკრავდნენ და დამაბამდნენ, როგორც იმ ოთხშაბათს. დღეს კი შაბათია, თქვენ შორსა ხართ, იქნებ მოგკლეს კიდევაც.

ჩამოდით ერთ დღეს. მე ხომ სულ აქ ვიქნები, ამ მწვანე გორაკზე, სანამ ჩემს ძვირფას მამასთან წერილის მიწერის უფლებას მომცემენ.

მაპატიეთ, დღეს ჩემს თავს არ ვეკუთვნი. მერე მოგწერთ, როცა უკეთ ვიქნები.

მოგიკითხავთ,

ნიკოლ უორენი.

მაპატიეთ, არ გაბრაზდეთ ჩემზე“.

„ვაპიტანო დაივერ: ვიცი, როცა ნერვები ისეთ დღეში აქვს ადამიანს, როგორც მე ახლა, ძნელია რამეს თავი მოაბა, მაგრამ მინდა, ჩემზე ყველაფერი იცოდეთ. როცა ეს დამემართა, შარშან, ჩიკაგოში, ანდა, შესაძლოა სულაც შარშან არა, არ მახსოვს, მაშინ ქუჩაში აღარ გამოვდიოდი, აღარც მსახურს ველაპარაკებოდი და ძალიან მინდოდა, მჭირდებოდა, რომ ვიღაცას გაეგებინებინა, რა ამბავი იყო ჩემ თავს. ვისაც ესმოდა, ის მოვალე იყო აეხსნა ყველაფერი. ბრმას ხელს ჩასჭიდებენ და ისე მიჰყავთ, რაკი თვითონ არ შეუძლია სიარული. მეტყოდნენ ხოლმე, მაგრამ არკი დაამთავრებდნენ, მე კი ისე ვიყავი არეული, ორჯერ ორი რამდენი იყო ვერა ვხვდებოდი. ერთი კარგი კაცი გამოჩნდა — ფრანგი ოფიცერი, და იმას ესმოდა. ყვავილი მომცა და მითხრა, ეს უფრო პატარა, უფრო გამოუცდელიაო. ჩვენ დავმეგობრდით. მერე წამართვა. მე თანდათან უარესად ვხდებოდი და ვერაფერს მიხსნიდნენ. სიმღერაა — ჟანა დ'არკზე — იმას მიმღეროდნენ ხოლმე, მე კი მწყინდა და ვტიროდი იმიტომ, რომ მაშინ არეული არ მქონდა თავი. მირჩევდნენ, სპორტს მივეყოლოდი, მაგრამ არ მინდოდა. მერე ერთ დღეს სახლიდან გავედი, მიჩიგანის ბულვარზე, შორს წავედი, რამდენიმე მილი გავიარე. ავტომობი-

ლით დაძვდნენ, მაგრამ მე არ მინდოდა "შიგ ჩაჯდომა. ბო-
ლოს და ბოლოს ძალით შემათრიეს და ამის მერე მომვლელი
მომიჩინეს. მერე და მერე ვხვდებოდი რაც იყო, იმიტომ რომ
უკვე ვგრძნობდი, შეშეძლო დაშენახა, რაც ემართებოდათ
სხვებს. ახლა თქვენ ყველაფერი იცით. აქ მე არასოდეს მოვ-
რჩები, ეჭიმები არ მასვენებენ, ერთთავად მეკითხებიან, მე კი
მინდა დამავიწყდეს. ასე რომ, დღეს მამას მივწერე, ჩამოვი-
დეს და აქედან წამიყვანოს. ძალიან კარგია, ასე რომ გიზი-
დავთ თქვენი საქმე, საინტერესო უნდა იყოს ხალხის გასინ-
ჯვა და მერე ყველაზე რაღაცის თქმა“.

და კიდევ, ახლა სხვა წერილიდან:

„შეიძლებოდა ერთი გასინჯვა გამოგეტოვებინათ და ჩემ-
თვის წერილი მოგეწერათ. ამას წინათ გრამოფონის ფირფი-
ტები გამომიგზავნეს იმ შემთხვევისთვის, თუ ჩემი გაკვეთი-
ლი დამავიწყდებოდა, მე კი ყველა მივამსხვრიე, რის გამოც
მომვლელი ქალი აღარ მელაპარაკება. ფირფიტები ინგლისურ
ენაზე იყო, იმას მაინც არაფერი ესმოდა. ჩიკაგოში ერთმა
ეჭიმმა მითხრა, სიმულანტი ხარო, სინამდვილეში იმის თქმა
უნდოდა, რომ მე მეექვსე ტყუპი ვიყავი და ასეთი ჯერ არ
შეხვედროდა თავის ცხოვრებაში. მაშინ ძალიან არეული ვი-
ყავი და სულ ერთი იყო, რას მეტყოდნენ, მეექვსე ტყუპი
გოგო კი არა, თუნდაც შემთხვევით ეთქვათ.

იმ საღამოს ხომ თქვით, თამაშს გასწავლით და არ მოგეწ-
ყინებათო. იცით, ზოგჯერ მგონია, რომ მთავარია სიყვარული,
იგია ყოვლისშემძლე, ან, თუ არ არის, უნდა იყოს. ასეა თუ
ისე, მე მიხარია, რომ გამოცდები ბევრ დროს გართმევთ და
უქმად არა ხართ.

Toute à vous¹

ნიკოლ უორენი“.

იყო სხვა წერილებიც, რომელთა აბნეულ რიტმშიც უფრო
შემამფოთებელი უმწეობა ჩანდა.

„ძვირფასო კაპიტანო დაივერ:

გწერთ იმიტომ, რომ სხვას ვერავის მივმართავ და თუ მეც

1 თქვენი (ფრანგ.).

კი, ასეთი ავადმყოფი, ვხედავ ჩემს გამოუვალ და უაზრო მდგომარეობას, თქვენთვის ხომ მით უფრო ცხადია იგი. ფსიქიკურმა აშლილობამ გაიარა, მაგრამ მთლად განადგურებული ვარ და დამცირებული, არ ვიცი, ამას თუ მიაღწიეს აქ. ჩემი ნათესავები გულმშრალად იქცევიან, იმათგან არც შველას ველი და არც თანაგრძნობას. მეტი აღარ შემიძლია, მეყო. აქ თუ დავრჩი, ტყუილუბრალოდ დავკარგავ დროს, საბოლოოდ გავინადგურებ ჯანმრთელობას და თავს მოვიტყუებ, თითქოს, რაც ჩემ თავს არის, იმის შველა შეიძლებოდა. სულ ერთია, ვერ მოვრჩები.

გამომკეტეს ამ შენობაში, რომელიც ალბათ საგიჟეთი უფროა და მხოლოდ იმიტომ, რომ კაცი არ აღმოჩნდა, სიმართლე ეთქვა ჩემთვის. ყველაფერი რომ მცოდნოდა, ისე, როგორც ახლა ვიცი, თვითონვე მოვერეოდი თავს, საამისოდ ძალა მეყოფოდა, მაგრამ იმათ, ვისაც ჩემი თვალის ახელა შეეძლოთ, არ მოინდომეს, ახლა კი, როცა ვიცი და ასე ძვირად დამიჯდა ყველაფრის გაგება, ძაღლებივით კუდი ამოიძუეს, უნდათ, რომ ისევ უწინდებურად მეგონოს. მეტადრე ერთია მოწადინებული, ძალიან ცდილობს, მაგრამ, ახლა მე უკვე ვიცი.

ძალიან მომეწყინა, მარტო ვარ, მოწყვეტილი მეგობრებსა და ნათესავებს, რომლებიც ოკეანის გადაღმა არიან, მთელი დღეები დაკარგულივით დავბორიალობ. ჰქენით სიკეთე, მიშოვეთ თარჯიმნის ადგილი (ფრანგული და გერმანული მშობლიურ ენასავით ვიცი, იტალიური — საკმაოდ კარგად და ცოტა ესპანურიც). წითელი ჯვრის სანველე ჰოსპიტალში ვიმუშავებდი, ან მედიცინის დად სადმე — ხომ შეიძლება, რაღაც კურსს გავივლიდი და ვისწავლიდი“.

და კიდევ:

„ჩემს ამბავს გიყვებით და როგორც შემიძლია ისე გიხსნით ყველაფერს, თუ არ მეთანხმებით, ის მაინც ხომ შეგიძლიათ, რომ თქვენი აზრი მითხრათ. ჩემთვის ამას მნიშვნელობა აქვს, იმიტომ, რომ თქვენ კეთილი კატის სახე გაქვთ, აქაურებივით სულელური კი არა, აქ ალბათ ასეა მიღებული. დოქტორმა გრეგორიმ თქვენი ფოტო მომცა. სურათზე ისეთი ლამაზი არა ხართ, როგორც უნიფორმაში. თუმცა უფრო ახალგაზრდა ჩანხართ“.

„Mon capitaine:

ძალიან მესიამოვნა თქვენი ღია ბარათის მიღება. მიხარია, რომ ასე მოგწონთ მედიცინის დების ჩაქრა გამოცდებზე — ო, არა, ყველაფერს, რასაც მწერთ, ძალიან კარგად ვიგებ. ოღონდ, იმ დღიდან, როცა პირველად დაგინახეთ, ვიფიქრე, რომ თქვენ სხვებს არა ჰგავდით“.

„ძვირფასო კაპიტანო დაივერ:

დღეს ერთსა ვფიქრობ, ხვალ კი სხვას. მთელი ჩემი უბედურება ესაა, და კიდევ ის, რომ მინდა ყველას ჯიბრით მოვექცე და ზომა აღარ ვიცი ხოლმე. დიდი სიამოვნებით მივმართავდი ვინმე ფსიქიატრს, ისეთს, რომელსაც თქვენ მირჩევდით. აქ ყველანი აბაზანაში წვანან და მღერიან: „ითამაშე შენს ეზოში, ითამაშე“. მაგრამ მე არა მაქვს ჩემი ეზო, სადაც თამაში შემეძლებოდა და საითაც არ უნდა გავიხედო, საიმედოს ვერაფერს ვხედავ. გუშინ ისევ თავისას მოჰყვნენ, ისევ საშაქარლამოში, და გამყიდველს კინალამ. საწონი დავარტყი, მაგრამ დამიჭირეს.

მეტს აღარ მოგწერთ. ყველაფერი მერევა თავში“.

მერე მთელ თვეს აღარ მოსულა წერილი და უცებ ასეთი ცვლილება:

„...თანდათან ვუბრუნდები ცხოვრებას...“

„...შევყურებ ყვავილებს, ღრუბლებს...“

„...ომი გათავდა, მე კი, მგონია, არც ვიცოდდი, რომ ომი იყო...“

„...თქვენ ძალიან კეთილი ხართ! და ალბათ ძალიან ჭკვიანიც, თუმცა თეთრ კატას ჰგავხართ, ისე კი, არ გეტყობათ იმ სურათზე, დოქტორმა გრეგორიმ რომ მომცა...“

„...დღეს ციურიხში ვიყავი, რა უცნაურია ისევ ქალაქში სიარული...“

„...დღეს ბერნში წავედით, ძალიან მომეწონა, რომ ყველგან საათები...“

„...დღეს კარგა მალა ავედით მთაზე და ასფოდელები და ედელვაისებიც კი დავკრიფეთ...“

მერე და მერე იშვიათად მოდიოდა წერილები, მაგრამ დიკი, როგორც წესი, ყველა წერილზე უგზავნიდა პასუხს. ერთ წერილში ნიკოლი სწერდა:

„ნეტავი ვინმეს შევუყვარდე, ისე, დიდი ხნის წინათ რომ შევუყვარდებოდი ხოლმე ბიჭებს, სანამ ავად გავხდებოდი, მაგრამ, ასეთ რამეზე, ალბათ წლები გავა და ვერც ვიოცნებებ“.

მაგრამ დიკი თუ რაიმე მიზეზით პასუხს დააყოვნებდა, მაშინვე, შეყვარებულის ციებ-ცხელებასავით, ნიაღვარივით მოასკდებოდა მღელვარება: „იქნებ თავი მოგაბეზრეთ... ალბათ არ შეიძლება ასე ჩაცემა... მთელი ღამე იმაზე ვფიქრობდი, ვაითუ ავად გახდა-მეთქი“.

დიკს მართლაც გრიპი შეეყოფოდა, რის მერეც კარგა ხანს იყო მოთენთილი და გულგრილი თითქმის ყველაფრისადმი. მერე კი ნიკოლის შორეულ სახეს შტაბის ტელეფონისტი ქალიშვილი გადაეფარა, უისკონსინიდან რომ ჩამოვიდა ბარსიურ-ობში და სარეკლამო პლანეტის ქალიშვილებივით წითელი ტუჩები ჰქონდა, ოფიცრების სასაუბრეში მას ორაზროვანი სახელი, „კომპუტატორი“ შეარქვეს.

ფრანცი თავის ვაბინეტში დაბრუნდა, ეტყობოდა კმაყოფილი იყო. დიკმა კვლავ გაიფიქრა, შესანიშნავი კლინიცისტი დადგებოდაო. ხან რიხით, ხანაც წყნარად, ფერებით რომ დაარიგებდა ხოლმე პაციენტებსა თუ მომვლელებს, ფრანცს ეს ზრუნვითა და გულით კი არა, უფრო უზომო, თუმცა უწყინარი პატივმოყვარეობით მოსდიოდა. თავის ჭეშმარიტ ემოციებს ლაგამსა სდებდა და ეგრე იოლად არ ავლენდა.

„იმ ამერიკელ ქალიშვილზე ვილაპარაკოთ, დიკ“, თქვა მან. „თქვენზეც და ჩემზეც, რა თქმა უნდა, მაგრამ ეს მერე იყოს, ახლა ქალიშვილს მივუბრუნდეთ. კარგა ხანია შემთხვევას ველი და ვილაპარაკოთ“.

ერთ ქაღალდებით სავსე ყუთში რაღაცა მოიძია, დასტად ამოიღო ქაღალდები, გადახედა, მერე მაგიდაზე დააწყო და ისე, რომ აღარსად ჩაუხედავს, მოყოლა დაიწყო.

III

დაახლოებით წლინახევრის წინათ დოქტორმა დომლერმა საკმაოდ ბუნდოვანი წერილი მიიღო ლოზანაში მცხოვრები ერთი ამერიკელი ჯენტლმენისაგან, ვინმე მისტერ დევრე უო-

რენისაგან — ჩიკაგოელი უორენებიდან. მიწერ-მოწერის მერე დათქმულ დღეს მისტერ უორენი თავის თექვსმეტი წლის ქალიშვილთან ერთად მოვიდა კლინიკაში. ქალიშვილს ნიკოლი ერქვა, აშკარად ემჩნეოდა, კარგად არ იყო და სანამ მისტერ უორენი და დოქტორი ლაპარაკობდნენ, თანმხლებმა მოწყალეების დამ ხეივანში გაიყვანა.

მისტერ უორენი, მეტად ლამაზი მამაკაცი, ორმოცი წლისაც არ იქნებოდა. შესანიშნავი აღნაგობის, ზუსტად ამერიკელის ტიპი, მაღალი, მხარბეჭიანი, წარმოსადეგი, მეტად ეფექტური მამაკაცი, როგორც მერე უთხრა დოქტორმა დომლერმა ფრანცს. ჟენევის ტბაზე მზიან დღეებში ნიჩბოსნობისგან დიდი ნაცრისფერი თვალები დაძარღვოდა. ყველაფერზე ეტყობოდა, ამქვეყნიურ სიამეთაგან არაფერს იკლებდა. საუბარი გერმანულად წარიმართა, როგორც გამოირკვა, სწავლა გეტინგენში მიეღო. აშკარად ღელავდა და უჭირდა იმაზე ლაპარაკი, რაც აწუხებდა.

„დოქტორო დომლერ, ჩემი ქალიშვილი არ არის კარგად, გონება არეული აქვს, ბევრ სპეციალისტს გავასინჯე, მოწყალეების დაც ავუყვანე, გვირჩიეს სიმშვიდე და დასვენება და ამ გზითაც უმკურნალეს, მაგრამ არაფერმა უშველა. დაჟინებით მირჩიეს თქვენთვის მომემართა“.

„ძალიან კარგი“, თქვა დოქტორმა. „ახლა კი, გთხოვთ ყველაფერი მიაბზოთ, თავიდან ბოლომდე“.

„არ ვიცი რით დაიწყო, რამდენადაც ვიცი, არც ჩემსა და არც ჩემი ცოლის გვარში სულით ავადმყოფი არავინ ყოფილა. თორმეტი წლის ნიკოლი უდედოდ დარჩა, გუვერნანტების ამარა, და შეიძლება ითქვას, რომ მე ვიყავი მისთვის ორივე, მამაც და დედაც — მამაც და დედაც, ორთავე“.

ამის თქმაზე ძალიან აღელდა, თვალებზე ცრემლები მოადგა და დოქტორმა დომლერმა ახალა შეამჩნია, ვისკი დაეღია.

„შესანიშნავი ბავშვი იყო — ყველა გიჟდებოდა მასზე; ჭკვიანი, ლალი და მხიარული, უყვარდა კითხვა, ხატვა, ცეკვა, როიალზე დაკვრა; მახსოვს, ცოლი მეუბნებოდა ხოლმე, ჩვენი შვილებიდან მხოლოდ ნიკოლი არ ტირისო ღამით. მე უფროსი ქალიშვილიც მყავს, ვაჟიშვილიც მყავდა, პატარა

მოგვიკვდა, მაგრამ ნიკოლი — ნიკოლი ყოველთვის — ყოველ-
თვის...”

სიტყვა გაუწყდა და დოქტორი დომლერი მიეშველა:

„ყოველთვის სავსებით ნორმალური, ჯანმრთელი და ხა-
ლისიანი ბავშვი იყო“.

„ღიას, ღიას, სავსებით“.

დოქტორი დომლერი იცდიდა. მისტერ უორენმა თავი გა-
დააქნია, ღრმად ამოიოხრა, დოქტორ დომლერს ცერად გახე-
და და ისევ იატაკს ჩააშტერდა.

„რვა თვის წინათ, ან შეიძლება ექვსი თვის, თუ ათი თვის
წინათ — არ მახსენდება სად ვიყავით, მაშინ სადა ვცხოვრობ-
დით, როცა ეს დაემართა — რაღაც უაზროდ, ახირებულად იქ-
ცეოდა — ჩემმა უფროსმა ქალიშვილმა შეამჩნია და მითხრა,
მე ვერაფერს ვატყობდი, ჩემთვის ისევ ის ნიკოლი იყო“, საჩ-
ქაროდ დაუმატა, თითქოს ვიღაცამ ამას რაღაცა დააბრალა.
„ისეთივე საყვარელი, პატარა გოგო. პირველად იმ ლაქიას
ამბით დაიწყო“.

„აჰა, ღიას“. თქვა დოქტორმა დომლერმა და შეჭალარავე-
ბული თავი დარბაისლურად, ისე დაუქნია, თითქოს უკვე იცო-
და, შერლოკ ჰოლმზივით, რომ ადრე თუ გვიან ლაქია უნდა
ეხსენებინათ, ზუსტად ლაქია და არა სხვა ვინმე.

„ერთი ლაქია მყავდა, წლების მანძილზე იყო ჩვენთან,
შვეიცარიელი, სხვათა შორის“. თავი ასწია და შეხედა დოქ-
ტორ დომლერს, გეგონება პატრიოტული აღტაცების გამოვ-
ლენას ელისო მისგან. „და ნიკოლს მოეჩვენა, რომ ის ლაქია
დასდევდა. ახლა ეჭვიც არ მეპარება, რომ ეს ნონსენსია, მაგ-
რამ მაშინ დავიჯერე და დავითხოვე“.

„კერძოდ, რას აბრალებდა მას თქვენი ქალიშვილი?“

„საქმეც ის არის რომ ექიმებმა ვერაფერი ათქმევინეს.
ისე შეაცქერდებოდა ხოლმე, თითქოს ისედაც უნდა მიხვედ-
რილიყვნენ. ხმას არ იღებდა. მაგრამ ცხადი იყო, საქმე ეხე-
ბოდა რაღაც უხამს ცდას ნიკოლის მიმართ. ეს აშკარა იყო“.

„გასაგებია“.

„მე წამიკითხავს მარტოხელა ქალების ხანდახან აკვიატე-
ბულ აზრებზე, თითქოს საწოლის ქვეშ, ან კარს უკან კაცი
იმალება და ბევრი ამისთანა. მაგრამ, ნიკოლს რად უნდა და-

მართლდა ეს? თაყვანისმცემელი ბევრი ჰყავდა, ოღონდაც თვითონ სდომებოდა და ვინ არ შეიყვარებდა. მაშინ ვილაში ვცხოვრობდით, ლეიკ ფორისტში — საზაფხულო აგარაკია ჩიკაგოსთან, მთელი დღეები ბიჭებთან გოლფსა თუ ჩოგბურთს თამაშობდა. ბევრი მათგანი ლამის ჰკუყას კარგავდა ნიკოლისთვის“.

უორენი ლაპარაკობდა, ხმელ-ხმელი, ხანდაზმული დოქტორი დომლერი კი ფიქრში ხანდახან ჩიკაგოს იხსენებდა. ერთ დროს, ახალგაზრდობაში იქ გადასვლა შესთავაზეს, შეეძლო წასულიყო, ჩიკაგოს უნივერსიტეტის სამეცნიერო საზოგადოების წევრი და დოცენტი იქნებოდა და თუ დათანხმდებოდა, იქნება მდიდარი კაციც გამხდარიყო, თავისი კლინიკის პატრონი. აქ კი წილშია სხვებთან, აქციების რაღაცა პაკეტი თუ აქვს. ვერ გაბედა, იქაური ველები რომ წარმოიდგინა, გადაშლილი პურის ყანები და ის უკიდევანო პრერიები, გაიფიქრა, რომ თავისი ცოდნა არ ეყოფოდა, ვერ გასწვდებოდა იმხელა სივრცეს და უარი თქვა. მაგრამ მაშინ ბევრი რამ წაიკითხა ჩიკაგოზე, არმორების, პალმერების, ფილდების, კრეინების, უორენების, სუიტების, მაკკორმიკების და ბევრ სხვათა ძლიერ და გავლენიან გვარებზე. იმის მერე ჩიკაგოდან და ნიუ-იორკიდან ბევრი პაციენტი ჰყოლია იმათ ფენიდან.

„თანდათან უარესად ხდებოდა“. განაგრძობდა უორენი. „შეტევები დაეწყო და რაღას არ იძახდა — მხოლოდ შეშლილი, შეშლილი თუ იტყოდა იმას... უფროსმა დამ სცადა ზოგი რამ ჩაეწერა. ნახეთ“ — დომლერს რამდენჯერმე გადაკეცილი ფურცელი გაუწოდა. „ბევრი რამ კაცებზეა, თითქოს დასდევდნენ, არ ასვენებდნენ, ზოგი უცნობი, ზოგი ისეთი, ვისაც კარგად იცნობდა, ქუჩაში გამვლელები — ყველა...“

კიდევ დიდხანს ლაპარაკობდა თავიანთ დარდსა და მწუხარებაზე, ყველაფერზე, რაც გადახდათ, იმაზე, თუ რა საშინელებაა ასეთი უბედურების დატრიალება ოჯახში, იმაზე რომ მკურნალობამ ამერიკაში უნაყოფოდ ჩაიარა და ბოლოს იმაზე, რომ იმ იმედით, მდგომარეობა შეიცვლებოდა, არ შეუშინდა წყალქვეშა ბლოკადას და ქალიშვილი შვეიცარიაში ჩამოიყვანა.

„— შტატების კრეისერით“, ცოტა ქედმაღლურად დაა-

ზუსტა. „ბედნიერი შემთხვევის წყალობით შევძელი ამის მოხერხება. შეიძლება ისიც დავუმატო, რომ“, თითქოს თავი იმართლებსო, ისე გაიღიმა, „როგორც იტყვიან, რა სათქმელია, ფული არის და...“

„ცხადია“. მშრალად შენიშნა დოქტორმა დომლერმა, კარგად ვერ გაეგო, რად ან რას ატყუებდა ეს კაცი. ან, თუ ატყუოდა, მაშინ რა ხდებოდა, მთელი ოთახი რად ივსებოდა სიყალბით მისი საუბრისა, იმის ფიგურით — ტვიდის კოსტიუმით სპორტსმენივით დაუდევრად რომ მიწოლილიყო სავარძელში? გარეთ, თებერვლის დღის ბურუსში ტრაგედიკური ტრიალეზს, პაწაწინა ჩიტს ფრთები მოსტეხია, აქ კი რაღაც ისე არ არის, სხვა ამბავია.

„ახლა თქვენს ქალიშვილს მინდა ველაპარაკო — ცოტახნით, სულ რამდენიმე წუთს“, თქვა დოქტორმა დომლერმა დინგლისურ ენაზე განაგრძო საუბარი, თითქოს ეს უფრო მიაახლოებდა უორენთან.

მერე, როცა უორენმა ქალიშვილი კლინიკაში დატოვა და თვითონ ისევ ლოზანას დაბრუნდა, დოქტორმა დომლერმა დაფრანცმა ნიკოლის ავადმყოფობის ისტორიაში ჩაწერეს: „დიაგნოზი: შიზოფრენია. მწვავე სტადია, მდგომარეობა თანდათან უარესდება. დაავადების სიმპტომია მამაკაცების შიში, რაც ორგანული არ არის... პროგნოზი ჯერ გაურკვეველია“.

და შეუწელებელი ინტერესით ელოდნენ დაპირებისამებრ როდის ჩამოვიდოდა მისტერ უორენი კლინიკაში.

მისტერ უორენი აგვიანებდა, კიდევ ორი კვირის მერე დოქტორმა დომლერმა წერილი მისწერა და რაკი პასუხი არ მიიღო, დაუშვა ისეთი რამ, რაც იმ დროისთვის სიგიჟედ ჩაითვლებოდა — ვევეს „გრანდ ოტელთან“ ტელეფონით ლაპარაკი შეუკვეთა. მისტერ უორენის კამერდინერმა უპასუხა, მისტერ უორენი დღეს მიემგზავრება ამერიკაში და ემზადებაო. მაგრამ იმის გაფიქრებაზე, კლინიკის ხარჯების სპეციალურ დავთარში ამ ლაპარაკისთვის ორმოცი შვეიცარიული ფრანკი ჩაიწერებაო, დოქტორ დომლერს ტიულრელი გვარდიელის სისხლმა უყვილა და მისტერ უორენი აიძულა ტელეფონთან მოსულიყო.

„საჭიროა თქვენი ჩამოსვლა — უდავოდ. თქვენი ქალი“

შვილის ჯანმრთელობა ამაზე ჰკიდია. ვერავითარ პასუხისმგებლობას მე ვერ ვიკისრებ“.

„მაგრამ დოქტორო, თქვენთან რისთვისღა მოვიყვანე, მე სასწრაფოდ გამომიძახეს შტატებში!“

დოქტორი დომლერი მიჩვეული არ იყო ასეთ შორ მანძილზე ლაპარაკს, მაგრამ მაინც შეძლო ისე ურყევად წაეყენებინა თავისი ულტიმატუმი ტელეფონში, რომ შეშინებულმა ამერიკელმა ხაზს იქით ვერ გაუძლო და დათმო. ციურიხის კლინიკაში მეორედ ჩამოსული უორენი ოცდაათი წუთის მერე დანებდა. მოხდენილ პიჯაკქვეშ ძლიერი მხრები უთრთოდა ყრუ ქვითინისგან, თვალები ჟენევის ტბაზე ჩამავალ მზეზე მეტად შეუწითლდა და ფრანცმა და დომლერმა შემზარავი ამბავი მოისმინეს.

„თვითონაც არ ვიცი, რანაირად მოხდა“, ჩახლეჩილი ხმით ლაპარაკობდა. „თვითონაც არ ვიცი, არ ვიცი — ჯერ კიდევ ბავშვი იყო, დედა რომ მოუკვდა და დილაობით ჩემთან იწვა ხოლმე, ზოგჯერ ჩაეძინებოდა კიდევაც, ძალიან მენანებოდა საბრალო პატარა. მერე ერთად ვმოგზაურობდით, ავტომობილითა და მატარებლით, დავდიოდით ხელიხელჩაკიდებული და რაღაცას მიმღეროდა ხოლმე. ზოგჯერ ერთმანეთს ვეტყოდით: „მოდე დღეს არავის შევხედოთ, ეს დილა მხოლოდ ჩვენი იყოს — შენ და მე, სხვა მეტი არავინ გვინდა“. მწარე სიცილი გაერია ხმაში, „ხალხი, ჩვენი შემხედვარე, ტიროდა თითქმის, ნახეთ, რა შესანიშნავი მამა-შვილიაო. შეყვარებულებსა ვგავდით და — ერთხელაც მართლა გავხდით შეყვარებულები — ათი წუთის მერე მზად ვიყავი ტყვია დამეხალა, მაგრამ, ეტყობა, ჩემნაირ წყეულსა და გადაგვარებულს არ შესწევს ამის ძალა“.

„მერე?“ იკითხა დოქტორმა დომლერმა და ისევ ჩიკაგოს დაუბრუნდა ფიქრით, ის წყნარი, ფერწასული ჯენტლმენი გაახსენდა, პენსნეთი, ისე ყურადღებით რომ აცქერდებოდა მას ამ ოცდაათი წლის წინათ, ციურიხში. „გაგრძელდა ეგ ამბავი?“

„ო, არა, არა! მაშინვე თითქოს ყინულად იქცა, მხოლოდ ამას ამბობდა, „არაფერია, მამიკო, არაფერია, ნუ ჯავრობ, არაფერია“.

„შედეგმა ხომ არ იჩინა თავი?“

„არა“. ერთხელაც აქვითინდა, რამდენჯერმე მოიხოცა ცხვირი. „თუ იმას არ ჩავთვლით, რომ აქ არის ახლა“.

დოქტორმა დომლერმა ბოლომდე მოისმინა, ბურჟუაზიული ინტერიერის ტრადიციულ ღრმა სავარძლის ზურგს მიეყრდნო და თავისთვის ლამის იღრიალა: „ხეპრე!“ ამ ოცი წლის მანძილზე იშვიათად რომ ასეთი არამეცნიერული დასკვნის გამოტანის უფლება მიეცა თავისი თავისთვის. მერე ეს უთხრა:

„მინდა ციურბში, ოტელში გაათიოთ ღამე, დილით კი ავ მოხვიდეთ და მნახოთ“.

„მერე?“

დოქტორმა დომლერმა ისე გაშალა ხელები, გოჭი ჩაეტეოდა შიგ.

„ჩიკაგო“, ვარაუდით თქვა.

IV

„ამის მერე უკვე გასაგები იყო რა შემთხვევასთანაც გვექონდა საქმე“, თქვა ფრანცმა. „დომლერმა უორენს უთხრა, რომ დიდი ხნით უნდა დაშორებოდა ქალიშვილს, სულ ცოტა ხუთი წლით მაინც, და მხოლოდ ამ პირობით ავიყვანდით. პირველი მარცხისა და დათმობის მერე, უორენს, ეტყობოდა ყველაზე მეტად ის აწუხებდა, რომ ამერიკამდე არ ჩაეღწია ამ ამბავს. მკურნალობა დავადგინეთ და დაველოდეთ. პროგნოზი ცუდი იყო — თავადაც იცით, მორჩენის პროცენტი ამ ასაკში ძალიან დაბალია“.

„პირველი წერილები უიმედო იყო“, დაეთანხმა დიკი.

„თანაც მეტად ნიშანდობლივი, ვყოყმანობდი კიდევაც პირველი წერილის გამოგზავნაზე, მაგრამ მერე ვიფიქრე, იცოდეს-მეთქი დიკმა, რომ აქ საქმეს ვაკეთებთ. ამ წერილებზე გამოხმაურება დიდსულოვნება იყო მართლა“.

დიკმა ამოიოხრა.

„ისეთი კარგი სახე აქვს — რამდენიმე სნეპშოტი¹ გამომიგზავნა, ისედაც, ერთ თვეს მაინც უსაქმოდ ვიყავი ბარ-

1 მომენტური, სახელდახლოდ გადაღებული ფოტოსურათი (ინგლ.).

სიურ-ობში. თანაც ბევრს არაფერს ვწერდი, მხოლოდ ამას
თუ: „ჭკვიანად იყავით და ექიმებს გაუგონეთ“.

„ესეც კმაროდა — ვილაცა ჰყავდა კლინიკის გარეთ, ვი-
ლაც, ვისზეც ფიქრი შეეძლო. მანამდე — არავინ, მხოლოდ
უფროსი და, ვისთანაც, ეტყობა, მაინცდამაინც ღურად ვერ
არის. გარდა ამისა, მისი წერილების კითხვა გვეხმარებოდა —
იმათში მთელი პროცესი და მდგომარეობა ვლინდებოდა“.

„კარგია“.

„ხედავთ რა მოხდა? თავი თანამზრახველად მიიჩნია, მაგ-
რამ ეს არც აქეთ და არც იქით, ისე არსებითი არ არის, მხო-
ლოდ ფსიქიკის თანდაყოლილი სიმყარისა და ხასიათის ძალის
გასარკვევად თუ გამოგვადგება. ჯერ — ეს შოკი. მერე პან-
სიონში მიაბარეს და იქ, ტოლსწორების საუბრების გავლენით
თანამოზიარის აზრი მოიშორა, ეს — აშკარა თავდაცვის გამო.
აქედან კი ძნელი არ იყო ჩასრიალება ილუზიების სამყაროში,
სადაც ყველა მამაკაცი ბოროტია და რაც უფრო მეტად გიყ-
ვარს და რაც უფრო მეტად მიენდობი, მით უფრო ვერაგები
არიან...“

„როდისმე თუ ულაპარაკია იმ საშინელებაზე, რაც დაე-
მართა?“

„არა, ისე კი, კაცმა რომ თქვას, დაახლოებით ოქტომბერ-
ში, თითქოს ნორმალურობას რომ დაუბრუნდა, — გაგვიჭირ-
და. ოცდაათი წლის რომ ყოფილიყო, შეიძლებოდა დავ-
ლოდებოდით, რომ თვითონვე შეძლებდა საბოლოოდ მომ-
ჯობინებას, მაგრამ, რაკი ასეთი ნორჩი იყო, გვეშინოდა,
გულმრუდე არ დარჩენილიყო. ასე რომ, დოქტორმა დომ-
ლერმა გულახდილად უთხრა: „ახლა ყველაფერი თქვენზეა,
არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაუშვათ, რომ ცხოვრება
თქვენთვის დამთავრდა — პირიქით, მხოლოდ ახლა იწყება“.
და ასე შემდეგ და ამგვარად. გონება უჭრის და დოქტორმა
ფროიდიც კი მისცა წასაკითხად — რალაცა, მაინცდამაინც
ბევრი არა, და დაინტერესდა. ერთი სიტყვით, აქ ყველას ნე-
ბიერია და ყველა ეფერება. მაგრამ ბუნებით გულჩახვეუ-
ლია“. დაუმატა ფრანცმა და ცოტა შეყოყმანდა: „კარგი იქ-
ნებოდა გვცოდნოდა, ბოლოდროინდელ წერილებში, თვითონ

რომ აგზავნიდა ციურიხიდან — არის თუ არა რამე ისეთი, რაც მის გუნებასა და მომავალზე მიაწინებს“.

დიკი ჩაფიქრდა.

„არის და არც არის. შემძლია გაგანდოთ ეს წერილები, თუ გნებავთ. მათში იმედიც სჭვივის და სიცოცხლის წყურვილიც. საკმაოდ რომანტიკულიც კი. ხანდახან „წარსულზე“ ლაპარაკობს, მაგრამ ამ სიტყვას იმ ხალხივით ხმარობს, ციხეში რომ მჯდარა, როცა ვერ გაიგებ რაზეა ლაპარაკი, ჩადენილ დანაშაულზე, ციხეზე თუ მართლა წარსულზე. მაგრამ ბოლოს და ბოლოს, ვინა ვარ მე მისთვის? მანეკენი, ჩალის ფიტული“.

„ცხადია, მე მესმის თქვენი მდგომარეობა და ერთხელაც მინდა მადლობა გითხრათ. ამიტომაც მინდოდა მენახეთ მანამ, სანამდე შეხვდებოდით“.

დიკმა გაიცინა.

„გგონიათ, დამინახავს თუ არა, მაშინვე მომაფრინდება?“

„არა, ეგ არა. მე ძალიან გთხოვთ ფრთხილად იყოთ, თქვენ ქალებს მოსწონხართ, დიკ“.

„მაშინ, ღმერთმა დამიფაროს, მით უარესი! მხოლოდ ფრთხილად ვიყო კი არა, შევეცდები თავი კიდევაც შევაზიზღო. შეხვედრამდე ნიორს გავღეჭავ, გაუპარსავი მივალ და ნახავთ, ჩემი დანახვისას გაქცევა და დამალვა თუ არ მოუწოდეს“.

„არა, ნიორი არ გინდათ!“ სერიოზულად შეშფოთდა ფრანცი. ამით შეიძლება თქვენს კარიერას ავნოთ. თქვენ ალბათ ხუმრობთ“.

„— ერთი ფეხით კოჭლობაც შემძლია, თანაც, ამ გახსენებაზე, იქ, სადაც ახლა ვცხოვრობ, სააბაზანო არ არის“.

„რაღა თქმა უნდა, ხუმრობთ“. ფრანცმა შვება იგრძნო, ყოველ შემთხვევაში, ასეთი იერი მიიღო. „ახლა კი თქვენზე მიამბეთ, რას აპირებთ, რა გინდათ?“

„მხოლოდ ერთი რამ, ფრანც, ის, რომ კარგი ფსიქიატრი გავხდე, და მხოლოდ კარგი კი არა, შეიძლება ყველაზე დიდი ფსიქიატრიც იმათ შორის, ვინც კი ყოფილა“.

ფრანცმა გულიანად გაიცინა, მაგრამ ხედავდა, ამჯერად დიკი არ ხუმრობდა.

„დიდებულია — და მეტისმეტად ამერიკული“, თქვა მან. „ჩვენთან ეგ ეგრე იოლი არ არის“. წამოდგა და ბაღში გამავალ კართან მივიდა. „როცა აქ ვდგები, ციურის ვხედავ. აგერ, იქ, გროს-მიუნსტერის სამრეკლოა, პაპაჩემი მარხია იქ. ოდნავ მოშორებით, ხიდს იქით ჩემი წინაპრის, ლაფატერის საფლავია, არ უნდოდა, რომ ეკლესიაში დამარხულიყო. იქვე ახლო კიდევ ერთი წინაპრის, ჰაინრიხ პესტალოცის ქანდაკება და დოქტორ ალფრედ ეშერის ძეგლია. და ამას ყველაფერს მაღლიდან დაჰყურებს ცვინგლი. მთელი პანთეონი გმირებისა — ყოველთვის თვალწინ მიდგას“.

„გასაგებია, ფრანც“. დიკი წამოდგა. „წავიტრაბახე. ისე კი, ყველაფერი წინ არის; საფრანგეთში მყოფი ამერიკელების უმრავლესობას, ერთი სული აქვს, შინ როდის წავა, ჩემი კი — სხვა საქმეა, თუ უნივერსიტეტში ლექციებს დავესწრები, ოფიცრის ხელფასი მთელი წლით მენახება. როგორია ასეთი ჟესტი სახელმწიფოს მხრიდან — ჩანს იცის იმათი დაფასება, ვინც ქვეყანას სახელს შემატებს და გამოადგება. წლის ბოლოს ერთი თვით ჩავალ შტატებში მამაჩემის სანახავად. მერე კი ისევ აქ დავბრუნდები — ადგილი შემომთავაზეს“.

„სად?“

„თქვენს კონკურენტებთან — გისლერის კლინიკაში, ინტერლაკენში“.

„არ გირჩევთ“, უთხრა ფრანცმა. „ერთ წელიწადში მაგათ ათი ახალგაზრდა ექიმი მაინც გამოიცვალეს, თუ მეტი არა. გისლერი თვითონ არის დაავადებული მანიაკურ-დეპრესიული ფსიქოზით და კლინიკას მისი ცოლი განაგებს საყვარელთან ერთად — ეს ჩვენ შორის დარჩეს, რა თქმა უნდა“.

„ამერიკულ გეგმებზე აღარაფერს ფიქრობთ?“ სხვათა შორის ჰკითხა დიკმა. „გახსოვთ, ნიუ-იორკში წასვლას ვაპირებდით, რათა მე და თქვენ მილიარდერებისათვის ახალი ტექნიკით აღჭურვილი მოდერნიზებული კლინიკა დაგვეარსებინა?“

„ეგ სტუდენტური ბოდვა იყო“.

დიკმა ფრანცთან, ბაღის განაპირას ჩადგმულ კოტეჯში ისაუბრა, იმის ახალმოყვანილ ცოლსა და იმის პატარა ძაღლთან ერთად. ძაღლს რატომღაც დამწვარი რეზინის სუნი ასდიოდა.

გაუცნობიერებელი სევდა მოაწვა, არა, ეს არ იყო ხელმოკლეობისა და ყაირათიანობის ატმოსფეროს გამო, არც ფრანგ რევოლუციუსის, რომელიც სწორედ ასეთი უნდა ყოფილიყო, არამედ ფრანცის ჰორიზონტის მოულოდნელი შეზღუდვის გამო, რაც, ეტყობა, თვითონ მას სულაც არ აწუხებდა. დიკისთვის ასკეტიზმი სხვა რამე იყო — როგორც მიზნის მისაღწევი საშუალება, და სინათლის წყარო, წინსვლაში რომ შეეწევა კაცს; მემკვიდრეობით მიღებულ სამოსში ქვაწვიასავით ცხოვრების ჩატევა კი უაზრობად ეჩვენებოდა. შეზღუდული სივრცე, რომელშიც ფრანცი და მისი ცოლი ცხოვრობდნენ, ერთფეროვანს ხდიდა იმათ ყოფიერებას და მიმზიდველობას უკარგავდა, საინტერესოს არაფერს ჰპირდებოდა. ომის შემდგომმა თვეებმა საფრანგეთში, ამერიკულმა ხელგაშლილობამ და განცხრომამ გავლენა მოახდინა დიკზე, ოღონდ, ყველასგან განებივრებული — კაცებისა თუ ქალებისაგან, შესაძლოა ინტუიციით ხვდებოდა, რომ ასეთი რამ სერიოზულ კაცს მაინცდამაინც არ გამოადგებოდა, და ამან ჩამოიყვანა კვლავ დიდი შვეიცარიული საათის ზუსტად შუაგულში.

კეტე გრეგოროვიუსი მოხიბლა თავაზიანობითა და ქათინაურებით, მაგრამ ძლივს იკავებდა თავს, რომ არ შეემჩნია გაღიზიანება, რასაც ყვავილოვანი კომბოსტოს სუნით გაჟღენთილი ეს სახლი იწვევდა მასში, და ვერ იტანდა თავის თავს ამ უეცარი და აუხსნელი აწრიალების გამო.

„ღმერთო ჩემო, ბოლოს და ბოლოს მეც ისეთი ვარ, როგორიც სხვები?“ ფიქრობდა მერე, შუალამისას, გაღვიძებულზე, „ნუთუ მეც ისეთი ვარ, როგორიც სხვები?“

მეტად შეუფერებელი გრძნობები სოციალისტისთვის, მაგრამ სავსებით შესაფერისი იმათთვის, ვინც ერთ-ერთი ყველაზე საოცარი და უიშვიათესი პროფესია აირჩია ქვეყანაზე. ჭეშმარიტება კი ის გახლდათ, რომ რამდენიმე თვე იყო უკვე, დიკის ჭაბუკური მთლიანი ბუნება დაშლა-დაყოფას განიცდიდა, რის დროსაც წყდება ის საკითხი, ღირს თუ არა მოკვდე იმისთვის, რაც უკვე მეტად აღარა გჯერა. ციურიხის უძილო დამეების სიწყნარეში ქუჩის ფარნის შუქით განათებულ ვიდაცის სამზარეულოს გაჰყურებდა და უნდოდა კეთილი, გუ-

ლისხმიერი, გამბედავი და ჭკვიანი ყოფილიყო, რაც არც ისე იოლია. და ისიც უნდოდა, რომ ჰყვარებოდა ვინმეს, თუკი ეს ხელს არ შეუშლიდა.

V

მთავარი კორპუსის ვერანდაზე ღია კარებიდან კაშკაშა სინათლე იღვრებოდა, მაგრამ იაქთალებქვეშ მაინც ბნელოდა. წნული სავარძლების უცნაური ჩრდილები ქვემოთ, გლადიოლუსების კვლებისკენ იწელებოდნენ. მისს უორენის ფიგურა ჯერ ოთახიდან ოთახში გამავალ სხვების ფიგურებშუა გაკრთა და მერე, დიკი რომ შეამჩნია, მკაფიოდ აისვეტა კარებში, ოთახიდან გამოსულს სახეზე სინათლე შერჩა და თან გამოიყოლა. ისე მოდიოდა, თითქოს ცეკვაავდა, მთელ კვირას სიმღერის ხმა ჩაესმოდა, გადასარკული ცისა და შმაგად იღუმალი ზაფხულის ბინდის მღერა და როცა დიკი გამოჩნდა, ისე ხმამალა გაისმა იგი, ეს მღერა, რომ მოუნდა აპყოლოდა, შეეძლო შერწყმოდა.

„გამარჯობათ, კაპიტანო“, თქვა და თვალი ძლივს მოაშორა, თითქოს დიკის მზერაში ჰქონდა ახლართული თავისი მზერა. „გნებავთ, აქ დავსხდეთ?“ ჯერ ისევ იდგა, კიდევ უყურებდა. „დღეს ზაფხულივით თბილა“.

ვილაც შალშემოხვეული ქალი გამოჰყვა, ნიკოლმა წარუდგინა დიკს:

„სენიორა...“

ფრანცმა ბოდიში მოიხადა, საქმე მაქვსო და დიკმა სამი სკამი ახლო-ახლო დადგა.

„კარგი საღამოა“, თქვა სენიორამ.

„შესანიშნავი“, დაეთანხმა ნიკოლი და დიკს მიუბრუნდა. „დიდი ხნით ჩამოხვედით?“

„ციურიხს თუ გულისხმობთ — კარგა ხნით“.

„ნამდვილი გაზაფხულის პირველი საღამოა“, შენიშნა სენიორამ.

„სანამდე გასტანს?“

„ივლისამდე მაინც ასე იქნება“.

„მე კი ივნისში წავალ“.

„ივნისი შესანიშნავი თვეა ამ მხარეში“, უთხრა სენიორამ. „კარგს იზამთ, ივნისს თუ აქ გაატარებთ და ივლისში წახვალთ, როცა ძალიან დაცხება“.

„სად წახვალთ?“ დიკი შეეკითხა ნიკოლს.

„სადაც ბები, ჩემი და წამიყვანს, საცა მხიარულება იქნება, იქ მიხდა. მე ხომ ძალიან ბევრი დრო დავკარგე. მაგრამ ალბათ ფიქრობენ, რომ ჯერ უფრო წყნარ ადგილას ჯობია ჩემთვის წასვლა, ვთქვათ კომოში, რატომ არ შეიძლება თქვენც ამოხვიდეთ კომოში?“

„აჰ, კომო —“ დაიწყო სენიორამ.

შენობის შიგნით ზუპეს „მსუბუქი კავალერიის“ შესავალი დაუკრეს. ტრიო უკრავდა, მოისმა თუ არა ხმა, ნიკოლი წამოდგა; დიკმა შეხედა, ძალიან ახალგაზრდა იყო და ისეთი ლამაზი, რომ მღელვარებამოწოლილს ლამის სული შეუფუტბდა. ნიკოლმა გაიღიმა, ამაღელვებლად, ბავშვურად, — სამყაროს გზაარეული ახალგაზრდობა ჩანდა თითქოს იმის ღიმილში.

„ასეთი ხმაურიანი მუსიკის ხმებში ძნელია საუბარი, იქნებ— მოდი, გავიაროთ. ღამე მშვიდობისა, სენიორა“.

„ღამე მშვიდობის, ღამე მშვიდობის“.

ბილიკზე გადავიდნენ, ცოტა იქით ბილიკი უკვე ჩრდილში მოექცა. ნიკოლმა მკლავში მოჰკიდა ხელი.

„მე კარგი ფირფიტები მაქვს, ჩემმა დამ გამომიგზავნა ამერიკიდან“. თქვა მან. „როცა ისევ ჩამოხვალთ აქ, მოგასმენინებთ. ერთი კარგი ადგილი ვიცი, სადაც პატეფონის დადგმა შეიძლება და ვერავინ გაიგონებს“.

„სიამოვნებით“.

„ჰინდოსტანი“ იცით?“ ხარბად ჩაეკითხა. „მე მომწონს, ადრე არასოდეს მომისმენია. სხვებიცა მაქვს — „რალა დროს ჩვენი ბავშვობაა“ და „მიხარია, ჩემთვის ტირი“. ალბათ ბევრჯერ გიცეკვიათ ამ სიმღერების ჰანგზე პარიზში“.

„პარიზში არ ვყოფილვარ“.

დიკს სულ მისი კრემისფერი კაბისთვის უნდოდა ეცქირა, ხან ცისფერი, ხანაც ნაცრისფერი რომ დაჰკრავდა ბილიკზე სიარულისას, მისი საოცრად ღია ოქროსფერი თმისთვის;

როცა კი უნდა შეეხედა, ოდნავ იღიმებოდა, სახეზე ფარნის შუქი დაეცემოდა და ანგელოზივით უნათლებოდა, ყველაფრისთვის თითქოს მაღლიერი იყო დიკისა, თითქოს სადმე წაეყვანოს წვეულებაზე, და დიკს ახლა უფრო უძნელდებოდა გაერკვია, რანაირად მოქცეოდა მას, ის კი თანდათან ლაღდებოდა — რაც ქვეყანაზე სიხარულია, გეგონება იმისიაო, იმ სიხარულით ივსებოდა.

„ახლა თავისუფალი ვარ, აღარაფერი მბოჭავს, რასაც მინდა, იმას გავაკეთებ“. თქვა მან. „კიდევ ორი ფირფიტაცა მაქვს, აუცილებლად მოგასმენინებთ, ესენია: „როცა ნახირი ჩამოვა მთიდან“ და „მშვიდობით აღექსანდრ!“

მეორედ ჩამოსვლისას, ზუსტად ერთი კვირის მერე, ცოტა შეაგვიანდა; ნიკოლი უკვე ელოდებოდა ფრანცის სახლსა და მთავარი კორპუსის შუა გზაზე. შუბლზე გადაწეული თმა მხრებზე ეყარა და — თითქოს იმწუთას გამოუჩნდაო სახე, ან თითქოს ეს-ეს არის, მთვარიან ღამეს ტევრიდან მინდვრად გამოვიდაო. გამოუცნობი და იდუმალი რამ მოსცილდა; დიკს მოუნდა, რომ წარსული არა ჰქონოდა, რომ უეცრად გამოჩენილი ქალიშვილი ყოფილიყო და არა იმ სიბნელიდან მოსული; პატეფონი სადღაც ფარდულში ჩაედგა და იქით წაიყვანა. ერთ სხვა ფარდულს შემოუარეს, კლდის ძირში, დიდ ქვაზე ავიდნენ და იქ დასხდნენ. გარშემო, რამდენიმე მილის მოშორებით, ჩამუქებული ბორცვები ჩანდა.

ახლა ამერიკაში იყვნენ, ფრანციც კი, რომელიც დიკს მოუგერიებელ ლოტარიოდ თვლიდა, ვერ მიხვდებოდა, რომ ასე შორს წასულიყვნენ. წუხდნენ, ეძებდნენ, ერთმანეთის შესახვედრად მიიჩქაროდნენ პაემანზე ავტომობილით. ძვირფასო და თაფლზე უტკბესო: ღიმილს სტაცებდნენ ერთმანეთს და სადღაც ჰინდოსტანზე შეხვედრებს იხსენებდნენ; მერე ეტყობა წაიჩხუბნენ, იმიტომ, რომ აღარაფერი აღარ ესმოდათ, სულ ერთი გახდა, რაკი გათავდა სიყვარული, და ერთი მათგანი წავიდა ბოლოს, დაუტოვა წუხილი და დარდი მეორეს, სევდა იმაზე, რაც იყო მხოლოდ, აღარ იქნება.

მიმწყდარი ჰანგი, იმასთან ერთად, რაც ძველად იყო, წავიდა, გაქრა, ოღონდ, მაინც იმედიანი, საღამოს სიბნელეს შეერთო. სიმღერა თავდებოდა და სანამ ახალი დაიწყებოდა,

ჭრიჭინობელას ხმა ისმოდა. მერე ნიკოლმა პატეფონი გააჩერა და თვითონ დაიწყო. დიკს უმღერა.

მონეტა კიდით
დადე ძირს და წავა ტრიალით,
უყურე როგორ დაქანდება
ვერცხლის ციალით...

თითქოს არც სუნთქავდა, მხოლოდ ტუჩებს ამოძრავებდა სიმღერის სიტყვების სათქმელად.

დიკი უცებ წამოდგა.

„რა მოხდა? არ მოგეწონათ?“

„როგორ არა, მომწონს“.

„ეს კიდევ ჩვენმა მზარეულმა მასწავლა შინ“;

ახლა მიხვდა რა დაკარგა,
ჭკუა სად ჰქონდა,
რალა დროსია...

„მოგწონთ?“

გაუღიმა, ღიმილში ატევდა იმას, რასაც დიკის მიმართ გრძნობდა, უანგაროდ გაიღებდა მისთვის ყველაფერს ამ წუთიერი გამოძახილის, მცირე ხარკისთვის, ოღონდ თავისი გულის ცემასთან იმისი გულის ცემაც ეგრძნო. ბინდდებოდა და ბინდიდან და ტირიფებიდან ნელ-ნელა ეღებოდა და სხეულში ეღვრებოდა ნეტარება.

თვითონაც წამოდგა, წაიბოროძიკა, პატეფონს წამოჰკრა ფეხი და წამიერად დიკს მიეხალა, მის გაშლილ მხრებში ჩარგო თავი და უმაღვე ისევ განზე გადგა.

„ერთი ფირფიტაცა მაქვს“. თქვა, „ლეტი, ნახვამდის?“ ალბათ იცით“.

„დამიჯერეთ, გაიგეთ, ასეთი არაფერი ვიცი“.

და არც იცოდა, შეეძლო ისიც ეთქვა, რომ არც გაუგონია, გემოთიც არ გაუსინჯავს, სუნიც არ მოსვლია. ასეთი რამ მის ცხოვრებაში არ ყოფილა; მხოლოდ სახეალეწილი გოგოების ცხელი სუნთქვა მოფარებულ და შეხუთულ შესახვევებში. ნიუჰეივენელი ქალიშვილები 1914 წელს აკოცებდნენ კაცებს და ეტყოდნენ: „აბა, აბა!“ მკერდზე მუშტს მიადებდნენ, რომ კოცნის მერე უმაღ ხელი ეკრათ მათთვის, და ახლა, ეს კა-

ტასტროფას ძლივს გადარჩენილი მიუსაფარი მთელ უცნობ
სამყაროს უშლიდა წინ...

VI

უკვე მაისი იდგა, როცა ისევ შეხვდნენ ერთმანეთს. საუზ-
მე ციურიხში სიფრთხილის სკოლა იყო; დიკის ცხოვრების
ლოგიკით ნიკოლისთვის აშკარად არ რჩებოდა ადგილი და
დრო, მაგრამ როცა იქვე, ახლო მაგიდასთან მჯდომი ვილაც
მამაკაცი ნიკოლს დაჟინებით მიაცქერდა არეული თვალებით,
ნაპირზე უცებ ანთებული, ლოციაში აღუნუსხველი ცეცხ-
ლივით დიკმა ზრდილობიანად, მაგრამ ისეთი მუქარით შეხე-
და, რომ კაცმა მაშინვე განზე გაიხედა.

„ვილაც მოცლილია“, სხვათა შორის აუხსნა ნიკოლს.
„თქვენს კაბას აცქერდებოდა დიდი ცნობისმოყვარეობით.
ამდენი კაბა რადა გაქვთ?“

„ჩემი და ამბობს, რომ ძალიან მდიდრები ვართ“, დამნა-
შავესავით უთხრა ნიკოლმა. „ბებიამ დაგვიტოვა ბევრი ფუ-
ლი“.

„შემინდვია“.

საკმაოდ უფროსი იყო ნიკოლზე იმისათვის, რომ მისი
უცოდველი ახალგაზრდული პატივმოყვარეობითა და თავდა-
ჯერებით გართულიყო, ნიკოლისა, აღტაცებით რომ იყურე-
ბოდა რესტორანის ვესტიბიულის სარკეში და არ ეშინოდა
იმისა, რაც მოუსყიდველ ამაღამას შეეძლო ეთქვა. დიკს მოს-
წონდა, რომ ახალ ოქტავებს აწვდენდა ხელს ნიკოლი და თან-
დათან ეჩვეოდა იმასაც, რომ ლამაზი და მდიდარი იყო. გულ-
წრფელად ცდილობდა მოეშორებინა იმისთვის ფიქრი, რომ
ეს მან, დიკმა შეკრა და ხელახლა გაამთელა დამსხვრეული
არსება — უნდოდა, ნიკოლს თავისით, უიმისოდ ერწმუნა სა-
ბოლოოდ ბედნიერებაცა და სიხარულიც; მაგრამ ეს ძნელი
იყო, რადგან ადრე თუ გვიან, ბოლოს მაინც, ამბროზიის
ძღვენივითა და საკმევი გუნდრუკივით, დიკს უფენდა ფეხქვეშ
ყველაფერს.

ზაფხულის პირველივე კვირებში დიკი უკვე მყარად დამ-
კვიდრდა ციურიხში. თავის ადრეულ თეზისებს თავი მოუყარა,

სამხედრო სამსახურში ყოფნისას დაგროვილი მასალებიც მიუმატა და ამით მიხედვით ამთავრებდა ახლა თავის „ფსიქოლოგიას ფსიქიატრთათვის“. გამომცემელიც თითქოს უკვე ჰყავდა, თანაც ერთ ღარიბ სტუდენტს მოელაპარაკა, რომ წაეკითხა და გერმანულ ენაში დაშვებული შეცდომებისთვის მიეხედა. ფრანცი ამ საქმეს სარისკოდ თვლიდა, ადრეაო, მაგრამ დიკმა შენიშნა, არჩეული თემა უპრეტენზიო, უბრალოაო.

„არასოდეს მეცოდინება ეს მასალა ისე კარგად, როგორც ახლა ვიცი“, დაჟინებით ამბობდა დიკი. „თუ აქამდე არსებითი და ძირითადი არ არის იგი, მჯერა, მხოლოდ იმის გამო, რომ თეორიულად არ გაშუქებულა. ჩვენი პროფესია, რატომღაც ერთგვარად გატეხილ და სულით გაბზარულ ხალხს იზიდავს. ჰოდა, ისინიც, კლინიკასა და „პრაქტიკაზე“ დაყრდნობით, „მთლიანდებიან“ და ამგვარად, უბრალოდ აღწევენ გამარჯვებას.

თქვენ სხვა ხართ, ფრანც, თქვენი პროფესიისთვის განგებამ ჯერ ვიდრე მანამდე გამოგარჩიათ, სანამ ამ ქვეყანაზე გაჩნდებოდით და ამას ღმერთს უნდა უმადლოდეთ. მე კი ფსიქიატრი მხოლოდ იმიტომ გავხდი, რომ ერთი ვინმე ქალიშვილი ოქსფორდში, წმ. ჰილდას კოლეჯში, ფსიქიატრიის ლექციებზე დადიოდა. ახლა კი — შესაძლოა ბანალურიც გეჩვენოთ ამის თქმა, მაგრამ არ მინდა, რომ ჩემი ახლანდელი იდეები რაღაც ათ კათხა ლუდს გავაყოლო“.

„თქვენ იცით“, მიუგო ფრანცმა. „თქვენ ამერიკელი ხართ. შეგიძლიათ ეს ისე გააკეთოთ, რომ ზიანი არ მიაყენოთ თქვენსავე თავს, როგორც ექიმს. მე პირადად ასეთი რამე მაინცდამაინც თითქოს გულზე არ მახატია. მერე პატარ-პატარა წიგნებსაც გამოუშვებთ სათაურით „აზრები არასპეციალისტებისათვის“, სადაც ყველაფერი ისე იქნება გამარტივებული, რომ ფიქრი აღარავის მოუნდება. მამაჩემი რომ ცოცხალი იყოს, არ შეგაქებდათ დიკ, თითქოს ვხედავ, შემოგხედავდათ, ხელსახოცს აიღებდა, დაკეცავდა ასე, დიდხანს ატრიალებდა ხელში ამ რგოლს, სწორედ ამას“ — ფრანცმა ღროისა და ხმარებისაგან ჩამუქებულ, მოყავისფრო, ზედ ტახისთავამოტვიფრულ რგოლზე მიუთითა — „და გაჯავრებით დაიწყებდა,

„მე ისეთი შთაბეჭდილება მრჩება...“ მაგრამ შემოგხედავდათ, და უცებ თავისთვის, ფიქრშიღა იტყოდა: „კაცმა რომ თქვას, რა აზრი აქვს, რისთვის —“ არ დაამთავრებდა სათქმელს, და ისევ ბუზლუნს მოჰყვებოდა და ასე გაგრძელდებოდა, სადილობის გათავებამდე“.

„დღეს მე ერთი ვარ“, გაცხარდა დიკი, „მაგრამ ხვალ, შეიძლება მარტო არ ვიყო, სხვებიც გამოჩნდნენ. მერე მე დავკეცავ ხელსახოცს მამათქვენივით და მოვყვები ბუზლუნს“.

ფრანცი გაჩერდა, ცოტა ხნის მერე ჰკითხა:

„პაციენტი როგორ არის?“

„არ ვიცი“.

„ვინ უნდა იცოდეს ახლა, თქვენ თუ არა?“

„მე მომწონს იგი, ლამაზია. მერე, როგორ გგონიათ, რა უნდა ვქნა — მთებში წავიყვანო, ედელვაისებში?“

„არა, მაგრამ ვიფიქრე, რაკი მეცნიერულ ტრაქტატებზე მუშაობთ, იქნებ რაიმე იღეა წამოჭრილიყო“.

„— მთელი სიცოცხლე მას შევწირო?“

ფრანცმა ცოლს გასძახა სამზარეულოში: „აჰ, დომერთო ჩემო! თუ შეიძლება მოუტანე დიკს ლუდი, კიდევ ერთი ჭიქა“.

„რაკი დომლერთან უნდა ვილაპარაკო, მეტს აღარ დავლევ“.

„ჩვენ ვფიქრობთ, რომ პირველ რიგში პროგრამა უნდა გვქონდეს. ერთ თვეზე მეტი გავიდა. ქალიშვილი ამკარად შეყვარებულია თქვენზე. სხვა გარემოში ეს ჩვენი საქმე არ იქნებოდა, მაგრამ აქ, კლინიკაში, ეს ჩვენც გვეხება“.

„ისე მოვიქცევი, როგორც დოქტორი დომლერი იტყვის“, დაეთანხმა დიკი.

მაგრამ მაინცდამაინც არ სჯეროდა, რომ დომლერი შეძლებდა გარკვეულიყო შექმნილ ვითარებაში, სადაც თვითონ დიკს ეთმობოდა დიდი ადგილი. თავისთავად მოხდა ასე და ახლა თითქოს ამის ხელთ იყო ისიც, რაც მერე მოხდებოდა. ამ ამბავმა ერთი ეპიზოდი გაახსენა ბავშვობიდან, ვერცხლეულის განჯინის გასაღები რომ დამალა შიფონერში, აიღო და დედის ცხვირსახოცების ქვეშ ამოდო; ყველა იმ გასაღებს ეძებდა, არაქათი გამოეცალათ, ეს კიდევ მთელ ამ ამბავს, ფილოსოფოსივით, გაუცხოებით უყურებდა. რაღაც ამდა-

გვარს გრძნობდა ახლა, როცა ფრანცთან ერთად პროფესორ დომლერის კაბინეტში შედიოდა.

პროფესორს ძველებური მყუდრო სახლის ვაზშემოხვეულ აივანსავით მშვენიერი ქილვაშებიანი სახე ჰქონდა და დიკმა შეხედვისთანავე დაყარა ფარ-ხმალი. დომლერზე უფრო ნიჭიერი ხალხიც შეხვედრია ცხოვრებაში, მაგრამ დომლერით შთაგონებული სახე არავის ჰქონია და მასზე უფრო ძლიერი გავლენაც არავის მოუხდენია დიკზე. ...ექვსი თვის მერეც, როცა დომლერი მიცვალებული ნახა, იგივე გაიფიქრა. აივანი დაცარიელებულიყო, ვაზივით ქილვაშები მაგარ, გახამებულ თეთრ საყელოზე ელაგა, თხელ, ფურცელივით ქუთუთოებქვეშ სამუდამოდ ჩაქრობოდა შეუპოვრობა და მრავალი ბრძოლის ანარეკლი.

„...დილა მშვიდობისა“, სამხედროსავით გაიმართა დიკი.

პროფესორმა დომლერმა მშვიდი ხელები ერთმანეთს გადააჭდო. ფრანცმა საქმიანად, თითქოსდა ადიუტანტივით, თითქოს მდივანივით წამოიწყო ლაპარაკი, მაგრამ უფროსმა აიტყვა შეაწყვეტინა.

„ჩვენ ერთგვარ შედეგს მივალწიეთ“, მშვიდად წარმოთქვა. „მაგრამ, დოქტორო დაივერ, თქვენზე ძალიან ახლა უკვე სხვა ვერავინ დაგვეხმარება“.

დიკს გზა მოუჭრეს და აღიარა:

„ჯერ მე თვითონაც კარგად არ მესმის ყველაფერი“.

„მე არ მეხება თქვენი პირადი დასკვნები“, თქვა დომლერმა. მაგრამ მე სწორედაც მეხება სხვა რამ — ამ „გადართვას“. არონიული მზერა ესროლა ფრანცს და ამანაც ისევე შეხედა დოქტორს, „ბოლო უნდა მოეღოს. მისს ნიკოლის მდგომარეობა ახლა უკეთესია, მაგრამ მაინც ვერ არის ისე კარგად, რომ მოერიოს, რასაც ტრაგედიად აღიქვამს თვითონ“.

ფრანცს რაღაც უნდოდა ეთქვა, დაიწყო კიდევაც, მაგრამ დოქტორმა დომლერმა ანიშნა, ჩუმად ყოფილიყო.

„მე მესმის, ძნელ დღეში ხართ“.

„დიახ, ასეა“.

პროფესორი უცებ უკან გადაიხარა და გადაიხარხარა. სიცილს ძლივს მორჩა, ნაცრისფერი, ბასრი პატარა თვალები უციმციმებდა:

„თქვენ თვითონაც ხომ არ გაებით, იქნებ თქვენც მოგწონთ?“

სხვა რა გზა ჰქონდა, უნდა ეპასუხა და თვითონაც გაიცინა დიკმა.

„ძალიან ლამაზი ქალიშვილია — ეს ცხადზე ცხადია, და ძნელია არ აღიარო, მაგრამ მე არ ვაპირებ...“

ფრანცმა ისევ სცადა ლაპარაკში ჩაბმა — დომლერმა ისევ შეაჩერა და პირდაპირ ჰკითხა დიკს.

„ხომ არ ფიქრობთ, რომ აქედან წასვლა ჯობია თქვენთვის?“

„წასვლა არ შემიძლია“.

დოქტორი დომლერი ფრანცს მიუბრუნდა: „მაშინ ისე უნდა მოვახერხოთ, რომ მისს უორენი წავიდეს“.

„როგორც საჭიროდ მიიჩნევთ, პროფესორო დომლერ“ დაეთანხმა დიკი. „ვითარება მართლაც რთულია“.

პროფესორი დომლერი წამოდგა — მძიმედ, ხეიბარევით.

„მაგრამ — ვითარება, რაც ექიმმა უნდა გაარკვიოს“. ხმა-მალლა, მაგრამ მშვიდად წამოიძახა მან.

ისევ ხვნეშით ჩაეშვა სავარძელში და დაელოდა, როდის გადაივლიდა ჭექა-ქუხილი, მთელი ოთახი რომ აავსო. დიკი ხედავდა, დომლერი უკიდურესად იყო დაძაბული, თავის თავისაც არ სჯეროდა, ბოლომდე თუ შეძლებდა ასე მშვიდად ყოფნას. ქუხილი მიწყდა და ფრანცმა როგორც იქნა, თქვა, რაც უნდოდა:

„დოქტორი დაივერი შესანიშნავი კაცია, მხოლოდ, საჭიროა სწორად შეაფასოს შექმნილი ვითარება და გამოსავალსაც იპოვის, ჩემი ღრმა რწმენით, დიკს შეუძლია ჩვენთან ითანამშრომლოს და მაშინ აქედან არავის წასვლა აღარ იქნება უკვე საჭირო“.

„თქვენ რას ფიქრობთ ამაზე?“ დიკს შეეკითხა პროფესორი დომლერი. ვითარება უფრო და უფრო საჩოთირო ხდებოდა ახლა. წედან, დომლერის სიტყვის მერე, სიჩუმე რომ ჩამოვარდა, დიკისთვის ცხადი გახდა, რომ გაურკვეველობა დიდხანს ვეღარ გაგრძელდებოდა, ადრე თუ გვიან, ბოლო უნდა მოღებოდა და უცებ, თითქოსდა დაახეთქა:

„მე მგონია, ლამის შეყვარებული ვარ, ისიც კი გავიფიქრე, იქნება ცოლად შევირთო-მეთქი“.

„რა? რა?“ აღმოხდა ფრანცს.

„მოიცათ“. შეაჩერა დომლერმა, მაგრამ ფრანცს მოცდა არ უნდოდა:

„როგორ, შეირთოს! და თითქმის მთელი სიცოცხლე შესწიროს იმას, რომ იყოს მისი ექიმიც, მომვლელიც, და რა ვიცი, კიდევ რა — არასოდეს, მე ძალიან კარგად ვიცი ეს ავადმყოფები. ოცი შემთხვევიდან ერთი თუ იკურნება საბოლოოდ. ჯობია სულაც აღარ ნახოთ, სულ არ შეხვდეთ და ეგ იქნება!“

„რას იტყვით?“ დიკს ჰკითხა დომლერმა.

„იმას, რომ ფრანცი, ცხადია, მართალია“.

VII

შუაღლე უკვე გადასული იყო, ვამათს რომ მორჩნენ და ბოლოს და ბოლოს შეთანხმდნენ, რომ დიკი ისევ ისეთი გულსხმიერი იქნებოდა და ამასობაში თანდათანობით დაშორდებოდა. როცა სამივე დოქტორი წამოდგა, დიკმა უნებურად სარკმელს შეხედა, წვიმა ცრიდა, იმ წვიმაში ნიკოლი იდგა სადღაც, იდგა და მას უცდიდა. გარეთ გავიდა, გზადაგზა ლაბადის ყველა დილი შეიკრა, შლაპა ჩამოიწია, ლამის შუბლზე ჩამოიფხატა და — სადარბაზოსთან ნიკოლს შეეჯახა.

„ერთი ახალი ადგილი ვიცი, დღეს იქ შეგვიძლია წავიდეთ“, თქვა მან. „იცით, ვიდრე ავად ვიყავი, შემეძლო მთელი საღამო სხვებთან ერთად ვმჯდარიყავი შინ და მაინც არაფერი მესმოდა, რაზე ან რას ლაპარაკობდნენ. ახლა კი, სულ მახსოვს, რომ გარშემო ავადმყოფები არიან და ეს... ეს...“

„მალე წახვალთ აქედან“.

„ჰო, მალე. ჩემი და ბეტი — თუმცა შინ ყველა ბების ეძახის — ჩამოვა ორი კვირის მერე და წამიყვანს სადმე. ერთხანს ერთად ვიქნებით, მერე კი ისევ აქ დავბრუნდები და ბოლო ერთ თვეს აქ გავატარებ“.

„თქვენი და თქვენზე უფროსია?“

„კი, ბევრად. ოცდაოთხი წლისაა, სულ ინგლისელსა ჰგავს,

ლონდონში ცხოვრობს, მამიდასთან. ინგლისელი საქმრო ჰყავდა, მაგრამ ომში მოუკლეს, მე ერთხელაც არ მინახავს“.

ნაწვიმარზე მზის ჩასვლას მღვრიე ფერი ედო და იმ ფონზე ნიკოლის სახე, სპილოსძვლისფერს ოქროსფერი რომ შერეოდა, დიკს როგორღაც სხვაგვარად ეჩვენა, ადრე, თითქოს არასოდეს ენახა ასეთი მაღალი ყვრიმალები, გამჭვირვალე კანი — ოლონდ ციებ-ცხელებით შეპყრობილისა კი არა — უფრო სიგრილესა და სიჯანსაღეს რომ გაგრძნობინებდათ, და იოლად მიგახვედრებდათ, მერეც როგორი იქნებოდა, იმ ჯიშისანი კვიცივით, უკვე სინიბად რომ წარმოიდგენ და იცი, — ცხოვრების უღიმღამო ეკრანზე იგი მხოლოდ და მხოლოდ ახალმოზარდის პროექცია კი არ იქნება, არამედ ცხენი გამძლე და ფეხმაგარი, ეს სახე ლამაზი იქნებოდა მერეც, შუახნისას და სიბერეშიც; ამას მისი წყობა და ნაკვთების მოხაზულობის მკაცრი სინატიფე მეტყველებდა.

„ასე რად მიყურებთ?“

„ახლა იმაზე ვფიქრობდი, რომ ალბათ ძალიან ბედნიერი იქნებით“.

ნიკოლი შეშფოთდა:

„რომ არა? თუმცა, იმაზე უარესი რაღა მოხდება, რაც უკვე იყო“.

შეშის ფარდულში შეიყვანა დიკი და იქ დაჯდა. ფეხი ფეხზე გადაედო, გოლფის ფეხსაცმელები ეცვა და ლაბადაში გახვეულიყო, ცივი, ნოტიო ჰაერისაგან ღაწვები ოდნავ შეჭფაკლოდა. თვითონაც შეხედა დიკს, დაბნეულად შეხედა, დიკი ბოძს მიყრდნობოდა და ახლაც, ასე მდგომს, ხეს მიყრდნობილს, ამაყი იერი ჰქონდა. სახეში შეხედა ნიკოლმა. სანდომიან სახეში, რომელსაც მქირდავი ღიმილი დიდხანს არ შერჩებოდა ხოლმე და ხუმრობის მერეც, მაშინვე ისევ სერიოზული, გულისხმიერი უხდებოდა. რაღაცა ჰქონდა ისეთი, რაც ეგრერიგად ეხამებოდა მისი კანის მოწითალო ირლანდიურ ელფერს, მაგრამ ამ მხრივ, ვაჟი-კაცისას მხრივ ნიკოლი ცოტათიც არ იცნობდა მას; და კიდევაც ეშინოდა რამეს ცოდნისა, თუმცა, ძირისძირობამდეც კი სურდა ჩასწვდენოდა; სხვა დიკი, თავდაჭერილი და თავაზიანი, გულისხმიერი გამოხედვით, ძოლად მისაწვდომი იყო მისთვის და ქალების უმრავლესო-

ბასავით, უკვე თავისად იგულა ასეთი დიკი, უფიქრე-
ლად.

„ეს კია, აქ ძალიან გავიწაფე ენებში“, თქვა ნიკოლმა. „ორ
ექიმთან ფრანგულად ვლაპარაკობდი, მედიცინის დებთან
გერმანულად, ერთ ავადმყოფთან და კიდევ ერთ-ორ მნე ქალ-
თან — იტალიურად, ერთ პაციენტთან საუბრებით კი ჩემი ეს-
პანური გავამდიდრე“.

„შესანიშნავია“.

† ცდილობდა მშვიდად, გააზრებულად ელაპარაკა, მაგრამ
არაფერი გამოდიოდა.

„...მუსიკაც. მე მხოლოდ რეგტიმი როდი მაინტერესებს,
იმედი მაქვს ასე არ ფიქრობთ ჩემზე. ყოველდღე ვმეცადი-
ნეობ, ბოლო თვეებში კი მუსიკის ისტორიის კურსიც მოვის-
მინე ციურიხში. ეს მაძლებინებდა — მუსიკა და ხატვა, ამით
გამყავდა დრო“. დაიხარა, ლანჩას ხეჭი მოაშორა. დიკს ახე-
და. „რა კარგი იქნებოდა, ახლა დამეხატეთ, ასეთი, ბოძთან
მდგარი“.

დიკს ნაღველი მოჰგვარა ამ ლაპარაკმა. ალბათ ფიქრობდა,
რომ ასე უფრო თავს აწონებდა დიკს.

„მშურს თქვენი. მგონია, ჩემი საქმის გარდა, აღარაფე-
რი მაინტერესებს“.

„მერე რა, მამაკაცისთვის ეს კარგიც არის“, სწრაფად
თქვა ნიკოლმა. „ქალი სხვა საქმეა, ქალს სჭირდება, რომ თავისი
აღზრდა გააღრმავოს, მერე იგი შვილებისთვის გამოად-
გება“.

„ალბათ ასეა“. მოჩვენებითი დაუდევრობით მიუგო დიკ-
მა.

ნიკოლი გაჩუმდა. დიკს ერჩივნა კი, ელაპარაკა, უფრო
იოლად შეძლებდა ასე იმ ნესტიანი საბურვლის „თამაშს“,
რასაც სუყველა ერიდება, მაგრამ ნიკოლი ჩუმად იჯდა.

„თქვენ უკვე სავსებით ჯანმრთელი ხართ, თქვა მან. „დაი-
ვიწყეთ წარსული, დაძაბულობას ერიდეთ ერთ წელიწადს
მაინც. დაბრუნდით ამერიკაში, შეიყვარეთ ვინმე და — იყა-
ვით ბედნიერი“.

„შეყვარება მე არ შემეძლება“, ხეჭმოცილებული ფეხ-
საცმლის წვერით იმ ჯირკს, ზედ რომ იჯდა, ხავსი მოაცალა.

„ძალიან კარგადაც შეგეძლება“, შეეპასუხა დიკი. „ახლა არა, ასე, ერთი ან ორი წლის მერე“. და შეუბრალებლად დაუმატა: „გათხოვდით, გექნებათ მშვენიერი ოჯახი და გეყოლებათ მშვენიერი ბავშვები. ის ფაქტი, რომ ამ ასაკში შეგეძლოთ აღგედგინათ თქვენი ფსიქიკა, თავისთავად ბევრს მეტყველებს. დამიჯერეთ, ქალიშვილო, თქვენ მაგრად იდგებით ფეხზე მაშინაც, როცა თქვენი ტოლ-მეგობრები დაღლილობისგან უკვე წაქცევას იქნებიან“.

უხმოდ გაუძლო, აიტანა ტკივილი, ბოლომდე მოისმინა მკაცრი შეგონება, ოღონდ თვალებში გამოუკრთა რაღაც საწყალობელი.

„მე ვიცი, რომ კარგა ხანს არ შეიძლება ჩემი გათხოვება“, წყნარად წარმოთქვა.

დიკს გული ჩასწყდა, აღარაფერი უთქვამს, მზერა მწვავე ჯეჯილისკენ გადაიტანა და თავს ძალა დაატანა, რომ ჩვეული სიმტკიცე დაებრუნებინა.

„ძალიან კარგად იქნებით, აქ ყველას სჯერა თქვენი. იცით, დოქტორი გრეგორი ისე ამაყობს თქვენით, რომ...“

„ვერ ვიტან დოქტორ გრეგორის“.

„არა, ასე არ ვარგა“.

ნიკოლის შექმნილი სამყარო დაინგრა, მაგრამ ეს მყიფე და გაუძლებადი სამყარო იყო, დიდი ხნით ვერ იარსებებდა, ოღონდ, ნებსით თუ უნებლიეთ, რაც აღელვებდა, სუყველაფერი ისევ ფეთქავდა იმ სამყაროში. ნუთუ მხოლოდ ერთი საათის წინ ელოდა სადარბაზოსთან და იმედი ქამარზე მიმაგრებული ყვავილივითა რთავდა მხოლოდ?“

...აბრეშუმის შარიშური — მისთვის, კაბავ, ღილო, ჩადექ ღილ-კილოში, ნარგიზებო, იშრიალეთ, შენ, ჰაერო, გამჭვირვალევე, საამურო, უძრავ იდექ.

„ჰო, კარგი იქნება ისევ გართობა და ისე ცხოვრება“, ლულულუდით ამბობდა.

წამით სასოწარკვეთილმა აზრმა გაუელვა, ეთქვა დიკისტვის, რა მდიდარი იყო და რა სახლებში ცხოვრობდა, აეხსნა, რომ იგი კაპიტალია და არცთუ მცირე კაპიტალი, წამით თითქოს თავისი პაპის, ცხენებით მოვაჭრე სიდ უორენის სული ჩაუდგა. მაგრამ ამდენი ფასეულობის ერთად თავმოყრის

ცოუნებას სძლია და ყველაფერი ისევ იმ თავიანთ ვიქტორია-
ნულ განჯინებში შეალაგა. თუმცა ახლა აღარაფერი დარჩე-
ნოდა ტკივილისა და სიცარიელის გარდა.

„წვიმამ თითქმის უკვე გადაიღო. დროა დავბრუნდე კლი-
ნიკაში“.

დიკი გვერდით მიჰყვებოდა, გრძნობდა ნიკოლის ნაღველ-
სა და უბედურებას და მის ლაწვებზე დადენილი წვიმის და-
ლევაცა სურდა.

„ახალი ფირფიტები მივიღე“, თქვა ნიკოლმა, „ერთი სუ-
ლი მაქვს, როდის დავუკრავ, თქვენ გაგიგიათ...“

იმ საღამოს, ვახშობის მერე ისეთ გუნებაზე იყო, ყველა-
ფერს ბოლოს მოვუღებო გაიფიქრა; ფრანცის მიბეგვაც კი უნ-
დოდა დიკს, რომ ამისთანა დღეში ჩააგდო. კარგა ხანს იცდი-
და ჰოლში. ვიღაც ბერეტთან მოჰკრა თვალი, მაგრამ ნიკო-
ლის ნაწვიმებ ბერეტს არ ჰგავდა, იმ თავის ქალას ედო, ამას
წინათ ოპერაცია რომ გაუკეთეს. ქვეშიდან ფიცხლად შემო-
ხედა დიკს, თვალები ჩააშტერა და ახლოს მივიდა:

„გამარჯობათ, ექიმო“.

„გამარჯობათ, მესიე“.

„კარგი ამინდია“.

„დიახ, მშვენიერი“.

„თქვენ ახლა აქ მუშაობთ?“

„არა, მხოლოდ ერთი დღით ჩამოვედი“.

„აი თურმე რა. მაშ, ნახვამდის მესიე“.

გახარებული, რომ ლაპარაკს კარგად გაართვა თავი, საბ-
რალო ბერეტთან მოსცილდა და თავის გზას გაუყვა. დიკი
ისევ იცდიდა. უცებ კიბეზე ჩამომავალი მომვლელი ქალი დაი-
ნახა, ამბავი მოქონდა მასთან.

„მისს უორენი ბოდიშს გიხდით, დოქტორო. ამ საღამოს
თავის ოთახში, ზევით ივანშემებს, ადრე სურს დაწვეს“.

ისე შეჰყურებდა დიკს, თითქოს ელოდა, მისს უორენის
ასეთ საქციელს შემაშფოთებელ სიმპტომად, პათოლოგიურად
ჩათვლისო.

„აჰ, გასაგებია. დიახ —“ გეგონება გულზე დაადგაო,

ძლივს მოითქვა სული. „იმედი მაქვს კარვად არის. გზად-
ლობთ“.

ფრანცს ბარათი დაუტოვა, ატყობინებდა, რომ ვახშმად
ვერ დარჩებოდა და ქალაქგარე ტრამვაის ვაგზლის გზას ფე-
ხით გაუყვა. წინ ლიანდაგები ბზინავდა, საბილეთო ავტომა-
ტების მინებში ბინდის მზე ცრიატდებოდა და უცებ, თით-
ქოს ეს ვაგზალიცა და კლინიკაც, ხან ცენტრისკენული და ხა-
ნაც ცენტრიდანული ძალებით დაირწა. შიშმა შეიპყრო და
როცა ფეხქვეშ ციურისის მყარი ქვაფენილი იგრძნო, გაუ-
ხარდა.

მეორე დღეს ელოდა, რომ რაღაცას გაიგებდა ნიკოლისგან,
მაგრამ არავინ შეხმაურებია. ცოტა არ იყოს შეშფოთდა,
ფრანცს დაურეკა კლინიკაში და ჰკითხა, როგორ არისო.

„საუზმეზე ჩამოვიდა ქვევით, გუშინაც და დღესაც“, უპა-
სუხა ფრანცმა, „ცოტა დაბნეული კი ჩანდა, ღრუბლებში იყო.
როგორ ჩაიარა თქვენმა შეხვედრამ?“

დიკმა იმ გუშინდელი ალბური ნაპრალის შემოვლა სცადა.

„არაფერი, გრილო-გრილოდ. ყოველ შემთხვევაში, მე ასე
ვფიქრობ. საკმაოდ ცივად მეჭირა თავი, მაგრამ მაინც ვერ
ვიტყვი, თითქოს ჩემდამი შეცვლოდა რამე, თუ მართლა ისე
ღრმია ეს გრძნობა, როგორცა ფიქრობთ.“

შესაძლოა პატივმოყვარეობა შეეღაზა იმის გამო, რომ
coup de grâce არ გახდა საჭირო.

„მომვლელთან მისი ლაპარაკის მიხედვით, მე ვფიქრობ,
ყველაფერს მიხვდა“.

„მით უკეთესი“.

„ალბათ ეს ყველაზე კარგი გამოსავალია, უარესი შეიძ-
ლებოდა მომხდარიყო“.

„ჰოდა, მით უკეთესი“.

„დიკ, ჩამოდით, მალე მნახეთ“.

VIII

მთელ კვირას დიკს უკმაყოფილების გრძნობა სტანჯავდა.
ამ ამბის იმთავითვე პათოლოგიურობამ და იძულებითმა ბო-
ლომ ლითონის მყირტე გემო დაუტოვა. ნიკოლს საძაგლად
მოექცნენ, ცუდად გამოიყენეს მისი გრძნობები — არადა, იქ-

ნებ თვითონაც შეიპყრო იმავე გრძნობამ? ესიზმრებოდა, კლინიკის ხეივანს მიჰყვებოდა, ბილიკზე მიდიოდა, ფარფლებიანი ჩალის შლაპით... უნდა დაეხსნას, ცოტა ხნით მაინც თავი უნდა დააღწიოს ამ სიზმრების ნეტარ ტყვეობას...

ერთხელაც ცხადად დაინახა: სწორედ იმ დროს, „პალას-ოტელის“ სადარბაზოს რომ ჩაუარა, საუცხოო „როლს-როისი“ მოგრიალდა. სულ ერთი ბეწო მოჩანდა ამოდენა, ასზე მეტი ცხენისძალიანი გიგანტური ავტომობილის შიგნით, გვერდით კიდევ ერთი ახალგაზრდა ქალი ეჯდა, თავისი და იქნებო, გაიფიქრა დიკმა. ნიკოლმა თვალი მოჰკრა და თითქოს შიშით აუთრთოლდა და გაეხსნა ბაგე. დიკმა შუბლზე ჩამოიწია შლაპა და არ შეჩერებულა, ისე გაიარა. მაგრამ იმ წამით იმის გარშემო გროს-მიუნსტერის ყველა ჭინკამ ერთი წივილითა და კივილით ფერხული დაუარა. შინ მისულმა გონს მოსვლა სცადა, თავიდან ბოლომდე გაიაზრა და ღრმად გააანალიზა ნიკოლის ავადმყოფობა, მთელი მისი მსვლელობა და ის დასკვნა გამოიტანა, რომ რეციდივი უთუოდ თავს იჩენდა, რადგან ცხოვრებასთან შეჯახება და სტრესები თავისას იზამდა და იმოქმედებდა. ერთი სიტყვით, მეტად დამაჯერებელი ჩანაწერი გამოვიდა, დამაჯერებელი ყველასთვის, გარდა ჩამწერისა.

ამ ჭიდილმა კი მხოლოდ ის გამოიღო, რომ ერთხელაც დარწმუნდა, თვითონაც რა ღრმად ჩაეთრია თავისსავე ემოციებს, და რაკილა ამაში დარწმუნდა, შხამსაწინააღმდეგო საშუალებების ძებნასაც შეუდგა და თავგამოდებითაც შეეცადა. ერთი ასეთი შხამსაწინააღმდეგო საშუალება ბარ-სიურობელი ტელეფონისტი ქალიშვილი აღმოჩნდა, იმხანად ევროპას რომ უვლიდა, ნიცადან კობლენცამდე მიმოდის და გამწარებით ცდილობდა დაებრუნებინა თაყვანისმცემლები, იმ თავისი ხალისიანი ცხოვრების ხანაში რომ ჰყოლოდა; მეორე ის იყო, რომ ბევრი ირბინა, რათა მოეხერხებინა ბილეთის შოვნა აგვისტოში სპეციალური რეისით შეერთებულ შტატებში მიმავალ გემზე; მესამე კიდევ ის, რომ დაძაბულად მუშაობდა წიგნის კორექტურაზე, წიგნისა, რომელიც გერმანულ ენაზე უნდა გამოსულიყო შემოდგომაზე და მთელ ფსიქიატრიულ სამყაროს ეხილა, ყველა ფსიქიატრს, ვინც კი გერმანულ ენაზე კითხულობდა.

მაგრამ დიკისთვის ეს წიგნი წარსულს ჩაბარდა; უკვე უნ-
დოდა თავდავიწყებით ემუშავა ახალ რამეზე და ოცნებობდა
ისეთ ადგილზე, სადაც საკმაო მასალის დაგროვება შეეძლე-
ბოდა.

მანამდე კი კიდევ ერთი წიგნის დაწერა იზრახა: „ნევრო-
ზებისა და ფსიქოზების თანმიმდევრული სისტემური კლასი-
ფიკაციის ცდა, დამყარებული ათას ხუთასი შემთხვევის შეს-
წავლის საფუძველზე ფსიქიატრიის პრაქტიკიდან, როგორც
კრეპელინამდე, ისე კრეპელინის მერეც, სხვადასხვა თანამედ-
როვე სკოლათა ტერმინოლოგიით დიაგნოზდასმული“. არც
ქვესათაური ჩამოუვარდებოდა — „წამოჭრილ საკითხზე აზრ-
თა სხვადასხვაობის ქრონოლოგიური მიმოხილვითურთ“.

მონუმენტური სათაური კი გამოვიდოდა გერმანულად.

მონტრეს გზას ნელა მიჰყვებოდა ველოსიპედით და შიგდა-
შიგ თვალგაშტერებით აცქერდებოდა იუგენჰორნის ყურეს.
სანაპიროზე ოტელების ხეივანებში ანარეკლი ატანდა ტბიდან
და ელვარება თვალსა სჭრიდა. დროდადრო ჯგუფებად ინგლი-
სელები შემოხვდებოდნენ, დეტექტივის პერსონაჟებივით დადი-
ოდნენ, აქ რაღაც ოთხი წლის წინათ იყვნენ და ისეთი შიშით
იყურებოდნენ ახლა გარშემო, გეგონება ამ საეჭვო ქვეყანაში
გერმანულ ყაიდაზე გაწვრთნილი ყაჩაღების თავდასხმას მოე-
ლიანო. მთელ გზაზე, მთიდან ჩამოწოლილი ზვავებით რომ ჩა-
ხერგილიყო, გაცხოველებით მუშაობდნენ, მიწასა და ქვა-
ლორღს იღებდნენ და ყრიდნენ იქიდან. ბერნსა და ლოზანაში,
გზის სამხრეთულ დაყოლებაზე, დიკს დროდადრო ხალისია-
ნად ეკითხებოდნენ, ამ წელს ამერიკელები ხომ არ ჩამოვლენ-
ნო. „იქნებ აგვისტოში მაინც, ივნისში თუ არა?“

ტყავის შორტები ეცვა, სამხედრო ხალათი და მთაში სა-
სიარულო ყელიანი ფეხსაცმელები. ზურგჩანთაში კოტონის
კოსტიუმი და ერთი-ორი წყვილი საცვალი ედო. გლიონის
ფუნუკულიორზე ველოსიპედი ჩააბარა და იქვე, ბუფეტში
ლუდის დასალევად შევიდა. ბუფეტის ტერასიდან მოჩანდა,
როგორ მიცოცავდა მუქი პატარა ხოჭო დაბლა, ოთხმოცგრა-
დუსიან დაქანებაზე. ერთი ყური დიკს შემხმარი სისხლით

ამოვსებოდა, ლა-ტურ-დე პელცის სამახსოვრო, სადაც, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ისე გაქანდა, აქაოდა, — გამიშვით კარგი ათლეტი ვარ, მერე რა რომ არა მცნობენო. ბუფეტში ლუდი მოითხოვა და ვიდრე ფუნუკულიორის პატარა ვაგონი თაღებ-ქვეშ მიცოცავდა, გარედან გაიწმინდა ყური. დაინახა, მისი ველოსიპედი რომ შეიტანეს ვაგონში, თავისი ზურგჩანთა იმ ვაგონის ცალ მხარეს მიაგდო და მერე თვითონაც შიგ შევიდა.

მთის გზებზე დახრილი ფორმის ვაგონებია, დახრილობის კუთხე იმ კაცის შლაპის ფარფლებივითაა, განგებ რომ ჩამოუწევია, ზრავინ მიცნოსო. დიკს ქვევითა ვაგონის ვამერიდან მოთქრიალე წყლის ხმაური ესმოდა და რა გონებამახვილურად, მოხერხებულად არისო, ფიქრობდა — ქვევითა იცლებოდა და ახლა ზევითა ვაგონის კამერა ივსებოდა წყლით, ეს ვაგონი სიმძიმის ძალით ძირს ეშვებოდა და ქვევითას ზევით ეწეოდა. ჰემმარიტად, კარგი გამოგონებეაო, დიკის მოპირდაპირედ ორი ინგლისელი იჯდა და ბაგირის ხარისხზე ბჭობდნენ.

„ინგლისში გაკეთებული ბაგირები ხუთ-ექვს წელს ძლებს. შარშანწინ შეკვეთა გერმანელებმა წაგვართვეს და როგორ ფიქრობთ, რამდენ ხანს გაძლო იმათმა ბაგირმა?“

„რამდენ ხანს?“

„ერთ წელიწადსა და ათ თვეს. მერე შვეიცარიელებმა იტალიელებს მიჰყიდეს. საქმე ის არის, რომ ბაგირის სიმაგრეს მიღებისას სათანადოდ ვერ ამოწმებენ.“

„ჰო, ბაგირს რომ არ გაეძლო, შვეიცარიას საქმე ცუდად წაუვიდოდა“.

კონდუქტორმა კარი დაკეტა, ტელეფონით დაუკავშირდა თავის კოლეგას და ვაგონი ადგილიდან დაიძრა, ზევ-ზევით წავიდა, პაწაწინა წერტილისაკენ, ზურმუხტისფერი გორაკის თავზე რომ მოჩანდა. მალე თვალს მიეფარა მონტრეს სახურავები და მგზავრების წინ გადაიშალა ვოს, ვალეს, შვეიცარიის სავოისა და ჟენევის ციკლორამა — აქ, ტბის ცენტრში, ტბისა, რომელსაც რონის ცივი დინება აგრილებდა, დასავლეთ სამყაროს შუაგული იდო. სუსხიანი სილამაზის უნაყოფობაში ჩაკარგული ნავეები გედებს, ხოლო გედები ნავეებსა ჰგვანდნენ, მზიანი, კაშკაშა დღე იყო, ნაპირზე ბალახი ხასხასებდა,

კურხალის ჩოგბურთის თეთრი კორტებიც უფრო ქათქათა თეთრი ჩანდა. უჩრდილოებო იყვნენ კორტებზე ფიგურები.

შილიონი და ზედ წამომართული სალანიონის სასახლე გამოჩნდა და დიკმა ქვევით დაიწყო ყურება. ვაგონი ახლა ფერდობზე, სახლების სახურავებზემით მიცოცავდა. ორთავე მხარეს შიგ ჩამალული ყვავილების მდელოებით ჩირგვნარი ჩანდა, და ალაგ-ალაგ ჩირგვები განზეც იწეოდნენ, რომ ყვავილები ამოეჩინათ. ეს ბალი ფუნქციური მიდამოსი იყო და ვაგონში წარწერაც გაეკეთებინათ: „ყვავილების მოწყვეტა აკრძალულია“.

ყვავილების მოწყვეტა აკრძალული კი იყო, მაგრამ ჩავლისას თვითონ გეძალბოდნენ, ვაგონის ყველა კუბეს რიგრიგობით, თავისთავად ეწვეოდნენ დოროთი პარკინსის გრძელდეროიანი ვარდები; გინდა არ გინდა, გაუშვებდი ბოლოს და ბოლოს, და ისევ თავიანთ ადგილას მიირწეოდნენ და ახლა იქ ირხეოდნენ ფერად-ფერადნი. იმათ კი მერე სხვები ცვლიდნენ.

ზევითა მხარეს ინგლისელებს მოეყარათ თავი, იდგნენ და პეიზაჟით თავიანთ ალტაცებას ვერა ფარავდნენ. უცებ იქ რალაც ალიაქოთი ატყდა — ახალგაზრდა ქალ-ვაჟი გაატარეს, — ბოდიშს იხდიდნენ და თან ქვევითა კუბესკენ მიიწევდნენ, იქით, სადაც დიკი იჯდა. ვაჟი იტალიელი იყო, თვალები ირმის ფიტულისას მიუგავდა, ქალიშვილი — ნიკოლი.

ჯერ კიდევ ვერ მოეთქვათ სული იმის გამო, რომ ძლივს გამოადწიეს ამ ადგილამდე, იცინოდნენ, იქ მყოფი ინგლისელები კუთხეში მიყუყეს, დასხდნენ და ნიკოლმა თქვა: „ჰელო!“ დიკმა მაშინვე შეამჩნია რალაც ცვლილება, თითქოს კიდევ უფრო ლამაზი ჩანდა; უცებ ვერ გაიაზრა, მაგრამ მალევე მიხვდა, რომ თმის გამო მოეჩვენა ასეთი. მშვენიერი თმა მოკლედ შეეჭრა, მოდა — აირენ კასლ — და დაეხვია. მქრქალი ცისფერი სვიტერი და ტენისის თეთრი ქვედა კაბა ეცვა. — მაისის პირველ დილასავით იყო, კლინიკის ნიშანწყალიც კი არ ეტყობოდა.

„უუჰ!“ შვებით ამოისუნთქა ნიკოლმა, „ესეც კონდუქტორია, რა, გაჩერდება თუ არა, მგონია, დაგვიჭერენ. დოქტორი დაიგერი — გრაფი დე მარმორა“.

„ძლივს არ გამოვალწიეთ!“ ხელი ასწია და თმაზე გადაისვა. „იცით რა, ჩემმა დამ პირველი კლასის ბილეთები აიღო — სხვაგვარად არ მოიქცეოდა“. მარმორამ და ნიკოლმა ერთმანეთს შეხედეს და ნიკოლმა წამოიძახა: „მერე კი აღმოჩნდა, რომ პირველი კლასი ლამის მძღოლის კაბინას ეკვრის, აქეთიქით ფარდები აქვს, ეს იმ შემთხვევისთვის, თუ გაწვიმდა, ისე რომ იქიდან არაფერი ჩანს. მაგრამ ჩემი დისტვის პრესტიჟი ხომ ყველაფერია —“ ნიკოლმა და მარმორამ ისევ ერთმანეთს გადახედეს და ახლო მეგობრებივით, ერთმანეთისა უსიტყვოდაც რომ ესმით, გაიცინეს.

„საით გაგიწევიათ?“ ჰკითხა დიკმა.

„კო. თქვენც?“ ნიკოლმა მისი კოსტიუმი შეათვალიერა. „წინ რომ ველოსიპედია, თქვენია?“

„დიახ. მინდა ორშაბათს დავეშვა ქვევით“.

„მეც თქვენი ველოსიპედით წამოვალ. წამიყვანთ? არა, მართლა ვგიჟდები, ისე ძალიან მინდა წამოსვლა“.

„რად გინდათ, უფრო კარგია, ხელში აგიყვანთ და ისე ჩაგიყვანთ ქვევით“, თავი გამოიღო მარმორამ. „ან, ერთად ჩავალთ გორგოლაჭებით, ან კიდევ გიბიძგებთ და ბუმბულივით ჩაფარფატდებით“.

სახეზე შეეტყო ნიკოლს, როგორ მოეწონა ისევ ბუმბულივით და არა ტყვიასავით ყოფნა, რომ ეფარფატა და მძიმედ არ ევლო; გეგონება კარნავალზეაო, ხან მიმიკას იშველიებდა, ანცობდა და ხანაც მორცხვობდა, ჩუმდებოდა. ზოგჯერ კი ჩრდილი გადაუვლიდა, ამაყ იერში შერეული ძველი წუხილი და სატანჯველი აჩნდებოდა, ჯობდა სულაც არ დაენახა ნიკოლს, ჩემი აქ ყოფნით იმ სამყაროს ვახსენებ, რომელსაც კარგად დაადწიაო თავი, და დიკმა მაშინვე გადაწყვიტა, მესხვა ოტელში ვიცხოვრებო.

ფუნქციური გაჩერდა და ამ გზით პირველად ამოსულ მგზავრებს მოეჩვენათ, რომ ორ ზეცას შუა ლურჯ სივრცეში ჩამოეკიდნენ. გამოირკვა, რომ ზევითა ვაგონის კონდუქტორს და ქვევითასაც, თურმე რაღაცა უნდა ეთქვათ ერთმანეთისთვის და ეს გაჩერებაც იმისთვის იყო. ეს ერთი წუთით, მერე თითქმის მაშინვე წავიდა ვაგონი ზევით, მალლა-მალლა, ტყის ბილიკის, ვიწრო ხეობის თავზე და იმას იქით კიდევ ედელ-

ვაისებით მოფენილ ფერდობზემით. თეთრ ფონზე მონტრეს კორტებზე ჩოგბურთელები ახლა წერტილებადლა მოჩანდნენ. რაღაც ახალი შეერია ჰაერს — მუსიკა. ამას მაშინვე მიხვდნენ, როგორც კი ვაგონი გლიონში მისრიალდა — იქვე, ოტელის ბაღში ორკესტრი უკრავდა.

კოში მიმავალ მატარებელზე რომ გადადიოდნენ, მუსიკის ხმა ჰიდრავლიკური კამერიდან მოთქრიალე წყლის ხმამ დაფარა, კო თითქოს ამათ ზემოთ იყო; დიდი, ათასსარკმლიანი ოტელი ჩანდა, ჩამავალ მზეზე ოტელის სარკმლებს ალისფერი ედო და ბრიალებდა.

ახლა უკვე სუყველაფერი სხვაგვარი იყო — მქშინავ პატარა ორთქლმავალს ხვეული გზით მიჰყავდა ზევით მგზავრები, მალლა, სულ მალლა მიიწევდა; დაბლა ღრუბლებში ყვინთავდა ქშენით, მიიზლაზნებოდა, ცეცხლსა ყრიდა და დიკს ნიკოლის სახე ეკარგებოდა ხანდახან. მოხვევისას ოტელი იზრდებოდა, მკაფიოდ ჩნდებოდა და უცებ, საკვირველება — ზედ კაშკაშა მზეზე აღმოჩნდნენ.

ჩავიდნენ თუ არა, დიკმა ზურგჩანთა მოიგდო მხრებზე და ბაქანზე გავიდა, თავისი ველოსიპედის ასაღებად გაემართა, ნიკოლი უკან მიჰყვა, ვაგზლის ალიაქოთში მაინც მოახერხა და არ შორდებოდა.

„თქვენ ჩვენს ოტელში არა ხართ?“ ჰკითხა მან.

„მომჭირნედ მინდა ვიცხოვრო“.

„იქნებ სადილზე გვეწვიოთ?“ ბარგის გაცემა-მიღების ალიაქოთი მიწყდა და გააცნო: „ეს ჩემი დაა — ეს კი დოქტორი დაივერი ციურხიდან“.

დიკმა თავი დაუკრა მაღალსა და ახალგაზრდა ქალს, ასე, ოცდახუთი წლის იქნებოდა, თავდაჯერებული გამოხედვითა და მიხრა-მოხრით. იმ ქალებსა ჰგავს, პირი ყვავილს რომ მიუგავთ, მაგრამ ლაგამის გაწყვეტა იციანო, გაიფიქრა.

„სადილის მერე შემოვივლი“. შეპირდა დიკი. „ჯერ ცოტა აკლიმატიზაცია მჭირდება“.

თავისი ველოსიპედით მიდიოდა, გრძნობდა, როგორ მიაცილებდა თვალებით ნიკოლი, იმისი პირველი სიყვარულის მთელ უმწეობასა გრძნობდა და იმასაც გრძნობდა, თვითონაც როგორ ემღვრეოდა გულ-მუცელი. სამასიოდე იარღი გაიარა

ფერდობზე, ვიღრე იმ სხვა ოტელამდე მივიდოდა. ოთახი აიღო, ათი წუთიც და — უკვე სააბაზანოში იყო და იბანდა. ამ ათი წუთიდან მეხსიერებას მხოლოდ გაურკვეველი ხმაური შემორჩა, მთვრალსავით, ვიღაცების მიკარგული ხმები რომ ესმის — იმ ვიღაცებმა რა იციან როგორ უყვართ ის.

IX

ელოდნენ, უიმისოდ საღამოს თითქოს რაღაცა აკლდა. აქაც ვერ ძლებდნენ უიმისოდ; მისს უორენი და ჭაბუკი იტალიელი, ნიკოლივით მოუთმენლად ელოდებოდნენ. ოტელის სალონი, ზღაპრული აკუსტიკის დიდი დარბაზი, ცეკვებისთვის დაეცალათ, კედლებთან კი მთელი ამფითეატრი იყო გარკვეული ასაკის თმაშეღებილი ინგლისელი მანდილოსნების, მოვარდისფრო-მორუხო პუდრწასმული სახეებითა და შარფებით, და ამავე ასაკის ამერიკელი ქალებისაც — შავი კაბებით, თოვლივით ქათქათა შინიონებითა და ალუბლისფერი ბაგეებით. მისს უორენი და მარმორა კუთხეში მდგარ მაგიდასთან ისხდნენ, ნიკოლი — გეზად, ორმოცი იარდის მოშორებით იჯდა. შევიდა თუ არა, დიკმა მაშინვე მისი ხმა გაიგონა:

„გესმით ჩემი ხმა? მე ჩვეულებრივად ვლაპარაკობ, ხმამაღლა არა“.

„მშვენივრად“.

„ჰელო, დოქტორ დაივერ“.

„რა ხდება?“

„თქვენ ხომ გესმით ჩემი ხმა, იმათ კი, ოთახის შუაგულში — არ ესმით“.

„რესტორანშივე გვითხრა ოფიციალტმა“, თქვა მისს უორენმა. „კუთხიდან კუთხეში აქ რადიოსავით შეიძლება ლაპარაკი“.

მთაში ცხოვრება ზღვაში გემზე ცხოვრებასავით წარმტაცია. ცოტა ხნის მერე მათ მარმორას მშობლებიც შემოემატნენ, დებს პატივისცემით ექცეოდნენ — საუბრიდან დიკმა ის დასკვნა გამოიტანა, რომ მათი საქმეები როგორღაც მილანის ერთ ბანკს უკავშირდება, ის ბანკი კი როგორღაც უორენების ფინანსურ საქმეებს. მაგრამ ბები უორენს დიკთან საუბარი

უნდოდა. უნებურად, აქაც ის ძალა უბიძგებდა, ყველა ახალ-გაცნობილი მამაკაცის მიმართ რომ ჰქონდა, თითქოს ჭიმავედა უხილავ საბელს, რის გაწყვეტასაც დიდი ხანია ლამობდა. ფეხი ფეხზე გადაედო, და მაღალი, მოუსვენარი და ასაკგადაცილებული ქალწულებივით, ისევ მაღლიმალ ჩამოიღებდა ხოლმე.

„— ნიკოლმა მიაჩნო, რომ თქვენც ზრუნავთ მასზე, რომ ბევრი რამე გააკეთეთ მისი მორჩენისათვის. ოღონდ, მე ერთი რამ არ მესმის კარგად, — ახლა რა უნდა გავაკეთოთ. სანატორიუმში მაინცდამაინც ვერ გამაგებინეს, მხოლოდ გვირჩიეს, რაც შეიძლება გაართეთ და არ შეზღუდოთო. ვიცოდი, მარმორები აქ იყვნენ, კოში და ტინოს ვთხოვე, დაგვხვედროდა, და მერედა რა, დაძვრაც ვერ მოვასწარი, რომ ნიკოლმა აიძულა და ვაგონის ტიხარზე გადაძვრნენ ორთავე, გიჟებივით...“

„პირიქით, ეს სავსებით ნორმალურია“. დიკმა გაიცინა. „უფრო მეტიც; ეს კარგი ნიშანია. მოუხდათ და ერთმანეთს თავი მოაჩვენეს“.

„მაგრამ, რა ვიცი? ციურიხში, ადგა და სანამ რამეს მივხვდებოდი, თითქმის ჩემ თვალწინ, თმა შეიჭრა, რაღაც უნახავს „ამაოების ბაზარში“ და იმის მიხედვით“.

„ესეც ძალიან კარგი. შიზოიდური ტიპია და ასეთები მუდამ ექსცენტრიკულები არიან. ამას ვერაფრით შეცვლი, სულ ასეთი იქნება“.

„როგორ — ასეთი?“

„აკი გითხარით — ექსცენტრიკული“.

„ჰო, მაგრამ, როგორ უნდა გაარჩიო, სად არის ექსცენტრიკული და სად სიგიჟე?“

„მაგაზე არც იფიქროთ, მორჩა. საბოლოოდ გაუარა და ახლა ლალი და ბედნიერია ნიკოლი“.

ბებიმ ისევ ფეხი ფეხზე გადაიდო. ყველა იმ უკმაყოფილო ქალივით იყო, ბაირონი რომ უყვარდათ ასი წლის წინათ და, მაინც, გვარდიის ოფიცერთან ტრაგიკული რომანის მიუხედავად, რაღაცა არაქალური და ხეშეში ჰქონდა.

„პასუხისმგებლობას არა ვჩივი“, თქვა მან. „მაგრამ ჰაერში გამოკიდებულივითა ვარ, არ ვიცი რა ვქნა. ჩვენს ოჯახში“

მსგავსი რამეც არა ყოფილა. ნიკოლმა, ეტყობა, მძიმე რაღაც გადაიტანა. მე ვფიქრობ, ვაჟი უნდა იყოს მიზეზი. მაგრამ ეს მხოლოდ ვარაუდია, მამა ამბობს, გამაგებინა ვინ არის და ტყვიას დავახლიო“.

ორკესტრი „საწყალ პეპელას“ უკრავდა; ახალგაზრდა მარმორა დედასთან ერთად ცეკვავდა. ფოქსტროტის ახალი მელოდია იყო, ჯერ არავის მობეზრებოდა. დიკი უსმენდა და თვალს არ აშორებდა უფროს მარმორასთან ლაპარაკში გართულ ნიკოლს; ამ ელევანტურ კაცს თმაში ჭალარა ერია და თეთრ-შავ ზოლებად, როიალის თეთრ-შავ კლავიშებივით დაუყვებოდა. ნიკოლის მხრებს უყურებდა და ვიოლინო გაახსენდა. ისევ იმის საიდუმლოზე, იმის სირცხვილზე გაიფიქრა. ეჰ, საწყალი პეპელა, — წამები მიქრის, ერთმანეთს მიჰყვება, საათებად...

„მე გეგმა მაქვს“, თითქოს ბოდიშით, მაგრამ გადაჭრით თქვა ბებიმ, „შეიძლება საჭიროდაც არ მიიჩნიოთ, მაგრამ როგორც მითხრეს, წლების მანძილზე ისევ თვალყური სჭირდება ნიკოლს. არ ვიცი ჩიკაგოში გიცხოვრიათ თუ არა...“

„არა, არ ვყოფილვარ“.

„იქაური ჩრდილო და სამხრეთ მხარეები სულ სხვადასხვაა. ჩრდილოეთ მხარე ფეშენებელურია, ჩვენ იქ ვცხოვრობდით, თითქმის ყოველთვის. მაგრამ ბევრი ძველი ჩიკაგოელი, კარგი ოჯახები — გასაგებია ალბათ, რასაც ვამბობ, ჯერ ისევ სამხრეთში ცხოვრობენ. იქ უნივერსიტეტია, იმის თქმა მინდა, რომ ბევრი ხალხი ტრიალებს, მაგრამ, მაინც, ასე თუ ისე, სულ სხვაა, ვიდრე ჩრდილოეთი. არ ვიცი, გასაგებად ვამბობ თუ არა“.

დიკმა თავი დაუქნია. თავისი თავი აიძულა და გულისყურით უსმენდა ბების.

„ცხადია, სამხრეთთან ბევრი რამ გვაკავშირებს, უნივერსიტეტის ზოგიერთ კათედრას მამა აფინანსებს, სტიპენდიები გაიღო და ასე შემდეგ, ჰოდა, გავიფიქრე, შინ რომ დავბრუნდებით, ნიკოლი იმ ხალხში გაერიოს-მეთქი. მუსიკა ხომ კარგად იცის, რამდენიმე ენაზეც ლაპარაკობს — იმაზე უკეთესი რა იქნება მაგისტრის, რომ ვინმე კარგი ექიმი შეუყვარდეს...“

დიკმა კინალამ გადაიხარხარა. მაშ ასე, ნიკოლისთვის ექი-

მის ყიდვას აპირებენ უორენები... ხომ არავინ იცით, დოქტორო დაივერ ისეთი, ჩვენ რომ გამოგვადგეს? რატომაც არა, ნიკოლზე საზრუნავი აღარ ექნებათ, შეუძლიათ და უყიდიან ახალგაზრდა, ახალგამომცხვარ და მოხდენილ ექიმს.

„მაგრამ, თუ არ გამოჩნდა ასეთი ექიმი?“ უნებლიეთ იკითხა დიკმა.

„არა, რას ამბობთ, გამოჩნდება, რამდენიც გინდათ, ამის შანსს ბევრი არ დაკარგავს“.

მოცეკვავეები დაბრუნდნენ, მაგრამ ბებიმ ჩურჩულით მოასწრო ეთქვა:

„მე ვფიქრობ, შესანიშნავი აზრია. მაგრამ, ნიკოლი სადღაა, არ ჩანს, თავის ოთახში ხომ არ ავიდა? აღარ ვიცი, რა ვქნა, ვერა ვხვდები, უწყინარი რამაა თუ... რა ვიფიქრო, გავიქცე და მოვძებნო?“

„იქნებ თავისთვის ყოფნა მოუხდა — დიდი ხნის მარტოობის მერე უჭირთ ხოლმე ხალხში გარევა“. შეამჩნია, მისს უორენი არ უსმენდა და გაჩერდა. „წავალ მოვძებნი“.

ოტელს გარშემო ნისლი ებურა. გაზაფხულზე სარკმლებზე ფარდებს რომ ჩამოუშვებ, ისეთი იყო იქაურობა. თითქოს მხოლოდ აქ, ოტელთან იყო მოკრებილი მთელი სიცოცხლე. დიკმა სარდაფს ჩაუარა, სარკმლიდან დაინახა, შოფრები ისხდნენ და ბანქოს თამაშობდნენ, წინ ერთი ბოთლი ესპანური ღვინო ედგათ. ხეივანს რომ მიუახლოვდა, მაღალი ალბების თხემზე უკვე ვარსკვლავები კიაფობდნენ. ტბის ზემოთ, ნალივით მოხრილ ხეივანში ორ ფარანშუა ვილაცის უმოძრაო ფიგურა დალანდა. ნიკოლი იყო. დიკი ბალახზე მიდიოდა და ჩუმად მიუახლოვდა. ნიკოლმა მოიხედა. „თქვენა ხართ!“ წამით ინანა დიკმა მოსვლა.

„თქვენი და ღელავდა“.

„აა!“ მისთვის ახალი არ იყო, რომ უთვალთვალებდნენ. თავს ძალა დაატანა, რომ აეხსნა: „ზოგჯერ მიჭირს ხოლმე, ბოლო ხანს ისე წყნარად ვცხოვრობდი, მივეჩვიე. ამ საღამოს მუსიკას ვეღარ გავუძელი. უცებ ტირილიც კი მომინდა...“

„გასაგებია“.

„დღეს გადარეული დღე იყო“.

„ვიცი“.

„არ მინდა ვინმეს ცუდად მოვექცე და ვაწყენინო, ისედაც ყველა შევაწუხე. მაგრამ დღეს სალამოს ვიგრძენი, რომ აღარ შემეძლო“.

უცებ დიკს თავში გაუელვა, ასე მომაკვდავს თუ დაემართება, გაუელვებს, რომ დაავიწყდა ეთქვა, სადა დევს ანდერძი — დომლერმა და მთელმა წინა თაობებმა ხომ „ხელახლა შექმნეს“ ნიკოლი; ნიკოლს ბევრი რამ უნდა ესწავლა ხელახლა. ეს სიბრძნე თავისთვის შეინახა დიკმა და ხმამაღლა კი ისა თქვა, რაც უნდა ეთქვა:

„ძალიან კარგი ქალიშვილი ხართ, სულაც არ უნდა წუხდეთ დედაზე, თუ რას ფიქრობენ თქვენზე სხვები“.

„თქვენ მოგწონვართ?“

„რა თქმა უნდა“.

„და თქვენ —“ ახლა ნალისებური ხეივნის იქითა მხარეს მიუყვებოდნენ, ხეივნის ბოლომდე ორასიოდე იარდი იყო დარჩენილი. „ავად რომ არ ვიყო, თქვენ შეგეძლებოდათ, ესე იგი, მე იმის თქმა მინდა, რომ ჩემნაირ ქალიშვილს შეეძლო — ღმერთო ჩემო, რა სანტიმენტალური ყბედობაა, მაგრამ თქვენ იცით, რისი თქმაც მინდა“.

დიკმა იგრძნო, ერთიანად მოიცვა და დათრგუნა უგუნურებამ. ესმოდა ნიკოლის სიახლოვით გახშირებული თავისი სუნთქვა. მაგრამ ახლაც უშველა თავდაჭერამ, ბიჭივით გაიცინა და, ბანალური ჩაუბრუნა:

„ახირებაა, ჩემო კარგო, გიამბობთ, როგორ შეუყვარდა ერთ პაციენტს თავისი მომვლელი...“ წამოვიდა ანეკდოტი და ერთიმეორეს მიჰყვა სიტყვები. ნიკოლმა მკვეთრად, ნაღდი ჩიკაგოელივით უცებ მოუჭრა:

„მიქარვაა!“

„ძალიან ვულგარული გამოთქმაა“.

„იყოს, მერე რა?“ წამოენტო ნიკოლი. „თქვენ გგონიათ მთლად სულელი ვარ — ავად გახდომამდე ვიყავი სულელი, მაგრამ ახლა არა. თქვენი დანახვით რომ არ მეგრძნო, რომ ყველაზე მომხიბლავი და კარგიცა ხართ იმათ შორის, ვინც მე მინახავს, მაშინ მართლა უნდა გეფიქრათ, რომ კიდევ ბრა ვარ ჭკუაზე. ეს ჩემი მძიმე ხვედრია, გასაგებია, მაგრამ არ არის საჭირო თავის დაჭერა ისე, თითქოს არ გესმოდეთ,

რომ მე ვიცი, რომ ყველაფერი ვიცი თქვენზეც და ჩემზეც“.

დიკს მიწა ფეხქვეშ ეცლებოდა, მაგრამ გაახსენდა უფროსი მისს უორენის ლაპარაკი იმ ახალგაზრდა ექიმებზე, სამხრეთ ჩიკაგოს ინტელექტუალურ ბაკში რომ შეეძლოთ ეყიდათ და იმ წამით ძალა მოემატა.

„თქვენ მშვენიერი არსება ხართ, მაგრამ მე შეყვარება არ შემიძლია“.

„თქვენ არ გინდათ, მითანაგრძნოთ“.

„რაა!“

ასეთმა თავდაჯერებამ და მოურიდებლობამაც, გააცვიფრა დიკი, ნიკოლ უორენის თანაგრძნობა ის იყო, რომ თავის თავზე უარი ეთქვა და დაკარგულიყო. ეს მეტისმეტი იქნებოდა.

„რატომ არ გინდათ, მითანაგრძნოთ?“

ხმა სულ ჩაუწყდა, შიგნით, ბიუსტჰალტერით შემოჭერილ მკერდში ჩაეკარგა, დიკთან მივიდა, ნიკოლი ისე ახლო იყო, ისე უნდოდა მინდობოდა — დიკმა იგრძნო იმისი ბაგე, სისათუთე, და რაღაცა ძალა მოემატა, ახლა რაიმე მოსაზრება სულ ერთი იყო, თითქოს უხსნადი ხსნარი მოამზადა დიკმა და ამ ხსნარში შეერთდნენ ატომები. ხსნარის გადაღვრა კი შეიძლებოდა, მაგრამ იმათი დაშლა, გაყოფა — უკვე შეუძლებელი. დიკს ხელი ეხვია და გრძნობდა ნიკოლს, ის კი სულ უფრო იხრებოდა თავისი ბაგით, ნუგეშცემული და მოზეიმე. ეჩვენებოდა, თითქოს აღარც კი არსებობდა, ანარეკლია იყო მხოლოდ ნიკოლის წყლიან თვალეში და ამისთვისაც მადლობელი იყო დიკი.

„ღმერთო ჩემო“, ძლივს ამოისუნთქა დიკმა, „კარგია თქვენი კოცნა“.

ეს იყო ახლა მისი სიტყვები, უნდოდა ელაპარაკა, მაგრამ ნიკოლმა უკვე იგრძნო თავისი ძალა, ლაღად შეტრიალდა და დიკი იმ შუადღეს შუა გზაზე გაჩერებული ფუნქციონირებით თითქოს ჰაერში გამოეკიდა. იყოს ასე, მოუხდება: ფიქრი ერეოდა ნიკოლს, იმიტომ რომ მაწამებდა, როგორ შეეძლო! ო, რა კარგია, უკვე ჩემია. ახლა კი უნდა გაქცეულიყო, მაგრამ მისთვის ეს ისე ახალი იყო, მშვენიერი, რომ აყოვნებდა, სურდა ეგემნა, ბოლომდე ეგრძნო.

უცებ გააჟრჟოლდა. ორი ათასი ფუტის ქვემოთ შუქი ბრწყინავდა, ყელსაბამად და სამაჯურად ბრწყინავდა შუქი, — მონტრედან და ვევედან იყო. იმას იქით კი მქრქალ სამკაულად მოჩანდა ლოზანა. საიდანღაც საცეკვაო მუსიკის მელოდია მოჰქონდა ქარს. ნიკოლი როგორღაც გაყუჩდა, გრილმ დაუარა, აზრი გაუნათდა და ბრძოლის მერე თრობამოწყურებული ჯარისკაცივით ახლა თავისი ბავშვობის სანტიმენტების შეჯერება მოსურვებოდა. დიკი კი იქვე, ახლოს ედგა, ნალისებურ ხეივანს შემოვლებულ რკინის ზღუდეს მშვიდად, დიკისებურად დაყრდნობილი; ჯერ მაინც ვერ დაეძლია იმისი შიშიც და მორიდებაც, ისე უთხრა დიკს, წყნარად: „მახსოვს, როგორ გელოდით მაშინ ხეივანში, მთელი ჩემი არსება ყვავილების კალათივით მეჭირა ხელში და მინდოდა თქვენთვის მომერთმია, როგორღაც ასე ვგრძნობდი მაშინ“.

დიკი მისი მხრისკენ დაიხარა, ძალით მოატრიალა თავისკენ. ნიკოლმა აკოცა, რამდენჯერმე, ხელები მხრებზე ჩამოაწყო დიკს და კოცნიდა და ასე ეგონა, თავისი სახე ძალიან დიდი, უზარმაზარი უხდებოდა.

„მაგრად გაწვიმდა!“

ტბის იქითა მხარის ვენახებში უცებ ქვემეხის გრუხუნე გაისმა, სროლით ცდილობდნენ ღრუბლების გაფანტვას, რომ სეტყვა არ წამოსულიყო. ხეივანში ფარნები ჩაქრა, მერე ისევ ისე აინთო და თითქმის მაშინვე დაუშვა, ჯერ ოდნავ, მერე მოუმატა და მოუმატა. ღვარად წამოვიდა, მიხვეულ-მოხვეულ ფერდობზე ჩუხჩუხით მოდიოდა, გზებსა და ქვის სადინარებზე მითქრიალებდა; შეშავებული, შესაზარი ზეცა ჩამოწვა. ელვა ათასად იკლაკნებოდა და ისევ ქრებოდა, ჭექა-ქუხილმა ქვეყანა შეძრა, ოტელის თავზე ღრუბელ-ნისლი დაიწეწა, აღარც მთები ჩანდა, აღარც ტბა, იმ სიბნელეში, ქაოსსა და გრუხუნში ოტელი მარტო იდგა და იკაკვებოდა.

მაგრამ დიკმა და ნიკოლმა უკვე შეასწრეს ვესტიბიულში, სადაც ბები უორენი და სამივე მარმორა შეშფოთებულები ელოდნენ. კარგი იყო უცებ სველი წყვილიდან ამოყურყუშელავება, კარის მთელი ძალით გაჯახუნება, ხმამაღლა სიცილი დაუოკებელი მღელვარების გამო, ყურებში ქარი რომ გიწივის ისევ და გრძნობ, როგორ გეკვრის სველი სამოსი. ორკესტრი

შტრაუსის ვალსს უკრავდა. თითქოს მუსიკაც სულ სხვა ის-
მოდა სამეჯლისოდან. გონების წამლები იყო და მალლა აჰყავ-
დი.

...დოქტორმა დაივერმა ფსიქიატრიული კლინიკის პაციენ-
ტი შეირთოს? ეს რანაირად მოხდა? რით, საიდან დაიწყო
ეს ამბავი?

„მოხვალთ ისევ, ტანსაცმელს როცა გამოიცვლით?“ ჰკი-
თხა ბები უორენმა და გამომცდელი მზერა შეავლო დიკს.

„გამოსაცვლელი არაფერი მაქვს, შორტებს თუ ჩავიცმევ.“

საწვიმარი, ვილაცამ რომ ათხოვა, მოისხა და ფეხით აუყვა
გზას თავისი ოტელისაკენ, ძლივს მიდიოდა; თავისთვის, ირო-
ნიულად ეცინებოდა.

„დიდი შანსია — ო, ღმერთმანი! — მაშ ექიმის შეძენა უნ-
დათ? — წავიდნენ და მონახონ ვინმე ჩიკაგოში“. მაგრამ ნიკოლი
გაახსენდა და შერცხვა თავისი უკმეხობის, ფიქრში თავს
იმართლებდა ნიკოლთან, იმისი ბაგის სინედლე გაახსენდა და
ისიც, როგორ ეცემოდა წვიმის წვეთები და მქრქალად ნათ-
ლებოდა ნიკოლის ფაიფურისფერ კანზე, დიკისთვის დაღვრი-
ლი ცრემლებივით... ჰექა-ქუხილის შეწყდომის მერე ჩამომდ-
გარმა სიწყნარემ გააღვიძა დილის ასე, სამ საათზე და გაღე-
ბულ სარკმელთან მივიდა დიკი. ნიკოლის სილამაზე ტრია-
ლებდა გარეთ, მთებსა და ფერდობებზე, შიგ შემოდდიოდა,
ფარდებში მალულად შრიალებდა...

...მეორე დილას ორი ათასი მეტრი აიარა როშე-დე-ნეის-
კენ; ძალიან გაართო ფუნქციონირის გუშინდელ კონდუქ-
ტორთან შეხვედრამ, დასვენების დღე ჰქონდა თურმე და იმა-
საც ამ აღმართის ავლა გადაეწყვიტა.

როშე-დე-ნეიდან დიკი მონტრემდე დაეშვა, ტბაში იბანავა
და სადილისთვის ოტელში დაბრუნება მოასწრო. შინ ორი
ბარათი ელოდა.

„გუშინდელი დღის გამო სულაც არა მრცხვენია, ეს დღე
ყველაზე კარგი დღე იყო. თუნდ აღარასოდეს გნახოთ, სულ
ერთია, მაინც კარგია, ასე რომ მოხდა“.

ფარ-ხმალამყრელი ბარათი — მაგრამ მეორე ბარათი გახს-
ნა დიკმა და დომლერის პირქუშმა აჩრდილმა დაიხია:

„ძვირფასო დოქტორო დაივერ, დაგირეკეთ, მაგრამ არა-

ვინ მიპასუხა. ძალიან დამავალბეთ, თუ ერთ დიდ თხოვნას შემისრულებთ. გაუთვალისწინებელი საქმეების გამო სასწრაფოდ მიხდება პარიზში წასვლა, დროში მოვიგებ, ლოზანათი თუ გავემგზავრები. ორშაბათს აპირებდით ციურისში დაბრუნებას, იქნებ ნიკოლიც თქვენთან ერთად წამოვიდეს, იქნებ სანატორიუმამდე მიგეყვანათ? ძალიან ხომ არ შეწუხდებით?

პატივისცემით — ბეტ ევენ უორენი“.

დიკი გაცოფდა — მისს უორენმა ძალიან კარგად იცოდა, რომ ველოსიპედით იყო, მაგრამ ბარათი ისეთი ფრაზებით დაეწერა, უარს ვერ იტყოდა. უნდა, რომ ერთად ვიყოთ! ახლობლის ზრუნვა, და უორენების ფული!

ცდებოდა, ბები უორენს ასეთი ზრახვა არა ჰქონდა. დიკისთვის უკვე მუშტრის თვალით შეეხედა, აწონ-დაწონა ყველაფერი, ყველა მხრიდან გაზომა თავისი მოღუნული ანგლოფილის სახაზავით და, არ გამოდგებოდა, დაასკვნა; ისე კი, ძალიან მოეწონა. მაგრამ მისთვის მეტისმეტად „ინტელიგენტი“ იყო დიკი და ისიც იმ უპოვარ სნობებთან ერთად გაუყენა გზას, ლონდონში ერთ დროს რომ იცნობდა. ძალიან თვალში საცემია და არ გამოდგება, და კიდევაც რომ მოინდომოს, არისტოკრატი — როგორც ეს მისს უორენს ესმოდა — ვერ გახდებოდა.

თანაც კერპი იყო — საუბრისას რამდენჯერმე შეამჩნია, მაინცდამაინც ყურს არ უგდებდა და უაზროდ იხედებოდა, იმ ხალხივით, ვითომ რომ გელაპარაკებიან და სხვაგან კი ქრის მათი გონება. ნიკოლი ბავშვობიდანვე აღიზიანებდა თავისი მანერებით — მეტისმეტად თავნება იყო, ბოლო ხანებში კი, ცხადია, რაკი ავადმყოფობდა, მიეჩვია ეფიქრა, რომ უკვე „ხელიდან წასულია“ იმისი საქმე. ასე თუ ისე, დოქტორი დაივერი იმ ტიპის ექიმებს არ ეკუთვნის, მას რომ უნდოდა, და ოჯახის წევრად რომ მიეღოთ. არც მეტი, არც ნაკლები, ახლა უბრალოდ ხელსაყრელ შემთხვევასავით უნდოდა მისი გამოყენება.

მაგრამ ბარათის მიხედვით, თითქოს დიკის ვარაუდი იყო მართალი.

მატარებლით მგზავრობა შეიძლება სატანჯველად გექცეს და გული დაგიმძიმდეს, ან შეიძლება სულაც გაერთო; ზოგ-

ჯერ ეს გამოსაცდელი ფრენაა; შესაძლოა ესკიზიც იყოს სხვა, მომავალი მოგზაურობისა და მეგობართან გატარებული მთელი დღესავით, ხანგრძლივად მოგეჩვენოს. დილაობით ჩქარობ, სანამ ორივე მიხვდებით, რომ გშიათ და ერთად ისაუზმებთ. შუადღის მერე დრო იწელება, ზღაზვნით მიდის, მაგრამ დღის ბოლოს ისევ სწრაფობაა. ნაღველი ერეოდა ნიკოლის უმწეო სიხარულის გამო. ნიკოლისთვის კი ეს შვება იყო, შინ დაბრუნებას უდრიდა, ეს იყო ახლა იმისი სახლი. იმ დღეს არ უსიყვარულიათ, მაგრამ როცა დიკი ციურიხის ტბის პირზე სევდიან კართან გამოეთხოვა და ნიკოლმა, სანამ შევიდოდა, კიდევ ერთხელ მოხედა, მიხვდა, იმისი ბედი ახლა ორივეს ბედი იყო უკვე და ამიერიდან ყოველთვის ასე იქნებოდა.

X

სექტემბრის თვეში დოქტორი დაივერი და ბები უორენი ციურიხის ოტელში ტერასაზე ისხდნენ მაგიდასთან და ჩაის მიირთმევდნენ.

„არა მგონია“, თქვა მისს უორენმა, „ჩემთვის მთლად გასაგები არ არის თქვენი მოსაზრება“.

„ასე საუბარი არ ივარგებს“.

„ბოლოს და ბოლოს ნიკოლი ჩემი დაა“.

„ეგ არ გაძლევთ იმის უფლებას, რომ ასე მელაპარაკოთ“. დიკს სიბრაზე ერეოდა, ბევრი რამ იცოდა, მაგრამ ვერაფერს ეტყოდა, „ნიკოლი მდიდარია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მე ავანტიურისტი ვარ“.

„საქმეც ეგ არის“, ჯიუტად არ თმობდა ბები, „რომ ნიკოლი მდიდარია“.

„მაინც რამდენი აქვს ფული?“ ჰკითხა დიკმა.

ბები ლამის შეხტა; დიკს ჩუმად ეციინებოდა, ისე განაგრძო.

„ხომ ხედავთ, რა უაზრობამდეც მივყავართ ამას. კარგი იქნებოდა თქვენი ოჯახის სხვა წევრთან, მამაკაცთან მელაპარაკა...“

„რაც ნიკოლს ეხება, — იმაზე მე ვაგებ პასუხს“. გადაჭრით გამოაცხადა ბებიმ. „სულაც არ ვფიქრობთ, რომ ავანტიურისტი“.

ტიურისტი ბრძანდებით. უბრალოდ, არ ვიცი, ვინა ხართ“,
„მე მედიცინის დოქტორი ვარ“, თქვა დიკმა. „მამაჩემი
მღვდელია, ახლა აღარ მსახურობს. ვცხოვრობდით ბათალო-
ში. ჩემი წარსული საიდუმლოებით არ იფარება. ვსწავლობ-
დი ნიუ-ჰეივენში; ამის მერე როუდზის სტიპენდია დამენიშ-
ნა. ჩემი პაპის პაპა ჩრდილოეთ კეროლაინის გუბერნატორი
იყო და მე პირდაპირი შთამომავალი ვარ შეშლილი ენტონი
უეინისა“.

„ვინ იყო შეშლილი ენტონი უეინი?“ დაეჭვებით ჰკითხა
ბებიმ.

„შეშლილი ენტონი უეინი?“

„მთელ ამ ამბავში, ჩემი ფიქრით, შეშლილობა ისედაც
კმარა“.

დიკმა უიმედოდ გადააქნია თავი და ამ დროს ნიკოლი დაი-
ნახა — ტერასაზე გამოსულიყო და აქეთ-იქით იხედებოდა,
ამათ ეძებდა.

„შეშლილი რომ არ ყოფილიყო, ალბათ მარშალ ფილდზე
ნაკლებ მემკვიდრეობას არ დატოვებდა“.

„ეს ყველაფერი ძალიან კარგია, მაგრამ...“

ბები მართალი იყო, და იცოდა, რომ მართალი იყო.
მღვდელი მღვდელია. უორენები ჰერცოგები იყვნენ, -ოლონდ,
ამერიკელი ჰერცოგები, უტიტულო, და ოტელის სარეგისტ-
რაციო წიგნში ჩაწერილი ეს გვარი, სარეკომენდაციო ბარა-
თივით, ფსიქოლოგიურ მეტამორფოზებს იწვევდა ხალხში,
რაც კიდევ უფრო უმძაფრებდა უბრატესობის შეგრძნებას
ბები უორენს. ფაქტები ინგლისელებისაგან იცოდა, ამ მხრივ
მათ ორასზე მეტი წლის გამოცდილება ჰქონდათ. მაგრამ მან
არ იცოდა, რომ სანამ აქ ისხდნენ, დიკმა ერთ-ორჯერ კინა-
ღამ უარი სტაკია ქორწინებაზე. ნიკოლის გამოჩენამ უშველა
საქმეს, ბოლოს და ბოლოს შეამჩნია და მაშინვე მათი მაგი-
დისკენ გამოემართა, ცინცხალი, თეთრი შროშანივით, და
ნორჩი, სათუთი, სექტემბრის ღბილი მიმწუხრისას.

გამარჯობათ, ადვოკატო. ხვალ ჩვენ ერთი კვირით მივემგ-
ზავრებით კომოში, იქიდან ისევ ციურისში დავბრუნდებით.

ამიტომაც გთხოვთ, ჩემს დასთან ერთად რაც შეიძლება ჩქარა მოგეგვარებინათ ყველაფერი. რამდენს მივიღებ, ეს სულ ერთია. ორ წელიწადს მშვიდად ვაპირებთ ცხოვრებას ციურხში და დიკს საამისოდ ფული ეყოფა. არა, ბები, სულაც არა ვარ ისეთი არაპრაქტიკული, შენ რომ გგონია — უბრალოდ, მაღაზიებში თუ დამჭირდება და მკერავებთან, სხვაგან აბა სად... როგორ, შეიძლება ამდენი მივიღო? რად მინდა, მთელ სიცოცხლეში ვერ მოვახერხებ მაგის დახარჯვას. შენც მაგდენს იღებ? უფრო მეტს რად — იმიტომ რომ ჰგონიათ, მე არა მაქვს იმისი თავი, კარგად გავერკვე როგორ უნდა ფულის ხარჯვა? კარგი, იდოს ჩემი წილი ისე, დაგროვდეს... არა, დიკს არ უნდა ამ საქმეში ჩაერიოს. მე უნდა დამაწვეს ეს ამბავი, ორივეს საქმე...

შენ არაფერი იცი დიკზე, ბები, ვერც წარმოიდგენ რა კაცია — სად უნდა მოვაწერო ხელი? ო, უკაცრავად.

...სასაცილოა რომ ახლა სულ ერთად ვიქნებით, მარტო ჩვენ, არა დიკ? სასაცილო და უცნაურიც. ხომ არსად წახვალ, უფრო ახლო იქნები, არა? ერთმანეთი გვეყვარება, სხვა მეტი არა გვინდა რა. ოღონდ, მე უფრო ძალიან მიყვარხარ და მაშინვე ვგრძნობ ხოლმე, როცა მშორდები, თუნდაც სულ ოდნავ. ძალიან მომწონს სხვებივით რომ ვართ, გაიწვდი ხელს საწოლში და გრძნობ რა თბილი ხარ, აქვე, გვერდით.

...თუ შეიძლება, დაურეკეთ ჩემს ქმარს ჰოსპიტალში, დიახ, ეს წიგნი ძალიან კარგად იყიდება ყველგან — ახლა უკვე ექვს ენაზე ითარგმნება და გამოიცემა. მე ზვითონ მინდოდა ფრანგულად მეთარგმნა, მაგრამ, ეს დღეები ძალიან მალე ვიღლები, სულ მეშინია, რომ დავეცემი, დავმძიმდი და გავვუხემუდი, ადგაბიჭასავითა ვარ. ოღონდ გაბერილი და გატეხილი ადგაბიჭასავით. ცივი სტეტოსკოპი იმ ადგილას, სადაც გულია და ისეთი შეგრძნება მაქვს, მიმიფურთხებია ყველაფრისთვის... ოჰ, ის საბრალო ქალი ჰოსპიტალში, გალურჯებული ბავშვი რომ დაეხადა, არა ჯობდა სულაც ცოცხალი არ ყოფილიყო? რა კარგია, რომ ახლა სამნი ვართ, არა?

...რა სიგიჟეა, დიკ, ჩვენ მართლა გვჭირდება უფრო დიდი ბინა, საამისო საბაბი გვაქვს კიდევაც. რად. უნდა ვისჯიდეთ თავს მხოლოდ იმისათვის, რომ უორენების ფული დაივრები-

საზე მეტია? აჰ, გმადლობთ, მაგრამ ჩვენ გადავიფიქრეთ. ეს ინგლისელი მღვდელი ამბობს, რომ ორვიეტოში შესანიშნავი ღვინო გქონიათ; გადატანას ვერ იტანს? ამიტომაც არის, რომ არასოდეს გაგვიგია, თორემ, ჩვენ ღვინო გვიყვარს.

მოყავისფრო თიხაში ჩაქცეული ტბების ნაპირები ჩამოშვებული ფაშვის ნაკეცებსა ჰგავს. ფოტოგრაფმა, კაპრისკენ რომ მოვდიოდით, მაშინ, ნავზე გადამიღო სურათი და მოგვცა. თმა გაშლილი მაქვს, ნავის კიდეზე გადმოშვებული. „ცისფერო მღვიმევ, მშვიდობით“, მღეროდა მენავე, „ჩვენ ისევ მოვაა-ალთ“. ხოლო, როცა იტალიური ჩექმის ყელი გადავიარეთ, საშინელი და გავარვარებული მთელ სიგრძეზე, ძველებური ციხესიმაგრეების გარშემო შამბნარში ავბედიტად შრიალებდა ქარი და მეჩვენებოდა, რომ ბორცვებზე მკვდრები იყვნენ და ქვევით იცქირებოდნენ.

...მომწონს ეს ხომალდი. მეტადრე მაშინ, როცა ქუსლებით ვაბაკუნებთ გემბანზე ერთად. მობრუნებისას ქარმა ლამის წაგვაქციოს და ამ ადგილამდე რომ მოვდივართ, ყოველთვის ვცდილობ მხრით ვიყო ქარისკენ, კარგა მაგრად ვეხვევი ლაბადაში, მაგრამ დიკს ნაბიჯითაც არა ვშორდები და რალაც უაზრობას ვმღერით:

ო-ო-ო-ო-

მე რათა, სხვა ფლამინგოა,

ო-ო-ო-ო-

მე რათა, სხვა ფლამინგოა...

დიკთან კარგია, არ მოიწყენ — შეზღონებზე მიწოლილი მგზავრები ჩვენკენ იხედებიან, ვიღაც ქალი ცდილობს გაერკვეს, რა სიმღერაა. მაგრამ დიკს მობეზრდა სიმღერა, არა უშავს, დიკ, მიდი, იარე შენებურად, გამორჩეულად, მხოლოდ შენ თუ შეგიძლია ასე იარო. ძვირფასო, ჰაერი შეიკვრება და ძალით მოგიხდება გაკვალვა გზისა საკვამურების ნოტიო კვამლსა და შეზღონების ჩრდილობებშუა, იგრძნობ, როგორ აირეკლება შენი სახება იმათ თვალებში, ვინც შენ გიყურებს. ბოლო მოელება შენს მარტო ყოფნას, მაგრამ ჩემი აზრით ეს კარგიც არის. თუ არ მიხვედი ცხოვრებასთან, მერე ვერც განზე გაუდგები. მე კი მაშველი ნავის ბრჯენ-

ზე ვზივარ და ზღვას გავყურებ, გაშლილ თმას არც ვისწორებ, იყოს ასე და სულ ბზინავდეს. ვზივარ, არც ვინძრევი, ეგრე, ცის ფონზე, ხომალდი კი მიდის და მივყავარ წინ, მომავლის ცისფერ წყვდიადში, ხომალდი ამისთვის არსებობს. მე ვარ ათენა პალადა, კრძალვით ამოკვეთილი გალერაზე. წყალი ჩხრიალებს კიჩოს უკან, აქატისფერ-მწვანე ტოტები კი თითქოს წვანან, და ფოთლები - ჩურჩულებენ, რალაცას ჩივიან და ფერი მისდით.

...იმ წელს ბევრი ვიმოგზაურეთ — ულუმულუს უბედან ბისკრამდე. ზედ საჰარასთან ურიცხვი კალია შემოგვესია. ჩვენი შოფერი თავაზიანად გვიხსნიდა, ესა, კელებიაო, სურდა, დაგვეჭერა, რომ კელა იყო. ღამით ცა ისე დაბლა იყო, იღუმალი და ყოვლისმხედველი ღმერთის არსებობა იგრძნობოდა. მახსოვს შიშველი, მწირი, პატარა ულედ ნაილი, ტიალი ღამე, ხმებით სავსე, ფლეიტისა და სენეგალური დაფდაფების ხმა. აქლემების ფრუტუნნი, და აქაურ მკვიდრთა — ძველი ავტომობილების საბურავებისაგან შეკერილი სანდლები ეცვათ — ფეხების ფრატუნნი.

მაგრამ იმხანად ისევ არ ვიყავი კარგად — მატარებლები, ქვიშიანი პლაჟები — ყველაფერი ერთმანეთში აირია, იმიტომაც წამიყვანა დიკმა სამოგზაუროდ, მაგრამ მეორე ბავშვის, ჩემი პატარა გოგოს, ტოპსის დაბადების მერე ისევ სიბნელემ მოიცვა ყველაფერი.

...სად არის ჩემი ქმარი, როგორ შეეძლო ჩემი აქ დატოვება, ამ უმეცრებისა და გაუთლელების ხელში. თქვენ მეუბნებით, შავი ბავშვი გაგიჩნდათო — რა უხამსობაა, აფრიკაში იმიტომ წავედით, რომ ტიმგალი გვენახა, ყველაზე მეტად, ამ ქვეყანაზე, არქეოლოგია მაინტერესებს. დავიქანცე იმით, რომ არაფერი ვიცი და წამდაუწუმ, როცა კი უნდათ, მახსენებენ ამას.

როცა მოვრჩები, მინდა განათლებული პიროვნება გავხდე, შენსავით, დიკ — მედიცინას ვისწავლი, მაგრამ ვშიშობ, რომ უკვე გვიანდაა. ვიყიდოთ ჩემი ფულით სახლი — ბინების გამოცვლამ დაძალა და შენმა ლოდინმაც მოგწყინდა ციურიხი, ვიცი, და აქ დრო არა გრჩება, რომ წერო, შენ თვითონ რამდენჯერ გითქვამს, ის მეცნიერი, ვინც არა წერს, სრულყო-

ფილ მეცნიერად ვერ ჩაითვლებათ. მეც რამეს მოგვიღებ ხელს, რაიმე ისეთს, რასაც ისე შევისწავლი, როგორც წესი და რიგია და ეს ძალიან მიშველის, თუ ისევ ისე დამეწყება; შენ დამეხმარები დიკ — მაშინ ისე დამნაშავედ არ ჩავთვლი თავს. სადმე ზღვისპირას დავსახლდებით, სადაც სითბო იქნება, სადაც შეგვეძლება ერთად გავშავდეთ მზეზე და ისევ ახალგაზრდები ვიყოთ.

...აქ დიკის სახლი იქნება, და, იმუშავენს აქ, საოცარია, ეს აზრი ორივეს ცალ-ცალკე, ერთდროულად გაგვიჩნდა. ათჯერ მაინც ჩაგვივლია ტარმთან, ახლა კი ავდექით და შევიარეთ, ვნახეთ იქაურობა, ვნახეთ, რომ ყველა სახლი ცარიელი იყო თითქმის, ორ თავლას გარდა. ვიყიდეთ, ერთი ფრანგის შემწეობით გავაფორმეთ, მაგრამ საზღვაო უწყებამ გაიგო თუ არა, ამერიკელებმა ზღვაზე, მთიანი სოფლის ნაწილი იყიდესო, მაშინვე ჯაშუშები გამოგზავნეს. ყველაფერი გადაჩხრიკეს, სამშენებლო მასალებში ვაითუ ქვემეხები აქვთო გადამალული. ბოლოს ბები, იძულებული გახდა ჩვენი გულისთვის საქმეში ჩარეულიყო და ნაცნობები მოეძებნა პარიზში, საგარეო საქმეთა სამინისტროში.

გაზაფხულობით რივიერაზე არავინ ჩამოდის, ასე რომ, ცოტა ხალხს შევხვდებით, სტუმრებს არ ველით და შეიძლება საქმე აკეთო. ხანდახან ვინმე გამოჩნდება ხოლმე, ფრანგებიდან — წინა კვირას მისტენგეტი ჩამოვიდა, ძალიან გაუკვირდა, რომ ოტელი ღია დახვდა, მერე პიკასო და ის კაცი, „Pas sur la bouche“¹ რომ დაწერა.

...დიკ, ოტელში რად ჩაწერე „მისტერ და მისიზ დაივერები და არა „დოქტორ და მისიზ დაივერები?“ რას ამბობ, ისე ვთქვი, უცებ გამიელვა თავში — შენ თვითონ ყოველთვის მასწავლიდი, რომ ადამიანისთვის ყველაზე მთავარი საქმეა და მე მჯერა შენი. გახსოვს, ამბობდი, კაცმა უნდა თავისი საქმე იცოდეს კარგად, და თუ არ იცის, სხვებსავითაა, და საქმე ის არის, სანამ სხვასავით გახდება ისიც, მაგრად დადგეს ცხოვრებაში, თავისი გზა მანამ იპოვოს. თუ შენ გინდა, რომ ახლა ყველაფერი პირიქით იყოს, იყოს, ოღონდ მითხარი, ძვირფა-

¹ „ოღონდ ტუჩებში არა“ (ფრანგ.).

სო, თავდაყირა დადგეს შენი ნიკოლი, იმისათვის, რომ ფეხ-
დაფეხ მოგყვეს და არ ჩამოგრჩეს?

...ეიბ ნორთი ამბობს, ძალიან ცოტას ლაპარაკობო. როცა
მოვმჯობინდი, იმის მერე მე და დიკა პირველ ხანებში ბევრს
ვლაპარაკობდით, მთელ ღამეს არა ვჩერდებოდით — ვზივართ
საწოლში და სიგარეტს სიგარეტზე ვეწევით; ხოლო როცა
ირიყრაყებდა, თავებს ბალიშებში ჩავრგავდით, რომ სინათ-
ლეს დავმალვოდით, ზოგჯერ სიმღერა მიყვარს, ცხოველებთან
თამაშიც მიყვარს, მეგობრებიცა მყავს — მერი, მაგალითად.
როცა მე და მერი ვლაპარაკობთ, არც ერთი არ ვუსმენთ ერთ-
მანეთს. ლაპარაკი კაცების საქმეა. მე როცა ვლაპარაკობ, ჩემ-
თვის ვამბობ, ახლა, ალბათ დიკი ვარ-მეთქი. ზოგჯერ ჩემი ვა-
ჟიშვილი ვარ, ის ისეთი გონიერია და თანაც დინჯი. ისეც ყო-
ფილა, რომ დოქტორი დომლერიცა ვყოფილვარ, ოდესმე კი,
შესაძლოა რაღაცით თქვენნაირიც გავხდე, ტომი ბარბან... მე
მგონია, ტომის ვუყვარვარ, მაგრამ ჩუმად, თავისთვის. თუმ-
ცა ესეცა კმარა იმისათვის, რომ იმან და დიკმა ერთმანეთი გაა-
ღიზიანონ. საერთოდ კი, ახლა ყველაფერი კარგად მიდის.
ამაზე კარგად არც შეიძლება: ვცხოვრობ ხმელთაშუა ზღვისპო-
რა მხარეს, ამ წყნარ ადგილას, ჩემთან არიან მეგობრები, ვისაც
ვუყვარვარ, ჩემი ქმარი, ჩემი ბავშვები, ყველაფერი მშვენიე-
რია — ოღონდ ეს ოხერი მერილენდურად წიწილის გაკეთების
რეცეპტის ფრანგულად თარგმნა დამამთავრებინა. რა კარგია
ფეხების ჩაფლობა თბილ ქვიშაში.

„ჰო, ვხედავ, კიდევ ახალი ხალხია — რომელი, აა, ეს ქა-
ლიშვილი? ვისა ჰგავსო, რა თქვით?.. არა, არ მინახავს, აქ ხში-
რად არ ჩამოაქვთ ახალი ამერიკული ფილმები. როზმერი? ჰო,
მერე? მოდური გახდა ეს პლაჟი და ეგ არის, არ მეგონა ივლის-
ში თუ ასე იქნებოდა. ჰო, კარგი ქალიშვილია, მაგრამ ბევრი
ხალხი ჩამოვა, ვატყობ“.

XI

დოქტორი რიჩარდ დაივერი და მისიზ ელსი სპირსი კაფე
„კავშირში“ ისხდნენ, გრილსა და მტვრიან ხეების ჩრდილქვეშ.
ავვისტოს ცხელი დღე იდგა. ნაპირიდან ესტერელს ატანდა,

დროდადრო ძლიერად უბერავდა მისტრალი და მეთევზეთა ნაგები მისადგომებთან ირწეოდნენ და ანძები ირხეოდა მთვლემარე ცის ფონზე.

„ამ დილით მივიღე როზმერის წერილი“, თქვა მისი სპირსმა. „საშინელება გადაგხდებოდათ იმ ზანგების გამო. როზმერიმ მომწერა, ვიცი, ძალიან ზრუნავდით მასზე“.

„როზმერის მაგრად ეჭირა თავი, ჯილდო ეკუთვნის, იმ შემთხვევამ კი მართლა შეგვზარა. ერთადერთი, ვინც იმ ამბით არ შეწუხებულა, ეიბ ნორთი იყო — ჰავრში წავიდა, ალბათ, ჯერაც არ გაუგია ამაზე რამე“.

„სამწუხაროა, რომ მისიზ დაივერმა ისეთი მღელვარება გადაიტანა“, ფრთხილად შენიშნა მისიზ სპირსმა. როზმერიმ დედას მოსწერა პარიზიდან: „ნიკოლი ლამის შეიშალა. გადაწყვიტე ამათ აღარ გამოვყვე სამხრეთში, რადგან დიკს უჩემოდაც ბევრი საზრუნავი აქვს“.

„უკვე გამოკეთდა, კარგად არის“. ლამის მოუთმენლად მიუგო დიკმა. „მაშ ხვალ მიდიხართ აქედან. შტატებში როდის-ღა წახვალთ?“

„მაშინვე“.

„ღმერთო ჩემო, გული მწყდება“.

„კარგია, რივიერაზე რომ ჩამოვედით, თქვენი წყალობით მშვენივრად გავატარეთ დრო. თქვენ პირველი კაცი ხართ, ვინც მართლა შეუყვარდა როზმერის“.

ქარმა ისევ დაუბერა ლა-ნაპულის მეწამული მთებიდან. ჰავრში ამინდის შეცვლის სუნი ტრიალებდა; შემთვრალი ზაფხულის თარეში გათავდა.

„როზმერი ყოველთვის ვილაცით იყო გატაცებული, მაგრამ საბოლოოდ ყველას ჩემ ხელში აგდებდა“ — მისიზ სპირსმა გაიცინა, „— ვივისექციისთვის“.

„მე დამინდეთ, ესე იგი“.

„თქვენ სხვა ხართ, აქ მაინც ვერაფერს გავხდებოდი. როზმერის მანამდე შეუყვარდით, სანამ მე გაგიცნობდით და ხელიც არ შემოიშლია“.

დიკისთვის ცხადი იყო, რომ არც თვითონ და არც ნიკოლს მისიზ სპირსის გეგმებში თავისთავადობა არ ენიჭებოდათ და — ისიც ცხადი იყო, რომ მისიზ სპირსის ამორალობა მისი-

ვე თვითაღკვეთიდან მომდინარეობდა. ეს იყო მისი სულიერი პენსია, კომპენსაცია, საკუთარ გრძნობებზე უარისათვის. არსებობისათვის ბრძოლაში ქალს ყველაფერი ეხერხება და მაკაცისგან განსხვავებით, ძნელად რომ „სისასტიკე“ დააბრალო ქალს. სანამ ტკივილითა და ფეხარევით, სიყვარული თავისი გზით მიდიოდა, მისი სპირსს შეეძლო საჭურისის ქირღვითა და განზე დგომით ედევნებინა თვალი მისთვის. იმაზეც არ დაფიქრებულა, იქნებ ვნებული თვითონ როზმერი ყოფილიყო — ანდა, იქნება სჯეროდა, რომ არაფერი მოუვიდოდა?

„თუ, რასაც ამბობთ, მართალია, არა მგონია დიდი ტანჯვა გადაეტანა“. დიკს ბოლომდე უნდოდა დაეჭერა, რომ როზმერიზე მიუდგომლად, უცხოხსავით შეეძლო ფიქრი. „ყოველ შემთხვევაში, თუ რაღაც იყო, გაიარა, ხშირად კი, ცხოვრებაში, შემთხვევითი რამ გგონია და რაღაცად კი იქცევა ხოლმე“.

„ეს შემთხვევითი რამე არ იყო“. დაჯერებით თქვა მისი სპირსმა. „თქვენ მისი პირველი სიყვარული ხართ, იდეალი, ყოველ წერილში ამას ამბობს“.

„როზმერი მეტად თავაზიანია“.

„თქვენ და როზმერი ყველაზე თავაზიანი და საყვარელი ხართ იმათ შორის, ვისაც მე ვიცნობ, მაგრამ როზმერი მართალია, ოდნავადაც კი არ აჭარბებს“.

„ჩემი თავაზიანობა ჩემი ბუნების პარადოქსია“.

ეს ერთგვარად მართალიც იყო. დიკს მამისაგან გადმოეცა ჯარგი მანერები იმ ახალგაზრდა სამხრეთელებისა, სამოქალაქო ომის მერე ჩრდილოეთში რომ გადასახლდნენ, ხშირად იყენებდა ამ მანერებს და შეგნებულადაც, მაგრამ ხშირადვე ვერ იტანდა მათ, რადგან ხედავდა, აქ ეგოიზმის პროტესტი კი არა, უფრო იმის პროტესტი იყო, რომ ეგოიზმი არ დაენახათ.

„მე მიყვარს როზმერი“, უცებ თქვა დიკმა. „სისუსტეა ამის თქმა თქვენთან, მაგრამ ეტყობა, შელავათი მომსურვებია ჩემი თავისთვის“.

სიტყვები რაღაც უცხოდ გაისმა, ოფიციალურად, თითქოს იმისთვის წარმოთქვა, რომ კაფე „კავშირის“ სკამებსა და მაგიდებს გაეგონათ და სამუდამოდ დამახსოვრებოდათ. დიკი უკვე ყველგან და ყველაფერში გრძნობდა როზმერის არყოფნას, პლაჟზე იწვა და იმის მზით დამწვარ მხარს ხედავდა;

ტარში სეირნობდა და ბაღში მისი ფეხის ნაკვალევს სერავდა; ახლა ორკესტრმა „საკარნავალო სიმღერა“ დაუკრა, შარშანდელი და უკვე დავიწყებას მიცემული მხიარულების გამოძახილი და, გარშემო თითქოს ყველაფერი აცეკვდა, მაშინდელივით, მასთან რომ იყო. სულ რაღაც ასიოდე საათში როზმერი თითქოს მფლობელი გახდა ყველაფრისა, რაც კი მსოფლიოს შავმა მაგიამ იცის: ბელადონა, დაბინდულს რომ გიხდის მზერას, კოფეინი, ფიზიკური ძალა ნერვულში რომ გადააქვს, მანდრაგორა, სიმშვიდეს რომ გგვრის.

ძალა მოიკრიბა და ერთხელაც სცადა დაეჯერებინა თავისი თავი, რომ როზმერიზე მისიზ სპირსივით, თითქოს „შორიდან“ შეეძლო მასაც ლაპარაკი.

„თქვენ და როზმერი სულ არ ჰგავხართ“, თქვა დიკმა. „თქვენგან მიღებული სიბრძნე ხმარდება იმ სახის, იმ ნიღბის შექმნას, რითაც ის ქვეყანას წარუდგება. როზმერი არ ფიქრობს, სულის სიღრმეში იგი ირლანდიელია, რომანტიკული და ალოგიკური.“

მისიზ სპირსმა თავადაც კარგად იცოდა, რომ როზმერი, მიუხედავად ნაზი გარეგნობისა, ახალგაზრდა მუსტანგი იყო, დოქტორ ჰოიტის, აშშ მედიცინის სამსახურის კაპიტნის ჭეშმარიტი ქალიშვილი. მშვენიერი გარსის შიგნით, რომ გაგეჭრათ, ერთმანეთთან მიერთებულ უზარმაზარ გულს, ღვიძლსა და სულს ნახავდით.

გამომშვიდობებისას დიკი გრძნობდა მისიზ სპირსის მომხიბვლელობას, სურდა არ სურდა, მისთვის იგი როზმერის რაღაც ფრაგმენტი კი არა, მეტიც იყო. შეიძლება გამოიგონა დიკმა როზმერი, დედამისის გამოგონება მას არ შეეძლო. ასპარეზიდან გასულ როზმერის თუ კვერთხიცა და ძვირფასი თვლებიც, აღრალეები თუ სპეკალები, მოსასხამიც დიკმა უბოძა, მით უფრო ჰგვრიდა სიამეს ახლა, ეყურებინა მომხიბლავი მისიზ სპირსისთვის, რადგან აქ თვითონ განზე იდგა, ასეთი ქალები, ვიდრე მამაკაცს სხვა საქმე აქვს, მათთან ყოფნაზე აღმატებული, ვთქვათ ბრძოლის ველი, ან ოპერაცია, და ხელს ვერ შეუშლი, ვერ ააჩქარებ, იცდიან ხოლმე, გაათავებს ის მამაკაცი თავის საქმეს და მერე მონახავს, სადმე იქნება, გაზეთს ფურცლავს, ანდა წყნარად ზის და არ იტანჯება.

„მშვიდობით, მინდა თქვენ და როზმერის გახსოვდეთ, რომ ძალიან შეგვიყვარდით, მეც და ნიკოლსაც“.

ვილა „დაიანაში“ დაბრუნდა თუ არა, მაშინვე თავის კაბინეტს მიაშურა და დარაბები გამოაღო, წასვლისას დაეხურა, რათა შუადღის პაპანაქებას არ შეეღწია. ორ გრძელ მაგიდაზე თავისი წიგნის მასალები თითქოს განგებ-ეყარა უწესრიგოდ. პირველი ტომი, რომელშიც სნეულებათა კლასიფიკაციაზე იყო ლაპარაკი, ავტორის სახსრებით ერთხელ უკვე გამოიცა მცირე ტირაჟით. ახლა მის მეორე გამოცემაზე შესთავაზეს მოლაპარაკება. მეორე ტომში მისი პირველი პატარა წიგნი, „ფსიქოლოგია ფსიქიატრთათვის“ უნდა შესულიყო, შეესებოდა და იმ პირველ წიგნზე აღმატებული. სხვებივით, თვითონაც დაიჯერა, რომ ერთი ან ორი იდეა თუ ჰქონდა მხოლოდ; და წერილების პატარა კრებული, სულ ახლახან ორმოცდამეათეჯერ გამოცემული გერმანიაში, არსებითად საწყისი თუ იყო იმისა, რაც იცოდა და რაზეც ეფიქრა დღევანდელ დღემდე.

ახლა კი — ახლა წუხდა ნიუ-ჰეივენში დაკარგული წლების გამო, უფრო კი იმ დროის გამო, დაივერების ცხოვრების მზარდ ფუფუნებას რომ ხმარდებოდა. გაახსენდა თავისი რუმინელი მეგობრის ნამბობი იმ მეცნიერზე, არმადილოს ტვინის აგებულებას რომ სწავლობდა მრავალი წლის მანძილზე და ეჭვი უჩნდებოდა, რომ ბერლინისა და ვენის ბიბლიოთეკებში აუჩქარებელი, მოთმინებააღჭურვილი გერმანელები უკვე მიადგნენ იმის თემას. ლამის იმ დასკვნამდე მივიდა, რომ რეზიუმეთი მოეთავებინა და ასიათასსიტყვიან პატარა წიგნად, მომავალში გამოსაცემი უფრო მეცნიერული ტომების შესავლად გამოექვეყნებინა, რაცა ჰქონდა.

საბოლოოდ ირწმუნა, რომ ასე უნდა მოქცეულიყო, ამაზე ფიქრობდა, როცა ჩამავალ მზის სხივებშიყრილ ოთახში ბოლთასა სცემდა. მაშინ უკვე შეიძლებოდა გაზაფხულისთვის გადაეცა გამოსაცემად; როცა ეჭვი ღრღნის და ენერჯის მიუხედავად, მთელი წელი ვერას აკეთებს, — ვინც გინდა იყოს, ცხადზე ცხადია, იმას გეგმა არ უვარგაო, გაიფიქრა.

შენიშვნებით აჭრელებულ ფურცლებს ლითონის მოოქრული ფირფიტები დაადო, პრესპაპიებად ხმარობდა ხოლმე.

მერე ოთახი თვითონვე მიაღება, რადგან აქ მსახურს არ უშვებდა. სააბაზანოში პირსაბანი ბონ ამის პასტით როგორღაც გაწმინდა, თეჯიჩი გაამაგრა და წერილით შეკვეთა გაუგზავნა ციურიხის წიგნის გამომცემლობას. ეს ყველაფერი რომ მოათავა, ჯინი დაისხა, წყალი დაუმატა. — ორი წილი და უფრო მეტიც, და ცოტა მოსვა.

ბაღში ნიკოლს მოჰკრა თვალი. იმის გაფიქრებაზე, რომ ახლა ნიკოლს შეხვდებოდა, დიკს ტყვიასავით დააწვა გულზე რაღაცა, ნიკოლთან ვითომ არაფერი, ისე უნდა მოქცეულიყო, და ასე — დღესაც, ხვალაც, ერთი კვირის მერეც და ერთი წლის მერეც. პარიზში მაშინ მთელ ღამეს დიკის მკლავებში თვლებდა ნიკოლი, ლუმინალმა თავისი ქნა, მაგრამ ძილ-ღვიძილში მყოფ ნიკოლს დილით ადრე კინალამ ახალი შეტევა დაეწყო, დიკმა ალერსითა და ზრუნვით დროზე დაამშვიდა და ისევ ჩაეძინა, დიკის სახეს ეხებოდა იმისი თმა და იმ თბილი თმის სურნელსა გრძნობდა. გაღვიძებამდე ფრთხილად დააწვინა, მეორე ოთახში გავიდა და ტელეფონით ყველაფერი მოაგვარა. როზმერი ამათთან გამოუმშვიდობებლად გადავა სხვა ოტელში, „მამიკოს გოგო“ მამიკოს გოგოდ უნდა დარჩეს. ოტელის პატრონი, მისტერ მაკბეთი ძველი ჩინეთის სამი მაიმუნივით იქნება — არაფერს ხედავს, არაფერი ესმის და არაფერს ამბობს. როგორღაც ჩაალაგეს უამრავი ყუთები, ფუთები, ყველაფერი, რაც კი პარიზში იყიდეს და, შუადლით სამხრეთისკენ, რივიერასკენ მიმავალ მატარებელში ჩასხდნენ.

მაშინ იყო, რეაქციამ რომ იჩინა თავი, და როგორც კი ვაგონის კუპეში დაბინავდნენ, დიკმა იგრძნო, რომ ნიკოლი ელოდა ამას; სანამ მატარებელი პარიზის გარეუბნებს გასცდებოდა, მანამდეც მოეძალა ის უნებური, სასოწარკვეთილი სურვილი — ჩამხტარიყო მატარებლიდან, სანამ მთელი სიჩქარით არ მიქროდა იგი, და ისევ პარიზში გაქანებულებოდა, მოენახა როზმერი, გაეგო როგორ არის, რას აკეთებდა. პენსნე მოირგო. წიგნი გადაშალა და შიგ ჩარგო თავი, ნიკოლი მოპირდაპირე მხარეს იწვა და დიკი გრძნობდა, თვალს არ აშორებდა. კითხვა არ შეეძლო და თვალები დახუჭა, ვითომ ძალიან დაიდალა, ნიკოლი ისევ უყურებდა, ჯერ კიდევ არ განელებოდა ძილის წამლისგან მოგვრილი მოთენთილობა, მაგრამ დაწყნარებული

და თითქმის ბედნიერი იყო იმით, რომ დიკი ისევ მას ეკუთვნოდა.

თვალეები დაეხუჭა, მაგრამ ეს უარესი იყო, ბორბლების რიტმში შკაფიოდ მოესმოდა: ვიპოვე-დავკარგე, ვიპოვე-დავკარგე; მაგრამ თავი რომ არ გაეცა, ლანჩამდე იწვა, ლანჩის დროს ცოტათი გამოკეთდა ყველაფერი — დიკს ყოველთვის უყვარდა ეს საუზმე. სულ რომ მოეთვალა, რაც ნიკოლი და თვითონ შუადღისას ლანჩზე მსხდარან, დიდ ოტელებში თუ გზისპირა სასტუმროებში, ვაგონ-რესტორანებში, ბუფეტებსა თუ თვითმფრინავებში, იმათი რიცხვი ათასსაც გადააჭარბებდა. მატარებლების ოფიციანტების ნაცნობი სირბილი, ღვინისა და მინერალური წყლის პატარა ბოთლები, როგორც ყოველთვის, შესანიშნავი სამზარეულო ამ ხაზზე, პარიზი-ლიონი-ხმელთაშუა და ეს ყველაფერი იმის ილუზიას ქმნიდა, რომ არაფერი შეცვლილა მათ ცხოვრებაში, ოღონდ, პირველად იყო, რომ ნიკოლთან ერთად მგზავრობდა და — საითმე კი არა, გზა საიდანაც მოდიოდა, ღვინო სულ თვითონ დალია თითქმის, ნიკოლმა მხოლოდ ოდნავ მოსვა თავის ჭიქიდან; საუბრობდნენ სახლსა და ბავშვებზე. მაგრამ, კუბეში დაბრუნდნენ და საუბარიც ამოიწურა, ისევ გაჩუმდნენ, მაშინდელივით, ლუქსემბურგის ბაღის წინა რესტორანში რომ ისხდნენ ორთავე. როცა იმავე გზას მიჰყვები, რამაც ტკივილი მოგაყენა, გაიხსენებ, რაც გადაგხდა და — გულზე გეშვება. ამიტომ, თითქოს საჭიროა იმ გზაზე გასვლა, სხვანაირად თავს ვერ დაიხსნი. საკვირველმა მოუთმენლობამ შეიპყრო დიკი; უცებ ნიკოლმა თქვა:

„მაინც კარგად არ გამოვიდა, როზმერი რომ მარტო დავტოვეთ, შენ როგორ ფიქრობ, არაფერი გაუჭირდება?“

„ცხადია, არა. თავს მოუვლის, არ დაიკარგება“. ნიკოლს რომ საყვედურივით არ მიეღო, მაშინვე დაუმატა: „ბოლოს და ბოლოს, მსახიობია და დედა კი ზრუნვას არ აკლებს, მაგრამ ბევრ რამეს თვითონაც უნდა გაართვას თავი“.

„ძალიან მომხიბლავია“;

„ჯერ ბავშვია“.

„სულ ერთია, მაინც მომხიბლავია“.

თითქოს უმიზნოდ ისროდნენ ფრაზებს, ესეც, ერთმანე-

თის გულისთვის, რომ საუბარი როგორღაც გამოსვლოდათ.

„არც ისე ჰკვიანია, როგორც თავიდან მომეჩვენა“, შენიშნა დიკმა.

„საკმაოდ გონიერია“

„საკმაოდ არა, როგორ გითხრა, ბავშვურია, რაც გინდოდა“.

„ძალიან, ძალიან მომხიბლავია“. ხაზგასმით, თითქოს გაძო მწვევად უთხრა ნიკოლმა, „და ძალიან მომეწონა იმ ფილმში“

„რეჟისორია კარგი. მისი თამაში კი — ჩემი აზრით, მიბადვია“.

„არა მგონია. სერთოდ, ალბათ ძალიან უნდა მოსწონდე მამაკაცებს“.

დიკს გული გადაუქანდა. ვინ მამაკაცებს, რამდენ მამაკაცს?

...ხომ არ გეწყინებათ, ფარდას თუ ჩამოვუშვებ?

ო, არა. მართლა რა თვალისმომჭრელი სინათლეა...

სად არის ახლა? ვისთან არის?

„რამდენიმე წლის მერე შენზე ათი წლით უფროსს ემსგავსება“.

„პირიქით. ერთ საღამოს, თეატრში, პროგრამაზე დახატვა ვცადე. ასეთი სახე გვიან ბერდება“.

ორთავეს ცუდად ეძინა იმ ღამეს. ხვალ ან ზეგ დიკი შეეცდება როზმერის აჩრდილის განდევნას მანამ, სანამ სამუდამოდ ჩარჩება სახლის ერთ-ერთ კედელში და დაბინადრდება. მაგრამ ახლა საამისო ძალა არ ჰყოფნიდა. ზოგჯერ ტკივილის მოშორება სიამეზე მეტადაც გიჭირს; ისე ახსოვდა, თვალეზიც კი სტკიოდა ფიქრით. ვერაფერს იზამდა, უნდა ეთვალთმაქცა. ძნელი კი იყო, მაგრამ ნიკოლიც ბრაზსა-ჰგვრიდა, ამდენი ხნის მერე ბოლოს და ბოლოს, ხომ შეიძლება თვითონვე შეამჩნიოს შეტევისწინა სიმპტომები და აირიდოს. ამ ორი კვირის მანძილზე ორჯერ აიწყვიტა: პირველად ტარმში, ხალხი რომ დაპატიჟეს სადილზე. დიკს საძინებლიდან მოესმა მაშინ, როგორ უაზროდ ხარხარებდა ნიკოლი და მისიზ მაკისკოს ეუბნებოდა, სააბაზანოში ვერ შეხვალთ, გასაღები ჭაში ჩავარდაო. გაცელებული მისიზ მაკისკო დაიბნა, აღშფოთდა, შეეშინდა კიდევაც, მაგრამ, ეტყობა, რაღაცას მიხვდა. ის შეძთხ-

ვევა დიკს დიდად არაფრად ჩაუგდია, რადგან მალე გადაუარა, შეწუხდა და მერე გოსის ოტელშიც კი დარეკა ნიკოლმა, მაგრამ მაკისკოები უკვე წასულები იყვნენ.

პარიზში კი — ის შეტევა კი სულ სხვა იყო. იმას რომ იხსენებდა, ახლა პირველიც უფრო სერიოზულად ეჩვენებოდა. შესაძლოა იგი ახალ ციკლს, ავადმყოფობის ახალ აფეთქებას მოასწავებდა. როგორც ექიმმა კი არა, როგორც ადამიანმა, დიკმა ბევრი რამ გადაიტანა ხანგრძლივი რეციდივის დროს, ტოპსის, თავიანთი მეორე ბავშვის გაჩენას რომ მოჰყვა, და იმ აგონიის მერე, მიეჩვია და ძალიან ძვეთრად არჩევდა ხოლმე კარგადმყოფ ნიკოლს ავადმყოფი ნიკოლისაგან. მით უფრო უჭირდა ახლა ერთმანეთისგან გაერჩია ექიმის თავდაცვითი გაუცხოება და რალაცა ახალი სიცივე თავის გულში. გულგრილობასავით, დიდხანს რომ გრძელდება, ან სულაც არაფრად ავდებენ და თანდათან სიცარიელეში გადაიზრდება ხოლმე, სწორედ ასევე შეეძლო დიკს დაცარიელებულიყო, თავისუფალი ყოფილიყო ნიკოლისგან და იმის წინაშე ნება-გრძნობის ჩაურევლად და ძალდატანებით მოეხადა თავისი ვალი. ვილაცა წერს, -სულიერი ჭრილობები ხორცდებაო — უაზრო ანალოგია კანის პათოლოგიასთან, ცხოვრებაში ასე არ ხდება, ასეთი ჭრილობა შეიძლება დაპატარავდეს, შეიძლება ქინძის-თავის ჩხვლეტასავითღა იყოს, მაგრამ მაინც ჭრილობაა და ყოველთვის ღია. გადატანილი ტანჯვის კვალი თითის, ან ერთ თვალში ჩინის დაკარგვას შეიძლება შეადარო. ეჩვევი ამას და წელიწადში ეგებ ერთხელღა გაგახსენდეს, მაგრამ მაინც რალას უშველი.

XII

ნიკოლი ბაღში, გრძელ სკამზე იჯდა, მხრებზე მკლავებზე-მოჭდობილი. დიკს თავისი ნაცრისფერი, გაუსაძლისი ბავშვური ცნობისმოყვარეობით სავსე თვალები შეახათა.

„კანში ვიყავი“, თქვა დიკმა. „მისიზ სპირსს შევხვდი იქ. ხვალ მიდის, ჩამოსვლა უნდოდა, რომ გამოგმშვიდობებოდა, მაგრამ გადავათქმევინე“.

„ტყუილად, გამიხარდებოდა. მე მომწონს იგი“.

„იცი, კიდევ ვინ ვნახე? ბართოლომეო ტეილორი“.

„კარგი ერთი!“

„ბებერი ქრცვინის სიფათი აქვს, მაშინვე იცნობ, რას შეგეშლება. დასაზვერად ჩამოვიდოდა და აი ნახავ — შერბის მთელი სამხეცე აქ გაჩნდება, მე მეგონა მისიზ აბრამზია ავან-პოსტი-მეთქი და ახლა იმათთან ეგ რას მოვა“.

„ბები კი სულ ბუზღუნებდა იმ პირველ ზაფხულს, აქ რომ ჩამოვედით“.

„მაგათთვის მაინც სულ ერთია, სად იქნებიან. ვერ გავიგე, რას დადიან, დარჩნენ იმ დოვილში და გაიყინონ“.

„იქნებ ქოლერაზე ან სხვა ეპიდემიაზე დავყაროთ ხმები?“..

„მეტი კი არაფერი მითქვამს ბართოლომეოსთვის, ზოგი ვერ იტანს აქაურ ჰავას და ბუზებივით იხოცებიან-მეთქი, ზოგიც — რაღა აქ და რაღა ომში მეტყვიამფრქვევე-მეთქი“.

„იგონებ, არ ეტყოდით“.

„ვიგონებ“, გამოტყდა დიკი. „გულითადი საუბარი კი ვავაბით. ჩვენი დანახვა ღირდა — შუა ბულვარზე ვიდექით და ხელს ვართმევდით — ზიგმუნდ ფროიდისა და უორდ მაკკალისტერის შეხვედრა“.

დიკს საუბარი კი არა, მარტო ყოფნა უნდოდა, რომ დღევანდელ დღესა და სიყვარულზე ფიქრი ხვალინდელ დღესა და საქმეზე ფიქრით ეძლია. ნიკოლი გრძნობდა ამას, ოღონდ ბუნდოვნად და ტრაგიკულად, ცოტათი კიდევაც ეჯავრებოდა დიკი, მაგრამ ცოტათი; რაღაც პატარა მხეცივით, რომ მოსაფერებლად სწვდომოდა მხარში.

„ძვირფასო“, უგულისყუროდ თქვა დიკმა.

სახლში შევიდა, დაავიწყდა რისთვის, მაგრამ გაახსენდა, და როიალისკენ წავიდა. სმენით აიღო რამდენიმე აკორდი, თან უსტვენდა.

მხოლოდ შენ გხედავ, მუხლზე მიზიხარ,
ორნი ვართ ქვეყნად, როგორ მინდიხარ,
მე შენთვის მოვკვდე, რაღად მიდიხარ...
მხოლოდ შენ ერთთან,
და ჩემთან ერთად...

მელოდიასთან ერთად ცნობიერებას ნელ დინებასავით დაუშარა აზრმა, რომ ნიკოლს ესმოდა და მიხვდებოდა, რა სევ-

დაც კლავდა იმ ორ კვირაზე. რაღაც აკორდით შეწყვიტა და-
კვრა და როიალს მოსცილდა.

მიიხედ-მოიხედა. არ იცოდა სად წასულიყო. ეს სახლი
ნიკოლმა შექმნა თავისი პაპის ფულით. აქ მხოლოდ ფლიგე-
ლი და რაზეც ეს ფლიგელი დგას, ის მიწა ეკუთვნის დიკს.
წელიწადში თავისი სამი ათასით და იმით, რასაც დროდადრო
გამოქვეყნებულ წიგნებში აძლევდნენ, დიკი იცვამდა, ღვინის
სარდაფს ამარაგებდა, ჯიბის ფულად ჰყოფნიდა და ლანიეს
ძიძას უხდიდა, — სწავლა-აღზრდისთვის ჯერ ძიძა ჰყავდათ მი-
ჩენილი. ნიკოლის რაც გინდა წამოწყებაში დიკს თავისი წი-
ლი ყოველთვის ედო. თვითონ საკმაოდ ასკეტურად ცხოვრობ-
და. მარტო თუ მგზავრობდა — მხოლოდ მესამე კლასის ვაგო-
ნით, სვამდა ყველაზე იაფფასიან ღვინოს, ტანსაცმელს უფრ-
თხილდებოდა, ექსტრავაგანტურობისთვის თავს ისჯიდა ხოლ-
მე და ამით ის მოახერხა, რომ ფინანსურად ერთგვარად თავ-
ვისთავადიც ყოფილიყო. მაგრამ, თანდათანობით ესეც ჭირ-
და. ძალიან ხშირად ერთად უნდა ეფიქრათ ხოლმე ნიკოლის
ფულზე, იმაზე, როგორ მოეხმარათ. ცხადია, ნიკოლი, რაკილა
სურდა, დიკი ყოველთვის თან ჰყოლოდა და მხოლოდ იმისი
ყოფილიყო, იმის მხრით ოდნავ სისუსტესაც კი მაშინათვე
ეჭიდებოდა. იოლი არ იყო გასძალებოდა ამდენ ფულსა თუ
წამლეკავ ნივთებს. ახლა სულ უფრო შორდებოდნენ იმ მია-
მიტურ პირობებს, რითაც მაშინ ორთავ შეერთდა ციურისში.
მაგალითად კლდეზე გაშენებული ვილა გამოდგებოდა, ფან-
ტაზიით რომ წარმოიშვა ერთ მშვენიერ დღეს. „რა კარგი იქ-
ნებოდა, რომ...“ ამბობდნენ ხოლმე, და, „რა კარგი იქნება,
როცა...“ ამბობდნენ მერე.

მაგრამ არც ისე კარგი იყო ყველაფერი. ნიკოლის პრობ-
ლემები დიკის საქმეში აიხლართა და ხელი ეშლებოდა; თანაც
ბოლო ხანს ისე სწრაფად იზრდებოდა ნიკოლის შემოსავალი,
რომ დიკის მუშაობას ფასი ეკარგებოდა. გარდა ამისა, წლე-
ბის მანძილზე, რაკი იგი ავადა ჰყავდა და უნდა ეზრუნა, თავი
დააჯერა, ძალიან მეოჯახე ვარო და იშვიათად თუ მოსცილდე-
ბოდა იქაურობას. ეს მოჩვენებითობაც სულ უფრო ძნელი
ასატანი ხდებოდა ამ უღონო უძრაობაში, სადაც იგი მიკროს-
კოპის ქვეშ იყო და მუდამ სინჯავდნენ. რაკი დიკი ბოლომდე

ველარ უკრავს რის დაკვრაც უნდოდა, ეს იმის ნიშანია, რომ ცხოვრება წერტილამდეა დასული. კიდევ კარგა ხანს იჯდა დიდ ოთახში, სადაც როიალი იდგა და ელექტრო საათის ზუზუნს უგდებდა ყურს. უსმენდა, როგორ მიდიოდა დრო.

ნოემბრის თვეში ზღვა შავად მოიქცა, ტალღები სულ უფრო მეტად ეხეთქებოდა ჯებირს და სანაპირო გზამდე გადმოდიოდა. წავიდა ზაფხულის ცხოვრება და მიტოვებული პლანეტებიც შესაბრალისად იყურებოდნენ მისტრალსა და წვიმაში. გოსის ოტელი დაიხურა, რომ შეეკეთებინათ და გაეფართოებინათ და ჟუან-ლე-პენის საზაფხულო კაზინოსაც ემატებოდა და ემატებოდა საშენი ხე-ტყე. კანსა და ნიცაში დაივერებს ახალი ნაცნობები შეემატნენ — ორკესტრანტები, რესტორანტორები, მებაღე ენთუზიასტები, გემთმშენებლები, — დიკმა თავისთვის ძველი, მოტორიანი დიდი ნავი იყიდა, — და „სინდიკატ ინიციატივის“¹ წევრები. თავიანთი მსახურების ზნე-ჩვევები ორთავემ კარგად იცოდა და ბავშვების აღზრდაზეც ბევრს ფიქრობდნენ; დეკემბრისთვის ნიკოლი უკვე ისევ გამოკეთდა; მთელ იმ თვის მანძილზე დიკს ერთხელაც არ შემჩნევია დაძაბული მზერა, მოკუმული პირი ან უმიზნო სიცილი, არ გაუგონია ერთი უაზრო რემარკაც კი, და საშობაოდ დაივერები შვეიცარიის ალპებში წავიდნენ.

XIII

შიგ შესვლამდე დიკმა ქუდით ჩამოიფერთხა თოვლი მუქი ლურჯი სათხილამურო კოსტიუმიდან. ჩაის მერე დიდი ჰოლი უკვე დაეცალათ, მაგიდები კედელთან მიედგათ და ორათეულ წელს სათხილამურო ფეხსაცმლის დიდ ლურსმნებდაკვალულ იატაკზე, ნაყვავილარს რომ ჰგავდა, ახალგაზრდა ამერიკელები ცეკვავდნენ. ასამდე იქნებოდნენ, სუყველა გშტადის დასახლების სკოლელები: „ნუ მოგყავს ლულუს“ მხიარულ ჰანგზე ხტოდნენ და ჩარლსტონის შმაგ რიტმში შეპყრობილები-

¹ ადგილობრივი რესურსების გამოვლენის ორგანიზაცია.

ვით იკრუნხებოდნენ. აქ გულუბრყვილო და უფიქრელი ახალგაზრდობის კოლონია იყო — მოთარეშე მდიდრებს სენ მორიცში მოეყარათ თავი — ბები უორენი გრძნობდა, თავი რომ გაიმეტა და დაივერებს გშტადში წამოჰყვა.

დიკმა იოლად შეამჩნია დები ხალხში, პლაკატებივით თვალშისაცემი სათხილამურო კოსტიუმები ეცვათ — ნიკოლს ცასავით ლურჯი, ხოლო ბების აგურისფერ-წითელი. ახალგაზრდა ინგლისელი რაღაცას უამბობდა, მაგრამ არ უსმენდნენ. ცეკვის რიტმს ისინიც აეტანა და მიმორწეულ ჰოლში მოცეკვავე ქალ-ვაჟიანს თვალს არ აშორებდნენ.

თოვლისაგან ისედაც დაწვებაწითლებული და გაბრწყინებული ნიკოლი დიკის დანახვაზე კიდევ უფრო გაბრწყინდა.

„ჰო, სად არის?“

„მატარებელზე დააგვიანდა, შემდეგს გამოჰყვება“. დიკი დაჯდა, ფეხი ფეხზე გადაიდო, მძიმე ფეხსაცმელს აქანავებდა.

„გასაგიჟებლები ხართ ორივენი. ხანდახან მავიწყდება, რომ აქ ერთადა ვართ და თქვენ დანახვაზე ლამის არის ჭკუა დაგკარგო“.

ბები მაღალი იყო, ლამაზი გარეგნობისა, კარგად მოვლილი და არ ემჩნეოდა, რომ მალე ოცდაათს გადასცდებოდა. ლონდონიდან ორი თანამგზავრი ჩამოეყვანა — ერთი ჯერაც კემბრიჯელი სტუდენტი, მეორე კი ვიქტორიანული ტიპის ხანშესული უზნეო მამაკაცი. შიგდაშიგ ბები უკვე ავლენდა შინაბერულ ჩვევებს — ზედმეტ მგრძნობიარობას მიკარებაზე, შეკრთომას — ვინმე თუ უცებ შეეხებოდა, ისეთი ხანგრძლივი კონტაქტები კი, როგორც კოცნა ან მოხვევაა, სხეულს ატანდა და პირდაპირ გონებაზე გადადიოდა. ქესტიკულაციას იშვიათად მიმართავდა — ეს მთელი ტანის მოქნილობას მოითხოვდა, და ფეხის დარტყმას ამჯობინებდა, ანდა, თითქმის ძველმოდურად თავის გაქნევას. თუ ნაცნობთაგანს უბედურება შეემთხვეოდა, სიამოვნებას ჰგვრიდა სიკვდილის წინათგრძნობა და გემოს ატანდა ნიკოლის ტრაგიკულ ხვედრზე ფიქრს.

იმ ინგლისელებიდან უფრო ახალგაზრდა, როცა თხილამურებით სეირნობდნენ, ან მთიდან მარხილით ეშვებოდნენ, დებს თან ახლდა. დიკი მეტისმეტ რისკზე წავიდა, პირველსავე დღეს ისეთი ტელემარკი გააკეთა, კოჭი იღრძო და ამიტომ,

მხოლოდ ბავშვებთან ერთად თუ შეეძლო „ბაღების ფერ-
დობზე“ ესრიალა, ან კიდევ, სულაც ოტელში რჩებოდა და
ბურახს სვამდა ერთ რუს ექიმთან.

„გამხიარულდი, დიკ, მოწყენილი ხარ“, ჩააცვივდებოდა ნი-
კოლი. „ამდენი გოგოა, გაიცანი, შუადღეზე საცეკვაოდ გაიწ-
ვიე და გაერთობი“.

„ძერე, რაზე უნდა ველაპარაკო?“

„შენ როგორ ფიქრობ, რაზე უნდა ველაპარაკო?“ განგებ
აიმაღლა თავისი დაბალი, ოდნავ მოგუდული ხმა და კეკლუ-
ცად გააბა: „ო, რა კარგია, რა სჯობია ახალგაზრდობას“.

„ვერ ვიტან ნორჩ გოგოებს, ზეითუნნარევი საპნისა და
პიტნის ჩასატკბარუნებლის სუნი ასდით. იმათთან რომ ცეკ-
ვავ, გეგონება, საბავშვო ეტლს დაატარებო“.

ეს სახიფათო თემა იყო და დიკს წუთითაც არ ავიწყდებო-
და, რომ ფრთხილად უნდა ყოფილიყო — ცდილობდა კიდევ-
ვაც ქალწულებისთვის არ შეეხედა და სადღაც იმათ თავებზე-
მთხეცედა.

„ბევრი საქმე გვაქვს“. თქვა ბებიმ. „ჯერ ერთი, წერილი
მივიღე შინიდან იმ ნაკვეთზე, ვაგზლის ნაკვეთს რომ ვეძახით.
ამ ნაკვეთის ნახევარი დიდი ხანია რაც იმ ვაგზლის კომპანიამ
შეისყიდა და ახლა იმავე კომპანიამ მთლიანად იყიდა ნაკვეთი.
ეს მიწა მემკვიდრეობის ნაწილია, დედას ეკუთვნოდა, საკი-
თხი ასე დგას: დაბანდდეს აღებული ფული“.

ინგლისელმა, ვითომ, აქაოდა ასეთი თემა არ მაინტერესებ-
სო, ვიღაც ქალიშვილი გაიწვია საცეკვაოდ. ბებიმ მიბნედი-
ლი მზერა გააყოლა, იმ ამერიკელი ქალიშვილებივით, მთელი
თავიანთი ცხოვრება ყველაფერ ინგლისურს რომ აღმერთე-
ბენ, და მერე ისევ საუბარს დაუბრუნდა:

„ფული კარგა ბევრია. თითოეულზე სამას ათასამდე შო-
დის. ჩემი კაპიტალდაბანდება ჩემი საქმეა, მივხედავ, მაგრამ
ნიკოლს ამ საქმეში არაფერი გაეგება და მგონია, არც თქვენ
გაგეგებათ“.

„მატარებელზე არ დამაგვიანდეს“, ორჭოფულად თქვა
დიკმა.

გარეთ თოვდა. ჩაძობნელდა, სველი ფიფქები სახეში ეყ-
რებოდა და ეყლაპებოდა. სამმა პატარა ბიჭმა ციგებით ჩაუა-

რა, რაღაც გაუგებარ ენაზე დაუძახეს, აფრთხილებდნენ. ცოტა ხნის მერე უკვე ქვევიდან, მოსახვევიდან მოისმა იმათი ხმა. მთაზე ამავეალი ცხენის მარხილის და ჟღარუნების ხმა გაიგონა. დღე-სასწაული ახლოვდებოდა და ვაგზალიც ბრწყინავდა. ჭაბუკები და ქალიშვილები კიდევ ჭაბუკებისა და ქალიშვილების ჩამოსვლას ელოდნენ; ეს რიტში დიკსაც გადაედო და მატარებლიდან ჩამოსულ ფრანც გრეგოროვიუსს ისეთი სახით შეხვდა, გეგონება გაუთავებელი ლხინიდან ცოტა ხნით ძლივძლივობით დაედწია თავი, რომ აქ მოსულიყო. მაგრამ ფრანცს რაღაც მიზანი ჰქონდა და დიკის ლხენაც ვერ გადაახვევინებდა ფრანცს ამ მიზნიდან. „მე შემიძლია ციურისში ჩამოსვლა, ერთი დღით მაინც“, იწერებოდა დიკი, „ან იქნებ თქვენ მოახერხოთ და ჩამოხვიდეთ ლოზანაში?“ ფრანცმა გშტადში ჩამოსვლაც მოახერხა.

ფრანცი ორმოცი წლისა იყო. ჯანმრთელი შესახედაობისა, კარგი, პროფესიული მანერებით, მაგრამ ამ მანერებზე მეტად ერთგვარი პედანტიზმი უფრო იცავდა, ამით შეეძლო ზიზღებოდა ის მდიდარი პაციენტები. რომლებისთვისაც ხელახლა უნდა ესწავლებინა. ცხოვრება. მეცნიერული მემკვიდრეობა დიდ სამყაროს უშლიდა წინ, მაგრამ, ეტყობა თვითონ უფრო მოკრძალებული ცხოვრებისეული პოზიცია ამჯობინა და ეს ცოლის არჩევითაც დაადასტურა. ოტელში ბები უორენმა ახედ-ედ-დახედა და რაკი ღირსსაცნობი ვერაფერი აღმოაჩინა, ვერც სინატიფე-დახვეწილობა, ერთი სიტყვით ვერაფერი, რითაც ერთმანეთს მაშინვე ცნობენ პრივილეგიური კლასები, მხოლოდ მეორეხარისხოვანი ყურადღების ღირსი გახადა. ნიკოლს, როგორც ყოველთვის, ცოტათი ეშინოდა ფრანცის. დიკს მოსწონდა, და როგორც ყველა თავის მეგობარს, ამასაც ისე ექცეოდა, ზედმეტი არ უყვარდა.

საღამოთი ისინი გორაკის ჩავლით სოფელში დაეშვნენ პატარა მარხილებით. მარხილები აქაურებისთვის ის იყო, რაც ვენეციელებისთვის — გონდოლები, სოფელს ოტელიცა ჰქონდა, შვეიცარიული ძველი სახამროთი — ფიცრული კედლებით, ექოსავით არეკლილ ხმებს რომ აყენებდა, საათებით, კასრებით, კათხებითა და ირმის რქებით. გრძელი მაგიდები ერთმანეთზე მიედგათ, იტყოდით, დიდი ქეიფი აქვთო. ყველანი

ძნელმოსანელებელ, უელსურ საჭმელს შეექცეოდნენ და ზედ შეზავებულ წითელ, ცხელ ღვინოს აყოლებდნენ.

ღრეობდნენ, ძალი პატრონს ვერ იცნობსო, თქვა ახალგაზრდა ინგლისელმა და დიკმაც კვერი დაუკრა, ზუსტიაო. ცხელი, შეზავებული ღვინო თავში აუვარდა, ეჩვენებოდა, რომ ოთხმოცდაათიანი ოქროს წლების ჭაღარა ვეტერანების, პიანინოს რომ მისხდომოდნენ და ძველ სიმღერებს გაჰყვიროდნენ, იმათ აყოლილი ახალგაზრდა ხმებისა და ელვარე კოსტიუმების თამბაქოს კვამლში შერეული ფერების გამო, ყველაფერი ისევ თავის ადგილას დალაგდა სამყაროში. წამით თითქოს ხომალდზე იყვნენ ზღვაში, და საცაა ხმელეთს დაინახავდნენ. ქალწულებრივი სახეები, მომლოდინე, რომ ეს საღამოცა და ეს ლხინიც რაღაცა ახალს ჰპირდებოდა... დიკმა მალულად გაიხედა, ადრე რომ შეამჩნია, იმ ამერიკელ ქალიშვილს ეძებდა თვალით, მოეჩვენა, რომ ისიც მაგიდას უჯდა, ოღონდ ამათ უკან — მერე სულაც გადაავიწყდა და მიეთმოეთს მოჰყვა, რაღაცებს იგონებდა, თავისებს ართობდა.

„მინდა გელაპარაკოთ“, ინგლისურად უთხრა ფრანცმა. „მხოლოდ ორი დღით წამოვედი“.

„მივხვდი, გუნებაში რაღაცა გქონდათ“.

„გეგმა მაქვს — შესანიშნავი“. ფრანცმა თავისი მძიმე ხელი დიკის მუხლს დაადო. „გეგმა, რომელიც ჩვენ ორივეს გამოგვადგება“.

„რა არის?“

„დიკ, შეგვიძლია საკუთარი კლინიკა გვქონდეს — გახსოვთ ბრაუნის ძველი კლინიკა ცუგის ტბაზე? ძველია, მაგრამ თითქმის მთლიანად ახალი ტექნიკით აღჭურვილი. ბრაუნი ავად არის და ავსტრიაში სურს წასვლა. იქ თუ უნდა წუთისოფელს დაემშვიდობოს, ალბათ ამისთვის. ასეთი შანსი ცხოვრებაში ერთხელ გეძლევა კაცს. თქვენ და მე — უკეთეს წყვილს ვერც ინატრებ! არა, მოიცათ, ბოლომდე მათქმევინეთ“.

ბების თვალეებში ყვითელმა ცეცხლმა დაკვესა და დიკი მიხვდა, რომ ყურს უგდებდა.

„ეს საერთო საქმე იქნება. თქვენ მიიღებთ ბაზას, ლაბორატორიას, საკუთარ ექსპერიმენტულ ცენტრს და ხელფებზე-ბოჭილიც არ იქნებით — ბევრი-ბევრი ექვსი თვე იყოთ აღ-“

გილზე, კარგი თვეები, კარგ ამინდში, ზამთარში კი შეგიძლიათ წახვიდეთ ამერიკაში ან საფრანგეთში და ახალი კლინიკური გამოცდილების ბაზაზე წიგნები წეროთ“. ფრანცმა ცოტა ხმას დაუწია. „ოჯახისთვისაც გამოგადგებათ კლინიკის რეჟიმი, ატმოსფერო“. დიკს ვერ შეატყო მხარდაჭერა და ამ პუნქტს მოეშვა, ენის წვერი ოდნავ გამოყო და უმალ დამალა. „ჩვენ შეგვეძლება პარტნიორობა, მე ადმინისტრატორი ვიქნები, თქვენ — თეორეტიკოსი, ბრწყინვალე, მაღალკვალიფიციური კონსულტანტი და ასე შემდეგ. მე ვიცი ვინ ვარ და რა ვარ. ვიცი, მაინცდამაინც დიდი ნიჭით ვერ დავიკვებხნი, თქვენ — პირიქით. მაგრამ კარგ კლინიკისტად ვითვლები და მკურნალობის ახალი მეთოდებიც ვიცი, ამ მხრივ მეტად კომპეტენტურიცა ვარ. ზოგჯერ თვეობით ვუძღვებოდი ძველ კლინიკას. პროფესორი აღტაცებულია ამ გეგმით. არ გადაიფიქროთო, მირჩევს. სიცოცხლეს არ ვეთხოვები და ბოლო წუთამდე ადგილზე ვიქნებიო, ამასაც ამბობს“.

სანამ საქმიან მხარეს შეეხებოდა, დიკმა წინასწარ წარმოიდგინა მთელი ეს პერსპექტივა.

„ფინანსურ მხარეზე რას იტყვით?“ ჰკითხა ბოლოს.

ფრანცს ყველაფერი, ნიკაპი, წარბები, არც ისე ღრმა ნაოჭები შუბლზე, თითები, იდაყვები, მხრები, რალაცა აეზიდა, ფეხის კუნთები ისე დაეჭიმა, რომ შარვლის ქსოვილზეც კი შეეტყო. გულიც კი ყელთან მიეზჩინა, ხმა კი თითქოს ხახას მიეკრა.

„საქმეც ეგ არის! ფული!“ მწარედ წამოიძახა. „ფული ცოტა მაქვს. ბრაუნმა კლინიკა ამერიკულ ფულზე ორას ათას დოლარად შეაფასა. აუცილებელია მოდერნი-ზა-ცია“ — ბოლო სიტყვა ისე წარმოთქვა, გეგონება გემოს ატანდა თითოეულ მარცვალს, — „ოცი ათასი დოლარი დაჯდება. მაგრამ ეს კლინიკა ოქროს საბადოა, გეუბნებით, ასეა, ღრმად მჯერა. საქმეს უკვე, ასე ფუ ისე, გადავხედე. ორას ოცი ათასი დოლარის დაბანდებით ამ საქმეში, ისეთი შემოსავალი გვექნება...“

ბები ლამის გათავდა ცნობისმოყვარეობისაგან, ეყოფაო, გაიფიქრა დიკმა და თქვა:

„ბები“, მიმართა მან, „ერთი მითხარით, ევროპელს თუ

სასწრაფოდ ამერიკელი დასჭირდა, ეს უეჭველად. ხომ იმას ნიშნავს, რომ საქმე ფულს ეხება?“

„რა ხდება?“ უცოდველად იკითხა ბებიმ.

„ამ ახალგაზრდა პრივატ-დოცენტს სურს, ჩემთან ერთად დიდი ბიზნესი წამოიწყოს — კლინიკა გახსნას ნერვებით დაავადებული ამერიკელებისათვის“.

ფრანცი შეშფოთებით შეაჩერდა ბების, დიკი ისევ ლაპარაკობდა:

„ჰო, მაგრამ, ვინა ვართ ჩვენ, ფრანც? თქვენ დიდი წინაპრების სახელს ატარებთ, მე კი ფსიქიატრიის ორი სახელმძღვანელო გამოვაქვეყნე. განა ეს კმარა ავადმყოფების მისაზიდად? თანაც, არც მე მაქვს ბევრი ფული — მეათედიც არა მაქვს“. დიკმა შეამჩნია, ფრანცმა უნდობლად ჩაიციხა. „პატიოსან სიტყვას გეუბნებით, არა მაქვს. ნიკოლი და ბები მდიდრები არიან, კრეზებივით, მაგრამ ეს სიმდიდრე ჩემ ხელთ არ არის, ვერ მოვახერხე ათვისება“.

ახლა სუყველა ამათ ლაპარაკს უგდებდა ყურს — შეიძლება ის ქალიშვილიც, სადღაც უკანა მაგიდასთან რომ ზისო, გაიფიქრა დიკმა. ამ აზრმა გაართო კიდევაც. ადგეს და ბებიმ ილაპარაკოს მის მაგივრად. თავისთვის დაასკვნა, იმ კაცებივით, ხშირად ქალებს რომ ალაპარაკებენ საქმეზე, მაგრამ იციან, რომ ბოლო სიტყვა მათზე არ არის. ბები უცებ მთლად პაპამისად იქცა, იმისი დინჯი და საქმიანი იერი მიიღო.

„ჩემი აზრით ამაზე დაფიქრება ღირს, დიკ. კარგად არ ციცი რა თქვა დოქტორმა გრეგორიმ, მაგრამ, მე მგონია...“

ის ქალწული კვამლის რგოლებში ჩაიხარა უკან და იატაკიდან რაღაცა წამოკრიბა. ნიკოლის სახე დიკის წინ იყო — მისი სილამაზე, ახლა თითქოს განგებ მღელვარე და მომლოდინე, იღვრებოდა და თითქოს ერთვოდა დიკის სიყვარულს, იმ სიყვარულს, ყოველთვის რომ იცავდა ნიკოლს.

„მოიფიქრეთ, დიკ“, ჩაცხებით ამბობდა აღელვებული ფრანცი. „არ შეიძლება ფსიქიატრიაზე წერო, თუ კლინიკასთან კავშირი არა გაქვს. იუნგი წერს, ბლეილერი წერს, ფროიდი წერს, მიხედეთ ფორელსა და ადლერს, ყველანი წერენ და გონებრივი აშლილობის შემთხვევებს ყველანი კლინიკებში აკვირდებიან, ეს კავშირი ყველას სჭირდება“.

„მერე, მე რისთვისა ვარ?“ გაიცინა ნიკოლმა, „მე თუ მკითხავთ, ერთი ასეთი გონებრივი აშლილობა მეტიც არის ერთი კაციისთვის“.

„ეს სულ სხვა რამეა“, ფრთხილად შენიშნა ფრანცმა.

ბები კი უკვე ფიქრობდა იმაზე, რომ ნიკოლის კლინიკასთან ახლო ცხოვრება მასზე ჯავრს თითქმის გაუქრობდა.

„ჩვენ ყველაფერს მოვიფიქრებთ“, თქვა მან.

ბების თავხედობამ გააცინა დიკი, მაგრამ ცოტა გაბრაზდა კიდევ. „საქმე მე მეხება, ბები“, მშვიდად შენიშნა მან. „რა თქმა უნდა, ძალიან მსიამოვნებს, რომ მზადა ხართ მიყიდოთ კლინიკა“.

იგრძნო ბებიმ, კარგად არ გამოუვიდა და მაშინვე უკან დახევა სცადა.

„რა თქმა უნდა, დიკ, ეს მთლიანად თქვენი საქმეა“.

„ასეთ საკითხს სახელდახელოდ ვერ გადაწყვეტ, რამდენიმე კვირა მაინც გჭირდება კაცს, რომ მოიფიქრო. თანაც არ ვიცი, როგორ გავძლებთ მე და ნიკოლი ციურბში. მე...“ ფრანცს მიუბრუნდა, წინასწარ მიხვდა, რა პასუხსაც მიიღებდა. „ჰო, რა თქმა უნდა, ვიცი, ციურბში წყალიც არის, გაზიც და ელექტრონიც — სამი წელი ვცხოვრობდით იქ“.

„მოიფიქრეთ, მე არ გაჩქარებთ“, თქვა ფრანცმა, „მაგრამ მჯერა, რომ...“

ასი წყვილი ხუთგირვანქიანი მძიმე ფეხსაცმელი აბრაზუნდა გასასვლელთან და თავისი კომპანიითურთ დიკიც სხვებს მიჰყვა. გარეთ, მთვარის ცივ ნათებაში ისევ მოჰკრა თვალი იმ ქალიშვილს. ციგის მარხილზე მიბმას ცდილობდა. თავიანთი მარხილი მონახეს, ზედ ავიდნენ, ცხენები აიძაგრნენ და შეძახილსა და მათრახების ტკაცუნში დაიძრნენ, მკერდით მიარღვევდნენ ღამეულ ჰაერს. ვილაცები სირბილით ეწეოდნენ, ციგებს ეჭიდებოდნენ, ყველაზე ახალგაზრდები ერთმანეთს აწყობდებოდნენ და რბილსა და მშრალ თოვლში ეცემოდნენ. მერე ისევ სირბილით ეწეოდნენ და არაქათწართმეულები დაეხეთქებოდნენ ციგებზე, ან თუ არადა, ღრიალებდნენ, ჩვენი დატოვება გინდათო. გარეშემო მწყალობელ ველებს მიერულათ გზა, რომელსაც ეს კავალკადა ზევით მიჰყავდა, უსასრულო და და უსაზღვრო იყო. სოფელთან მიჩუმდნენ. ეტყობა, ატავის-

ტურად მიუგდეს ყური თოვლის სითეთრეშერეულ სივრცეს —
ძვლების ყმუილი ხომ არ ისძისო.

საანენში უცებ მოიფიქრეს მუნიციპალურ მეჯლისზე წასვ-
ლა და მწყემსების, ოტელის მსახურების, დახლიდარების, მო-
თხილამურე გიდების, ტურისტების, გლეხების ბრბოში გაე-
რივნენ. პანთეისტური შეგრძნების მერე, ისევ სითბო და ხალ-
ხმრავლობა რალაც აბსურდული, რაინდის ბრწყინვალე სახე-
ლის დაბრუნებასა თუ ომში მძიმე და დეზებიანი ჩექმებივით
ზარდამცემსა და გასახდელში კი ბეტონის იატაკზე ფეხბურ-
თის ბუცების ყურთწამლებ ხმასა ჰგავდა. ტიროლურ სიმღე-
რებს მღეროდნენ, იოდელის ნაცნობ რიტმს დიკი იმ რომან-
ტიკულობიდან გამოჰყავდა, რითაც პირველად შეეხედა ამ სა-
ნახაობისთვის. გუნება შეეცვალა — გაიფიქრა, ალბათ იმი-
ტომ, რომ თავიდან ამოვიგდეო იმ ქალიშვილზე ფიქრი, მაგ-
რამ მერე გაახსენდა ბების სიტყვები: „ჩვენ ყველაფერს მო-
ვიფიქრებთ...“ და ისიც, რაც ამის მიღმა იფარებოდა: „თქვენ
ჩვენ გვეკუთვნით, ადრე თუ გვიან ამას თვითონაც აღიარებთ,
აბსურდია თქვენი ეგეთი თავდაჭერაც — ვითომდა არა“.

დიდი ხანია დიკს აღარავისი ბოღმა ჰქონია — იმის მერე,
ნიუ-ჰეივენელი პირველი კურსის სტუდენტი რომ იყო და
„გონებრივ ჰიგიენაზე“ პოპულარულ ესეს წააწყდა. ახლა ბე-
ბიმ გააცოფა პირდაპირ თავისი გულგრილი თავხედობით, აქა-
ოდა, მდიდარი ვარო, და ბრაზს ველარ იოკებდა. გულს უნდა
მორეოდა, მაგრამ ადვილი არ იყო. ალბათ რამდენი ასი წელი
გაივლის, მანამ, სანამ ასეთი ამორძალები მიხვდებიან, რომ
ფაქტიურად ადამიანი ყველაზე უფრო მოწყვლადია სიამაყე-
ში და უნდა ეცადო არ შეულახო ეს სიამაყე, თუ არადა, ჰამპ-
ტი-დამპტი¹ ხდება, ვისაც მერე პირმოთნედაც ექცევა ყველა,
და გვიანლა არის. დოქტორი დაივერი თავისმა პროფესიამ.
რითაც დაწეწილი სულის პაციენტებთან უხდებოდა ყოფნა,
მიაჩვია, სათუთად მოპყრობოდა ადამიანებს. მაგრამ:

„მეტისმეტად თავაზიანი გახდა ყველა“, თქვა მან, წყნა-
რად მავალი მარხილებით ისევ გშტადის გზას რომ დაადგნენ.

„მე ვფიქრობ, ეს ძალიან კარგია“, მიუგო ბებიმ.

¹ ძველი ინგლისური საბავშვო გამოცანის გმირი (პასუხით: „კვერ-
ცი“).

„არა, არ არის ძალიან კარგი“, შეესიტყვა დიკი, უსახო ბეწვეულს მიმართავდა სიბნელეში. „რა არის ეს მეტისმეტი თავაზიანობა, ის, რომ სუყველა მეტისმეტად სათუთია და უხელთათმანოდ ვერ შეეხები. მერედა, პატივისცემა ადამიანის მიმართ? ცხადია, იოლი არ არის, ვინმეს მატყუარა, ან ლაჩარი დაუძახო, მაგრამ თუკი მთელი სიცოცხლე ხალხის გრძნობებს დაინდობ და პატივმოყვარეობას ასაზრდოებ, მაშინ, ბოლოს და ბოლოს იმას როგორღა მიაგებ პატივს, რაც ჭეშმარიტად ღირსეულია ადამიანში“.

„მე ვფიქრობ, ამერიკელები ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ მანერებს“, შენიშნა ხნიერმა ინგლისელმა.

„ასეა, ძალიან“, დაუდასტურა დიკმა. „მამაჩემს, მაგალითად, შთამომავლობით ჰქონდა ძვალ-რბილში გამჭდარი მანერები, იმ დროიდან, როცა ჯერ იარაღს ესროდნენ ხოლმე ერთმანეთს და მერე ბოდიშსაც მოიხდიდნენ. იარაღასხმული კაცი — თუმცა თქვენ, ევროპელები უკვე მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისიდან აღარ ატარებთ იარაღს მშვიდობიან დროს...“

„იქნებ მთლად ასე...“

„მთლად ასე და ისედაც“.

„თქვენ ყოველთვის შესანიშნავი მანერები გქონდათ, დიკ“, შემრიგებლურად უთხრა ბებიმ.

ბამბურა ქალები, თავიანთი ბეწვის ქურქებით სამხეცეს ბინადრებს რომა ჰგვანდნენ, შეშფოთებით შესცქეროდნენ დიკს. უძცროსმა ინგლისელმა ვერაფერი გაიგო, ერთი იმ ყმაწვილთაგანი იყო, ლავგარდანებსა და აივნებზე ხტომაზე რომ გიჟდებიან და ამ დროს თავი იალქნიან ხომალდზე ჰგონიან — და მოჰყვა გრძელსა და უაზრო ამბავს, თავის ძმაკაცთან რომ მოუხდა — კრივი გამართეს თურმე, ძალიან ჰყვარებიან, მთელ საათს ურტყამდნენ, დაალურჯეს ერთმანეთი ჩხუბის სუყველა წესის დაცვით. დიკი ხუმრობის გუნებაზე დადგა.

„და ყველა მის დარტყმაზე, უფრო აფასებდით, როგორც მეგობარს?“

„უფრო მეტ პატივს ვცემდი“.

„მე ვერ გავიგე თავი და თავი ამ ამბისა. თქვენ და თქვენი ძმაკაცი ჩხუბობთ რაღაც სისულელის გამო...“

„თუ ვერ გაიგეთ, რა ვქნა მერე“. ცივად მიუგო ყმაწვილ-
მა ინგლისელმა.

— ყოველთვის ასე თავდება ხოლმე, თუკი ისა ვთქვი, რა-
საც ვფიქრობ, გაიფიქრა დიკმა.

დიკს შერცხვა, არა, რა საჭირო იყო ამ ყმაწვილის გალი-
ზიანება, რაღაც უაზრო ამბავს რომ მოჰყვა, მით უფრო უაზ-
როს იმის გამო, რომ თავადაც კარგად არ ესმოდა და თან სო-
ფისტივით ლაპარაკობდა მთელ იმ კრივზე.

საკარნავალო მხიარულებას თავისი გაჰქონდა. ფხიზლდე-
ბოდნენ და ერთბაშად ყველა ბარს მიაწყდა, ტუნისელი ბარ-
ძენი ჯადოქარვით ცვლიდა შუქ-ჩრდილებს და სინათლის
რთულ კონტრაპუნქტს ქმნიდა — მისი მთავარი მელოდია —
დიდ ფანჯარაში საციგურაოდან არეკლილი მთვარის ნათება.
ის ქალიშვილიც იქ იყო, მაგრამ თითქოს ეშხი წაერთვა ამ
შუქის თამაშში და დიკს ინტერესი დაეკარგა იმის მიმართ.
საინტერესო ის უფრო იყო, ჩაბნელებული ბარისათვის ეცქი-
რა ახლა, სადაც ვერცხლისფრად, ხანაც მწვანედ იწვოდა ხო-
ლმე სიგარეტი წითელი შუქის გაელვებისას. ზოგჯერ კიდევ,
კარის გაღება-დახურვისას, თუ რა უცებ შეშოდოდა და იწე-
ლებოდა თეთრი ზოლი.

„ახლა, მითხარით, ფრანც“, უთხრა დიკმა, „როგორ ფიქ-
რობთ, მთელ ღამეს რომ ჩაჯდები და ლუდის სმის მეტს არას
აკეთებ, შეიძლება პაციენტებთან მიხვიდე და დააჯერო, რომ
რაღაცას წარმოადგენ? როგორ გგონიათ, არ იტყვიან, ლო-
თიაო?“

„მე წავალ, დავიძინებ“, გამოაცხადა ნიკოლმა. დიკი გაჰ-
ყვა, რომ ლიფტაშდრე მიეცილებინა.

„მეც წამოვიდოდი, მაგრამ ფრანცს უნდა გავაგებინო,
რომ კლინიკისტად არ გამოვდგები“.

ნიკოლი კაბინაში შევიდა.

„ბების ძალიან სადი აზრი აქვს“, დაფიქრებით წარმოთქვა
ნიკოლმა.

„ბები ერთი იმათგანია, ვინც...“

ლიფტის კარი ხმაურით მიიხურა და გვარლის ვიბრაციის
ზუზუნში დიკმა ფიქრში დაამთავრა: „ბები შეხლულული, ანგა-
რიშიანი ეგოისტია“.

მაგრამ ორი დღის მერე, ვაგზალში, როცა ფრანცს აცილებდა, დიკმა უთხრა, რომ მოიფიქრა და ალბათ თანახმა იქნებოდა.

„ეტყობა რაღაც ქაჯურ წრეში ვხვდებით“. თქვა მან. „დაძაბული ცხოვრებით ვცხოვრობთ, ნიკოლისთვის უკვე ძნელია. რივიერაზე ჩვენი პასტორალური ზაფხული კი უკვე გათავდა — მერმინდელ სეზონში უფრო მოდურ აგარაკად იცევა ეს ადგილი“.

ხრამახრუშა თოვლიან ადგილებსა და საციგურაოებს გასცდნენ, იქ ვენის ვალსების გრიალი ისმოდა, შთის სკოლებზემთ ფერადი დროშები ფრიალებდა და ფითრ ლურჯ ცისა ფერს, ფერებს მატებდა.

„...ჰო, ვნახოთ, ფრანც, იქნებ კარგად წავიდეს საქმე. სხვასთან ალბათ არ ვინდობებდი“.

მშვიდობით, გშტად! მშვიდობით. საბრალობელო მზრალლო ყვავილნო, ფიფქებო, ღამის სინანულისა, კისკასო სახე. მშვიდობით გშტად, მშვიდობით!

XIV

ივლისის ერთ მშვენიერ დღეს დიკს დილის ხუთ საათზე გაეღვიძა, ომი ესიზძრა. ფანჯარასთან მივიდა და ცუგის ტბას გახედა. სიზმრის დასაწყისი პირქუშად დიდებული იყო. ბნელ მოედანზე ცისფერუნიფორმიანებმა მარშით გაიარეს, სასულე ორკესტრი პროკოფიევის „სამი ფორთოხლის სიყვარულს“ უკრავდა. მერე მიდიოდნენ სახანძრო მანქანები, უბედურების სიმბოლოები, სულ ბოლოს კი შემაზრზენი ამბოხი დაჭრილებისა შესახვევ პუნქტში. დიკმა სასთუმლის ღამპა აანთო და სიზმარი ჩაიწერა, ბოლოს ცოტა ირონიული ფრაზაც მიაყოლა: „კონტუზია ზურგში“.

საწოლის კიდეზე იჯდა და ეჩვენებოდა, რომ გარშემო სიცარიელე იდგა, სახლი, ოთახი, ღამე, ყველაფერი ცარიელი იყო. გვერდით ოთახში ნიკოლმა ნაღვლიანად წაილაპარაკა ძილში, დაიკვნესა. ეტყობა, რაღაცა უსიამოვნოს ხედავდა და დიკს შეეცოდა იგი. მისთვის დრო ხან სულაც ერთ ადგილზე იდგა, ხანაც სწრაფად მიქროდა, კინოფირივით. ნიკოლის-

თვის კი წლები წარსულში რჩებოდა, წარსულს ბარდებოდა, საათობით, კალენდრით, დაბადების დღეებით, მძაფრად რომ აგრძნობინებდა თავის წარმავალ სილამაზეს.

ეს თვრამეტი თვეც ცუგის ტბაზე ნიკოლს დაკარგულ დროდ მიაჩნდა, წელიწადის დროთა ცვლასაც იმათი სახეებით თუ იგებდა, გზებზე რომ მუშაობდნენ — მაისში უწითლდებოდათ, ივლისში ყავისფერი უხდებოდათ, სექტემბერში ლამის უშავდებოდათ, გაზაფხულისთვის კი ისევ თეთრები იყვნენ. პირველი შეტევის მერე ცხოვრებას კვლავ დაბრუნებული და იმედიაანი, ბევრ რამეს ელოდა, მაგრამ ცხოვრება არც არაფერი არ აღმოჩნდა, ვერაფერს ჩაეჭიდა, გარდა დიკისა, ბავშვებისა, რომელთაღმი ჭეშმარიტი სიყვარული არცა ჰქონია, გეგონება ობლები აეყვანა გასაზრდელად. ისინი, ვინც ნიკოლს მოსწონდა, მეამბოხე სულისა უფრო იყვნენ, მაგრამ იმათთან ყოფნა ხიფათს უქაღდა, სიმშვიდე ერღვეოდა. უნდოდა ჩასწვდენოდა იმ სასიცოცხლო ძალის საიდუმლოს, ასეთ ხალხს თავისთავადებს, გამტანებსა ან შემოქმედებს რომ ხდიდა, მაგრამ ამოდ, საიდუმლო ბავშვობის ბრძოლებში ჩამარხულიყო და დიდი ხნის წინათ დაევიწყათ. ნიკოლში უფრო მომხიბვლელობა და მოჩვენებითი ჰარმონია აინტერესებდათ, რითაც მისი ავადობა იფარებოდა, და მართო იყო ცხოვრებაში, დიკს იკუთვნებდა და დიკს კი არავის კუთვნილება არ უნდოდა რომ ყოფილიყო.

ბევრჯერა სცადა თავისი ძალის შესუსტება დიკმა ნიკოლზე, მაგრამ ამოდ. ხშირად ატარეს კარგი დრო ერთდ, ბევრი თეთრი ღამე ჰქონიათ ლაპარაკსა და სიყვარულში, მაგრამ წასვლისას დიკი ყოველთვის თავის თავში იძირებოდა, თვითონ კი არაფერთან რჩებოდა და ეჭიდებოდა ამ არაფერს, შესცქეროდა, რა სახელს აღარ ეძახდა, მაგრამ იცოდა, ეს მხოლოდ იმედი თუ იყო იმისა, რომ ისევ დიკი დაბრუნდებოდა ძალიან მალე.

დიკმა ბალიში აიღო, დაწვა და კისერქვეშ ამოიღო იაპონელებივით, სისხლის მიმოქცევის შენელება რომ უნდათ ხოლმე. ცოტა ხანს ისევ დაეძინა. მოგვიანებით, პირს რომ იპარსავდა, ნიკოლი ადგა, დიკს ესმოდა, ოთახებში რომ დადიოდა და მსახურებსა და ბავშვებს მითითებებს აძლევდა. ლანიე

მოვიდა, რათა ენახა, როგორ იპარსავდა პირს მამა. მთელ ამ ხანში, ფსიქიატრიულ კლინიკასთან რომ ცხოვრობდნენ, ლანიე დიდი ნდობითა და ალტაცებით ეკიდებოდა მამას, სხვებს კი, დიდების უმრავლესობას, გულგრილად უყურებდა. ავადმყოფებს ან რალაც უცნაურებად და შერეკილებად თვლიდა, ანდა მოსაწყენ, ზედმეტად კარგად აღზრდილ ხალხად — ინდივიდუალობა არა აქვთო. ლანიე ლამაზი, საინტერესო ბიჭი იყო და დიკი ბევრ დროს უთმობდა მას. მათი ურთიერთობა კეთილი, მაგრამ მოძთხოვნი ოფიცრისა და თავაზიანი რიგითის ურთიერთობასა ჰგავდა.

„მამა“, ჰკითხა ლანიემ, „როცა იპარსავ, რატომ გრჩება ცოტა ქაფი საქოჩრეზე?“

დიკმა ფრთხილად გაიცალკევა საპნიანი ტუჩები.

„მე თვითონ არ ვიცი რადარანაირად. მე მგონია, ქაფი ჯერ თითზე მხვდება, ბაკებს როცა ვისწორებ და იმიტომ, მაგრამ მერე როგორღა აღის საქოჩრეზე, ეგ აღარ ვიცი“.

„ხვალ თავიდანვე უნდა ვუყურო და ვნახო“.

„საუზმემდე მეტი შეკითხვა აღარ გექნება?“

„ეს რა შეკითხვაა“.

„როგორ არა, ერთ შეკითხვად უკვე ჩაგითვალე“.

ოცდაათი წუთის მერე შინიდან გასული დიკი ადმინისტრაციული კორპუსისაკენ მიდიოდა. დიდი ხანი არ იყო, რაც ოცდათვრამეტისა გახდა, წვერს არ უშვებდა, მაგრამ პროფესიული აურა მაინც მიეცა — რივიერაზე არ იყო ასეთი. თვრამეტი თვე გავიდა, რაც აქ ცხოვრობდა და მუშაობდა კლინიკაში, რომელიც თავისი აღჭურვილობით ერთ-ერთი საუკეთესო იყო ევროპაში და დომლერის კლინიკასავით, ესეც ახალი ტიპისა — არც ერთი ბნელი და პირქუში შენობა — აქა-იქ ჩადგმული კოტეჯები კი სოფლურ მყუდროებას ქმნიდა. დიკისა და ნიკოლის გემოვნება აქაურობასაც დაეტყო და ტყუილად როდი იყო, რომ ციურისში თუნდაც გავლით მოხვედრილ ყველა ფსიქიატრს, აუცილებლად უნდა შემოეველო და ენახა იგი. გოლფისა და ჩოგბურთისთვის საჭირო ნივთების შესანახი სპეციალური სახლიც რომ ყოფილიყო, შეიძლება ქალაქგარე კლუბადაც მიგეჩნიათ. „ასკილი“ და „წიფელი“, პატარა სახლები იმათთვის, ვინც წყვდიადში უკვე სამუდა-

მოდ ჩაძირულიყვნენ, მწვანე ჩირგვნარით იყო გაცალკევე-
ბული მთავარი კორპუსისგან — სიმაგრეები, კაძუფლაჟით
კარგად დაფარული. იმის იქით ბოსტნები ჩანდა, ფერმის ერთ
ნაწილს კლინიკის პაციენტები ამუშავებდნენ. აქ, ერთ სახუ-
რავქვეშ, სამი სახელოსნო იყო ერგოთერაპიისთვის და თავის
დილის შემოვლასაც სწორედ იქიდან იწყებდა დოქტორი დაი-
ვერი. ერთში ხუროს საქმეს აკეთებდნენ, მზით იყო გაჩახახე-
ბული და ნახერხის მოტკბო, მივიწყებული ხის საუკუნის
სუნი ტრიალებდა; იქ ყოველთვის ხუთი-ექვსი კაცი მაინც
იყო, რანდავდნენ, ხერხავდნენ, კრავდხენ, გაჩუქებულები.
მისი დანახვისას თავები ასწიეს და ზამი თვალებით შემოხე-
დეს. დიკმა თვითონაც კარგად იცოდა ხუროს საქმე და ხელ-
საწყობებზე ჩამოუგდო ლაპარაკი. მშვიდად, გულწრფელი ინ-
ტერესით ლაპარაკობდა. გვერდით, წიგნების საამკინძაოში
უფრო მოძრავი პაციენტები მუშაობდნენ, თუმცა, ამათაც
არა ჰქონდათ მორჩენის შანსი. მესამეში ქსოვდნენ, მძივებს
ასხამდნენ, თითბრისგან რალაცებს აკეთებდნენ. ესენი ხანდა-
ხან შვებით ამოიოხრებდნენ, ისეთი იერით, გეგონება რალაც
ძნელმისახვედრის მიხვედრაზე ბოლოს და ბოლოს ხელი ჩაი-
ქნიესო, მაგრამ, მათი ოხვრა ფიქრის მხოლოდ ახალი წრის
დაწყებას მოასწავებდა, ფიქრისა, რომელიც ნორმალურივით,
ხაზად კი არა, წრეზე რჩებოდა და ტრიალებდა, ტრიალებდა,
ტრიალებდა, დაუსრულებლად ტრიალებდა. მაგრამ სახელოს-
ნოში ნივთებისა და ფერების სიჭრელის გამო, ვინმე უცხოს
წამით ის ილუზია შეექმნებოდა, თითქოს აქ ურიგოდ არა იყო
რა, ისე როგორც საბავშვო ბაღში. დოქტორ დაივერის დანა-
ხვაზე ბევრმა გაიღიმა. პაციენტებიდან დოქტორ გრეგორო-
ვიუსზე მეტად ბევრს დიკი უფრო მოსწონდა, მეტადრე იმათ,
ვისაც სხვა ცხოვრებისა და სხვა საძყაროს ნახვა მოესწროთ.
ზოგი ისეთიც იყო, ჩიოდა, რომ დიკი მათ უბრალოდ, არა
ცნობდა, არ ამჩნევდა და პოზიორობდა. — არც ისე დიდი
სხვაობააო სხვა გარემოსგან, ფიქრობდა დიკი, — ოღონდ, აქ
ყველა გრძნობა უფრო მძაფრი იყო და გამრუდებული.

ერთი ინგლისელი ქალი იმ თემაზე ელაპარაკებოდა ხოლ-
მე, თავის საკუთრებად რომ თვლიდა.

„დღეს იქნება მუსიკა?“

„არ ვიცი“, მიუგო დიკმა. „ჯერ არ შინახავს დოქტორია ლადისლაუ. როგორ მოგეწონათ გუშინდელი კონცერტი — მისიზ ზაკსი და მისტერ ლონგსტრიტი რომ უკრავდნენ?“

„მაინცდამაინც ბევრი არაფერი“.

„მე მგონია, ძალიან კარგი იყო, მეტადრე 'შოპენი'“.

„არა, არა, ბევრი არაფერი“.

„თქვენ როდისღა დაუკრავთ ჩვენთვის?“

როგორც ყოველთვის, უკვე რამდენი წელიწადია, ამ კითხვით როცა მიმართავდნენ, სიამოვნებდა და მხრებს აიჩეჩავდა ხოლმე, ახლაც ასე მოიქცა.

„როდისმე. მაგრამ მე ისე რა, კარგად არ ვუკრავ“.

ყველამ იცოდა, რომ დაკვრა არც იცოდა, იმისი ორი და ცნობილი მუსიკოსი გახდა, ამან კი, ბავშვობაში ნოტებიც ვერ ისწავლა.

აქედან დიკი „ასკილისა“ და „წიფლისაკენ“ წავიდა. გარედან ეს პატარა სახლებიც სხვა სახლებივით მყუდრო ჩანდა. ჰო, ნიკოლმა მოიფიქრა დეკორაცია, თვალს არა ხვდებოდა გისოსები, ურდულები, მძიმე ავეჯი, ადგილიდან — რომ ვერ დაძრავდი. საქმემ გამოგონებისკენაც უბიძგა, თუმცა ამისი უნარი არა ჰქონდა, მაგრამ ფანტაზიამ თავისი ქნა და წარმატებითაც გაართვა თავი ყველაფერს — ვინც არ იცოდა, ფიქრადაც არ მოუვიდოდა, რომ ფანჯრებზე გაკრული შნოიანი ფილიგრანული ბადეები ბორკილებს ცვლიდა, რომ თითბრის მოღუნული მიღების მოღური სკამები ედუარდისდროინდელ მასიურ ნაკეთობებზე უფრო მძიმე იყო — ყვავილების ვაზებიც კი რკინისა, მაგრად იდგა და ძვრასაც ვერ უზამდი. რადარანაირი ორნამენტიცა და მოსართავიც ისევე საჭირო იყო და თანაც ისე თავის ადგილას, როგორც საყრდენი კოჭებია ცათამბჯენების სახურავებზე. ნიკოლის დაუღლეღმა მზერამ რაღა არ შეამჩნია და რისი გამოყენებაც კი შეიძლებოდა, გამოიყენა. თუ შეაქებდნენ, ნიკოლი უხეშად იტყოდა ხოლმე, ოსტატი მრჩილავი ვარო.

ვისი კომპასებიც დეპოლარიზებული არ იყო, იმათ ბევრი რამ გაუგებარი და უცნაური ეჩვენებოდათ ამ სახლებში. „ასკილში“, კაცების შენობაში, უცნაური პატარა ექსპიზიციონისტი ჰყავდათ, რომელთან საუბარი ზოგჯერ ართობდა ხოლმე

დიკს. ეს ახირებული კაცი იმ აზრისა იყო, თუ არ დამიშლიან და ტრიუმფალური თაღიდან თანხმობის ჰოედნამდე დედიშობილას გამატარებენ, ამით ბევრი პრობლემა გადაიჭრებაო — ვინ იცის, იქნება მართალიაო, ფიქრობდა დიკი.

დიკის ყველაზე საინტერესო პაციენტი მთავარ კორპუსში იწვა. ოცდაათი წლის ამერიკელი ქალი. ექვსი თვის წინათ მოვიდა კლინიკაში, მხატვარი იყო და დიდხანს პარიზში ცხოვრობდა. იმისი ისტორია კარგად არ იცოდნენ, ბიძაშვილს უნახავს, რომ ვერ იყო კარგად და ერთ ქალაქგარეთა, ვილაც შარლატნის სამკურნალოში მიუყვანია, სადაც ძირითადად ლოთობისა და ნარკოტიკების მსხვერპლი ტურისტები მიჰყავდათ ხოლმე. იქ მკურნალობას, ცხადია, შედეგი არ გამოუღია და ამის მერედა ჩამოუყვანია შვეიცარიაში. ემჩნეოდა, რომ საოცრად ლამაზი და მომხიბლავი იქნებოდა, ახლა კი, უკვე აგონიაში ჩავარდნილიყო. სისხლის ანალიზი დადებით რეაქციას არ იძლეოდა და ბოლოს საკმაოდ გაურკვეველი დიაგნოზი დაუსვეს: ნერვული ეგზემა. ორი თვე იყო, რაც ჩაწვა, რკინის მარწუხებში მოქცეულივით იტანჯებოდა, მაგრამ გონება არ დაჰკარგვია და თავისი ზღვარდაუდებელი ჰალუცინაციების საზღვრებში, საღად და თანმიმდევრულად აზროვნებდა, ელვარედაც კი.

დიკის პირად პაციენტად ითვლებოდა. მწვავე აგზნების პერიოდებში სხვა ექიმი ვერას შევლოდა. მხოლოდ ერთხელ, ღამეები თეთრად რომ გაათენა და უძილობისგანაც გაწამდა, ფრანცმა ჰიპნოზით მოახერხა და რამდენიმე საათით მიჰგვარა ძილი, მაგრამ ეს მხოლოდ ერთხელ იყო. დიკს ისედაც არა სჯეროდა ჰიპნოზისა, იცოდა, რომ საამისოდ გუნებ-განწყობა სჭიროდა და იშვიათად თუ იყენებდა. ერთხელ სცადა ჰიპნოზით ნიკოლზე ემოქმედა და ნიკოლმა დაცინვით შეხედა მას.

იმ პალატაში შევიდა, ქალმა ვერ დაინახა დიკი, შესიებულ თვალებს ველარ ახელდა. ძლიერი, მღელვარე ხმის პატრონი იყო, მოგუდული ხმით უთხრა:

„როდემდე იქნება ასე, არ გათავდებია? თუ არასოდეს?“

„ცოტაც მოითმინეთ, დოქტორმა ლადისლაუმ მითხრა, რომ კანი ალაგ-ალაგ უკვე მთლად გაიწმინდა“.

„რომ არ ვიცი რად ვიტანჯები, რა ცოდვა მაქვს, ეს უფრო მკლავს“.

„მისტიკაში გადავარდნა არ არის კარგი, ნერვული დაავადების ფენომენია, ასე ვფიქრობთ; ესეც იმას უკავშირდება, რაც ადამიანს აიძულებს გაწითლდეს ხოლმე, იოლად წითლდებოდით, როცა პატარა გოგო იყავით?“

სახე ჭერისკენ ჰქონდა მიქცეული.

„სიბრძნის კბილების ამოსვლის მერე არაფერზე გავწითლებულვარ“.

არ დაგიშვიათ რაიმე შეცდომა, ან თუნდაც პატარა ცოდვა არ ჩავიდენიათ?“

„თავს ვერაფერს ვუსაყვედურებ“.

„ბედნიერი ქალი ყოფილხართ“.

სანამ რამეს იტყოდა, ცოტა ხანს ფიქრობდა. შეხვეული სახიდან რაღაც ხმაურით, მიწის სიღრმიდან ამოსულივით მოდიოდა ხმა.

„მე ზიარი ვარ ჩემი დროის ქალების ხვედრისა, იმათი, ვინც მამიკაცების ბრძოლაში გაწვევა მოიწადინეს“.

„და თქვენდა გასაოცრად, ესეც ისეთივე ბრძოლა აღმოჩნდა, როგორც ყველა სხვა ბრძოლა“. ტონის აყოლით უთხრა დიკმა.

„ისეთივე, როგორც სხვა ბრძოლა“. აზრის ჩაწვდომას ცდილობდა. „ან იმარჯვებ პიროსის გამარჯვებით, ანდა მარცხდები, ნადგურდები და დანგრეული კედლის ჩრდილის ექო ხარ მხოლოდ“.

„არც დამარცხებული და არც განადგურებული თქვენ არა ხართ“. მიუგო დიკმა. „რა, ხომ არ გგონიათ, რომ მართლა ბრძოლაში იყავით?“

„შემომხედეთ!“ შმაგად იყვირა.

„იტანჯებით, მაგრამ რამდენი ქალი დატანჯულა, და სხვა მიზეზითაც“. ეს უკვე კამათი იყო და მაშინვე დაიხია: „რაც უნდა იყოს, პატარა მარცხი სრულთან არ უნდა გააიგივოთ“.

„ლამაზი ფრაზაა“, მწარედ ჩაიციხა ქალმა და ამ ტკივილს ამოყოლილ სიტყვებზე სინდისის ქენჯნა იგრძნო დიკმა.

„კარგია ვიცოდეთ ის თავი და თავი მიზეზი, რამაც აქამდე მოგიყვანათ“, დაიწყო მან, მაგრამ ქალმა მოუჭრა.

„მე აქ სიმბოლოსავითა ვარ, ოლონდ, რისი სიმბოლო, ეს არ ვიცი, მე შეგონა, თქვენ გაიგებდით“.

„თქვენ ავადა ხართ“, უნებურად მიუგო დიკმა.

„მაშინ რა იყო, რის მიჯნაზე ვიყავი მე?“

„უფრო მძიმე ავადმყოფობა“.

„სულ ეს არის?“

„სულ ეს არის“. ტყუოდა და ეს ზიზღსა ჰგვრიდა, მაგრამ აქ, ახლა, მხოლოდ სიცრუეში ჩაეტეოდა და შეიკვროდა მთელი ამ თემის სიფართოვე. „იმ ზღვარს იქით, მხოლოდ ქაოსია და არეულობა. კი არ გარიგებთ, ძალიან განვიცდი, რომ ასე გაწამებთ ფიზიკური ტანჯვა, მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ ყოველდღიური პრობლემებით, რაგინდ მოძაბებრებლადაც უნდა გეჩვენოთ, და მათზე ფიქრით, შეიძლება მიაღწიოთ იმას, რომ ყველაფერი ისევ თავის ადგილზე დადგეს. ამის მერე კი — შეიძლება ისევ იფიქროთ...“

უცებ გაჩერდა, რომ ბოლომდე არ ეთქვა, რასაც ფიქრობდა... „— ცნობიერების საზღვრებზე“. ეს საზღვრები, რომელთაც ხელოვანნი უნდა იკვლევდნენ, ამ ქალისათვის სამარადისოდ წაშლილიყო. მეტისმეტად მყიფე და სათუთია, ასეთი გაჩნდა და ვერ გაუძლო. შეიძლება, დრო რომ გაივლის, მშვიდ მისტიკაში დაივანოს თავისი თავი, ამ კვლევას კი სხვები შეუდგნენ, ჯანმრთელ გლეხურ სისხლს შერეულები, სქელკოჭება და თედოგანიერები, სხეულისა და სულის ყველა სჯას პურ-მარილივით რომ ინელებენ.

„— ოლონდ თქვენ არა“, ლამის ხმამაღლა თქვა. „ეს თამაშში თქვენთვის არ არის“.

მაინც, იმისი საზარელი ტანჯვის შემყურე, დაუოკებელ, თითქმის სექსუალურ ჟინსა გრძნობდა, უნდოდა მოხვეოდა და თავისი მკლავებით ჩაეთბო, ისე როგორც ბევრჯერ ნიკოლი ჩაუთბია, ზრუნვით ფიქრობდა იმის ყველა შეცდომაზეც კი, რადგან ისინი, მასში გამჯდარი, უკვე მისი ნაწილი იყო. ნარინჯისფერი ფარდებს ატანდა, სარკოფაგივით იწვა იგი, სახე ლაქალა, ხმა მვედრებელი, და — არსაით გამოძახილი.

შეხვეულ სახეზე ცრემლები ღვარად წამოუვიდა, დიკი რომ წამოდგა.

„ეს ისე არ არის, რაღაც ხდება“, ჩურჩულითა თქვა. „რაციონალისთვის არის საჭირო“.

დიკი დაიხარა და შუბლზე აკოცა.

„უნდა ვეცადოთ კარგები ვიყოთ“. თქვა მან.

იქიდან გამოსულმა მომვლელი ქალი შეგზავნა მასთან. კიდევ რამდენიმე ავადმყოფი უნდა ენახა, ჯერ ის თხუთმეტი წლის ამერიკელი გოგონა, იმ პრინციპით აღზრდილი, რომ ბავშვობა იმისთვის არის, როგორც გინდა ისე გაერთო და ქვეყანაზე არც არაფერი დაგიშალონ. დიკი სასწრაფოდ გამოიძახეს მასთან, რადგან ის-ის იყო მანიკიურის მაკრატლით თმა ალაგ-ალაგ შეეკორტნა. ვერაფერს უშველიდნენ, ნევროზი ჯიშში ჰქონდათ და აღზრდილთაც გაემწვავებინათ. მამამისი, თვითონ ნორმალური და სინდისიერი კაცი, ცდილობდა თავის ბუდობას ქვეყნის შფოთი ასცდენოდა და იმას მიაღწია, რომ ცხოვრების უეცრობებისთვის ბავშვები ოდნავადაც ვერ შეამზადა. დიკი ბევრს არ მოჰყოლია: „ელენ, როცა არ იცი რა გააკეთო, მომვლელს ჰკითხე და რჩევას მოგცემს. სიტყვა მომეცი, რომ ასე იზამ“.

მაგრამ სიტყვას რა აზრი ჰქონდა, როცა თავში ყველაფერი რიგზე არ იყო? დიკმა ერთ გალუულ ემიგრანტ კავკასიელსაც შეუარა, ჰამაკივით რაღაცაში იწვა და დროდადრო თბილ, საკურნებელ აბაზანაში ეშვებოდა. გვერდით პალატაში პორტუგალიელი გენერლის სამი ქალიშვილი მოინახულა, პარეზით რომ იტანჯებოდნენ. შემდეგი პაციენტი პროფესიით თავადაც ფსიქიატრი გახლდათ, აქ უფრო დიდხანს გაჩერდა დიკი, აჯერებდა, რომ კარგად იყო, უფრო კარგად და ისიც უსმენდა, უნდოდა დიკის სახეზე წაეკითხა ამ სიტყვების უტყუარობა. რადგან სამყაროს რეალობასთან დოქტორ დაივერის ხმა და ამ ხმაში რწმენალა თუ აკავშირებდა. შემოვლის მერე დიკმა ერთი უგერგილო სანიტარი დაითხოვა და ამასობაში ლანჩის დრომაც მოაწია.

XV

პაციენტებთან ზიარი ტაბლა დიკს აპათიას ჰგვრიდა. ამათთან „ასკილისა“ და „წიფლის“ ბინადარნი რა თქმა უნდა, არ იყვნენ ხოლმე და ერთი შეხედვით, უწყინარი პურის ჭამა გე-

გონებოდათ, მაგრამ მაინც ჩანდა, რომ მძიმე სევდა და მწარე ნაღველი მოსძალებოდათ. ვინც იქ ექიმი იყო, ყველა ლაპარაკს ცდილობდა, ოღონდ, თვითონ ისინი ჩუმად ჭამდნენ, ან თავიანთ თეფშებზე იყურებოდნენ და ლაპარაკით ძალიან ცოტას ლაპარაკობდნენ, ვითომ იმ დილით უკვე დაღლილ-დაქანცულები, მაგრამ იმიტომ უფრო, რომ უძნელდებოდათ ხალხში ყოფნა.

ლანჩის მერე დიკი შინ წავიდა. ნიკოლი სასტუმრო ოთახში დახვდა და როგორღაც უცნაურად შეხედა.

„წაიკითხე“, უთხრა.

დიკმა წერილი გახსნა, ერთი პაციენტი ქალისგან იყო, რომელიც, ამას წინათ, ექიმების აზრის მიუხედავად, რომ ჯერ ადრე იყო მისი გაწერა, მაინც წასულიყო კლინიკიდან. მიუკიბავ-მოუკიბავად ადანაშაულებდა დიკს, ვითომ იმისი ქალიშვილი, კრიზის დროს დედას რომ არ მოშორებია, დიკს შეეცდინოს და ბოლოს წერდა, — მისიზ დაივერმა კარგია გაიგოს, იმის მეუღლე რასაც წარმოადგენსო.

დიკმა ერთხელაც გადაიკითხა, გაუმართავი არა სჭირდა რა და კარგი ინგლისურითაც იყო დაწერილი, მაგრამ იოლად მიხვდა, მანიაკის ბოდვა რომ იყო. მაშინვე გაახსენდა ის ქალიშვილი, თავნება, კეკლუცი, შავგვრემანი, ერთადერთხელ, როგორღაც მისივე თხოვნით დიკმა ციურიხში წაიყვანა მანქანით და საღამოს უკანვე, კლინიკაში მოიყვანა. გზაში, სხვათა შორის, უფრო ზრდილობისთვის, ერთხელ აკოცა. იმ ქალიშვილმა რამდენჯერმე ცოტა შორს წასვლაც მოინდომა, მაგრამ დიკს არა სურდა და არც აყოლა უნდომებია, მერე კი, და იქნებ ამის გამოც, ქალიშვილმა დიკი შეიძულა და საჩქაროდ წაიყვანა დედამისი კლინიკიდან.

„გიჟობაა“. თქვა დიკმა. „იმ ქალიშვილთან, საერთოდ არაფერი საქმე არ მქონდა, არც კი მომწონდა“.

„ჰო, ვცადე რომ ასე მეფიქრა“, თქვა ნიკოლმა.

„იმედია, არც გიფიქრია დაჯერება?“

„მე სულ შინა ვარ“.

დიკი გვერდით მიუჯდა, საყვედურშერეული ხმით უთხრა:

„სისულელეა, ნიკოლ. ეს წერილი შეშლილისაა“.

„შეშლილი მეც ვიყავი“.

დიკი ადგა და უფრო ავტორიტეტულად თქვა:
„გეყოფა, ნიკოლ, უაზრობაა. მოემზადე, ბავშვები ნახე
და მოიყვანე, უნდა წავიდეთ“.

მანქანა ტბის გაყოლებაზე პატარა კონცხებს მიუყვებოდა, ხან მარადმწვანე კასკადებში შეიკარგებოდნენ და ხანაც ისევ გამოვიდოდნენ, საქარე მინას შხეფები ეყრებოდა და მზით ჩახჩახდებოდა. ეს დიკის საკუთარი მანქანა, „რენო“ იყო, ისეთი პატარა, რომ შიგ ყველანი გოლიათებივითა ჩანდნენ ბავშვების გარდა, რომლებიც უკან ისხდნენ და შუაში კი მადმაზელი ანძასავით ამართულიყო.

გზის თითო მეტრიც ზეპირად იცოდნენ — სად ფიჭვის წიწვების სურნელი სცემდათ და სად კიდევ ბუხრებიდან შავი კვამლი ამოდებოდა. მზე თავის კოჭიმელზე იდგა, დახატულს ჰგავდა და ბავშვების ჩალის შლაპებზე შმაგობდა.

ნიკოლი დუმდა; მკაცრი და გამტერებული მზერა კარგს არას მოასწავებდა და დიკი მოეშვა. ხშირად მოსდიოდა ასე, იმის გვერდით იყო და მარტო იყო, ნიკოლი ხშირად ქანცავდა ხოლმე, როცა თავს ვერ იჭერდა და ნიაღვარივით გადმოხეთქავდა, დიკისთვის ჰქონდა ეს ნიაღვარივით გადმოხეთქვა, „ასეთი ვარ — ასეთი ვარ და რა ვქნა“. მაგრამ დღეს დიკს ერჩივნა ელაპარაკა, ელაპარაკა ენაგაკრეფით, რომ წამით მაინც ჩაეხედა ნიკოლის არეულ გონებაში. ყველაზე სახიფათო თავის თავში ასე ჩაკარგვა იყო ხოლმე, როცა ყველა კარსა და ხვრელს დაგძახავდა.

ცუგში მადმაზელი გადავიდა და დაივერებმა გზა განაგრძეს. სანამ აგირის ბაზრობაზე მივიდოდნენ, გზაზე ჩახერგილი დიდი სატკეპნი მანქანებისთვის უნდა აევლოთ, დიკმა მანქანა გააჩერა და რაკი ნიკოლი თვალმოუშორებლივ უყურებდა, თვითონვე უთხრა: „გადმო, ძვირფასო“. უცებ ავად გაეხსნა ბაგე ნიკოლს, გულ-მუცელამღვრეულმა დიკმა არ შეიმჩნია და ისევ უთხრა: „გადმოდი, ბავშვები ისე ვერ გამოვლენ“.

„ო, როგორ არა, გადმოვალ“, მიუგო მან, რომელიღაც სიუჟეტიდან ამოგლიჯა ეს სიტყვები, სიუჟეტიდან, ელვის სის-

წრაფით რომ ტრიალებდა იმის თავში, ისე თავბრუდამხვევად, რომ დიკი ძნელად თუ ჩაავლებდა, ვერ ჩასწვდებოდა.

„ნუ წუხხარ, გადმოვალ...“

„ჰოდა, გადმოდი“.

გვერდიგვერდ მიდიოდნენ, ნიკოლი შეტრიალდა, მაგრამ სახეს ისევ ის ირონიული და უცხო ღიმილი ურევდა, მხოლოდ მაშინ, ლანიემ რამდენჯერმე რომ დაუძახა, ძლივს შეძლო მზერის ერთ რაღაცაზე შეჩერება, თოჯინების მოხეტიალე დასის ტაკიმასხარებს მოჰკრა თვალი და იმათ შეაჩერდა.

დიკმა სცადა რაღაცა მოეფიქრა. ნიკოლისთვის ის ქმარიც იყო და ფსიქიატრიც და ეს ორმხრივობა თანდათანობით ძალას ულევდა. ამ ექვს წელიწადს, უკვე რამდენჯერ თავის თავს აყოლილი ნიკოლი ხან თავის შეცოდებით, ხანაც ახირებითა და მომთხოვნელობით აიძულებდა ხოლმე რაც უნდოდა ის ეკეთებინა და მერე, გეგონება, მძიმე რაღაცა გადაიტანა და გონს მოდისო, დიკი ხვდებოდა, რომ მისი აყოლის მოწადინეს, ისევ თავისი გაეტანა.

ტოპსი და ლანიე გინიოლზე შეკამათდნენ, ეს ის პანჩია, შარშან კანში რომ ვნახეთ თუ სხვა არისო, მაგრამ მალე დაშოშმინდნენ და მთელი ოჯახი ბაზრობისთვის ღია ცის ქვეშ აგებული ფარდულებისკენ დაიძრა. კანტონებიდან ბლოძად ქალები ჩამოსულიყვნენ და იმათი ხავერდის ყილეტები, თეთრი თავსაბურები და ნაოჭასხმული ღიაფერა ქვედა კაბები ლურჯ-ნარინჯისფრად შეღებილ ფარდულებსა და კარვებთან, სადაგი ჩანდა.

ჟღარუნა აჟღარუნდა, ჩხარუნა აჩხარუნდა, ბობლანს დასცხეს და — ჰუჩი-კუჩი დაიწყო.

უცებ ნიკოლი ადგილიდან მოწყდა და გაიქცა, მოულოდნელად, ისე, რომ დიკმა მაშინვე ვერც შეამჩნია. გვიან, ნიკოლის ყვითელი კაბა უკვე შორს, ბრბოში რომ შეიგრიხა, — ოხ-რასფერი ბილიკი სიზმარეულისა და ცხადის მიჯნაზე, — მაშინდა მიხვდა. სირბილით მიჰყვა, მალულად მირბოდა ნიკოლი და დიკიც მალულად მიჰყვებოდა, ამ პაპანაქება სიცხეში ძრწოლამ აიტანა და ბავშვები გადაავიწყდა; შემოტრიალდა, იმათკენ გაქანდა და ხელი ჩაჰკიდა, კარავ-კარავ დადიოდა და ეძებდა ნიკოლს.

„მადამ!“ ლატარიის თეთრ ბორბალთან ახალგაზრდა ქალი იჯდა და იმას დაუძახა. „ხომ არ შეიძლება ეს ბავშვები ორ წუთს დაგიტოვოთ? სასწრაფო საქმე მაქვს — ათ ფრანკს გადაგიხდით“.

„რა თქმა უნდა“.

დიკმა ბავშვებს კარვისკენ უბიძგა.

„ამ კარგ ქალთან იყავით“.

„კარგი. დიკ“.

ისევ გაიქცა, მაგრამ დაკარგა. კარუსელისთვის უნდა აეარა და თავის წინ სულ ერთ და იმავე ცხენს რომ ხედავდა, მაშინლა მიხვდა, რომ კარუსელთან ერთად უვლიდა. იდაყვებით შეგლიჯა ბრბო, ბუფეტთან მივიდა, მერე მკითხავის კარავი დაინახა, გაახსენდა, რომ ნიკოლი ლამის ტრფიალი იყო მკითხაობისა და შიგ შეიხედა. ვიღაცა რაღაცას ზუზუნ-ზუზუნით ლაპარაკობდა.

„ნილოსის ნაპირებზე დაბადებული მეშვიდე ქალიშვილის მეშვიდე ქალიშვილი... მობრძანდით, მესიე“

კარვის კალთას ხელი უშვა და ახლა ტბისკენ გაიქცა დიკი. ლურჯი ცის ფონზე ბრუნავდა მცირე „ეშმაკის ბორბალი“. იქ ნახა ნიკოლი.

მარტო იჯდა ვაგონეტში, ზევიდან ქვევით რომ ეშვებოდა ახლა და მიახლოებისას დიკმა გაიგონა, რომ ისტერიკულად ხარხარებდა. მორიგ ბრუნზე დიკი ისევ ჭრელ ბრბოს შეერია, ვიღაცებმა, ეს რანაირი სიცილიაო, და გაჩერდნენ.

„შეხედეთ მას!“

„შეხედეთ იმ ინგლისელ ქალს!“

ვაგონეტი ისევ ქვევით ეშვებოდა, ბორბალი ნელადა ბრუნავდა და მუსიკაც ნელდებოდა. ერთი ათი კაცი მაინც შემოესვია ვაგონეტს, როცა ბორბალი გაჩერდა. ნიკოლის სიცილზე იმათაც უნებლიეთ ეღიმებოდათ. დიკის დანახვაზე სიცილი პირზე შეაშრა, გაქცევა სცადა, მაგრამ დიკმა მაგრად ჩასჭიდა ხელი და იქაურობას გამოაშორა.

„ასე რად აიწყვიტე?“

„ძალიან კარგად იცი, რადაც“.

„არა, არ ვიცი“.

„უაზრობაა — გამიშვი — შენ მე შტერად მთვლი. შენ

გგონია, ვერ დავინახე, ის გოგო რომ გიყურებდა, პატარა შავი გოგო. ო, რა სეირია — ის ხომ მთლად ბავშვია, თხუთმეტი წლისა ძლივს იქნება. გგონია, ვერ დავინახე?“

„ცოტა ხანს გავჩერდეთ, დაწყნარდი“.

მაგიდას მიუსხდნენ; ნიკოლს დაძაბული და იჭვნეული მზერა ჰქონდა, ხელს მალიმალ იქნევდა, გეგონება, რაღაცის დანახვა უნდა და რაღაცა ხელს უშლისო.

„დალევა მინდა, ბრენდი მოატანინე“.

„ბრენდი შენთვის არ შეიძლება — თუ გინდა ლუდი დალიე“.

„ბრენდი რატომ არ შეიძლება?“

„არ შეიძლება, მორჩა და გათავდა. ახლა იმ შავ გოგოზე, მომისმინე — ეს ჰალუცინაციაა, გასაგებია?“

„ყოველთვის ჰალუცინაციაა, თუ ის დავინახე, რაც არ გინდა, რომ დავინახო“.

დიკმა რაღაცა ბრალი იგრძნო. ასე კომმარულ სიზმარში ხდება, როცა გადანაშაულებენ რაღაცაში და შენც აღიარებ დანაშაულს, იღვიძებ და ხვდები, რომ თურმე, — არცარა ბრალი არა გქონია, მაგრამ ის სიზმრიდან გამოყოლილი შეგრძნება მაინც ისევა გრჩება. თვალი აარიდა ნიკოლს.

„ბავშვები კარავში დავტოვე ერთ ბოშა ქალთან. უნდა წამოვიყვანოთ“.

„ვინ გგონია შენი თავი?“ ჟინიანად ეკითხებოდა ნიკოლი.
„ჰიპნოტიზირი სვენგალი „ტრილბიდან““

თხუთმეტი წუთის წინ ეს ოჯახი იყო. ახლა, როცა უნებლიეთ მხრით აწვებოდა, დიკი ფიქრობდა, რომ უბედური შემთხვევის მსხვერპლნი თუ იყვნენ, ყველა, დიდიან-პატარიანად.

„ახლა შინ წავალთ“.

„შინ!“ ისე იღრიალა, ჰაერი აღარ ეყო და სიმივით, ტკაცანით გაუწყდა ხმა. „და იჯექი და იფიქრე, რომ ყველა ვიზრწნებით, გამოაღებ რაგინდარა უჯრას და ყველგან ბავშვების ჩანაცრებული ნეშტებია, საზიზღრობაა!“

დიკი თითქმის შვებით ხედავდა, ამ ღრიალსა და სიტყვებში როგორ დაიხარჯა და ნიკოლმა, რომელსაც კანმა უგრძნო, რომ დაძაბვა ივლიდა, სახეზე შეატყო, რომ მოეშვა დიკი. თვითონაც რბილი გაუხდა სახე და შეეხვეწა:

„მიშველე, მიშველე, დიკ!“

დიკს გულ-ძუცელი აუღულდა. საშინელებაა, რომ ასეთი მშვენიერი კოშკი შეუდგომლად ვერ იდგებოდა, და თვითონ უნდა ყოფილიყო ეს შესადგამი. ალბათ სწორიც არის, მაშა-კაცი ამისთვისაა. დვირე და იდეა, კოჭი და ლოგარითმი. მაგრამ დიკი და ნიკოლი როგორღაც თანაბრები და ერთი იყვნენ, ერთი მეორეს არ ავსებდა, ეს არ სჭიროდათ, ნიკოლიც დიკი იყო, ძვალ-რბილში რომ ჰყავდა გამჭდარი და ეგრე გულგრილად ვერ ეცქირა, როგორ ირღვეოდა იგი, ეს დაშლა თვითონაც ეღებოდა მას. ახლა იმისი ინტუიცია სინაზედ იღვრებოდა და თანაუგრძნობდა ნიკოლს, მაგრამ თანადროული მეთოდებით მხოლოდ პროცესის შენელება თუ შეეძლო, მეტს ვერაფერს გააკეთებდა. დღესვე მოძვლელ ქალს გამოიძახებს ციურიხიდან.

„შენ შეგიძლია მიშველო“.

მისმა ბავშვურმა ჟინიანობამ ფეხზე წამოაგდო დიკი.

„შენ მე მოშველოდი ადრე — და ახლაც შეგიძლია ჩემი შველა“.

„მე მხოლოდ ის შემიძლია, რაც ადრე შემეძლო“.

„ვიღაცას შეუძლია, რომ მიშველოს მე“.

„ალბათ ასეა. შენი თავის შველა ყველაზე მეტად შენ შეგიძლია. წავიდეთ, ბავშვები მოვნახოთ“.

თეთრობორბლებიანი კარვები ბევრი იყო. დიკი ეძებდა. როცა პირველ კარავთან მივიდა და ვერ ნახა, შეშფოთდა. ნიკოლი განზე იდგა და თვალბედითად იცქირებოდა. ახლა ბავშვები რად უნდოდა, ბავშვები მისთვის ნაწილი იყო იმ სამყაროსი, რის ამღვრევასაც ლამობდა იგი. ბოლოს, დიკმა მიაგნო ბავშვებს, ქალები შემოხვეოდნენ და ისე გაბრწყინებით შესცქეროდნენ, გეგონება მონივთულები არიანო. იქვე იყვნენ გლეხის ბავშვებიც და ესენიც პირდაღებულები უყურებდნენ.

„გმადლობთ, მესიე. ო, მესიე მეტად გულუხვია. ეს სიამოვნება იყო, მესიე, მადამ. ნახვამდის, პატარებო“.

მიდიოდნენ და ცხელი ნალველი ერეოდათ; მანქანას უნდობელი შიშის სიმძიმე აწვებოდა, ბავშვები კრიჭაშეკრულები ისხდნენ, ნალვლიანი სახეებითა. გარეშემოც ნალველივით იყო

და უმრუში ფერი დასდებოდა. ცუგს რომ მიახლოვდნენ, ნიკოლმა, თითქოს კრუნჩხვას მოეაროს, ძლივსა თქვა რაღაც, რაც ადრეც ეთქვა — გზისპირა ყვითელი სახლი საღებავშეუბშრალ სურათსა ჰგავსო, მაგრამ ეს მხოლოდ ცდა თუ იყო იმისა, რომ ჩასჭიდებოდა თოქს, უსწრაფესად რომ იხსნებოდა.

დიკმა საჭესთან დასვენება სცადა. ყველაზე ძნელი ჯერ წინ იყო, იცოდა, მთელ ღამეს ნიკოლთან ჯდომა მოუწევდა ამ გაბზარული, მთრთოლი სამყაროს აღსადგენად. ტყუილად კი არ არის რომ სიტყვა „შიზოფრენია“ პიროვნების ცნობიერების გახლეჩას ჰქვია — ნიკოლი ან ის პიროვნებაა, ვისაც არაფრის ახსნა არ სჭირდებოდა, ან ისეთი, ვისთვისაც არაფრის ახსნა არ შეიძლებოდა, მასთან აქტიური და დაჯერებული, დაუინებულიც კი უნდა ყოფილიყავი, ცხად, სამყაროში გამავალი გზა ყოველთვის ღია უნდა გქონოდა და მისახვევ-მოსახვევები მაგრად ჩაგეკეტა. მაგრამ ავად გონებას მაინცა აქვს ელვარებაცა და მოხერხებაც, მდინარესავით არის, ჯებირს თუ ვერ გაარღვევს, გადმოხეთქს, თუ ვერ გადმოხეთქს, შემოუვლის და ისე წავა, სხვა ადგილს ნახავს. აქ ერთი კაცი ვერას გახდება. დიკი გრძნობდა, ახლა საჭირო იყო, ნიკოლს თვითონვე მოერჩინა თავისი თავი; არ იჩქარებს, ნიკოლმა თვითონ გაიხსენოს ის მეთოდები, რითაც ადრე კურნავდნენ და თვითონ უარყოს ის მეთოდები, ჯერ კი ისევ ძველ, შარშანწინდელ რეჟიმს უნდა მივმართო, დაღლილად ფიქრობდა დიკი.

დიკმა გორაკს შემოუარა, გზის შემოკლება სცადა, რომ მალე მისულიყვნენ კლინიკამდე. აქსელერატორს ფეხი დაადგა და უცებ მანქანამ მკვეთრად მოუხვია ჯერ მარცხნივ, მერე მარჯვნივ, გადაიხარა, ორ ბორბალზე დადგა, და როცა ნიკოლის კივილზე გაშტერებულმა დიკმა საჭეს ჩაფრენილ იმის გადარეულ ხელს მაგრად დაარტყა, ისევ ისე, ოთხ ბორბალზე დადგა, მერე ისევ მოუხვია, მოწყდა და ფერდობზე დაქანებული, ხეს მიეჯახა. ბავშვები ყვიროდნენ, ნიკოლიც ყვიროდა, ილანძლებოდა. ძლივს მოიშორა მისი ხელები სახიდან დიკმა. ჯერ ის აფიქრებდა, მანქანა ძალიან ხომ არ იყო გადახრილი, ხომ არ ყირავდებაო, მაგრამ ვიდრე შიგ იჯდა, ვერ გაიგებდა. ზევიდან ფრთხილად ამოვიდა, ორივე ბავშვი გადმოიყვანა, ნახა, მანქანა ქვევით არ ცურდებოდა და გაიმართა, სანამ კიდევ

რამეს-მოიფიქრებდა, იდგა და კანკალებდა, მძიმედ სუნთქავდა.

„შენი!“ იყვირა დიკმა.

ნიკოლი ხმამაღლა იცინოდა, არცა რცხვენოდა და არც ეშინოდა, ვინმე უცხოს ამ სცენისთვის რომ შეეხედა, ვერც მიხვდებოდა, რომ იმისი ბრალი იყო ახლა ეს ამბავი; ბავშვს ოხავრობა რომ გაუვა, ისე იჯდა და იცინოდა.

„გეცვალა ფერი! ხომ გეცვალა“. აღიზიანებდა დიკს. „სიცოცხლე გინდა, არა?“

სიტყვები ისეთი ძალიანი და დამაჯერებელი გამოუდიოდა, წამით დიკი შეეჭვდა, მართლა ჩემ გამო ხომ არ შევშინდიო, მაგრამ ბავშვები დაინახა, იმათი გაფითრებული სახეები, ხან დედას რომ შეაცქერდებოდნენ და ხან მამას და მოუხდა, ეს კრეჭია სიფათი ერთი მაგრად მიენაყა.

იმათ პირდაპირ, ტყიან ფერდობზე, სასტუმროს თეთრი შენობა ჩანდა; საავტომობილო გზით იქამდე ხუთასი მეტრი მაინც იქნებოდა, გორაკზე თუ ახვიდოდნი და გზას გადაჭრიდი, ასი იარდის გავლალა იქნებოდა საჭირო.

„ხელი ჩასჭიდე ტოპსის“, ლანიეს უთხრა დიკმა, „ოღონდ, მაგრად ჩასჭიდე და აი იმ გორაკზე ადით ზევით, იქ ბილიკია, დაინახე? სასტუმროში რომ მიხვალთ, უთხარი, „დაივერებს მანქანა დაემტვრათ“, და მაშინვე ვინმე წამოვიდეს“.

ლანიეს მომხდარი ამბისა ბევრი რამ არ ესმოდა, მაგრამ იგრძნო, აქ სხვა რაღაცა იყო, რომ საშინელება დატრიალდა და ჰკითხა:

„შენ რას იზამ, დიკ?“

„ჩვენ აქ დავრჩებით, მანქანასთან“.

წასვლისას არც ერთს არ შეუხედავს დედისთვის.

„ფრთხილად გადადით გზაზე!“ მიამახა დიკმა. „ორივე მხარეს გაიხედეთ!“

დიკმა და ნიკოლმა ერთმანეთს შეხედეს. თითქოსდა შუქი გაელავდა აქეთ-იქითა სახლის ფანჯრებში. მერე ნიკოლმა ჩანთიდან სარკე ამოიღო და საფეთქლებზე ჩამოყრილი თმა გაისწორა. დიკმა ფერდობისკენ გაიხედა, ბავშვები უკვე აბობლებულიყვნენ და იმათ უყურა. ფიჭვნარს რომ შეერივნენ და თვალს მიეფარნენ, თავის „რენოს“ შემოუარა, გაიაზრა მან-

ქანას რაცა სჭირდა და რანაირადაც გადაიყვანდა მერე აქედან. ას ფუტზე მაინც, დაქანების კვალი ზიგზაგად ჩანდა გაქელებილ გზაზე; სიბრაზე არა, და უფრო აუტანელი ზიზლი კი იგრძნო.

რამდენიმე წუთში სასტუმროს პატრონმაც მოირბინა.

„ღმერთო ჩემო!“ წამოიძახა მან, „როგორ მოხდა, დიდი სიჩქარით მოდიოდით? იღბალი გქონიათ, ეს ხე რომ არა, მანქანა ძირს ჩაქანდებოდა“.

ემილს შავი წინსაფარი ეკეთა, ფუნჩულა სახეზე ოფლი ჩამოსდიოდა და ისეთი რეალური და ნაღდი იყო, დიკმა, რაღაცა ძალა იგრძნო, ნიკოლს ანიშნა, მანქანიდან გადმოსულიყო, მოგეხმარებო, მაგრამ ნიკოლი მიშველებას არ დაელოდა, მანქანიდან გადმოხტა, ფეხი დაუცდა, წაიბორძიკა და წაიქცეოდა, მაგრამ დროზე შეიკავა თავი. ნახა, რომ დიკი და ის კაცი მანქანას უტრიალებდნენ, რომ როგორმე დაეძრათ ადგილიდან, და გამომწვევი იერი მიიღო. ესეც უკვე კარგიაო, გაიფიქრა დიკმა და უთხრა:

„წადი ნიკოლ, ბავშვებთან ერთად დამელოდე“.

მაგრამ მერელა გაახსენდა, რომ ნიკოლს კონიაკი უნდოდა და სასტუმროში იოლად იშოვიდა. ემილს უთხრა, წვალებად არ ღირს, მძლოლი მოვა და დიდი მანქანით გზაზე გაიყვანოსო და მაშინვე წავიდნენ სასტუმროსაკენ.

XVI

„წასვლა მინდა“, ფრანცს უთხრა დიკმა, „ერთი თვით, თვენახევრით, რამდენითაც შევძლებ“.

„რა თქმა უნდა, დიკ, წადით. თავიდანვე ხომ ასე შევთანხმდით, თქვენ თვითონ გინდოდათ სულ აქ ყოფნა. თუ თქვენ და ნიკოლი...“

„ნიკოლთან ერთად არ მინდა წასვლა, მარტო მინდა. ამ ბოლო ამბავმა დამაგდო ლამის. დღე-ღამეში ორ საათს მაინც თუ მოვახერხებ და დავიძინებ, ცვინგლის ერთ-ერთი საოცრება იქნება“.

„ცოტა ხანს გინდათ გაცალკევდეთ“.

„მე ჩემი თავისაგან მინდა გავცალკევდე, მოიხედეთ,

ფრანც, ბერლინის ფსიქიატრთა კონგრესზე რომ წავიდე, აქ უჩემოდ გაართმევთ თავს? უკვე სამი თვეა ნიკოლი კარგად არის, მედიკავესაც მიეჩვია. ღმერთო ჩემო, ფრანც, მთელ ქვეყანაზე თქვენა ხართ ერთადერთი, ვისაც შემიძლია ესა ვოხოვო“.

ფრანცმა რაღაც წაიბუზღუნა. ერთ მშვენიერ დღეს ბოლოს, შეიძლება მობეზრდეს კიდევ თავისი პარტნიორის ამბავზე ფიქრი.

ერთი კვირის მერე დიკი ციურისის აეროპორტში დიდ თვითმფრინავში ჩაჯდა და მიუნხენს გაემგზავრა. ცას შეღრიალებულზე და გრიალზე უფრო ცხადად შეიგრძნო რა დაღლილიც იყო. ნელ-ნელა ეპარებოდა სიმშვიდე, ფიქრი არ უნდოდა, ყველა თავის ანაბარა იყოს, ძრავებმა რამდენიც უნდათ იმდენი იგუგუნონ, კლინიკებში ის ხალხი იყოს, ვინც არის, მფრინავმა კი ამ თვითმფრინავს მიხედოს კარგად. კონგრესის ერთ სესიასაც კი არ დავესწრებო, ფიქრობდა. ისედაც შეეძლო წარმოედგინა — ბლეილერი და უფროსი ფორელი ახალ ტრაქტატებს წაიკითხავენ, იმათი გაცნობა შინაც შეიძლება და იქნება ასეც ჯობდეს. მერე ის ამერიკელი გამოვა და თავის პაციენტებზე ილაპარაკებს, იმაზე, რომ ადრეულ გონებსუსტობას კბილების ამოღებით ან ნუშისებრი ჯირკვლების მოწვით კურნავს და ყველა ოდნავი ირონიით, მოჩვენებითი ზრდილობითა და ინტერესით მოუსმენს—ამერიკა ხომ ასე ძლიერი და ასე მდიდარი ქვეყანაა. იმის გარდა ამერიკელები სხვებიც იქნებიან — წითური შვარცი, წმინდანის სახითა და ულევო მოთმინებით, რის წყალობითაც, გაორებული, ძველსა და ახალ სამყაროს შუა მოქცეულა, და კიდევ ერთი ოციოდე ფსიქიატრი, უფრო კომერსანტები, თაღლითებს რომ ჰგვანან და პრესტიჟის ასამაღლებლად ჩამოდიოდნენ, აქ ჩამოსვლა ხომ მერე ხეირად ექცეოდათ კრიმინალურ პრაქტიკაში, იციან ეს, და კიდევ იძისთვის, რომ ახალ-ახალი სოფიზმებით ავსებულეებს, მერე პირი მოეხსნათ და ელაპარაკათ და ერთმანეთში აერიათ რეალური თუ მოჩვენებითი საფასეები. ცინიკოსი ლათინისტებიც იქნებიან, და ფროიდის რომელიმე ვე-

ნელი მოწაფეც. ყველაზე კარგი, გამორჩეული, დიდი იუნგი იქნება მხოლოდ, სუპერმხნე და თავაზიანი, ანთროპოლოგიის უღრანიდან სკოლის ბიჭების ნევროზებზე რომ გადადის ხოლმე ლაპარაკისას. კონგრესზე პირველები ამერიკელები იქნებიან და ყველაფერი როტარი-კლავივით წავა თითქმის; ამის მერე უფრო ძლიერი ევროპული სიცხოველე გამოვლინდება და საბოლოოდ ამერიკელები თავიანთ კოზირს ჩამოვლენ, — სტიპენდიებზე, ახალი დიდი კლინიკებისა თუ სასწავლებლების გახსნასა და კოლოსალურ შეწირულობაზე გამოაცხადებენ და იმ ციფრებზე ევროპელებს ფერი წაუვათ, ადგებიან და მორიდებითლა წავლენ-წამოვლენ, მაგრამ დიკი იქ არ იქნება და არც ამას ნახავს.

თვითმფრინავი ფორარლბერგის ალპებს უვლიდა და შვეიცარიული სოფლების დანახვაზე დიკს პასტორალური სიმშვიდე ეუფლებოდა. ხუთი ან ექვსი სახლი, მეტი არა, შუაში ეკლესიით. ყველა სოფელი ასეთი იყო. მაღლიდან როგორ უბრალო ჩანდა დედამიწაზე ყველაფერი, ისე უბრალო, როგორც თამაში თოჯინებთან და სათამაშო ჯარისკაცებთან, თუნდაც სასტიკი, მკაცრი თამაში. ალბათ ყველაფერს ასე უყურებენ გადამდგარი სახელმწიფო მოღვაწეები თუ მხედართმთავრები და ეტყობა სხვებიც. ასე თუ ისე, ყველაზე კარგად ასე ისვენებ.

იქითა მხრიდან ინგლისელმა დიკთან მუსაიფი მოიწადინა; მაგრამ ბოლო ხანებში, დიკს, ცოტა არ იყოს, აპათია ჰქონდა ინგლისელთადმი. ინგლისს თავაწყვეტილი ორგის მერე შინდაბრუნებულ მდიდარ კაცს აღარებდა, რაღაცას რომ როშავს და შინაურებს სათითაოდ ესაუბრება, მაგრამ ყველა ხვდება, ასე რაღაც იქცევა ახლა — უნდა ისევ ბატონ-პატრონი იყოს სახლში.

აეროპორტის ჯიხურებში დიკს რამდენიმე ჟურნალი ეყიდა: „სენჩერი“, „მოუზნ პიქჩერ“, „ილუსტრასიონ“ და და „ფლაიგენდე ბლეტერ“, მაგრამ კითხვაზე უფრო კარგი ის იყო, ფიქრში სოფლებში დაშვებულიყო და ყველასთვის ხელი ჩამოერთმია, ელაპარაკათ. იმ ეკლესიებშიც შევიდოდა, როგორც იმ ერთ დროს ბაფალოში, მამის ეკლესიაში წირვას რომ ესწრებოდა და გარეშემო, გახამებული საკვირაო ტანსაცმლის

ობის სუნი სცემდა, ბიბლიურ სიბრძნეს ისმენდა, ჯვარზე გაკრული კვდებოდა და ნათელ ეკლესიაში მიუჩენდნენ განსასვენებელს; და მაშინდელივით, ახლაც იტანჯებოდა, რადგან უკანა მერხზე ის გოგო იჯდა და ყოყმანობდა, თეფშზე რამდენი ცენტი დაედო შესაწირად, ხუთი თუ ათი.

ინგლისელმა რაღაცა უთხრა, ალბათ ისე, გაძოლაპარაკებისთვის და მერე ჟურნალები სთხოვა. დიკს გაუხარდა, ახლაც თავს დამანებებსო და ოთხივე მისცა. ისევ თავის ამ მოგზაურობაზე ფიქრს გაჰყვა, გრძელბეწვა ავსტრალიური ქურჭი შემოიხვია — ცხვრის ტყავში მგელიო, და ქვეყნის სიამეები წარმოიდგინა. დაინახა ხმელთაშუა ზღვა, გაუხუნარი და უმანკო და ახლომახლო ზეთისხილები მტვრიან მიწაზე, მზისფერისგან უდაბნოსფერი რომ ედებოდა... სავონასთან გლეხის გოგოს, განათებული კათოლიკური კურთხევანივით ვარდისფერი და მქრქალი სახით, ხელში აიყვანს, საზღვარს იქით გადააცილებს...

...მაგრამ ის გოგო სადაც იყო, იქვე დატოვა, უფრო შორს უნდა წავიდეს ჩქარა, საბერძნეთის კუნძულების, უცხო პორტების ღრუბელნისლა წყლებისა და უცხო ნაპირზე დარჩენილი ქალწულისაკენ, პოპულარული სიმღერების მთვარისკენაც უნდა წავიდეს... ეს ბიჭობისდროინდელი ხარახურა დიკს მეხსიერების ერთ კუნჭულში ეყარა, მაგრამ მაინც ამით, იმ ხუთათ ცენტის ამბით იყო, რომ წამებული აზრი ელავდა.

XVII

ტომი ბარბანი იყო თუ იყო, ტომი გმირი იყო — დიკს მარიენპლაცზე შემოხვდა მიუნხენში, ერთ იმ კაფეში, სადაც „პატარა კამათელზე“ შეიყრებოდნენ ხოლმე და მოთამაშეები კამათელს გობელენიან დასტახანზე აგორებდნენ. ჰაერში პოლიტიკაზე ლაპარაკის სუნი ტრიალებდა და დასტახანზე ბანქოს ტყაპანი.

ტომი მაგიდასთან იჯდა და თავისი მეომრული სიცილით იცინოდა: „უმბუ-ჰა-ჰა! უმბუ-ჰა-ჰა!“ ბევრს არა სვამდა, გულადი იყო და ამით იგებდა, მეგობრებს ცოტა ეშინოდათ კიდევაც მისი. ამას წინათ ვარშაველმა ქირურგმა თავის ქალა-

დან ერთი მერვედი ამოუღო, თმისქვეშა ქსოვილი ჯერ არ შეზრდოდა და იმ კაფეში ყველაზე უღონოსაც კი ხელსახოცის ჩალიკით შეეძლო მოეკლა.

„— იცნობდეთ, თავადი ჩილიშჩევი“ — ჭაღარა, შეფერთხილი რუსი იყო, ასე, ორმოცდაათი წლისა, „და მისტერ მაკკიბენ — მისტერ ჰენან“. ჰენანი, შავთმიანი და შავთვალა კაცი, დიდი მასხარა ვინმე იყო და დიკს მაშინვე უთხრა:

„სანამ ერთმანეთს ხელს ჩამოვართმევდეთ, ერთი ეს მითხარით, რა ხდება, აბრიყვებთ მამიდაჩემს თუ რა?“

„როგორ, მე...“

„დიახ, თქვენ. და საერთოდ, რისთვის ჩამოხვედით აქ, მიუნხენში?“

„უმბა-ჰა-ჰა!“ გაიცინა ტომიმ.

„ალბათ გყავთ მამიდეები, არა? ჰოდა, სხვებისას თავი დაანებეთ, სხვებთან რა გინდათ“.

დიკს გაეცინა, ჰენანი კიდევ სხვა იერიშზე გადავიდა:

„სიტყვა აღარ გავიგონო მამიდეებზე. საიდან ვიცი, იქნებ სულაც თვალის ახვევა გინდოდათ. არა, მართლა, მოდის კაცი, არავინ არაფერი იცის მასზე, ის კი, მოსულიც არ არის და მამიდეებზე იწყებს ლაპარაკს. რა ვიცი აბა, რა გაქვთ გულში?“

ტომის ისევ გაეცინა, მერე გულლიად, მაგრამ მოჭრით უთხრა:

„გეყოფათ, კარლი, ნუ აცურდით. დიკ, ჩამოჯექით და თქვით, როგორა ხართ, ნიკოლი როგორ არის?“

ამ კაცებში დიდად არავინ მოსწონდა და არც ვინმეს გამო თავის რალაც განგებ დაჭერა სჭირდებოდა — ახლა მოდუნდა, ისვენებდა აქ, რომ ხელახალ ბრძოლას შესდგომოდა, იმ კარგი ათლეტივით, რომელიც, თავდაცვაზეც გადადის ხოლმე, იმისათვის, რომ დროში მოიგოს და მერე მიაწვეს, წვრილფეხობა კი, როცა ისვენებს, მაშინაც კი დაჭიმულია და დაწყვეტაზელა აქვს ნერვები, ლამის გათავდეს.

ჰენანი მაინც ვერ დაცხრა, პიანინოსთან მივიდა, რამდენიმე აკორდი აიღო, დროდადრო დიკს გადახედავდა და ჩაიბუტბუტებდა, „მამიდათქვენები“, მერე და მერე კადენციით ჩაიმღერა, „განა გითხარ მამიდა, არა, გითხარ რა მინდა“.

„ჰო, როგორა ხართ?“ გაუმეორა ტომიმ. „მთლად ისე...“ ზუსტ სიტყვას ეძებდა, „უღარდელი არ ჩანხართ, უწინდელივით, ისეთი პეწი... ხვდებით, რისი თქმაც მინდა“.

რემარკა ნართაულად ეჩვენა დიკს, ცხოვრების ძალა ძველებური ველარა გაქვთო, თითქოს უთხრეს, რაღაცის სათქმელად მოემზადა თვითონაც და ტომისა და პრინც ჩილიშჩევის უცნაურ თარგზე აჭრილ, ფანტასტიკურ კოსტიუმებს შეხედა, ბილ-სტრიტზე კვირაობით მოსეირნეებსა ჰგვანდნენ, მაგრამ თავადმა დაასწრო და აუხსნა.

„ვხედავ, კოსტიუმებზე გვიყურებთ“, თქვა მან, „ჩვენ რუსეთიდან ჩამოვედით ახლახანია“.

„პოლონეთში გამოვიარეთ, კოსტიუმები სასახლის კარის მკერავმა შეგვიკერა“, უთხრა ტომიმ. „ჰო, არა ვხუმრობ — პილსუდსკის პირადმა მკერავმა“.

„ტურისტებად იყავით?“ ჰკითხა დიკმა.

ორთავემ გადაიხარხარა, თავადი ზოძაგადასულად ურტყამდა ხელს ტომის ზურგზე.

„ზუსტად, ტურისტებად, თანაც კარგა ხნით“.

დიკი ელოდა, გამაგებინებენო. მისტერ მაკკიბენმა გააგებინა ორი სიტყვით:

„გამოქცეულები არიან“.

„აი ამას კი ველარ ვიგებ მაგ ამბავში“, თქვა მისტერ მაკკიბენმა. „მაინც რად უნდა დაეშალათ თქვენთვის წამოსვლა?“

პიანინოსთან მჯდარი ჰენანი წამოდგა და დანარჩენებს თვალი ჩაუკრა.

ლაპარაკი ისევ ჩილიშჩევისა და ტომიზე გადავიდა, არ გეშინოდათო, ჰკითხეს.

„როცა ციოდა, მაშინ, თქვა ტომიმ. „სიცოცხლის ყოველთვის მეშინია, ომშიც კი მეშინოდა“.

მაკკიბენი წამოდგა.

„მე უნდა წავიდე, ხვალ დილით ინსბრუკში მივდივარ ცოლით, ბავშვებით და — გუვერნანტით, მანქანით წავალთ,“

„ხვალ მეც ინსბრუკში უნდა წავიდე“, თქვა დიკმა.

„რას ამბობთ!“ წამოიძახა მაკკიბენმა. „ჩვენთან ერთად

წამოდით. დიდი „პაკარდი“ მაქვს, ბევრნიც არა ვართ — ცოლი, ბავშვები, მე თვითონ... და გუვერნანტი...”

„მე, ალბათ...”

„ცხადია, მთლად გუვერნანტიც არ არის“, დაუმატა მაკკიბენმა და თითქმის პათეტიკურად შეხედა დიკს. „სხვათა შორის, ჩემი ცოლი თქვენს ცოლისდას, ბები უორენს იცნობს“.

მაგრამ დიკს იქ გარევის თავი არ ჰქონდა.

„ორ ნაცნობს უკვე შევუთანხმდი, ერთად მივდივართ“.

„ო“, მაკკიბენს გული დასწყდა. „რას ვიზამთ, მაშინ დაგემშვიდობებით“. მოშორებით მაგიდის ფეხზე მიბმული წმინდა სისხლის ორი ტერიერი აუშვა, რომ თავის ძაღლებიანად წასულიყო. დიკმა წარმოიდგინა ინსბრუკის გზაზე ძლივს მიმავალი გაჭედილი „პაკარდი“. შიგ ცოლ-ქმარი მაკკიბენებით, მათი ბავშვებით, ბარგი-ბარხანით, მოწკავეწკავე ძაღლებით — და გუვერნანტით.

„გაზეთში წერია, რომ იციან, ვინც მოკლა“. ტომის ხმა გაიგონა დიკმა. „მაგრამ რაკი სპიკიზი¹ იყო ის ადგილი, სადაც ეს მოხდა, ბიძაშვილებს არ უნდათ გაახმაურონ. ამაზე რას იტყვიან?“

„ოჯახის სახელს უფრთხილდებიან“.

ჰენანმა აკორდი აიღო, რომ ყურადღება მიექცია.

„ჩემი აზრით“, თქვა მან, „რაც აღრე დაწერა, ისიც არ იყო დიდი რამე, ევროპელებს რომ თავი დავანებოთ, ამერიკაშიც ცოტა როდი წერს ისევე, როგორც ნორთი წერდა“.

დიკი ახლავდა მიხვდა, რომ ეიბ ნორთზე ლაპარაკობდნენ.

„ჰო, ოღონდ იმ სხვაობით, რომ ეიბი პირველი იყო“, თქვა ტომიმ.

„ეგრე არ არის“, დაჟინებით ამბობდა ჰენანი. „მეგობრების ბრალია, კარგი მუსიკოსის სახელი რომ ჰქონდა, მის გაუთავებელ ლოთობას მაგითი ხსნიდნენ...“

„ვისზე ამბობთ, ეიბ ნორთზე ლაპარაკობთ?“ იკითხა დიკმა, „ეიბს რამე მოუვიდა? რა მოუვიდა?“

„დილანდელი „ჰერალდი არ წაგიკითხავთ?“

1 მაგარი სასმელებით უკანონოდ მოვაჭრე ბარი (ამერ. ჟარგ.).

„არა“.

„ეიბი მოკვდა. ნიუ-იორკის სპიკიზიში სასიკვდილოდ სცემეს. ძლივს მივიდა თავის რეკეტ-კლაბამდე და იქ მოკვდა“.

„ეიბ ნორთი?“

„ჰო, გაზეთშია...“

„ეიბ ნორთი?“ დიკი წამოდგა. „მართლა იცით, რომ მოკვდა?“

ჰენანი მაკკიბენს მიუბრუნდა.

„რეკეტ-კლაბამდე არ მისულა, ჰარვარდ-კლაბში მოკვდა. ეგ რეკეტ-კლაბის წევრი არ იყო“.

„ჰერალდში“ ასე წერია“. დაჟინებით ამბობდა მაკკიბენი.

„შეცდომაა, გეუბნებით, ასე არ არის“.

„სასიკვდილოდ სცემეს სპიკიზიში“.

„რეკეტ-კლაბში თითქმის ყველას ვიცნობ“, ამბობდა ჰენანი, „ეგ ჰარვარდ-კლაბში იყო“.

დიკი წამოდგა, ტომიც ადგა. თავადი ჩილიშჩევი უღიმღამო ფიქრებისაგან გამოერკვა, შეიძლება ისევ რუსეთიდან გამოქცევის შანსზე ფიქრობდა, ამაზე უკვე იმდენი ეფიქრა, რომ იოლად ველარ მოიშორებდა, ადგა და ამათ მიჰყვა თვითონაც.

„ეიბ ნორთს სცემეს და მოკვდა“.

რა გზით, რანაირად მიდიოდა ოტელში დიკი, ვერა გრძნობდა. ტომი ლაპარაკობდა.

„მკერავს ველოდებით, რომ დააძთავროს, რაძდებიძე კოსტიუმი შევუკვეთეთ და როგორც კი მზად იქნება, პარიზში წავალთ. ბირჟის მაკლერის საქმეს მინდა ხელი მოვკიდო და იქ ასე ვერ გამოვჩნდები, არ მიმიღებენ. ამერიკაში თქვენთან ახლა ყველა მილიონს აკეთებს. ხვალ მართლა მიდინხართ? ერთხელაც კი ვერ ვისადილებთ ერთად. მე მგონია, მიუნხენში თავადს ქალი ჰყავდა ადრე. დაურეკა, მაგრამ უთხრეს, ხუთი წლის წინათ გარდაიცვალაო, დღეს იმის ორ ქალიშვილთან ვიქნებით სადილზე“.

თავადმა თავი დაიქნია.

„იქნებ დოქტორ დაივერისთვისაც მომეხერხებინა“.

„არა, არა“, ჩქარა თქვა დიკმა.

მაგრად ეძინა, უსიზმრობოდ. ფანჯრიდან სამგლოვიარო მარშის ყრუ ხმა მოესმა და იმან გააღვიძა. ქუჩაში გრძელ

მწკრივად მიდიოდნენ 1914 წლის ნაცნობ მუზარად-უნიფორ-
მიანები, სქელი კაცები ფრაკებითა და ცილინდრებით, ბიურ-
გერები, არისტოკრატები, უბრალო ხალხი. ვეტერანების საზო-
გადოებას ოქში დაცემულთა საფლავეებზე გვირგვინები მიჰ-
ქონდა. ნელა და დინჯად მიდიოდნენ, ძველი დიდების, დაკარ-
გულ ძალის, დავიწყებული მწუხარების პატივსაცემად. სახე-
ებზე ფორმალური სევდა ეხატათ, მაგრამ დიკს, იმათ შეხედ-
ვაზე ლამის ფილტვები დაეხეთქა. იმიტომ რომ ეიბი მოკვდა,
იმიტომ რომ ათი წლის წინათ წაუვიდა ახალგაზრდობა.

XVIII

ინსბრუკში დღის მიწურულს ჩავიდა, ბარგი ოტელში გაგ-
ზავნა და ქუჩებს დაუყვა. მზის ჩასვლაზე იმპერატორ მაქსი-
მილიანს მუხლი მოეყარა და თავის ბრინჯაოს მეგლოვეებზე
ლოცულობდა. ოთხ ახალბედა იეზუიტს, უნივერსიტეტის ბალ-
ში ხეივანს რომ აუყვებოდ-დაუყვებოდა, წიგნები ეჭირათ და
ჩასცქეროდნენ. მზე ჩავიდა და უძველესი ალყებისა და წლის-
თავეების, ქორწინებების მარმარილოს მოწმენიც გაქრნენ;
დიკმა მწვანე ბარდის სუპს და წვრილ ძეხვს ოთხი კათხა პი-
ლზენური ლუდი დააყოლა და კაიზერის თავშესაქცევის საშიშ
დესერტზე უარი თქვა.

გადმოწოლილი მთების მიუხედავად შვეიცარია მაინც
შორს იყო. ნიკოლიც შორს იყო. საღამოთი, ოტელის ბალში
სეირნობისას, ნიკოლზე ფიქრობდა, ფიქრობდა სიყვარული-
თა და განმარტოებით იმაზე, რაც ყველაზე კარგი იყო ნიკოლში.
გაახსენდა, როგორ მოიბრინა ერთხელ მასთან ცვრიან ბალახ-
ზე თხელი სანდლებით, მთლად რომ დასველებოდა და დიკის
ფეხსაცმელებზე შედგა, უფრო ახლო მიიწია და სახე გადაშ-
ლილ წიგნსავით მიუახლოვა.

„როგორ გიყვარვარ ახლა, ძალიან?“ ჩურჩულით უთხრა.
„მე არ მოვითხოვ, რომ ყოველთვის ასე გიყვარდე, მაგრამ ძა-
ლიან გთხოვ, არ დაივიწყო ეს საღამო. სადღაც, გულში, მე
სულ ისეთი ვიქნები, როგორიც ახლა“.

დიკი კი გამოიქცა, თავისი გადარჩენისთვის გამოიქცა და
ამაზე ფიქრობდა. დაკარგა თავისი თავი და როდის, რომელ

დღეს, კვირას, თვეს, ან წელიწადს, ეს არ იცოდა. ოდესღაც ჰქონდა მოვლენების წვდომის უნარი, მაშინ ცხოვრების ყველაზე რთულ მხარესაც კი მარტივი პაციენტების პრობლემასავით გადაჭრიდა ხოლმე. იმის მერე კი, რაც ნიკოლი ნახა ციურისის ტბაზე, და მერე, როზმერისთან შეხვედრამდე, ეს უნარი წართმეოდა.

ღარიბული ეკლესიის მრევლში არსებობისათვის მამამისის ბრძოლის შემყურე დიკმა, თუმცა ბუნებით მომხვეჭელი არა ყოფილა, ისწავლა ფულის ფასი. არა, ეს იმის გამო კი არ მოხდა, უზრუნველი რომ ყოფილიყო — ეს ბუნებრივი იქნებოდა, არა, ნიკოლს როცა ირთავდა, ყველაზე მეტად იმ ხანებში უფრო სჯეროდა თავისი თავის, მაშინ იყო თუ იყო, რომ ფეხზე იდგა და მიუხედავად ამისა, მაინც, გადაყლაპეს, როგორც „გიგოლო“¹ და რაღაცნაირად თვითონაც წავიდა დათმობაზე, რომ მთელი თავისი არსენალი უორენების საგვარეულო სეიფებში ჩაკეტილიყო.

„საჭირო იყო საქორწინო მოლაპარაკების ევროპულ სტილზე შედგენა, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი რამ წინ არის, რვა წელი ამოდ დაგვარგე, რომ მდიდრებისთვის ადამიანური წესიერების ანაბანა მესწავლებინა, მაგრამ ხელის ჩაქნევა ჯერ ადრეა. ჯერ კიდევ ბევრი კოზირი მაქვს“.

უაზროდ დაეხეტებოდა, წაბლისფერშეპარულ ვარდისფერ ბუჩქებს გარს ნოტიო ხვეულა გვიმრები ერტყა. ოქტომბრის თბილი საღამო იყო, მაგრამ დიკს ტვიდის ბოლომდე შეკრულ ქურთუკშიც არ სცხელოდა. რეზინის პატარა ღილ-კილოც შეეკრა, შავმოიისფრო ხეს ქალის ფიგურა გამოეყო, დიკმა შეიცნო, ოტელიდან გამოსვლისას ვესტიბიულში რომ იდგა, ის ქალიშვილი იყო. ახლა ვისაც კი მშვენიერ ქალს დაინახავდა, ყველა უყვარდა. უყვარდა მათი შორს აღანდულ სილუეტი, კედელს აკრული იმათი ჩრდილი.

ქალიშვილი ზურგით იდგა და ქალაქის ჩირაღდნებს გასცქეროდა. დიკმა ასანთი გაკრა, იმ ვარაუდით, იქნებ ხმაზე მოტრიალდესო, მაგრამ ქალიშვილი არც შერხეულა.

— გამოწვევაა? თუ პირიქით, არად ჩაგდება? უბრალო

¹ დაქირავებული პარტნიორი დანსინგში (ფრანგ.).

სურვილებისა და ამ სურვილების ასრულების სამყაროს დიდ-
ხანს იყო მოშორებული და ეს გაუბედავსა და მერყევს ხდიდა.
ალბათ, ფიქრობდა დიკი, მინერალურ წყლებზე აქ აგარაკად
ჩამოსულებს რაღაც კოდი აქვთ და იმითი პოულობენ სწრაფად
ერთმანეთს.

— საჭირო სვლას იქნებ მისგან ელოდებიან, უცნობი ბავ-
შვები ერთმანეთს რომ დაინახავენ, გაიღიძებენ და იტყვიან
ხოლმე: „მოდით ერთად ვითაძაშოთ“.

ცოტა მიუახლოვდა. ჩრდილი შეირხა. ახლა კი დასცხებენ,
როგორც მოხეტიალე მედაფდაფე ბიჭებს — ეს ამბავი აღარც
ახსოვს როდის და ვინ უამბო, მაშინ თვითონაც ბიჭი იქნებო-
და. გული გამალებით უცემდა გაურკვეველის, შეუსწავლელის,
გამოუკვლეველ-ამოუხსნელის სიახლოვით. უცებ დიკი მო-
ტრიალდა, მაშინვე ქალიშვილიც შეირხა და შავმოიისფრო
ფოთლოვანი არშიაც დაირღვა, რადგან ქალი თვითონვე იყო ამ
არშიაში. ბაღის მერხს შემოუარა და ნელი, მაგრამ მტკიცე
ნაბიჯით ოტელისკენ მიმავალ ბილიკზე გადავიდა.

მეორე დილას დიკი, ორი მთამსვლელი და გამცილებელი
ბირკარშპიტცეზე ასვლას შეუდგნენ. უკან დარჩა მაღალმ-
თიანი საძოვრები, გულს ახარებდა სადღაც ქვევიდან ამოსუ-
ლი ზანზალაკების წკრიალა ხმა, ახლავე უხაროდა, რომ ლამეს
მთაში, ქოხში გაათენებდა. მოსწონდა დალლა, მოსწონდა, რომ
გამცილებლის მორჩილი იყო და არავინ იცნობდა აქ. მაგრამ
შუადღით ამინდი შეიცვალა, მოშავო ხორხომელა წამოვიდა
და სეტყვაც მოჰყვა, მთებში ჭექა-ქუხილის ხმა დაირხა. დიკ-
სა და ერთ ალპინისტს კიდევ უნდოდათ გზის გაგრძელება, მა-
გრამ გამცილებელმა უარი თქვა. დასანანია, მაგრამ სხვა გზა
არ იყო. დაშვებისას ფეხი უსხლტებოდათ, ინსბრუკში დაბ-
რუნდნენ, რომ ხვალ დილით ადრე ისევ გზას დასდგომოდნენ.

ცარიელ რესტორანში ერთი ბოთლი იქაური, მაგარი ღვი-
ნო შესვა სადილზე და მერე უცებ შეუცნობელმა ღელვამ მო-
იცვა, შეუცნობელმა მანამ, სანამ ბაღზე არ გაიფიქრა — ვახშ-
მამდე კიდევ შეხვდა იმ ქალიშვილს ვესტიბიულში, ახლა ქა-
ლიშვილმა შეხედა და სიმპათიითაც, მაგრამ ამანაც უფრო
გაუმძაფრა ნაღველი: „რისთვის, შემეძლო რამდენიც გინდა
იმდენი მშვენიერი ქალი მყოლოდა თავის დროზე, მაგრამ

ახლა რად მინდა ამის დაწყება, როცა ძველი სურვილებიდან ნატამალიც კი აღარ შემომჩია?”

წარმოსახვამ შორს წაიყვანა, მაგრამ უწინდელი ასკეტიზმი, ბევრ რამეზე რომ უარს ათქმევინებდა, ახლაც ყველაზე ძალა დადგა. „ღმერთო, შემეძლო, რივიერაზე წავსულიყავი და ხვალვე ჭეინის კარიკამენტოსთან ან პატარა უილბერჰეინისთან გამეთია ღამე, ოღონდ ღირს კი ამ წლების ასე იოლი და მისაწვდომი გზით შემოკლება?“

მაგრამ ღელვა არ დაუცხრა და ვერანდიდან თავის ოთახში ავიდა, რომ ფიქრს მისცემოდა. იქ ხელს არავინ შეუშლიდა, მარტოობა, ფიზიკური თუ სულიერი, სევდას ბადებს და სევდა კი უფრო აძლიერებს მარტოობას.

ზევით ასული, ოთახში მიდი-მოდიოდა, ფიქრობდა, მთამსვლელის სველ ტანსაცმელს იხდიდა თან და ოღნავ თბილ რადიატორზე ფენდა; ისევ დახედა ნიკოლისაგან გამოგზავნილ ტელეგრამას, როცა კი დიკი წავიდოდა, ყოველდღე ასე უგზავნიდა. ტელეგრამა ვახშობამდე მოვიდა, დიკმა არ გახსნა — შეიძლება იმ ბალის გამოც. ახლა გახსნა. კაბლოგრამა იყო ბაფალოდან, ციურიხის გავლით გამოგზავნილი.

„მამათქვენი მშვიდად აღესრულა წუხელ ღამით.

ჰოლმზი“.

მწვავე ტკივილმა დაუარა, დაიძაბა, ტკივილმა ჯერ მუცელში გაჰკრა, მერე წელში, და ყელში მოაწვა.

კიდევ ერთხელ გადაიკითხა და საწოლზე ჩამოჯდა გაშტერებული, მძიმედ სუნთქავდა; ჯერ ვერ მოეშორებინა ეგონისტური აზრი, მშობლის სიკვდილის შეტყობისას ბავშვს რომ უჩნდება, — რა მეშველება, როცა ყველაზე ძლიერი და დიდი მფარველი აღარა მყავს?

ამ ატავიზმმა რომ გაიარა, ისევ სიარული დაიწყო ოთახში, ზოგჯერ ჩერდებოდა და კაბლოგრამას დახედავდა. ჰოლმზი მამის თანაშემწედ ითვლებოდა, მაგრამ უკვე ათი წელია, რაც ფაქტიურად თვითონ იყო სამრევლო მღვდელი. რით მოკვდა? სიბერით — სამოცდათხუთმეტი წლისა იყო. კარგა ხანს იცოცხლა.

დიკს იმაზე ეწვოდა გული, რომ მარტო მოკვდა, ჯერ ცოლის სიკვდილს მოესწრო, მერე ძმები და დები დაკარგა, ბიძა-

შვილები კი ჰყავდა ვირჯინიაში, მაგრამ ლარიბები იყვნენ და ჩრდილოეთში ვერ წავიდოდნენ, იმიტომაც აწერდა დეპეშას ჰოლმზი ხელს. დიკს მამა უყვარდა — დღემდეც კი, ძალიან ხშირად ცდილობდა ხოლმე წარმოედგინა, რას გააკეთებდა ძაძაძისი, ან როგორ მოიქცეოდა, დიკი რომ ყოფილიყო. დიკი იმის მერე, რაც ერთიმეორის მიყოლებით დაიხოცნენ იმისი დები, რამდენიმე თვის მერე დაიბადა და მამას ეშინოდა, ერთადერთი ბავშვი დედამ არ გაანებივროსო, ამიტომაც თავიდანვე თვითონ ითავა ვაჟიშვილის ზნეობის აღზრდა. მაშინაც უკვე დაღლილი იყო ცხოვრებით, მაგრამ თავისი მოწოდების სიმაღლეზე ყოფნა მაინც შეძლო.

ზაფხულობით მამა-შვილი ქალაქში ერთად დადიოდნენ ფეხსაცმელების გასაწმეხდად — დიკს გახამებული ტილოს მატროსის კოსტიუმი ეცვა ხოლმე, მამას თავისი საუცხოო სამოსელი პასტორისა. დიკი ლამაზი, მოხდენილი ყმაწვილი იყო და მამა ძალიან ამაყობდა თავისი ბიჭით. შვილს ჩააგონებდა, რაც თვითონ იცოდა ცხოვრებაზე, უფრო მეტად უბრალო და ურყევ ჭეშმარიტებებს, იმას, რაც თვით მას, მღვდელს შეეძლო ესწავლებინა. „ერთხელ, — იმხანად სასულიერო წოდება ახალი მიღებული მქონდა, ერთ სახლში მომიხდა მისვლა, უცხო ქალაქში. შევდივარ ხალხით სავსე სასტუმრო ოთახში და არ ვიცი ვინ არის მასპინძელი. სტუმრებს შორის რამდენიმე ნაცნობი კი შევამჩნიე, მაგრამ არავისთვის მიკითხავს რამე და პირდაპირ ოთახის სიღრმეში, ფანჯარასთან მჯდომ ჭალარა ქალთან მივედი და ჩემი თავი წარვუდგინე. იმის მერე ბევრს დავუახლოვდი იმ ქალაქში და ბევრი მეგობარი შევიძინე“.

ასეთ რამეს გულდიად ყვებოდა — მამამ იცოდა თავის ფასი და მთელი ცხოვრების მანძილზე არ დაუკარგავს ის სიამაყე, თავის გამზრდელი ორი ამაყი ქვრივისაგან რომ გადმოეცა, ისინი მას იმ რწმენით ზრდიდნენ, რომ არაფერია იმაზე უფრო დიდი ღირსება, ვიდრე „სიკეთის ინსტინქტები“, ვაჟკაცობა, ზრდილობა და პატიოსნება.

მამას ყოველთვის მიაჩნდა, რომ ცოლის მცირე მემკვიდრეობა ვაჟიშვილს ეკუთვნოდა და სასწავლებელშიც და სამედიცინო კოლეჯში სწავლის წლებშიც დიკს ყოველ წელს, სამ

თვეში ერთხელ ჩეკს უგზავნიდა. ის ერთი იმათგანი იყო, ვის-
ზედაც მოოქრულ საუკუნეში, აქსიომასავით იტყოდნენ ხოლ-
მე: „უდავოდ, ჯენტლმენია, მაგრამ უფხოა“.

...დიკმა გაზეთისთვის გაგზავნა ბიჭი. ამერიკაში მიმავალი
გემის რეისი ისე შეარჩია, ოთახში წინ და უკან სიარული არ
შეუწყვეტია, თან კაბლოგრამას — გახსნილი იყო და — უყუ-
რებდა. მერე ციურხით ნიკოლთან ლაპარაკი შეუკვეთა, სანამ
იცდიდა, ბევრი რამ გაახსენდა და დაენანა, რად არ იყო ისე-
თი კარგი, როგორც უნდოდა ყოფილიყო, ყოველთვის კარგი
რად არ იყო.

XIX

მთელ საათს უკვე წინ მოჩანდა ნიუ-იორკის პორტი, და სამ-
შობლო მიწის დიდებული ფასადი, მამის სიკვდილზე ფიქრით
მოცულს, სევდიანი ეჩვენა, მაგრამ როგორც კი ხმელზე ფეხი
შედგა, ეს გრძნობა გაუქრა და აღარც დაბრუნებია, არც მა-
შინ, როცა ქუჩებში მიდიოდა, არც ოტელებში, და არც მატა-
რებლებში, ჯერ რომ ბაფალოში, მერე კი სამხრეთისკენ ვირჯი-
ნიაში, მამამისის ნეშტთან ერთად მიაქანებდა. მხოლოდ მაშინ,
როცა ძველი მატარებელი უესტმორლენდის მეჩხერი ტყის
თიხნარს შეუყვავა, დიკმა ისევ იგრძნო, რომ აქაურობის ზიარი
იყო. ვაგზალში ცაზე ვარსკვლავი დაინახა და იმ ვარსკვლავს
იცნობდა, ჩიზაპიკის უბის თავზე გადმომდგარი ცივი მთვარეც
დიკის ნაცნობი მთვარე იყო, ესმოდა ხის თვლების ჭრიალი და
რადაც ხმები, საყვარელი და მიკარგული, იმ პირველყოფილ
მდინარეთა სალბუნევით ხმა, მდორედ რომ მიდიოდნენ და ინ-
დიელების სალბუნევით სახელები რომ ერქვა ყველას.

მეორე დღეს მამამისი ეკლესიის ეზოში მიაბარეს მიწას
ასობით დაბვერების, დორსების და ჰანტერების გვერდით. სა-
ხუგეშო ის იყო, რომ აქ იგი მარტო არ იქნებოდა, არამედ
ყველა ამათთან ერთად. ფხვიერი, წაბლა მიწისაგან ამართულ
პატარა ბორცვზე მიმოფანტეს ყვავილები. აქაურობასთან
დიკს აღარაფერი აკავშირებდა და არც ფიქრობდა, რომ რო-
დისმე კიდევ დაბრუნდებოდა. მუხლი მოიყარა. იცნობდა ამ
ხალხს, აქ რომ სამარადისო ძილით ეძინათ, ახოვანებს, მზე-

დაკრული სახეებით და ანთებული ლურჯი თვალებით, მათი სულები მეჩვიდმეტე საუკუნის ულრანი ტყის წყვდიადში იყო გაძოდერწილი, ახალი მიწით.

„მშვიდობით, მაძა — მშვიდობით, ყველა ჩემო მძებო“.

პორტის გრძელ პირსზე ფეხშედგმული, აღარც იქა ხარ, ხმელეთზე, და აღარც აქა ხარ.

ყვითელი, ნისლიანი კამარა სავსეა მოგუგუნე ხმების ექოთი. ტვირთის გადატანა, ჩასხდომა, გრიალი და გრუხუნნი, ონკანების ჩხრიალი და ჟღრიალი, ჰაერს უკვე ზღვის მარილიანი გემო ერევა. ყველა ჩქარობს, მიუხედავად იმისა, რომ დრო ქვეყნისაა; წარსული, კონტინენტი — უკანდა დარჩა, მომავალი კი გემის ტრაპს ზევით, გახურებულ ხახაში იცდის; თავგზააბნეული აწმყო — მიხლა-მოხლაა გასასვლელში.

ბოლოს გემზე ხარ, სამყაროს სახეც იკვეთება და ვიწროვდება, ახლა ანდორაზე უფრო პატარა სახელმწიფოს მოქალაქე ხარ, სადაც ყველაფერს უნდა ელოდე. გემის ხაზინადრის კაცებს კაიუტებივით წაგრძელებული და უცნაური სახეები აქვთ; მგზავრები და მათთან მოსული მეგობრებიც გეგონება აგდებულად იყურებიან. მაგრამ ხმამაღალი, ნაღვლიანი სტვენა გაისმის. ერთი ძლიერი შეთრთოლება და გემი, ადამიანის ეს ერთი აზრიც, უკვე მოძრაობაშია, და პირსი და იმასთან ერთად ხალხიც სრიალით გშორდება; წამით გემი პირსის რალაცა წანატეხი გგონია, მაგრამ სახეებს უკვე ველარ არჩევ და ხმებიც უკვე აღარ მოგესმის, პირსი რალაცა შორით ლაქაა, ნავთსაყუდელი სულ უფრო სწრაფად იწევა განზე და ზღვაში შედიხარ.

გაზეთების მიხედვით ამ გემის ყველაზე ძვირფას ტვირთად ელბერტ მაკისკო ითვლებოდა. მაკისკო მოდაში იყო. მისი რომანები თავისი დროის კარგი მწერლების ქმნილებათა მიბადვით იქმნებოდა და არ შეიძლება ეს ღვაწლი მისთვის დაეკარგათ; თანაც, კარგადაც ახერხებდა რომ გაებერა, ამარტივებდა იმას, რასაც კი სესხულობდა და ამით ძალიან აამებდა ბევრ მკითხველსაც, მოხიბლულს იმით, რომ მისი გაგება უფრო ადვილი იყო. წარმატებამ უკეთესი გახადა, ისეთი დიდ-

გულა და ამპარტავანი როდილა ჩანდა. იცოდა თავისი თავის ფასი — იმხელა ენერგია ჰქონდა, რომ ბევრს, მასზე მეტად ნიჭიერებსაც მოიტოვებდა და გადაწყვიტა, თავისი წარმატებით, რაც შეიძლება ესარგებლა. „მე ჯერ არაფერი გამიკეთებია“, თავისთვის ბჭობდა, „ვიცი, რომ გენიოსი არა ვარ, მაგრამ ბევრი თუ ვწერე, ბოლოს შეიძლება მართლა დავწერო კარგი წიგნი“. ვინ იცის, მართლა, — ძორყეული ტრამპლინებიდანაც, კარგი ნახტომის მაგალითი რამდენიც გინდათ იმდენია. ძველი წყენა, უთვალავჯერ რომ შეხვედრია, დავიწყებას მიეცა. ისე კი მისი წარმატების ფსიქოლოგიურ საფუძვლად ტომი ბარბანთან დუელი იქცა; მერე, როცა მეხსიერებაში უკვე ბევრი რამ წაიშალა იმ ამბიდან, თავის თავს უფრო აფასებდა.

გემზე მაკისკომ დიკი მეორე დღეს შენმჩნია. ჯერ ფრთხილად გამოხედა, მერე მიუახლოვდა, მეგობრულად წარუდგა და გვერდით მიუჯდა. დიკი კითხულობდა, წიგნი გვერდზე გადადო; რამდენიმე წუთი თუ დასჭირდა იმისათვის, რომ კარგად შეემჩნია მაკისკოში მომხდარი ცვლილება და ეს ახალი მაკისკო, გამაღიზიანებელი გრძნობისაგან დაცლილი, საინტერესო მოსაუბრედაც კი მოეჩვენა. „ინფორმაციის წყარო“ მაკისკოს უფრო მეტი ჰქონდა, ვიდრე გოეთეს — ერთ რამედ ღირდა მისი მოსმენა, როცა სიტყვათა უამრავ, იოლად მისახვედრ წყებებს აგებდა და თავის აზრებად ასაღებდა. ურთიერთობა გაიბა და ხშირად ერთადაც საუზმობდნენ. მაკისკომ მეუღლითურთ, კაპიტნის მაგიდასთან იყო მიწვეული, მაგრამ როგორც თვითონვე ახალგამომცხვარი სნობიზმით უთხრა დიკს, „იმ კომპანიას ვერ იტანდა“.

ვაიოლიტი ახლა დიდებული ქალი გახლდათ და დიდებული მემოდელეების კაბები ეცვა, დაუსრულებლად იხიბლებოდა პატარა აღმოჩენებით, რასაც კარგად აღზრდილი ქალები ოც წლამდე უკვე განვლილ ეტაპად მიიჩნევენ. თავის დროზე რალაცის სწავლა კი შეეძლო დედისგან, მაგრამ სულიერად იგი უფრო აიდაჰოს იაფფასიან, მცირე კინოთეატრებში ჩამოყალიბდა და დედისთვის დრო აღარა რჩებოდა. ახლა იგი რამდენიმე მილიონ სხვა კაცთან ერთად „რჩეულებს“ ეკუთვნოდა და ბედნიერი იყო, თუმცა ქმარი, როცა

მეტისმეტ გულუბრყვილობას იჩენდა ხოლმე, ისევ ისე უცა-
ცხანებდა.

მაკისკოები გიბრალტარში გადასხდნენ. მეორე საღამოს
ნეაპოლში, გზად, როცა ოტელიდან ვაგზალში მიდიოდა, დიკი
ავტობუსში ერთ საცოდავ ოჯახს გადაეყარა. ხანში შესული
ამერიკელი ქალი ორ ქალიშვილთან ერთად დიკმა გემზევე
შეამჩნია. ისეთი დაბნეულები და საწყლები ჩანდნენ, ყოვლის-
წამლეკმა სურვილმა მოუარა: დახმარებოდა, ან იქნებ უნდო-
და ასე მოქცეულიყო, რომ მერე დიკით მოხიბლულიყვნენ —
მატარებელში იმათ გართობის ცდაში იყო და ცხადია, ფრთხი-
ლად და ტაქტიანად, ღვინოც კი შესთავაზა, და გულწრფელად
გაიხარა, როცა დაინახა, რომ გულდაჯერება მოემატათ, ისე
იხარჯებოდა, ასეთი კარგი ბრძანდებითო, რომ ლამის თვითო-
ნვე დაიჯერა რასაც ამბობდა, მით უფრო, რომ ილუზიისთვის
ბევრსაცა სვამდა; ქალებს კი, სამივეს, ასე ეგონათ, ციდან
დაგვატყდაო თავს ეს ამბავი. უკვე რიჟრაჟდებოდა და მატა-
რებელი რწევითა და ქშენით მიდიოდა კასინოდან ფროზი-
ნონემდე, როცა იგი მათ გაეცალა. რომის ვაგზალზე ამერიკუ-
ლად, დიდი ამბით დამშვიდობების მერე დიკი დაქანცული
გაემართა ოტელ „კვირინალისაკენ“.

პორტიეს კანტორასთან უცებ გვერდზე მიიხედა და გაქვა-
ვებულებით შედგა; თითქოს ღვინო დაელია, ცხელ ტალღასა-
ვით დაუარა სხეულში და თავში აუვარდაო. ის დაინახა, ვისი
ხახვის იმედიც ჰქონდა, ვისთვისაც მთელი ხმელთაშუა გად-
მოიარა.

სწორედ ამ დროს როზმერიმაც დაინახა და ისე გაუხარდა,
გაშტერებაც ველარ მოასწრო; დაბნეულმა შეხედა თავის თა-
ნამგზავრ ქალიშვილს, და მაშინვე გამოქანდა. დიკი ელოდა,
დაჭიმული, სუნთქვაშეკრული. მოუახლოვდა და როცა თითქ-
მის სულ ახლო იყო, ახლებურად მომხიბვლელი და მოვლილი,
როგორც ფაშატი გერგე, მბზინავ ფერდებით და მოსართავით,
მხოლოდ მაშინ მოეგო გონს; მაგრამ ეს ყველაფერი ძალიან
სწრაფად მოხდა, დიკმა ისღა მოახერხა, რომ დაქანცულობა
დაეფარა და როზმერის გულდია და სხივიან მხერას არაგულ-
წრფელი პანტომიმა შეაგება, რასაც, სიტყვებით, ალბათ ასე
გამოხატავდა — „ვის ნახვას აღარ ვიფიქრებდი, როგორ,
თქვენა ხართ?“

როზმერის ხელთათმანიანმა ხელებმა დაფარა დიკის მერ-
ხზე ჩამოდებული ხელი; „დიკ — ჩვენ აქ „რომის გარდასულ
დიდებას“ ვიღებთ — უფრო სწორად, გვგონია, რომ ვიღებთ.
ერთ მშვენიერ დღეს შეიძლება მივანებოთ თავი“.

დიკი ჩაცმებით უყურებდა, იქნებ ამ შეხედვით შემცბარ
როზმერის ვერ შეეძინია გაუპარსავი პირისახე, დაჭმუჭნილი
პერანგი და ჩაკეცილი საყელო. საბედნიეროდ, როზმერის ეჩ-
ქარებოდა.

„ჩვენ ადრე ვიწყებთ, რადგან თერთმეტისთვის უკვე ნის-
ლია — ორის მერე დამირეკეთ“.

თავის ოთახში ასული დიკი ცოტ-ცოტა თავის თავს დაუბ-
რუნდა. პორტიეს დაურეკა, რომ ზუსტად თორმეტისთვის გაელ-
ვიძებინათ, სწრაფად გაიძრო ტანსაცმელი და ძილს მისცა თავი.

პორტიეს დარეკვა არ გაუგონია, მაგრამ ორ საათზე, გამოძი-
ნებულს, თვითონვე გაელვიდა. ბარგი გახსნა და კოსტიუმები
და პერანგები გასამზადებლად ჩააბარა. მერე პირი გაიპარსა,
ერთ ოცდაათ წუთს თბილ აბაზანაში ჩაწვა და ისაუზმა. ვია
ნაციონალე უკვე მზით იყო გაჩახჩახებული, უნდოდა, ოთახ-
შიც შემოსულიყო მზე და ძველ თითბრის რგოლებზე ჩამო-
კიდებული მოჟღარუნე პორტიერები ოდნავ გასწია. სანამ გაუ-
თოებულ კოსტიუმს მოუტანდნენ, „კორიერე დელა სერა“ გა-
დაშალა და შეიტყო ამბავი „სინკლერ ლუისის რომანისა
„უოლ-სტრიტი...“

ვერ ფიქრობდა, არაფერი გამოდიოდა, როზმერი ახალგა-
ზრდა და მომხიბვლელი იყო, მაგრამ ამის თქმა ტოპსიზეც შეი-
ძლებოდა. ხვდებოდა, რომ ოთხ წელიწადში საყვარლები
ეყოლებოდა და ალბათ თვითონაც ეყვარებოდა. კაცმა არ იც-
ის, ვის რა ადგილი უჭირავს სხვების ცხოვრებაში. მაინც ამ
გაურკვევლობიდან ერთი რამ, თავისი გრძნობა გამოიკვეთა. სა-
უკეთესო ურთიერთობად ის ითვლება, როცა იცი, რომ ბევ-
რი რამ არის ხელშემშლელი, მაგრამ მაინც გინდა, რომ მოყვა-
სად დარჩე. წარსული ისევ მოეძალა და მოუნდა, რომ როზ-
მერის უებრო მზადყოფნა, დიკს დანებებოდა, მხოლოდ დი-
კისთვის ყოფილიყო და დიკის იქით არ წასულიყო. სცადა
თავმოყრა ყველაფრისა, რითაც როზმერის მოხიბლავდა —
ოთხი წლის წინათ უფრო უხვადა ჰქონდა ხიბლი ვიდრე ახლა.

თვრამეტისები ოცდაათობქმეტი წლისას ახალგაზრდობის სქელ ბურუსში გახვეულები უყურებენ; მაგრამ ოცდაორისე-ბი უღმობელი სიცხადით ხედავენ ყველაფერს, რაც ოცდათვრამეტს შეეხება. თანაც, მათი შეხვედრისას დიკი ემოციურობის ზენიტში იყო; იმის მერე დრო გავიდა და, ის ხალისი აღარა ჰქონდა.

როცა კოსტიუმი მოიტანეს, დიკმა თეთრი პერანგი ჩაიცვა, შავი ჰალსტუხი გაიკეთა და მსხვილმარგალიტიანი ქინძის თავი გაუყარა; მეორე ასეთივე მარგალიტი პენსნესთვის იყო დაუდევრად რომ ეკიდა ხოლმე. ზაფხულობით რივიერაზე ცხოვრების გამო ნამზეური სახე უკვე მოყავისფრო-კრამიტისფერი გახდომოდა და გამოძინებულს ახლა უფრო ეტყობოდა ეს. მოქნილობისთვის თავდაყირა დადგა სკამზე და სანამ ჯიბიდან კალამი არ ამოუვარდა და ხურდა ფული არ გამოიყარა, ასე იყო. სამ საათზე როზმერის დაურეკა, მიწვევა მიიღო. იმ თავისი აკრობატული ვარჯიშის მერე თავბრუ დაეხვა და გზად ბარში შეიარა, რომ ჯინი-ტონიკი დაეღია.

„ჰეი, დოქტორო დაივერ!“

მხოლოდ იმის გამო, რომ ოტელში როზმერი ცხოვრობდა, დიკმა მაშინვე იცნო კოლის კლეი. ისევ ისეთი დაჯერებული და თავაღერილი, ისევ ისეთი სქელი ყბებით.

„იცით, რომ როზმერი აქ არის?“ ჰკითხა მან.

„ჰო, შემთხვევით შევხვდი“.

„ფლორენციაში ვიყავი, იქ გავიგე როზმერის აქ ჩამოსვლა და წინა კვირას მეც წამოვედი. ახლა ძნელია მისი ცნობა, დედას პატარა გოგო არ არის“, და მაშინვე შეარბილა: „ასე ვთქვათ, იმის თქმა მინდა, რომ სათუთად გაზრდილი, ახლა მსოფლიო ქალი დადგა—ერთი სიტყვით. ხვდებით, რასაც ვგულისხმობ. რომ იცოდეთ, რა დღეში ჰყავს ეს რომაელი ბიჭები — დაგრეხილები, და მერე როგორ!“

„ფლორენციაში რას აკეთებთ, სწავლობთ?“

„მე? ეგრეა, არქიტექტურას ვსწავლობ იქ. კვირას დავბრუნდები — დოლისთვის დავრჩი“.

გინდა თუ არა, სურდა თავისი ბარში გახსნილი ანგარიშისთვის მიემატებინა ისიც, რაც დიკმა დალია, მაგრამ დიკმა თავისი ქნა და არ დაანება.

ლიფტიდან გამოსული დიკი მიხვეულ-მოხვეულ დერეფანში მიდიოდა, შორიდან ხმა მოესმა, გამოღებული კარიდან, და იქით წავიდა. როზმერი შავ პიჟამაში ჩაცმული დახვდა; ოთახში ისევ იდგა პატარა მაგიდა, ყავას სვამდა.

„თქვენ ისევ ისეთი ლამაზი ხართ“, თქვა დიკმა, „უფრო ლამაზი, ვიდრე იყავით“.

„ყავა გინდათ, ჭაბუკო?“ ჰკითხა როზმერიმ.

„ვწუხვარ, რომ დილით დაღლილი მნახეთ“.

„ჰო, დაღლილი სახე გქონდათ — მაგრამ ხომ დაისვენეთ უკვე, არა? ყავას დალევთ?“

„არა, გმადლობთ.“

„ახლა თითქმის ძველებური დიკი ხართ ისევ, დილით კი, ლამის შემეშინდა. დედა აპირებს ჩამოსვლას იმ თვეს, თუ აქ დავრჩით. ძალიან ხშირად მეკითხება, დიკი სადმე ხომ არ შეგვდაო, გეგონება, მეზობლად ცხოვრობდეთ. დედა ყოველთვის კარგი აზრისა იყო თქვენზე — მიაჩნია, რომ ასეთი კაცის გაცნობით მე მართლა ბევრი რამ მომემატა“.

„მიხარია, რომ ისევ ვახსოვარ“.

„რა თქმა უნდა, ახსოვხართ“. მიუგო როზმერიმ. „კარგად ახსოვხართ“.

„მე რამდენჯერმე გნახეთ ეკრანზე“, თქვა დიკმა. „ერთხელ ისიც კი მოვახერხე, „მამიკოს გოგო“ მხოლოდ ჩემთვის ეჩვენებინათ“.

„ამ ახალ სურათში კარგი როლი მაქვს, მონტაჟის დროს თუ არ ამოჭრეს“.

ტელეფონისკენ წავიდა, გავლისას, დიკის მხარს შეეხო. დარეკა, რომ მაგიდა გაეტანათ ოთახიდან და მერე ღრმა სავარძელში ჩაჯდა.

„როცა თქვენ შეგხვდით, გოგონა ვიყავი, თითქმის ბავშვი, დიკ. ახლა ქალი ვარ“.

„მინდა ყველაფერი მიაშობოთ თქვენზე“.

„როგორ არის ნიკოლი — ლანიე და ტოპსი?“

„კარგად, ხშირად გახსენებენ ხოლმე...“

ტელეფონმა დარეკა. სანამ როზმერი ლაპარაკობდა, დიკმა

წიგნები გადაათვალიერა — ორი რომანი, ერთი ედნა ფერბერის, მეორე ელბერტ მაკისკოსი. მოვიდა ოფიციალტი და მაგიდა წაიღო; უიმმაგიდოდ შავ პიჯამაში როზმერი რალაც მარტოკა დარჩა.

„...სტუმარი მყავს... არა, ძალიან კარგად არა. მერე კიდევ კოსტიუმის მოსარგებად უნდა წავიდე, დიდხანს შევრჩები... არა, ახლა არა...“

როზმერიმ ისე გაუღიძა დიკს, თითქოს, რაკი მაგიდა გაიტანეს, შვება იგრძნო, თითქოს ორივემ ერთად მოახერხა. — ქვეყანაზე ყველა სატანჯველს გაერიდნენ და მშვიდობით იყვნენ ახლა თავიანთ ნეტარ ზეცაში...

„ესეც ასე“, თქვა როზმერიმ. „იცით, ამ ბოლო საათს რას ვაკეთებდი? თქვენთან შეხვედრისთვის ვემზადებოდი“.

მაგრამ ისევ დარეკა ტელეფონმა. დიკი ადგა, რომ საწოლიდან თავისი შლაპა აეღო და ადგილზე დაედო. როზმერიმ თვალი შეასწრო დიკს, შეშინებულმა დაათვარა ხელი ტელეფონს.

„ხომ არ შიდიხართ?“

„არა“.

ტელეფონით ლაპარაკი რომ დამთავრდა, დიკმა, უფრო იმისთვის, რომ შუადღის ეს გაწელები დრო შეეკრა, თქვა:

„მე უკვე ისეთ საუბრებს ვიტან, რომლებიც რალაც საზრდოს მმატებენ“.

„მეც“, დაეთანხმა როზმერი. „ახლა ერთი ვაჟბატონი რეკავდა, ოდესღაც იცნობდა ჩემს ბიძაშვილს. წარმოიდგინეთ, ასეთი მიზეზით რომ დარეკავს ვილაც!“

ახლა როზმერი სიყვარულისთვის ლაპარაკობდა, სხვა რა იყო ის რამერუმე, ფარდასავით რომ იფარებდა, რათა ამას არ დაენახა? დიკი სიტყვებს წერილებივით გზავნიდა მასთან, გეგონება, სანამ ისინი როზმერიმდე მიაღწევდნენ, თვითონაც რალაც დროს იტოვებდნენ.

„ძნელია თქვენთან ახლო ვიყო და არ გაკოცოთ“.

ოთახის შუაგულში იდგნენ, ერთმანეთს აკოცეს, ვნებიანად. წამით როზმერი დიკს მიეკრა, და მერე ისევ დაბრუნდა თავის სავარძელთან..

კარგი იყო, მაგრამ დიდხანს ასე ვერ იქნებოდნენ. ან წინ

უნდა წასულიყვნენ, ან დაეხიათ; როცა ისევ ტელეფონმა დარეკა, დიკმა საწოლისკენ გაიარა, ელბერტ მაკისკოს წიგნი აიღო და საწოლზე დაწვა. როზმერიმ თითქმის მაშინვე გაათავა ლაპარაკი, შემოვიდა და იქვე ჩამოჯდა.

„საოცრად გრძელი წამწამები გაქვთ“, თქვა მან.

„ახლა იქა ვართ, სადაც სტუდენტთა მეჯლისია, დამსწრეთა შორის არიან მისს როზმერი ჰოიტ, გრძელ წამწამების მოყვარე...“

როზმერიმ აკოცა, დიკმა მიიზიდა და გვერდით დაიწვინა და კოცნიდნენ ერთმანეთს ვიდრე სულის შეგუბებამდე. როზმერის სუნთქვა ახალგაზრდული, აგზნებული და მღელვარე ჰქონდა, ტუჩები ოდნავ დახეთქილი, მაგრამ კუთხეებში ისევე რბილი.

სხვა არაფერი იყო უკვე, ერთმანეთის სხეული და — სამოსიანად, მამაკაცის მკლავების ძალა და ამისი ყელი და მკერდი, და როზმერიმ ჩურჩულით უთხრა, „არა, ახლა არ შეიძლება, არ შემიძლია“.

დიკმა მორჩილად მიაგდო ვნება გონების სადღაც, ერთ კუთხეში და მერე, როცა როზმერის სათუთი სხეული ზევით ასწია, თავის ტანზემთ, მშვიდად უთხრა:

„ძვირფასო, ეგ არაფერი — როგორც გინდა“.

ქვევიდან ზევით უყურებდა და სულ სხვა ეჩვენა მისი სახე — ძარადიული მთვარის შუქით განათებული.

„რომანტიკულად გამართლებული იქნებოდა, და პოეტური, რომ სწორედ თქვენ ყოფილიყავით“, თქვა როზმერიმ. დიკს თავი გააშვებინა, სარკესთან მივიდა და ორივე ხელით თმა გაისწორა. მერე სკამი საწოლთან მიდგა და დიკს მიეფერა სახეზე.

„მითხარით თქვენზე, მხოლოდ მართალი“, უთხრა დიკმა.

„ყოველთვის მართალს გეუბნებოდით“.

„ვთქვით, ასეა — მაგრამ ყოველთვის ყველაფერი ერთი როდია“. ორთავემ გაიციინა, მაგრამ დიკი ჩააცივდა.

„თქვენ ისევ ქალწული ხართ?“

„რ-ა-ა-ს ამბობთ!“ თითქმის წაიმღერა. „მე მყავდა ექვსას ორმოცი საყვარელი — ასეთი პასუხი გინდათ?“

„თქვენ ჩემთან რა ვალი გაქვთ, ეგ ჩემი საქმე სულ არ არის“.

„ფსიქოლოგიური კვლევისთვის გამოგადგებით?“

„სავსებით ნორმალურ, ოცდაორი წლის ჯანმრთელ ქალი-შვილს რომ გიყურებთ, ათას ცხრაას ოცდარვა წელში მცხოვრებს, ბუნებრივია, თუკი ვიფიქრე, რომ უკვე გიყვარდათ რამდენჯერმე“.

„მაგრამ სერიოზულად ერთხელაც არა“. მიუგო როზმერიმ.

ვერ დაიჭერებდა. ერთი რამ ვერ გაეგო, როზმერი რალაც ბარიერს ქმნიდა მათ შორის თუ უბრალოდ, უნდოდა, რომ იმ შეძთხვევისთვის, თუ დათმობაზე წავიდოდა, უფრო საფასე გაეხადა ეს დათმობა.

„პინჩიოზე გავისეირნოთ“, შესთავაზა დიკმა.

დიკმა სამოსი და თმა გაისწორა; იყო მომენტი და ამ მომენტმა გაიარა. სამი წელიწადია დიკი იდეალი გამხდარიყო როზმერისათვის, იმით ზომავდა სხვა მამაკაცებს და რა გასაკვირია, რომ უკვე გმირივით იყო მისთვის და არ უნდოდა სხვა კაცებივით ყოფილიყო, არადა, აქაც მომთხოვნელობა და მოუთმენლობა, თითქოს უნდოდა მისთვის ცოტა რამ წაერთმია, ჯიბეში ჩაედო და თან წაეღო.

გაზონებს მიჰყვებოდნენ, ქერუბიმებსა და ფილოსოფოსებს, ფავნუსებსა და შადრევნებს შორის მიდიოდნენ; როზმერიმ მკლავში ჩაჰკიდა ხელი, ზედ მიეკრა დიკს და ცდილობდა, უფრო ძოხერხებულად მიჰყოლოდა, თითქოს უნდოდა, უკუნისამდე ასე ევლო. სიარულისას პატარა რტო მოიწია და მოტეხა, მაგრამ რტოში არ იყო ის სიცოცხლე. უცებ სახეში შეხედა დიკს და ის დაინახა, რისი დანახვაც ძალიან სურდა. ხელთათმანიან ხელზე აკოცა და იმდენი უტრიალა ბავშვივით, სანამ დიკმა არ გაიღიმა, თვითონაც გაიციხა და ახლა კი უკვე კარგად იყო სუყველაფერი.

„არ შემიძლია ამ საღამოს თქვენთან ვიყო, ძვირფასო, დიდი ხანია შევპირდი ნაცნობებს. მაგრამ ადრე ადგომა თუ შეგიძლიათ, ხვალ კინოგადაღებაზე წაგიყვანთ“.

დიკმა მარტო ისადილა ოტელში, ადრე დაწვა და შვიდისთვის უკვე როზმერის ელოდებოდა ვესტიბიულში. მანქანაში დიკის გვერდით იჯდა როზმერი, მბრწყინავი და ცვარივით

კამკამა, დილის შზის შუქზე. წმინდა სებასტიანოს ჭიშკრის გავლით აპიუსის გზაზე გავიდნენ, ამ გზით კარგა ხანს მიდი-ოდნენ; მანამდე, სანამ ფორუმის უზარმაზარი დეკორაცია არ დაინახეს, მართალ ფორუმზე უფრო დიდი. როზმერიმ დიკი ერთ მაღალ კაცს ჩააბარა, ამ კაცმა ბუტაფორიული თაღების, ამფითეატრის სკამებისა და ქვიშამოყრილი არენის სანახავად წაიყვანა დიკი. როზმერის იმ სცენაში იღებდნენ, სადაც მოქმედება ქრისტიანი ტყვეების საპყრობილეში ხდება, გადაღების ადგილისკენ გაემართნენ და ნიკოტერა, ახალი როდრლფო ვალენტინოს ერთ უამრავ ვარიანტთაგანი დაინახეს, „ტყვე“ ქალების წინ მოხდენილად პოზიორობდა. ეს ქალები ათამდე მაინც იქნებოდნენ, თვალ-წარბ-წამწამი მასკარათი შეეღებათ და მელანქოლიური მზერა ჰქონდათ.

როზმერიმ მოირბინა, მუხლებამდე ტუნიკი ეცვა.

„კარგად უყურეთ“, ჩურჩულით უთხრა დიკს. „მინდა, რომ თქვენი აზრი მითხრათ მერე. ვინც გასინჯვაზე იყო, ყველამ თქვა...“

„როგორ, გასინჯვაზე?“

„წინა დღით გადაღებულს როცა ნახავენ. ყველამ თქვა, პირველად არის, რომ რაღაც სექსუალური გამიჩნდა“.

„მე ამას ვერ ვამჩნევ“.

„თქვენ კი! მაგრამ ასეა“.

თავის ლეოპარდის ტყავში გახვეული ნიკოტერა მზრუნველად გამოელაპარაკა როზმერის, ამასობაში იმათგან ცოტა მოშორებით გამნათებელი რაღაცაზე. ეკამათებოდა რეჟისორს და თან იმის მხარსაც ეყრდნობოდა. ბოლოს რეჟისორმა გაბრაზებულმა მოიშორა მხრიდან გამნათებლის ხელი და ოფლიანი შუბლი მოიწმინდა, დიკის გიდმა კი თქვა: „ისევ უკბინა ბზიკმა და თანაც როგორ!“

„ვის?“ ჰკითხა დიკმა, მაგრამ სანამ პასუხს მიიღებდა, რეჟისორი მოვარდა მათთან.

„ვის უკბინა — თქვენ თვითონ გიკბინათ ალბათ ბზიკმა“. მერე დიკს მიუტრიალდა გაცხარებული და აგზნებული — არიქა, ეს განსჯის თუ განსჯის, ჟიურიაო. „ხედავთ? დალევს თუ არა, ბზიკი უკბენს და ჰგონია, რომ სხვებსაც ყველას უკბინა ბზიკმა, და თანაც როგორ!“ გიდს კიდევ ერთხელ შეხედა

მძვინვარედ და მერე ტაშით მიმართა ყველას: „ქარგი, ადგილებზე, ვიწყებთ!“

დიკს ასე ეგონა, რომ დიდსა და არეულ ოჯახს ეწვია. ვილაც აქტრისა მიუახლოვდა და ერთ ხუთ წუთს ელაპარაკა, ლონდონიდან ამას წინათ ჩამოსული მსახიობი ეგონა დიკი. როცა მიხვდა, შემეშალაო, შემცბარი ადგილიდან მოწყდა და გაიქცა. თითქმის ყველა, ვისაც კი გადაღებასთან ჰქონდა საქმე, გარე სამყაროს ან ზევიდან ქვევით უყურებდნენ, ანდა ქვევიდან ზევით, უფრო მეტად ზევიდან ქვევით. მაგრამ ესენი ყველა გულმოდგინე და გაძბედავი ადამიანები იყვნენ, თვალსაჩინო ადგილზე რომ წაწეულიყვნენ იმ ქვეყანაში, სადაც მთელი ათი წელია მხოლოდ გართობა სურდათ.

იღებდნენ მანამ, სანამ მზე ნისლით არ დაიბურა — შესანიშნავი განათება მხატვრებისათვის, მაგრამ კინოკამერისთვის — არა, კალიფორნიის გამჭვირვალე ჰაერს ვერ შეედრებოდა. ნიკოტერამ როზმერი მანქანამდე მიაცილა და გამომშვიდობებისას ყურში რაღაც უთხრა, როზმერიმ შეხედა, ნახვამდისო, უთხრა, მაგრამ არ გაუღიმა.

დიკი და როზმერი „კეისრის პალატებში“, საუცხოო რესტორანში წავიდნენ ლანჩზე. რესტორანი გორაკზე იყო, მაღალ ტერასზე და ზევიდან გადმოჰყურებდა დეკადანსის გაურკვეველი ხანის ნანგრევებს ფორუმისა. როზმერიმ კოქტეილი და ცოტა ღვინო დალია, დიკმა კარგად დალია, ყოველ შემთხვევაში იმდენი, რომ ბუნდოვანი შეგრძნება თავისი თავით უკმაყოფილებისა გაუქრა. მერე ოტელში დაბრუნდნენ, ბედნიერები, ხალისიანები და რაღაც ნეტარი სიმშვიდით სავსე. როზმერის უნდოდა, რომ ერთად ყოფილიყვნენ და იყვნენ ერთად — და ბოლოს და ბოლოს დასრულდა ის, რაც ბავშვური გატაცებით დაიწყო პლაჟზე.

X X I

საღამოს როზმერი ისევ უნდა წასულიყო, კომპანიიდან ვილაცის დაბადების დღის აღსანიშნავ სადილზე იყო მიწვეული. ვესტიბიულში დიკი კოლის კლეის შეხვდა, მარტო უნდოდა ესადილა და მოიგონა, ოტელ „ექსცელსიორში“ მელო-

დებიანო. მაგრამ კოლის კლეის ბარში კი შეჰყვა და კოქტეილის მერე თავისი თავით ბუნდოვანი უკმაყოფილება გამოიკვეთა — მოუთმენლობა. დროა დაბრუნდეს კლინიკაში, გამართლებას ვერ მოუძებნის უსაქმოდ ყიალს. აქ ჩამოსვლა იმდენად უფრო გატაცების გამო კი არა, უფრო მეტად რომანტიკული გახსენების ამბავი იყო. მისი სიყვარული ნიკოლია, მერე რა, რომ ხშირად უჭირს ნიკოლთან ყოფნა, მაინც ის არის დიკის ქალი. როზმერისთან დროს გატარება თავის თავისთვის შეღავათის მიცემა იყო, კოლისთან დროის ტარება კი — არაფერზე ისევ არაფრის მიმატება.

„ექსცელსიორის“ შესასვლელთან ბები უორენს შეეჯახა. ბები დიდი, ლამაზი თვალებით, სათამაშო მარმარილოებით რომ ჰქონდა, გაოცებითა და ცნობისმოყვარეობით მიაშტერდა.

„მე მეგონა, ამერიკაში იყავით, დიკ! ნიკოლიც თქვენთან ერთად არის?“

„ევროპაში ნეაპოლის გავლით დავბრუნდი“.

დიკის პიჯაკზე გლოვის ფერი შენიშნა და გაახსენდა: „ძალიან ვწუხვარ“.

სხვა გზა არ იყო, ერთად უნდა ესადილათ.

„მიამბეთ ყველაფერი“, სთხოვა ბებიმ.

დიკმა, ასე თუ ისე, გააგებინა ბოლო თვეების ფაქტები და ბებიმ წარბები შეიჭმუხნა, თავისი დის ცხოვრებაში კატასტროფისთვის ვინმესთვის უნდა დაედო ბრალი და ვიღაცას უნდა ეზრუნა მასზე, ბები თვლიდა, რომ ახლაც ასე იყო საჭირო.

„თქვენ როგორ ფიქრობთ, დოქტორმა დომლერმა იმთავითვე სწორად წარმართა მისი მკურნალობა?“

„მკურნალობის მეთოდები საკმაოდ ერთფეროვანია. ცხადია, პაციენტის ხასიათსა და თვისებებსაცა აქვს მნიშვნელობა, პიროვნებას გააჩნია და ზოგჯერ სხვა მიდგომაცა ხდება საჭირო“.

„დიკ, მე ეს საქმე ისე არ ვიცი და რჩევას ვერ მოგცემთ, მაგრამ ნიკოლისთვის იქნებ კარგიც კი იყოს გარემოს შეცვლა, რომ კლინიკის ატმოსფეროდან შორს იცხოვროს, ისე, როგორც სხვა ხალხი ცხოვრობს?“

„მაგრამ თქვენ თვითონ ძალიან მომხრე იყავით კლინიკისა“, გაახსენა დიკმა, „ნიკოლის დარდი აღარ მექნებო, ამბობდით...“

„ეს იმიტომ, რომ განდეგილივით ცხოვრობდით მაშინ რივიერაზე, სადღაც მთებში ჩაკარგულები, ხალხისაგან შორს, არ მინდა ისევ იქაურობას დაუბრუნდეთ, ამას კი არ ვგულისხმობ. რატომ არ შეიძლება, ვთქვათ, ლონდონში წახვიდეთ? ინგლისელები ყველაზე მშვიდი ხალხია ქვეყანაზე“.

„არა, ასე არ არის“, არ დაეთანხმა დიკი.

„ასეა, მე საკმაოდ კარგად ვიცნობ მათ. იქირავებდით სახლს ლონდონში, გაზაფხულზე; ერთი ძალიან კარგი სახლი ვიცი უკვე, ტალბოტ-სკვერზე, ავეჯით ქირავდება. იცხოვრებდით იქ საღად მოაზროვნე და დინჯ ინგლისელებთან ერთად“.

ბები კარგა ხანს არ დაანებებდა თავს ამ 1914 წლის ძველ პროპაგანდას, მაგრამ დიკმა სიცილით შეაწყვეტინა:

„ამას წინათ ვკითხულობდი მაიკლ არლენის ერთ რომანს და თუ ეს...“

ბებიმ სალათის კოვზის ერთი მოქნევით გაანადგურა მაიკლ არლენი.

„ეგ მხოლოდ ვიღაც კრეტინებზე წერს. მე ღირსეულ ინგლისელებზე ვლაპარაკობ“.

მაგრამ ბებისგან ასე უარყოფილი მეგობრების ადგილი დიკის გონებაში იმ უსახო და უგულისყურო უცხოელებმა დაიკავეს, რომლებითაც სავსეა ხოლმე ევროპის პატარა ოტელები.

„რა თქმა უნდა ეს ჩემი საქმე არ არის“, ისევ დაიწყო ბებიმ, ახალი შეტევითვის ემზადებოდა, „მაგრამ ასეთ ვითარებაში მისი მარტო დატოვება...“

„ამერიკაში იმიტომ წავედი, რომ მამა მომიკვდა“.

„გასაგებია, მე უკვე გითხარით, რომ ძალიან ვწუხვარ“, ბროლის ყელსაბამს აწვალებდა. „მაგრამ ახლა უფრო ბევრი ფული გვაქვს, ყველაფერს ეყოფა, და ისედაც, ჯერ ნიკოლის მორჩენაზე უნდა ვიფიქროთ“.

„ჯერ ერთი, ვერ წარმომიდგენია, რა უნდა გავაკეთო ლონდონში“.

„როგორ, რა? მე ვფიქრობ, რასაც აქამდე კლინიკაში აკეთებდით, იქაც იგივეს გააკეთებთ“.

დიკი უკან გადაიწია, სკამის ზურგს მიეყრდნო და ყურადღებით შეხედა. თუ ბების ოდესმე გუმანით უგრძვნია მართალი შიშეზი ნიკოლის ავადმყოფობისა, მაინც უთუოდ მოიშორებდა ამ სიმართლეს და მტვრიან განჯინაში შეაგდებდა, იმ ნახატივით, როცა მიმხვდარა, რომ შეცდა და არ უნდა ეყიდა იგი.

საუბარი „ულპიაში“, ღვინის კასრებით სავსე სარდაფში ვაგრძელდა; კოლის კლეიც იქ იყო, იმათ მაგიდასთან მოვიდა და დაჯდა. გიტარის ხმა, მისი კვნესა და ჟღერა ისმოდა, „იჟღერე, ჩემო ფანფარა“, შთაგონებით უკრავდა ახალგაზრდა გიტარისტი.

„იქნებ მე შესაფერისი ქმარი არა ვარ ნიკოლისთვის“, თქვა დიკმა, „მაგრამ მაინც ჩემისთანა ვინმეს გაჰყვებოდა, ისეთ კაცს, ვისაც ბოლომდე დაენდობოდა“.

„თქვენ ფიქრობთ, რომ სხვა ქმართან უფრო ბედნიერი იქნებოდა?“ ბებიმ უცებ ხმამაღლა თქვა თავისი ფიქრი. „შეიძლება, ვცადოთ“.

დიკი კინალამ სიცილისაგან ჩაბჟირდა და მაშინლა მიხვდა ბები თავისი სიტყვების უაზრობას.

„ო, სწორად გამიგეთ, თუ შეიძლება“, სწრაფად უთხრა მან, „არ იფიქროთ, თითქოს მადლიერები არ ვიყოთ იმის, რაც გააკეთეთ. ისიც ვიცი, რომ ბევრჯერ თქვენთვის ძნელი ყოფილა...“

„ღვთის გულისათვის, არ გინდათ, ბები!“ წამოიძახა დიკმა. „მე რომ ნიკოლი არ მყვარებოდა, სხვა საქმეა“.

„მაგრამ, ხომ გიყვართ ნიკოლი?“ შეშფოთებით ჰკითხა მან.

კოლისს ახლა აშკარად სურდა საუბარში ჩარეულიყო და დიკმა სწრაფად შეცვალა თემა.

„სხვა რამეზე ვილაპარაკოთ“, თქვა მან.. „თუნდაც თქვენზე. რატომ არ თხოვდებით? გავიგეთ, ლორდ პელიზე არისო დანიშნული, იმის ბიძაშვილი...“

„ო, არა“. უცებ მორცხვი და გაუბედავი გახდა ბები. „ეს შარშან იყო“.

„მაგრამ მაინც, რატომ არ თხოვდებით?“ არ ეშვებოდა ღიკი.

„თვითონ არ ვიცი. ერთი, რომელიც მე მიყვარდა, ომში მოკლეს, მეორეს მე არ ვუნდოდი“.

„კარგად მითხარით ყველაფერი, ბები. მე ძალიან ცოტა რამ ვიცი თქვენზე — თქვენს შეხედულებებზე, პირად ცხოვრებაზე. თქვენ მე არაფერს მეუბნებით. მხოლოდ ნიკოლზე ვსაუბრობთ ხოლმე“.

„ინგლისელები იყვნენ, ერთიც და მეორეც. მე ვფიქრობ ჯიშთან ინგლისელებზე კარგი ხალხი მთელ ქვეყანაზე არ მოიძებნება. ყოველ შემთხვევაში, მე არ შემხვედრია. ის კაცი — ო, არა, ვრძელი ამბავია, არ მიყვარს გრძელი ამბები, მოსაწყენია, არა?“

„მერე როგორ!“ თქვა კოლისმა.

„რატომ, ძალიანაც საინტერესოა თუ კარგი ამბავია და კარგად ყვებიან“.

„ამას კარგად თქვენ თუ ახერხებთ, ღიკ. თქვენ შეგიძლიათ მიიქციოთ ყველას ყურადღება, როცა ხალხში ხართ, ერთი ფრაზით, ან თუნდაც, ერთი სიტყვით, ამისთვის სხვა ნიჭია საჭირო, შესანიშნავი ნიჭი“.

„არა, მარიფათის ამბავია“, გაიღიმა ღიკმა. ამ საღამოს ეს უკვე მესამედ არ დაეთანხმა ბების რაღაცაში.

„ცხადია, მიყვარს, როცა იციან ფორმის ფასი, მიყვარს, რომ ყველაფერი რიგზე და ფართო მასშტაბით იყოს. თქვენ შეიძლება სხვა კაცი ხართ, ღიკ, მაგრამ ის უნდა აღიაროთ, რომ ამით მე უფრო მყარად ვდგავარ“.

ღიკს ცოტა კიდევაც დაეზარა შეკამათებოდა ამაზე.

„ღიახ, ვიცი, რომ ამბობენ, ბები უორენი ევროპას უვლის, ყველა სიახლეს მისდევს და ცხოვრებაში რაც მთავარია, იმას კარგავსო. მე კი სხვა აზრისა ვარ. მე იმ მცირე ჯგუფს უფრო ვეკუთვნი, სწორედ მთავარს რომ არ კარგავენ; ჩვენი დროის ყველაზე საინტერესო ადამიანებს შევხვედრივარ“. გიტარისტმა ისევ დაიწყო დაკვრა და ბების ხმას ფარავდა. „მე იშვიათად დამიშვია დიდი შეცდომა...“

„...მხოლოდ ძალიან დიდი შეცდომა, ბები“.

ღიკის გამოხედვაში რაღაცა დაიჭირა, ირონიას ჰგავდა და სხვა თემაზე გადაიტანა საუბარი. აშკარა იყო, არ შეეძლოთ,

— ერთი აზრი ვერ ექნებოდათ. მაგრამ რაღაც ხიბლავდა დიკს ბებიში და სანამ ორთავე, „ექსცელსიორში“ მივიდოდნენ, ქათინაურებით აავსო და ცოტა კიდევაც შეცბა ბები.

მეორე დღეს როზმერიმ ლანჩზე თვითონ ისურვა მასპინძლობა. დიკი პატარა ტრატორიაში წაიყვანა, ერთ იტალიელს ეკუთვნოდა, დიდხანს რომ ეცხოვრა და ემუშავა ამერიკაში და იქ უბრალო-კვერცხი, შაშხი და ვაფლი მიირთვეს. მერე ოტელში დაბრუნდნენ. დიკის აღმოჩენამ, რომ არც თვითონ უყვარდა როზმერი და არც როზმერის უყვარდა იგი, არ შეასუსტა, პირიქით, უფრო გაუმძაფრა თავისი ვნება. ახლა, რაკი იცოდა, რომ თვითონ დიდი ხნით არ შეიჭრებოდა მის ცხოვრებაში, უცხო ქალივით სურდა იგი. ეტყობა ბევრი მამაკაცი, როცა, მიყვარსო, ამბობს ხოლმე, მხოლოდ ამას გულისხმობს და არა სულის შმაგ ჩაღრმავებას, უთვალავ ფერთა ერთ და უცნობელ ფერშირიალს — ასეთი იყო მაშინ იმისი სიყვარული ნიკოლის მიმართ. ახლაც კი, ფიზიკურ ტკივილს აყენებდა გაფიქრებაც კი, რომ შეიძლება ნიკოლი მომკვდარიყო, ან გონება დაეკარგა, ან სხვა კაცი შეჰყვარებოდა.

ნიკოტერა იჯდა როზმერის ოთახში და პროფესიულ თემებზე ლაპარაკობდნენ. როცა ბოლოს როზმერიმ გადაკვრით უთხრა, რომ მისი წასვლის დრო იყო, სასეირო პროტესტით დაემორჩილა და დამშვიდობებისას საკმაოდ თავხედურად ჩაუკრა თვალი დიკს. ახლაც კიდევ ტელეფონის რეკვა ატყდა, როზმერი კარგა ათ წუთს მაინც ლაპარაკობდა და დიკს მოთმინება დაეკარგა.

„ჩემთან წავიდეთ, ჯობია“, თქვა მან, როზმერი დაეთანხმა. დიდ, განიერ ტახტზე იწვა, თავი დიკის მუხლებზე ედო; დიკი როზმერის თმას ეფერებოდა.

„შეიძლება კიდევ ერთი შეკითხვა მოგცეთ?“ ჰკითხა მან.
„რა გაინტერესებთ?“

„კაცებზე, რომლებიც თქვენ გიყვარდათ. უბრალო ცნობისმოყვარე ვარ — გულისთქმას აყოლილი ცნობისმოყვარე-მეთქი — ამას არ ვიტყვი“.

„თქვენ გინდათ იცოდეთ, რა იყო ჩემს ცხოვრებაში თქვენთან შეხვედრის მერე?“

„ან, მანამდე“.

„ო, არა“, წაძლიძახა როზმერიმ. „მანამდე არ ყოფილა, თქვენ იყავით პირველი კაცი, ვინც რაღაცას ნიშნავდა ჩემთვის. თქვენ ახლაც ერთადერთი ხართ, ვინც მართლა რაღაცას ნიშნავს ჩემთვის“. გაჩუბდა და ჩაფიქრდა. „იმ გაზაფხულის მერე მთელი წელიწადი არავის დანახვა არ მინდოდა“.

„მერე? ვინ იყო?“

„მერე იყო ერთი“.

დიკმა ისარგებლა იმით, რომ ბოლომდე არ თქვა.

„გინდათ, მე გეტყვი, როგორც იყო: პირველი საქმიდან არაფერი გამოვიდა და იმის მერე — ხანგრძლივი პაუზა; მეორეზე უკეთესად წავიდა საქმე, მაგრამ ის კაცი თქვენ არ შეგყვარებიათ, მესამე — ძეტი რომ აღარ შეიძლება, ისე კარგად...“

თავის თავს აწამებდა, მაგრამ ვეღარ ჩერდებოდა.

„მერე გქონდათ ერთი ხანგრძლივი სიყვარული, რომელიც ამოიწურა და მაშინ კიდევაც შეგეშინდათ, რომ აღარაფერი დაგრჩებოდათ იმ კაცისთვის, ვისაც საბოლოოდ შეიყვარებდით“. თანდათან უფრო ვიქტორიანული ხდებოდა. „იმის მერე რამდენიმე ეპიზოდური ამბავი, და ასე გაგრძელდა ამ ბოლო დრომდე. როგორია, ახლცა სიმართლესთან?“

როზმერი იცინოდა. სიცილსაცა ჰგავდა და ტირილსაც.

„სულაც არა, ოდნავაც არა“. თქვა და დიკმა უნებლიეთ შევება იგრძნო. „მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს მე მართლა შემიყვარდება და ვინც შემიყვარდება, არასოდეს გავუშვებ მერე“.

ამ დროს დიკის ტელეფონმა დარეკა და ნიკოტერას ხმამ როზმერი იკითხა. დიკმა ხელისგული დააფარა მიკროფონს.

„გინდათ ელაპარაკოთ?“

როზმერი მივიდა ტელეფონთან და იმისთანა იტალიურს მოჰყვა, ისე სწრაფად, რომ დიკმა ვერაფერი გაიგო.

„ტელეფონი ბევრ დროს გართმევთ“, თქვა მან. „უკვე ოთხია, ხუთზე კი საქმიანი პაემანი მაქვს. იქნებ ჯობია თქვენ წახვიდეთ სენიორ ნიკოტერასთან?“

„სისულელეებს ლაპარაკობთ“.

„მაშინ, სანამ აქა ვარ, მე მგონია, შეიძლებოდა გადაგედოთ შეხვედრები ნიკოტერასთან“.

„ეს არც ისე იოლია“. უცებ ტირილი წასკდა. „დიკ, მე

თქვენ მიყვარხართ, მხოლოდ თქვენ, მეტი არავინ. მაგრამ რა გაქვთ თქვენ ჩემთვის?”

„რა აქვს ნიკოტერას ვინმესთვის, ვინც გინდა იყოს?“

„ეს სულ სხვა საქმეა“.

— იმიტომ, რომ ახალგაზრდაა და ახალგაზრდის ძახილი ესმის.

„ვილაც იტალიელი!“ თქვა დიკმა. ეჭვიანობისაგან ხელდებოდა, აღარ უნდოდა ისევ ტკივილი.

„ბავშვია მხოლოდ“ — თან სლუკუხებდა, ისე ამბობდა როზმერი. „თვითონვე იცით, რომ თქვენი უფრო ვარ“.

ცოტა დაწყნარდა, წელზე მოხვია ხელი, მაგრამ როზმერი დაღლილად უკან გადაიხარა და წუთით ასე, ადაყოფს დამამთავრებელ პოზასავით გაჩერდა, თვალები დაეხუჭა, თმები წყლიდან ამოყვანილი გოგოსავით ეყარა მხრებზე.

„გამიშვით, დიკ, სუყველაფერი ამერია, ჩემს სიცოცხლეში თავი ასე არ ამრევია“.

საზარელფრთება უღალ ფრინველს ჰგავდა და როზმერი უნებლიეთ გაიწია განზე. ეჭვიანობით შეშინებული, უსამართლო ეჭვიანობით, ნამქერივით რომ მიეყარა გულისხმიერ, სიტყვებს და ალერსს, რომელსაც ისე მიჩვეოდა.

„მინდა სიმართლე ვიცოდე“, თქვა დიკმა.

„სიმართლე ის არის, რომ ხშირად ერთად ვართ, სურს ჩემი ცოლად შერთვა, მაგრამ მე უარს ვეუბნები. მერედა, რა? როგორ გგონიათ, რა უნდა ვქნა? თქვენი აზრით, უკეთესია, კოლის კლეისთანა შტერებს ვეთამაშო და ასე გავატარო ცხოვრება?“

„გუშინ საღამოს ნიკოტერასთან იყავით?“

„ეს თქვენ არ გეხებათ“. ისევ ტირილი წასკდა. „ო, არა, დიკ, ძაპატიეთ. ეს თქვენ გეხებათ. თქვენ და დედა ყველაზე ახლობელი და ძვირფასები ხართ ჩემთვის მთელ ქვეყანაზე“.

„ნიკოტერა?“

„მე თვითონ არ ვიცი“.

თავის არიდების იმ ზღვარს მიაღწია, როცა ყველაზე უბრალო სიტყვაც კი უკვე ფარულ აზრს იძენს.

„ჩემდაძი უკვე აღარა გრძნობთ იმას, რასაც პარიზში გრძნობდით?“

„როცა თქვენთან ვარ, მშვიდადა ვარ და მიხარია. მაგრამ პარიზში სულ სხვა. იყო. ან, იქნებ ასე მეჩვენება, ძნელია თქვა ამდენი ხნის მერე — ხომ ასეა?“.

დიკი ადგა, კარადასთან მივიდა და სალამოს სამოსი შეარჩია — რაკი ქვეყნის სიძულვილი და შხამი შეუშვა თავის გულში, როზმერი ველარ ეყვარებოდა.

„ნიკოტერა ახლა არაფერ შუაშია!“ წამოიძახა როზმერიმ. „ხვალ მთელ ჯგუფთან ერთად ლივორნოში უნდა წავიდე. ოჰ, რად მოხდა ასე!“ ისევ ღვარად წასკდა ცრემლები. „რა გული მტკივა! ნეტავი აქ არ მოსულიყავით, ნეტავი ისევ კარგ მოგონებად დარჩენილიყო ყველაფერი. ისე მძიმედ მაწევს რაღაცა, ასე მგონია დედას ვეჩხუბე“.

დიკმა ჩაცმა დაიწყო. როზმერი წამოდგა და კარებთან მივიდა:

„მე ამ სალამოს აღარ წავალ“. ეს უკანასკნელი ცდა იყო. „თქვენთან დავრჩები. არ მინდა წასვლა“.

ტალღად მოაწვა ისევ ახალი მღელვარება დიკს, მაგრამ თავი შეიმაგრა, რომ არ აპყოლოდა.

„ოთახში ვიქნები“, თქვა როზმერიმ. „ნახვამდის, დიკ“.

„ნახვამდის“.

„ო, რა გული მტკივა, დასანანია, რა დასანანი, რა არის ეს, მაინც რა არის?“

„დიდი ხანია მინდა გავიგო და ვერ გამიგია“.

„მერე, რად უნდა მოსულიყავით ამით ჩემთან?“

„ვხვდები, რომ შავი სიკვდილივით ვარ“, ნელა თქვა დიკმა. „აღარავისთვის აღარ მომაქვს ბედნიერება“.

X X I I

ოტელ „კვირინალის“ ბარში სულ ხუთი კაცი იყო სალამოთი, სადილის მერე. ერთი იტალიელი ქალი, დიდი ამბით რომ იჯდა დახლთან და შეუჩერებლად ელაპარაკებოდა დაღლილ ბარმენს, „დიახ... დიახ... დიახ...“ შეაგებებდა ხოლმე ბარმენი, ეგვიპტელი სნობი,—მარტოობისგან გული უწუხდებოდა, მაგრამ იმ ქალს მაინც უფრთხოდა, ორი ამერიკელი, დიკი და კოლის კლეი, და — თავად ბარმენი.

დიკი ყოველთვის ცხადად გრძნობდა და აღიქვამდა, რაც კი გარშემო ხდებოდა ხოლმე, კოლის კლეის კი, გეგონება ბურანშიაო, ყველაზე ძლიერი შთაბეჭდილებებიც კი ეფანტებოდა გამოფიტულ და უკვე დაბნეულ გონებაში. ამიტომ — დიკი ლაპარაკობდა, კოლისი კი, გეგონება ბაბაჭუა შეუჯდაო, ისე უსმეხდა.

მთელი დღის ამბებით დაქანცული დიკი ახლა ბარში იჯდა და იტალიელებზე და იყრიდა ჯავრს ლაპარაკში. ხანგამოშვებით აქეთ-იქით იხედებოდა, თითქოს იმედი ჰქონდა, რომ ერთი ვინმე იტალიელი გაიგებდა მის სიტყვებს და აღშფოთდებოდა, ბოლოს და ბოლოს.

„ამ დილით ვზივარ „ექსცელსიორში“ ჩემს ცოლისდასთან ერთად, ჩაიხე. შემოდინა ორნი, ადგილი აღარ არის, ჩვენ ბოლო მაგიდა შეგვხვდა. ერთი მათგანი მოდის და ამბობს: „ეს მაგიდა ხომ პრინცესა ორსინისთვის იყო?“ ვეუბნები, „ბარათი არ დაგვხვედრია მაგიდაზე“. ის კი მაინც გაიძახის: „მაგრამ, მე მგონია პრინცესა ორსინისთვის იყო“. მე პასუხიც აღარ გავეცი“.

„მერე, რა ქნა?“

„წავიდა“. დიკი სკამზე შეტრიალდა. „არ მიყვარს ეს ხალხი. გუშინ ორი წუთით დავტოვე როზმერი ვიტრინასთან, მაშინვე ვილაც ოფიცერი მივიდა და წინ და უკან დაიწყო სიარული, თან ქუდი გვერდზე მოექცია“.

„არ ვიცი“, ცოტა ხნის მერე თქვა კოლისმა, „მე თუ მკითხავთ, აქ უფრო მირჩევნია, ვიდრე პარიზში, იქ ყოველ წუთში ჯიბეების დაცარიელების ცდაში არიან“.

კოლისს უყვარდა კარგი ცხოვრება, სიამოვნებას არ იკლებდა და თუ რამ ამ სიამოვნებას ხელს შეუშლიდა, არ მოსწონდა და არ გაიზიარებდა.

„არ ვიცი“, ისევ თქვა კოლისმა, „ურიგო არ არის, მე მომწონს აქ“.

დიკმა გაიხსენა, რაც ამ დღეებში იყო, სურათებივით დაუდგა თვალწინ. „ამერიქენ ექსპრესის“ კანტორისაკენ მიმავალი გზა, ვია ნაციონალე, საშაქარლამოების ათასნაირი სუნით რომ იყო გაჟღენთილი. ტალახიანი გვირაბი, ამ გვირაბს ესპანეთის მოედნის კიბემდე, ყვავილების კიოსკებსა და იმ სახლამდე

მიჰყავდით, სადაც ჯონ კიტსი მოკვდა; დიკს მხოლოდ ადამიანები აინტერესებდა; ხალხის გარდა ამინდს თუ ამჩნევდა, ქალაქები და საერთოდ, ადგილები, მხოლოდ მაშინ ამახსოვრდებოდა, თუ მათთან რაიმე ამბავი აკავშირებდა. რომში გათავდა იმის ოცნება როზმერიზე.

შიკრიკი ბიჭი მივიდა დიკთან და ბარათი გადასცა.

„არ წავედი წვეულებაზე“, ეწერა ბარათში, „ჩემს ოთახში ვარ. დილით ადრე ლევორნოში მივემგზავრებით“.

დიკმა ბიჭს ბარათი დაუბრუნა და ფული აჩუქა.

„უთხარით მისს ჰოიტს, რომ ვერა მნახეთ“. კოლისს მიუტრიალდა და „ბონბონიერიში“ წასვლა შესთავაზა.

ბარში შემოსული მეძავი შეათვალიერეს, ყურადღების ის მინიმუმი დაუთმეს, რასაც მისი პროფესია იმსახურებდა, ქალმა თამამად, მოურიდებლად გამოხედა; ცარიელი ვესტიბიული გაიარეს, ვესტიბიულის მძიმე ფარდების ნაკეცებში ლამის ვიქტორიანული ხანის მტვერი იყო ჩაბუდებული, — და ლამის კონსიერჟს თავი დაუქნიეს, ამანაც ლამის ყველა შვეიცარივით, გესლიანი პირმოთნეობით დაუკრა თავი. მერე ტაქსიში ჩასხდნენ და ნოემბრის ლამის სინესტესა და მოწყენილობას მიენდნენ. ჩაბნელებულ ქუჩებში ქალები აღარ ჩანდნენ, მხოლოდ ქაცები, ფერწასულები, ბოლომდე შეკრული მუქი პალტოებით, ჯგუფებად რომ იდგნენ გზაჯვარედინებთან და ცივი ქვის კედლებს მიყრდნობოდნენ.

„ღმერთო ჩემო!“ ამოიოხრა დიკმა.

„რა მოხდა?“

„ის კაცი გამახსენდა, „ექსცელსიორში“: „ეს მაგიდა პრინცესა ორსინისთვისაა“. იცით, რა არის რომის არისტოკრატია? ეგენი ბანდიტები არიან. მაგათ ჩაიგდეს ხელში ტაძრები და სასახლეები, როცა რომის იმპერია დაიმსხვრა და ხალხს დაერივნენ“.

„მე მომწონს რომი“ — დაიქინა კოლისმა. „რატომ არ დადიხართ დოღზე?“

„არ მიყვარს დოღი“.

„კარგია, ნახოთ, რომ იცოდეთ რა მოსდით ქალებს...“

„ვიცი, მე აქ არაფერი მომეწონება. მე საფრანგეთი მიყვარს, სადაც ყველას ნაპოლეონი ჰგონია თავი — აქ კი ყველას ქრისტე ჰგონია თავისი თავი“.

„ბონბონიერიში“ მისულები, კაბარეში ჩავიდნენ. ცივი ქვის კედლებთან უიმედო და არაგამძლე, რაღაცნაირად უმწეო ჩანდა ხის პანელები. ჯაზორკესტრი უღიმღამოდ უკრავდა ტანგოს და ათი თუ თორმეტი წყვილი ამერიკული თვალისთვის უცხო, დახვეწილსა და რთულ ილეთებს ხაზავდა პარკეტზე. ოფიციანტების სიმრავლე იმის გარანტია იყო, რომ ჩხუბსა და ალიაქოთს, შფოთიან კაცებში მაშინაც კი რომ ატყდებოდა, როცა ისინი ცოტანი იყვნენ, ახლა ადგილი არ ექნებოდა; თუ რაღაცა გამოცოცხლება იგრძნობოდა, ეს ის იყო, რომ ჰაერში მოლოდინი იდგა, თითქოს საცაა რაღაც შეწყდებოდა, ცეკვა თუ ღამე, ის, რითაც აქ ყველაფერი თანაბრდებოდა. შთაბეჭდილებიანი სტუმარი მაშინვე გრძნობდა, რომ თუნდაც ეძებნა, აქ სულ ერთია, მაინც ვერაფერს იპოვიდა.

დიკისთვის ხომ ეს ცხადზე ცხადიც კი იყო ახლა. მიიხედ-მოიხედა, იმ იმედით, რომ თვალს რაღაცაზე შეაჩერებდა, ერთ საათს მაინც გაიყვანდა და იქნებ, გონების არა, მაგრამ წარმოსახვისთვის — ფიქრს გაიჩენდა. მაგრამ ვერაფერი ნახა და ისევ კოლისს მიუტრიალდა. უნდოდა რაღაც ეთქვა მისთვის, დაიწყო, და მობეზრდა, რადგან კოლისი, გულმავიწყი, უგულისყურო, მაინც ვერაფერს გაიგებდა. ოცდაათი წუთის მერეც კი იგრძნო, რომ მასთან ლაპარაკში უკვე თვითონაც შტერდებოდა.

ერთი ბოთლი იტალიური შუშხუნა ღვინო დალიეს, დიკმა ფერი დაკარგა, რაღაცა ხმაურით ივსებოდა. დირიჟორს ანიშნა ხელით, თავიანთ მაგიდასთან მიუხმო. ზანგი იყო, ბაჰამის კუნძულებიდან, ამპარტავანი და უსიამოვნო, და რამდენიმე წუთის მერე ჩხუბი ატყდა.

„თქვენ მთხოვეთ თქვენთან დავმჯდარიყავი“.

„ასეა, და მოგეცით ორმოცდაათი ლირი, ხომ ასეა?“

„ასეა, მომეცით, მერედა რა, მერე რა?“

„ასეა, მერე ის, რომ მოგეცით ორმოცდაათი ლირი, ასეა თუ არა? ახლა მოდიხართ და კიდევ ითხოვთ, რქებზეა საქმე?“

„თქვენ მე დამიძახეთ, ასე არ არის? ასეა თუ არა?“

„ჰო, დაგიძახეთ, მაგრამ ორმოცდაათი ლირი მოგეცით“.

„ასეა, იყოს ასე“.

ზანგი მკავე გუნებით გაეცალა და დიკი უფრო უარეს ხა-

სიათზე დადგა. მაგრამ უცებ დაინახა, ვიღაც ქალიშვილი უღი-
შოდა დარბაზის იქითა მხრიდან და მაშინვე გაქრნენ რომაე-
ლების აჩრდილები, ფერმკრთალები რომ ირეოდნენ და მოკრ-
ძალებით და მორიდებით იხევდნენ უკან. ქალიშვილი ინგლი-
სელი იყო, ქერა და სანდომიანი, ჯანმრთელი ინგლისური სა-
ხით, კიდევ გაუღიმა, დიკმა იცოდა ეს ღიმილი — თითქოს ეძა-
ხდა, მაგრამ ამ დაძახებასა და შეთავაზებაშიც კი უარს ამბობ-
და გულისთქმაზე.

„თავსა ვდებ, თუ რაღაც ოინი არ იყოს“, თქვა კოლისმა.
დიკი ადგა, მაგიდებშუა გაიარა და ქალიშვილისკენ გაეძარტა.
„ხომ არ ვიცეკვოთ?“

ხანში შესულმა ინგლისელმა, ქალიშვილი ვისთანაც იჯდა,
ისე თქვა, თითქოს ბოდიშს იხდისო: „მე მალე წავალ“.

აგზნებამ გაუარა და ცოტათი უკვე გამოფხიზლდა, როცა
ცეკვავდა; იმ ქალიშვილზე გაიფიქრა, რაც რამ კარგია ინგ-
ლისში — ყველა, სუყველა ახლა ამაშიაო; წკრიალა ხმა ბუნ-
დოვნად ახსენებდა იქაურ ბალებს, ზღვის ბეჭედში რომ მშვი-
დად ისხდნენ. ცოტა განზე გადაიხარა, რომ კარგად შეეხედა
ქალიშვილისთვის და ქათინაურებით აავსო იგი. ისე გულწრ-
ფელად ლაპარაკობდა, ხმაც კი უკანკალებდა. ქალიშვილმა
აღუთქვა, როგორც კი ჩემი თანამგზავრი წავა, მოვალ და თქვე-
ნთან დავჯდებიო. როცა დიკმა თავის ადგილას მიიყვანა, ინგ-
ლისელი ისევ ისეთი ღიმილით შეხვდა, გეგონება, ბოდიშს იხ-
დისო.

თავის მაგიდასთან დაბრუნდა თუ არა, დიკმა ერთი ბოთ-
ლი იტალიური თეთრი შუშხუნაც შეუკვეთა.

„ვიღაც კინომსახიობსა ჰგავს“, თქვა მან. „ვერ ვიხსენებ
რომელს“. მოუთმენლად გაიხედა მხარს იქით. „აქამდე სად
არის?“

„კარგია კინომსახიობი ვიყო“, ფიქრში წასულმა თქვა კო-
ლისმა. „მამაჩემის ბიზნესში ჩაბმა მომიწევს მალე, მაგრამ
ეს მაინცდამაინც არ მიზიდავს. იჯექი ატლანტის ოფისში ოცი
წელიწადი...“

მატერიალისტური ცივილიზაციის წინააღმდეგ პროტესტი-
ვით გაისმა იმისი ხმა.

„თავი მაგისტვის არ გიმეტებათ?“

„არა, ეგ არა, მე მაგას არ ვგულისხმობ“.

„კი, მაგას გულისხმობთ“.

„თქვენ რა იცით, რას ვგულისხმობ? თუ ასე ძალიან მოგწონთ მუშაობა, რატომ არა ხართ პაციენტებთან, ხომ ექიმი ხართ?“

კინალამ იჩხუბეს, მაგრამ უკვე მაგრად იყვნენ მთვრალეები და აღარ ახსოვდათ რაზე უნდა ეჩხუბათ, კოლისი წასასვლელად წამოდგა და ერთმანეთს გულთბილად ჩამოართვეს ხელი.

„თქვენ იცით, კარგად მოიფიქრეთ“. შეაგონა დიკმა.

„რა მოგიფიქრო?“

„იცით, რაც“. ეგონა, კოლისს მამამისის ბიზნესთან დაკავშირებით რაღაც ძალიან კარგი და საქმიანი ზრევა მისცა.

კლეი სივრცეს შეერია. დიკმა ბოთლში დარჩენილი ღვინო ბოლომდე დალია და ისევ იმ ინგლისელ ქალიშვილთან იცეკვა, თამამ შეტრიალ-შემოტრიალებას აიძულებდა თავის თავს და თამამი მიხრა-მოხრით უნდოდა ევლო. მაგრამ უცებ საკვირველი ამბავი მოხდა. დიკი ქალიშვილთან ცეკვავდა, მერე მუსიკა გაჩერდა და — ქალიშვილი გაქრა.

„არ იცით, სად არის?“

„ვინ?“

„ქალიშვილი, ვისთანაც მე ვცეკვავდი. აქ იყო, უცებ — აღარ არის, სადმე იქნება“.

„არა, არა! ეს ქალების ოთახია“.

ბარში შევიდა და ჩამოეყრდნო, ორი სხვა კაციც იდგა, გამოლაპარაკება უნდოდა, მაგრამ არ იცოდა, რითი დაეწყო. შეიძლებოდა რომზე და კოლონისა და გაეტანის ოჯახების შფოთიან წინაპრებზე ეამბნა, მაგრამ იფიქრა, დასაწყისისათვის არ ივარგებს, მეტისმეტი და მოულოდნელი იქნებაო. თამბაქოს დახლიდან იენსიური ფაიფურის ფიგურები იატაკზე გადმოიყარა, აურზაური ატყდა და ბუნდოვნად იგრძნო, თვითონ იყო ამის მიზეზი, კაბარეში დაბრუნდა და ერთი ფინჯანი შავი ყავა დალია. კოლისი აღარ იყო იქ, ინგლისელი ქალიშვილიც აღარა ჩანდა და სხვა რა გზა ჰქონდა, თვითონაც უნდა წასულიყო ოტელში, გულდახურული დაწოლილიყო და დაეძინა. გადაიხადა თავისი ჩეკი და პალტო და შლაპა აიღო.

ჭუჭყიანი წყალი გუბებზე იდგა თხრილებში და ალაგ-

ალაგ ქვაფენილზედაც; კამპანიდან ჭაობის სინესტე ატანდა და გადამუშავებული ორთქლის ნარჩენით იწამლებოდა დილის ჰაერი. ოთხი ტაქსისტი შემოეხვია, პატარა თვალებს ატრიალებდნენ ბნელ ბუდეებში. ერთი მაინც ძალიან ჩააცივდა, პირდაპირ სახესთან მიჰქონდა თავისი სახე და დიკმა უხეშად მოიშორა.

„Quanto al Hotel Quirinal?“¹

„Cento lire“².

ექვსი დოლარი. თავი გაიქნია და ოცდაათი ლირა შესთავაზა, ეს ორმაგი ფასი იყო იმასთან, რასაც დღისით იხდიდნენ, მაგრამ ოთხივემ, თითქოს ერთი კაციაო, ერთნაირად აიჩეჩა მხრები და მოსცილდა.

„Trente cinque lire e mancie“³, მტკიცედ თქვა დიკმა.

„Cento lire“.

დიკი ინგლისურზე გადავიდა.

„ნახევარი მილი უნდა გაიაროთ და ასი ლირა? ორმოცზე მეტს არ მოგცემთ“.

„არ გამოვა“.

დაღლილობისგან ფეხზე ძლივს იდგა. იმ ტაქსის კარი გამოაღო, რომელიც უფრო ახლო იდგა და დაჯდა.

„ოტელი „კვირინალი!“ მანქანის წინა კართან ჯიუტად მდგარ მძღოლს უბრძანა. „მოიშორეთ ეგ გესლი სიფათიდან და „კვირინალში“ წამიყვანეთ“.

„აჰ, არა“.

დიკი მანქანიდან გადმოვიდა, „ბონბონიერის“ შესასვლელთან ვილაც ეღავებოდა ტაქსისტებს და ვილაცა ახლა ცდილობდა დიკისთვის აეხსნა, რა უნდოდათ მძღოლებს, ერთი სიტყვით, თარჯიმნობა იკისრა; ამასობაში ის ერთი ისევ ჩააცივდა დიკს, ყვიროდა, ჟესტებით ელაპარაკებოდა და დიკმა ისევ მოიშორა თავიდან.

„შე ოტელი „კვირინალი“ მინდა“.

„ის ამბობს, ასი ლირა“, აუხსნა იმ კაცმა, თარჯიმნობა რომ იკისრა.

¹ „რამდენი, ოტელ „კვირინალამდე?“ (იტალ.).

² „ასი ლირა“ (იტალ.).

³ „ოცდათხუთმეტი ლირა და ქირა“ (იტალ.).

„გავიგე, ორმოცდაათს შივცემ, ორმოცდაათზე თანახმა ვარ. დამანებეთ თავი!“ ეს ბოლო სიტყვები იმ დაჟინებულ ტაქსისტს უთხრა, მესამედაც რომ ჩააცვიფდა. ამ კაცმა შეხედა ღიკს და მერე ზიზლით გადააფურთხა.

რაც იმ ერთ კვირას დაუგროვდა და მოითმინა, ახლა ერთბაშად გადმოხეთქა და ძალად ექცა, ტრადიციული, პატიოსნური გამოსავალი თავისი ქვეყნის; ოდნავ დაიხია, მოუქნია და სახეში სთხლიშა ტაქსისტს.

ოთხივე ერთად მივარდა ღიკს, მუქარით იქნევდნენ ხელებს, ცდილობდნენ შუაში მოექციათ — ღიკი კარებთან ზურგით მიეყრდნო კედელს და ალაღბედზე ურტყამდა, ცოტათი ეცინებოდა კიდევაც ამათ დარტყმებზე, ამ ვითომ ჩხუბზე და მამლაყინწებზე. იგერიებდა. ერთი-ორი წუთი გაგრძელდა ასე, მერე ღიკმა წაიბორძიკა და დაეცა; ტკივილი იგრძნო, მაგრამ ისევ წამოდგა, ვიღაცების ხელები წრესავით ერტყა და ამ წრეში ისევ იწევდა მათზე, მერე ეს წრე უცებ გაიხსნა. რაღაც ახალი ხმა მოისმა, ახალი დავა ატყდა, მაგრამ ღიკი კედელთან იდგა, სულშეხუთული და თავისი ამ უაზრო მდგომარეობით გაცოფებული, რომ ღირსება ასე შეეღახა. ხედავდა, სიმპათია მის მხარეზე არ იყო, მაგრამ წამითაც არ იფიქრებდა, რომ შეიძლება თვითონაც ჰქონდა ამაში ბრალი.

პოლიციის უბანში უნდა წასულიყვნენ და იქ გაერკვიათ ყველაფერი. ვიღაცამ ძირიდან აიღო ღიკის შლაპა და მიაწოდა. ვიღაცამ თავაზით მოჰკიდა მკლავში ხელი, რამდენიმე ნაბიჯი გაიარეს, კუთხეს გასცდნენ და ტაქსისტებთან ერთად ღიკი ცარიელკედლებიან ბარაკში შევიდა, სადაც ერთადერთი მქრქალი ნათურა ეკიდა ჰერში და უსაქმოდ ისხდნენ კარაბინერები.

მაგიდასთან კაპიტანი იჯდა, იმ კაცმა, ვინც ღიკზე და ტაქსისტებზე კაპიტანს უთხრა, გავაშველეო, კარგა ხანს მოჰყვა იტალიურად, რა როგორ იყო და აღარ ათავებდა, ხანდახან ღიკზე უთითებდა, დროდადრო ტაქსისტები აწყვეტინებდნენ, გაცხარებულები ღიკს სდებდნენ ბრალს და გინების სიტყვებს ისროდხენ. კაპიტანს მოთმინება ეკარგებოდა. ბოლოს ხელი ასწია და ამხელა ჰიდრა-თავა მობრალემ, საბოლოოდ კიდევ რაღაცა ამოიხავლა და როგორც იქნა, ხმა ჩაიწყვიტა. კაპიტანი ღიკს მიუბრუნდა.

„ლაპარაკი Italiano?“¹ ჰკითხა მან.

„არა“.

„ლაპარაკი Francais?“²

„Oui“,³ გაუხარდა დიკს.

„ჰოდა, ასე, მომისმინე. წადი „კვირინალში“. მომისმინე: თქვენ მთვრალი ხართ, გადაიხადეთ, რამდენსაც თხოულობს მძღოლი, გასაგებია თქვენთვის?“

დიკმა თავი გაიქნია.

„არა, მე არ მინდა“.

„როგორ?“

„მე გადავიხდი ორმოც ლირას. ეს სავსებით საკმარისია“, კაპიტანი წამოდგა.

„მომისმინე!..“ მრისხანედ წამოიძახა მან. „თქვენ მთვრალი ხართ. თქვენ შოფერს სცემეთ. აი ასე, აი ასე... კიდევ კარგია“, ორივე ხელი ჰაერში გიჟივით გაიქნია, „რომ თავისუფლად გიშვებთ, გადაიხადეთ რამდენიც გითხრათ — ასი ლირა. წადით „კვირინალში“.

შეურაცხყოფისა და აღშფოთებისაგან დიკი გაცოფდა, კაპიტანს მიაშტერდა.

„კარგი, მე წავალ!“ ძლივს მიტრიალდა კარებისკენ — მის წინ ის კაცი იდგა, ვინც პოლიციაში მოიყვანა და ღვარძლთანად იქნევდა თავს, „მე წავალ“, დაიყვირა დიკმა, „მაგრამ ჯერ ამ უღლეურს გავუსწორდები“.

გაშტერებული კარაბინერების წინ გაქანდა და იმ ღრეჭია სიფათს მოქნეული მარცხენა ხელი გაართყა ყბაში. კაცი იატაკზე გაიშხლართა.

ერთ წამს დიკი ეგრე იდგა, ბარბაროსივით ზეიმობდა ტრიუმფს; მაშინათვე, ეჭვმაც გაჰკრა, ახლა კი შეცდომა დავუშვიო, მაგრამ ამის ბოლომდე გაფიქრებაც ვერ მოასწრო და თვალთ დაუბნელდა; წააქციეს და გაშმაგებით დაუწყეს ცემა. მუშტებითა თუ ქუსლებით მისდგნენ დაუნდობლად. იგრძნო, ცხვირი გაუტყდა, ხრაშა-ხრუშიც გაიგონა ხრტილისა, თვალები, გეგონება, რეზინისააო, ბუდეებიდან ამოუცვივდა და ისევ

¹ „...იტალიურად?“ (იტალ.).

² „...ფრანგულად?“ (ფრანგ.).

³ „დიახ“ (ფრანგ.).

თავის ადგილს დაუბრუნდა, ვილაცამ წიხლი ჩააზილა და ნეკ-
ნი ჩაუღწია. წამით ცნობიერება დაკარგა, მაგრამ გონს მოე-
გო, რადგან ხელად წამოაყენეს, დასვეს და მაჯებზე ხელბორ-
კილი დაადეს. უნებლიეთ ისევ იწევდა. სამოქალაქოტანსაც-
მლიანი ლეიტენანტი, დიკმა რომ მიბეგვა, იქით იდგა, ნიკაპზე
ცხვირსახოცს იდებდა და წამდაუწუმ ზედ იყურებოდა, უნ-
დოდა გაეგო, სისხლი მოსდიოდა თუ არა; დიკთან ძალიან ახ-
ლო მივიდა, ცოტათი ისევ განზე გადგა, მერე ხელი მოიქნია
და ძირს დასცა.

დოქტორი დაივერი უმოძრაოდ იწვა იატაკზე, ერთი სათ-
ლი წყალი დაასხეს, ძაჯებში ხელი წაავლეს და სადღაც წაათ-
რიეს. ცალი თვალი ძლივს გაახილა, ზედ სისხლი ჰქონდა, ერთ-
ერთი ტაქსისტის შეძრწუნებული და გაფითრებული სახე იც-
ნო.

„წადით ოტელ „ექსცელსიორში“, ხრიალით უთხრა, „უთ-
ხარით მისს უორენს, ორასი ლირა! მისს უორენი! ორასი ლი-
რა! ოჰ, თქვენი მყვირტე... ღმერთო...“

ისევ მიათრევდნენ, სული ეხუთებოდა, ტიროდა, ცალ
თვალზე სისხლი გადაჰკვროდა, ოღრო-ჩოღრო იატაკზე მიათ-
რევდნენ, ბოლოს სადღაც ქვის იატაკზე დააგდეს. ის კაცი გა-
ვიდა, კარები გაჯახუნდა და მარტო დარჩა.

XXIII

ღამის პირველ საათამდე ბები უორენი საწოლში იწვა და
შერიონ კროუფორდის ერთ-ერთ საკვირვლად მოსაწყენ ამ-
ბავს კითხულობდა რომაული მოთხრობებიდან; მერე ფანჯა-
რასთან მივიდა და ქუჩას გახედა. ოტელის პირდაპირ, ტრო-
ტუარზე სამკუთხა შლაპებითა და გროტესკული მოსასხამე-
ბით, ორი კარაბინერი დადიოდა, ჰალსის ცვლისას დახრილ
გროტ-ანძასავით, მოსახვევებში ხან იქით გაქანდებოდნენ და
ხანაც აქეთ. იმათ ყურებაზე ის გვარდიელი ოფიცერი გაახ-
სენდა, დღეს სამხარზე თვალი რომ აღარ მოაშორა ბების. იმი-
სი თავხედობა იმ არაბრგე რასის მაღალი ვინმეს თავხედობასა
ჰგავდა, ვისაც სიმაღლე უწევს სხვა ღირსებების მაგივრობას.
რომ მოსულიყო ის გვარდიელი და ბებისთვის ეთქვა: „წავი-

დეთ ერთად“, ალბათ ეტყოდა: „რატომაც არა?“ — ყოველ შემთხვევაში, ახლა ასე ეგონა, სხვა გარემოში ყოფნა თითქოს უფრო სხვაგვარსა ხდიდა, თავისუფალს.

გვარდიელისაგან ფიქრი ნელ-ნელა ისევ კარაბინერებს გადასწვდა, იმათგან — დიკს. დაწვა და სინათლე ჩააქრო.

ოთხი არ იყო, როცა გაელვიძა, ვიღაც აბრახუნებდა კარზე.

„ღიახ — ვინ არის?“

„კონსიერჟი, ძაღამ“.

კომონო მოისხა და ნამძინარეგმა გაუღო კარი.

„თქვენი მეგობარი, სახელი დაივერი, რალაც შეემთხვა, პოლიციამ დაიჭირა და ციხეში ზის. ტაქსი გამოგზავნა, რომ თქვენთვის ეთქვა, შოფერი ამბობს, ორასი ლირის გადახდას დამპირდაო...“ კონსიერჟმა შეიცადა, ფრთხილად შეხედა, როგორ მიიღო ეს ამბავი, „შოფერი ამბობს, მესიე დაივერს ცუდი რალაც შეემთხვა, პოლიციასთან იჩხუბა და საშინლად სცემეს“.

„ახლავე ჩამოვალ“.

ჩაცმა დაიწყო, ბაგაბუგით უცემდა გული. ათი წუთის მერე ლიფტიდან ჩაბნელებულ ვესტიბიულში გადმოვიდა. შოფერი, დიკს რომ გამოეგზავნა და ამბავი მოეტანა, უკვე წასულიყო; კონსიერჟმა სხვა მანქანა გაუჩერა და ტაქსისტს უთხრა რა ადგილასაც იყო ის ციხე. ღამე თანდათან ძალას კარგავდა, და დღესა და ღამეს შუა ეს მერყეობა ბების ნერვებზე მოქმედებდა, ისედაც, ჯერ კარგად ვერ გაელვიძა. ეჩვენებოდა, რომ ძალიან ნელა თენდებოდა და ფიქრით აჩქარებდა რიჟრაჟს; ფართო ავენიუებზე სივრცე ჩანდა და საქმე კარგად მიდისო, ეგონა. მერე უცებ ქარი დაუბერავდა საიდანღაც და როცა თითქოსდა ჩერდებოდა მოძრაობა და გარეშემო აღარ იძვროდა, ისევ ხელახლა იწყებოდა ყველაფერი. მანქანამ შადრევანს ჩაუარა, ხმაურით რომ ეღვრებოდა თავისსავე ჩრდილს, გაშლილ ჩრდილს და, დაგრეხილ მოსახვევში შეუხვია, სადაც სახლებიც ცერად თუ იდგნენ, დაჭიმული, რომ ქუჩაზე არ გადმოშლილიყვნენ, რიყის ქვაფენილზე ერთი შექანდა და ხრილით გაჩერდა რომელიღაცა შენობასთან. შესასვლელთან, ორივე მხარეს საგუშაგო ჭიხურები იდგა, შენობის მწვანე,

ნესტიან და ხავსძოდებულ კედლებთან ამ ჯიხურებს კაშკაში გაჰქონდა. კაძაროვანი შესასვლელის ლილისფერი ბინდიდან მოესმა უცებ დიკის ყვირილი.

„ინგლისელი აქ არავინ არის? ამერიკელები არ არიან? ინგლისელები არ არიან აქ? — ოჰ, ღმერთო ჩემო! უჰ თქვენი, უოპებო!“¹

ყვირილი მიწყდა და ბებიმ ახლა კარებზე რახუნის ხმა გაიგონა. მერე ისევ ყვირილი გაისმა.

„ამერიკელები არ არიან? არიან აქ ინგლისელები?“

იქით გაიქცა, საიდანაც ხმა მოდიოდა, თაღოვანი შესასვლელი გაიარა, ეზოში შევიდა, ერთ წუთს ადგილზე იდგა დაბნეული, მერე ისევ ხმას მიჰყვა და გაარკვია, რომ პატარა საყარაულოდან იყო. კარები შეაღო და შიგ შევიდა. ორი კარაბინერი ფეხზე წამოხტა, მაგრამ ბებიმ ზედაც არ შეხედა და იქით, სადაც საკანი იყო, იმ საკნის კარისკენ გაქანდა იმწამს.

„დიკ!“ დაიძახა მან. „რა მოგივიდათ?“

„თვალი ამომიგდეს!“ იყვირა დიკმა. „ხელბორკილი დამადეს, მერე მირტყეს, წყეულები, ეგენი...“

ბები მიტრიალდა, სახეზე ფერი აღარ ედო და კარაბინერებისკენ წავიდა.

„რა უყავით?“ ისე შმაგად და გააფთრებით მიადგა, რომ კარაბინერებმა უკან დაიხიეს...

„Non capisco inglese“²,

ფრანგულად ლანძღა, მაგრამ რა ლანძღა, იმისი დაუოკებელი აღშფოთების ხმა მთელ ოთახს ავსებდა, შეშინებული კარაბინერები ბებისაგან დატეხილი ბრალდებისაგან ლამობდნენ თავი დაეღწიათ.

„კარი გააღეთ! რაღაც იღონეთ!“

„ჩვენ არაფერი შეგვიძლია, თუ არ გვიბრძანეს“.

„Bene! Bay-nay! Bene!“³.

ისევ გააფთრებით მოჰყვა მათ ლანძღვას, კარაბინერები თავიანთი უმწეობის გამო ბოდიშს უხდიდნენ, ოფლში იღვ-

¹ უოპ, მეტსახელი, შუა ან სამხრეთ ევროპელ ემიგრანტებს, უფრო მეტად კი იტალიელებს ეძახიან ამერიკელები.

² „ვერ ვიგებ ინგლისურად“ (იტალ.).

³ „კარგი! მაშ კარგი!“ (იტალ.).

რებოდნენ და დაბნეულები ერთმანეთს და უყურებდნენ, რაღაც საშინელი გაუგებრობა მოხდა ალბათო. ისევ კამერის კართან მივიდა ბები, ზედ მიეყრდნო, ლამის ეფერებოდა, თითქოს ასე უფრო კარგად გააგებინებდა, რომ აქ იყო იმისი ძალა და შველა.

„საელჩოში მივდივარ, მალე დავბრუნდები!“ დაიძახა მან, კარაბინერებს კიდევ ერთხელ მუქარით მოავლო თავისი მხერა და გარეთ გავარდა.

ამერიკის საელჩოსთან მისვლისას, ტაქსის შოფერმა, ვერ დავიცდიო, და ბებიმ ფული გადაუხადა. ჯერ კიდევ ბნელოდა, საფეხურებზე სირბილით ავიდა და დარეკა. სამჯერ დარეკა, მესამე ზარზე ნამძინარევა ინგლისელმა შვეიცარმა გაულოკარი.

„მინდა ვინმე ვნახო საელჩოში“, უთხრა ბებიმ. „სულ ერთია ვინ — ოღონდ ახლავე“.

„ყველას სძინავს, მაღამ, ცხრა საათამდე არ ვალდებ“.

ბების საათის გაგონება არ სურდა.

„ეს უბრალო საქმე არ არის. ერთ კაცს — ამერიკელს საშინლად სცემეს, ახლა იტალიის ციხეშია“.

„ჯერ ყველას სძინავს. ცხრა საათზე...“

„მე არ შემიძლია ცხრა საათამდე მოცდა. კაცს თვალი ამოუგდეს, ჩემი დის ქმარს, ახლა კი ციხეში ჰყავთ და არ უშვებენ. ახლავე უნდა ვნახო ვინმე და ველაპარაკო — გასაგებია? გიჟი ხომ არა ხართ? რას დგახართ და იდიოტივით შემომყურებთ?“

„მე არაფერი შემიძლია, მაღამ“.

„მიდით და გააღვიძეთ ვინმე!“ მხრებში წაავლო ხელი და ძაგრად შეაჯანჯლარა. „საქმე სიკვდილ-სიცოცხლეს ეხება. თუ ახლავე, ამ წუთში არ გააღვიძებთ ვინმეს და აქ არ მოიყვახთ, საშინელი დღე დაგადგებათ...“

„თუ შეიძლება, მაღამ, გამიშვით, აიღეთ თქვენი ხელი“.

შვეიცარის ზურგს იქით, ზევით დაღლილი და გროტონული¹ ხმით თქვა ვილაცამ:

¹ გროტონი — ქალაქი მასაჩუსეტისის შტატში, სადაც ვაჟთა პრივილეგიური კერძო სასწავლებელი არსებობდა.

„რა ხდება?“

შვეიცარმა შვებით ამოისუნთქა.

„ერთი ლედი მოვიდა, სერ, და შემაჯანჯლარა“.

შვეიცარი სალაპარაკოდ განზე გადგა და ბები მაშინვე შევარდა ჰოლში. ზევით, კიბეზე, მოქარგულ თეთრ სპარსულ ხალათში გახვეული, უცნაური ახალგაზრდა კაცი იდგა, ძილისაგან ჯერ კარგად არ გამოფხიზლებულიყო. საშიშარი, არაბუნებრივად ვარდისფერი სახე მკვდარს მიუგავდა, ის ვარდისფერიც არ აცოცხლებდა, პირზე კი რაღაცა ეკეთა, ალიკაპივით. ბების დანახვაზე საჩქაროდ ჩრდილში დაიხია.

„რა მოხდა?“ ისევ იკითხა მან.

ბებიმ უამბო. აღელვებისგან თვითონაც ვერ ამჩნევდა, ისე მიიწევდა ზევით და კიბეზე ავიდა, აქ კარგად გაარჩია, რომ ის რაღაც, პირზე რომ მიემაგრებინა, საულვაშე იყო, სახე კი ვარდისფერი კოლდკრემით ჰქონდა დაფარული. ეს ყველაფერი საოცრად ეხამებოდა ამ კოშმარულ ღამეს. ბოლოს ბებიმ მოითხოვა, რომ ეს კაცი ციხეში გაჰყოლოდა და დღესვე, დღითვე გამოეყვანათ დიკი იქიდან.

„ცუდი საქმეა“. თქვა იმ კაცმა.

„ღიახ“, მორჩილად დაეთანხმა ბები. „ღიახ“.

„ჩხუბის ატეხა პოლიციაში, რა ამბავია“, პირადი შეურაცხყოფის ტონით წარმოთქვა. „ცხრა საათამდე არაფერი მოხერხდება, მე ასე ვფიქრობ“.

„ცხრა საათამდე!“ შეძრწუნებით წამოიძახა ბებიმ. „მაგრამ თქვენ თვითონ ხომ შეგიძლიათ რამე იღონოთ! თუნდაც ის, რომ ახლა ციხეში გამომყვეთ და მოითხოვოთ, რომ აღარ სცემონ“.

„უფლება არა გვაქვს ასე მოვიქცეთ. ასეთი საქმეებისათვის საკონსულო არსებობს. საკონსულო ცხრა საათზე გაიღება“.

საულვაშეთი დაჭიმულმა და უმოძრაო სახემ კიდევ უფრო გააშმაგა ბები.

„მე ცხრა საათამდე ვერ დავიცდი, ჩემი სიძეა დაშავებული, თვალი ამომიგდესო, თქვა. მე უნდა ვნახო იგი. ექიმი უნდა მივუყვანო“. ბები კი არ ლაპარაკობდა, ყვიროდა ლამის და არც უცდია თავის შეკავება, პირიქით, გაბრაზებულმა, უფრო აუ-

წია ხმას, იცოდა, ახლა ამ ტონით უფრო გაიტანდა ვიდრე სიტყვებით. „თქვენ ვალდებული ხართ რალაც იღონოთ, ამერიკელი მოქალაქეების დაცვა, როცა მათ უჭირთ, თქვენი საქმეა“.

მაგრამ ახალგაზრდა კაცი წარმოშობით ამერიკის აღმოსავლეთ სანაპიროდან იყო და იოლად ვინ რას გახდებოდა. თავი გაიქნია, მოთმინებით, როგორ არ გესმითო ჩემი მდგომარეობა, უფრო მაგრად შემოიხვია თავისი სპარსული ხალათი და რამდენიმე საფეხურით დაბლა ჩამოვიდა.

„ძიეცით ლედის საკონსულოს მისამართი“, შვეიცარს უთხრა, „და ცნობარიდან დოქტორ კოლაცოს მისამართი და ტელეფონიც ამოუწერეთ“. ბების, გეგონება მოთმინებადაკარგული ქრისტეაო, ისეთი სახით მიუტრიალდა. „ძვირფასო ლედი, დიპლომატიური კორპუსი ოფიციალურად წარმოადგენს შეერთებული შტატების სახელმწიფოს იტალიის სახელმწიფოს წინაშე და მოქალაქეების დაცვა მას არ ეხება, — თუ სახელმწიფო დეპარტამენტის სპეციალური მითითება არ არის ამაზე. თქვენმა სიძემ დაარღვია ამ ქვეყნის კანონები და წაიყვანეს ციხეში ისევე, როგორც წაიყვანდნენ იტალიელს, თუ იგი ნიუ-იორკში დააშავებდა რამეს და ამით შეერთებული შტატების კანონებს დაარღვევდა. მისი გაშვება მხოლოდ იტალიის სასამართლოს შეუძლია და რაკი თქვენი დის ქმარს ასეთი რალაც შეემთხვა და თქვენ იურიდიული რჩევა ან დახმარება გჭირდებათ, შეგიძლიათ მიმართოთ საკონსულოს, რომელიც იმისათვის არსებობს, რომ დაიცვას ამერიკელ მოქალაქეთა უფლებები. საკონსულო ცხრა საათზე იღება. საქმე ჩემს სიძეს რომ ეხებოდეს, მაშინაც კი ამაზე მეტის გაკეთებას მე ვერ შევძლებდი...“

„თქვენ შეგიძლიათ დარეკოთ საკონსულოში?“ შეაწყვეტინა ბებიმ.

„ჩვენ საკონსულოს საქმეებში არ ვერევი. ცხრა საათზე მოვა კონსული და...“

„შეგიძლიათ მომცეთ მისი ბინის მისამართი?“

წამიერი შეყოვნების მერე ახალგაზრდა კაცმა თავი გაიქნია, შვეიცარს ფურცელი გამოართვა და ბების გაუწოდა.

„ახლა კი, გთხოვთ, მაპატიოთ“.

მოხერხებული მანევრით მიიყვანა ბები კარგბამდე: წამით იისფერი რიჟრაჟის ათინათი დაეცა იმის საულვაშეს და ვარდისფერ ნიღაბს, შერე კი ბები უკვე მარტო იდგა საელჩოს კორპუსის კარწინ. საელჩოში ათი წუთი შეყოვნდა.

საელჩოს წინა მოედანზე ჭაჭანება არ იყო კაცის, იმ მოხუცს გარდა, ქვაფენილიდან სიგარეტების ნამწვებს რომ კრებდა ლურსმნიან ჯოხით. ბებიმ მაშინვე იშოვა ტაქსი და საკონსულოში წავიდა. მაგრამ იქაც არავინ დახვდა, მხოლოდ სამი საწყალი ქალი, ჯაგრისებით რომ ხეხავდნენ კიბეს. ბებიმ ვერა და ვერ მიახვედრა, რომ კონსულის ბინის მისამართი სჭირდებოდა. უეცრად რაღაცა შიშმა ისევ გარეთ უბიძგა და შოფერს უთხრა, ციხეში წამიყვანეო. შოფერმა ის ციხე არ იცოდა, სად იყო, მაგრამ სიტყვების „სულ პირდაპირ, მარჯვნივ და მარცხნივ“, მეშვეობით ბებიმ მოახერხა, რომ ტაქსი მიახლოებით ადგილას მისულიყო, იქ კი მანქანა გაუშვა და უკვე ნაცნობი შესახვევების ლაბირინთში დაიწყო ძებნა. მაგრამ ყველა შესახვევი და ყველა სახლი ერთმანეთს ჰგავდა. ბოლოს რაღაც საცალფეხო გზით ესპანეთის მოედანზე გავიდა და „ამერიქენ ექსპრეს ქამპენის“ შენობა დაინახა. „ამერიქენის“ დანახვაზე გული შეუქანდა. ერთ ფანჯარაში შუქი მოჩანდა, სირბილით გადაჭრა მოედანი და კარი გამოსწია, მაგრამ კარი დაკეტილი დახვდა. საათი კი მინის იქით, შვიდზე იდგა. ბების კოლის კლეი მოაგონდა.

იმ ოტელის სახელი გაიხსენა, კოლის კლეი რომ ცხოვრობდა ახლა, ის ძველი ვილა, „ექსცელსიორის“ გადაღმა იყო, წითელ სუროშემოხვეული. მორიგე ქალს მაინცდამაინც არ უნდოდა დახმარებოდა — მისტერ კლეის შეწუხებაზე უარი თქვა და არც ის უნდოდა, რომ მისს უორენი მარტო გაეშვა მასთან; ძლივს დააჯერა, რომ სხვა საქმე ჰქონდა, ვნება არაფერ შუაში იყო, და ბებისთან ერთად ავიდა ზევით.

კოლისი საწოლზე შიშველი იწვა. წინა საღამოს მთვრალი მოვიდა, ახლა გააღვიძეს და მაშინვე ვერ გაიაზრა რა დღეშიც იყო. როცა მიხვდა, გამოსწორება მეტისმეტი თავაზით სცადა. ხელი სტაცა ტანისამოსს და სააბაზანოში შევარდა. იქ ჩქარა ჩაიცვა და თან დუდლუნებდა: „რა ოხრობად, ალბათ თავით

ფეხებამდე კარგად შემხედა!“ ტელეფონით მალე გაიგეს სად იყო ციხე და მაშინვე წავიდნენ.

კამერის კარი ღია დახვდათ და დიკი საყარაულო ოთახში, სკამის ზურგს იყო მიწოლილი. კარაბინერებს სახიდან სისხლი მოებანათ, ტანსაცმელი გაეწმინდათ და შლაპისთვისაც თავისი ადგილი მიეჩინათ, შუბლზე ჰქონდა ჩამოწეული. ბები ზღურბლზე გაჩერდა, კანკალებდა.

„მისტერ კლეი დარჩება თქვენთან“, თქვა მან, „მე კი კონსულისა და ექიმის მოსაყვანად წავალ“.

„კარგი“.

„მანამდე წყნარად იყავით“.

„კარგი“.

„მალე დავბრუნდები“.

საკონსულოში წავიდა; უკვე ცხრა იწყებოდა და მისაღებში შეუშვეს. ცხრა საათისთვის კონსული მოვიდა და დაღლილობისა და უღონობისაგან ლამის ისტერიკაში ჩავარდნილი ბები ისევ თავიდან ბოლომდე მოჰყვა ყველაფერს. კონსული შეწუხდა. ბები გააფრთხილა, უცხო ქვეყნებში ჩხუბი ძალიან სახიფათოაო, მაგრამ ყველაზე მეტად იმაზე წუხდა, რომ კაბინეტში არ შეჰყოლოდა, მისაღებში მოიცადეთო. ბებიმ კონსულის ბებრულ თვალებში სასოწარკვეთით ამოიკითხა, რომ ამ ამბავში მაინცდამაინც დიდი ჩარევა არა სურდა. სანამ იცდიდა, დრო რომ არ დაეკარგა, აქედან ექიმთანაც დარეკა ბებიმ. მისაღებში კიდევ ვიღაცები შემოვიდნენ და რამდენიმე კაცი კონსულის კაბინეტში გამოიძახეს. ნახევარი საათის მერე, კარი რომ გაიღო და იქიდან ვიღაც გამოვიდა, ბებიმ მომენტი შეარჩია, მდივანს გაუარა და შიგ შევარდა.

„აღმაშფოთებელია! ამერიკელ მოქალაქეს ლამის სასიკვდილოდ სცემეს და ციხეში ჩასვეს, თქვენ კი თავის შეწუხება არ გინდათ, არ გინდათ უშველოთ“.

„ერთი წუთით, მისიზ...“

„მე საკმაოდ დიდხანს ვიცადე. ახლავე წამობრძანდით ჩემთან ერთად ციხეში და მოითხოვეთ, რომ გამოუშვან!“

„მისიზ...“

„ამერიკაში ჩვენი მდგომარეობა თვალსაჩინოა“, — ლაპა

რაკისას უფრო და უფრო მკაცრი ბაგე უხდებოდა. „გახმაურებას რომ არ ვერიდებოდეთ... ასე თუ ისე, მე ვიზრუნებ იმისათვის, რომ თქვენი ინდიფერენტულობა შეიტყონ იქ, სადაც ჯერ არს. ჩემი სიძე ბრიტანეთის ქვეშევრდომი რომ იყოს, უკვე კარგა ხანია თავისუფალი იქნებოდა, მაგრამ თქვენ უფრო ის გაწუხებთ, პოლიციაში რას იტყვიან, ვიდრე ის, რისთვისაც აქ ხართ“.

„მისიზ...“

„ახლავე დაიხურეთ შლაპა და წამობრძანდით.“

შლაპის ხსენებაზე კონსული აწრიალდა, მაშინვე ქაღალდების ქექვასა და სათვალის წმენდას მოჰყვა, მაგრამ აღარაფერი უშველიდა: ამერიკელი ქალი დაუდგა, აღშფოთებული, და ვერ გაუძლებდა ახირებულ და დაუდგრომელ ზნეს, რამაც მთელ რასას მორალური ხერხემალი გადაუტეხა და კონტიხენტი საბავშვო ბაგას დაამსგავსა. კონსულმა ვიცე-კონსული გაძლიძახა — ბებიმ გაიმარჯვა.

დიკი იჯდა, საყარაულო ოთახის ფანჯარაში მზე უხვად შემოდინოდა და თბებოდა. კოლისი და ორი კარაბინერიც აქ იყო და ოთხივენი მოუთმენლად ელოდნენ, რომ რაღაცა უნდა მომხდარიყო. თავისი ერთი მხედველი თვალით დიკი კარაბინიერებს უყურებდა, ტოსკანელი გლეხების თხელ პირისახეს, და იმ სისასტიკეს ვერ უთავსებდა, რაც წუხელ ღამით დაატყდა თავს. ერთი მათგანი ლუდზე გაგზავნა.

ლუდისგან ოდნავ თავბრუ დაეხვა და წამით მთელი ამბავი სარდონიკული იუმორის შუქით განათდა. კოლისი მაინც იმ აზრისა იყო, რომ ის ინგლისელი ქალიშვილი, „ბონბონიერიდან“, ამ ამბავში რაღაცით იყო გახვეული, მაგრამ დიკს სჯეროდა, რომ ამ შეჯახებამდე დიდი ხნით აღრე გაქრა იგი. კოლისი ჯერ კიდევ შეეპყრო იმ ფაქტს, რომ მისს უორენმა მთლად შიშველი ნახა საწოლზე.

სიშმაგე თანდათან მოერიდა დიკს, ჯერ შიგნით, გულში უტრიალებდა და მერე უსაზღვრო, კრიმინალურ ბრმა გახელებად გადაექცა. ის, რაც მას შეემთხვა, იმდენად საშინელი რაღაც იყო, რომ თუ მოახრჩობდა და დაივიწყებდა, მხოლოდ მაშინ თუ გადაიტანდა, და რაკი ამისი არა სჯეროდა, იმედი ჰქონდა

დაკარგულნი. ამიერიდან ის სხვა პიროვნება ხდებოდა, და ახლა, როცა ამ დღეში იყო, თავის თავს კარგად ვერ ხედავდა, — ვინ იქნებოდა ამის მერე. ღვთის ნებით არ იყო ეს ამბავი. არც ერთ მოზრდილ არიელს არ შეუძლია დამცირება თავის სასარგებლოდ გამოიყენოს; თუ აპატია, ეს იმას ნიშნავს, რომ ის დამცირება მისი ცხოვრების წილი გახდა და გააიგივა თავისი თავი იმასთან, რამაც დაამცირა — ამ ამბის ბოლო ეს არ იყო.

როცა კოლისმა თქვა, თავიანთი უნდა მიეზლოთო, დიკმა მხოლოდ თავი გაიქნია, ხმა არ ამოუღია, ოთახში ცეცხლივით შემოიჭრა კარაბინერების ლეიტენანტი, სწრაფი და სიცოცხლით სავსე, სამ კაცს ეყოფოდა იმისი ცეცხლი. კარაბინერები ფეხზე წამოიჭრნენ და გაიჭიმნენ; ლუდის ცარიელ ბოთლს მოჰკრა თვალი და თავის ხელქვეითებს მისდგა და ლანძღა. ამის მერე ახლებური, საქმიანი კაცის იერი მიიღო და ბრძანა, დაუყოვნებლივ გაეტანათ ლუდის ბოთლი საყარაულო ოთახიდან. დიკმა კოლისს შეხედა და გაიცინა.

ვიცე-კონსული, მუშაობისაგან გადაქანცული ახალგაზრდა კაცი, გვარად სუონსონი, მოვიდა და სუყველა სასამართლოსკენ დაიძრნენ; წინ დიკი მიდიოდა, აქეთ-იქით კოლისი და სუონსონი მიჰყვებოდნენ, უკან მიდიოდნენ კარაბინერები. მზიანი დილა იყო, ოდნავ ყვითელბურუსიანი; მოედანზე და თაღებქვეშ ხალხი ირეოდა, დიკმა თვალებზე ჩამოიფხატა შლაპა და ისეთი ჩქარი ნაბიჯით წავიდა, მოკლეფეხება კარაბინერები ძლივს ეწეოდნენ. ერთი მათგანი სირბილით მიჰყვა და მოითხოვა, რომ ნელა ევლოთ. სუონსონმა ეს საქმე მოაგვარა.

„თავი მოგჭერთ, არა?“ მხიარული ტონით თქვა დიკმა.

„ძადლობა თქვით, რომ იტალიელებთან ჩხუბში ცოცხალი გადარჩით“, ცოტა გაუბედავად მიუგო სუონსონმა. „ახლა ალბათ გამოგიშვებენ, მაგრამ აქაური რომ იყოთ, ორი-სამი თვე ციხეში ჯდომა მოგიწევდათ, მერე როგორ!“

„თქვენ მჯდარხართ როდისმე?“

სუონსონმა გაიცინა.

„მე მომწონს იგი“, კლეის უთხრა დიკმა. „სიმპათიური ახალგაზრდა კაცია და კარგი რჩევის მოცემაც იცის, მეტადრე

ციხეში ჯდომაზე, მაგრამ თავს ვღებ, ალბათ თვითონაც მჯდა-
რა, შეიძლება რამდენიმე კვირაც კი გაატარა იქ“.

სუონსონმა გაიცინა.

„მე მინდა ვითხრათ, რომ მაგათთან ფრთხილად იყოთ,
თქვენ არ იცით, რა ხალხია“.

„ო, მე კარგად ვიცი რა ხალხიცაა“, წამოენტო დიკი, „არა-
მზადა ვიგინდარები!“ კარაბინერებს მიუტრიალდა: „გაიგეთ?“

„მე აქ დაგტოვებთ“, საჩქაროდ თქვა სუონსონმა. „თქვენ-
მა ცოლისდამ იცის, რომ აქამდე უნდა მოგყოლოდით — მაგ-
რამ სასამართლოში ჩვენი იურისტი დაგხვდებათ და რაც მთა-
ვარია, ფრთხილად იყავით“.

„ნახვამდის“. დიკმა გულთბილად ჩამოართვა ხელი. „ულ-
რმესი მადლობა. მჭერა, ისეთი მომავალი გაქვთ...“

სუონსონმა ისევ გაიღიმა, საჩქაროდ წავიდა და მაშინვე
დაიბრუნა თავისი ოფიციალური, მგმობი იერი.

ესენი შიგნით, ეზოში შევიდნენ, სადაც ოთხივე მხრიდან
კიბე იყო და ამ კიბეებს მოსამართლეების კანტორებში აჰყავ-
დით. ბევრი ხალხი ირეოდა; ამათ რომ ჩაიარეს, ვიშვიში, ლა-
ნძღვა, დრტვინვა და სტვენა მოედო ეზოს, გაშმაგებული ბრბო
მძვინვარებდა. დიკმა გაშტერებით მიიხედ-მოიხედა.

„რა ამბავია, რა უნდათ?“ იკითხა გაოცებულმა.

ერთმა კარაბინერმა იმათ, ვინც უფრო ახლო იდგა, რა-
ღაც უთხრა და დაშოშმინდნენ.

ოთახში შევიდნენ. საკონსულოს იურისტი, დაძენძილსამო-
სიანი იტალიელი, რაღაცას კარგა დიდხანს უხსნიდა მოსამარ-
თლეს და ამასობაში დიკი და კოლისი განზე იცდიდნენ. ეზო-
ში გამავალ ფანჯარასთან ვილაცა კაცი იდგა, შემოტრიალდა
და ამათ ინგლისურად აუხსნა, რაღაც ბოზოქრობდა ის ხალ-
ხი მაშინ, როცა კოლისისა და კარაბინერების თანხლებით დიკ-
მა მთელი ეზო გადმოიარა. საქმე ის იყო, რომ იმ დღით ერთ
კაცს ასამართლებდნენ, წარმოშობით ფრასკატიდან, რომელ-
მაც ხუთი წლის გოგონაზე ძალა იხმარა და მერე მოკლა, და
როცა დიკი გამოატარეს, ის ეგონათ.

რამდენიმე წუთის მერე იურისტმა უთხრა დიკს, რომ თავი-
სუფალი იყო — სასამართლომ იგი საკმარისად დასჯილად ჩა-
თვალა.

„საკმარისად!“ დაიყვირა დიკმა. „რისთვის დასჯილად?“

„წავიდეთ“, უთხრა კოლისმა. „აქ აღარაფერი საქმე არა გაქვთ“.

„მაგრამ, მინდა ვიცოდე, რა დავაშავე. გარდა იმისა, რომ რამდენიმე ტაქსისტთან ვიჩხუბე?“

„ბრალდებაში ნათქვამია, რომ თქვენ პოლიციის აგენტთან მიხვედით, ვითომ იმისთვის, რათა ხელი ჩამოგერთმიათ და სახეში კი გაართყით...“

„მაგრამ ეს სიცრუეა! მე გავაფრთხილე, რომ უნდა გამე-
რტყა, ისიც არ ვიცოდი, რომ პოლიციის აგენტი იყო“.

- „ჯობია წახვიდეთ“. ურჩია იურისტმა.

„წავიდეთ“. კოლისმა მკლავში მოჰკიდა ხელი და კიბეს ჩაუყვანენ.

„მე მინდა სიტყვა წარმოვთქვა“, დაიყვირა დიკმა. „მე მინ-
და გავაგებინო ამ ხალხს, როგორ ვიხმარე ძალა ხუთი წლის
გოგონაზე, იქნებ მე მართლაც...“

„წავიდეთ“.

გარეთ ტაქსი იდგა, მანქანაში ბები ელოდა ექიმთან ერ-
თად. დიკს არ უნდოდა შეეხედა ბებისთვის და ექიმი კი არ
ძოეწონა — ძკაცრი მანერის — ასეთები ევროპაში ყველაზე
გაურკვეველი ტიპები — ლათინი მორალისტის ტიპები არიან.
დიკმა სცადა მომხდარის შეჯამება, მაგრამ არავინ შეეხმაურა,
სათქმელი ყველას ცოტა ჰქონდა. „კვირინალში“, თავის ოთახ-
ში ექიმმა ოფლი და შემხმარი სისხლი მოაშორა და მობანა,
კარგად გასინჯა, — დაზიანება სადა ჰქონდა, პატარა ჭრილო-
ბებს მიხედა და კარგი სალბუნიც დაადო თვალზე. დიკმა სთხო-
ვა, მორფის ტაბლეტის მეოთხედი მომეცითო, ნერვული აგზ-
ნება არ უცხრებოდა და ვერ დაიძინებდა. მორფი მიიღო და
დაიძინა; კოლისი და ექიმი წავიდნენ, ბები დარჩა და ინგლი-
სური სამკურნალოდან გამოძახებულ მომვლელ ქალს დაელო-
და. ძნელი ღამე გადაიტანა ბებიმ, მაგრამ კმაყოფილი იყო, რა-
დგან, რა კარგიც უნდა ყოფილიყო დიკი მანამდე, ამ ამბით
ახლა მორალურად აღმატებული იყვნენ მასზე, მანამდე, სანამ
დიკ დაივერი კიდევ რამეთი დასჭირდებოდათ.



წიგნი მესამე

I

ფრაუ კეტე გრეგოროვიუსი ქმარს თავიანთი ვილის ბილიკ-ზე დაეწია.

„ჰო, როგორ არის ნიკოლი?“ რბილად ჰკითხა, მაგრამ სულს ძლივს ითქვამდა და აშკარა იყო, სანამ მორბოდა, ეს კითხვა თავში უტრიალებდა.

ფრანცმა გაოცებით მოხედა.

„ნიკოლი ავად არ არის. რა მოხდა, რად მეკითხები, ჩემო კარგო?“

„შენ ისე ხშირად ნახულობ — ვიფიქრე, ავად უნდა იყოს-მეთქი“.

„ამაზე შინ ვილაპარაკოთ“.

კეტე მორჩილად დაეთანხმა. ფრანცს კაბინეტი კლინიკაში

ჰქონდა, სასტუმრო ოთახში კი აღმზრდელთან ერთად ბავშვები იყვნენ. ცოლ-ქმარი საძინებლისკენ გაემართა.

„მაპატიე, ფრანც“, დაასწრო კეტემ, სანამ ფრანცი ეტყოდა რამეს. „მაპატიე ძვირფასო, არ უნდა მეთქვა ასე, მე ვიცი ჩემი მოვალეობა და ვამაყოფ ამით. მაგრამ მინდა გითხრა, რომ მე და ნიკოლს არა გვაქვს კარგი ურთიერთობა“.

„პატარა ბუდეებში ჩიტები მშვიდობით ცხოვრობენ“, დაიქუხა ფრანცმა. მაგრამ მიხვდა, ტონი და აზრი ერთმანეთს არ ეხამებოდა და იმ თანაბარ, მკაფიო რიტმში გაიმეორა, რითაც თავისი ძველი მასწავლებელი, დოქტორი დომლერი ახერხებდა, რომ ყველაზე გაცვეთილი ბანალობაც კი მრავლისმეტყველი გაეხადა. „პატარა — ბუდეებში — ჩიტები — მშვიდობით — ცხოვრობენ!“

„მე ეგ მესმის. იმას ვერ იტყვი, თითქოს ნიკოლის მიმართ უყურადღებო ვიყო“.

„მე იმას გეტყვი, რომ საღი აზრი გლალატობს. ნიკოლი მხოლოდ ცოლი კი არ არის დიკისა — მისი პაციენტიც არის და შეიძლება ასეთადაც დარჩეს მთელი ცხოვრება. დიკის აქ არყოფნაში კი მე ვაგებ პასუხს“. ცოტათი ყოყმანობდა, ვიდრე ახალ ამბავს ეტყოდა კეტეს; ხანდახან ხუმრობით იცოდა ხოლმე ასე წვალება. „ამ დილით კაბლოგრამა მივიღე რომიდან. დიკი გრიპით ყოფილა ავად, ახლა კარგად არის და ხვალ მოემგზავრება“.

კეტეს გაუხარდა, ახლა მართლა დაწყნარებული ტონით განაგრძო ლაპარაკი.

„მე ვფიქრობ, ნიკოლი არც ისე ავად არის, როგორც ჰგონიათ — თვითონვე სწყალობს თავის ავადმყოფობას და თავისი ძალის იარაღად იყენებს. ეგ, შენი ნორმა ტოლმეჯივით, კინომსახიობი უნდა ყოფილიყო, ყველა ამერიკელი ქალის ოცნება და ბედნიერება კინოშია“.

„იქნება ფილმის ნორმა ტოლმეჯზე ეჭვიანობ?“

„არ მიყვარს ამერიკელები. ეგოისტები არიან, ეგოისტები!“

„დიკიც არ გიყვარს?“

„დიკი მიყვარს“, მიუგო კეტემ. „მაგრამ დიკი სულ სხვაა, დიკი სხვებზეც ფიქრობს“.

— ნორმა ტოლმეჯიც, — ფიქრში თქვა ფრანცმა. ნორმა ტოლმეჯი, მარტო ლამაზი კი არა, ალბათ კეთილი და ჭკვიანიც არის. ეგ არის მხოლოდ, სულელურ როლებს აძლევენ და ისიც თამაშობს, მეტი რა ქნას. ნორმა ტოლმეჯი ის ქალია, ვისი გაცნობაც პრივილეგია უნდა იყოს.

მაგრამ კეტეს უკვე დაავიწყდა ნორმა ტოლმეჯი, თუმცა მთელი გზა ერთხელ ლამის გული გადაეღია ფილმის მერე, ციურიხიდან რომ ბრუნდებოდნენ.

„დიკმა ფულისთვის შეირთო ნიკოლი“, თქვა კეტემ, „ცთუნებას ვერ გაუძლო — შენგან ვიცი, ერთ საღამოს გადაკვრით მითხარი“.

„ეს ღვარძლიანი ლაპარაკია“.

„კარგი, კარგი, არ უნდა მეთქვა“. დაიხია კეტემ. „შენი თქმისა არ იყოს, ჩვენ ყველამ ისე უნდა ვიცხოვროთ ერთად, როგორც ჩიტები ცხოვრობენ თავიანთ ბუდეში. მაგრამ ძალიან ძნელია, როცა ნიკოლი ისე იქცევა, თითქოს... — როცა ხედავ, რომ ნიკოლი ცდილობს განზე გადგეს, სუნთქვის შეკავებასაც კი ცდილობს თითქოს — გეგონება, რაღაცა სუნი ამდიოდეს!“

კეტე სიმართლეს შეეხო, ეს მოგონილი რამ არ იყო. მთელ საქმეს ლამის თვითონვე აკეთებდა და თანაც, ძნელად რომ თავის სამოსზე დაეხარჯა რამ. ყველა ამერიკელი ქალიშვილი, დღის ბოლოს, როცა შინ ბრუნდება მაღაზიიდან და თავის ორ წყვილ საცვალს საღამოობით რომ ირეცხავს, მაშინვე იგრძნობდა, კეტეს გუშინდელი ოფლის სუნი რომ ასდიოდა, ეს სუნიც კი არ იყო, არამედ რაღაც გამუდმებული შრომისა თუ ხრწნის, რაღაც ამიაკის მაგვარი რამ. ფრანცისთვის — მეტად ბუნებრივი, როგორც კეტეს თმის შედედებული, მსუყე სურნელი, ერთიც და მეორეც მის ცხოვრებაში აუცილებელი რამ გამხდარიყო და ვერც ერთს ვეღარ შეეღეოდა; მაგრამ ნიკოლს ბავშვობიდანვე გამძაფრებული ყნოსვა ჰქონდა, ძიძის თითების სუნს ვერ იტანდა ხოლმე როცა აცმევდა და ახლა შეურაცხყოფილიც იყო, რომ გასაძლებადა ჰქონდა საქმე.

„ბავშვებიც“, განაგრძო კეტემ. „ნიკოლს არ მოსწონს, იმისი ბავშვები ჩვენებთან როცა თამაშობენ“ — მაგრამ ფრანცს ეყო, აღარ უნდოდა რამის გაგება.

„ენას კბილი დააჭირე — არ გვარგებს ასეთი ლაპარაკი. ნიკოლის ფული რომ არა, კლინიკაც არ გვექნებოდა. წავიდეთ, ვისაუზმოთ“.

კეტე მიხვდა, რომ შეცდა და არ იყო ახლა გონივრული ეს აფეთქება, მაგრამ ფრანცის ბოლო შენიშვნამ მოაგონა, რომ ფული ამერიკელებს სხვებსაცა ჰქონდათ და ერთი კვირის მე-რე სხვა სიტყვებში ჩადო ნიკოლისადმი სიძულვილი.

ეს იმის მერე მოხდა, რაც დიკის ჩამოსვლის გამო გრეგო-როვიუსებმა დაივერები სადილად მიიწვიეს. სადილის მერე ბილიქსაც არ იყვნენ გაცდენილები, რომ კეტემ კარები მიხურა და ფრანცს უთხრა:

„ნახე, რა ჩაშავებული თვალები ჰქონდა დიკს? დებოშის კვალია!“

„მოიცა, ჩქარობ“, შეაჩერა ფრანცმა. „დიკმა თვითონ მია-მბო, როგორც კი ჩამოვიდა; ტრანს-ატლანტურ გემზე ჩაბმუ-ლა კრივში, ამერიკელმა მგზავრებმა ამ ტრანს-ატლანტურ რეისებზე იციან ხოლმე კრივში ჩაბმა“.

„გგონია დავიჯერე?“ დაცინვით თქვა კეტემ. „ერთი ხელი, ეტყობა სტკივა, როცა ხმარობს, საფეთქელთან კი ჯერაც არ შეხორცებია ნაიარევი, ის ადგილიც ეტყობა, სადაც თმა აუჭ-რიათ“.

ფრანცს არ შეუმჩნევია ეს დეტალები.

„როგორ გგონია“, არა ცხრებოდა კეტე. „კლინიკისთვის კარგია ასეთი რაღაცა? ამ საღამოსაც ვიგრძენი ღვინის სუნი, რაც დაბრუნდა, იმის მერე თითქმის სულ სვამს“.

ხმას დაუწია, რომ რის თქმასაც ახლა აპირებდა, აზრი კი-დევაც მიმატებოდა: „დიკზე უკვე ველარ იტყვი, რომ სერიო-ზული ექიმი“.

ფრანცმა მხრები შეარხია, გეგონება, კეტეს დაჟინებას იშორებსო, კიბეზე ანიშნა, ზევით ავიდეთო და იქ, საძინებელ-ში მიუტრიალდა.

„დიკი მართლა ყველაზე სერიოზული ექიმიც არის და ელ-ვარე ექიმიც, ამას წყალი არ გაუვა. იმათ შორის, ვინც ამ ბო-ლო ათ წელიწადში ნევროპათოლოგიაში დაიცვეს დისერტა-ცია ციურიხში, დიკი ყველაზე ელვარედ არის მიჩნეული — მე ჯერ სადა ვარ!“

„გრცხვენოდეს!“

„ეს სიმართლეა — რად უნდა მრცხვენოდეს. ძალიან რთული შემთხვევა თუა, ყოველთვის დიკისთვის მიმიმართავს და რჩევა მითხოვია. მაგისი გამოცემები დღემდე სანიმუშოდ ითვლება თავის სფეროში — მიდი, რომელ საბედიცინო ბიბლიოთეკაშიც გინდა იკითხე. სტუდენტების უმრავლესობას ჰგონია, რომ დიკი ინგლისელია — არა სჯერათ, რომ ასეთი საფუძვლიანი მეცნიერება ამერიკიდან მოდიოდეს“. მოურიდებლად დაამთქნარა და ბალიშქვეშიდან პიჯამა გამოიღო, „კეტე, ასე რად ლაპარაკობ — მე შეგონა, რომ გიყვარდა დიკი“.

„გრცხვენოდეს!“ თქვა კეტემ. „ექიმი შენა ხარ, მეცნიერი, და მთელ საქმესაც შენ აკეთებ. ეს კურდღლისა და კუს იგავსა ჰგავს — და მე თუ მკითხავ, კურდღელი უკვე მორჩა რბენას“.

„ჩუ! ჩუ!“

„კარგი, ოღონდ, იცოდე, მე მართალი ვარ“.

გაშლილი ხელი მოიქნია ფრანცმა და ჰაერი ჩააპო.

„გეყოფა!“

ამ ლაპარაკის ბოლოს ის იყო, თითქოს ერთმანეთს ორმა მოკამათემ თავისი აზრი გაუზიარა. კეტემ თავისთვის აღიარა, რომ დიკის მიმართ მკაცრი იყო და ძალიან მკაცრიც, დიკისა, რომელსაც აღმერთებდა და კრძალვაც კი ჰქონდა იმის მიმართ, ვისაც შეეძლო გაეგო მისთვის, კეტესთვის, და პატივსაც სცემდა. რაც შეეხება ფრანცს, რაკი ერთხელ შეუშვა თავში კეტეს აზრი, ფიქრობდა, დიკი სერიოზული მეცნიერი არც არასოდეს ყოფილაო და მერე კი, რაც დრო გადიოდა, თავისი თავი დააჯერა, რომ მანამდეც ასე ეგონა მუდამ.

II

დიკმა ნიკოლს შეცვლილი ვერსია უამბო იმისა, რაც რომში გადახდა — ამ ვერსიით მან ფილანთროპიული მოსაზრებით იჩხუბა, მთვრალ მეგობარს მივეშველეო. ბები უორენის იმედი ჰქონდა, იცოდა, ენას კბილს დააჭერდა, რადგან საკმაოდ კარგად დაანახვა, რა დამლუპველიც იქნებოდა ნიკოლისთვის მართლის შეტყობა. ეს ყველაფერი მაინც არაფრად ჩანდა იმ დალუპვასთან, რაც თვითონ მას, დიკს ებუქებოდა.

რეაქცია ის იყო, რომ ინტენსიურად, თავდაუზოგავად ჩაე-
ბა თავის მუშაობაში და ფრანცმა, რომელიც უკვე ფიქრობდა,
რომ დაშორებოდა დიკს, არ იცოდა უთანხმოება რით დაე-
წყო. არც ერთ მეგობრობას, თუკი ჭეშმარიტად მეგობრობა
ყოფილა იგი, არ მოღებია ერთ საათში ბოლო ისე, რომ მტკი-
ვნეული ხორცის გლეჯა არ მოჰყოლოდა, — ამიტომ ფრანცმა
თანდათანობით სცადა დაეჯერა, რომ დიკი ემოციურადაც და
ინტელექტუალურადაც სწრაფი ტემპით მიდიოდა და ეს სისწ-
რაფე ვერ უთავსდებოდა ფრანცის ტემპს და რიტმს — ადრე
მიაჩნდათ, რომ ეს კონტრასტი საქმეს კიდევაც ადგებოდა, მა-
გრამ ადრე — როგორც გიჭირდეს ისე გილხინდესო, — ახლა
უკვე სხვა საქმე იყო.

პირველი სოლის ჩარჭობის შემთხვევა კი მხოლოდ მაისში
მიეცა ფრანცს. იმ შუადღეს დიკი კაბინეტში შევიდა მასთან,
დაღლილი იყო, ფერწასული, კარებთან დაჯდა და უთხრა:

„ის ქალი აღარ არის“.

„მოკვდა?“

„გულმა უმტყუნა“.

გატანჯული იჯდა, სამი ღამე გაუთენა იმ ეგზემიან უცნობ
მხატვარ ქალს, ფორმალურად, იმისთვის, რომ ადრენალინი
გაეკეთებინა, მაგრამ სიყვარულით რჩებოდა მასთან, რომ
რაც შეიძლება დიდხანს სჭეროდა მბჟუტავი შუქი მოწოლილ
ბნელთან.

ფრანცმა თანამგრძნობის სახე მიიღო და მაშინვე გამოთ-
ქვა თავისი აზრი:

„მე ვფიქრობ, ნერვულ-სიფილისური გამონაყარი იყო
და ვერავითარი ვასერმანი აზრს ვერ შემიცვლის. ზურგის ტვი-
ნის სითხე...“

„რა მნიშვნელობა აქვს“, თქვა დიკმა. „ო, ღმერთო, რა
მნიშვნელობა აქვს! თუკი თვითონ უნდოდა, რომ არავის გაე-
გო და თავისი საიდუმლო თან ჩაეტანა, ყოფილიყო ასე“.

„კარგი იქნებოდა ერთი დღე მაინც დაგესვენათ“.

„დავისვენებ, ნუ ღელავთ“.

ესეც ასე, ფრანცმა ჩაასო სოლი; დეპეშა უნდა შეედგინა,
რომ გარდაცვლილის ძმისთვის გაეგზავნა, თავი ასწია და ჰკი-
თხა:

„იქნებ ლოზანაში წასულიყავით, ცოტა გაგველოთ?“
„ახლა არა“.

„გასართობად არა, საქმეა ლოზანაში, ერთი პაციენტის ნახვაა საჭირო. ჩილიდან არის — დღეს მთელი დღია ტელეფონით შელაპარაკა მამამისი...“

„რამხელა ძალა ჰქონდა“, თქვა დიკმა. „და რამდენ ხანს იტანჯებოდა“. ფრანცი თანაგრძნობით იქნევდა თავს და დიკი გამოერკვა. „მაპატიეთ, ფრანც, შეგაწყვეტინეთ“.

„კარგი იქნებოდა ცოტა ხნით გარემოც შეგეცვალათ. საქმე ის არის, რომ მამას არ შეუძლია დააჯეროს თავისი ვაჟი-შვილი აქ, კლინიკაში წამოვიდეს, და გვთხოვს, ლოზანაში ჩავიდეს ვინმე“.

„რა არის? ალკოჰოლიზმი? ჰომოსექსუალიზმი? რაკი საქმე ლოზანაში წასვლას ეხება...“

„ცოტა-ცოტა ყველაფერი“.

„კარგი, წავალ. ფული აქვთ?“

„კი, თანაც ბევრი, ორი-სამი დღე დარჩით და თუ მიიჩნევთ, რომ მეთვალყურეობა სჭირდება, აქ წამოიყვანეთ ბიჭი. მაგრამ ასე იქნება თუ ისე, არ იჩქაროთ, შეათავსეთ საქმე-სიამე“.

მატარებელში ორი საათი ეძინა დიკს, დაისვენა და სენიორ პარდო ი სიუდად რეალთან შესახვედრად უკვე კარგ ხასიათზე იყო.

იცოდა, რაც იქნებოდა ეს შეხვედრა. ოჯახის წევრის ისტერია ფსიქოლოგიურად თვითონ პაციენტის მდგომარეობასავით საინტერესოა ხოლმე ხშირად. ეს შემთხვევა გამონაკლისი როდი იყო. სენიორ პარდო ი სიუდად რეალი, ჭადაროსანი, ლამაზი ესპანელი, კეთილშობილური გარეგნობისა, სიმდიდრისა და ძალმოსილების აღჭურვილობით, „ოტელ დე ტრუა მონდის“ თავის აპარტამენტში, გახლებული აქეთ-იქით აწყდებოდა, დიკს ვაჟიშვილის ამბავს უყვებოდა და რაღა მთვრალი ქალი და რაღა ესა, თავს ვედარ იჭერდა.

„სხვა აღარაფერი შემიძლია, ჩემი ვაჟიშვილი უზნეოა, უზნეო იყო ჰაროუში, უზნეო იყო კემბრიჯის სამეფო კოლეჯში. გამოუსწორებელი უზნეოა. ახლა კი, ეს სიმთვრალეც რომ დაემატა, რაღას დაფარავ, და სკანდალი სკანდალზეა. გაუთა-

ვებლად. ყველაფერი ვცადე — ერთი ნაცნობი მყავს, ერთად დავსახეთ გეგმა და ფრანსისკოსთან ერთად გავგზავნე ესპანეთში სამოგზაუროდ. სალამობით იგი ფრანსისკოს კანტარდინს უშხაპუნებდა და მერე ორივე ერთად მიდიოდა რომელიმე წესიერ საროსკიპოში, ერთ კვირამდე ასე იყო და ამან თითქოს უშველა, მაგრამ ისევ დაიწყო ძველებურად. ბოლოს და ბოლოს თავი ველარ შევიკავე და წინა კვირას აქ, ამ ოთახში, უფრო ზუსტად იქ, სააბაზანოში...“ თითოთ კარზე მიუთითა, „ვაიძულე ფრანსისკო, წელამდე გაეხადა და მათრახით ავაჭრელე...“

თავისივე ემოციებით ღონემიხდილი, სავარძელში ჩაეშვა. ამის მერე დიკმა დაიწყო ლაპარაკი.

„ეს არ უნდა გექნათ — არც ის ესპანეთში წასვლა უშველიდა“. ძლივს იკავებდა თავს, რომ არ გადაეხარხარა — კარგი ვინმე კი იქნებოდა ის ექიმი, ასეთ დილეტანტურ ექსპერიმენტზე როგორ დათანხმდა. „—სენიორ, უნდა გითხრათ, რომ ასეთ შემთხვევებში ძნელია რაიმეს დაპირება, რაც შეეხება ალკოჰოლიზმს, ხშირად კარგ შედეგს ვაღწევთ ხოლმე — რაღა თქმა უნდა, თუ პაციენტიც მოგვეხმარება. მაგრამ ასე თუ ისე, ჯერ თქვენი ბიჭი უნდა ვნახო და იმისი ნდობა მოვიპოვო, და გავიგო, თუ თვითონ რას იტყვის თავის თავზე“.

ის ბიჭი, ვისთან ერთადაც ტერასაზე იჯდა, დაახლოებით ოცი წლისა იქნებოდა, ლამაზი, ცოცხალი სახე ჰქონდა.

„მე მინდა ვიცოდე, თქვენ რას ფიქრობთ“, თქვა დიკმა. „ხომ არ ამჩნევთ, რომ საქმე თანდათან უარესდება? გინდათ, რომ ყველაფერი შეიცვალოს?“

„დიახ, კარგი იქნებოდა“, მიუგო ფრანსისკომ. „მე ძალიან უბედური ვარ“.

„უფრო რის გამო, როგორ გგონიათ, იმის გამო, რომ ძალიან ბევრს სვამთ თუ უზნეობის გამო?“

„მე მგონია, მაგის გამო დავიწყე სმა“. აქამდე ბიჭი სერიოზულად ლაპარაკობდა, მაგრამ უცებ შეუკავებელი სიცილი წასკდა, „არა, იცით, არაფერი მეშველება; ჯერ კიდევ კემბრიჯში, სამეფო კოლეჯში „ჩილელ დედოფალს“ მეძახდნენ, ახლა კი, ესპანეთში წასვლის მერე ხომ, სულ ამ წასვლამ ქნა — ქალის დანახვაზე გული მერევა“.

დიკმა მკვახედ შეაწყვეტიხა.

„თუ თქვენ ეს მოგწონთ, მე ვერ გიშველით, და უბრალოდ ვკარგავთ დროს“.

„არა, კიდევ ვილაპარაკოთ, სხვებთან ლაპარაკი მეზიზღება“.

ბუნებისაგან რაღაც კაცური იყო ამ ბიჭში, რაც თითქოს ახლა მამისადმი აქტიურ ურჩობადღა გადაქცეოდა, მაგრამ თვალებში ჰქონდა ის ტიპური და ცბიერად ცეტი გამოხედვა, რითაც ყველა ჰომოსექსუალისტი ლაპარაკობს თავის თავზე.

„ეს საკუთარ თავთან დამალობანას თამაშსა ჰგავს“, უთხრა დიკმა. „თქვენი ცხოვრება ამაზე მიდის და აღარც დრო გრჩებათ და აღარც ძალა სხვა, ღირსეული და კარგი საქმისთვის. თუ გინდათ ქვეყანას თვალებში შეხედოთ, უნდა დაიოკოთ თქვენი მიდრეკილება და პირველ რიგში სმას დაანებეთ თავი, იმიტომ რომ ალკოჰოლი...“

დიკი მექანიკურად ლაპარაკობდა, რადგან ფიქრში, უკვე ათი წუთიც იქნებოდა, უარი თქვა ამ პაციენტზე. ტერასაზე კიდევ ერთ საათს მაინც კარგად ისაუბრეს, ფრანსისკოს სახლზე ჩილიში, იმის ამბიციებზე — მხოლოდ პროფესიული ინტერესით არ უსმენდა დიკი, ფრანსისკო მომხიბვლელი იყო და თავისი მომხიბვლელობა ეხმარებოდა დანაშაული ჩაედინა ზნეობაში, დიკისთვის კი მომხიბვლელობას თავისთავადი არსებობა ჰქონდა ყოველთვის, როგორც გინდა ყოფილიყო, გადარეული სიმამაცე იმ უბედურისა, ამ დილას რომ მოკვდა კლინიკაში თუ აღერილი გრაცია, რითაც ეს დაკარგული ბიჭი გაცვეთილ ამბებზე ლაპარაკობდა. დიკი ცდილობდა, ცხოვრება რაღაც პატარ-პატარა სეგმენტებად დაეყო, რათა შეენახა და გამოეზოგა — ესმოდა, რომ მთელ ცხოვრებას სულ სხვა სახე აქვს და სეგმენტებს კი სხვა ხასიათი, მაგრამ როცა კაცი ორმოცის ხდება, მხოლოდ ცალკე სეგმენტებში უფრო ჩანს იგი. სიყვარული ნიკოლისა და როზმერის მიმართ, მეგობრობა ეიბ ნორთთან, ტომი ბარბანთან, ომისშემდგომი ხანის გახლეჩილ სამყაროში — ასეთ კონტაქტებში პიროვნება ყოველთვის თითქოს მასში, დიკში გადადიოდა, ემატებოდა და თვითონ ხდებოდა — ან ყველაფერი უნდა მიეღო, ან არაფერი; და ახლა, ხვედრივით, ბოლომდე უნდა ეტარებინა თავის თავში

ყველას მეობა, ვისაც კი ადრე იცნობდა და ვინც კი ოდესმე ჰყვარებია, და ზოგორც ისინი იქნებოდნენ მთლიანობაში, თვითონაც ისე იქნებოდა და მხოლოდ ასე იარსებებდა. არ იყო ეს იოლი ხვედრი, მარტოობა ერია მასში, რა ადვილია, როცა უყვარხარ, როცა გიყვარს — გაუსაძლისი.

ფრანსისკოსთან ერთად ვერანდაზე რომ იჯდა, უცებ ვილაცის ჩრდილი ამოიწია წარსულიდან. მაღალი მამაკაცი უცნაური რწევით გამოსცდა ბუჩქებს და გაუბედავად მოუახლოვდა ამათ. წამით თითქოს ქარზე აშრიალებული პეიზაჟის რაღაც დეტალსა ჰგავდა ეს ფიგურა და დიკმა მაშინვე ვერ შეამჩნია. მაგრამ მერე ფეხზე წამოდგა და ჩამოართვა ხელი. „ღმერთო ჩემო, მე აქ მთელი ბუდე ავშალე!“ გაიფიქრა დიკმა და თავს ძალას ატანდა გაეხსენებინა მისი სახელი.

„დოქტორი დაივერი ბრძანდებით?“

„ღიახ — თქვენ მისტერ დამფრი?“

„როიალ დამფრი. ერთ საღამოს, იმ მშვენიერ ბაღში სადილზე ვიყავი თქვენთან“.

„რა თქმა უნდა მახსოვს“. მისტერ დამფრის ენთუზიაზმის განელება უნდოდა და დიკი მშრალ ქრონოლოგიაზე გადავიდა. „ეს იყო ათას ცხრაას ოცდაოთხ თუ ოცდახუთ...“

განზრახ არ ჯდებოდა, მაგრამ პირველი გამოჩენისას მეტად მორცხვი როიალ დამფრი ჯერ არ აპირებდა გუდა-ნაბადის აკვრას, ხმა დაიდაბლა და ინტიმურად დაელაპარაკა ფრანსისკოს, მაგრამ ამას, ეტყობა, რცხვენოდა მისი, და უნდოდა ისევ დიკთან გაება ლაპარაკი.

„დოქტორო დაივერ — ვიდრე წახვალთ, მინდა გითხრათ — რომ არ მავიწყდება ის საღამო თქვენთან, ბაღში, თქვენი მიღება, შესანიშნავი იყავით თქვენც და თქვენი მეუღლეც. ის საღამო ჩემთვის ერთ-ერთი საუკეთესო მოგონებაა ცხოვრებაში. ასეთ დახვეწილ ხალხს, ერთად თავმოყრილს, ძნელად თუ სადმე შევხვედრივარ“.

დიკი ნელ-ნელა, ცხრაფეხასავით იხევდა უკან ოტელის ყველაზე ახლო კარებისაკენ.

„მიხარია, რაკი ასეთი კარგი მოგონება დაგრჩათ. მე უნდა წავიდე, რომ ვნახო...“

„მე მესმის“, მაშინვე თანაგრძნობით მიუგო როიალ დამფრანკმა. „გავიგე, რომ კვდება“.

„ვინ კვდება?“

„იქნებ მე არ უნდა მეთქვა — მაგრამ ჩვენ ერთი ექიმი გვყავს“.

დიკი შეფიქრიანდა, გაკვირვებით შეაჩერდა. „ვისზე ლაპარაკობთ?“

თქვენი ცოლის მამა, რა თქმა უნდა — მე იქნებ...“

„ჩემი ვინ?“

„მე ვფიქრობ — როგორ, თქვენ მხოლოდ ჩემგან...“

„თქვენ იმის თქმა გინდათ, რომ ჩემი ცოლის მამა აქ, ლონდონშია?“

„მაგრამ, მე მეგონა, თქვენ იცოდით — მე მეგონა, თქვენ აქ ამისთვის ჩამოხვედით“.

„ვინ არის ის ექიმი, თქვენ რომ ახსენეთ?“

დიკმა ექიმის გვარი ჩაიწერა, ბოდიში მოიხადა და მაშინვე ტელეფონის ჯიხურისკენ წავიდა.

დოქტორ დანჟეს ახლავე შეეძლო დოქტორი დაივერი მიიღო სახლში.

ახალგაზრდა ჟენეველ დოქტორს ჯერ შეეშინდა, შეძლებულ პაციენტს დავკარგავო, მაგრამ დიკმა დაამშვიდა, ამის შიში ნუ გექნებათო და დოქტორმა დანჟემ უთხრა, რომ მისტერ უორენი მართლა კვდებოდა.

„მხოლოდ ორმოცდაათი წლისაა, მაგრამ ღვიძლის მძიმე დისტროფია აქვს, ამ პროცესის დაჩქარების მიზეზია მემთვრალეობა“.

„სხვა?“

„სითხის გარდა, ვერაფერს იღებს — ბევრი-ბევრი ერთ კვირას გაძლოს, უფრო კი — სამ დღეს“.

„მისს უორენმა, უფროსმა ქალიშვილმა, იცის მისი მდგომარეობა?“

„მისი საკუთარი ნების თანახმად, თავისი კამერდინერის გარდა არავინ იცის. მხოლოდ ამ დილას ვიგრძენი, რომ თვითონ მისთვისვე უნდა მეთქვა. ძალიან ადელდა, თავიდან კი, რელიგიურად შეეგუა თავის მძიმე მდგომარეობას“.

„ასე“ — ცოტა ფიქრის მერე თქვა დიკმა. „ასე თუ ისე,

ჯერჯერობით ჩემზე უნდა ავილო ეს ამბავი. მაგრამ, მე მგონია, ოჯახი კონსილიუმს მოინდომებდა“.

„როგორც გნებავთ“.

„მათი სახელით გთხოვთ დაუკავშირდეთ ტბის მხარის ყველაზე დიდ ავტორიტეტს მედიცინაში — დოქტორ ჰერბრიუგეს შეხვედრას“.

„მეც ვფიქრობდი ჰერბრიუგეზე“.

„საღამოძღვე აქ ვრჩები და შეგეხმარებით“.

იმ საღამოს დიკი სენიორ პარდო ი სიუდად რეალთან წავიდა და ილაპარაკეს.

„ჩილიში თვალუწვდენელი მამულები გვაქვს — თქვა მოხუცმა. „მე შემედლო ფრანსისკოსთვის მიმენდო იქაურობის გაძლოლა, ან შეედლო პარიზის ათობით საქმიანი წამოწყებიდან ერთ-ერთის მოთავე ყოფილიყო...“ წუხილით გაიქნია თავი, წინ და უკან დადიოდა იმ ფანჯარასთან, რომლის, იქით მხაპუნა წვიმა მოდიოდა, გაზაფხულის, და ისეთი ხალისიანი, რომ გედებიც კი საფარქვეშ არ შემალულიყვნენ. „ჩემი ერთადერთი ვაჟი! რატომ არ შეგიძლიათ წაიყვანოთ თქვენთან, კლინიკაში?“

ესპანელი უცებ ფეხებში ჩაუვარდა დიკს. „არ შეგიძლიათ მოარჩინოთ ჩემი ვაჟი? მე მჯერა თქვენი — თქვენ შეგიძლიათ წაიყვანოთ კლინიკაში, მოარჩინეთ იგი“.

„იმ შიზეზით, რაც თქვენ ახლა თქვით, არ შეიძლება, ვინც გინდა იყოს, თავს მოახვიოთ იძულებითი მკურნალობა, მე ამას არ ვიზამდი, თუნდაც შემედლოს“.

ესპანელი წამოდგა.

„ავღელდი — ამ ამბავმა მაიძულა...“

ვესტიბიულში ჩასული დიკი დოქტორ დანყეს შეეჯახა.

„ეს-ეს არის ვაპირებდი თქვენთან დარეკვას“, უთხრა მან, „იქნებ ტერასაზე გავიდეთ და ვილაპარაკოთ?“

„მისტერ უორენი გარდაიცვალა?“ — იკითხა დიკმა.

„არა, ჯერ ყველაფერი ისევ ისეა. კონსილიუმი ხვალ დილით შედგება. მაგრამ ძალიან უნდა თავისი ქალიშვილის — თქვენი ცოლის ნახვა — მე მგონია, რაღაც უთანხმოება ყოფილა...“

„მე ყველაფერი ვიცი“.

ორივე ექიმი ერთმანეთს უყურებდა, ფიქრობდნენ.

„იქნებ თქვენ თვითონ გენახათ იგი, ვიდრე რამეს მოიფიქრებდეთ?“ შესთავაზა დოქტორმა დანქემ. „ძნელი სიკვდილით არ გათავდება, მხოლოდ დასუსტდება და მშვიდად ჩაიძირება“.

დიკს გაუჭირდა დათანხმება.

„ღიახ, ვნახავ“.

აპარტამენტი, სადაც ძნელი სიკვდილით არ თავდებოდა დევრე უორენი, ისეთივე იყო, როგორც სენიორ პარდო ი სიუდად რეალისა — ამ ოტელში ბევრი იყო ასეთი პალატები, სადაც დაუძღვრებული მდიდრები და სამსჯავროს გამოქცეულები, ანექსირებული სამთავროების ტახტის პრეტენდენტები, ოპიუმისა თუ ბარბიტოლის პრეპარატებით ცხოვრობდნენ და მოუშორებელ რადიოსავით, გამუდმებით ისმენდნენ ძველი ცოდვების ტლანქ მელოდებს. ევროპის ამ კუთხეში იმდენად წარმტაცი ბუნებისთვის კი არ მოდიან, უფრო იმიტომ, რომ უხერხულ კითხვებს ერიდებიან. აქ ორი გზა ჯვარედინდება — იმათი, ვინც კერძო სანატორიუმებსა თუ მთაში ტუბერკულოზის აგარაკებზე იტანჯებიან და იმათი, ვინც უკვე პერსონა გრატა აღარ არის საფრანგეთსა თუ იტალიაში.

პალატა ჩაებნელებინათ. მონაზონი წმინდანის სახით უვლიდა კაცს, მისტერ უორენს, თეთრ ზეწარზე ეგდო მისი კრიალოსანი და გამხდარი თითებით მარცვლავდა მას. იგი ისევ ლამაზი იყო და როცა ოთახიდან დანქეს გასვლის მერე დიკს დაელაპარაკა, ხმაშიც კი თითქოს ძველი დღეების ჩახშობილი გამოძახილი შერეოდა.

„ცხოვრების ბოლოს ბევრ რაღაცას ვიგებთ, დოქტორო დაივერ. მხოლოდ ახლა გავიგე ის, რაც ადრე უნდა მცოდნოდა“.

დიკი იცდიდა.

„მე ცუდი კაცი ვიყავი. თქვენ იცით, რომ ნიკოლის კვლავ ნახვეს მხოლოდ ძალიან მცირე უფლება მაქვს, მაგრამ ის, ვინც ძალა დგას ჩემზეც და თქვენზეც, შიტევებასა და შებრალებას გვასწავლის ყველას“. თითებიდან კრიალოსანი გაუცურდა, ატლასზე ჩასრიალდა და დიკმა აიღო, მიაწოდა. „მე რომ

ნიკოლის ნახვა შემეძლოს, თუნდ ათი წუთით, ბედნიერი წავიდოდი ამ ქვეყნიდან“.

„ამას მე თვითონ ვერ გადავწყვეტ“, თქვა დიკმა. „ნიკოლი არც ისე ძლიერია“. დიკს უკვე მოეფიქრებინა და გადაეწყვიტა კიდევაც, მაგრამ თავს ისე იჭერდა, თითქოს ეეჭვება და ყოყმანობსო. „ჩემს კოლეგას უნდა ველაპარაკო კლინიკაში“.

„რას იზამთ, დოქტორო — როგორც თქვენი კოლეგა იტყვის. ნება მიბოძეთ გითხრათ, თუ რა მოვალე ვარ თქვენი...“

დიკი სწრაფად წამოდგა.

„დოქტორ დანჯესგან შეიტყობთ პასუხს“.

თავის ოთახში დაბრუნდა თუ არა, მოითხოვა ცუგის ტბაზე, კლინიკასთან დაეკავშირებინათ. კარგა ხნის ლოდინის მერე კეტემ შინიდან უპასუხა.

„ფრანცს მინდა დაველაპარაკო“.

„ფრანცი ზევით, მთაშია, ახლა მე თვითონ მივდივარ იქ, რამე უნდა გადავცე, დიკ?“

„საქმე ნიკოლს ეხება — მამამისი ლოზანაშია, კვდება. უთხარით ფრანცს, იცოდეს, რომ სასწრაფო საქმეა; სთხოვეთ იქიდან დამირეკოს“.

„დიახ“.

„უთხარით, რომ სამიდან ხუთამდე და შვიდიდან რვამდე ოტელში ვიქნები, ჩემს ოთახში, მერე შეუძლია რესტორანში მიკითხოს“.

ამ საათებზე ლაპარაკის გამო დაავიწყდა გაეფრთხილებინა კეტე, რომ ნიკოლისთვის არ უნდა ეთქვა. უცებ გაახსენდა და გათიშეს კიდევაც. ალბათ თვითონვე მოიფიქრებდა კეტე და ნიკოლს არ ეტყოდა.

...სანამ პატარა ორთქლმავალით მთა-უდაბურში, მინდვრის ყვავილებისა და უეცარი ქარების გორაკისაკენ მიდიოდა, კეტეს არც უფიქრია იმაზე, ეთქვა თუ არა ნიკოლისთვის, რომ დიკმა დარეკა. აქ ბაზა ჰქონდათ, სადაც ზამთარში პაციენტები სათხილამუროდ მიჰყავდათ და გაზაფხულზე კი ისინი მთაზეც აღიოდნენ. მატარებლიდან ჩამოვიდა თუ არა, მაშინვე დაინახა ნიკოლი, თავის ბავშვებს მწყემსავდა, რაღაცას თამაშობდნენ, ერთი ამბავი ჰქონდათ და აშოშმინებდა. კეტე მივიდა, მხარზე ნაზად დაადო ხელი და უთხრა:

„თქვენ ისე კარგად აგვარებთ ბავშვებთან ყველაფერს, ამ ჭაფხულს ცურვა უნდა ასწავლოთ მათ“.

თამაშში ისე იყვნენ გართულები, ნიკოლმა უცებ უნებურად გაიქნია მხარი და გამოვიდა, რომ უხეშად მოიშორა კეტე. კეტეს უხერხულად ჩამოუვარდა ხელი და მაშინვე გადაუხადა და სიტყვებით მწარედ.

„ხომ არ გეგონათ, გეხვეოდით?“ ავად და უკმეხად მიახალა. „უბრალოდ, დიკის გაძო, ტელეფონით ველაპარაკე და შემეცოდა...“

„დიკს რამე დაემართა?“

კეტე უცებ მიხვდა თავის შეცდომას, მაგრამ გვიანდა იყო, უტაქტოდ მოიქცა და ნიკოლის დაყინებულ კითხვებზე: „...მაშ რად თქვით, რომ დიკი შეგეცოდათ?“ უნდა ეპასუხა.

„დიკს არაფერი, მე ფრანცი უნდა ვნახო“.

„არა, დიკს რაღაც მოუვიდა“.

ნიკოლს სახეზე საშინელება ეწერა და დაივერების ბავშვებსაც შეძრწუნებული სახეები ჰქონდათ, იქვე იდგნენ და ყველაფერი ესძოდათ. კეტემ ველარ გაუძლო და ამოთქვა:

„მამათქვენი ავად არის, ლოზანაშია და დიკს უნდა ფრანცს ამაზე ელაპარაკოს“.

„ძალიან ავად არის?“ ჩაეკითხა ნიკოლი — სწორედ ამ დროს მოვიდა ფრანციც, თავისი თბილი იერით, როგორც პაციენტებთან იყო ხოლმე და გახარებულმა კეტემ მთელი სიმძიმე მოიშორა — მაგრამ რაც დააშავა, იმას ველარას უშველიდა.

„მე ლოზანაში მივდივარ“, გადაჭრით თქვა ნიკოლმა.

„ერთი წუთით“, უთხრა ფრანცმა, „არ გირჩევთ, არ არის საჭირო, კარგია, ჯერ დიკს ველაპარაკო ტელეფონით“.

„მაგრამ მერე აქაურ მატარებელზე დამაგვიანდება“, არ დაეთანხმა ნიკოლი, „და ველარ მივასწრებ ციურიხის სამი საათის მატარებელს. თუ მამაჩემი კვდება, მე უნდა...“ აღარ დაამთავრა, შეეშინდა ხმამაღლა ეთქვა. „მე უნდა წავიდეთ. თუ არ გავიქეცი, მატარებელზე დამაგვიანდება“. მართლა მირბოდა უკვე, თან ლაპარაკობდა და თან მირბოდა იქითკენ, სადაც ჰატარა ორთქლმავალი თეთრი ორთქლის გვირგვინს ადგამდა შიშველ ფერდობს და ქშენით იძვროდა. ერთხელაც მო-

იხედა და ფრანცს დაუძახა, „დიკს თუ დაელაპარაკებით ტელეფონით, უთხარით, რომ მივდივარ, ფრანც!“

...დიკი თავის ოთახში იჯდა და „ნიუ-იორკ ჰერალდს“ კითხულობდა, როცა უცებ ოთახში მერცხალივით შემოიჭრა მონაზონი. ტელეფონმაც, ის იყო, დარეკა.

„გარდაიცვალა?“ იმედით ჰკითხა მონაზონს დიკმა.

„მესიე, იგი გაქრა!“

„რა?“

„იგი გაქრა“ — მისი კამერდინერიც გაქრა და ბარგიც, წარმოუდგენელი იყო. ასეთ მდგომარეობაში მყოფი კაცი ამდგარიყო და წასულიყო!

დიკი ტელეფონს მისწვდა, ფრანცი რეკავდა. „მაგრამ ნიკოლისთვის არ უნდა გეთქვათ!“ ჩასძახა დიკმა.

„კეტემ უთხრა, ვერ მოიფიქრა და უთხრა.“

„ჩემი ბრალია, რა თქმა უნდა. ქალს არაფერი არ უნდა უთხრა თავის დრომდე. კარგი, რაც არის, არის, ვაგზალზე დავხვდები ნიკოლს... ფრანც, აქ გასაგებებელი ამბავი მოხდა... ეს კაცი ადგა და წავიდა...“

„რა ავიდა? ვერ გავიგე, რა თქვით.“

„წავიდა-მეთქი, უორენი — წა-ვი-და!“

„მერე რა მოხდა?“

„უკვე თითქმის კვდებოდა, კოლაფსისგან... ადგა და წავიდა, ალბათ ჩიკაგოში, მე ასე მგონია... არ ვიცი, მომვლელმა ქალმა მოირბინა, აქ არის ახლა... არ ვიცი, ფრანც — მეც ეს არის გავიგე ეს ამბავი... მოგვიანებით დამირეკეთ“.

თითქმის ორი საათი დაკარგა დიკმა უორენის კვალის ძებნაში, პაციენტმა, ეტყობა ისარგებლა პაუზით, როცა დღისა და ღამის მორიგე მომვლელ ქალს ერთმანეთი უნდა შეეცვალათ, ბარში ჩავიდა და სწრაფად გადაკრა ოთხი ვისკი, ოტელისთვის ათასდოლარიანი ბანკნოტით გადაიხადა, დაიბარა, ხურდა გადაეგზავნათ მისთვის და გაემგზავრა — ალბათ ამერიკაში. დანუესთან ერთად ამოდ სცადა დიკმა ვაგზალში დასწეოდა და ამასობაში ნიკოლსაც ასცდა. ერთმანეთს ოტელის ვესტიბიულში შეხვდნენ, ნიკოლი დაღლილი ჩანდა და მისი მაგრად მოკუმული ბაგის დანახვაზე დიკს გული ჩაუვარდა:

„როგორ არის მამა?“ იკითხა მან.

„უკეთესად. ეტყობა მაინც ძალა ჰქონდა“. დიკი ყოყმანობდა, უცებ ვერ უთხრა. „ფაქტი ის არის, რომ ადგა და წავიდა“.

დალევა მოუნდა, აქეთ-იქით სირბილში სადილის დროც აღარ იყო. გაოცებული ნიკოლი ბარში შეიყვანა, კოქტეილი და ლუდი შეუკვეთა და ტყავის სავარძლებში ჩასხდნენ.

„ის კაცი, მას რომ მკურნალობდა, შეიძლება შეცდა პროგნოზში და ალბათ დიაგნოზშიც — მოიცა ერთ წუთს, დრო აღარ მქონდა ამაზე კარგად რომ მეფიქრა“.

„ისე რომ, წავიდა?“

„პარიზის სალამოს მატარებელს მიუსწრო“.

ორთავე გაჩუმდა. უსაზღვრო, ტრაგიკული აპათია მოდიოდა ნიკოლისაგან.

„ეს ინსტინქტია“, თქვა ბოლოს დიკმა. „მართლა კვდებოდა, პაგრამ ძალა მოიკრიბა და თავისი ადრინდელი რიტმი აღიდგინა — მედიცინისთვის უცხო არ არის ასეთი შემთხვევები — ძველი საათივით — ხომ იცი, ერთი გაქანება და ისევ ისე ამუშავდება. მამაშენიც...“

„არ გინდა“, თქვა ნიკოლმა.

„მისი ძირითადი საწვავი ყოველთვის შიში იყო, შეეშინდა და ამან შემატა ძალა. ალბათ ოთხმოცდაათ წლამდე იცოცხლებს...“

„თუ შეიძლება, არ არის საჭირო“. თქვა ნიკოლმა. „თუ შეიძლება, — მეტის ატანა არ შემიძლია“.

„კარგი. ის ბიჭი, ვისი გულისთვისაც აქ ჩამოვედი, უიმედოა. ისე რომ, ხვალვე შეგვიძლია აქედან წასვლა“.

„არ მესმის რად — რისთვის გჭირდება ეს ყველაფერი“, აღმოხდა ნიკოლს.

„ო, არ მესმის? ზოგჯერ მეც არ მესმის“.

ნიკოლმა ხელი დაადო ხელზე.

„ო, მაპატიე, დიკ, არ უნდა შეთქვა“.

ვიღაცამ ბარში პატეფონი შემოიტანა, ისხდნენ და „დახატული თოჯინის ქორწილს“ უსმენდნენ.

ერთი კვირის მერე, დილით ადრე წერილებისთვის კანტორაში შესულმა დიკმა რაღაც ხმაური გაიგონა: პაციენტი ფონ კონ მორისი კლინიკას ტოვებდა. მისი მშობლები, ავსტრალიელები, ბარგს ბრაზმორეულები ყრიდნენ დიდ ლიმუზინში, იქვე იყო დოქტორი ლადისლაუ და უფროსი მორისის აგზნებულ ქესტიკულაციაზე უმწეოდ შლიდა ხელებს. თვითონ ახალგაზრდა მორისი, როცა მათ დოქტორი დაივერი მიუახლოვდა, განზე იდგა და მთელ ამ ამბავს ცინიკური იერით უყურებდა.

„რა აჩქარებაა, მისტერ მორის?“

მისტერ მორისი შეკრთა, დიკის დანახვაზე მისი ლაჟღახა სახე და კოსტიუმის მსხვილი ხაზები ელექტრონის შუქივით ერთბაშად ჩაქრა და მერე ისევ აინთო. დიკისკენ ისე წამოვიდა, საცაა უნდა გაარტყასო.

„კიდევაც გვიან მივდივართ, ადრე უნდა წავსულიყავით, და ისინიც, ვინც ჩვენთან ერთად მოვიდნენ თქვენთან“, დაიწყო და შეჩერდა, რომ სული მოეთქვა, „ადრე უნდა წავსულიყავით, დოქტორო დაივერ, უფრო ადრე“.

„იქნებ ჩემთან, კაბინეტში გველაპარაკა“, შესთავაზა დიკმა.

„არა! ლაპარაკით ვილაპარაკებთ, მაგრამ მე ჩემდათავად არც თქვენთან და არც ამ კლინიკასთან აღარაფერი საქმე არა მაქვს, მე ხელები დამიბანია“. თითს უქნევდა დიკს. „ამ დოქტორს მე ასეც ვუთხარი. ტყუილუბრალოდ დავკარგეთ ფულიც და დროც“.

სლაგმა დოქტორმა ლადისლაუმ თავისი ორჭოფულობით რაღაც უღონო, ვითომ პროტესტი გამოხატა. დიკს არ უყვარდა ლადისლაუ. აღელვებული ავსტრალიელი როგორღაც ბილიკზე გადაიყვანა და ისევ შესთავაზა კაბინეტში ელაპარაკათ. ავსტრალიელმა თავი გაიქნია.

„ეს თქვენ, თქვენ გეხებათ დოქტორო დაივერ, სწორედ თქვენ, სხვას არავის. დოქტორ ლადისლაუს იმიტომ მივმართე, რომ თქვენ ვერა გნახეთ, დოქტორო დაივერ; დოქტორი გრეგოროვიუსი კი საღამომდე არ დაბრუნდება, საღამომდე კი ვერ მოვიცდი, არა სერ! ერთ წუთსაც კი ვერ მოვიცდიდი ამის მერე, ჩემმა ვაჟიშვილმა ყველაფერი მითხრა“.

მუქარით მიუახლოვდა და დიკს ხელი უკვე მზადა ჰქონდა, რომ თუკი საჭირო იქნებოდა, დაეგდო კიდეც.

„ჩემი ვაჟიშვილი აქ იმისათვის მოვიყვანე, რომ ალკოჰოლიზმისაგან მომერჩინა, მან კი მითხრა, რომ თვითონვე აგდით ღვინის სუნი. დიახ, სერ!“ სწრაფად უნდოდა შეესუნთქა, მაგრამ არ გამოუვიდა. „თანაც, ერთხელ კი არა, ორჯერ შეგამჩნიათ ფონ კონმა, რომ ღვინის სუნი აგდიოდათ. არც ჩემს მეუღლეს და არც მე მაგარი სასმელი ერთი წვეთიც კი არ ჩავვიშვია პირში, არასოდეს. ჩაგაბარეთ ფონ კონი, რომ მოგერჩინათ, მან კი ერთ თვეში ორჯერ იგრძნო, რომ ღვინის სუნი აგდიოდათ. მითხარით, რა მკურნალობაზე შეიძლება იყოს აქ ლაპარაკი?“

დიკი ყოყმანობდა; მისტერ მორისს ზედ კლინიკის ჭიშკართანაც შეეძლო სცენა გაემართა.

„ბოლოს და ბოლოს, მისტერ მორის, ხომ არ შეიძლება ზოგიერთებმა, ვინც გინდა იყოს, უარი თქვან იმაზე, რაც საზრდოს ეხება, მხოლოდ იმისთვის, რომ თქვენი ვაჟიშვილი...“

„მაგრამ, თქვენ ექიმი ხართ, კაცო!“ გაცოფებულმა დაიყვირა მორისმა. „როცა მუშა ლუდს ეძალება, რაც უნდა ის ქნას, თავი ჩაიხრჩოს თუკი უნდა — მაგრამ თქვენ ხომ იმისთვის ხართ აქ, რომ სხვები მოარჩინოთ...“

„ეს მეტისმეტია. თქვენი ვაჟი ჩვენთან იმიტომ მოვიყვანეთ, რომ კლექტომანია სჭირს...“

„მერე, რისგან?“ უკვე მთელი ხმით ყვიროდა. „შავი სმისგან. იცით თუ არა რა ფერია შავი? შავია! ბიძაჩემი ამ სმის გულისთვის ჩამოკიდეს, გაიგეთ? ჩემი ვაჟიშვილი სანატორიუმში მიმყავს და იქ კი თურმე თვითონ ექიმი ილეწება!“

„მე უნდა გთხოვოთ, რომ დატოვოთ აქაურობა“.

„მთხოვოთ! თვითონ მივდივართ, თვითონ!“

„თქვენ რომ ცოტა მოთმინება გქონდეთ, გეტყოდით, რასაც მივალწიეთ ამ ხნის მანძილზე. ამ ვითარების მერე კი, ბუნებრივია, თქვენი ვაჟიშვილის, როგორც პაციენტის აქ დარჩენა აღარ იქნება...“

„თქვენ ბედავთ და მე მელაპარაკებით მოთმენაზე!“

დიკმა დოქტორ ლადისლაუს მიუხმო და როცა იგი მიუახლოვდა, უთხრა:

„კეთილი ინებეთ და ჩვენი სახელით პაციენტსა და შიშოჯახს მშვიდობით მგზავრობა უსურვეთ“.

ოდნავ თავი დაუხარა მორისს, კაბინეტში შევიდა და წამით მიხურულ კარებთან იდგა გამეხებული, მანამდე, სანამ ხეპრე მშობლები და იმათი უსუსური, დეგენერატი ნაშიერი ადგილიდან დაიძვრებოდნენ. წინასწარ უკვე კარგად ხედავდა, როგორც მოივლიდა ეს ოჯახი მთელ ევროპას და თავიანთი დახშული გონებითა და ფულით დააფრთხობდა წესიერ ხალხს, მაგრამ ამ ქარავნის წასვლის ხმაური მიწყდა თუ არა, მერეღა გაჩნდა ფიქრი იმაზე თუ რა ბრალი ჰქონდა მთელ ამ ამბავში. სადილზეც და ვახშამზეც დიკი კლარეტს, წითელ ღვინოს სვამდა, დღის ბოლოს ცხელ რომს, ხანდახან შუადღითაც გადაკრავდა ჯინს — ჯინი თითქმის არ ტოვებს სუნს, ძალიან ძნელად თუ შეატყობ. ერთი სიტყვით, დღეში ნახევარ-პინტი ალკოჰოლი გაძოდრიოდა — თავისი სისტემისთვის ძალიან ბევრია, გადაწვაც შეიძლება.

თავის მართლებას შეეშვა, მაგიდას მიუჯდა და რალაც რეჟიმი შეადგინა თავის თავისთვის. ამ რეჟიმით ალკოჰოლი ერთიორად მცირდებოდა. ექიმები, შოფრები და პროტესტანტი მღვდლები მაგარ სასმელს არ უნდა გაეკარონ, მხატვრების, მაკლერებისა და კავალერიის ოფიცრების საქმე სხვა არის; თავის თავს დიკი იმას აბრალებდა, რომ არ გაფრთხილდა. მაგრამ ამბავი ჯერ კიდევ არ იყო გათავებული; ეს ცოტა ხნის მერე გაირკვა, როცა ორი კვირით ალპებში მყოფი ფრანცი მოვიდა და ხალისით სავსე, მუშაობასაც, ეტყობა ისე დანატრულდა, რომ კაბინეტში შესვლამდეც კი ჩაიძირა თავის საქმეში. დიკი იქ, კარებთან შეხვდა ფრანცს.

„როგორ არის ევერესტი?“

„ხუმრობა იქით იყოს და ისეთი ტემპით მივდიოდით, ევერესტზე ასვლასაც კი მოვახერხებდით. ამაზედაც ვიფიქრეთ უკვე. აქ საქმე როგორ მიდის? როგორ არის ჩემი კეტე, როგორ არის თქვენი ნიკოლი?“

„შინ ყველაფერი რიგზეა, თქვენთანაც და ჩემთანაც. მაგრამ, ღმერთო ჩემო, ფრანც, კლინიკაში ერთი ოხერი ამბავი მოხდა დღეს, ამ დღით“.

„როგორ, რა იყო?“

ფრანცი უკვე ტელეფონს მისწვდა, რომ კეტესთვის თავი-
ანთ ვილაში დაერეკა და ვიდრე ოჯახურ ამბებზე ლაპარაკს
მოათავებდნენ, დიკი ოთახში ბოლთასა სცემდა. მერე უთხრა:
„მორისებმა ბიჭი წაიყვანეს — ერთი სკანდალი იყო“.

„ვიცი, რომ უკვე წაიყვანეს, ლადისლაუ შემხვდა ვერან-
დაზე“.

„რა გითხრათ ლადისლაუმ?“

„ახალგაზრდა მორისი რომ წავიდა და მთელ ამბავს თქვენ
მეტყობდი. მიაშბეთ რა მოხდა“.

„ის, რაც ასეთ დროს ხდება ხოლმე. თავსა და ბოლოს რომ
ვერ გაუგებ“.

„გატიალებული ვილაც კი იყო ის ბიჭი“.

„მეტი რომ აღარ შეიძლება“, დაეთანხმა დიკი, „მაგრამ
სანამ მე მივდიოდი, მამამისი კოლონიზატორივით მიადგა ამ
ლადისლაუს. ფრანც, ლადისლაუზე რა აზრისა ხართ? ღირს
იმის აქ გაჩერება? მე ვფიქრობ, არ ღირს — ვერ გაიგებ ეს
რა კაცია, თავს ხომ ვერაფერს ვერ მოაბამს“. მართლის თქმის
მიჯნასთან შედგა. სივრცე და რაღაც დრო სჭირდებოდა მანე-
ვრისთვის და შეიცადა. ფრანცი საგზაო ხელთათმანებითა და
ტილოს სამტვრეთი, ეგრევე ჩამოჯდა მაგიდის კიდეზე. დიკმა
დაიწყო:

„ეს მორისი მამამისთან ბევრ რაღაცას მიედ-მოედო და
ერთი ის იყო, რომ თქვენი სახელოვანი კომპანიონი ლოთად
დაუხატა. მამამისი ფანატიკოსია და ფხიზლებზე გიჟდება.
იმისმა შთამომავალმა კი ვითომდა აქაური ღვინის კვალი აი-
ლო ჩემში“.

ფრანცი დაჯდა, ქვედა ტუჩი წინ გამოსწია და ზედ დაიხე-
და.

„შეგიძლიათ მერე მიაშბოთ, რაც კი იყო“. თქვა ბოლოს.

„ახლა გაიშბობთ, რად გადავდოთ?“ მიუგო დიკმა. „თქვენ
თვითონ იცით, რომ მაგარ სასმელებს მე ისედაც არ ვეძალე-
ბი“, ელვის უმალ გაუყარეს თვალი თვალში, ორთავემ ერთად.
„ამ ლადისლაუს გამო კი იმ კაცმა ისე აიშვა თავი, რომ დაც-
ვაზედა უნდა შეფიქრა. ხომ შეიძლება პაციენტები გამოსუ-
ლიყვნენ და იმათ ენახათ ეს ამბავი, როგორია, ასეთ სიტუა-
ციაში თავის დაცვა“.

ფრანცმა ხელთათმანები წაიძრო და სამტვრე მოიხსნა. შერე კარებთან მივიდა, მდივანს უთხრა: „არავინ შემოვიდესო“ და ოთახში შესული ისევ თავის გრძელ მაგიდას მიუახლოვდა. წერილებს არჩევდა, მაგრამ ცითომ არჩევდა, იმ ხალხით, ნილაბი რომ სჭირდებოდათ ხოლმე, რათა იოლად თქვან, რაც სათქმელად ძნელია მათთვის.

„დიკ, მე თქვენ გიცნობთ როგორც თავდაოკებულსა და მეტად ღინჯ კაცს, სხვა ამბავია ის, რომ ალბათ ერთნაირი აზრი არა გვაქვს ალკოჰოლზე, მაგრამ ახლა დადგა დრო — დიკ, გულწრფელად გეტყვით, რამდენჯერმე შევაძინე, რომ შეუფერებელ მომენტშიც კი დაგიღევიათ და ესეც არის ერთი მიზეზი, იქნებ სცადოთ, იქნებ ერთხელაც ცოტა ხნით წასვლა საჭიროა?“

„სულაც წასვლა“, უნებლიეთ თქვა დიკმა. „ცოტა ხნით წასვლა არაფერს შეცვლის“.

ორივეს ბრაზი ერეოდა, ფრანცს — დაბრუნების სიხარულის ჩახშობისა და ჩაშხამებისთვის.

„ზოგჯერ თქვენ კარგავთ საღ აზრს, დიკ“.

„ვერასოდეს ვერ ვიგებდი რას ნიშნავდა საღი აზრი რთულ შემთხვევებში — თუ არა იმას, რომ ზოგადი პროფილის ექიმს შეუძლია ოპერაციის გაკეთება და ქირურგ-სპეციალისტზე უფრო კარგადაც“.

დიკი უცებ აუტანელმა ზიზღმა მოიცვა იმის მიმართ, რაცა ხდებოდა. ახსნა, რაღაცის გამთელება — ამ ასაკიდან უკვე ორივე გამოვიდა — ისევ ძველი ჭეშმარიტების გაბზარული ხმის ექო იყოს, ასე ჯობია.

„ერთი გზა უკვე აღარა გვაქვს“, მოულოდნელად თქვა მან.

„მეც ასე ვფიქრობ, ასე მგონია“, აღიარა ფრანცმა. „საქმის ინტერესი დაკარგეთ, დიკ, გულს აღარ უდებთ“.

„გიცი, და მინდა საქმიდან გამოვიდე — შეიძლება ისე გაკეთდეს, რომ ნიკოლს ფული ერთბაშად კი არ დაუბრუნოთ — მხოლოდ თანდათან“.

„ამაზე მეც ვიფიქრე, დიკ — დიდი ხანია ვატყობ, რომ ასე მოხდებოდა და ამ საუბარს ვერ ავცდებოდით. ახლა ისიც შე-

მიძლია, რომ სხვა შევიგულო კომპანიონად და წლის ბოლოს ფული უკვე მთლიანად დაგიბრუნოთ“.

დიკს არ ეგონა, ასე ჩქარა თუ გადაწყვეტდა, იმასაც არ ელოდა, რომ ფრანცი თითქმის მზად იყო გათიშულიყვნენ და მაინც, შვება იგრძნო. კარგა ხანია გრძნობდა და ლამის უსასოოდაც, თავისი პროფესიის ეთიკის ამ დაშლა-ჩანაცვრას.

IV

დაივერები რივიერაზე დაბრუნდებოდნენ, რივიერაზე იყო იმათი სახლი. მაგრამ ვილა „დაიანა“ მთელი ზაფხულით ისევ რენტითა ჰქონდათ მიცემული და სანამ ზაფხული გავიდოდა, გერმანიის მინერალურ წყლებსა და საკათედრო ტაძრებით ცნობილ საფრანგეთის ქალაქებში იმყოფებოდნენ, აქ კარგად იყვნენ, რამდენიმე დღე მაინც ყოველთვის კარგად იყვნენ. დიკი ცოტ-ცოტას წერდა, ოღონდ უსისტემოდ, მხოლოდ ხანდახან; ცხოვრების ერთი ის ხანა იყო, როცა ელი, და უნდა ელოდა — ძუშაობისთვის არა, და არც ახალი შეტევისათვის — ნიკოლს არგო მოგზაურობამ; კარგად იყო; უბრალოდ, უნდა ელოდა. ერთი ფაქტორი, რაც იმ ხანას აზრს ანიჭებდა, ბავშვები იყო.

ბავშვებისადმი ინტერესი იმათ ასაკთან ერთადაც უფრო მატულობდა. ლანიე ახლა თერთმეტის იყო, ტოპსი კი ცხრისა. დიკმა მოახერხა გუვერნანტებისა და ძიძებისთვის შემოეგლო და დაახლოებოდა მათ იმ პრინციპით, რომ ვერც მეტისმეტი სიმკაცრე და ვერც იმის შიში, რომ ბავშვებს სიმკაცრე არ შეემჩნიათ, ვერ შეცვლიდა ზრუნვასა და შეუუნელებელ ყურადღებას, თვალყურის დევნებას და თანაბარზომიერებას, რასაც ერთი ბოლოსაკენ მივყავართ მერე, რომ გარკვეული დისციპლინისა იყვნენ ბავშვები. ორივეს ზნე და ხასიათი ახლა ნიკოლზე უკეთ იცოდა დიკმა და გერმანული, ფრანგული ან იტალიური ღვინოებით ცოტაოდნად შეხურებული, დიდხანს ეთამაშებოდა და ელაპარაკებოდა ხოლმე ორივეს. ორთავეს ჰქონდა ის ნაღვლიანი მომხიბვლელობა, თითქმის სევდა, იმ ბავშვებს რომ ახასიათებთ, რომლებსაც ადრე ასწავლიან, რომ არც სიცილს უნდა აჰყვნენ ძალიან და არც ხმაძალდა უნდა იტირონ. თითქოს ამათ არც კი იცოდნენ დაუდგრომლობა,

მორჩილი იყვნენ თავინთი ცხოვრების ამ სადა რეჟიმის და იოლადაც სჯერდებოდნენ სადა გართობას ან უბრალო სია- მოვნებას. თანაბარი, მშვიდი ცხოვრებით ცხოვრობდნენ, რო- გორც დასავლეთ სამყაროს ძველ, კარგ ოჯახებშია მიღებუ- ლი და აღზრდა მათთვის გამოცდად და შემოწმება-გამოჩენად არა ქცეულა. დიკს, მაგალითად, მიაჩნდა, რომ ბავშვებს, თუ- კი დუმილს მიაჩვევ, მერე და მერე დაკვირვების უნარიც უფ- რო კარგი ექნებათ.

ლანიე მეტად ცოდნისმოყვარე ბიჭი იყო. ხშირად ძალიან უცნაურ რამეს იკითხავდა. „მაინც რაძდენი შპიცია საჭირო ერთი ლომის დასაჭერად, მამა?“ და გაუთავებლად ქანცავდა დიკს ასეთი კითხვებით. ტოპსი უფრო დამყოლი იყო, მშვე- ხიერი, ქერა, თეთრი და გრაციოზული — ნიკოლივით, და ეს მსგავსება ერთხანს კიდევაც აშფოთებდა დიკს; მაგრამ ცხრა წლისა მომაგრდა და თავისი ტოლი ამერიკელი ბავშვებით ძლიერი ჩანდა. კმაყოფილი რომ იყო დიკი ორივეთი, ამას ბავშვებთან არასოდეს იტყოდა ხოლმე. ცუდად არ უნდა მოქ- ცეულიყვნენ — „ვინც შინ არ სწავლობს ზრდილობასა და კარგ საქციელს“, ამბობდა დიკი, „იმას ცხოვრება მერე მათ- რახით ასწავლის ჭკუას და დაიტანჯება. რა მოხდა, ტოპსი თუკი არ „გამალმერთებს?“ ცოლად კი არ ვზრდი“.

ეს ზაფხული და შემოდგომა სხვა რაღაცითაც გამოირჩეო- და — ჭარბი ფულით. ფრანცი გზავნიდა კლინიკიდან და ამე- რიკიდანაც მოდიოდა ნიკოლის ფული — უფრო და უფრო დი- დი მოგება. ფული იმდენი იყო, რომ მარტო იმასღა უნდებო- დნენ, რაზე დაეხარჯათ და მერე კი, რაც ეყიდათ, მოევ- ლოთ მისთვის, განცხრომით და მართლა საარაკოდ მოგზაუ- რობდნენ.

ერთი ასეთი მოგზაურობა ბაიენში მატარებლით ჩასვლაც კი იყო, ორი კვირით რომ წავიდნენ იქ დაივერები. საძინებელ ვაგონში თავმოყრა იტალიის საზღვართან დაიწყო. მეორე კლასის ვაგონიდან მაღამ დაივერისა და გუვერნანტის მოახ- ლეები მოვიდნენ, რომ ბარგისა და ძაღლების დაბინავებაში მიხმარებოდნენ. მაღმაზელ ბელუას ხელის ბარგისათვის უნდა მიეხვდა, ერთ მოახლეს სილიჰემ-ტერიერები ჩააბარეს, მეო- რეს კიდევ — პეკინესები, ჩინურები. ასეთ ცხოვრებას რომ

იქმნის ქალი, მაინცდამაინც მისი სულის სიმჭლევვე კი არ ვლი-
ნდება ხოლმე — აქ ინტერესთა სიჭარბეცა ჩანს, თუკი ნიკო-
ლი ავად არ იყო, ყველაფერს კარგად უძღვებოდა. თუნდაც
იმოდენა ბარგი — ბაიენში საბარგო ვაგონიდან ოთხი საგზაო
დიდი კარადა გადმოიტანეს, ფეხსაცმელების ზანდუკი, სამი სა-
გზაო შლაპების სკივრი და კიდევ ორი მუყაოს ყუთი შლაპების-
თვის, გუვერნანტის და მოახლეების ბარგი-ბარხანა, კარტოთე-
კების პატარა ყუთი, საგზაო აფთიაქი, სპირტქურა და მისი
სათავსი, კალათები პიკნიკისათვის, ჩოგბურთისთვის ჩოგნები,
ერთი ოთხი მაინც, შალითებსა და პრესებში, პატეფონი და
საბეჭდი მანქანა. გარდა ამისა, თან მიჰქონდათ ოცამდე საკვო-
ნაჟი, ზურგჩანთები და პაკეტები. ყველა ნივთს ჰქონდა ციფრი-
ცა და იარლიყიც. ხელჯოხებსაც კი, თავიანთი ბუდეებითა. ასე,
ამგვარად, რომელ პლატფორმაზეც უნდა გადმოსულიყვნენ,
ორ წუთშიც კი შეიძლებოდა ამ ყველაფრის შექოწმება ორი სი-
ით, „დიდი სიით“ და „მცირე სიით“, ყოველთვის თავის ჩან-
თაში რომ ედო ნიკოლს, ხოლო მერე ზოგს შესანახად გადა-
დებდნენ, ზოგსაც იღებდნენ, რომ თან ჰქონოდათ. ნიკოლმა
ბავშვობაშივე შეიმუშავა ეს სისტემა, თავის ჯანით სუსტ დე-
დასთან ერთად რომ მოგზაურობდა ხოლმე და ყოველთვის
ბოლკის იმ ინტენდანტის პუნქტუალობით იცავდა მას, სამი
ათასი ჯარისკაცის გამოკვებასა და ამუნიციისაზე რომ უნდა
იფიქროს.

დაივერები მატარებლიდან გადმოიშალნენ და ხეობის უკ-
ვე შედედებულ, ნაადრევ ბინდბუნდს შეერივნენ. საუკუნის წი-
ნათ იტალიაში ლორდ ბაირონის პილიგრიმოზა რომ იწვევდა,
ისეთი კრძალვის შიშით შეჰყურებდნენ იმ სოფლის ბინადრე-
ბი ამათი ბარგის გადმოლაგებას. მასპინძელი გრაფინია დი მინ-
გეტი იყო, ყოფილი მერი ნორთი. ნიუარკში მეშპალერეს სა-
ვაჭროს თავზე, პატარა ოთახიდან დაწყებული გზა საკვირვე-
ლი და უცნაური ქორწინებით დაგვირგვინდა თურმე ახლახან.

ტიტული „გრაფი დი მინგეტი“ მერის მეუღლეს არცთუ
ისე დიდი ხნის წინათ უბოძა პაპმა — მისი სიმდიდრის გამოც
მოხდა ეს — მერის მეუღლე სამხრეთ-დასავლეთ აზიის მანგა-
ნუმის საბადოების მფლობელი იყო. სახის კანის ფერი საკმა-
ოდ მუქი ჰქონდა და მეისნ-დიქსონის სამხრეთის ხაზზე, პულ-

მანის ვაგონში არ შეუშვებდნენ. იმ ქაბილ-ბერბერ-სებეურ-ინდუსურ მოდგმას ეკუთვნოდა, ჩრდილო აფრიკასა და აზიას სარტყლად რომ გასდევს. ევროპელები ამათ უფრო სიმპათიითაც ექცევიან, შერეულ რასებზე უფრო მეტად.

წარჩინებული ოჯახები, ერთი აღმოსავლური, და ერთი კიდეც დასავლეთიდან, ვაგზლის ბაქანზე რომ შეხვდნენ ერთმანეთს, დაივერების განცხრომა მათთან, ახალი ქვეყნის ახალ ბინადრის სისადავესლა ჰგავდა ახლა. ამათ მასპინძლებს თან ახლდნენ იტალიელი მაჟორდომი ხელში კვერთხით, ოთხი ჩაღმიანი მოტოციკლისტი და ორი ჩადრიანი ქალი, თვალებილა უჩახდათ მხოლოდ. ისინი ოდნავ მოშორებით, მოკრძალებით მოჰყვებოდნენ მერის, ნიკოლს აღმოსავლურ მანერაზე უძღვნეს სალამი და ამ შესტის გამო, გაოცებული ნიკოლი შეხტა.

თავად მერის, ისევე როგორც დაივერებს, ეს ცერემონია ცოტა არ იყოს, კომიკური ეჩვენებოდა, თავის მართლებასავითაც კი ჩაიცინა; ოღონდ, როცა მეუღლე წარუდგინა მათ, მისი აზიური ტიტული ქედმაღლურად წარმოთქვა და კარგა ხმა მალლა.

თავიანთ ოთახებში, სადილისთვის რომ იცვლიდნენ სამოსს, დიკმა და ნიკოლმა ერთმანეთს გადახედს და გაიღიმეს; მდიდრებს, რომლებიც თავიანთ თავს დემოკრატიებად მიიჩნევენ, უყვართ ხოლმე გათაძაშება; თითქოსდა სხვების აშკარა ტრაბახს ვერ იტანენ.

„პატარა მერი ნორთმა იცის რაც უნდა“, ჩაიდუღუნა დიკმა, სახეზე საპარსი კრემი ესვა და იპარსავდა. „ეიბმა გაანათლა და ახლა ბუდასაც გაჰყვა ცოლად“.

ნიკოლმა ნესესერიდან ასწია თავი. „დიკ, ენას კბილი დააჭირე, გაიგე?“ მაგრამ თავი ვერ შეიკავა და გაიცინა. „როგორც გინდა თქვი, დიდებულები კი არიან. მათი გამოჩენისას სამხედრო გემები ქვემეხებს ისვრიან თუ სალუტს აძლევენ და რაღაც ასეთი. როცა მერი ლონდონში ჩადის, იქ მეფურად ხვდებიან ხოლმე“.

„კარგი, კარგი“, დაეთანხმა დიკი. ნიკოლი ვილაცას უხსნიდა კარებთან, რომ ქინძისთავეები სჭირდებოდა, დიკმა გაიგონა და დაუძახა: „იქნება უთხრა, ცოტა ვისკიც მოიტანონ მთის ჰაერისაგან ძალა მომეცა“.

„უკვე ვუთხარი“. ახლა სააბაზანოდან მოესმა ნიკოლის ხმა. „ვაგზალში რომ დაგვხვდხენ, იმ ქალებიდან ერთ-ერთი იყო, ოლონდ, უჩადროდ“.

„თავის ცხოვრებაზე რა გიამბო მერიმ?“

„თითქმის არაფერი — უფრო მაღალი წრის ახალი ამბები აინტერესებს — ჩემი გენეალოგიაც გამოიკითხა და ბევრი ასეთი რამეები — გეგონება რამე ვიცოდე. მის მეუღლეს, როგორც გავიგე, ორი შავგვრემანი შვილიცა ჰყავს ამის წინა ქორწინებიდან. ერთ მათგანს რაღაც აზიური სნეულება სჭირს, ჯერ ვერ დაადგინეს — რა. ბავშვები უნდა გავაფრთხილო, მოერიდონ. რაღაც ძალიან უხერხული კი გამოდის, მერი იგრძნობს, რომ ამაზე ვლელავთ“. შეშფოთებული გაჩერდა წუთით.

„არაფერია, მერი გაიგებს“. დაამშვიდა დიკმა. „თანაც, ბავშვი ალბათ მწოლიარეა“.

სადილზე დიკი ჰოსეინს ესაუბრებოდა, ინგლისურ სკოლაში სწავლობდა თურმე. ჰოსეინი ბირჟაზე და ჰოლივუდზე ეკითხებოდა დიკს და ესეც, შამპანურით შეხურებული, რაღა რა უაზრო ამბავს არ უყვებოდა.

„ბილიონები?“ კიდევ ერთხელ ეკითხებოდა ჰოსეინი.

„ტრილიონები“, არწმუნებდა დიკი.

„მე ეს ვერც კი წარმომედგინა...“

„ან, შეიძლება მილიონები“, დათმობაზე წავიდა დიკი.

„ოტელში ყველა სტუმარი შედის ჰარამხანაში — ან, რაც თითქმის ჰარამხანაა“.

„თუნდაც რეჟისორი ან აქტიორი არ იყოს?“

„სულ ერთია, თუნდაც ჩვეულებრივი კომივოიაჟერი იყოს. მე თვითონაც მაშინვე ერთი ათი კანდიდატი გამომიგზავნეს, მაგრამ ნიკოლმა ხელი შემიშალა“.

თავიანთ ოთახში მარტო რომ დარჩნენ, ნიკოლი საყვედურებით ჰიადგა.

„ამდენი ვისკის დალევა რა იყო? რად უნდა გეხმარა მასთან „შავი ძაშხალა?“

„მაპატიე, უნებურად წამომცდა, მინდოდა რომ „შაშხანა“ მეთქვა“.

„დიკ, პირდაპირ, ველარა გცნობ“.

„კიდევ მაპატიე. ჩემს თავს თვითონაც ველარა ვცნობ ბოლო ხანებში“.

იმ ღამით დიკმა სააბაზანოს ფანჯარა გამოაღო, ფანჯარა თავგისფერი ციხესიმაგრის მილივით ვიწრო ეზოში გადიოდა და იქიდან რაღაც უცხო და ნაღვლიანი, ფლეიტის ხმასავით სევდიანი ჰანგი მოესმა. რომელიღაც ადმოსავლურ ენასა თუ დიალექტზე გალობდა ორი კაცი. ბევრი „კ“ და „ლ“ იყო ამ დიალექტში. დიკმა ფანჯრიდან გადაიხედა, მაგრამ ვერაფერს დაინახა; რელიგიური იყო გალობა, ამის მიხვედრა არა ჭირდა და გრძნობებისაგან დაცლილს და დაღლილს, მოუხდა, რომ ახლა მისთვისაც ელოცათ იმათ, მაგრამ რისთვის, ეს არ იცოდა, მხოლოდ იმისთვის, რომ უთმენელ სევდას საბოლოოდ არ დაერია ხელი, ამისთვის?

დილაადრიან სანადიროდ გამეჩხრებულ ტყიან ფერდობზე გავიდა ყველა. გამხდარ, ძვალტყავა ფრინველებს ესროდნენ, კაკბებსა ჰგვანდნენ. თითქოს ინგლისურ მანერაზე ნადირობდნენ, ერთი ათი უხეირო ბაზიერით, და იმის შიშით, რომ შათთვის არ მოეხვედრებინა, დიკი მხოლოდ ჰაერში, თავზე-მთხრად ისროდა.

დაბრუნებისას, თავიანთ ოთახში ლანიე დახვდათ — ელოდებოდა.

„მამა, შენ მითხარი, რომ თუ სადმე ავადმყოფ ბიჭთან ახლო ვიქნებოდით, მაშინვე მეთქვა“.

ნიკოლმა იმწამს შიშით შეჰკივლა.

„...ჰოდა, დედა“, დედას მიუბრუნდა და განაგრძო ლანიემ, „ეს ბიჭი ყოველ საღამოს ბანაობს აბაზანაში და დღეს ჩემ წინ იბანავა, მერე მე უნდა ჩავსულიყავი იმის წყალში და წყალი ჭუჭყიანი იყო“.

„რა, რა თქვი?“

„მე ვნახე, რომ იმ აბაზანიდან ამოიყვანეს ტონი, მერე მე მითხრეს, რომ ჩავსულიყავი, და წყალი ჭუჭყიანი იყო“.

„მაგრამ — ჩახვედი?“

„ჰო, დედა“.

„ღმერთო!“ წამოიძახა ნიკოლმა და დიკს შეხედა.

დიკი ლანიეს ჩაეკითხა: „ლფუსიენმა თვითონ რატომ არ მოგიძახდა აბაზანა?“

„ლდუსიენს არ შეუძლია — რაღაცნაირი უცნაური სანთე-ბელია, გუშინ ალი გამოვარდა და მკლავი დაეწვა, და ახლა ეშინია, და იმ ქალებიდან ერთ-ერთი...“

„ამ სააბაზანოში შედი ახლა და დაიბანე“.

„ოღონდ, თქვენ არ უთხრათ, რომ მე გითხარით“, კარიდან გამოიხედა და სთხოვა ლანიემ.

დიკი უკან მიჰყვა და აბაზანას კარბოლმუჯავა მოასხა. კარი რომ მიხურა, ნიკოლს უთხრა:

„ან მერის უნდა მოველაპარაკოთ, ან იქნებ უკეთესი იყოს სულაც წავიდეთ აქედან“.

ნიკოლი დაეთანხმა და დიკმა განაგრძო:

„თავიანთი ბავშვები სხვებისაზე სუფთები ჰგონია ყველას და ავად თუ გახდნენ, როგორ იქნება იმათგან რამე გადაედოთ“.

შემოვიდა, ღვინო დაისხა, ბისკვიტს მიადგა და აბაზანაში მოთქრიალე წყლის რიტმის აყოლებით, გამწარებით და გააფთრებით მოჰყვა ხრამახრუმს.

„მანამდე კი უთხარი ლდუსიენს, ისწავლოს იმ სანთებლის ანთება“, ურჩია მან. სწორედ ამ დროს ოთახში იმ აზიელმა ქალმა შემოიხედა, ვისზეც ლანიე ლაპარაკობდა.

„გრაფინია —“

დიკმა თავის დაქნევით სთხოვა ოთახში შემოსულიყო და კარი მიხურა.

„როგორ არის პატარა ბიჭი, ახლა კარგად?“

„დიახ, უკეთ არის; ოღონდ, ბუგრი ჯერ ისევა აქვს“.

„არ არის კარგი — ვწუხვარ. ოღონდ იცით — როცა ის ბავშვი იბანავებს, არ შეიძლება მერე ჩვენი ბავშვების ბანაობა იმავე წყალში. არ შეიძლება ამის დაშვება. უეჭველია თქვენი ქალბატონი აღშფოთდებოდა, ალბათ არ იცის, რომ ეს გააკეთეთ“.

„მე?“ თავზარდაცემულმა შეხედა დიკს. „მე უბრალოდ დავინახე, რომ თქვენი მოახლე ვერ ანთებდა სანთებელს და — ვაჩვენე, როგორ უნდა აენტო იგი“.

„მაგრამ ის ბიჭი რომ ამოიყვანეთ, ჯერ წყალი უნდა გაგეშვათ და ის აბაზანა ძალიან კარგად გაგერეცხათ“.

„მე?“

გეგონება სული შეეხუთაო, ძლივს ამოისუნთქა, ქვითინი წასკდა და ოთახიდან გავარდა.

„რა მაინცდამაინც ახლა უნდა, რომ ეზიაროს დასავლურ ცივილიზაციას“, ბრაზმორევით თქვა დიკმა.

იმ დღესვე, სადილზე დიკმა უკვე გადაწყვიტა, რომ ვიზიტი ჩაიშალა და რაც უფრო ჩქარა წავიდოდნენ, მით უკეთესი. ჰოსეინი თავის ქვეყანაზეც კი ვერაფერს ამბობს, ერთი იმას გაიძახის, რომ იქ ბევრი მთები და თხებია და იმ თხებს მწყემსები მწყემსავენ მთებში. გულჩახვეული ჯეელი იყო — ძნელად იცოდა ლაპარაკი და კაცს ძალა უნდა დაეხარჯა საამისოდ. დიკს კი შინაურებისთვის უფრო უნდოდა ახლა ეს ძალა. სადილის მერე ჰოსეინმა მალე დატოვა მერი და დაივერები, მაგრამ ის სიახლოვე სადღა იყო — ამათ შუა სოციალური ველი იყო და მერი ხდებოდა ველის მპყრობელი. დიკმა შვება იგრძნო, როცა ასე, ათისთვის, მერის ბარათი მიუტანეს, მერიმ იმ ბარათს გადახედა და წამოდგა.

„თუ შეიძლება მაპატიეთ. ჩემი ქმარი მიემგზავრება, რაცა სასწრაფოა და მე მასთან უნდა ვიყო ახლა“.

დილით, ჯერ არც კი ამდგარიყვნენ, ის იყო, ყავა შემოუტანეს და ოთახში მერიც შემოვიდა. ესენი იწვნენ და მერის კი, ეტყობოდა, კარგა ხანია ამდგარიყო. სახეზე დაოკებული რისხვა აჩნდა.

„ეს რა ამბავი და რა ლაპარაკია, თითქოს ლანიე ჭუჭყიან წყალში აბანავეს?“

დიკმა დაიწყო მაგრამ შეაწყვეტინა:

„როგორ მოხდა, რომ თქვენ ჩემს ერთ-ერთ მუღს ლანიესთვის აბაზანის გარეცხვა უბრძანეთ?“

ისევ იდგა, მოუთმენლად შესცქეროდა და ესენი კი, მუხლებზე ლანგრები ედოთ და კერპებივით გაშტერებული უყურებდნენ. ორთავემ ერთად წამოიძახა:

„მუღს!“

„როგორ უბრძანეთ ჩემი ქმრის დას, რომ აბაზანა გაერეცხა!“

„რას ამბობთ!“ ისევ ერთხმად და ერთი და იგივე ფრაზა წამოიძახეს — „მე მოახლეს ველაპარაკე“.

„თქვენ ელაპარაკებოდით ჰოსეინის დას“.

დიკს მხოლოდ ამის თქმაღა შეეძლო:

„მე ვიფიქრე ეს ქალები მოახლეები არიან-მეთქი“.

„მე ავიხსენით, ვინც არიან — ჰიმაღუხ“.

„რა?“ დიკმა ხალათი მოისხა და როგორღაც ადღა საწო-
ლიღან.

„მე გუშინწინვე ავიხსენით, როიაღთან რომ ვისხეღით.
საღიღზე არც ისე ბევრი დაღიღეთ, რომ ვერ გაგეღოთ“.

„რა თქვით მაღინ? თავიღან ვერ მოგისძინეთ, მერი, თანაც
მე, როგორღაც ვერ — სხვებზე გვეგონა. რახან ასეა, მხოლოღ
ის უნდა გავაკეთოთ, რომ მივიღეთ და ბოღიში მოუხუხაღოთ“.

„ბოღიში მოუხუხაღოთ! მე თქვენ ავიხსენით, რომ როცა
ოჯახის უფროსი წევრი, როცა გვარის უფროსი გამგრძელე-
ბელი ცოღს შეირთავს, მაღინ ორი უფროსი და აღთქმას დე-
ბენ, რომ მისი ცოღის მხღებღები გახდნენ, სეფექაღები, ამ-
ას ჰქვია — ჰიმაღუნი“.

„იმიტომ ხომ არ წავიღა უცებ ჰოსეინი?“

მერი შეყოყმანდა; მერე თავი დაიქნია.

„სხვაგვარად არ შეეძლო — დებიც იმასთან ერთად გაემგ-
ზავრნენ. აქ ოჯახის ღირსებაზეა ლაბარაკი“.

ნიკოღიღც ადღა და ახღა ორივე დაივერი უკვე იცვამღა.
მერიმ განავრძო:

„ის რაღაა, აბაზანაში წყღის ამბავი — თითქოს შეიძღება,
რომ ასეთი რაღე მოხდეს ამ სახღში! ახღავე დაფუძახებთ ლა-
ნიეს და ვკითხავთ“.

დიკი საწოღის კიღეზე ჩამოჯდა, და ისე, რომ მერის არ
შეემჩნია, ნიკოღს ანიშნა. ამასობაში მერიმ კარი გამოაღღ და
ვიღაცას იტალიურად უბრძანა რაღაც.

„მოიღათ მერი“, თქვა ნიკოღმა. „არ მინდა აქ ბავშვის ჩა-
რევა“.

„თქვენ ბრალი დაგვღეთ“, მიუგო მერიმ, ამ ტონით აღრე
მას არასოღღეს მიუმართავს ნიკოღისათვის. „ახღა მე უფღება
მაქვს, რომ შევამოწმო“.

„მე არ მინდა, რომ ბავშვი ჩარიღთ ამ საქმეში“. ნიკოღმა
ჯაჭვის პერანგივით შეძოიქირა სამოსელი.

„კარგი, ნიკოღ“, უთხრა დიკმა. „მოვიღღეს ლანიე და გავა-
რკვევთ ბოღოს, რა არის ფაქტი და რა შეთხზული“.

ლანიე შემოიყვანეს, ჯერ ისევ ეძინებოდა და უფროსების ბრაზიან სახეებს აბნეული და გაშტერებული აცქერდებოდა.

„ლანიე, ლანიე“, მიმართა მერიმ, „როგორ მოხდა, როგორ იფიქრე, რომ იმ წყალში ჩაგსვეს, რომელშიც უკვე იბანავეს?“

„თქვი“, უთხრა დიკმა.

„ჭუჭყიანი იყო და მეტი არაფერი“.

„მაგრამ, შენი ოთახიდან ხომ გესმოდა, როგორ მოხხრია-ლებდა წყალი?“

ლანიეს შეეძლო დაეშვა, რომ იქნება ასეც იყო, მაგრამ აზრი მაინც არ შეუცვლია — წყალი ჭუჭყიანი იყო. ცოტა შეშინებული ჩანდა და მეტის თქმაც სცადა:

„არ შეიძლება ახალი წყალი ყოფილიყო, იმიტომ, რომ...“
სიტყვაზე დაიჭირეს.

„რატომ?“

ოთახის შუაგულში თავისი პატარა კიმონოთი საწყლად იდგა და მშობლებს შეებრალოთ, მერი ელოდა, მოუთმენლად — და ლანიემ თქვა:

„წყალი ჭუჭყიანი იყო, იმიტომ, რომ შიგ საპნის ქაფი იყო“.

„როცა არ გჯერა რასაც ამბობ“ — დაიწყო მერიმ, მაგრამ ნიკოლმა შეაჩერა:

„თავი დავანებოთ, მერი, რაკი წყალში ქაფი იყო, ბუნებრივია ეფიქრა, რომ იმ წყალში უკვე სხვამ იბანავა. მამამისმა კი გააფრთხილა ეთქვა, რომ თუკი...“

„არავითარი საპნის ქაფი არ შეიძლება შიგ ყოფილიყო“.

ლანიემ საყვედურით შეხედა მამას, რად გამეციო. ნიკოლმა მხარზე მოჰკიდა ხელი და ოთახიდან გაუშვა ბავშვი. დიკმა გაიცინა და დაძაბულობაც მაშინვე გაქრა. მერის ადრინდელი წლები და დაივერებთან მეგობრობა გაახსენდა, მიხვდა, რა შორეული გამხდარიყვნენ ერთმანეთისთვის და დაოკებულმა, მშვიდი ტონით თქვა: „ბავშვების გამო ყოველთვის ასე ხდება ხოლმე“.

წარსული ისევ ახსენებდა თავს და უხერხულობაც იზრდებოდა.

„ოღონდ, სისულელე იქნება თუ ამის გამო აქედან წახვალთ — ჰოსეინი ისედაც უნდა წასულიყო, საქმე ჰქონდა. ბო-“

ლოს და ბოლოს, თქვენ ჩემი სტუმრები ხართ, და რა მოხდა, შეცდით, ვინ არ შეძლარა“.

მაგრამ დიკი გააბრაზა ამ მიკიბ-მოკიბვამ, მეტადრე იმან, რომ სიტყვა „შეცდით“ იხმარა მერიმ, მიტრიალდა, რომ უკვე ბარგისთვის მიეხედა და თქვა:

„იმ ახალგაზრდა ქალების გამო ვწუხვარ, კარგად არ გამოვიდა. იმასთან კი, ამ ოთახში რომ შემოვიდა, მინდოდა ბოდიში მომეხადა“.

„ეს ყველაფერი იმის ბრალია, რომ როიალთან როცა ვისხედით, არ მისმენდით!“

„ჰო, მაგრამ, საშინლად მოსაწყენი გახდით, მერი. გისმენდით, რამდენიც შეძეძლო“.

„გაჩუმდი, დიკ!“ წამოიძახა ნიკოლმა.

„თავის ქათინაურს თვითონ ვუბრუნებ“, მწარედ და წყენით უთხრა მერიმ. „ნახვამდის, ნიკოლ“. და გავიდა.

ამის მერე, ცხადია, გასაცილებლადაც არ მოვიდოდა; ყველაფერი, რაც დაივერების გამგზავრებისთვის იყო საჭირო, მაჟორდომს დაეკისრა. ჰოსეინს და იმის დებს დიკმა პატარა, ოფიციალური ბარათები დაუტოვა. ა* წასულიყვნენ, არ იქნებოდა, მაგრამ ყველას რაღაცა აწვა მძიმედ და ლანიეს კი ყველაზე მეტად.

„მე მაინც იმას ვამბობ“, უკვე მატარებელში იყო, როცა ისევ დაიწყო, „რომ წყალი ჭუჭყიანი იყო“.

„გეყოფა, ლანიე“, უთხრა მამამ. „გირჩევ დაივიწყო მთელი ეს ამბავი — თორემ გაგეყრები. რა, არ იცოდი, რომ საფრანგეთში ახალი კანონი მიიღეს უკვე და მშობლებს კიდევაც შეუძლიათ თავიანთ შვილებს გაეყარონ?“

ლანიეს სიცილი წასკდა და დაივერების ოჯახიც ახლა ისევ შეიკრა — დიდხანს თუ გასტანსო ასე, გაიფიქრა დიკმა.

V

ნიკოლი ფანჯარასთან მივიდა, ტერასიდან რაღაცა ჩხუბი და ლანძღვა ისმოდა, გადაიხედა და ყური მიუგდო. ამათი მზარეულის, ოგიუსტინის ღვთისმოსავ პირისახეს სულ ერთნაირად ავარდისფრებდა აპრილის მზე, მთვრალი იყო, ხელში

დიდი დანა ეჭირა და დანის პირსაც ცისფრად გაუდიოდა ლაპლაპი ძზეზე. იმ დანას აქეთ-იქით ატრიალებდა. სამი თვე იყო, რაც ოგიუსტინი ამათთან მზარეულობდა, იმის მერე, თებერვლის თვეში ისევ თავიანთ ვილა „დაიანაში“ რომ დაბრუნდნენ დაივერები.

ფარდულისპირა ქარაბაკი ეფარებოდა და დიკს ვერ ხედავდა ნიკოლი; მხოლოდ იმისი თავი და ბრინჯაოს ბუნიკიანი ჯოხი ჩანდა, რომელიც ხელში ეჭირა დიკს. დანა და ხელჯოხი, რითაც ერთმანეთს ემუქრებოდნენ, სამკაპას და იმ მოკლე მახვილსა ჰგავდა, რასაც არენაზე საბრძოლად გასული გლადიატორები ხმარობდნენ ხოლმე.

ჯერ დიკის სიტყვები მოესმა ნიკოლს:

„ — სამზარეულოს ღვინო რამდენიც გინდათ იძღვხი სვით, მაგრამ შაბლი-მუტონის ბოთლით თუ დაგინახეთ...“

„თქვენ მე რა უნდა მითხრათ სმაზე!“ ყვიროდა ოგიუსტინი და თავის ხანჯალს იქნევდა. „თქვენ თვითონ სვამთ — მთელი დღე სვამთ!“

„რა შოხდა, დიკ?“ ზევიდან დაუძახა ნიკოლმა და დიკმა ინგლისურად ამოსძახა:

„ეს დედაკაცი სარდაფიდან სამარკო ღვინოებს ეზიდება. გავაგდე, ან თუ არადა — ვცდილობ გავაგდო“.

„ღმერთო! ფრთხილად იყავი, დიკ, ეგ დანა არ მოგახვედროს“.

ოგიუსტინმა თავი ასწია, ახლა ნიკოლისკენ იქნევდა დანას. ბებრული პირი ორ პატარა შეტყლფეილ ალუბალს მიუგავდა.

„თქვენ ალბათ არც კი იცით, მაღამ, თქვენი ქმარი როგორა სვამს, ჩაჯდება და სვამს, ლოთია რაღა...“

„ახლავე ენა გააჩერეთ და წადით აქედან!“ დაუყვირა ნიკოლმა „თუ არადა, ჟანდარმებს გამოვიძახებთ“.

„თქვენ გამოიძახებთ ჟანდარმებს? ჩემი ძმა თვითონ ჟანდარმი! თქვენ გამოიძახებთ — ამერიკული თავხედობა!“

„ბავშვები გაიყვანე სახლიდან და ამას მოვუვლი“, ისევ ინგლისურად ასძახა დიკმა.

„ეს თავხედი ამერიკელები დადიან აქ და დაიწყებენ მაგალი ჩვენი საუკეთესო ღვინოების სმას. სულ ეგენი ათავებენ რა“, ბალაგანური ხმით გაჰკიოდა ოგიუსტინი.

დიკმა უფრო მტკიცე ტონით მიმართა.

„ახლავე აიღეთ თქვენი ბარგი-ბარხანა და წადით. რაც გერგებათ, გადაგიხდით“.

„ღიახაც, გადაგიხდით! და უნდა გითხრათ“, დიკთან უფრო ახლო მივიდა, ისე გააფთრებით იქნევდა დანას, რომ დიკმა თავისი ხელჯოხი შემართა. მაშინ ოგიუსტინი სამზარეულოში შევარდა და იქიდან ახლა ცულობით აღჭურვილიც დაბრუნდა.

ვითარება სახარბიელოს არა ჰგავდა — ოგიუსტინი მაგარი ქალი ჩანდა და მისთვის ახლა ცულისა და დანის წართმევა რისკიც იყო, შეიძლება კიდევაც რამე დაშავებოდა; და მერე ამას გართულებაც კი მოჰყვებოდა — კანონი იცავს და მკაცრად იცავს ფრანგ მოქალაქეთა შეუხებლობას. მაინც, დიკმა, უფრო მეტად მზარეულის შესაშინებლად, ასძახა ნიკოლს:

„დარეკე პოლიციაში“. მერე ოგიუსტინს მიუტრიალდა და დანასა და ცულზე მიუთითა. „ესეცა კმარა იმისათვის, რომ ციხეში წაგიყვანონ“.

„ჰა, ჰა!“ დემონურად გადაიხარხარა ოგიუსტინმა, მაგრამ უფრო ახლო აღარ მისულა. ნიკოლმა დარეკა პოლიციაში, მაგრამ იქიდანაც ოგიუსტინის სიცილის ექო მოესმა თითქოს. რაღაც სიტყვები თუ ბუტბუტი გაიგონა, მერე რაღაც ჩხაკუნი და — გაითიშნენ, ან სულაც, შეიძლება დაკიდეს კიდევ.

ნიკოლი ფანჯარასთან დაბრუნდა და დიკს ჩასძახა:

„ზედმეტი გადაუხადე!“

„ტელეფონით მაგათთან მე უნდა მელაპარაკა!“ მაგრამ გზა მოჭრილი ჰქონდა და დიკი კაპიტულაციაზე დათანხმდა. ორმოცდაათი ფრანკი ასამდე ავიდა — დიკი ამაზეც თანახმა იყო, ოღონდ ჩქარა მოეშორებინა და ოგიუსტინმაც ფარ-ხმალი დაყარა, თუმცა, უკან დახვევისას ლანძღვა-გინების კორიანტელი დააყენა და სულ „მთრეულებს“ იძახდა. ისიც მოითხოვა, ჩემი ძმისწულის მოსვლამდე აქ უნდა დავრჩე, ბარგს ის წაძალბებინებსო. ასე თუ ისე, დიკი ფრთხილად იყო და სამზარეულოსთან ახლომახლო ტრიალებდა. გაიგონა ბოთლიდან საცობის ამოგდების ხმა, მაგრამ გადაწყვიტა, ამ ფაქტისთვის ახლა ყურადღება არ მიექცია. ალიაქოთი აღარ ატეხილა. ძმისწული რომ მოვიდა, დაწყნარებული ოგიუსტინი დიდი ამბით დაემშვიდობა დიკს და ლამის კიდევაც მოეფერა, წასვლისას

ნიკოლის ფანჯარასაც ახედა და დაუძახა: „ნახვამდის, ქალბატონო! კარგად იყავით!“

დაივერები ნიცაში წავიდნენ და იქ ისადილეს. შოატანისეხს მოშუშული თევზისა და ზაფრანისაგან გაკეთებული შეჭამადი, საკაზმით კარგად შენელებული, ბაქმაზიანად — და ერთი ბოთლი ცივი შიბლი. ოგიუსტინი მეცოდებაო, შენიშნა დიკმა.

„მე სულაც არა“. თქვა ნიკოლმა.

„მე კი მეცოდება — თუმცა სიაძოვნებით გადავაგდებდი ამ კლდიდან ზღვაში“.

ბოლო ხანს უკვე ცოტა რამეზელა ლაპარაკობდნენ ერთმანეთთან; ამა თუ იმ მომენტისთვის საჭირო სიტყვას ეძებდნენ ხოლმე და ის სიტყვა ხშირად იმის მერელა მოდიოდა, როცა ველარ გაიგონებდნენ და აზრი არ ჰქონდა. თავის ფიქრებში ჩაძირული, თავიანთთვის ცხოვრობდნენ, ცალკე, გარიყულეები. ოგიუსტინთან იმლამინდელი ჩხუბისაგან ახლა თითქოს ისევ შეერთდნენ და ცხარე საჭმლისა და ღვინისაგან შეხურებული — ალაპარაკდნენ.

„არ შეიძლება ასე გაგრძელდეს“, თქვა ნიკოლმა. „როგორ გგონია, შენ რას იტყვი?“ შეძრწუნებულმა იმით, რომ დიკს არც უცდია უარეყო ეს მოსაზრება, დაუმატა, „ზოგჯერ მგონია, რომ ჩემი ბრალია ყველაფერი — მე დაგლუპე“.

„მაშ, დაღუპული ვარ, არა?“ გაიცინა და ჰკითხა დიკმა.

„მე ეს არ მითქვამს. მაგრამ უწინ გინდოდა რალაცის შექმნა, ახლა კი, თითქოს დანგრევა გინდა ყველაფრისა“.

ცოტა კიდევაც ეშინოდა, რომ დიკს ახლა ასე განიკითხავდა და დიკის დუმილიც უძლიერებდა თავის ამ შიშს. გუჟანით გრძნობდა, რალაც ხდებოდა დუმილს იქით, დიკის ცისფერი, გამკაცრებული თვალების მიღმა და იმის იქითაც, რომ ბავშვებისადმი ასეთ ინტერესს იჩენდა ახლა. ისიც ძალიან აკვირვებდა, რომ დიკი უცებ აენტებოდა ხოლმე, როცა ვინმეზე ან რამეზე, სულ ერთია, პიროვნებაზე, ერზე, კლასზე, ცხოვრებაზე თუ აზროვნებაზე ლაპარაკობდა, თითქმის ზიზღით და კარგა ხანს აღარ ჩერდებოდა, თითქოს მასში უთვალავი ამბავი იყო თავმოყრილი და მხოლოდ მაშინ, როცა გარეთ გამოდიოდა ის ამბები, იმ წამებში თუ მიხვდებოდა ცოტაოდნად, რაც ხდებოდა დიკის გულში.

„ბოლოს და ბოლოს, რას იღებ აქედან?“ ჰკითხა ნიკოლმა.

„იმას, რომ ვიცი, შენ დღითი დღე უფრო მაგრდები, რომ რეციდივების შემცირების კანონის თანახმად, შენი ავადმყოფობა უკან იხევს“.

შორიდან მოდიოდა ნიკოლთან ეს ხმა. თითქოს ძალიან შორეულსა და აკადემიურ რაღაცაზე ლაპარაკობდა; შეშფოთებულმა წამოიძახა, „დიკ!“ და მაგიდის ზემოთ გაიწვდინა ხელი მისკენ. დიკმა უნებურად გასწია ხელი, მაგრამ გონს მოეგო და დაუმატა:

„ამ სიტუაციაში ბევრ რამეზე შეიძლება რომ დაფიქრდე, არა? საქმე მხოლოდ შენ არ გეხება“. ხელი დაადო ნიკოლის ხელს და ძველი დიკის, მხიარულების, გიჟმაჟური და ხმაურიანი საღამოების მოთავე დიკის ხმით უთხრა ახლაც: „იმ თეთრ იახტას ხედავ იქით?“

ტ. ფ. გოლდინგის მოტორიანი იახტა იყო, მშვიდად ირწეოდა ნიკის უბეში, ტალღებს ზნექდა და დაუსრულებელ რომანტიკულ მოგზაურობაში იმყოფებოდა ადგილიდან დაუძვრელადაც.

„ახლა იქ წავალთ და იმ ხალხს ვკითხავთ, როგორ არიან, ბედნიერები თუ არიან“.

„მაგრამ ჩვენ თითქმის არ ვიცნობთ გოლდინგს“, მიუგო ნიკოლმა.

„გოლდინგმა გვთხოვა, მიგვიწვია, ესეც არ იყოს, ის ხომ ბების მეგობარია — უკვე ცოლად მიჰყვება — თუ მიჰყვებოდა?“

როცა ბარკასი დაიქირავეს და პორტიდან გამოვიდნენ, ზაფხულის ბინდი წვებოდა უკვე და „მარჯინის“ თეთრი კორპუსის გაყოლებით სპაზმური უთანაბრობით ინთებოდა სინათლეები. იახტასთან მისვლისას ნიკოლი ისევ შეშფოთდა.

„მე მგონია, სტუმრები ჰყავს...“

„არა, რადიოს ხმაა“, დაამშვიდა დიკმა.

დაივერები შეამჩნიეს — თეთრკოსტიუმისანი ჭაღაროსანი ბუმბერაზი გადმოიხარა, გადმოხტა და დაიძახა.

„ამას რას ვხედავ, დაივერები არიან მართლა?“

„ჰეი, „მარჯინ“, ტრაპი, გესმით?“

ბარკასი ტრაპთან მიიყვანეს; გოლდინგი ნიკოლს მიეხმარა

გადმოსვლაში და ხელი რომ გაუწოდა, ლამის შუაზე მოიკეცა ეს ბუმბერაზი.

„კარგ დროს, სწორედ სადილისათვის“.

კიჩოზე პატარა ორკესტრი უკრავდა.

„თქვენი ვარ, ოღონდ დაგჭირდეთ — მაგრამ, მანამდე ჯერ მე...“

და გოლდინგის ციკლონურმა მკლავებმა, არც კი მიკარგებია, კიჩოსკენ ისე გააქანა დაივერები. ნიკოლმა უფრო ინანა, რომ წამოვიდნენ და ცოტა კიდევაც ბრაზობდა დიკზე. ბოლო წლებში, ხან დიკის მუშაობისა და ხანაც იმის გამო, რომ ნიკოლი ხშირად ავად იყო, თავშესაქცევ სალამოებზე არ დადიოდნენ და ყველამ იცოდა, რომ დაივერები განზე იდგნენ და უარს ამბობდნენ მიწვევაზე. ამ ბოლო ხანს რივიერაზე ჩამოსულები ზოგჯერ იმასაც ამბობდნენ ხოლმე, დაივერების პოპულარობა დაიბინდაო. ასე თუ ისე, რაკი ამ ახალ პოზიციაზე იდგნენ, ნიკოლს მიაჩნდა, რომ რაღაც უბრალო გართობისათვის კომპრომისი არ სჭირდებოდათ.

მთავარ სალონზე გავლისას მოეჩვენათ, რომ კიჩოზე, ცოტაოდნად განათებულ წრეში ცეკვავდნენ. მაგრამ ეს მხოლოდ მირაჟი იყო — მუსიკის ხიბლი, უცნაური განათების ილუზია და წყალი გარშემო. ფაქტიურად კი სტუმრები გემბანს შემოვლებულ განიერ დივანზე ისხდნენ და ისვენებდნენ. რამდენიმე სტიუარდი თუ დადიოდა საქმიანად აქეთ და იქით. წითელი, თეთრი, ჭრელი სამოსი ბუნდოვნად ჩანდა, კაცები თეთრი ქათქათა პერანგებით იყვნენ გემბანზე. ერთი მათგანი მათ შესახვედრად წამოდგა, ნიკოლმა იცნო და გახარებულმა შეპყვირა:

„ტომი!“

ტომი ცერემონიულად დაიხარა ნიკოლის ხელის საამბოროდ, მაგრამ ნიკოლმა გალიცინზმს აუარა და ლოყა მიადო ტომის ლოყას. ერთად დასხდნენ, ან უფრო სწორად, ანტონიოურ დივანზე მიწვნენ. ტომის ლამაზი სახე ისე ძალიან გაშავებოდა, რომ მოოქროსფრო-მიხაკისფერი გადასვლოდა, მაგრამ მაინც ის მოლურჯო ელვარე ფერი, რაც ასე ძალიან უხედებათ ზანგებს, კანს ვერ მიეღო — გათრიმლული ტყავით ჰქონდა. უცხო მხარეთა უცხო მხეებით ნამზეურობა, უცხო

მიწის სურნელი და ეგზოტიკური დიალექტების გამოძახილი, უცნაური მღელვარება და დაძაბულობა საუბრისას — რაღაც უცნობი შიშის კვალი — ეს ყველაფერი აჯადოებდა და აბრუებდა ნიკოლს — შეხვედრისას ფიქრში თითქოს მიეყრდნო მის მკერდს და გაყუჩდა... მერე თავდაცვის ინსტინქტით ისევ თავის სამყაროს დაუბრუნდა და უღარდელი, ნებიერი ხმით უთხრა:

„სათავგადასავლო ფილმის გმირს ჰგავხართ ზუსტად, — მაგრამ, ამდენ ხანს რად დაიკარგეთ?“

ტომი ბარბანმა უნდობლად და ფრთხილად შეხედა, ელვა გაკრთა თვალის გუგებში.

„ხუთი წელი“, რაღაცა გაბზარული ხმით და თითქოს არაფრის იმიტაციით განაგრძო ნიკოლმა, „ძთელი საუკუნეა, არ შეგეძლოთ, სადღაც ჟღერა-მუსვრის მერე, რაკი ეს ასე საჭიროა, დაბრუნებულიყავით ცოტა ხნით მაინც, რომ სული მოგეთქვათ?“

ძვირფასი და სათუთი არსების სიახლოვეს გაეგროპელემა ტომისთვის ისევ იოლი იყო.

„Mais pour nous héros“, თქვა მან, „il nous faut du temps, Nicole. Nous ne pouvons pas faire des petits exercices d'héroïsme—il faut faire les grandes compositions“¹

„ინგლისურად მელაპარაკეთ, ტომი“.

„Parlez français avec moi, Nicole“².

„მაგრამ აქ რაღაც სხვაობა არის — ჰეროიზმსა და მამაცობაზე ღირსებით გამოდის ფრანგულად ბჭობა, თქვენ იცით ეს. ინგლისურად კი, ჰეროიზმსა და მამაცობაზე ლაპარაკისას, ცოტათი სასაცილო ხდები და თქვენ ესეც იცით. ამიტომ მე მირჩევნია ინგლისურად მელაპარაკოთ“.

„კაცმა რომ თქვას“, უცებ ჩაიცინა ტომიმ. „მე ინგლისურადაც გმირი ვარ და ბევრი ასეთი“.

ნიკოლმა, ვითომ, მეტი აღარ შეგვიძლიაო, გაიცინა, მაგრამ ტომი არ შეცბუნებულა.

¹ „მაგრამ, ჩვენ, გმირებს, დრო გვჭირდება, ნიკოლ. მცირე ვარჯიშით იოლად გასვლა არ შეიძლება ჰეროიზმში — აქ დიდი მასშტაბებია საჭირო“ (ფრანგ.).

² „ფრანგულად მელაპარაკეთ, ნიკოლ“ (ფრანგ.).

„უბრალოდ, მე ვიცი ის; რასაც ფილმებში აჩვენებენ“, თქვა მან.

„ცხოვრებაში ისეა, როგორც კინოფილმებში?“

„კინოც კარგია — თუნდაც რონალდ კოლმანი — გინახავთ მისი ფილმები ჩრდილო-აფრიკულ კორპუსზე? — ცუდი არ არის“.

„ძალიან კარგი, ამის მერე, როცა კინოში ვიქნები, მეცოდინება, რომ იმ დროს თქვენ თავზეც ის ამბავია, რაც იქ ხდება“.

საუბრისას ნიკოლმა მომცრო ტანის, ფერმკრთალი, სანდომიანი ახალგაზრდა ქალი შეამჩნია, მშვენიერი ბრინჯაოსფერი თმით, — გემბანის განათებისაგან მწვანე ფერი დაჰკრავდა. ტომის იქით იჯდა და შეიძლება ყურს უგდებდა ამათ და იმათაც, ვინც ახლო, ოღონდ სხვა მხარეს ისხდნენ. თითქოს რაღაც უფლება ჰქონდა ტომისზე და რაკი მიხვდა, ტომის ყურადღება ახლა უკვე სხვას ეთმობაო, თავდაუოკებლად წამოდგა და გულაგდებით გადაიარა მთელი გემბანი.

„ჰო, კაცმა რომ თქვას, მე გმირი ვარ“, მშვიდად თქვა ტომიმ, ცოტა ხუმრობდა, მაგრამ მთლად ხუმრობითაც არ ამბობდა. „შიში რა არის, მე არ ვიცი, როცა ვიბრძვი, ლომივითა ვარ, ან მთვრალივით, გადარეული და აწყვეტილი“.

ნიკოლმა დააცადა, ვიდრე ამ ტრაბახის ექო ბოლომდე ჩაუცხრებოდა — ხვდებოდა, რომ ასე ტომის სხვასთან ალბათ არც ელაპარაკა თავის თავზე, მერე მიიხედ-მოიხედა. უცნობი სახეები შეათვალიერა — ისევ ის რეტდასხმული ნევრასთენიკები, ვითომ მშვიდები, საშინელებას რომ ჰგვრით ქალაქი და თავიანთი ხმა, რაღა ხმა, რაღა კამერტონი, თუ არ გავიდნენ და ბუნებას თუ არ შეერივნენ... ნიკოლმა ჰკითხა:

„ის ქალი ვინ არის, თეთრებში?“

„აქ რომ იჯდა? ლედი კეროლაინ სიბლი-ბირს“. გაჩუმდნენ და იმის ხმას მიუგდეს ცოტა ხნით ყური.

„...არამზადაა ეს კაცი, ოღონდ მაინც მაღალი რანგის. მთელი ღამე ცხრას ვთამაშობდით, შმენდეფერს, და ათასი შვეიცარიული ფრანკი ვალი დამადო...“

ტომიმ გაიცინა და თქვა: „ლედი კეროლაინი ყველაზე უზნეო ქალია ლონდონში—ევროპაში დაბრუნებისას მაშინვე

იმას ვიგებ ხოლმე, რომ ლონდონელი უზნეო ქალების ახალი ბუდობა გაჩენილა. ეგ ყველაზე წინა დგას ახლა, მაგრამ, მგონია მეტოქე გამოუჩნდა“.

გემბანის აქეთა მხრიდან ნიკოლმა ისევ გახედა იმ ქალს, გამხდარი, ულონო, ვიწრომხრებიანი, ფილტვებით ავადყოფს ჰგავდა — დაუჯერებელი იყო, რომ ამ ვიწრო მხრებს და უსუსურ ხელებს შეეძლო მაღლა სჭეროდა დეკადანსის ემბლემა, მჭრალი იმპერიის უკანასკნელი ბაირალი. შესახედად უფრო ჯონ ჰელდის ილუსტრაციების ქალებსა ჰგავდა, ახალი მოდის ვაჟურ ქალწულებს და არა იმ მაღალ, მიბნედილ ქერებს, ომი-სწინა წლებიდანვე, მხატვრებისა და მწერლების მოდელებად რომ იქცნენ მერე.

გოლდინგი მოვიდა, ძალიან ცდილობდა ცოტათი მაინც დაეთრგუნა ის თავისი ბუმბერაზობა, რითაც იმის ნება-სურვილი გარგანტუასებური ძალისმიერით გადადიოდა, და ნიკოლმა, თუმცა უხალისოდ, მაგრამ მაინც დაუთმო: სადილის მერე „მარჯინი“ მაშინვე კანისკენ წავა, რომ, მართალია, უკვე ისა-დილეს, მაგრამ ხიზილალა და შამპანური მაინც ყოველთვის შეიძლება; რომ დიკმა, სულ ერთია, უკვე დარეკა და შოფერს უთხრა, ნიცაში არ გაჩერდეს, კანაში წავიდეს და მანქანა კაფე „კავშირთან“ გააჩეროს, იქ მას იოლად მოძებნიან დაივერები.

სალონში, სადილზე დიკი ლედი სიბლი-ბირსის გვერდით იჯდა. ნიკოლმა შეამჩნია, ნამზეური სახე ახლა გაფითრებოდა. დიკი კატეგორიული ტონით ლაპარაკობდა, ნიკოლამდე მხოლოდ ცალკეული ფრაზები აღწევდა:

„...მაგრამ, უნდა იცოდეთ, რომ თქვენთვის, ინგლისელებისთვის ეს სიკვდილის როკვაა... დანგრეულ ციხესიმაგრეში ჯარი — სიპაი, მხიარულება ციხესიმაგრეში და ალაყაფის კარებთან ისევ სიპაი დგას და ასეა ახლა. მწვანე შლაპის დრო წავიდა, გაქრა“.

ლედი კეროლაინი ზმა-ფრაზებით აძლევდა პასუხს, „რა?“ „ზუსტად!“ „ოჰო, რას ბრძანებთ!“ მაგრამ დიკი ვერ ამჩნევდა რომ აფრთხილებდნენ, ან არ უნდოდა, რომ შეეძინია, ბოლოს უცებ გაცხარებით წამოიძახა რაღაც, ნიკოლმა ვერ გაიგო რა, მაგრამ დაინახა, რომ ის ახალგაზრდა ქალი წამოჭარხლდა, დაიძაგრა და მერე მკვახედ თქვა:

„ააფრინე ალალიო, რაც არ არი, არ არიო“.

კიდევ აწყენინა ვილაცას — არ შეეძლო ენისთვის ცოტა კბილი დაეჭირა? როდემდე გაგრძელდება ასე? თუ სიკვდილამდე ასე იქნება?

ახალგაზრდა, ქერა შოტლანდიელმა ორკესტრანტმა (ორკესტრს „ედინბერეს კოლეჯის რეგტიმ-ჯაზი“ ერქვა, ასე ეწერა დაფდაფზე), დენი დივერის რეფრენივით დაიწყო, აკომპანიატორი თვითონვე იყო, როიალის ხმა ჩუმად ისმოდა და სიტყვებს ისეთი ძალით ამბობდა, გეგონება ველარ უძლებდა იმ სიტყვების აზრს.

რა ჯოჯოხეთში იყო ის ქალი,
ზარის რეკვაზე შეკრთებოდა და წვაავდა ალი,
რადგან ცოდვილი იყო დიდი, დიდი ცოდვილი,
ზარის რეკვაზე შეკრთებოდა და წვაავდა ალი,
და წვაავდა ალი (ბუმბუმ)
და წვაავდა ალი (ტუმტუმ)
რა ჯოჯოხეთში იყო ის ქალი...

„ეს კიდევ რაღა არის?“ ტომიმ ჩურჩულით ჰკითხა ნიკოლს.

მხარშეჭცევით ერთი ქალიშვილი იჯდა და იმან უპასუხა:
„სიტყვები კეროლაინ სიბლი-ბირსმა დაწერა, მუსიკა — თვითონ“.

„რა ბავშვობაა!“ ჩაიბურტყუნა ტომიმ იმ დროს, როცა მომდერალი უკვე მეორე სტროფზე გადავიდა, რომელშიც შემკრთალი ახალგაზრდა ქალის შეძღვომი განცდები იყო გადმოცემული. „შეიძლება იფიქრო, რომ რასინს კითხულობს!“

ერთი შეხედვით ისე ჩანდა, თითქოს ლედი კეროლაინი არც კი უსმენდა თავის ქმნილებას. ნიკოლმა ისევ შეხედა და გაოცდა — ეს ქალი ჰკუთნა და ხასიათით კი არ ახდენდა შთაბეჭდილებას — მხოლოდ პოზით; მაგრამ, რაღაცით საშინელიც არისო, გაიფიქრა და მალევე ნახა, რომ არა ცდებოდა. სუფრიდან რომ წამოიშალნენ, დიკი არ ამდგარა, იჯდა და რაღაც უცნაურად იყურებოდა, და უცებ უადგილო გააფთრებით წამოისროლა:

„ვერ ვიტან ამ ინგლისურ გამაყრუებელ და გადაკრულ ჩურჩულს“.

ლედი კეროლაინი უკვე კარებთან იყო, ამ სიტყვებზე მო-

ტრიალდა, ძალიან ახლო მივიდა დიკთან და ხმადაბლა უთხრა, მაგრამ ვანგებ მკაფიოდ, ისე რომ იქ მყოფთ გაეგონათ.

„თქვენ თავს დააბრალებთ — ჩემი ქვეყნის ხალხი აიგდეთ და დაამცირეთ, ჩემი მეგობარი მერი მინგეტიც. მე უბრალოდ ისა ვთქვი, რომ ლოზანაში — თქვენ საეჭვო ხალხთანა ვნახეს. გამაყრუებელი ჩურჩულია? იქნებ მხოლოდ თქვენ გაგაყრუათ?“

„საამისოდ ხმადაბლა იყო“, თქვა დიკმა, მაგრამ ცოტა გვიან თქვა. „ასე რომ, თქვენი აზრით მე პირწავარდნილი...“

გოლდინგმა თავისი ხმით ჩაახშო ფრაზის ბოლო, „გემბანზე! გემბანზე!“ და ძლიერი და ვეება ტანით უბიძგა თითქოს კარისკენ ყველას. ნიკოლი უკვე კარებთან იყო, მოტრიალდა და დაინახა, რომ დიკი ისევ თავის ადგილზე იჯდა იმ მაგიდასთან. ბრაზდებოდა ლედი სიბლი-ბირსის ჩმახვაზეც და დიკზეც, რომ აქ წამოსვლა მოინდომა და უზომოდ სჯა, იმაზე, რომ თავისი ეკლიანი ირონია ველარ დამალა, რომ დაამცირეს და ღირსება ვერ შეინარჩუნა პაექრობაში. ცოტა თავის თავზეც ბრაზობდა, რადგან ის ინგლისელი ქალი ამის გამო გაღიზიანდა იმთავითვე, იმიტომ რომ მოსვლისთანავე დაეუფლა ტომი ბარბანს.

ცოტა ხნის მერე თვალი მოჰკრა დიკს, ტრაპთან იდგა და გოლდინგს აშკარად მშვიდი იერით ელაპარაკებოდა. მერე კარგა ხანს აღარ დაუნახავს გემბანზე და ოცდაათი წუთის მერე კი კანაფზე ასხმული ყავის მარცვლებით ერთ თავსატეხ მალაიურ თამაშს რომ თამაშობდნენ, ადგა და ტომის გადაულაპარაკა:

„წავალ, დიკს მოვძებნი“.

ჯერ კიდევ სადილზე ისხდნენ, როცა „მარჯინმა“ ლუზა აუშვა და ახლა მთელი სვლით მიდიოდა დასავლეთისკენ. დიხელების ხმა ისმოდა რბილად და ღამეს ეღვიძა, მშვენიერ ღამეს, გაზაფხულის თბილი ქარი მიეახლა და თმას შემოევლო. უცნობელმა ღელვამ გათანგა დიკის დანახვაზე, ფლაგშტოკთან იდგა, ნიკოლი შეიცნო და წყნარი ხმით თქვა:

„მშვენიერი ღამეა“.

„სადა ხარ, შევუფოთდი“.

„შევუფოთდი? ვითომ?“

„ასე რად ამბობ, დიკ. რომ იცოდე რა სიამოვნებით გააკეთებდი შენთვის რამეს, თუნდაც სულ მცირეს, ოღონდ შემეძლოს, და ოღონდაც რამე მოვიფიქრო“.

დიკი მიტრიალდა, ვარსკვლავების ფარდის მიღმა აფრიკა იწვა. იქით იხედებოდა.

„მჯერა, ნიკოლ. ზოგჯერ ისიც მჯერა, რომ რაც მცირე იქნება ის რაიმე, მით უფრო დიდი სიამოვნებით გააკეთებდი“.

„არ გინდა ასე ლაპარაკი — დიკ, არ გინდა“.

ვარსკვლავიანი ცის შუქს იჭერდნენ თეთრი შხეფები და ისევ ცისკენ ტყორცნიდნენ, ზევით. გაფითრებული ჩანდა, მაგრამ ბრაზის კვალიც არ ეტყობოდა სახეზე დიკს. განდეგილივით იყო ახლა, და მოჭადრაკე რომ სვლის გაკეთებას დააპირებს, ისე, თანდათან გადაიტანა მზერა ნიკოლზე; მერე მაჯაზე მოჰკიდა ხელი და თავისკენ ნელა მიიზიდა.

„ამბობ, რომ შენ დამლუპე? ალერსით ჰკითხა. „მაშინ მე და შენ ორივე ვართ დალუპულები. ასე რომ...“

შიშისაგან ცივმა ოფლმა დაასხა და მეორე მაჯაც დიკის მოჭერილ ხელში მოაქცია. ძალიან კარგი, დიკთან ერთად ივლის, გაჰყვება — ისევ ცხადად და მძაფრად იგრძნო გრილი ღამის მშვენიერება, ახლა უფრო, თავის გაწირვის და სულიერი გამოდახილის ამ წამებში — ძალიან კარგი, მაშინ...

...მაგრამ დიკმა უცებ გაუშვა ხელი, მძიმედ ამოიოხრა და და შეტრიალდა.

ნიკოლს ცრემლები წასკდა—ვიღაც მოდიოდა და თანდათან ამათ მოუახლოვდა — ტომი ბარბანი.

„აჰა, იპოვეთ! ნიკოლს ეგონა, გემბანიდან გადახტით, დიკ“, თქვა მან. „იმის გამო, რომ იმ ინგლისელმა პრანწიამ იმდენი სლენგი დახარჯა თქვენთან“.

„კარგი იქნებოდა, გემბანიდან გადახტომაზე რომ მეფიქრა“, წყნარად თქვა დიკმა.

„მართლაც!“ სწრაფად აუბა მხარი ნიკოლმა. „სარტყლები ავიღოთ და გადავხტეთ წყალში. კარგი იქნება ეფექტურ რამეს თუ მოვიფიქრებთ. მე მგონია, ძალიან დავშორდით მხიარულ ცხოვრებას“.

ტომიმ ორივეს ისე გადახედა, თითქოს ყნოსავდა და სიტუაციისათვის იქნებ ახლა ამ გრილ ღამეში აელო ალღო.

„წავიდეთ და ლედი ლუდ-წყალწყალას ვკითხოთ რჩევა, ახალი რამერუმეები ალბათ იმან უნდა იცოდეს. მისი სიმღერა, „რა ჯოჯოხეთში იყო ის ქალი“, ზეპირად უნდა ვისწავლოთ. ფრანგულად მე ვთარგმნი — კაზინოში გასაგიჟებელი წარმატება ექნება, მე კი ფულს მოვხვეტავ“.

„ტომი, თქვენ მდიდარი ხართ?“ ჰკითხა დიკმა, როცა სამთავი ისევ კიჩოსკენ მიდიოდა.

„არც ისე ძალიან, ბირჟამ დამლალა და თავი დავანებე. მაგრამ ფასიანი ქაღალდები, რომლებიც მეგობრებს მივანდე, ცუდად არა მაქვს დაბანდებული, ასე რომ, ცხოვრება კარგად მიდის“.

„დიკი აპირებს გამდიდრებას“, თქვა ნიკოლმა. რეაქციის გამო იყო, რომ ხმა ოდნავ უთრთოდა.

კიჩოზე სამი წყვილი ცეკვაავდა, გოლდინგს თავისი. დიდრონი ხელები შემოეხვია და საცეკვაოდ გაეყვანა. ნიკოლი და ტომიც მათ შეუერთდნენ, ტომიმ შენიშნა:

„დიკი ბევრს სვამს“.

„არც ისე ბევრს“, გამოეჭომაგა ნიკოლი.

„ზოგი ვერ იტანს სმას, ზოგი იტანს. ეტყობა დიკი ვერ იტანს და თქვენ უნდა დაუშალოთ“.

„მე“! გაკვირვებით წამოიძახა ნიკოლმა. „მე უნდა დავუშალო ან არ დავუშალო დიკს რამე?“

„მარჯინი“ უკვე კანს მიუახლოვდა, დიკი ისევ ხმას არ იღებდა, ძილძორეულივით დუმდა. ბარკასი ჩაუშვეს, ლედი კეროლაინის მერე გოლდინგი თავად მიეხმარა დიკს გადასვლაში, ლედი კეროლაინ სიბლი-ბირსი მაშინვე წამოდგა ბარკასში და სხვა მხარეს დაჯდა. დოკზე გადმოსვლისას დიკმა მეტისმეტი ცერემონიობით დაუკრა თავი და წამით შედგა, თითქოს იმისთვის, რომ რაღაც მოსწრებული ეპიგრამა ეტყორცნა, მაგრამ ტომის იდაყვი მოხვდა ხელზე და სამთავე დაივერების მანქანისკენ წავიდა.

„მე წაგიყვანთ შინ“, შესთავაზა ტომიმ.

„არა, რატომ — ტაქსითაც წავალთ“.

„სიამოვნებით წაგიყვანდით, თუკი ლამესაც გამათევიანებთ“.

ვიდრე მანქანა ჯერ გოლფ-ჟუანის ყვითელ მონოლითს მიჰ-

ყვებოდა, და მერე კი ჟუან-ლე-პენსაც გასცდა, სადაც არას-
დროს არა ცხრება საკარნავალო მხიარულება და ღამე მუსიკის
ჰანგებითა და მრავალენოვან სიმღერებით ივსება ხოლმე, უკან,
საზურგეს მიწოლილი დიკი ჩუმად იყო. მაგრამ როცა მანქანამ
გორაკისკენ გაუხვია და ტარძისკენ აიღო გეზი, უცებ გაიმართა,
შესაძლოა იმის გამოც, რომ მოსახვევში გადაიხარა, და სიტყ-
ვის წარმოთქმა სცადა:

„მომხიბვლელი წარმომადგენელი —“ წაძით ენა დაება,
„—ფირმისა — მოიღეთ ტვინები ათქვეფილები ინგლისურად“.
მერე საზურგეს მიაწვა და ღრმა ძილს მიეცა, ხანგამოშვებით
გულაღმართადაც ფშვინავდა იმ თბილსა და ლბილ სიბნელეში.

VI

დილაადრიან დიკი ნიკოლთან შევიდა ოთახში.

„ვიცდიდი, სანამ ადგებოდდი. ალბათ საჭიროც არ არის
იმის თქმა, რომ ძალიან ვწუხვარ გუშინდელის გამო, მაგრამ
რაც იყო იყო — შენ რას იტყვი?“

„თანახმა ვარ“, გრილად მიუგო ნიკოლმა და სახე სარკეს
მიუახლოვა.

„შინ ტომიმ მოგვიყვანა? თუ დამესიზმრა?“

„იცი, რომ მოგვიყვანა“.

„ეტყობა ასეა“, მიუგო დიკმა, „რაკი მისი ხველება მესმის.
წავალ, ვნახავ“.

ნიკოლს გაუხარდა რომ წავიდა, თავის სიცოცხლეში თით-
ქმის პირველად გაუხარდა დიკის წასვლა — იმ თავისმა საში-
ნელმა უნარმა, რომ ყოველთვის მართალი ყოფილიყო, უმუხ-
თლა ბოლოს, როგორც იქნა.

ტომი უკვე ტრიალებდა საწოლში და რძიან ყავას ელოდებ-
ოდა.

„როგორა ხართ?“ ჰკითხა დიკმა.

ყელი მტკივაო, დაიჩივლა ტომიმ და დიკი პროფესიულად
მიუდგა ამ ამბავს.

„კარგია რამე გამოივლოთ“.

„გაქვთ გამოსავლები?“

„თქვენ წარმოიდგინეთ, არა მაქვს. ნიკოლს ექნება რამე“.

„ნიკოლის შეწუხება არ ღირს“.

„უკვე აღგა“.

„როგორ არის?“

დიკი ნელა შეტრიალდა. „გეგონათ, რაკი ბევრი დავლიე, ნიკოლი ამას ვერ გადაიტანდა?“ ღიმილოვანი ლაპარაკობდა. „ახლანდელი ნიკოლი ჯორჯიული ფიჭვივითაა, ეს ხე ყველაზე მაგარი ხეა ქვეყანაზე, ახალშელანდიური ევკალიპტის მერე“.

ნიკოლი კიბეზე ჩამოდიოდა და გაიგონა მათი ბოლო ფრაზები. იცოდა, რომ ტომის უყვარდა, ყოველთვის უყვარდა; და ისიც იცოდა, რომ ტომი მტრული ხდებოდა დიკისადმი, რომელმაც ეს მანამდე იგრძნო, სანამ ტომი გაიაზრებდა და დიკი რომ ურეაქციოდ არ დატოვებდა ტომის ცალმხრივ ვნებას, ესეც იცოდა. ამ ფიქრმა წუთით ნაღდი ქალური კმაყოფილება მოჰგვარა. ბავშვები საუზმობდნენ, ნიკოლი მაგიდასთან იდგა და გუვერნანტს მითითებებს აძლევდა, ზევით კი ორი მამაკაცი საუბრობდა და ორთავე მასზე ფიქრობდა ახლა.

კარგ გუნებაზე, ბედნიერი გავიდა ბაღში. სხვა არაფერი არ უნდოდა, ოღონდაც ასე გაგრძელდეს მერეც — ორთა ჭიდილი, ერთმანეთისთვის ეტყორცნათ ასე ნიკოლზე ფიქრი — დიდი ხანია აღარ უგრძნია რომ არსებობდა, თუნდაც ერთი რაღაც ბურთივით.

„რაო, ბოცვერებო, კარგია, არა? როგორ გგონია, — ჰეი, ბოცვერო — ჰო, რა იყო, ხომ კარგია — თუ შენ სხვას ფიქრობ?“

ბოცვერმა ცხვირი შეატოკა, მოსინჯა, იქნება რამე გამოვიდესო, მაგრამ ისევ კომბოსტოს ფოთლები ერგო და დაეთანხმა. ნიკოლი თავის საქმეს შეუდგა ბაღში. ლარნაკებისთვის ყვავილები მოჭრა, დათქმულ ადგილებში დააწყო — მებაღე სახლში შეიტანდა. ზღვისპირა ფლატემდე, პარაპეტთან მივიდა და მოუხდა, ვინმე ყოფილიყო, რომ ელაპარაკა, მაგრამ არავინ იყო და ისევ ფიქრს მიჰყვა. თითქოს შემცბარი იმით, რომ თურმე შეუძლია რაღაცა იგრძნოს სხვა კაცის მიმართ — მაგრამ სხვა ქალებს ხომ ჰყავთ საყვარლები — მეც რატომ არა? გაზაფხულის ამ მშვენიერ დილას მამაკაცის სამყაროსადმი ჩახშული აზრი სადღაცა გაქრა, ფიქრი ყვავილის

ფერებსა ჰგავდა, ქარი უშლიდა თმას და ჭერე გონებასაც ერეოდა. სხვა ქალებს ხომ ჰყავთ საყვარლები — და ის ძალა, რომელიც გუშინ დიკისთვის თავდადებისა და სიკვდილამდე ერთგულებისკენ უბიძგებდა, დღეს ქარს მიჰქონდა, და ბედნიერი იყო ამ ლოგიკით — ჰეც რატომ არა?

დაბალ პარაპეტზე ჩამოჯდა, ზღვას უყურებდა, მაგრამ სულ სხვა ზღვის, ფანტაზიის, თვალუწვდენელი ზღვის სიღრმეში რალაც ხელშესახები და ძვირფასი რამ ნადავლი ჰპოვა. თუკი მას არ მოეთხოვება რომ ისე იყოს, ვითომ ერთნი არიან თვითონ და დიკი, ისეთი დიკი, გუშინ რომ იყო, მაშინ იგი თავისთავადი უნდა იყოს და არა როგორც დიკის გონების ანარეკლი და მედლის გარშემო მარადიულად ბრუნვამისჯილი.

პარაპეტის ამ ადგილზე იმიტომ დაჯდა, რომ მთიანი ფერდობის დაქანებაზე ცოტათი ქვევით ბაღჩა მოჩანდა. ახლართული ტოტების იქით ორი გლეხი დაინახა, ფოცხები და თოხები მოეტანათ და იქაურითა და პროვანსული, შერეული დიალექტით ლაპარაკობდნენ.

„ზუსტად ამ ადგილას გადავაქციე“.

„იქა, ვაზებს იქით შევიყვანე“.

„ის დედაკაცი კი, ვითომც არაფერი — ის კაციცა. ჰოდა, ის ოხერი ძაღლი რომ არა, ეგ კი არის, სწორედ ამ ადგილას გადავაქციე და...“

„ფოცხები რა უყავი, შენა გაქვს?“

„მანდ ახლო ყრია, შე მასხარა“.

„ძაან არ მაინტერესებს, სად გადააქციე, აი. იმ ლამემდე ერთ დედაკაცსაც არ ჩავხუტებივარ, იმის მერე, რაც ცოლი შევირთე — თორმეტი წლის წინათ და შენ რაებს მეუბნები...“

„მოიცა, იმ ძაღლზე უნდა გითხრა...“

ტოტებსა და ტოტებშუა უყურებდა მათ ნიკოლი; ეჩვენებოდა, რომ ორთავე მართალი იყო — ერთისთვის ისე იყო კარგი, მეორეს სხვა უნდოდა, მაგრამ მაინც, რაც გაიგონა, მამაკაცების სამყარო იყო და შინ მიმავალი ისევ დაეჭვდა.

დიკი და ტომი ტერასაზე ისხდნენ. ნიკოლმა გაუარა მათ, და სახლში შევიდა, იქიდან თავისი სახატავი გამოიტანა და ტომის თავის ხატვა დაიწყო.

„ხან რა და ხან რა სართავი ჯარა — საქმე წინ წავა“. სი-

ცილით თქვა დიკმა. როგორ შეუძლია ასეთი ტრივიალური რაღაცების თქმა, როცა გუშინდლიდან სახეზე ისევ ფერი არ ადევს, იმდენად არის გაფითრებული, რომ ჟღალი წვერი წითელიდა ჩანს და თვალებიც იმ წვერის ფერი აქვს.

ტომის მიუბრუნდა და უთხრა:

„ყოველთვის შემოიძლია რაღაც ვაკეთო. ერთხანს ერთი პოლინეზიური მაიმუნი მყავდა, ციღამტკაველა, ხანდახან საათობით ვუჯექი და რადანაირ ფოკუსს არ ვასწავლიდი, მაგრამ შინაურებს ლამის გულზე შემოეყარათ და დამიშალეს, სულ იმაზე ლაპარაკობდნენ, თვალი დაადგეს...“

დიკს განგებ არიდებდა თვალს. ცოტა ხნის მერე დიკმა ბოდიში მოიხადა და სახლში შევიდა. — ნიკოლმა დაინახა წყალი რომ დაისხა, ჭიქას ჭიქაზე ცლიდა, და უფრო გამაგრდა ამის დანახვაზე, უფრო გაქვავდა.

„ნიკოლ—“ დაიწყო ტომიმ, და გაჩერდა. ყელის ტკივილმა შეუშალა, ხველა-აიტეხა, რომ ხმა მოსვლოდა.

„სპეციალურ ქაფურის მალამოს მოგცემთ და შეიზილეთ“, შესთავაზა ნიკოლმა, „ამერიკული მალამოა, დიკი ძალიან ენდობა მას. ახლავე მოვიტან“.

„წასვლის დროც არის“.

დიკი შემოვიდა და თავის ადგილზე დაჯდა.

„რას ვენდობი მე?“ იკითხა მან. მალამოთი რომ დაბრუნდა ნიკოლი, ისევ ისე ისხდნენ, მაგრამ მიხვდა, იმის აქ არყოფნაში ორთავე რაღაცნაირი გაცხოველებით ლაპარაკობდნენ არაფერზე.

შოფერი უკვე კარებთან იცდიდა, დიდი ჩანთა ეჭირა, — ტომის კოსტიუმით, ახლა ტომის დიკისა ეცვა, ნიკოლი უყურებდა და რაღაც ცრუ სიბრაღულს გრძნობდა. გეგონება ტომი ვერასოდეს ვერ იყიდდა ასეთ რაღაცას.

„ოტელში რომ მიხვალთ, ამით შეიზილეთ მკერდი და ყელი, მერე კი ღრმად შეისუნთქეთ“, არიგებდა ნიკოლი.

„მოიცა, ნიკოლ“, ტომიმ კიბე რომ ჩაიარა, ხმადაბლა უთხრა დიკმა, „მთელ ქილას ნუ აძლევ, ხომ იცი, აქ ეს მალამო არ იყიდება — პარიზიდან უნდა გამოვიწეროთ“.

ტომი ისევ დაბრუნდა, კიბესთან მივიდა, სამთავე მზეში იდგა, ტომი ქვევით, მანქანასთან ახლო, და ზევიდან ისე ჩან-

და, გეგონება, ახლა ოდნავ დაიხრება და მანქანას ზურგზე მოიგდებსო.

ნიკოლი ერთი საფეხურით ძირს ჩამოვიდა.

„დაიჭირეთ!“ დაუძახა. „ოღონდ არ გაგიტყდეთ, ძნელად იშოვება“.

იგრძნო, თავის გვერდით როგორ ჩუქად ამაღლდა დიკი; იმისგან კიდევ ერთი საფეხურით ჩავიდა დაბლა და ადგილიდან დაძრულ მანქანას, რომელშიც ტომი და ქაფურის სპეციალური დასაზღელი მალამო იყო, ხელი დაუქნია. მერე მოტრიალდა, რომ თავისი წამალი, რაც ეკუთვნოდა ის მიეღო.

„არ იყო საჭირო“, თქვა დიკმა, „ჩვენ აქ ოთხნი ვართ, და უკვე ამდენი წელია, თუ ვინმეს ხველა დაეწყება...“

ერთმანეთს შეხედეს.

„შეგვიძლია ახალი ქილა გამოვიწეროთ—“

მთელი თავისი გამბედაობა ერთბაშად გაქრა და მორჩილად მიჰყვა ზევით, სადაც დიკი მაშინვე დაწვა თავის საწოლზე, და არაფერი თქვა.

„გინდა, საუზმე აქ მოგიტანონ?“ ჰკითხა ნიკოლმა.

დიკმა თავი დაუქნია და ჭერს მიაშტერდა. ნიკოლი დაბნეული გავიდა, მსახურს ეტყოდა, რომ საუზმე ამოეტანათ, და როცა ისევ ზევით ამოვიდა, დიკის ოთახში შეიხედა — ისევ ისე იწვა, თვალები, ორი ცისფერი პროექტორი, ბნელ ცას სერავდა. წუთით კართან შეჩერდა, გრძნობდა თავის ბრალს დიკის წინაშე და შემოსვლა უჭირდა... მერე ხელი გაიწვდინა, თავზე უნდოდა მოფერებოდა, მაგრამ დიკმა დამფრთხალი ნადირივით გაიწია და ამის ატანა აღარ შეეძლო; მზარეულივით დაფეთდა, ოთახიდან გავარდა და დაბლა დაეშვა; შიში მოერია, როგორ იქნება ეს გაბზარული და გულგატეხილი კაცი და რაღას მისცემს მას, ჯერაც პირმშრალ ძუძუმწოვარას, ისევ ისე რომ ეკვროდა დიკს ცარიელ მკერდზე.

ერთი კვირის მერე ნიკოლს კიდევაც დაავიწყდა ტომით თავისი გატაცება — ადამიანებს ძნელად იმახსოვრებდა და ადვილად ივიწყებდა. მაგრამ ივნისის საშინელ, პირველ ცხელ დღეს გაიგო, რომ ტომი ისევ ნიცაში იყო, ბარათი გამოუგ-

ზაენა ორივეს — ნიკოლმა შინიდან წამოღებული წერილები ქოლგის ქვეშ გახსნა; ტომის ბარათი წაიკითხა და დიკს გადაუგდო, დიკმა დეპეშით გაუცვალა, ნიკოლს მუხლებზე პლაჟის პიჟამა ედო და დეპეშა ზედ დაუგდო:

ძვირფასებო ხვალ გოსთან ვიქნები. სამწუხაროდ უღედოდ იმედია გნახავთ

როზმერი

„გამიხარდება მისი ნახვა“, თქვა ნიკოლმა და მოიღრუბლა.

VII

მაგრამ დილით, როცა დიკთან ერთად პლაჟზე გავიდა, ისევ მოიცვა ავმა შიშმა, რომ დიკმა რაღაცა განწირული და უსასოო გამოსავალი ჩაიფიქრა. გოლდინგის იახტაზე საღამოს მერე გუმანით ხვდებოდა, რაც ხდებოდა. ისევ ძველ კედელს ეყრდნობოდა, რაც ყოველთვის უსაფრთხოების გარანტია იყო, მაგრამ უკვე გრძნობდა, რომ ერთი ნახტომი და — სხვა იქნებოდა, შეიცვლებოდა მისი არსება; სისხლი, კუნთები, ყველაფერი, ოღონდ, ამისიც ეშინოდა და ბოლომდე ფიქრსაც ვერ ბედავდა. დიკის, თავისი სახეები, ბუნდოვანი და გაურკვეველი, ფანტასმაგორიულ როკვაში ჩაბმულებივით, მოჩვენებებად ირეოდნენ იმის თვალწინ, თვეების მანძილზე ამათგან თქმული ყველა სიტყვა რაღაც სხვა აზრსაც შეიცავდა და როდის ან როგორ გაირკვეოდა ის სხვა აზრი, ეს მხოლოდ დიკის საქმე იყო. ეს ვითარება, შესაძლოა სასიკეთოც კი ყოფილიყო მერე — ხანგრძლივი წლებით, როცა ნიკოლის ცხოვრება რაღაც დაბინდულს ჰგავდა, მასში გაცოცხლდა თვისებები, რაც ადრეულად ჩაკლა თავისმა ავადობამ, და რაც დიკს არც მოუძიებია, ოღონდ დიკს არა ჰქონდა ამაში ბრალი, — არ შეიძლება ერთი ბუნება, ერთი რაობა ბოლომდე ჩასწვდეს სხვა ბუნებას და სხვა რაობას. შემაშფოთებელი კი მაინცა ჩანდა რაღაცა. ყველაზე სავალალო მათ ურთიერთობაში დიკის გულგრილობა იყო, უფრო და უფრო რომ იზრდებოდა და ახლა იმაში ვლინდებოდა, რომ ბევრსაცა სვამდა; თვითონ მას, ნიკოლს რა მოელოდა, დაიმსხვრეოდა თუ გადარჩებოდა, არ იცოდა —

დიკის მთრთოლი ხმა და გულდახურვა უბნევდა თავგზას. ვერა ხვდებოდა, რას იზამდა დიკი მაშინაც, როცა ნელა და თანდათანობით გაიშლებოდა დაკლაკნილი გზა, და ვერც იმას ხვდებოდა, რა მოხდებოდა ბოლო წუთში. მერმინდელი არ აფიქრებდა, ალბათ, ტვირთი რომ მოეხსნება კაცს, ან თვალე-ბიდან სახვევი ახსნეს, ისე იქნება. ნიკოლში ყველაფერი მოძრაობისა და ფრენისთვის იყო გამოთვლილი, ფრთებად და ფარფლებად ფული ჰქონდა. რაც მოხდებოდა და შეიცვლებოდა, უბრალოდ, სასრბოლო მანქანის იმ შასივით, დიდი ხნის წინათ ოჯახის ლიმუზინის ძარას ქვეშ რომ ამოუდვიათ და ახლა მოაძრეს, რათა, რისთვისაც საჭიროა, იმისათვის გამოიყენონ, — იმ შასივით თუ იქნებოდა. ახალი სიოს ქროლვას ნიკოლი უკვე გრძნობდა — მარტო სევდის, მარტო დარდისა ეშინოდა, იმ სევდისა, შავით და ბნელით რომ მოდიოდა და განშორება რომ მოუტანდა.

დაივერები პლაჟზე გავიდნენ, თეთრი კოსტიუმები ეცვათ, ნამზეურ სხეულებზე კიდევ უფრო თეთრი, ქათქათა ჩანდა სამოსი. ნიკოლი ხედავდა, რომ დიკი თვალებით ლანიესა და ტოპსის ეძებდა სხვადასხვა ფერისა და ფორმის ქოლგების ჩრდილებშუა და სანამ დროებით დიკმა თითქოს დატოვა და მასთან არ იყო, ნიკოლმა ცალკე მყოფივით შეხედა მას და გაიფიქრა, ბავშვები ახლა თავის დასაცავად სჭირდება და არა იმისთვის, თვითონ დაიცვას ისინიო. ეს პლაჟი, ალბათ, უფრო შიშისა ჰგვრის, დამხობილი მბრძანებელივით, ფარულად რომ მოსულა, რათა თვალი შეავლოს თავის სასახლეს. უკვე მოასწრო დიკის სამყაროს შეძულება, თავაზიანობითა და დელიკატური ხუმრობით სავსე სამყაროსი და დაავიწყდა, რომ წლების მანძილზე ერთადერთი ღია სამყარო მისთვის ეს იყო. დადგეს და უყუროს თავის პლაჟს ახლა, იმათი გემოვნებით გადაკეთებულს, ვინც გემოვნების არა იცის რა; მოვიდეს აქ და იხეტილოს თუნდაც მთელი დღე, სულ ერთია, ერთ ქვასაც ვეღარ იპოვის იმ ჩინურ კედლიდან, რითაც ოდესღაც შემოზღუდა აქაურობა, ვერსად იპოვის ძველი მეგობრის ფეხის ნაკვალევს.

წამით ნიკოლს დაენანა, რომ ასე იყო; გაახსენდა როგორ იღებდა დიკი მაშინ გროვად დაყრილი ხარახურიდან შუშის

ნამსხვრევებს, მატროსის შარვლები და სვიტერებიც გაახსენდა, ნიცის გარეუბნის ქუჩებში რომ იყიდეს — ამ სამოსლის მიხედვით იყო, რომ მერე პარიზელი მემოდელეები ახალ მოდას ქმნიდნენ აბრეშუმისგან. გაახსენდა ზვირთსამსხვრევზე ამოსული სოფლელი გოგონები, ჩიტებივით რომ ჟღერებდნენ: „ეი! ეი!“ და ტარმის დილის რიტუალი, როცა მთელი სახლი მშვიდად და სიხარულით ეგებებოდა მზესა და ზღვას; რაღას აღარ მოიგონებდა დიკი ამტეხი, შემაქცევარი, და ყველაფერი ღრმად ჩამარხულა, უსწრაფესად, სულ რამდენიმე წელიწადში...

ახლა ეს პლაჟი „კლუბად“ იქცა, ვინ და საიდან აღარ იყვნენ მისი წევრები და ყველას შეეძლო შიგ შესულიყო.

დიკი ჭილოფზე წამოიწია და თვალთ რომ მიჰყარა დაიწყო. ნიკოლმა მზერა დაიჭირა და ისევ ქვასავით იქცა თითქოს. თვალი მოავლო იქაურობას. ახლა პლაჟზე ათასნაირი რაღაცა იყო, ღერძები, რგოლები, მოძრავი გასახდელი კაბინები, მცურავი კოშკურები, პროექტორები — გუშინდელი ზეიმის მერე, ველოსიპედის საჭეებიანი ორნამენტის მოდერნისტული თეთრი ბუფეტი თვალსა ღლიდა.

წყალში როზმერის დანახვის იმედი არ ჰქონდა დიკს, ახლა ბევრი არ შედიოდა იმ ლაჟვარდ სამოთხეში, ბავშვები თუ დაკიდევ ერთი კამერდინერი, დიდი ამბით ყოველ დილას რომ ხტებოდა წყალში ორმოცდაათი ფუტის სიმაღლის კლდიდან — გოსის ბინადართა უმრავლესობა მარტო იმიტომ იძრობდა ბიჭამას და აჩენდა თავის თონთლოობას, რომ ზუსტად შუადღით, დაღვეის მერე ერთხელ ჩაეყვინათ და ამოსულიყვნენ.

„იქ არის“, შენიშნა ნიკოლმა.

დიკს შეხედა, როცა როზმერის უყურებდა ის; ტივიდან ტივამდე მიცურავდა და უყურებდა. ნიკოლმა ამოიოხრა, მაგრამ ამ ამოოხვრამ, გულს რომ ამოჰყვა, რაღაც ძველი და დაგუბებული, ხუთი წლის წინანდელი გაიყოლია.

„წავიდეთ, გავცუროთ, როზმერი ვნახოთ“, შესთავაზა დიკმა.

„შენ წადი“.

„არა, ორივე წავიდეთ“.

წუთით სცადა გასძალებოდა ამ გადაჭრით ამოთქმულ სი-

ტყვებს, და უკვე ერთად მიცურავდნენ, ლიფსიკა თევზების კვალს მიჰყვებოდნენ, ბრჭყვიალა სატყუარასაგან დაბრძანებულნი კალმახებივით რომ ტრიალებდნენ წყალში როზმერის ახლომახლო, იმ თევზების კვალს.

ნიკოლი წყლიდან არ ამოსულა, დიკი ტივზე აძვრა და როზმერისთან დაჯდა, ზღვის წყლით გაბანილები, წვეთები რომ ჩამოსდიოდათ, ისე ლაპარაკობდნენ, თითქოს ამათ არც არასოდეს ჰყვარებიათ და არასოდეს მიჰკარებიათ ერთმანეთსო. როზმერი მშვენიერი იყო — ნიკოლს იმისი ახალგაზრდობა აოცებდა, მაგრამ გაუხარდა, როცა შეამჩნია, რომ თვითონ ოდნავ, თმის ღერზე უმსხოსად თხელი იყო, ნიკოლი ტივთან ახლოცურავდა და როზმერის ლაპარაკს უგდებდა ყურს, გახარება, მოლოდინი, სილაღე ჰქონდა ამ ხმაში და კიდევ — ოდნავ უფრო მეტი გულდაჭერება ვიდრე ხუთი წლის წინათ.

„დედა ძალიან მომენატრა, პარიზში დამხვდება ორშაბათს“.

„ხუთი წლის წინათ გამოჩნდით ამ პლაჟზე“, უთხრა დიკმა, „მაშინ ძალიან სასაცილო გოგონა იყავით, გოსის ოტელის საბანაო ხალათი გეცვანთ და რა სასაცილო გოგონას ჰგავდით!“

„როგორ გახსოვთ ყველაფერი! წინათაც გახსოვდათ — და თანაც ყოველთვის კარგი რაღაც“.

ისევ იწყება ქათინაურებით თამაში, გაიფიქრა ნიკოლმა. ჩაიყურყუმელავა და წყალქვეშ გაცურა, ამოყურყუმელაგებისას გაიგონა:

„მინდა ისე იყოს, თითქოს ეს ხუთი წელი არც ყოფილა და ისევ თვრამეტისა ვარ. თქვენთან ყოველთვის კარგი იყო, კარგად ვიყავი, ბედნიერი — არა, ისე კი არა, რაღაც ძალიან ბედნიერი — თქვენთან და ნიკოლთან ერთად. ასე მგონია ახლაც ყველას გხედავთ პლაჟზე, ყველას ერთ ქოლგას შეფარებულს — ისეთ კარგ ხალხს მე მანამდე არ შევხვედრივარ და ასე მგონია, აღარც შევხვდები“.

ნიკოლმა გაცურა, ოღონდ მანამდე შეამჩნია, რომ დიკს როზმერისთან ლაპარაკისას ღრუბელი ოდნავ გადაეყარა, თითქოს ამ ძველმა თამაშმა ახლა გამქრქალეული კარგი სურათის დარად იჩინა თავისი ხიბლი; ცოტა ღვინოც და — როზმერის წინ რგოლებზე ჩამოეკიდება, უწინდებურად მარდად არა,

მაგრამ მაინც ეცდება ტრიუკები აჩვენოს. ეს პირველი ზაფხულია, რაც სიმალლიდან წყალში ხტომას ერიდებაო, გაიფიქრა ნიკოლმა.

მოტორილდა, ფაქტიურად კი ისევ იმ ტივთან ახლო ცურავდა და დიკიც დაეწია.

„როზმერის მეგობრებს სწრაფმავალი კატერი ჰყავთ, აგერ, იქა დგას, გინდა აკვაპლანზე შევდგეთ? მე მგონია, კარგი იქნება“.

ნიკოლს გაახსენდა, იყო დრო, დიკი ყირას ჭიმავდა ფიცრის ბოლოზე დადგმულ სკამზე და ახლა თავისი ვაჟის, ლანიესავით მოუნდა მისი განებივრება. შარშან, თავიანთ ბოლო ზაფხულში ცუგის ტბაზე, ხშირად ერთობოდნენ ამ სასიამოვნო წყლის თამაშით, ერთხელ, ფიცარზე დგომისას დიკმა მხრებით ასწია კაცი, რომელიც ორას გირვანქას იწონიდა, და ასე გაჩერდა. მაგრამ ქალები კაცებს იმათი ყველა ნიჭითა და მოხერხებით ირჩევენ ქმრებად და მერე კი უკვე, ძნელია ქალის გაკვირვება, თუმცა ხანდახან თავს ისე იჭერს, ვითომ კიდევაც ოცდება ხოლმე, ნიკოლი კი მაინცდამაინც არც ასე იჭერდა თავს დიკთან, ბევრი-ბევრი, ეტყოდა — „ჰო“, ან კიდევ: „ასეც ვფიქრობდი, რომ გამოგივიდოდა“.

ახლა კი ნიკოლმა ისიც იცოდა, რომ გადაქანცული იყო დიკი და მხოლოდ როზმერის სიახლოვემ და ახალგაზრდობამ შემატა ძალა და მღელვარება. ასეთი აღმაფრენით დიკი თავიანთი ახალდაბადებული ბავშვების სხეულის დანახვისას ახსოვდა ნიკოლს და გულგრილად გაიფიქრა, სასაცილოდ არ გაიხადოსო თავისი თავი.

კატერზე დაივერები ყველაზე უფროსები იყვნენ — ახალგაზრდები თავაზითა და კრძალვით ექცეოდნენ, მაგრამ ნიკოლი მაინც გრძნობდა რაღაცა შეფარულ აზრს — „ეს რაღაა, კარგი, რა, ვინ არიანო“, დიკი მისწრება იქნებოდა აქ, სიტუაციას იოლად აუღებდა ალლოს და თავის ნებაზე წაიყვანდა ყველაფერს. მაგრამ დიკს საამისოდ არ ეცალა — ახლა იმაზე ფიქრს მოეცვა, რას ანდა როგორ გააკეთებდა.

ნაპირიდან ორასი იარდის მოშორებით მოტორის ხმაური მიწყდა, ერთი ჭაბუკთაგანი გაშლილად გადაეშვა წყალში, მოქანავე ფიცრისკენ გაიქურა, გაასწორა და ფრთხილად ზედ შე-

დგა — ჯერ მუხლებით, მერე კიდევ — წამოიწია და გაიძარტა. გადაიზნინა და ასე მართავდა მსუბუქ „ხომალდს“, მოხერხებულად, თანაბარი რწევა-რხევით, გადაქანებისას სუნთქვაშეკრულს კატერის კვალდაკვალ მიჰყავდა იგი, კატერი თანდათან უმატებდა სიჩქარეს და ბოლოს გაასწორა ფიცარი ტალღაზე, თოკი გაუშვა, ერთ წუთს ისევ ინარჩუნებდა წონასწორობას, ფეხით უბიძგა და გადაეშვა, მშვენიერების ქანდაკებად ჩაიძირა და ისევ გამოჩნდა ზღვაში რალაცა პატარა თავად კატერიდან, მის შესახვედრად რომ უხვევდა უკვე.

ნიკოლმა, როცა მოუწია, უარი თქვა; მერე როზმერის ჯერი დადგა. ფრთხილად და გაუწაფავად დადგა ფიცარზე, თავისი მცემლები ხმამაღალი შეძახილებით ამხნევებდნენ. სამი მათგანი ისეთი მონდომებითა და თავგამოდებით ცდილობდა პატივი რგებოდა და თვითონ მიშველებოდა როზმერის ნავში გადმოსვლაში, რომ კინაღამ იჩხუბეს და ამასობაში ის მოახერხეს, რომ როზმერის მუხლი და თეძო დაეყეჟა.

„თქვენი ჯერია, დოქტორო“, თქვა მექსიკელმა მესაჭევრემ.

დიკი და ის ჭაბუკი, ბოლოს რომ დარჩა, ნავიდან გადახტნენ და ფიცრის მიმართულებით გაცურეს. დიკი თავისი ტრიუკის გაკეთებას აპირებდა და ნიკოლი დამცინავი ღიმილით ადევნებდა თვალს. დიკის ეს მონდომება, რომ როზმერის კარგად დანახვებოდა, ყველაზე მეტად აბრაზებდა.

როცა ორთავემ, რხევა-რწევით ფიცარი გაასწორეს, დიკი მუხლებით დაეყრდნო მას, თავი „კომპანიონის“ ფეხებზე გაყო, თოკს ხელი მოჰკიდა და ნელ-ნელა წამოიწია, რომ გამართულიყო.

კატერიდან ხედავდნენ, რომ უჭირდა. ახლა იგი ერთ მუხლზე იდგა, ტრიუკის სიძნელე ის იყო, რომ იმავე მოძრაობით მეორე ფეხიც დაედგა და გამართულიყო. წამით სული მოითქვა, მერე თავს ძალა დაატანა, სახე დაეძაგრა, კუნთები დაჭიმა და აიწია.

ფიცარი ვიწრო იყო. ის ჭაბუკი ას ორმოცდაათ გირვანქაზე მეტს არ იწონიდა, მაგრამ მაინც ვერ მოერია თავის სიძიმეს, ამას ისიც დაერთო, რომ დიკის თავს ჩაეჭიდა. ბოლოს, ზურგის კუნთების უკანასკნელი, სასოწარკვეთით დაჭიმვა და დიკ

მა მოახერხა გამართულიყო, იმწამსვე ფიცარიც გადაიხარა და ორთავე წყალში გადაყირავდა.

კატერში როზმერის წამოძახილი გაისმა:

„შესანიშნავია! თითქმის გამოვიდა!“

მაგრამ როცა კატერმა მათ შესახვედრად მოუხვია, ნიკოლი სახეზე დააკვირდა და ბრაზი შეამჩნია — ასეც იცოდა, რადგან ჯერ კიდევ ორი წლის წინათ მეტად იოლად აკეთებდა დიკი ამ ტრიუკს.

მეორეჯერ უფრო ფრთხილობდა. ჯერ ნელა წამოდგა, ტვირთის სიმძიმეს ამოწმებდა, ისევ დაეშვა ცალ მუხლზე და მერე — „აღე ოპ!“ — წამოიძახა და წამოდგომა დაიწყო, მაგრამ ვიდრე მთლად გაიმართებოდა, უცებ ფეხებში მოიღუნა და ძლივს მოასწრო ფეხის წაკვრით ფიცარი განზე გაეწია, რომ ზედ არ დასცემოდა.

როცა კატერი მოახლოვდა, ახლა ყველამაც შეამჩნია, რომ დიკი გაბრაზდა.

„ხომ შეიძლება ერთხელაც ვცადო?“ წყლიდან ამოიყვირა. „თითქმის ბოლომდე მივიყვანეთ“.

„კარგი, მიდით“.

ნიკოლს მოეჩვენა, რომ სახეზე ფერი აღარ ედო და გააფრთხილა:

„დღეისთვის იქნებ აღარა ღირს?“

დიკმა არ უპასუხა, პარტნიორმა, მე მეტი აღარ შემიძლიაო, და ნავზე აიყვანეს, მექსიკელი მესაჭევრე გადავიდა, იმან იკისრა მაგივრობა.

ეს პირველზე უფრო მძიმე იყო. ვიდრე კატერი სიჩქარეს უმატებდა, დიკი პირქვე იწვა ფიცარზე და ცოტათი დაისვენა მერე პარტნიორის ფეხებშია შეძვრა, თოკს ხელი მოჰკიდა და კუნთებისა და ძალის დაძაბვით წამოდგომა სცადა.

ვერ ადგა. ნიკოლი ხედავდა, როგორ შეცვალა პოზა და ერთხელაც სცადა, მაგრამ როგორც კი პარტნიორი ფიცარს მოსცილდა და მთელი სიმძიმით დააწვა მხრებზე, თითქოს გაქვავდა. კიდევ ერთხელ სცადა — ერთი დუიმით, ორი დუიმით, — ნიკოლიც დაიძაბა იმასთან ერთად, გრძნობდა, დიკს თითქოს ყველა ფორი გაეხსნა შუბლზე და ოფლად იღვრებოდა — წუთით როგორღაც იყო ასე, მერე ერთბაშად დავარდა ისევ მუხ-

ლებზე და გადატრიალდნენ, ფიცარი აყირავდა და დიკი ძლივს გადარჩა, რომ თავი ფიცრისთვის ზედ არ დაერთყა.

„ჩქარა, უკანვე!“ დაუძახა ნიკოლმა მესაჭევრეს და უცებ დაიყვირა, როცა დაინახა, რომ დიკი წყალქვეშ გაუჩინარდა; მაგრამ მალე ისევ ამოყო თავი და ზურგზე გაწვა. მისაშველებლად გაცურეს. საუკუნე გავიდა თითქმის, სანამდე ახლო მივიდოდნენ, მაგრამ როცა ბოლოს და ბოლოს მიახლოვდნენ, ნიკოლმა დაინახა, უძალდონო და პასიური, დიკი ტალღაზე ირწეოდა, თითქოს გარშემო არა იყო რა, მხოლოდ ცა და ზღვა, და უცებ ის შიში გაუქრა და მძულვარე გახდა.

„მოგეხმარებით, დოქტორო... ფეხზე მოჰკიდეთ ხელი... ასე... ახლა ერთად...“

დიკი დაჯდა, მძიმედ სუნთქავდა, არსაით არ იყურებოდა.

„ასეც ვიცოდი, რომ არაფერი გამოგივიდოდა“, თავი ველარ შეიკავა ნიკოლმა.

„იმ ორჯერ ცდამ დაღალა“, თქვა მექსიკელმა.

„სისულელე იყო, არ უნდა ეცადა“, ისევ თქვა ნიკოლმა. როზმერი ტაქტიანად დუმდა.

დიკმა, როგორც იყო, მოითქვა სული. „ამჯერად ქალაქის თოჯინასაც ვერ ავწევდი“.

ვილაცას სიცილი წასკდა და ამ მარცხის გამო დაძაბულობაც მაშინვე გაქრა. დოკზე რომ გადადიოდნენ, ყველა ცდილობდა ყურადღება გამოეჩინა დიკის მიმართ. მაგრამ ნიკოლი იყო გაბრაზებული—ახლა მას უკვე ყველაფერი, რასაც კი დიკი აკეთებდა, ბრაზსა ჰგვრიდა.

ნიკოლი და როზმერი ქოლგის ქვეშ დასხდნენ. დიკი ბუფეტისკენ წავიდა, რომ რალაცა დაეღია და მალე დაბრუნდა, ორივესთვის ხერესი მოჰქონდა.

„ცხოვრებაში თქვენთან დავლიე სულ პირველად“, თქვა როზმერიმ და უეცარი გახალისებით დაუმატა, „მე ისე ძალიან მიხარია, რომ ისევ გხედავთ, და თანაც ვიცი, რომ კარგადა ხართ. მე მეშინოდა —“ გაჩერდა და ფრაზა ასელა დაამთავრა, „იქნებ, როგორ არიან-მეთქი“.

„თქვენამდე მოაღწია ხმამ, რომ დიკ დაივერი ქვევით დაქანდა?“

„ო, რას ამბობთ! უბრალოდ — ვილაცამ მითხრა, რომ გა-

მორცვალეთ და მიხარია, საკუთარი თვალით ვხედავ, რომ ასე არ არის“.

„ასეა“, თქვა დიკმა, როცა თვითონაც ჯდებოდა მათთან. „დიდი ხანია გამოვიცვალე, ოღონდ თავიდან ამას ვერ ამჩნევდნენ. როცა შიგნით ბზარი გაჩნდება, ერთხანს გარედან ყველაფერი ისევ ისე ჩანს“.

„რივიერაზე პრაქტიკა იგაქვთ?“ სწრაფად ჰკითხა როზმერიმ.

„ურიგო არ იქნებოდა, სუბიექტები საამისოდ აქ ბლომად არიან“. ოქროსფერ ქვიშაზე თავით აქეთ-იქით ხალხის ჯგროსკენ გაახედა. „ბევრნი არიან, აგერ იქ, ძველი მეგობარი მისიზ აბრამზი, ჰერცოგის მეუღლეს თამაშობს მერი ნორთის — დედოფლის წინაშე. მაგრამ არ შეგშურდეთ — გაიხსენეთ რა დიდხანს ეწვალა მისიზ აბრამზი, როცა ოთხზე აღიოდა „რიტცის“ უკანა კარის კიბიდან, ძლივს ააღწია კიბეზე ზევით და მთელი ხალიჩის მტვერიცა ყლაპა“.

როზმერიმ შეაწყვეტინა. „მაგრამ ეს მართლა მერი ნორთია?“ გაკვირვებით გახედა ქალს, ამათ მხარეს რომ მოდიოდა რამდენიმე თანმხლებთან ერთად, რომლებიც თითქოს მიჩვეულები იყვნენ იმას, რომ უყურებდნენ. დაივერებისგან ათიოდე ნაბიჯითლა იყვნენ დაცილებული, რომ მერიმ ცერად და სწრაფად გამოხედა მათ, ეს ერთი ის უხეირო გამოხედვა იყო, როცა გაგრძნობინებენ, რომ შეგამჩნიეს, მაგრამ ყურადღების ღირსად არ ითვლიან. არც დაივერები და არც როზმერი ჰოიტი თავიანთ თავს არასოდეს მისცემდნენ ნებას ვინმესთვის ასე შეეხედათ. დიკი ცოტა კიდევაც გაართო იმან, რომ როცა მერიმ როზმერი იცნო, გადაიფიქრა და უკვე ამათკენ წამოვიდა, ნიკოლს გულითადად დაელაპარაკა, დიკს კი თითქმის არც შეხედა, გეგონება ეშინია, რალაცა არ გადამედოსო, არც გაიღიმა, ისე დაუქნია თავი, — დიკმა თავის მხრივ, ირონიულად, ვითომდა დიდი მოწიწებით დაუკრა თავი — მერი როზმერისკენ შეტრიალდა.

„მე უკვე მითხრეს, რომ აქა ხართ. რამდენი ხნით?“

„ხვალამდე“, მიუგო როზმერიმ.

თვითონაც შეამჩნია, მერი იმისთვის წამოვიდა დაივერებისკენ, რომ მას გამოლაპარაკებოდა, და ერთგულებამ და მოვა-

ლეობამ ამათღამი, ჩააცხრო მისი ძღველვარება. არა, დღეს ვერ მივა სადილზე.

მერი ნიკოლს მიუბრუნდა, მისი მანერა ერთმანეთში არეულსა და გადახლართულ ღელვასა და თანაგრძნობას გამოხატავდა.

„როგორ არიან ბავშვები?“ ჰკითხა.

სწორედ ამ დროს ბავშვებმაც მოირბინეს და ნიკოლს სთხოვეს, გუვერნანტს რაღაც უთხარიო — ბანაობა უნდოდათ ზღვაში.

„არა“, ნიკოლის მაგივრად უპასუხა დიკმა. „რაკი მადმაზელი ასე ამბობს, ასეა საჭირო“.

ნიკოლი იმ აზრს იზიარებდა, რომ უფლებით აღჭურვილი ავტორიტეტის ღირსება არ უნდა შელახო, და უარი უთხრა. მერიმ კი, რომელსაც, ანტია ლუსის გმირივით, მხოლოდ მომხდარი ფაქტები აინტერესებდა და მიეჩვია, რომ მხოლოდ ასეთ ფაქტებთან ჰქონოდა საქმე — დიკისკენ ისე გაიხედა, გეგონება აღმაშფოთებლად სასტიკი კაცის ჭირვეულობას შეესწრო. მაგრამ დიკი გაბეზრდა ამ სპექტაკლით, ვითომ ძალიან შეწუხებულმა გამოიკითხა:

„როგორ არიან თქვენი ბავშვები — და იმათი მამიდები?“

მერიმ არ უპასუხა; გაქცევის მოწადინე ლანიეს თანაგრძნობით გადაუსვა თავზე ხელი და, წასვლა ინება. მისი წასვლის მერე თქვა დიკმა: „როცა გავიფიქრებ, რამდენი დრო დავკარგე იმისათვის, რომ მაგისგან რაღაც გამოსულიყო“.

„მე მომწონს იგი“. თქვა ნიკოლმა.

როზმერი გააოცა დიკის მწარე ტონმა, მას ისეთი დიკი ახსოვდა, ვისაც ყველაფერი ესმის და ვინც ყველას ყველაფერს მიუტევებს. უცებ გაახსენდა, რაც მასზე გაეგონა. როზმერისთან ერთად გემით სახელმწიფო დეპარტამენტის რამდენიმე თანამშრომელი, ამერიკელები მგზავრობდნენ, იმდენად გაეგრობელებული, რომ უკვე დაჭირდებოდა თქმა, რომელი ქვეყნის მოქალაქეებად ჩაგეთვალათ. საუბარში სად აღარ მყოფი ბები უორენის სახელი ახსენეს, ითქვა, რომ ბების უმცროსმა დამ თავი დაიღუპა იმით, რომ დაკარგულსა და ლოთ ექიმს გაჰყვა ცოლად. „მას უკვე აღარსად ღებულობენ“, შენიშნა ერთმა ქალბატონმა.

როზმერი ამ ფრაზამ შეაშფოთა, მიუხედავად იმისა, რომ დაივერები მისთვის იმ წრეში როდი იყვნენ, სადაც ასეთ ფაქტს, თუ ფაქტი იყო, რამე აზრი ეძლევა, მაინც, ამ სიტყვებს მიღმა, რაღაც ბუნდოვნად დაინახა — თითქოსდა ზურგი აქციესო, და ისევ ესმოდა, „მას უკვე აღარსად ღებულობენ“. წარმოიდგინა, როგორ ადის დიდებული სახლის კიბეზე, საფეხურებს აივლის დიკი და თავის სადარბაზო ბარათს აძლევს სახლთუხუცესს. ის კი აუწყებს: „ჩვენ თქვენ უკვე ვეღარ მიგიღებთ“. მერე დაუყვება ავენიუსს, და სადაც კი მივა, უთვალავი სახლთუხუცესები სხვა დესპანების, ნდობით აღჭურვილი პირებისა და ელჩებისა, ერთსა და იმავეს ეუბნებიან...

ნიკოლი წასვლაზე ფიქრობდა. უკვე იცოდა, რაც იქნებოდა, დიკი ჭინჭარდასუსხულივით შეტოკდება, ხიბლს დაიბრუნებს და როზმერიც, რაღა თქმა უნდა, ვერ გაუძლებს. და მართლაც, წუთის მერე დიკის ხმაში ნატამალიც კი აღარ იყო იმ უსიამოვნო სიტყვებისა, რაც მანამდე თქვა:

„მერიზე, კაცმა რომ თქვას, რა უნდა ვთქვა, როგორც უნდა ისეა და ისე ცხოვრობს. მაგრამ ძნელია კარგად მოექცე იმათ, ვინც შენ აღარ გექცევა კარგად“.

როზმერი იმწამსვე იმავე ტონში ალაპარაკდა, მტრედევით ღულუნებდა.

„თქვენ ისეთი კარგი ხართ, დიკ. თუნდ აწყენინოთ ვინმეს რამე, ვერ წარმოვიდგენ არ გაპატიონ“. მერე მიხვდა, რომ გადააჭარბა, და იმ ზღვარს გადასცდა, მხოლოდ ნიკოლს რომ ეკუთვნოდა, თვალეები დახარა და დაივერებს შუა, ქვიშაზე ერთ წერტილს ჩააშტერდა. „სულ მინდა გკითხოთ, ორივეს, რა აზრისა ხართ ჩემს ბოლო სურათზე — თუ ნახეთ ის ფილმები“.

ნიკოლს არაფერი უთქვამს, მხოლოდ ერთი ფილმი ნახა და მაინცდამაინც ბევრი არ უფიქრია მასზე.

„ერთბაშად, ძნელია რაიმეს თქმა, მაგრამ შევეცდები“, თქვა დიკმა. „ვთქვათ ნიკოლი გეუბნებათ, რომ ლანიე ავად არის. ცხოვრებაში როგორი რეაქცია გექნებოდათ ამაზე? ან სხვა, ვინც გინდა იყოს, ამ ამბავს როგორ მიიღებდა? თამაშს დაიწყებდა — სახით, ხმით, სიტყვებით — სახე მწუხარებას გამოხატავდა, ხმა და სიტყვები — შეშფოთებას და თანაგრძნობას“.

„ღიახ, მესმის“.

„სცენაზე სხვაგვარად ხდება. ყველა დიდი კომედიანტი თავის დიდებას იმით აღწევს, რომ უნარი შესწევს ადამიანის ჭეშმარიტი ემოციების — შიშის, შებრალების, სიყვარულის პაროდირებისა“.

„გასაგებია“. თუმცა, მაინცდამაინც გასაგები არ იყო.

„აქტრისას ეს ბუნებრივი რეაგირება ვერ ექნება. კიდევ ერთი რამ — ვთქვათ გითხრეს, რომ „თქვენი შეყვარებული მოკვდა“. ცხოვრებაში ასეთი რამ მოგცელავდათ, მაგრამ სცენაზე ის უნდა მოახერხოთ, რომ დიქტატული იყავდეთ მყარებული — „ბუნებრივი რეაგირება“ თვითვე ექნებათ. აქტრისა, ჯერ ერთი, ტექსტს მიჰყვება, თან უნდა შეეძლოს, რომ აუდიტორია ფიქრობდეს მასზე და არა რომელიმე მოკლულ ჩინელზე, ანდა კიდევ სხვა რაღაცაზე, რაც გინდა იყოს. ამისათვის კი საჭიროა ისეთი რამ გააკეთოს, რასაც არ ელის მყარებული. თუ მყარებლისთვის ცნობილია, რომ თქვენი გმირი ძლიერია, სუსტი უნდა აჩვენოთ და თუ სუსტია, ძლიერი უნდა აჩვენოთ იგი. მთლიანად უნდა გამოხვიდეთ სახიდან — გასაგებია?“

„მთლად გასაგები არ არის“, აღიარა როზმერიმ. „რას გულისხმობთ სახიდან გამოსვლაში?“

„აკეთებთ იმას, რასაც არ ელის მყარებული, მანამდე, სანამ არ მოახერხებთ, რომ ისევ თქვენზე იფიქროს და ისევ მიიპყროთ ყურადღება“.

ნიკოლს მეტის ატანა აღარ შეეძლო. მკვეთრი მოძრაობით წამოდგა უცებ, არ უცდია დაეფარა მოუთმენლობა. როზმერიმ, უკვე რამდენიმე წუთის წინათვე ბუნდოვნად იგრძნო, რაღაც ვერ იყო კარგად საქმე, ტოპსის შეხედა, წყნარად, ღიმილით, თითქოს ამათი დაშოშმინება ამითი სურსო.

„გინდა მსახიობი გამოხვიდე, როცა გაიზრდები? მე მჯერა, რომ შესანიშნავი მსახიობი იქნები“.

ნიკოლმა ცივად შეხედა და პაპამისის ხმით, აუჩქარებლად და მკაფიოდ უთხრა:

„სავსებით დაუშვებელია სხვათა ბავშვებს ასეთი აზრები ჩაუდოთ თავში. უნდა გახსოვდეთ, რომ ჩვენ შეიძლება სხვა გეგმები გვაქვს, როცა ბავშვებს ეხება საქმე“. მკვეთრად მიტ-

რიალდა დიკისკენ. „მე შინ წავალ, მანქანით. შენ და ბავშვებს მიშელს გამოგიგზავნით“.

„მაგრამ, რამდენი თვეა საჭესთან აღარ მჯდარხარ“, მიუგო დიკმა.

„არაფერია, ტარება არ დამვიწყებია“.

არ შეუხედავს როზმერისთვის, რომლის სახეც ცხადად და შმაგად გამოხატავდა „ბუნებრივ რეაგირებას“ და ქოლგიდან გავიდა, რომ ჩაეცვა.

კაბინიდან ისევ ისეთი სახით გამოვიდა, გაბრაზებული, შეულწეველი და მკაცრი იერით. მაგრამ ფიჭვებიან გზაზე გავიდა და სუყველაფერი შეიცვალა — მწვანე ვარჯები ევლებოდა თავს, ერთი ტოტიდან მეორეზე დახტოდა ციყვი, ფოთლებში ქარი შრიალებდა, შორით მამალმა დაიყივლა და სიწყნარე გააპო, მზის სხივები უძრაობის საფარს ატანდა, პლაჟის ხმაური აქამდე არ აღწევდა და ნიკოლი მოეშვა, ახლა ლალად და ხალისით იყო, ბედნიერი; ფიქრები წკრიალა ზარებივით მკაფიო გაუხდა — ახლა გრძნობდა, რომ ჯანსაღი იყო, ახალთახალი, უზარმაზარი და ხასხასა ყვავილივით გაიშალა და ლაბირინთიდან გამოდიოდა, ლაბირინთიდან, სადაც ამდენ ხანს ხეტიალობდა უგზო-უკვლოდ; პლაჟზე ფიქრიც კი არ უნდოდა, ეჯავრებოდა იქაურობა, ყველა ადგილი, სადაც მზე, დიკი იყო და თვითონ — პლანეტა, იმ მზის გარშემო.

„ახლა მე უკვე კარგადა ვარ“, ფიქრობდა იგი. „უკვე თვითონვე ვდგავარ ფეხზე, უიმისოდ“. და გახარებული ბავშვივით, ჩქარა უნდოდა ისულ ბოლომდე რომ ეგემო ეს საღვსეობა, და თუმცა ბუნდოვნად გრძნობდა, იცოდა, რომ აქ დიკის ხელიც ერია და ამას ელოდა ნიკოლისგან, შინ მისვლისთანავე საწოლზე დავარდა და ტომი ბარბანს ნიცაში პატარა, გამომწვევი ბარათი მისწერა.

მაგრამ ეს დღისით იყო — საღამოსთვის კი ნერვული აგზნება თანდათან ჩაცხრა, ნიკოლი მიუყუჩდა და შებინდებისას ისევ ისრები წამოვიდა, არ იცოდა, რა ჰქონდა დიკს გუნებაში და ეს აშინებდა; გუმანით ახლაც ისევა გრძნობდა, რომ ბოლო ხანებში თავის საქციელს დიკი თითქოსდა რალაცა გეგმას

უმორჩილებდა, ეშინოდა დიკის გეგმების — ყოველთვის როგორ
ლოგიკური ასრულება ეწერა ხოლმე, და ნიკოლი ვერას ახერ-
ხებდა. თავიდანვე სულ ასე იყო, დიკი ფიქრობდა მათ მაგივ-
რად და მაშინაც, როცა შინ არ იყო, ნიკოლის ყველა საქციე-
ლი თავისთავად ეხამებოდა დიკის ნებას, ამიტომაც ახლაც
უჭირდა თავისი და დიკის ზრახვები გაეშორა ერთმანეთისგან.
არადა, თვითონ უნდა ეფიქრა; ბოლოს და ბოლოს, როგორც
იქნა უკვე იცოდა მოჩვენებათა საშინელი სამყაროს კარი და
მისი ციფრი, იმ კარისა, რომლის ზღურბლზე თავის საშველად
შემდგარისთვის ხსნა აღარ არის; მან იცოდა, რომ ამიერიდან
ყველაზე დიდი შეცოდება თავისი თავის მოტყუება იქნებო-
და. გაკვეთილი ხანგრძლივი იყო, მაგრამ კარგადაც აითვისა.
თვითონ იფიქრე — არადა ისინი, ვინც შენ მაგივრად იფიქრე-
ბენ, მთელ ძალას წაგართმევენ, გარდაქმნიან შენს ჩვევებს და
გემოვნებას, თავისებურად გაგწვრთნიან და გამოგფიტავენ.

მშვიდად იგახშმეს სასადილო ოთახში, სინათლე არ აუნ-
თიათ. დიკი ბევრ ლუდს სვამდა და ბავშვებთან ხალისით ლა-
პარაკობდა. მერე შუბერტის რამდენიმე და ამერიკიდან ამას
წინათ მიღებული ჯაზური სიმღერები დაუკრა. ნიკოლი ნოტებ-
ში იხედებოდა იმის მხარზემოდ და თავისი სასიამოვნო, ოდ-
ნავ ჩახშული კონტრალტოთი ღიღინებდა.

მადლიერი ვარ მამა-ა,
მადლიერი ვარ დედა-ა,
რომ ერთმანეთს შეხვდით ბედად...

„სისულელეა, არ მომწონს“, თქვა დიკმა, და დააპირა სხვა
გვერდზე გადაეშალა.

„არა, ბოლომდე დაუკარი!“ წამოიძახა ნიკოლმა. „მთელი
სიცოცხლე უნდა ვკრთებოდე სიტყვა „მამაზე?““

— მადლიერი ვარ იმ ცხენისა, საბრალოსი, ორთვალას

რომ ძლივს ეწეოდა,

მადლიერი ვარ ორივესი, იმ ღამეს რომ გადაკრულში

იყავით ცოტა...

გვიან საღამოს ბავშვებთან ერთად მავრული სტილის ბან-
ზე ისხდნენ და სანაპიროზე ერთმანეთისგან შორიშორი კაზი-

ნოების თავზე ავარდნილ ბრიალა შუშხუნებს უყურებდნენ. მარტოობა და სევდა იყო ასე ახლო და გულმშრალად ყოფნა.

მეორე დილას, კანიდან რომ დაბრუნდა, სადაც რაღაცები უნდა ეყიდა, დიკის ბარათი დახვდა, ბარათში ეწერა, რომ რამდენიმე დღით მარტო უნდოდა ყოფილიყო და პატარა მანქანით პროვანსში წასულიყო. ჩაკითხვაც ვერ მოასწრო ბარათისა და ტელეფონის ზარიც გაისმა — ტომი რეკავდა მონტე კარლოდან, წერილი მივიღე და ტარში მანქანით მოვდივარო. თავისი ბაგის სითბო იგრძნო ტელეფონის ძილზე ნიკოლმა, როცა, გელოდებით უპასუხა.

VIII

აბაზანის მერე ნიკოლმა ნელსაცხებელი წაიციხო ოდნავ; პუდრი წაისვა სხეულზე, თან პუდრდაყრილ ხაოიან პირსახოცს ტკეპნიდა ფეხის წვერებზე ზეაწეული. მერე თავის თავსკარგა დიდხანს აკვირდებოდა, თავისთვის სჯიდა რა იქნებოდა, მალე თუ დაკარგავდა ეს მშვენიერი და ნარნარი აღნაგობა მომხიბვლელობას. ალბათ ერთი ექვსი წლის მერე, მაგრამ ახლა — ახლა კარგი ვარ, ბევრზე კარგიც, ვისაც კი ვიცნობ, ფიქრობდა იგი.

ნიკოლი არ აჭარბებდა. ერთადერთი ფიზიკური სხვაობა ახლანდელსა და ხუთი წლის წინანდელ ნიკოლს შორის ის იყო, რომ ახლა უბრალოდ უკვე ქალი იყო, მაგრამ ძაინც უზრდა თავისზე ახალგაზრდებისა — ახალგაზრდობის თანადროული კულტი იჩენდა თავს, ერთმანეთში არეული მირიადი სახეები ახალმოზარდი, ლამის ბავშვი ვარსკვლავებისა, ეკრანით თითქოს ქვეყნის ძალას, მთელ სიბრძნეს რომ იტევკან და იმათი შურდა, ეჭვიანობდა.

კოჭებამდე გრძელი კაბა ჩაიცვა, კარგა ხანია ასეთ კაბას დღისით აღარ მიჰკარებია, წლები გავიდა იმის შერე, „შანელ 16“ დაიპყურა ჯვარედინად ნაუცბათევეად და როცა პირველ საათზე ტომის მანქანა ვილა „დაიანას“ წინ გაჩერდა, მოვლილი და აყვავებული ბალივით იყო.

რა კარგია ხელახლა იგრძნო ეს ყველაფერი, ისევ ვილაციის თაყვანისცემა, თითქოს რაღაცა იღუმალი! ორი ფასდაუდებე-

ლი წელი ამოვარდა ლამაზი ქალიშვილის ცხოვრებიდან, თანაც რა დროს, და ახლა თითქოს სურდა შეევესო ის ორი წელი; ტომის, თითქოს ნიკოლის ერთი უთვალავ თაყვანისმცემელთაგანიაო, ისე შეხვდა და როცა ბალი გადაჭრეს და სიენის ბაზრიდან მოტანილი ქოლგისკენ წავიდნენ, თან კი არ მიჰყვებოდა, ოდნავ წინ მიდიოდა. ცხრამეტისა და ოცდაცხრა წლის მიმზიდველ ქალებს ერთნაირად სჯერათ ხოლმე თავისი თავის; ოცი წლის მერე კი, ათ წელიწადში, ქალური არსის მომთხოვნელობა უშლის ქალს ხელს, რომ სამყაროს ცენტრად იგრძნოს თავი. ცხრამეტწლიანების კადნიერი გულდაჯერება კადეტის მამლაყინწაობასა ჰგავს, ოცდაცხრაწლიანები კი, ამ მხრივ უფრო ორთა ჭიდილში გამარჯვებულ მოკრივეებს შეედრებიან, ამაყი სვლით რომ მოდიან ხოლმე.

მაგრამ ცხრამეტი წლის ქალიშვილს თუ ზედმეტი ყურადღებით ანებივრებენ, ოცდაცხრა წლის ქალს გულდაჯერებისთვის უფრო დახვეწილი მასალა აქვს საზრდოდ. წყურვილი თუ კლავს, ბრძნულად ირჩევს აპერიტივებს, ანდა, დაკმაყოფილებული, გეგონება ხიზილალააო, თავის პოტენციურ ძალას ატანს გემოს. საბედნიეროდ, არც ერთ შემთხვევაში იგი არ ფიქრობს მომდევნო წლებზე, როცა აღდოს სულ უფრო ხშირად აუძღვრევს პანიკური შიში, როცა შეჩერება შეაშინებს და წინ წასვლისაც შეეშინდება, მაგრამ ცხრამეტი და ოცდაცხრა, კიბეებშუა ბაქანია, სადაც შეიძლება არ გეშინოდეს — არც ჰოლში და არც დერეფანში დათვი არ არის.

ნიკოლს რაიმე ბუნდოვანი და სულიერი რომანი კი არ უნდოდა — „საქმე“ უნდოდა, ცვლილება სჭირდებოდა. ფიქრობდა რა დიკის ფიქრებით, ესმოდა, რომ ერთი შეხედვით უაზრობა და ვულგარულობა იქნებოდა უსიყვარულოდ, უემოციოდ აჰყოლოდა გატაცებას, რაც, კარგს არავის არას უქადდა, მაგრამ იმავ დროს, მიაჩნდა, რომ ამ ვითარების შექმნაში ახლა დიკს მიუძღოდა უფრო ბრალი და გულწრფელად ფიქრობდა, ასეთი ცდა საკურნებელი იქნებაო. მთელ ამ ზაფხულს ბევრის ცხოვრებას აკვირდებოდა, როგორც უნდოდათ, ისე ცხოვრობდნენ, ამით არარა უშავდებოდათ და ესეც აძლევდა ძალას — უფრო მეტიც, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვიტა, თავი არასდროს მოგიტყუო, ირჩივს ახლა დაეჯერა, რომ

მხოლოდ მოსინჯვა თუ უნდოდა თავისი გზისა, ეს თავისი ნება იყო და რა წუთსაც კი მოისურვებდა, შეეძლო უკან დაეხია...

ჩრდილში რომ მოექცნენ, ტომიმ, გეგონება თეთრმა იხვმა, ფრთა აიქნია, მკლავი გაშალა და ნიკოლი თავისკენ მიიზიდა. თვალეებში ჩახედა.

„არ გაინძრეთ“, უთხრა ნიკოლმა. „დიდხანს უნდა გიყუროთ ახლა“.

ტომის თმას რაღაც სურნელი და თეთრ კოსტიუმს კი ოდნავ საპნის სუნი დაჰკრავდა. ნიკოლი არ იღიმებოდა, ტუჩები მაგრად მოეკუმბა. ერთ წუთს უბრალოდ ასე იდგნენ და ერთმანეთს უყურებდნენ.

„მოგწონთ, რასაც უყურებთ?“ ხმადაბლა ჰკითხა.

„ფრანგულად ილაპარაკეთ“.

„კარგი“, ფრანგულად უთხრა ნიკოლმა და იგივე ჰკითხა.

„მოგწონთ, რასაც უყურებთ?“

ტომიმ უფრო ძიიზიდა.

„მე თქვენი ყველაფერი მომწონს“. ცოტა ხანს გაჩერდა, „მეგონა, რომ კარგად ვიცოდდი თქვენი სახე, მაგრამ თურმე არის კიდევ რაღაცა, რაც ადრე არ შემიმჩნევია. რამდენი ხანია რაც ასეთი უწყინარი ყალთაბანდის გამოხედვა გაქვთ?“

შემცბარმა და ბრანზმორეულმა ნიკოლმა განზე გაიწია და ინგლისურად წამოიყვირა:

„ამიტომ გსურდათ ფრანგულად რომ გველაპარაკა?“ დაინახა, მსახურს ხერესი და ორი ბოკალი მოჰქონდა, ამათკენ მოდიოდა და ხმას დაუწია. „უფრო იოლად რომ წარმოგეთქვათ შეურაცხმყოფელი სიტყვები?“

აღშფოთებული მივიდა სკამთან და პატარა საჯდომით ვერცხლისფერი ფარჩა ჩაზნიჭა.

„სარკე თან არა მაქვს“, ისევ ფრანგულად, ოღონდ უფრო მკვახედ განაგრძო, „მაგრამ თუ გამოხედვა შემეცვალა, ეს იმის გამო, რომ მე უკვე ისევ კარგადა ვარ და რაკი კარგად ვარ, ჭეშმარიტი ბუნებაც ისევ დამიბრუნდა — მე მგონია პაპაჩემი იყო ყალთაბანდი და მემკვიდრეობით გადმომეცა, ეს არის და ეს. დაკმაყოფილდა თქვენი ლოგიკური გონება?“

ტომი უყურებდა და ვერ გაეგო რაზე ლაპარაკობდა ნიკოლი.

„დიკი სად არის — ჩვენთან ერთად არ ისაუზმებს?“

ნიკოლი მიხვდა, — თავის სიტყვებს ტომი დიდ რამედ არ მიიჩნევდა და გაიცინა, რომ წყენა წაეშალა.

„დიკი პროვანსშია“, თქვა მან. „როზმერი ჰოიტი გამოჩნდა და ან იმასთან ერთად წავიდა, ანდა გრძნობები ისე აეშალა, რომ მარტოობაში ისურვა მასზე ეოცნება“.

„მაინც რაღაც ცოტა უცნაური ქალი ხართ, ნიკოლ“.

„არა, რას ამბობთ!“ სწრაფად მიუგო ნიკოლმა. „სავსებით ჩვეულებრივი, მართლა — ოღონდ ჩემში ბევრი ქალია ერთად და — ყველა სხვადასხვა“.

მარიუსმა ნესვი და ყინულიანი პატარა სათლი მოიტანა. ნიკოლი ფიქრობდა. ტომის სიტყვები, უწყინარი ყალთაბანდის გამოხედვით, თავიდან არ შორდებოდა; ეს კაცი ერთი იმათგანი იყო, ვინც მთელი კაკლებით იცოდა გამასპინძლება, იმის მაგივრად, რომ გაეტეხა და ისე, ლებნებად მიერთმია.

„რად შეგიშალეს ხელი, დარჩენილიყავით ისეთივე, როგორცა ხართ“. ისევ დაიწყო ტომიმ. „თქვენი ბედი ამაღლებელია, ასეთ პიროვნებას სხვას არც კი ვიცნობ“.

ნიკოლმა არაფერი თქვა, არ იცოდა რა ეპასუხა.

„ოჰ, ეს ჭირვეულთა მომრჯულებლები!“ ირონიულად ჩაიფრუტუნა ტომიმ.

„ყველა საზოგადოებაშია გარკვეული“, დაიწყო ნიკოლმა, იდაყვთან თითქოს დიკი ედგა, მისი აჩრდილი აძლევდა რჩევას, და მაშინვე გაჩერდა, ტომის ხმას, მის ტონს დაემორჩილა.

„ჩემს ცხოვრებაში ბევრი კაცისთვის მისწავლება ჭკუა ძალით, მაგრამ ქალთან ასე ვერ მოვიქცეოდი, ასეთი „კეთილი“ ჭირვეულობა, მე თუ მკითხავთ, უარესია. ვის რად არგია — თქვენ, მას, ანდა, კიდევ — ვინმე სხვას?“

ნიკოლს გული შეეკუმშა, თითქოს სადღაცა ჩაუვარდა, ძალიან კარგად იცის ნიკოლმა, რასაც უნდა უმადლოდეს დიკს.

„მე მგონია, მე მაქვს...“

„თქვენ გაქვთ ძალიან ბევრი ფული“, მოუთმენლად შეაწყვეტინა ტომიმ. „ამით ბრკოლდება ყველაფერი. დიკს ეს ვერ გადაუტანია“.

სანამ ნესვს გაიტანდნენ, ნიკოლი ჩუმად იჯდა, ფიქრობდა, „როგორ გგონიათ, რა უნდა ვქნა ახლა?“

ამ ათ წელიწადში პირველად გრძნობდა სხვა კაცისა და არა თავისი ქმრის გავლენას, ტომის ყველა სიტყვა და ფრაზა სამუდამოდ შეესისხლხორცა ამიერიდან.

იმ ერთ ბოთლ ხერესს სვამდნენ, ფიჭვის ტოტებში ნიაგი ნავარდობდა და წიწვებს არხევდა, მოთენთილი შუადღის სიცხე დამაბრმავებელ ჭორფლს აყრიდა ჭრელ საფარებელს მაგიდაზე. ტომი აღგა, მხრებზე ხელი შემოხვია, მერე თითები მოიქცია თავის ხელებში, ლოყა ლოყას შეეხო, და ბაგე ბაგეს— და ნიკოლს ლამის სული შეეხუთა ვნებისა თუ გაოცებისგან, რომ ასე ძლიერი იყო ეს ვნება...

„არ შეიძლება, გუვერნანტი შუადღით ბავშვებთან ერთად გაუშვათ სადმე სასეირნოდ?“

„ბავშვებს მუსიკის გაკვეთილი აქვთ, თანაც — არ მინდა აქ დარჩენა“.

„კიდევ მაკოცე“.

ცოტა ხნის მერე, მანქანაში, ტომის და ნიკოლს ნიცისკენ რომ მიაქროლებდა, ნიკოლი ფიქრობდა: მაშ მე უწყინარი ყალთაბანდის გამოხედვა მაქვს, არა? იყოს ასე, პურიტან ფსიქოპათს ისევე ჯანსაღი ყალთაბანდი ჯობია იყო.

თითქოს ამითი მოეხსნაო მთელი ბრალი და დანაშაული, ახლებურად დაინახა თავისი თავი და სიხარულის ჟრუანტელმა დაუარა. სულ სხვა ხედები იშლებოდა იმის წინ ახლა, ბევრ კაცს უნდოდა მასთან შეხვედრა და არ სჭირდებოდა მორჩილება თუნდ ერთ მათგანთან, ან ჰყვარებოდა ერთი მათგანი. სული მოითქვა, მხრები შეარხია და ტომის მიუბრუნდა.

„მთელი გზა უნდა გავიაროთ და იმ ოტელშია მისვლა საჭირო, სადაცა ცხოვრობთ, მონტე-კარლოში?“

ტომიმ ისე მკვეთრად დაამუხრუჭა მანქანა, რომ სალტეების ღრჭიალი გაისმა.

„არა!“ წამოიძახა მან. „და, ღმერთო ჩემო, არასოდეს ვყოფილვარ ისე ბედნიერი, როგორც ამ წუთში“.

ნიცას უკვე გამოსცდნენ და გზა ცისფერი სანაპიროსი, მიხვეულ-მოხვეულად აღიოდა კორნიშისაკენ, მაგრამ ტომიმ

მკვეთრად მოატრიალა მანქანა მარჯვნივ, დალაბრა კონცხი გა-
იარა და ზღვისპირა პატარა ოტელის უკან გაჩერდა.

ასეთმა რეალობამ წაძით ნიკოლს შიში მოჰგვარა. კანტო-
რასთან ვიღაც ამერიკელი გაუთავებლად კამათობდა ერთ კლე-
რკთან სავალუტო კურსის თაობაზე. გულში რაღაც საწყლად
და ბეჩავად, მაგრამ გარეგნულად აუღელვებელი და მშვიდი
ნიკოლი იცდიდა, ვიდრე ტომი სარეგისტრაციო ფურცლებს
ავსებდა, თავისთვის — თავის სახელზე და ნიკოლისთვის —
გაძივონილზე. მათი ოთახი ისეთი იყო, როგორც ყველა ხმელ-
თაშუა ზღვის აგარაკების ოტელებში — თითქმის მარძარა,
თითქმის ასკეტური, დარაბებით, ზღვის თვალმომჭრელი ელ-
ვარების დასაფარავად. უბრალო, სადა თავშესაფარი უბრა-
ლო სიამოვნებათათვის. ტომიმ კონიაკი შეუკვეთა, როცა ოფი-
ციანტი გავიდა და კარი გაიხურა, იმ ერთადერთ სავარძელში
ჩაჯდა, ნამზეური, ლამაზი, მორკალული წარბებით, გაძართუ-
ლი და ლოყაზე ნაჭრილობევით — ძღველვარე პეკი, ოცნებაში
ჩაძირული სატანა.

კონიაკი ჯერ ბოლომდე არ დაელიათ, რომ რაღაცა ძალამ
წამოაყენა უცებ ორთავე და ერთმანეთს მიაგდო; მერე საწოლ-
ზე დააწვინა ტომიმ ნიკოლი და მაგარ, და ნამზეურ მუხლებს
კოცნიდა. ნიკოლი არ გასძალებია, მხოლოდ ოდნავ თუ, და
თავმოკვეთილი ნადირივით, უკვე დაავიწყდა დიკიც, თავისი
ახალი გამოხედვაც, დაავიწყდა ტომიც, და ღრმად, უფრო
ღრმად იძირებოდა იმ წუთებსა და იმ წამებში.

...როცა ტომი წამოდგა და ფანჯარასთან მისულმა დარაბა
გახსნა, რათა გაეგო რა ხდებოდა ფანჯრებქვევით და რა ხმაური
შემოდდიოდა, ნიკოლს დიკზე უფრო მზედაკრული და ძლიერი
ეჩვენა იგი; მზეზე კუნთები დაჭიმული და სრიალა ჩანდა. რა-
ღაცა წუთში ტომისაც დაავიწყდა ნიკოლი და როცა სხეულით
მოწყდა მის ხსეულს, ნიკოლმა უცებ თითქოს იგრძნო, რომ
ყველაფერი მხოლოდ ისე არ იქნებოდა, როგორც ელოდა. ეს
ის შიში იყო, რომელსაც სახელი არა აქვს და წინ უსწრებს
ხოლძე სიხარულსაც და მწუხარებასაც, გარდაუვალი, ისე რო-
გორც ჭექა-ქუხილი ქარიშხლისა და გრიგალის წინ.

ტომიმ ფრთხილად გადაიხედა აივნიდან და მერე მოახსე-
ნა:

„არაფერო ჩანს, ამ აივნის ქვევითა აივანზე ორი ქალია, ამერიკულ საქანელებში სხედან და ამინდზე ლაპარაკობენ, ეს არის და ეს“.

„და იმათგან მოდის ეს ხმაური?“

„არა, ხმაური სადღაც უფრო ქვევიდან მოდის. მოუსმინე“.

ოჰ, იქ, სამხრეთში, იმ მიწაზე, ბამბა რომ მოჰყავთ, ოტელები ცარიელია და ბიზნესი ურჩებათ ოხრად, აბა, რას ნახავ...

„ამერიკელები არიან“.

ნიკოლმა მკლივები გაშალა საწოლზე და ჭერს მიაშტერდა; პუდრის სინოტივისაგან ტანი თითქოს რძისა გაუხდა, მოსწონდა ეს შიშველი ოთახი, ერთადერთი ბუზის ბზუილი ჭერთან ახლო. ტომიმ საწოლთან მისწია სავარძელი და ზედ რაც ელაგა, ძირს დაყარა, რომ დამჯდარიყო; ნიკოლს ისიც მოსწონდა, რომ თან ახლა ასე ცოტა რამ ჰქონდათ, ესპადრილები, ქარზე უფრო უმსუბუქესი კაბა, ესეც ტომის ქერელის ტილოს შარვალთან ერთად ეყარა იატაკზე.

ტომი საროტანს აკვირდებოდა, თეთრი ტორსი მკვეთრად ემიჯნებოდა ყავისფერ კიდურებსა და თავს, მერე თითქმის სერიოზულად, მაგრამ სიცილით უთხრა:

„ახალდაბადებული ბავშვივითა ხარ“.

„ყალთაბანდის თვალებით“.

„ამას მოვუვლით“.

„ძალიან ძნელია თვალების მოვლა, მეტადრე მაშინ, თუ ჩიკაგოშია გაკეთებული“.

„არაფერია, მე კარგად ვიცი ლანგედოკური ყველა ხალხური საშუალება“.

„შაკოცე, ტუჩებში, ტომი“.

„ეს ძალიან ამერიკულია“, თქვა ტომიმ, ოღონდ, მაინც აკოცა. „ბოლო დროს ამერიკაში ყოფნისას ბევრ ქალიშვილს შევხვდი, ლამის ტუჩები დაგაგლიჯონ და თვითონაც დაიგლიჯონ, ისე გკოცნიან, სისხლი მოწვევბათ ხოლმე სახეზე და ტუჩები უსკდებათ — მაგრამ ამაზე შორს აღარ მიდიან“.

ნიკოლი წამოიწია და იდაყვს დაეყრდნო.

„მოძწონს ეს ოთახი“, თქვა მან.

„ჩემი აზრით, ცოტა ღარიბულია. ძვირფასო, რა კარგია, რომ მონტე-კარლომდე მოცდა არ ისურვე.“

„რად არის ღარიბული? შესანიშნავი ოთახია, ტომი — სეზანისა და პიკასოს შიშველი მაგიდეებივითაა“.

„არ ვიცი“. და არც უცდია გაეგო მისთვის. „ისევ ის ხმაურია. ღმერთო ჩემო, რა ამბავია, კლავენ ვილაცას?“

ფანჯარასთან მიბრუნდა და ისევ მოახსენა:

„მე მგონია, ორი ამერიკელი მეზღვაურია, ორი ჩხუბობს, სხვები კი აქეზებენ. თქვენი კრეისერიდან არიან, რეიდზე რომ დგას“. თედოებზე პირსახოცი შემოიხვია და აივანზე გავიდა. „თან გოგოები ჰყავთ. ახლა ასე შემოიღეს — ეს ქალები პორტიდან პორტამდე მიჰყვებიან. მაგრამ როგორები! კაცმა რომ თქვას, იმდენი კი აქვთ, შეუძლიათ უკეთესი ქალები ნახონ! რა ქალებს ვხვდებოდით თუნდაც კორნილოვის ჯარში! რაღა ქალი და რაღა ბალერინა!“

ნიკოლს ესეც უხაროდა, რომ ტომი ბევრ ქალს შეხვედროდა ცხოვრებაში, იმდენად ბევრს, რომ თვითონ სიტყვა „ქალი“ ახლა აღარაფერს იწვევდა, და ძალიან კარგიც, ვიდრე ნიკოლში ქალურ სილამაზეზე უფრო მეტს ხედავს, იოლად შეძლებს ტომის „დაჭერას“.

„ეგრე, მი-დი!“

„ჰეი, მიატყვი, მანდ მტკივნეულია, გეუბნები!“

„აა-აა-ა!“

„მარჯვენათი, როგორც გითხარი!“

„რას შვრები, დულშიტ, ოხრიშვილო!“

„აა-აა-ა!“

„მი-დი-ი!“

ტომი ოთახში შემობრუნდა.

„აქ გაჩერება აღარა ღირს, თანახმა ხარ?“

თანახმა იყო, მაგრამ ჩაცმამდე ისევ მიეკვრნენ ერთმანეთს და რაღაც წუთებში ეს ღარიბული ოტელი კი არა, სასახლესავით ადგილი იყო...

ბოლოს და ბოლოს ტომიმ ჩაიცვა, ფანჯარაში გაიხედა და წამოიძახა:

„ღმერთო ჩემო, ეს ორი ქალი აივნის ქვეშ, საქანელებში ისე სხედან და ლაპარაკობენ, შებრუნებაც არ უფიქრიათ, ვი-

თომდა რაო, რა მოხდაო; აქ იმისათვის ჩამოვიდნენ, რათა მომჭირნედ გაატარონ შვეებულემა და ვერც ამერიკის სამხედრო ფლოტი და მთელი ევროპის მეძავებიც ვერ დაურღვევენ მყუდროებას“.

ნიკოლთან მივიდა და ნაზად მოეხვია, ჩამოცურებულ სამხრეს კბილებით უსწორებდა, რომ სწორედ ამ დროს რაღაცა გრიალი გაისმა: ქრ-ექ-ბუუმ-მ-მ! კრეისერი უხმოზდა თავის მეზღვაურებს.

მაშინვე, იმათი ფანჯრის ქვეშ საშინელი ორომტრიალი ატყდა — ჯერ არავინ იცოდა საით მიდიოდა ხომალდი, რადგან არავინ აცხადებდა. ოფიციანტები აუღელვებლად მოითხოვდნენ ანგარიშის გასწორებას და მათი ხმები ლანძღვასა და აღშფოთებულ წამოძახილებში ირეოდა; ისმოდა ბანკონტების შრიალი, ხურდისა და წვრილი ფულის, მონეტების ჩხარუნი, ვიღაცას წამოდგომის თავი აღარა ჰქონდა და ძმაკაცებს მიჰყავდათ, და მთელ ხმაურს ფარავდა სამხედრო-საზღვაო პოლიციის ჩინოსანთა მოკლე და სწრაფი ბრძანებები. ბოლოს ყვირილი, ტირილი, თხოვნა, დაპირებები. ნაპირს პირველი ბარკასი მოშორდა და ნავმისადგომთან შეყრილი ქალების ქვითინიცა და კივილიც თან გაიყოლა.

ტომიმ დაინახა, ერთი ქალიშვილი ქვევითა აივანზე ავარდა, მოაჯირს გადააწვა და გაშმაგებით მოჰყვა რესტორანის თეთრი ხელსახოცის ქნევას, და სანამ იმ ინგლისელი ქალების სიფათებს შეხედავდა, საქანელებში რომ ისხდნენ და გაიგებდა, ამ ამბით მაინც თუ დაერღვათო უშფოთველობა, ვიღაცამ ამათ კარზე დააკაკუნა. ქალების აღელვებული ხმები ისმოდა. იხვეწებოდნენ, კარი გაგვიღეთო, ნიკოლი თანახმა იყო და ტომიმ გაუღო. კარს იქით ორი ქალიშვილი იდგა, ორი გოგო, ბარბაროსებსა ჰგვანდნენ, ვინ იყვნენ, ვის დაჰკარგოდათ. ერთი მათგანი გულამოსკვნით ტიროდა.

„შემოგვიშვით, თქვენი აივნიდან დავუქნევთ ხელს!“ ძლიერი ამერიკული აქცენტით იხვეწებოდა მეორე. „ძალიან გთხოვთ, თუ შეიძლება, შემოგვიშვით! ხელს დავუქნევთ მეგობარ ბიჭებს? ძალიან გთხოვთ! სხვა ოთახები დაკეტილია“.

„სიაშოვნებით“, მიუგო ტომიმ.

ქალიშვილები აივნისკენ გავარდნენ და იმ გრიალსა და

ხმაურში იმწამსვე გაისმა ორი გულგამგმირავი დისკანტი.

„ჩარლი! ჩარლი, მოიხედე!“

„ნიცაში მოიწერე მოთხოვნაძდე!“

„ჩარლი! ვერ მხელავს“.

ერთმა ქალიშვილმა უცებ კაბა აიწია, ვარდისფერი ტრუსი გაიძრო, შუაზე გახია და ველურივით მოჰყვა ამ სახელდახელო დროშის ქნევას. „ბენ! ბენ!“ გაჰკიოდა თან. როცა ტომი და ნიკოლი ოთახიდან გამოდიოდნენ, ისევ ირხეოდა ლურჯი ცის ფონზე ეს ნაზი ფერი, სხეულის ფერი — კრეისერის ანძაზე კი ვარსკვლავწინწკლება დროშა იწევდა მეტოქესავით, მალლა და მალლა.

მონტე-კარლოში ისადილეს, ახალ, ზღვისპირა კაზინოში... გვიან საღამოს კი, როცა ბოლიეში გაჩერდნენ, მონაკოსა და ნისლში გახვეული მენტონის გამოღმა, ფოსფორესცენციური წყლის თასის ზემოთ, უფერო კენჭებისა და ქვების რკალში მთვარის შუქი ზვიმირივითა ჩანდა, და იქ იბანავეს. ნიკოლს მოსწონდა, რომ ტომიმ ამ ადგილს მოიყვანა, აღმოსავლეთისკენ რომ ჰქონდა პირი და სად ქარის ქროლაც ახალი იყო და წყლის ლივლივიც, ისევე, როგორც თვითონვე იყვნენ სულ ახლები ერთმანეთისთვის. ახლა თითქოს დამასკელი ტყვე ქალი იყო, მოიტაცეს და ჯვარედინად დააკრეს ზედ უნაგირს და თვალუწვდენელ უდაბნოს მისცეს, გადაკარგეს. ყველაფერი, რაც მანამდე ასწავლა დიკმა, საოცრად მალე მიეცა უკვე დავიწყებას და შორეულ სახეს უბრუნდებოდა, ქალის პროტოტიპს, ვის გულისთვისაც ამა ქვეყნის ხმალშემართულებს შებმა სწყუროდათ ურთიერთთან, და მთვარიტა და სიყვარულით გადაქანცული, შმაგი საყვარლის თავაწყვეტით ხარობდა ახლა.

ერთ და იმავე დროს გაიღვიძეს. მთვარე უკვე გადასული იყო, გრილოდა. თავს ძალა დაატანა, წამოდგა და რომელი საათიაო, იკითხა. ტომიმ თქვა, რომ სამი ხლებოდა.

„დროა, შინ წავიდე“.

„მე მეგონა მონტე-კარლოში გავათენებდით“.

„არა, სახლში გუვერნანტი და ბავშვები არიან. განთიადამდე უნდა დავბრუნდე“.

„როგორც შენ გინდა“.

წასვლისას ერთხელაც ჩავიდნენ ზღვაში, ამოსვლისას, ტომიმ შეხედა, ნახა, ნიკოლი კანკალებდა და ძაგრად შეამშრალა პირსახოცით. მანქანაში ჩასხდნენ. თმა ისევ სველი ჰქონდათ, წყლის მერე ახლა კანი უხურდათ. არ უნდოდათ აქედან წასვლა. რიყრაყდებოდა და ტომი რომ კოცნიდა, ნიკოლი გრძნობდა, რომ ტომისთვის ახლა აღარაფერი არსებობდა, გარდა ნიკოლის ფერმიხდილი ღაწვებისა და თეთრი კბილების, გრილი შუბლის და თითებისა, ნაზად რომ უფერებოდა ტომის სახეზე. ნიკოლი რაღაც ლაპარაკს ელოდა, რაღაცა ახსნას, როგორც ეს დიკთან იყო ხოლმე, მაგრამ ტომი ჩუმად იყო. და როცა მიხვდა, გახარებული და გეგონება ბურანში მყოფი, რომ საუბარი არ იქნებოდა, მოხერხებულად ჩაჯდა, ჩასთვლიმა და ასე იყო, სანამ ძრავას შეცვლილი ხმით მიხვდებოდა, რომ აღმართზე აღიოდნენ და ვილა „დაიანას“ უახლოვდებოდნენ. ტომის ჭიშკართან გამოეთხოვა და თითქმის მექანიკურად აკოცა. ბილიკზე თითქოს სხვა მიდიოდა, წარსულში, დიდი ხნის წინათ მიკარგულ ხმებს გამოსცემდა ამ ღამეს ბალი და მაინც უხაროდა შინ დაბრუნება. მალი სტაკატოთი ჩათავდა დღე და სიამოვნების მიუხედავად, მისთვის ეს მაინც უჩვეულო დაძაბვა იყო.

IX

მეორე დღეს, ოთხ საათზე ჭიშკართან ვაგზლის ტაქსი გაჩერდა და იქიდან დიკი გადმოვიდა. ნიკოლმა ტერასა ჩაირბინა მის შესახვედრად, ძველებურად თავის დაჭერას ღამობდა და სუნთქვა ეკვროდა.

„მანქანა სად არის?“ ჰკითხა ნიკოლმა.

„არლში დავტოვე. მომბეზრდა საჭესთან ჯდომა“.

„ბარათის მიხედვით, მე მეგონა რამდენიმე დღით მიდიოდი“.

„მისტრალსა და წვიმაში მოვყევი“.

„კმაყოფილი ხარ?“

„როგორც ყველა, ვინც იმისათვის მიდის, რათა რაღაცას გაექცეს ხოლმე. როზმერი ჩავიყვანე ავინიონამდე და იქ მატარებელში ჩავსვი“. ნიკოლთან ერთად გავიდა ტერასაზე, სადაც

თავისი ჩანთა დადო. „ამაზე არაფერი მითქვამს ბარათში, შეიძლება ათასი რამ გეფიქრა“.

„ზრუნვისთვის გმადლობ“. ნიკოლმა ისევ გულდაჯერება იგრძნო ახლა.

„მინდოდა გამეგო, შეიძლება თუ არა როზმერისგან რამეს ელოდო, ამიტომ უნდა მენახა მარტო“.

„მერე — შეიძლება თუ არა?“

„როზმერი არ გაზრდილა, ისეთივეა“, მიუგო დიკმა. „ალბათ ასე უკეთესიც არის. შენ რას აკეთებდი?“

ნიკოლმა იგრძნო, ბოცვერივით შეუთრთოლდა სახე.

„გუშინ სალამოს საცეკვაოდ წავედი — ტომი ბარბანთან ერთად. წავედით...“

დიკი შეიჭმუხნა, შეაწყვეტინა:

„არ გინდა ამის მოყოლა, შენ შეგიძლია, რაც შენა გსურს ის გააკეთო, ოღონდ, მე არ მინდა რამე ვიცოდე“.

„არც არაფერია საცოდნელი“.

„კარგი, კარგი“, მერე, თითქოს ერთი კვირით ყოფილიყო წასული: „ბავშვები როგორ არიან?“

სახლში ტელეფონის ზარი გაისმა.

„თუ მე მიკითხეს, შინ არა ვარ“. დიკი საჩქაროდ შეტრიალდა. „ფლიგელში შევალ, რაღაცებია მისახელი“.

ნიკოლმა შეიცადა, სანამ დიკი ჭას გასცდებოდა, მერე სახლში შევიდა და ტელეფონი აიღო.

„ნიკოლ, მანდ როგორა ხარ?“

„დიკი შინ არის“.

ტომის ოხვრა აღმოხდა.

„შევხვდეთ აქ, კანში“, შესთავაზა ტომიმ. „უნდა მოვილაპარაკოთ“.

„არ შემიძლია“.

„მითხარი, რომ გიყვარვარ“. ნიკოლმა უსიტყვოდ დაიქნია თავი ტელეფონთან; ტომიმ გაუმეორა, „მითხარი, რომ მე გიყვარვარ“.

„ჰო, ასეა, მაგრამ ახლა შეუძლებელია“.

„არ არის შეუძლებელი“, მოუთმენლად თქვა ტომიმ. „დიკმა ხომ იცის, რომ თქვენ შორის გათავდა ყველაფერი, თვითონ დაიხია, ეს ცხადია და რაღას უნდა ელოდოს შენგან?“

„არ ვიცი. არ ვიცი, მე ჯერ-“ კინალამ უთხრა: „—ჯერ დიკს ვკითხე“, მაგრამ დროზე შეიკავა თავი და ასე დაამთავრა: „ხვალ დაგირეკავ და მოგწერ“.

სახლს გარს უვლიდა, კმაყოფილი თავისი თავით, რომ ასე მოიქცა. იცოდა, რაც დააშავა და ეს ცოდნა ანიჭებდა კმაყოფილებას; ჯობია ასე, დამწყვედულ გარეულ ფრინველზე მონადირე მაინც აღარ იქნება ამის მერე. გუშინდელი დღე ახსენებდა თავს, ბევრი რამ თვალწინ წარმოუდგა, ეს დეტალები მეხსიერებიდან საუკეთესო, იმ ადრეულ წუთებს დევნიდნენ, როცა დიკი უყვარდა და ახლა ცოტა გულგრილადაც კი უყურებდა იმ სიყვარულს, ეჩვენებოდა, რომ თავიდანვე ეს უფრო მეტად სანტიმენტალური შეჩვევა იყო. ცვალებად ქალურ მეხსიერებას ძლივს ახსოვდა ის ბედნიერება, ქორწინებამდე -ის და დიკი ერთმანეთისა რომ გახდნენ ფარულად, და თითქმის ერთ თვეს სამყაროს ხან ერთ შესახვევში იმალებოდნენ და ხან რა იდუმალ სხვა ადგილას ამ სამყაროსი. წუხელ, დამეს კი ტომის ასევე ატყუებდა, ეფიცებოდა, რომ არასოდეს ჰქონია ასე წამლეკავი, ასეთი სრული...

...მერე კი, სინანულმა ამ ღალატის გამო, თავისდა საამებლად ასე იოლად ათი წელიწადი რომ წაშალა ცხოვრებისა, იმ სინანულმა მიატრიალა ახლა დიკის თავშესაფრისკენ.

უხმაუროდ მიუახლოვდა, დაინახა, დიკი კლდის ძირას, კოტეჯის უკან სკამზე იჯდა და ნიკოლის მისვლა არ გაუგია. ერთხანს იდგა და ასე, ჩუმად უყურებდა მას. დიკი ფიქრებში წასულიყო, მხოლოდ თავის სამყაროში ჩაძირულიყო და სახეზე ოდნავი ცვლილებითაც, ხან წარბებს რომ ასწევდა ზევით ან შეიჭმუხნებოდა, თვალებს ხან ლამის ხუჭავდა და მერე ახელებდა, პირს ხან კუმავდა, ან ოხრავდა, ხელების შფოთიანი მოძრაობით, ნიკოლი ხვდებოდა — ახლა იგი მთელი თავისი ცხოვრების ყველა ფაზას ზომავდა და აკვირდებოდა, ყველა ფაზას მხოლოდ თავისი ცხოვრებისა, ცალკე — ნიკოლის ცხოვრებისგან. ერთხელაც, მუშტები მომუჭა და წინ გადაიხარა, ერთხელაც სახეზე ტანჯვა და სასოწარკვეთა გამოეხატა და როცა გადაუარა, კვალი დააჩნდა სახეზე, ისევ თვალეებში ედგა. თითქმის პირველად თავის სიცოცხლეში, ნიკოლს შეეცოდა იგი — იმათ, ვისაც სულიერი დაავადება გადაუტანიათ,

ძნელად რომ შეეცოდოთ კარგად მყოფი და თუმცა ნიკოლი ხშირად ამბობდა, რომ მხოლოდ დიკმა დააბრუნა ამ სამყაროში, მაინც ისე ფიქრს მიეჩვია, თითქოს უღევი ძალა ჰქონდა დიკს და არ იცოდა რა იყო დალა — დაავიწყდა, რაც მის გამო გადაიტანა დიკმა, ისევე, როგორც აღარ ახსოვდა ის, რაც თვითონ გადაიტანა. იცოდა დიკმა, რომ მისი უფლება და მისი ძალაც, გათავდა უკვე? უნდოდა კი დიკს, რომ ასე ყოფილიყო? — ამაზე არ ფიქრობდა, მხოლოდ ენანებოდა, როგორც ხანდახან — ეიბი და ეიბის ისე უღირსი ხვედრი, ბავშვებისა და მოხუცების უმწეობა რომ ენანებათ, მხოლოდ ისე ენანებოდა ახლა დიკი.

ახლო მივიდა, მხრებზე შემოხვია ხელები, საფეთქელი საფეთქელზე მიადო და უთხრა:

„არ გინდა ასე, სევდიანი ხარ“.

დიკმა ცივად შეხედა.

„არ შეძებო!“

ნიკოლი შეცბა, დაიხია.

„მაპატიე“, დაბნეულად უთხრა დიკმა. „სწორედ შენზე ვფიქრობდი — იმაზე, თუ რას ვფიქრობ შენზე...“

„შეგიძლია შენი წიგნები შეავსო ამით“.

„მე მგონია კარგი იქნება — გარდა ჩამოთვლილი ფსიქოზებისა და ნევროზებისა...“

„მე აქ საჩხუბრად არ მოვსულვარ“.

„მაშინ, რისთვის მოხვედი, ნიკოლ? შენთვის მე უკვე ვეღარაფერს გავაკეთებ. ახლა იმასლა ვცდილობ მხოლოდ, ჩემი თავი გადავარჩინო“.

„რომ ჩემგან არაფერი გადაგედოს?“

„ჩემი პროფესია ხანდახან საეჭვო ხალხსაც შემყრის ხოლმე“.

აღშფოთებისა და ბრაზისაგან, ნიკოლი ატირდა.

„ლაჩარი ხარ! ცხოვრებაში ხელი მოგეცარა, შენა ხარ დამნაშავე და გინდა, რომ მე დამაბრალო“.

დიკმა არ უპასუხა, მაგრამ ნიკოლმა უკვე იგრძნო მისი გონების წინანდელი, ხანდახან უნებლიე, მაგრამ ყოველთვის ჭეშმარიტების რთულ სუბსტრატზე დაყრდნობილი ჰიპნოზური ზემოქმედება, რისი გარღვევის ან გამტკრების ძალაც ნი-

კოლს არ შესწევდა, და ისევ ბრძოლაში ჩაება, იბრძოდა თავისი პატარა, მაგრამ მშვენიერი თვალებით და მოზეიმის უებრო გულდიდობით და ქედმაღლობით, ებრძოდა სხვა კაცთან სიახლოვის სიახლით, და წყენით, რაც კი წლების მანძილზე დაუგუბდა; იბრძოდა თავისი ფულით და იმით, რომ მხარში თავისი და ედგა, ვისაც იმთავითვე არ უყვარდა დიკი; იმის ფიქრით, რომ ახალი მტრები გაიჩინა მწარე ენით ბოლო ხანს დიკმა, და იმით, რომ ახლა ვერაგულად დასცინოდა დიკს ძველი ლხენის, პურ-მარილის და პურ-ღვინოს გამო, თავის სილამაზესა და სიჯანსაღეს უპირისპირებდა დიკის ფიზიკური ძალის დაცემას, თავის უპრინციპობას — მის ზნეობრივ პრინციპებს, თავისი სისუსტეც კი გამოიყენა ამ ბრძოლისთვის — ძამაცურად და გაბედულად იბრძოდა და იყენებდა ძველ ქილებსა და სურებს, ქაშანურს, მონანიებული ცოდვებისა და შეცდომების, საქციელის ახლა უკვე გამოუსადეგარ საჭურჭლეს და უცებ, ორ წუთში მოიპოვა გამარჯვება, გაამართლა თავისი თავი თავის წინაშე და არც სიცრუისთვის მიუმართავს და არც სხვა რაიმე ხერხისათვის, საბოლოოდ გადაჭრა თოკი. მერე, როცა ტირილითაც გული იჯერა, შეტრიალდა და ფეხარეული, მაგრამ გრილი, თავის სახლისკენ წავიდა ნელა, ბოლოს და ბოლოს, უკვე თავისი იყო ეს სახლი.

დიკმა მანამდე შეიცადა, სანამ ნიკოლი თვალს მიეფარა. მერე წინ გადაიხარა და პარაპეტს დაადო თავი. პაციენტი მორჩა. დოქტორი დაივერი თავისუფალი იყო ახლა.

X

ღამის ორ საათზე ნიკოლი ტელეფონის ხმამ გამოაღვიძა და გაიგონა, რომ დიკმა უპასუხა იმ ოთახიდან, სატანჯველის სარეცელს რომ ეძახდნენ დაივერები; იქ იწვა დიკი.

„დიახ, დიახ... ვის ველაპარაკები?... დიახ...“ გაკვირვებისაგან დიკს მაშინვე გაუკრთა ძილი. „მაგრამ, შეიძლება, რომ ერთ-ერთ ლედის ველაპარაკო, ბატონო ოფიცერო? ორთავე ლედი მაღალი წრიდან არიან, წარჩინებული ოჯახებიდან, ისე რომ შეიძლება ამას მეტად სერიოზული პოლიტიკური გართულებები მოჰყვეს... დიახ, ფაქტია, დამიჯერეთ... მე გითხარით და თვითონ ნახავთ...“

დიკი ადგა, ცდილობდა კარგად გაეაზრა ვითარება იმის მიხედვით, რაც ტელეფონში უთხრეს, მაგრამ უკვე იცოდა, რომ თავის თავზე აიღებდა საქმის მოგვარებას — ადრინდელი საბედისწერო ხიბლი და ძალა შეირხა მასში, თითქოს ეძახდა — „გამომიყენე!“ ახლა წავა და ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენს, გაუგებრობას ააცილებს თავიდან ყველას, გაუგებრობას, რასთანაც თვითონ, კაცმა რომ თქვას, რა საქმე აქვს, და ამას მხოლოდ ძველი ჩვევა ჩაადენინებს — რომ ჰყვარებოდათ, ეს ჩვევა შეიძლება იმ წუთებიდან გაუჩნდა, როცა იგრძნო, რომ თვითონ იყო დაშლილი კლანის უკანასკნელი იმედი. მაშინაც, ლამის ასეთივე გარემოებაში, ციურიხის ტბაზე, დომლერის კლინიკაში შეიცნო თავისი ძალა და აირჩია; ოფელია ამოირჩია, ტკბილი შხამი ამოირჩია და შესვა იგი. ყოველთვის, ყველაზე მეტად ისა სურდა, რომ გამბედავი და კეთილი ყოფილიყო და ამაზე უფრო ის უნდოდა, რომ ჰყვარებოდათ. ასე იყო და ასეც იქნება, გაიფიქრა, როცა მილს დებდა და ჟღარუნი გაისმა, ტელეფონი ძველმოდური იყო.

კარგა ხნის დუმილის მერე ნიკოლმა გამოსძახა, „რა მოხდა, ვინ დარეკა?“

დიკი უკვე იცვამდა.

„პოლიციის უფროსმა ანტიბიდან — იქ მერი ნორთი და ის სიბლი-ბირსი დაუკავებიათ. რაღაც სერიოზული ამბავია, მაგრამ არ მითხრა, მხოლოდ ერთსა და იმავეს გაიძახოდა, „მსხვერპლი არ არის, არც ავარია“. მაგრამ გადამიკრა, რომ სხვა ყველაფერი“.

„მაგრამ შენ რა შუაში ხარ, რად დაგირეკეს? არ მესმის“.

„მოითხოვენ, რომ თავდებით გაუშვან და თავდებად კი მხოლოდ ის პირი შეიძლება დაუდგეს, ვისაც ზღვისპირა ალპებში საკუთრება აქვს“.

„თავხედობაა!“

„არაფერია, წავალ. ოტელში შევივლი მაინც, და გოსსაც გავიყოლებ...“

დიკის წასვლის მერე ნიკოლი დიდხანს ტრიალებდა საწოლში, ვერ მიმხვდარიყო რა უნდა ჩაედინა იმ ორ ლედის; ბოლოს ჩაეძინა. როცა ოთხი საათისთვის დიკი დაბრუნდა,

მაშინვე შემკრთალი წამოხტა და „რაო?“ ისე თქვა, გეგონება სიზმარში ნახა ვიღაცა და იძას ჰკითხაო.

„სიგიჟეა და მეტი არაფერი —“ დიკი საწოლზე, ნიკოლის ფეხებთან ჩამოჯდა და უამბო; მოხუც გოსს კარგა მაგარი ელზასური ძილით ეძინა და ძლივს გააღვიძა, გააგებინა რაც უნდოდა, სალაროდან მთელი ფული ამოაღებინა და ორივე ერთად პოლიციის უბანში წავიდნენ.

„სულაც არ მინდა იმ ინგლისელი ქალისთვის რამე გავაკეთო“, ბუზღუნებდა გოსი.

მერი ნორთი და ლედი კეროლაინი, ორთავე ფრახგი მეზღვაურის სამოსში, და გაწამებულ-მოქანცულები, ორი მკრთალად განათებული კამერის გარეთ ისხდნენ სკამზე. ლედი კეროლაინი — შეურაცხყოფილი ღირსებით იმ ბრიტანელისა, ვინც ელის, რომ ხმელთაშუა ზღვის მთელი ფლოტი დაიძვრება იმის საშველად. მერი მინგეტი პანიკას მოეცვა, ძალიან იყო დაბნეული — დიკი რომ დაინახა, მაშინვე თითქმის მუცელზე მივარდა, გეგონება, ყველაზე კარგად ახლა ეს ადგილი უშველიდა, და ხვეწნასა და მუდარას მოჰყვა, როგორმე ყველაფერი მოაგვარეო. ამასობაში პოლიციის უფროსი საქმის ვითარებას აცნობდა გოსს, რომელიც უხალისოდ ისმენდა ყველა სიტყვას და არ იცოდა რა უფრო გამოეხატა, ის, რომ სათანადოდ აფასებდა ოფიცრის თხრობის ნიჭსა და უნარს თუ ის, რომ ძალიან უნდოდა დაენახებინა, იმდენი ხანი კი ვიმსახურო, აღარაფერი გამაკვირვებსო. „ეს უბრალოდ, ხუმრობა იყო, გიჟმაჟობა“, აგდებით ჩაილაპარაკა ლედი კეროლაინმა, „ვითომ მეზღვაურები ვიყავით და ნაპირზე გადასვლის ნებართვა გვქონდა, ორმა სულელმა გოგომაც დაიჭერა, პატარა სასტუმროში თან წამოგვყვანენ, მერე შეეშინდათ და საშინელი სცენა გამართეს“.

დიკი უსმენდა, ქვის იატაკს ჩასცქეროდა და მხოლოდ ხანდახან უქნევდა თავს, იმ მღვდელივით, სააღსარებოდ რომ მისულან მასთან; ძლივს იკავებდა სიცილს, მაგრამ ძალაუნებურ სურვილსაც გრძნობდა, კარგა მაგრად გაეჯობათ და ერთი ორი კვირა მარტო წყალსა და პურზე დაესვათ ეს შარისთავები; თანაც, ლედი კეროლაინი, აქაოდა, რა მოხდა, ისეთი რა იყო, და თუ რამე იყო, ისიც იმ პროვანსელი შტერი გო-

გოების სიმხდალისა და პოლიციის გონებაშეზღუდულობის ბრლიათ, უხერხულობაში აგდებდა; კარგა ხანია იმ დასკვნამდე მივიდა დიკი, რომ ინგლისელთა გარკვეული კატეგორია ანტისოციალურობის ისეთი ექსტრაქტიითაა გამოკვებილი, რომ ნიუ-იორკის ყველა მახინჯი მხარე ამასთან, ნაყინის ჭამისაგან ავად გამხდარ ბავშვსა ჰგავს მხოლოდ.

„სანამ ჰოსეინი გაიგებს, მანამდე უნდა დავალწიო თავი ამ ადგილს“. ტიროდა მერი. „დიკ, თქვენ შეგიძლიათ ყველაფერი მოაგვაროთ — თქვენ ხომ ყოველთვის შეგეძლოთ ხოლმე, უთხარით, რომ დავტოვებთ აქაურობას, უთხარით, რომ გადავიხდით, რამდენსაც გვთხოვენ“.

„მე არ გადავიხდი“, ქედმაღლურად თქვა ლედი კეროლაინმა. „ერთ შილინგსაც კი. მაგრამ იმაზე კი ვიზრუნებ, რომ რაც შეიძლება მალე მიაღწიოს ამ ამბავმა საკონსულომდე კანაში. იმასაც ვნახავ, რას ეტყვიან იქ“.

„არა, არა!“ წამოიძახა მერიმ. „აქედან უნდა გავიღეთ, ამაღამვე“.

„ვნახავ, ვეცდები მოველაპარაკო“, თქვა დიკმა და დაუმატა: „მაგრამ, ცხადია, უფულოდ არაფერი გამოვა“. ისე უყურებდა, თითქოს მართლა მიამიტები და უმანკოები არიანო, რასაც თავისთვის არამც და არამც არ ფიქრობდა, თავი გადაიქნია. „არ გინდა ამისთანა სიგიჟე მოიფიქრო!“

ლედი კეროლაინმა გულმხიარულად გაიღიმა.

„თქვენ გადარეულების ექიმი ხართ, ასე არ არის? ესე იგი შეგიძლიათ შველა, გოსი კი — მაგას კიდევაც ვვალება“.

დიკი გოსთან ერთად განზე გადგა, რომ გაეგო, რას ელაპარაკებოდა პოლიციის ჩინოსანი. საქმე უფრო სერიოზული ჩანდა, ვიდრე ეგონათ — ერთ-ერთი პროვანსელი ქალიშვილი, ამათ რომ წაჰყვა, კარგი ოჯახიდან იყო და ოჯახში აღშფოთდნენ, ან, ისე იჭერდნენ თავს, ვითომ აღშფოთდნენ, მათთან რაღაც შეთანხმება იყო საჭირო. მეორე კი — პორტის ერთ-ერთი გოგო იყო და აქ შედარებით იოლადაც მოგვარდებოდა ყველაფერი. მაგრამ საქმე თუ სასამართლომდე მივიდოდა, მაშინ, საფრანგეთის კანონების მიხედვით, ორთავეს ციხე არ ასცდებოდათ, ანდა, უკეთეს შემთხვევაში, გააძევენდნენ. მდგომარეობა უფრო იმითაც რთულდებოდა, რომ აქა-

ურები სხვადასხვაგვარად უყურებდნენ უცხოელებს, ერთნი ხეირში იყვნენ იმათგან, სხვები კი გაბეზრებულები ჩანდნენ და ფასების თანდათან ზრდასაც ამათ აბრალებდნენ. გოსპა აწონ-დაწონა ყველაფერი და თავისი მოსაზრება დიკს გაუზიარა. დიკი პოლიციის უფროსთან მოლაპარაკებას შეუდგა.

„თქვენ ალბათ იცით, რომ საფრანგეთის მთავრობას ამერიკელი ტურისტების მიზიდვა უნდა, იმდენად, რომ ამ ზაფხულს პარიზში სპეციალური ბრძანებაც კია, რომლის მიხედვით ამერიკელების დაპატიმრება, თუ მეტად სერიოზული შემთხვევა არ არის, აკრძალულია“.

„ეს საკმაოდ სერიოზული შემთხვევაა, ღმერთო ჩემო“.

„მაგრამ, ნუბა მომეცით გკითხვით — თქვენ ნახეთ მათი დოკუმენტები?“

„არა ჰქონდათ დოკუმენტები. არაფერი, ორასი ფრანკისა და რამდენიმე ბეჭდის გარდა. ფეხსაცმლის ზონრებიც კი არ გააჩნდათ, რომ თავის ჩამოხრჩობა შესძლებოდათ!“

რაკი საქმეში დოკუმენტები არ ერია, დიკმა ახლა მშვიდად განაგრძო.

„იტალიელმა გრაფინიამ ამერიკის მოქალაქეობა შეინარჩუნა. იგი შვილიშვილია —“ დიკი დინჯად, სერიოზული სახით აბამდა ტყუილს ტყუილზე, „ჯონ დ. როკფელერ მელონისა, ალბათ გაგიგიათ ეს სახელი?“

„რა თქმა უნდა, ღმერთო ჩემო, ვინა გგონივართ?“

„გარდა ამისა, იგი დისწულია ლორდ ჰენრი ფორდისა და, ამგვარად, საქმე აქვს რენოსა და სიტროენის კომპანიებთან“ — იფიქრა, დროა გავჩერდეთ, მაგრამ ნახა, რომ იმისმა ხმამ და ამ სიტყვებმა დიდი ეფექტი მოახდინა და დაუმატა: „გინდა ეგ დაგიჭერიათ და გინდა ინგლისში სამეფო გვარის პიროვნება, ეს ხომ იცით რას გამოიწვევს — შეიძლება ომიც კი ატყდეს!“

„მაგრამ ინგლისელ ქალზე რაღას იტყვი?“

„ახლა იმაზე გადავდივარ. ეს ინგლისელი ქალი უელსის პრინცის ძმის — ჰერცოგ ბაკინგემის დანიშნულია“.

„ჩინებული საცოლე კი ჰყოლია“.

„და ახლა მზადა ვართ გადავიხადოთ —“ დიკმა სწრაფად იანგარიშა, „ათას-ათასი ფრანკი ორივე ქალიშვილს — და ათ-

ასი ფრანკიც იმ „წესიერი“ ქალიშვილის მამას. გარდა ამისა, კიდევ ორი ათასი თქვენი ხარჯებისთვის, როგორც საჭიროდ მიიჩნევთ, ისე გაძოიყენებთ, თქვენი საქმეა —“ დიკმა მხრები აიჩეჩა, „—პოლიციელებისთვის, ესენი რომ დააპატიმრეს, სასტუმროს მეპატრონისთვის და ასე შემდეგ. მე ახლა გადმოგცემთ ხუთი ათას ფრანკს, რომ დაუყოვნებლივ ჩაუშვათ საქმეში და ალბათ თავდებით გაუშვებთ მათ, ხვალ კი, როგორც კი ჯარიმის თანხა გაირკვევა, ასე ვთქვათ, წესრიგის დარღვევის გამო, შიკრიკის მეშვეობით შევიტანთ მას მოპრიგებელ მოსამართლესთან“.

სანამ ოფიცერი რამეს იტყოდა, დიკი უკვე მიხვდა, რომ საქმე მოგვარდა. „რამდენადაც უდოკუმენტებოდ არიან, ისინი მე რეგისტრაციაში არ გამიტარებია — მომეცით ფული და ვნახავ, რის გაკეთება შეიძლება“. ცოტა ყოყმანის მერე თქვა კაცმა.

ერთი საათის მერე დიკმა და მესიე გოსმა ქალებში მანქანით მიიყვანეს ოტელ „მაჟესტიკთან, სადაც ლედი კეროლაინის „ლანდო“ იდგა და შოფერს საჭესთან ეძინა.

„არ დაგავიწყდეთ, რომ მესიე გოსს ას-ასი დოლარი უნდა გადაუხადოთ“. თქვა დიკმა.

„რა თქმა უნდა“, მაშინვე დაეთანხმა მერი. „ხვალვე გამოვუგზავნი ჩეკს და კიდევ რაღაცას მივუმატებ“.

„მე არა!“ ყველა გაშტერდა და ლედი კეროლაინისკენ შეტრიალდნენ. დაბნეულობას უკვე გაეწვლო და სამართლიან მრისხანებას მოეცვა. „ეს ყველაფერი აღმაშფოთებელია. მე თქვენთვის არ მითხოვია ასი დოლარი მიგეცათ იმ ხალხისთვის“.

ჩათქვირებული გოსი ავტომობილის კართან იდგა, უცებ წამოჭარხლდა და თვალები აენტო.

„თქვენ არ გინდათ გადამიხადოთ?“

„გადაიხდის, რა თქმა უნდა“, თქვა დიკმა.

მაგრამ ამ მთვარიან ღამეს გოსს გაახსენდა და ერთბაშად მოაწვა, რაც კი ლონდონში ბიჭობისას წყენა და ლანძღვა აეტანა და მუქარით გაიწია ლედი კეროლაინისკენ.

ჯერ სიტყვების კორიანტელით გაუძასპინძლდა, რაც გაუგონა და იცოდა მასზე, ყველაფერი მიახალა, მაგრამ ლედი

კეროლაინმა გაყინული ღიძილით შეაქცია ზურგი და მაშინ გოსმა, მკვირცხლად გადადგა ნაბიჯი მისკენ და გახტქმულ მიზანში რბილად ჩარგო თავისი პატარა ფეხი. მოულოდნელობისაგან ლედი კეროლაინმა ხელები გაშალა, თოფნაკრავივით წინ გადაქანდა და მეზღვაურის სამოსიანი, ეგრევე გაიშლართა ტროტუარზე.

დიკის ხმა შეერია ლედი კეროლაინის გაცოფებულ ყვირილს: „მერი, გააჩუბე! თორემ ათი წუთიც და ხომ იცით, სადაც ამოყოფთ თავს, ორთავეს ბორკილი არ აგცდებათ!“

გზად, ოტელისკენ, ბებერ გოსს კრინტი არ დაუძრავს, მხოლოდ მაშინ, როცა ჟუან-ლე-პენის კაზინოს გასცდნენ, საიდანაც ისევ ისმოდა ჯაზის ხველა და ჯაზის ქვითინი, გოსმა ამოიოხრა და დაილაპარაკა:

„ამისთანა ქალებს არ შევხვედრივარ ცხოვრებაში, ბევრ ცნობილ კურტიზანს ვიცნობდი და ბევრ მათგანს პატივსაც ვცემდი, მაგრამ ასეთი ქალები, ესენი რო არიან, დღემდე არ მინახავს“.

XI

დიკს და ნიკოლს ჩვევადა ჰქონდათ, ერთად წასვლა პარიკმახერთან, თმის შესწორებ-დასაბანად, იქ გვერდიგვერდ ოთახებში ისხდნენ ხოლმე და ნიკოლს მოსწონდა იქითა მხრიდან რომ ესმოდა მაკრატლების ღრჭიალი და ხურდის გადათვლა, გაუთავებელი წამოძახილები „Voilà“ „Pardon!“ და დიკის დაბრუნების მეორე დღესაც წავიდნენ კანაში, რომ შესწორება-დაბანის მერე ფენის სურნელიან ნიავზე გაეშროთ თმა.

ოტელ „კარლტონის“ ფანჯრებწინ — ზაფხულს სულაც რომ არ იძინევდა, გეგონება რა ფანჯრები — სარდაფების კარებიანო, — მანქანამ ჩაიარა. მანქანაში ტომი ბარბანი იჯდა, ჩაფიქრებული და დარდიანი ჩანდა, მაგრამ მოჰკრა თუ არა თვალი ნიკოლს, ღრუბელგადაყრილს, თვალები გაუნათდა. ნიკოლმაც უმაღლესად შეამჩნია ეს წამიერი ცვლილება და აფორი-იქდა. მოუნდა, ახლა ისიც მჯდარიყო იმ მანქანაში და ტომისთან ერთად წასულიყო იქ, სადაც იგი მიდიოდა. მთელ საათს პარიკმახერთან ყოფნა ერთ იმ გულისგადაძლევ ინტერვალად

ეჩვენებოდა, მის ცხოვრებას რომ შეადგენდა და ცოტა ციხეში ჯდომასაც ჰგავდა. პარიკმახერ ქალს თეთრი ხალათი ეცვა, გამლღვალი პოძადისა და ოდეკოლონის სუნი ასდიოდა და მედიცინის დებს ახსებებდა.

მეორე ოთახში წინსაფარაკრულ დიკს სახეზე საპნის ქაფი ესვა და თვლემდა. ნიკოლი სარკეში იყურებოდა, სარკეში მამაკაცებისა და ქალების ოთახებში გასასვლელი ჩანდა და უცებ, ლამის წამოხტა ადგილიდან, დაინახა, რომ ტომი ბარბანი შემოვიდა და მაშინვე მამაკაცების სალონისკენ გაქახდა, მღელვარებისა და გახარებისაგან წამოწითლდა, მიხვდა, ჰკვეთრი და გულახდილი ლაპარაკი რომ ექნებოდათ.

უკვე ესმოდა იმათი საუბრის ფრაგმენტები.

„ჰელო, თქვენთან ლაპარაკი მინდა“.

„...სერიოზული?“

„...სერიოზული?“

„...ძალიან კარგი, თანახმა ვარ“.

ერთი წუთის მერე დიკი ნიკოლთან მივიდა, სახელდახელოდ ჩამობანილ სახეს გაჯავრებული იწმენდდა პირსახოცი.

„შენს მეგობარს რაღაც ცეცხლი წაეკიდა, ლაპარაკი ისურვა ორთავესთან და დავთანხმდი, მინდა, რომ ჩქარა გაათავოს, წავიდეთ!“

„ძაგრამ თმა ჯერ არ შემიჭრია“.

„არაფერია, მერე შეიჭრი, წავიდეთ!“

რას იზამდა, გაოცებულ პარიკმახერს ნიკოლმა პირსახოცების შემოხსნა სთხოვა. გრძნობდა რა მორთულიცა და რა მოკაზმულიც იყო ახლა, დიკს ოტელიდან გაჰყვა. ტომი გარეთ იცდიდა და მისი ხელისკენ დაიხარა.

„კაფე „კავშირში“ წავიდეთ“, თქვა დიკმა.

„სულ ერთია სად იქნება, სადაც არავინ შეგვიშლის ხელს“, მიუგო ტომიმ.

ხეების კაშაროვანში, ზაფხულის ამ გრილოში დასხდნენ და დიკმა იკითხა:

„ნიკოლ, დალევ რამეს?“

„მხოლოდ ლიმონის წვენს“.

„მე ერთ კათხა ლუდს“, თქვა ტომიმ.

„ბლექ-ენდ-უაიტ“, სიფონით“, თქვა დიკმა.

„ბლექ-ენდ უაიტ“ არა გვაქვს. არის მხოლოდ „ჯონი უოკერ“.

„კარგი“.

სმას არ იღებს, ჩერდება —
მაგრამ არაფერია,
ველარ დამიჯერია,
ესეც სიზმრისფერია...

„თქვენ ცოლს არ უყვარხართ“, უცებ თქვა ტომიმ. „მე ვუყვარვარ მას“.

ერთმანეთს შეხედეს, ორთავეს საოცრად წაშლილი, არა-რა გაძომეტყველება ჰქონდა სახეზე. ასეთ სიტუაციაში ლამის შეუძლებელია ორი მამაკაცის ურთიერთობა, რადგან პირდაპირი არ არის იგი, ამას ის არკვევს, თუ იმათგან ვის და რამდენად ეკუთვნის ქალი, ვისაც ამბავი ეხება და მათი გრძნობები ამ ქალის ორმხრივ არსებაში ისე გადის, როგორც რაღაცა დაზიანებულ კომპუტატორში.

„ერთი წუთით“, თქვა დიკმა. „მომიტანეთ ჯინი და სიფონი“.

„კარგით, მესიე“.

„განაგრძეთ ტომი, გისმენთ“.

„ჩემთვის სავსებით ცხადია, რომ ნიკოლთან თქვენი ქორწინება ვერ გაგრძელდება. აღარ სჭირდებათ. ხუთი წელი ველოდი, რომ ეს მომხდარიყო“.

„რას იტყვის ნიკოლი?“

ორთავემ ნიკოლს შეხედა ახლა.

„ტომის ძალიან შევეთვისე, დიკ“.

დიკმა უსიტყვოდ დაუქნია თავი.

„შენ მე უკვე აღარ გიყვარვარ“, განაგრძო ნიკოლმა. „ჩვე-ვაღა დარჩა. როზმერის მერე უკვე ისე არ იყო ხოლმე, როგორც წინათ“.

მაგრამ ტომის საქმის ასე შეტრიალება ხელს არ აძლევდა და მაშინვე ჩაერია:

„თქვენ ვერ უგებთ ნიკოლს. იმის გამო, რომ ოდესღაც ავად იყო, მთელი ცხოვრება ისე ექცევით, როგორც პაციენტს“.

უცებ ამათ ვიღაც აბეზარმა ამერიკელმა შეაწყვეტინა საუბარი. ყველას ახალ „ჰერალდსა“ და „ნიუ-იორკ ტაიმსს“ სთავაზობდა ჩაცვიებით.

„აიღეთ, ძმებო, აქ ყველაფერია. დიდი ხანია აქა ხართ?“

„თავი დაგვანებეთ! წადით აქედან!“ დაუყვირა ტომიმ და დიკისკენ მიტრიალებულმა განაგრძო: „ვერც ერთი ქალი ვერ აიტანდა ასე...“

„ძმებო!“ ისევ შეაწყვეტინა იმ ამერიკელმა. „თქვენი აზრით მე ფუჭად ვკარგავ დროს, იყოს ასე — სამაგიეროდ, სხვები არ კარგავენ“. თავის საფულეს რაღაც დააძრო — დიკს იგი თითქოს ეცნაურა — კარიკატურა, გაყვითლებული გახეთიდან, — ამერიკელები დოკზე ნაკადად გადმოდიოდნენ საფრანგეთში, თავიანთი ოქროს ტომრებით, „თქვენ გგონიათ, მე ჩემსას ვერ დავითრევ? ამასაც ვნახავთ, ნიციდან ტურ დე ფრანს ველორბოლის გულისთვის საგანგებოდ ჩამოვედი“.

როცა ტომიმ გაცოფებულმა დაუყვირა, და გააგდო იგი, მხოლოდ მაშინ გაახსენდა დიკს, სად ენახა.

ის კაცი იყო, ხუთი წლის წინათ ერთხელ პარიზში რუ დე სენტ ანჟზე რომ გადაეყარა.

„აქ როდის იქნება ტურ დე ფრანსი?“ მიაძახა დიკმა.

„წუთი წუთზე, ძმაო“.

ბოლოს, როგორც იქნა, გაეცალა მათ, მხიარულად დაუქნია ხელი და ტომი ისევ დიკს მიუბრუნდა.

„Elle doit avoir plus avec moi qu'avec vous“¹.

„ინგლისურად ილაპარაკეთ! რა არის — doit avoir?“

„Doit avoir? — ჩემთან უფრო ბედნიერი იქნება იგი“.

„ჰო — სიახლის ხიბლი, ძაგრამ მე და ნიკოლი ბედნიერებიც ვიყავით, ტომი“.

„ოჯახური ბედნიერება“, აგდებით ჩაიცინა ტომიმ.

„თქვენ და ნიკოლი თუ დაქორწინდებით, ოჯახური ბედნიერება არ იქნება?“ ქუჩიდან ხმაური მოისმა და დიკმა ველარ გააგრძელა; ხმაური თანდათან მატულობდა, იქაურობას ავსებდა უკვე. ბორდიურზე ხალხი ბრბოდ იდგა და მოცლილები საიდანღაც ემატებოდნენ.

პატარა ბიჭები — სპრინტერები ველოსიპედებით მოდიოდნენ, ქუჩებში მოსრიალებდნენ საგანგებოდ მორთული, ვიშპელებიანებით სავსე ავტომობილები, ბუკ-საყვირის ხმა ისმო-

¹ „ჩემგან მეტი რამ უნდა მიიღოს, ვიდრე იგი თქვენგან იღებდა“ (ფრანგ.).

და და ველორბენის მოახლოებას აუწყებდა ხალხს, რესტორანების კარებს უწინსაფრო მზარეულები აწყდებოდნენ, მოსახვევში წითელჯემპრიანი პირველი მრბოლელი გამოჩნდა, გულდაჯერებით მოდიოდა ველოსიპედით და არეულ-დარეულ, გამამხნევებელ შეძახილებსა და ღრიანცელში მოჰყავდა იგი. დაფიონიდან იმას კიდევ სამი მრბოლელი მოჰყვებოდა, გახუნებული ჰარლეკინები, ჯამბაზ-მრბოლელი, მტვრისა და ოფლის ყვითელი ფენა დასდებოდათ ფეხებზე და დაღვრემილი, გაშტერებული სახეები და მეტად დაღლილი თვალები ჰქონდათ.

ტომი დიკის წინ დადგა და თქვა:

„ნიკოლი ალბათ გაყრას მოინდომებს — იმედია არ დააბრკოლებთ?“

პირველ მრბოლელთა მერე ერთი ორმოცდაათი მაინც გამოჩნდა ორას იარღზე გაჭიმული; ზოგი მორცხვად ილიმებოდა, ზოგს ქანცგაწყვეტა ეტყობოდა, ბევრს კი მაინც სახეზე უფრო გულგრილობა და დაღლა ეხატა. პატარა ბიჭების ამაღამ გაიარა, მერე იმ რამდენიმე ჩამორჩენილმა, თავიდან რომ ფახაფუხით დაეწყოთ და სულ ბოლოს კი დიდმა მანქანამ, ის მრბოლელები რომ მოჰყავდა, ვინც ავარიაში დაშავდა, ანდა, ბოლომდე ვეღარ გაუძლო და მარცხი იგემა. თავიანთ მაგიდას დაუბრუნდნენ. ნიკოლს უნდოდა დიკს ჩაეგდო ინიციატივა ხელში, მაგრამ დიკი მშვიდად იჯდა, — იმისი ჯერაც გაუპარსავი პირისახე ნიკოლის ჯერაც შეუჭრელ თმას ეხამებოდა.

„შენ ხომ უკვე კარგა ხანია ბედნიერი არა ხარ ჩემთან?“ დაილაპარაკა ნიკოლმა. „მე რომ არა, შენ ისევ საქმეს მიხედავდი — უკეთესადაც, რაკი ჩემზე საწუხარი და საფიქრალი აღარ გექნება“.

ტომის მოუთმენლობა შეეტყო.

„რა საჭიროა ეს ლაპარაკი, ნიკოლს და მე ერთმანეთი გვიყვარს, და თავისთავად ეს ფაქტი ყველაფერს ამბობს“.

„ესეც ასე“, თქვა დოქტორმა დაივერმა, „რაკი გაირკვა ყველაფერი, იქნებ ისევ პარიკმახერთან წავსულიყავით?“

ტომის ჩხუბი უნდოდა: „არის ზოგი რამ...“

„ზოგ რამეზე მე და ნიკოლი მოვილაპარაკებთ“, თქვა დიკ-

მა. „ნუ ღელავთ — პრინციპში მე თანახმა ვარ და ნიკოლი და მე გავუგებთ ერთმანეთს. სამკუთხა სჯა-ბაასს თუ ავირიდებთ, უსიამოვნების შანსიც უფრო მცირე იქნება“.

ტომის არ შეეძლო არ ელიარებინა, რომ დიკი მართალი იყო, მაგრამ მისი ბუნება მოითხოვდა, რომ ბოლოსაც თვითონ ეთქვა სიტყვა.

„მინდა, გახსოვდეთ, რომ ამ წუთიდან“, თქვა მან, „მე ნიკოლის მფარველი ვარ და პასუხსაც მოგთხოვთ, თუ ჯერჯერობით ერთ ჰერქვეშ ყოფნას ნიკოლთან ერთად, ოდნავ მაინც გამოიყენებთ“.

„მშრალ სატრფიალოს ტრფიალი მე არასოდეს არა ვყოფილვარ“, თქვა დიკმა.

თავი დაუკრა და ოტელ „კარლტონის“ მხარეს წავიდა, ნიკოლის ფექრიანი მზერა გაჰყვა თან.

„საკმაოდ კარგად ეჭირა თავი“, აღიარა ტომიმ. „ძვირფასო, სადამოს ხომ ერთად ვიქნებით?“

„მე ასე მგონია“.

მაშ ასე, მოსახდენი მოხდა და ტრაგედიაც თითქმის არ იყო; ნიკოლი ისე გრძნობდა, თითქოს გაუგეს რაც იზრახაო, და მიხვდა, რომ ქაფურის მალამოს ეპიზოდებიდან დიკი უკვე ელოდა ამას. და მაინც, ბედნიერს, უხაროდა, ღელავდა და ცოტა არ იყოს ახირებული სურვილი, რომ კარგი იქნებოდა, ყველაფერი დიკისთვის ეამბნა, მალე გაუქრა. ოღონდ, თვალმოუშორებლივ უყურებდა დიკს მანამდე, სანამ წერტილად იქცეოდა და ზაფხულის ბრბოს სხვა წერტილებს შეერეოდა.

XII

რივიერიდან წასვლის მთელი წინა დღე დოქტორმა დაივერმა თავის ბავშვებთან გაატარა. უკვე იმ ასაკში აღარ იყო, რომ კარგ რამეზე ეფიქრა ანდა ეოცნება და უნდოდა კარგად დახსომებოდა თავისი შვილები. ბავშვებს უთხრეს, რომ ზამთარს ლონდონში, დეიდასთან გაატარებდნენ, მერე კი ამერიკაში წავიდოდნენ და მამას ნახავდნენ. ფროილაიხი მათთან დარჩებოდა და როგორც შეთანხმდნენ, დიკის უნებართვოდ არ დაითხოვდნენ.

უხაროდა, რომ ბევრი რამ მისცა თავის პატარა გოგოს — ბიჭისადმი კი გულდაჯერება ამ მხრივ აკლდა — ისედაც, არასოდეს იცოდა კარგად, რა უნდა მიეღოთ მისგან ამ დაუდგეგარ, უმწეო და ჯერ ისევ მკერდზე მიკრულ პატარებს. მაგრამ, მშვიდობითო, როცა მათ უთხრა, უნდოდა აეწია ეს ორი მშვენიერი თავი, გულში ჩაეკრა, მერე საათებს გაეგლო და მაინც ამათთან ყოფილიყო.

დიკი მოხუც მეზღეს, ვილა „დაიანაში“ ამ ექვსი წლის წინათ პირველად რომ დარგო ყვავილები, გადაეხვია; აკრცა პროვანსელ გოგოს, ბავშვების მოვლაში რომ ეხმარებოდა და თითქმის ათი წელი იყო ამათთან, და ახლა მუხლებზე დავარდა და გულამოსკვნით ტიროდა, სანამ დიკმა ძალით არ წამოაყენა და სამასი ფრანკი არ აჩუქა. ნიკოლს ჯერ ისევ ეძინა — ასე დათქვეს; დიკმა მას ბარათი დაუტოვა, ერთიც — ბები უორენს, სარდინიიდან რომ დაბრუნდა და ახლა ამათთან იმყოფებოდა. მერე სამფუტიანი სიმაღლის ათკვარტიანი ბოთლიდან, ვილაცამ დაივერებს რომ აჩუქა, ბრენდი დაისხა და კარგად დალია.

მანქანაში ჩაჯდა, გადაწყვიტა, რომ ბარგს კანის ვაგზალში ჩააბარებდა და დაბრუნდებოდა, რომ საბოლოოდ შეეგლო თვალი გოსის პლაჟისთვის.

ჯერ იქ მხოლოდ გოგო-ბიჭების ავანგარდი იყო, იმ დილას ნიკოლი და თავისი და პლაჟზე რომ გავიდნენ. თეთრი ცისაგან წახეული უთმენი თეთრი მზე ვარვარებდა. სიო არ იძვროდა. ბარში ოფიციანტები ყინულს ამატებდნენ; ამერიკელ ფოტოგრაფს პატარა ჩრდილი ენახა, თავისი აპარატი დაედგა იქ და ქვის კიბეზე ფეხის ხმის გაგონებისთანავე მალიმალ მაღლა იღებდა თავს. რიყრაჟზე ჩაძინებულ იმის მუშტრებს ოტელის დაბნელებულ ოთახებში ისევ ეძინათ.

კაბინიდან გასულმა ნიკოლმა უცებ დიკი დაინახა, პლაჟისთვის არ ეცვა და ზევითკენ, დიდ ქვაზე იჯდა. ნიკოლმა სწრაფად დაიხია, თავისი კარვის ჩრდილს შეეფარა. წუთის მერე ბებიც მოვიდა და უთხრა:

„დიკი ჯერ აქ არის“.

„ჰო, დაგინახე“.

„მე მეგონა ეყოფოდა ტაქტი და ადრე წავიდოდა“.

„ეს დიკის ადგილია — ასე თუ ისე, დიკმა აღმოაჩინა აქაურობა. მოხუცი გოსი ყოველთვის ამბობს, რომ დიკის მადლიერია ყველაფრისათვის“.

ბებიმ მშვიდად შეხედა დას.

„არ იყო საჭირო მაგის ველოსიპედით ექსკურსიებისგან ჩამოშორება“, შენიშნა მან. „მალლა რომ აიწევიან, თავგზა ებნევათ და ამას ვერავითარი ლამაზი ბლეფით ვერ ფარავენ“.

„ექვსი წელი დიკი კარგი ქმარი იყო ჩემთვის“, თქვა ნიკოლმა. „ამ ხნის მანძილზე ერთხელაც არ მოუყენებია ტკივილი და ყოველთვის ცდილობდა, დავეფარე რამე ვნებისგან“.

ბების ქვედა ყბა ოდნავ წამოეწია, როცა თქვა:

„ამისთვისაც სწავლობდა იგი“.

ღები ცოტა ხანს გაჩუბდნენ; ნიკოლი დაღლილად ფიქრობდა რაღაცებზე, ბები ვარაუდობდა, ღირდა თუ არა გაპყოლოდა მისი ხელისა და ფულის მთხოვნელ ახალ კანდიდატს, ხალასჯიშიან ჰაბსბურგს, თუმცა მაინცდამაინც არ ფიქრობდა ამაზე ისე, როგორც უნდა ეფიქრა ამ დროს. ბების ყველა ამბავი უკვე ისე ძალიან ჰგავდა ერთმანეთს, რომ რაც კი წლები ემატებოდა და ჰკნებოდალა, მხოლოდ ლაპარაკისთვის თუ უნდოდა ის ამბები და ბების ემოციებიც არსებითად ამისთვის იყო — სალაპარაკოდ.

„წავიდა?“ ცოტა ხნის მერე იკითხა ნიკოლმა. „მე მეგონია მისი მატარებელი თორძეტზე გადის“.

ბებიმ კაბინიდან გაიხედა.

„არა, ტერასაზე ავიდა და ვილაც ქალებს ელაპარაკება. მაგრამ აქ ხალხი უკვე იმდენია, ვერც კი შეგვამჩნევს“.

დიკმა ისინი შეამჩნია, მაშინვე, თავიანთი საფარიდან რომ გამოვიდნენ და თვალს ადევნებდა, ვიდრე ისევ გაუჩინარდნენ. მერი მინგეტისთან ერთად იჯდა მაგიდასთან და ანისის არაყს სვამდა.

„იმ ღამეს, საშველად და გადასარჩენად რომ მოხვედით, ისევ ისეთი, ძველებური დიკი იყავით“, ამბობდა მერი. „ოღონდ, ბოლოს საშინლად მოექცეცით კეროლაინს. რატომ არ გინდათ ყოველთვის ისეთი კარგი იყოთ? ხომ შეგიძლიათ“.

დიკს ახლა ფანტასტიკური ეჩვენებოდა მთელი ეს სიტუაცია, როცა მერი ნორთს შეეძლო მისთვის ექადაგა და დაემოდღვრა.

„მეგობრებს ახლაც უყვარხართ, დიკ, მაგრამ როცა დაღევთ, აუტანელ რაღაცებს ეუბნებით ხალხს. მთელი ეს ზაფხული ისე მიდის, რომ სულ თქვენ გიცავთ და გექომაგებით“.

„დოქტორ ელიოტის ერთ-ერთი კლასიკური რეჰარკაა“.

„არა, მართლა, სვამთ თუ არა სვამთ, ეს კი არ არის ვინმეს საქმე —“ ცოტათი შეუყოყმანდა, „ეიბიც კი, რამდენიც უნდა დაეღია, თქვენსავით გულს არ ატკენდა ხალხს“.

„რა მოწყენაა თქვენთან ყველასთან“, თქვა დიკმა.

„მაგრამ აქ მხოლოდ მე და თქვენა ვართ!“ წაძოიძახა მერიმ. „თუ რიგიანი ხალხი არ მოგწონთ, მიდით სხვებთან და ვნახოთ, როგორ მოგეწონებათ! ხალხს მხოლოდ ისა სურს, რომ სიამოვნება მიიღოს და თუ ჩაუშხამებთ, მაშინ თავის თავს მასულდგმულებელ წყაროს უშრობთ“.

„მქონდა კი ასეთი წყარო?“ იკითხა დიკმა.

მერი კარგ დროს ატარებდა ახლა და თვითონაც არ იცოდა ეს — დიკთან ერთად ხომ უფრო შიშის გამო დაჯდა. ისევ უარი უთხრა დაღვევაზე და თქვა: „გასაგებია სადაც მარხია ძაღლის თავი — თავისი თავის შეღავათი სისუსტის გამო. ეიბის მერე ცხადია, ხვდებით რასაც ვგრძნობ ასეთ რამეზე — იმის მერე, რაც ალკოჰოლმა ჩემ თვალწინ კარგი კაცი დაღუპა...“

საფეხურებზე თეატრული ხალისით ჩამოირბინა ლედი კეროლაინ სიბლი-ბირსმა.

დიკი კარგ ხასიათზე დადგა — დროს, დღეს გაუსწრო და იმ მდგომარეობას მიაღწია, როგორსაც კარგი სადილის მერე აღწევენ ხოლმე, მაგრამ ჯერ ეს მხოლოდ მერის მიმართ თავაზიან, შესამჩნევად თავშეკავებულ ინტერესში ვლინდებოდა. მისი ბავშვსავით სუფთა მზერა მერის თანაგრძნობას ითხოვდა და უკვე თანდათან ეპარებოდა ის, რასაც წინათ გრძნობდა ხოლმე, — შთაენერგა ამისთვის, რომ მთელ ქვეყანაზე ერთი კაცი ესლა იყო და ეს ქალი კი ის ერთადერთი, ვინც ქვეყანას შემორჩა ბოლოს.

...მაშინ იგი იქით აღარ გაიხედავდა, იმ კაცისა და ქალისა-
კენ, მკაფიოდ რომ ისახებოდნენ შავად და თეთრად, ცის
ფონზე ახლა...

„ერთ დროს ხომ მოგწონდით?“ იკითხა მას.

„მოგწონდითო — მე თქვენ მიყვარდით, ყველას უყვარ-
დით. ყველა ქალი გამოგყვებოდათ, ოღონდაც კი თქვენ და-
გეძახათ...“

„ჩვენ შორის ყოველთვის რაღაც იყო“.

მერი ხალისით წამოეგო ანკესზე. „ძართლა, დიკ?“

„ყოველთვის — მე ვიცოდი ყველა თქვენი საწუხარი და
ვხედავდი, რა ვაჟკაცურად გეჭირათ თავი“. მაგრამ შიგნით
უკვე ეღებოდა ძველი სიცილი და მიხვდა, დიდხანს ვერ გაუ-
ძლებდა.

„მე ყოველთვის გუმანით ვგრძნობდი, რომ თქვენ ბევრი
რამ იცოდით ჩემზე“, აღფრთოვანებით უთხრა მერიმ. „უფრო
მეტი, ვიდრე როდისმე იცოდა ვინმემ. იქნებ ამიტომაც მეში-
ნოდა თქვენი იმის მერე, რაც ერთმანეთთან ძველებურად აღ-
არ ვიყავით“.

დიკმა, თითქოს გამოუთქმელის თქმა უნდაო, თბილად და
აღერსით შეხედა მას; მათი მზერა ერთმანეთს შეხვდა დაძა-
ბულად, უცებ შეერთდა, შეერწყა, მაგრამ ის სიცილი ისე ხმა-
მალლა ისმოდა უკვე, საცაა მერიც გაიგონებდა და დიკმა სი-
ნათლე გამორთო და რივიერის მზეს დაუბრუნდნენ.

„უნდა წავიდე“, თქვა მან და წამოდგა. ოდნავ ირწეოდა;
თითქოს რაღაცა თვალთ დაუბნელდა — თითქოს სისხლი უჩე-
რდებოდა. ძარჯვენა ხელი ასწია და მაღალი ტერასიდან მთელ
პლაჟს პირჯვარი გადასწერა. აქეთ-იქითა ქოლგებიდან გაკვირ-
ვებით ამოიხედეს.

„მივალ მასთან“, ნიკოლი მუხლზე წამოიწია.

„არა, არ მიხვალ“, ტომიმ ძალით დასვა ადგილზე. „მორჩა,
გათავდა“.

XIII

თავისი ახალი გათხოვების მერე ნიკოლს მიწერ-მოწერა
ჰქონდა დიკთან; საქმეებზე და ბავშვებზე სწერდა. ხშირად

იტყოდა ხოლმე, „შიყვარდა დიკი და ვერ დავივიწყებ“, რაზე-
დაც ტომი მიუგებდა, „რაღა თქმა უნდა, არა — რად უნდა
დაივიწყო?“

დიკმა პრაქტიკა ბათვალში დაიწყო, მაგრამ, ეტყობა საქ-
მე არ გამოვიდა. ნიკოლმა ვერ გაარკვია რის გამო, ოღონდ, რა-
მდენიმე თვის მერე გაიგო, რომ ნიუ-იორკის შტატის პატარა
ქალაქ ბატავიაში გადავიდა და იქ ზოგად მედიცინაში ჰქონდა
პრაქტიკა, ცოტა მოგვიანებით კი შეიტყო, რომ ლოკპორტში
იყო და იქაც იგივეს აკეთებდა. რაღაც შემთხვევის წყალობით
დიკის ლოკპორტში ცხოვრებაზე მეტი ამბებიც ესმოდა ნი-
კოლს: რომ ბევრს დადიოდა ველოსიპედით, რომ ქალები აღ-
მერთებდნენ და რომ მაგიდაზე დასტა-დასტად მუდამ ელაგა
ქალაქლები, ამბობდნენ, რომ საყურადღებო ტრაქტატი იყო
მედიცინაში და საცაა უკვე დაამთავრებდა. მას დახვეწილი
მანერების კაცად თვლიდნენ და ერთხელ, შიტინგზე, შესანი-
შნავი სიტყვაც წარმოთქვა ნარკოტიკებზე; მაგრამ რაღაც ამ-
ბავში გაეხვია ერთ ქალიშვილთან, ბაკალეადან, და ამას ის-
იც დაემატა, რომ ვიღაცა პაციენტის გამო სასამართლომდე
მივიდა საქმე; ასე რომ, დატოვა ლოკპორტი.

ამის მერე უკვე აღარ თხოულობდა, რომ ბავშვები გაეგ-
ზავნათ ამერიკაში და როცა ნიკოლმა მისწერა, ფული ხომ არა
გჭირდებაო, არ უპასუხა. თავის უკანასკნელ წერილში იტყო-
ბინებოდა, რომ პრაქტიკა ჰქონდა ნიუ-იორკის შტატის ქალაქ
ჟენევაში და ნიკოლს ისეთი შთაბეჭდილება შეექმნა, რომ იქ
ვიღაცასთან ერთად იყო, ვინც მისი სახლის საქმეს უვლიდა.
ნიკოლმა ატლასზე მოძებნა ჟენევა და გაიგო, რომ ეს თვალ-
წარმტაცი ციდა ქალაქი ფინგერ ლეიკსის შუაგულშია. იქნებ—
უყვარდა ხოლმე ფიქრი ნიკოლს — მისი დიდება თავის
დროს ელის, როგორც გრანტისა გალენაში; სულ ბოლოს
კი ღია ბარათი მოვიდა მისგან, ფოსტის შტემპელით — ნიუ-
იორკის შტატის ქალაქ ჰორნელიდან გამოგზავნილი, მეტად
პატარა ქალაქია და ცოტა შორს არის ჟენევიდან; ასე თუ ისე,
ეტყობა ახლაც იქ არის სადღაც, ან ჟენევაში, ანდა ჰორლენ-
ში.